ეძღვნება სოფლის მოძღვარს

სოკრატე სქოლასტიკოსი

საეკლესიო ისტორია

საეკლესიო გამომცემლობა
„ახალი ივერონი“

თბილისი

2012

საეკლესიო ბიბლიოთეკა

XV

სოკრატე სქოლასტიკოსი

საეკლესიო ისტორია

ძველბერძნულიდან თარგმნა,
წინათქმა და შენიშვნები დაურთო
ზურაბ ჯაშმა

რედაქტორი: ღვთისმეტყველების კანდიდატი,
დეკანოზი **მაქსიმე ჭანტურია**

წიგნის მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა და რაიმე სახით კვლავ გამოცემა გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია

© "ახალი ივერონი"

ISBN 987-9940-900-0-15
UDC(უაკ)271.2+271.2-9
ს-156

წ ი ნ ა თ ქ მ ა

სოკრატე სქოლასტიკოსის „ისტორია“ თავისი მნიშვნელობითაც და ქრონოლოგიურადაც მოსდევს ეკლესიის ისტორიის მამად წოდებული ევსები კესარიელის ნაშრომს. თუმცა, ჩვენ ვიცით IV საუკუნეში სხვა საეკლესიო ისტორიული ნაშრომების შესახებაც, მათ სხვადასხვა მიზეზების გამო სრული სახით არ მოუღწევია ჩვენამდე.

თავად სოკრატეს შესახებ მოიპოვება მწირი ცნობები. ისევ მისი ნაშრომიდან შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ მის ბიოგრაფიაზე. დაბადების თარიღი უცნობია, ვარაუდობენ 379 წ. ან რამდენიმე წლის მოგვიანებით. ასევე უცნობია მისი მშობლების ვინაობა და წარმომავლობა. როგორც ზედწოდება „სქოლასტიკოსი“ უჩვენებს, ის პროფესიით უნდა ყოფილიყო ვექილი ან ადვოკატი. თავისი განათლების შესახებ იგი გვაცნობებს, რომ მისი მასწავლებლები იყვნენ ცნობილი ალექსანდრიელი გრამატიკოსები ჰელადიუსი და ამონიოსი, რომლებიც ალექსანდრიიდან გამოიქცნენ თეოფილე ალექსანდრიელის დროს ქრისტიანებსა და წარმართებს შორის ამტყდარი სისხლიანი დაპირისპირებისას და თავი შეაფარეს კონსტანტინოპოლს (V, 16). თვითონ სოკრატეც კონსტანტინოპოლის მკვიდრი გახლდათ და, სავარაუდოდ, ის არც გაცილებია დედაქალაქს მთელი ცხოვრების განმავლობაში.

„ისტორია“ იწყება კონსტანტინეს იმპერატორად აღზევების წლიდან (306 წ.) და სრულდება იმპერატორ თეოდოსი მცირეს მეჩვიდმეტე კონსულობით (439 წ.). დაახლოებით ამავე პერიოდის აღწერა გვხვდება სხვა ცნობილ საეკლესიო ისტორიკოსებთანაც, სოძომენესა და ნეტარ თეოდორიტე კვირელთან. მაგრამ გარდა აღწერილი პერიოდის უფრო მეტი ხანგრძლივობისა, სოკრატეს ნაშრომი იმითაც გამოირჩევა, რომ ის უფრო სრულ და მიუკერძოებელ ცნობებს გვაწვდის. სადაც ხელი მიუწვდება, ის იყენებს პირველად წყაროებს. ცდილობს გადაუმოწმებელი ცნობები არ გამოიყენოს. ხშირად გადმოგვცემს ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის თვითმხილველთა მონათხრობს.

სოკრატეს ისტორიკოსის უმთავრეს ღირსებად მიაჩნია მიუკერძოებლად გადმოსცეს ფაქტები. თუმცა, ნაშრომიდან კარგად ჩანს, რომ დოგმატურ დავებთან დაკავშირებით იგი იზიარებდა საეკლესიო კრებების მიერ ოფიციალურ პოზიციად ჩამოყალიბებულ მრწამსს. ამავე დროს ის გამოხატავს ღრმა პატივისცემას იმ პერიოდის ისეთი დიდი წმინდანების მიმართ, როგორებიც იყვნენ იოანე ოქროპირი და კირილე ალექსანდრიელი. მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის წარმოაჩინოს მათი ადამიანური სუსტი მხარეებიც. საღვთისმეტყველო საკითხებთან წარმოშობილ დავებს კი ენამახვილურად უწოდებს „ნიქტომახიას“ – ღამის ბრძოლას, როდესაც მოწინააღმდეგეები რიგიანად ვერც კი არჩევენ ერთმანეთის სახეებს.

სოკრატეს „ისტორიის“ დიდი ნაწილი ლოკალიზებულია რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში. ეს გასაგებიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ დროს ეკლესიაში მიმდინარე ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები სწორედ ამ მხარეში ვითარდებოდა. მეორე მხრივ, სავარაუდოდ, ის არ იცნობდა ბერძნული ენის გარდა სხვა რომელიმე ენას, რამაც არ მისცა საშუალება, რომ ნათელი მოეფინა იმ მოვლენებზე, რასაც ადგილი ჰქონდა, მაგალითად, დასავლეთ რომის ეკლესიაში. მიუხედავად ამისა, ის გვაწვდის მნიშვნელოვან ცნობებს ეკლესიის მისიონერული მოღვაწეობის შესახებ არაბებთან, გუთებთან, ბურგუნდიელებთან, სპარსელებთან და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა ქართველი მკითხველისათვის, იბერიელებთან.

ასე რომ, მთლიანობაში ნაშრომი წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან წყაროს ადრეული ეკლესიის ისტორიის მკვლევართათვის და ასევე, უბრალოდ, დაინტერესებული მკითხველისათვის.

თარგმანის შესრულებისას ვისარგებლეთ დედნის ტექსტის შემდეგი კრიტიკული გამოცემით: Socrate de Constantinople, Histoire ecclesiastique, Livre I, ed. de G.C. Hansen, Sources chrétiennes 477, Paris, Cerf 2004; Livre II-III - Sources chrétiennes 493, Paris, Cerf 2005; Livre IV-VI - Sources chrétiennes 505, Paris, Cerf 2006; Livre VII - Sources chrétiennes 507, Paris, Cerf 2007. კომენტარების დართვისას სხვა ლიტერატურაზე დამატებით ასევე ვისარგებლეთ ამ გამოცემების სამეცნიერო აპარატით.

ზურაბ ჯაში

პ ი რ ვ ე ლ ი წ ი გ ნ ი

I თავი
წიგნის შესავალი

ევსები პამფილელმა ათ წიგნად გადმოსცა საეკლესიო ისტორია და გაჩერდა იმპერატორ კონსტანტინეს ზეობაზე, რომლის დროსაც შეწყდა დიოკლეტიანეს მიერ ქრისტიანთა წინააღმდეგ აღძრული დევნულება. მან ასევე დაწერა კონსტანტინეს ცხოვრება და ნაწილობრივ არიანელებთან დაკავშირებული მოვლენებიც ახსენა. იგი, როგორც შესხმის შედგენაზე მზრუნველი, უფრო იმპერატორს აქებდა საზეიმო ამაღლებული სიტყვებით, ვიდრე ზედმიწევნით მოგვითხრობდა მომხდარ მოვლენებს. ჩვენ კი გთავაზობთ ეკლესიების გარშემო განვითარებული მოვლენების აღწერას, იმ დროიდან მოყოლებული ჩვენს დრომდე. თემის დასაწყისად ავიღებთ იმ ჟამს, რომელიც მან აღუწერელი დატოვა. ჩვენ ვიზრუნებთ არათუ ამაღლებულ სტილზე, არამედ იმაზე, რასაც კი წერილობით აღმოვაჩენთ, ან იმას, თვითმხილველთა მიერ მოყოლისას რაც გვსმენია. წინამდებარე ნაშრომისთვის შემოვკრიბეთ მოგონებები, თუ როგორ გაქრისტიანდა იმპერატორი კონსტანტინე, ამიტომ, მცირედით მის შესახებ გიამბობთ, როგორც ეს ხსოვნაშია შემონახული, და დავიწყებთ აქედან.

II თავი
თუ როგორ გაქრისტიანდა იმპერატორი კონსტანტინე

როდესაც დიოკლეტიანე და მაქსიმიანუსი, ჰერკულესად წოდებული, ურთიერთშეთანხმებით ჩამოშორდნენ საიმპერიო ძალაუფ-

ლებას და დაუბრუნდნენ კერძო ცხოვრებას, მათი თანამმართველი, გალერიუსად წოდებული მაქსიმიანე ჩავიდა იტალიაში და დაადგინა ორი კეისარი, მაქსიმიანუსი – აღმოსავლეთში, სევერუსი – იტალიაში; ბრიტანეთში კი კონსტანტინე გამოაცხადა იმპერატორად, მისი მამის კონსტანციუსის ადგილას, რომელიც გარდაიცვალა ორას სამოცდათერთმეტი ოლიმპიადის პირველ წელს*, ოცდახუთ ივლისს. რომში პრეტორიელი ჯარისკაცების მიერ უფრო ტირანად, ვიდრე იმპერატორად, არჩეულ იქნა მაქსენტიუსი, მაქსიმიანუს ჰერკულესის ვაჟი. ამის გამო ჰერკულესს კვლავ გაუჩნდა ძალაუფლების წადილი და სცადა მისი ძის მაქსენტიუსის დადუპვა. მაგრამ ამის აღსრულებას ხელი შეუშალეს ჯარისკაცებმა. იგი მოგვიანებით აღესრულა კილიკიის ტარსუსში. გალერიუს მაქსიმიანუსის მიერ მაქსენტიუსის შესაპყრობად რომში წარგზავნილი კეისარი სევერუსი მოკლულ იქნა თავისი ჯარისკაცების ღალატით. საბოლოოდ, ყოველივეს გამგებელი მაქსიმიანუს გალერიუსიც აღესრულა, პირველ იმპერატორად კი დაადგინა ლიკინიუსი, რომელიც ადრიდანვე მისი თანამებრძოლი და მეგობარი იყო; იგი წარმოშობით იყო დაკიელი. მაქსენტიუსი ცუდად ეპყრობოდა რომაელებს, უფრო ტირანულად, ვიდრე მეფურად იქცეოდა მათ წინააღმდეგ: ურცხვად მრუშობდა თავისუფალ მოქალაქეთა ცოლებთან, ბევრი ვინმე მოკლა, და იქმოდა ამის მსგავს სხვა საქმეებსაც. როდესაც ეს შეიტყო იმპერატორმა კონსტანტინემ დაეშურა რომაელების მისი მონობისგან გათავისუფლებას; მყისვე შეუდგა ფიქრს, თუ რა გზით დაემხო ტირანი. როდესაც ასეთ საზრუნავში იმყოფებოდა და მსჯელობდა, თუ რომელი ღვთაებისთვის მოეხმო ბრძოლაში მფარველად. მას აზრად მოუვიდა, რომ ვერაფრით ისარგებლეს დიოკლეტიანეს გარშემო მყოფებმა, რომლებიც წარმართული ღმერთების მიმართ კეთილგანწყობილი იყვნენ, ისიც ისაზრა, რომ მისი მამა კონსტანციუსი, რომელმაც ზურგი აქცია წარმართულ რწმენას, უფრო ბედნიერ ცხოვრებას ატარებ-

და. ასეთ ეჭვებში იყო და ამავე დროს ჯარისკაცებსაც მიუძღოდა სალაშქროდ, როცა მოხდა, რომ ენით უთქმელი რამ საკვირველება იხილა. დაახლოებით შუადღისას, როდესაც დღე უკვე იწყებდა შემობრუნებას, ცაში იხილა ჯვრისსახოვანი სინათლის სვეტი, რომელშიც იყო წარწერა: „ამით სძლევ“. ეს ნიშანი იხილა და იმპერატორი შეცბა. იგი არ უჯერებდა საკუთარ თვალებს, ეკითხებოდა მის თანმხლებთ, ისინიც თუ ხედავდნენ იმავე ხილვას. როდესაც ისინიც დაეთანხმნენ, განმტკიცდა იმპერატორი ამ ღვთიური და საოცარი ჩვენებით**. როდესაც დაღამდა, ძილში იხილა ქრისტე, რომელიც ეუბნებოდა, რომ დაემზადებინა ნანახი ნიშნის გამოსახულება და ეს, როგორც მოწინააღმდეგეზე გამარჯვების ძეგლი, გამოეყენებინა მტრების წინააღმდეგ. იგი ერწმუნა ამ წინასწარმეტყველებას და დაამზადა ჯვრისსახოვანი შტანდარტი***, რომელიც დღემდე ინახება სასახლეში. ამის შემდეგ ის უფრო მეტი გულმოდგინებით შეუდგა საქმეებს. მოხდა ისე, რომ მან გამარჯვება მოიპოვა რომის წინ მულვიისად წოდებული ხიდის მახლობლად, მაქსენტიუსი კი მდინარეში ჩაახრჩო. იყო მისი ზეობის მეშვიდე წელი, როდესაც მაქსენტიუსზე მოიპოვა გამარჯვება[1]. ამის შემდეგ, როდესაც მისი თანაიმპერატორი ლიკინიუსი გახდა მისი სიძე მის დაზე კონსტანციაზე ქორწინებით, რომელიც ცხოვრობდა აღმოსავლეთში, თავად მან იგემა ესოდენი ქველმოქმედება ღვთისგან და მადლი შესწირა მისთვის ქველმოქმედს. ეს იყო ქრისტიანთა დევნულების შეწყვეტა და გადასახლებულთა უკან გამოხმობა, საპყრობილეში მსხდომთა გათავისუფლება, და მათი ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნება. მან აღადგინა ეკლესიები და ყოველივეს დიდი გულმოდგინებით იქმოდა. ამ დროს დალმაციის ქალაქ სალონში აღესრულა დიოკლეტიანე, რომელიც ჩამოშორებული იყო ძალაუფლებას.

III თავი
თუ როგორ აღაზევებდა კონსტანტინე ქრისტიანებს, მისი თანაიმპერატორი ლიკინიუსი კი დევნიდა მათ

იმპერატორი კონსტანტინე იზიარებდა ქრისტეს სარწმუნოებას და ყველაფერს როგორც ქრისტიანი ისე იქმოდა: აგებდა ეკლესიებს და ძვირფასი შესაწირით მიაგებდა პატივს, გარდა ამისა კეტავდა და ანგრევდა წარმართთა ტაძრებს, სახელმწიფო საკუთრებად აქცევდა მათში არსებულ ქანდაკებებს. მის თანაიმპერატორ ლიკინიუსს წარმართული რწმენა ჰქონდა და სძულდა ქრისტიანები. იმპერატორ კონსტანტინეს შიშით აშკარა დევნულების აღძვრისაგან თავს იკავებდა. მაგრამ ჩუმად აწყობდა მრავალ მზაკვრობას. იქამდე მივიდა, რომ ღიად ცდილობდა ევნო მათთვის. რადგან ეს დევნულება იყო ადგილობრივად. რადგან, სადაც იყო ლიკინიუსი, მხოლოდ იქ იყო დევნულება. როდესაც იგი ამას და სხვა რამეს ტირანულად იქმოდა, ეს არ გამოჰპარვია კონსტანტინეს. ლიკინიუსმა შეიტყო, რომ იგი ამის გამო განრისხებული იყო, და დაიწყო თავის მართლება. მას გული მოულბო, ყალბი მეგობრობა განამტკიცა მასთან, მრავალი ფიცი დადო, რომ არასოდეს იფიქრებდა ტირანულად; ფიცის დადებისთანავე გატეხა ის. რადგან არ შეიცვალა ტირანული აზროვნება და ქრისტიანთა წინააღმდეგ აღძრა დევნულება. კანონი გამოსცა, ეპისკოპოსებს არ ეცხოვრათ წარმართებთან, რათა არ ჰქონოდათ საბაბი ქრისტიანობის განსავრცობად. ეს დევნულება იყო ერთსა და იმავე დროს საჯაროდ გამოცხადებულიც და დაფარულიც. რადგან სიტყვით მალავდა, საქმით კი ცხადი იყო. სასტიკად ევნებოდა დევნულთ, როგორც სხეულით, ასევე ქონებით.

IV თავი
თუ როგორ დაიწყო ომი კონსტანტინეს და ლიკინიუსს შორის ქრისტიანთა გამო

ამ მიზეზით მან უდიდესი მტრობა გამოიწვია იმპერატორ კონსტანტინეს მხრიდან. ისინი გახდნენ ერთმანეთის მოწინააღმდეგენი, როდესაც დაირღვა მათი ყალბი მეგობრობა. არცთუ დიდი ხნის შემდეგ ისინი წავიდნენ ერთმანეთზე სალაშქროდ. მას შემდეგ, რაც მრავალი შეტაკება მოხდა ხმელეთზეც და ზღვაზეც, ბოლოს ბითვინიის ქალაქ ქრისოპოლისში, რომელიც არის ქალკედონის ნავსაყუდელი, დამარცხებული დანებდა. ასე რომ, კონსტანტინემ შეიპყრო რა ცოცხალი, კაცთმოყვარეობა გამოიჩინა მის მიმართ და არ მოკლა, უბრძანა მშვიდად ეცხოვრა თესალონიკში. მაგრამ ცოტა ხნით დაწყნარდა ლიკინიუსი, შემდეგ ვიღაც ბარბაროსები შეკრიბა და დაეშურა ომის განახლებას. როდესაც ეს შეიტყო იმპერატორმა, ბრძანა მისი მოკვლა. და, როდესაც ეს იქნა ნაბრძანები, იგი მოკლულ იქნა. აწ კონსტანტინე გახდა ყოველივეს მპყრობელი, იგი გამოცხადდა იმპერატორად და თვითმპყრობელად, კვლავ გულმოდგინედ შეუდგა ქრისტიანობის განვრცობას. ამას იქმოდა სხვადასხვა გზით და ურყევი მშვიდობა სუფევდა ქრისტიანთა საქმეებში ამის გამო. მაგრამ ესოდენი მშვიდობა შეცვალა ქრისტიანთა შიდა ომმა. მოგითხრობთ, თუ რა სახის იყო ის და როგორ დაიწყო.

V თავი
ეპისკოპოს ალექსანდრეს მიმართ არიოზის ქიშპობის შესახებ

დიოკლეტიანეს დროს წამებული ალექსანდრიის ეპისკოპოს პეტრეს შემდეგ ეპისკოპოსობა გადავიდა აქილასზე; აქილა-

სის შემდეგ კი – ალექსანდრეზე, როდესაც დამყარდა ზემოხსენებული მშვიდობა. იგი უშიშრად ატარებდა ცხოვრებას და განაგებდა ეკლესიას. ერთხელ იგი მისი მმართველობის ქვეშ მყოფი ხუცესების და დანარჩენი კლიროსის თანდასწრებით მოკრძალებით ღვთისმეტყველებდა წმინდა სამების შესახებ და სამებაში ერთობის არსებობაზე სიბრძნისმეტყველებდა. ამ დროს მისი მმართველობის ქვეშ განწესებულმა ერთმა ხუცესმა არიოზმა, რომელიც არ იყო დიალექტიკური მსჯელობის უმეცარი, ჩათვალა,რომ ეპისკოპოსს შემოჰქონდა ლიბიელი საბელიოზის მოძღვრება, როგორც ჩანდა, კამათისმოყვარეობით ლიბიელის შეხედულების დიამეტრულად საპირისპირო მხარეზე გადაიხარა, ფიცხლად დახვდა ეპისკოპოსის ნათქვამს, და უთხრა: „თუ მამამ შვა ძე, არსებობის დასაბამი აქვს შობილს, ამიტომ ცხადია, რომ იყო დრო, როდესაც არ იყო ძე, აუცილებლობით გამომდინარეობს, რომ მას არარსიდან აქვს არსი მიღებული“.[2]

VI თავი
თუ როგორ ქიშპობით დაედო სათავე ეკლესიის გაყოფას. თუ როგორ განაყენა ალექსანდრემ არიოზი და მის გარშემო მყოფნი

მან ეს სწავლება გამოიყვანა ახლებური მსჯელობით და მრავალი აღძრა ძიებისაკენ. და აღეგზნო დიდი ცეცხლი მცირე ნაპერწკლიდან. ეს ბოროტება დაიწყო ალექსანდრიის ეკლესიიდან,მოირბინა მთელი ეგვიპტე და ლიბია,და ზემო თებე; უკვე სხვა ეპარქიებსაც და ქალაქებსაც გადასწვდა. არიოზის შეხედულება სხვა მრავალმაც გაიზიარა. მაგრამ ის განსაკუთრებით ეპყრა ევსების, არა კესარიის, არამედ მას, ვინც წინათ ბერიტელთა ეკლესიის ეპისკოპოსი იყო, იმჟამად კი ბითვინიის ქალაქ

ნიკომიდიის ეპისკოპოსობა ჰქონდა მითვისებული. როდესაც ალექსანდრემ მოისმინა და დაინახა, რაც ხდებოდა, განრისხდა, მრავალი ეპისკოპოსის კრება მოიწვია და არიოზი და მისი შეხედულების შემწყნარებლები განაყენა. ქალაქის მოსახლეობას მიწერა შემდეგი:

ალექსანდრე ალექსანდრიელის ეპისტოლე

„ყველა ადგილის კათოლიკე ეკლესიის საყვარელ და პატივცემულ თანამსახურთ, ალექსანდრე მოგიკითხავთ უფალში.

რადგან ერთია კათოლიკე ეკლესიის სხეული, მცნებად გვაქვს წმინდა წერილში „ერთსულოვნებისა და მშვიდობის საკვრელის“[3] დაცვა, ამიტომ უნდა მოგწეროთ თქვენ და ვაუწყოთ ერთმანეთს, რაც ხდება თითოეულ ჩვენგანთან, რათა „ევნება თუ ხარობს ერთი ასო, ერთმანეთის გვერდით ვიტანჯოთ ან ვიხაროთ“ (1 კორ. 12, 26). აწ ჩვენს სამრევლოში გამოვიდნენ ურჯულო და ქრისტესმბრძოლი კაცები, რომლებიც ასწავლიან განდგომილებას, რასაც ბუნებრივად ვინმე ანტიქრისტეს წინამორბედად მიიჩნევს და ასეც უწოდებს. განვიზრახეთ დავდუმებულიყავით ამაზე, რათა მხოლოდ განდგომილებში აღხოცილიყო ბოროტება, სხვა ადგილებზე არ გადასულიყო და არ შეებილწა წმინდა სასმენელნი. ევსებიმ, რომელიც ამჟამად ნიკომიდიაში იმყოფება, ჩათვალა, რომ მის ხელთ იყო ეკლესიის საქმეები, დატოვა რა ბერიტა და გულისთქმით უმზერდა ნიკომიდიელთა ეკლესიას, არ მიეზღო მის საქციელს. ამიტომ იგი სათავეში ჩაუდგა ამ განდგომილებსაც და დაიწყო ყველასადმი რჩევა-დარიგების მიწერა, ურჩევდა მათ, რათა ჩაეთრიათ ზოგიერთი უმეცარი ამ უკიდურეს და ქრისტესმბრძოლ მწვალებლობაში. ამიტომ, აუცილებლად ჩავთვალე, მეტად აღარ დავდუმებულიყავი, ვუწყი რა, რაც არის რჯულში დაწერილი, და მეუწყებინა ყველა თქვენგანისთვის, რათა იცოდეთ განდგომილები ვინ გახდნენ, და არ შეიწყნაროთ მათი მწვალებლობის უბადრუკი სიტყვები, რაც

კი ევსებიმ დაწერა. მან განიზრახა დროთა განმავლობაში დადუმებული მისი ადრინდელი ბოროტი ბრძნობის[4] აწ მათი მეშვეობით განახლება, და მათ გამო შეადგინა ნაწერი; მაგრამ საქმით აჩვენებს, რომ საკუთარი თავისთვის იღვწის, როცა ამას იქმს. ამრიგად, მწვალებლები გახდნენ: არიოზი, აქილასი, აეთალესი, კარპონესი, მეორე არიოზი, სარმატესი, ევძოიოსი, ლუკიოსი, იულიანე, მენასი, ელადიოსი, გაიოზი და მათთან ერთად სეკუნდოსი და თეონასი, რომლებიც ოდესღაც ეპისკოპოსებად იწოდებოდნენ. რასაც ისინი წმინდა წერილის საპირისპიროდ აღმოაჩენენ და ამბობენ, არის შემდეგი. ღმერთი მარადიულად არ იყო მამა, არამედ იყო დრო, როცა ღმერთი მამა არ იყო. მარადიულად არ იყო ღვთის სიტყვა, არამედ არარსიდან წარმოიშვა. რამეთუ ღმერთად მყოფმა არარსებული არარსებულიდან ქმნა. ამიტომ, იყო ოდესღაც, როცა არ იყო. ძე არის ქმნილება და დაბადებული. იგი არც არსის მიხედვით არის მსგავსი მამის, არც ნამდვილი და ბუნებითი მამის სიტყვა არის, არც მისი ჭეშმარიტი სიბრძნე არის, არამედ ერთ-ერთი ქმნილება და წარმოქმნილი. მას არაპირდაპირი მნიშვნელობით[5] ეწოდება სიტყვა და სიბრძნე, ისიც არის წარმოქმნილი ღვთის საკუთარი სიტყვით და ღმერთში მყოფი სიბრძნით, რომელშიც ღმერთმა შექმნა ყოველივე და ასევე ისიც. ამიტომ, შექცევადი და ცვალებადი არის მისი ბუნება, ისევე როგორც ყველა აზრისმიერი [ქმნილება]. ღვთის არსისგან უცხო, განსხვავებული და განცალკევებული არის სიტყვა. მამა გამოუთქმელი არის ძის მიერ. რადგან არც სრულად და ზედმიწევნით იცის ძემ მამა, არც მისი სრულად ხილვა ძალუძს. საკუთარი არსიც არ იცის ძემ, როგორიც ის არის. იგი ჩვენს გამო არის შექმნილი, რათა ღმერთს ჩვენ შევექმენით მისი მეშვეობით, როგორც რამ იარაღის მეშვეობით. რადგან მას არ დაედებოდა დასაბამი, ღმერთს რომ ჩვენი შექმნა არ ენება.

ერთმა ჰკითხა მათ, თუ იყო შესაძლებელი ღვთის სიტყვის მიდრეკა, როგორც მიდრკა ეშმაკი. არ შეშინებიათ, ეთქვათ: „დიახ,

შესაძლებელია. რამეთუ ცვალებადი ბუნების არის, აქვს რა შობილი და ცვალებადი არსებობა.“ ჩვენ ეგვიპტის და ლიბიის ეპისკოპოსებთან ერთად, თითქმის ასი კაცი, შევიკრიბეთ და შევაჩვენეთ ამის მთქმელი არიოზის მომხრეები, რომლებსაც არ შერცხვათ ამ სიტყვების, – ისინიც და მათი მიმდევრებიც. მაგრამ ისინი მიიღეს ევსების გარშემო მყოფებმა, მოიწადინეს, შეერიათ სიცრუე ჭეშმარიტებასთან და უღმრთოება – ღვთისმოსავობასთან. მაგრამ ვერ შეძლეს. რამეთუ გაიმარჯვა ჭეშმარიტებამ, და არავითარი ზიარება არ არის ნათლისა სიბნელესთან, არც არის თანხმობა ქრისტესი ბელიართან (2 კორ. 6, 14). რადგან ვის სმენია ოდესმე ასეთი რამ? ან ვინ მოისმენს აწ და არ ეუცხოვება, და ყურებს არ დაიცობს, ამ სიტყვების ლირწი რომ არ მოეცხოს სასმენელს? ვინ არ დაგმობს მათ ნათქვამს: „იყო ოდესღაც, როცა არ იყო“, ვისაც კი სმენია იოანეს სიტყვები: „დასაბამში იყო სიტყვა“ (იოან. 1, 1)? ან ვისაც სმენია სახარებაში „მხოლოდშობილი ძე“ და „მისი მეშვეობით შეიქმნა ყოველივე“, როგორ არ შეიძაგებს ამ გამონათქვამებს, რომ ძე არის ერთ-ერთი ქმნილება? როგორ შეიძლება იგი იყოს მისი მეშვეობით შექმნილის სწორი? ან როგორ არის მხოლოდშობილი, თუ მათი აზრით ყველასთან ერთად თანაღირიცხება? როგორ იქნება არარსიდან, როცა მამა ამბობს: „ჩემმა გულმა გადმოღვარა სიტყვა კეთილი“, და „უწინარეს ცისკრის ვარსკვლავისა მუცლიდან გშვი შენ“? ან როგორ არის არსით მამის არამსგავსი, მისი „სრული ხატი“ (კოლ. 1, 15), „მამის გამობრწყინება“ (ებრ. 1, 3), და რომელიც ამბობს: „ვინც მე მხედავს, ხედავს მამას“ (იოან. **)? როგორ არის, რომ თუ ძე არის ღვთის სიტყვა და სიბრძნე, იყო ოდესღაც [ჟამი], როცა [იგი] არ იყო? ეს იგივეა, თქვა, რომ უტყვი და არაბრძენი იყო ოდესღაც ღმერთი. როგორ არის ქცევადი და ცვალებადი, რომელიც თვითონვე ამბობს: „მე ვარ მამაში და მამა არის ჩემში“ (იოან. 14, 10) და „მე და მამა ერთი ვართ“ (იოან. 10, 30), ხოლო წინასწარმეტყველის მეშვეობით

ამბობს: „იცოდეთ, რომ მე ვარ და არ შევიცვლები“? თუნდაც ვინმემ შეიძლება ეს მიაწეროს მამას, მაგრამ უფრო შესატყვისი იქნება სიტყვის შესახებ აწ თქმული, რომ ადამიანად გამხდარი არ შეიცვლება, არამედ, როგორც მოციქული ამბობს: „იესო ქრისტე გუშინ და დღეს, და იგივე საუკუნოდ“ (ებრ. 13, 8). ასე რომ, რა არწმუნებს მათ, თქვან, რომ ჩვენს გამო შეიქმნა, როცა პავლეც ამბობს: „რომლის გამო არის ყოველივე და რომლის მეშვეობით არის ყოველივე“ (ებრ. 2, 10)? არ უნდა გაგვიკვირდეს მათი მკრეხელობა, რომ ძემ სრულად არ იცის მამა. რადგან, როცა გვთავაზობენ ქრისტესმბრძოლობას, ყურად არ იღებენ თვით უფლის მიერ ნათქვამს: „როგორც მიცნობს მე მამა, მეც ვიცი მამა“ (იოან. 10, 15). თუ მამამ ნაწილობრივ იცის ძე, ცხადია, ძემაც ნაწილობრივ იცის მამა. მაგრამ თუ ამის თქმა უკანონობაა და სრულად იცის მამამ ძე, ცხადია, როგორც მამამ იცის თავისი სიტყვა, ასევე იცის სიტყვამ თავისი მამა, რომლის სიტყვაც არის იგი. როდესაც ამას ვამბობთ და გადავშლით საღვთო წერილს, მრავალგზის განვაქიქებთ მათ. და კვლავ იცვლებიან ქამელეონებივით, თავის თავს ეკამათებიან და მოიხმობენ დაწერილს: „როცა მივა უღმერთო ბოროტების სიღრმემდე, საძაგელი ხდება“ (შდრ. იგავ. 18, 3). მრავალი მწვალებლობა იყო მათზე უწინ, რომლებიც საჭიროზე მეტად კადნიერდებოდნენ, და ჩავარდნენ კიდეც უგუნურებაში. მათ ყველა მათი გამონათქვამის მეშვეობით სცადეს აღეხოცათ სიტყვის ღმრთეება, თავიანთი საქციელით გაამართლეს ისინი, როდესაც უფრო მეტად მიუახლოვდნენ ანტიქრისტეს. ამიტომ, განიკვეთნენ ეკლესიიდან და შეჩვენებულ იქნენ. ვწუხვართ მათ დაღუპვაზე, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ოდესღაც მათაც ისწავლეს ეკლესიის სწავლება და აწ განუდგნენ. მაგრამ ეს არ გვეჩვენა უცხო რამედ. რადგან ასე იღვაწეს ჰიმენეოსმა და ფილეტოსმა, მათ უწინარეს კი – მხსნელის მოწაფემ იუდამ, რომელიც შემდეგ გამცემი და განდგომილი გახდა. თვით მათ შესახებაც არ დავრჩენილვართ განუს-

წავლელი. არამედ უფალმა იწინასწარმეტყველა: „უყურეთ არ შეცდეს რომელიმე თქვენგანი, რადგან მრავალი მოვა ჩემი სახელით და იტყვის, რომ მე ვარ, და ჟამიც ახლოს არის; მრავალი ცდუნდება. არ გაჰყვეთ მათ“ (ლუკ. 21, 8). პავლე მოციქულმა კი ეს ისწავლა მხსნელისგან და დაწერა, რომ „მომავალში ზოგიერთები განუდგებიან საღ რწმენას, ყურადღებას მიაპყრობენ მაცდურ სულებს და დემონთა მოძღვრებებს“, რომლებმაც ზურგი შეაქციეს ჭეშმარიტებას. აწ, როდესაც თვითონ ჩვენი მხსნელის, უფალ იესო ქრისტეს მიერ არის უწყებული და მოციქულის მეშვეობითაც მინიშნებულია ასეთების შესახებ, ბუნებრივია, ჩვენ, მათი უღმერთობის უშუალოდ მსმენელნი, შევაჩვენებთ მათ ზემოხსენებულის მიხედვით, მათ წარმოვაჩენთ თქვენს ღვთისმოსავობის წინაშე კათოლიკე ეკლესიიდან და სარწმუნოებისგან განშორებულად, საყვარელო და უპატივცემულესო თანამსახურნო, რათა ვინმე მათგანი თუ გაბედავს თქვენთან მოსვლას, არ მიიღოთ, არ დაუჯეროთ, არც ევსების და არც სხვა ვინმეს, ვინც მოგწერთ მათ შესახებ. რადგან ჩვენ, ქრისტიანებს გვმართებს, ზურგი ვაქციოთ ყველას, ვინც ქრისტეს წინააღმდეგ ლაპარაკობს და ფიქრობს, როგორც ღვთისმბრძოლს და სულის ხრწნილებას; არც მოვიკითხოთ ისინი, ვინც ასეთ რამეებს ამბობს, რათა არასოდეს გავხდეთ მათი ცოდვების თანაზიარი, როგორც შეგვაგონებდა ნეტარი იოანე.

მოიკითხეთ თქვენთან მყოფი ძმები. თქვენ მოკითხვას გიგზავნიან ჩვენთან მყოფი ძმები“.

როდესაც ალექსანდრემ ასე მისწერა ყველა ქალაქში მცხოვრებთ, ბოროტება კიდევ უფრო გაუარესდა, დავისათვის აღეგზნენ ისინი, რომლებიც გაეცნენ ნაწერს. ვინც წერილებს დაეთანხმა, ხელიც მოაწერა. ზოგიერთი კი საპირისპიროს იქმოდა. განსაკუთრებული არაკეთილგანწყობით აღიძრა ნიკომიდიის ეპისკოპოსი ევსები, რადგან იგი ალექსანდრემ ცუდად მოიხსენია თავის

წერილებში. იმ დროს მეტად გაძლიერდა ევსები, რადგან მაშინ იმპერატორი ცხოვრობდა ნიკომიდიაში, – იქ დიოკლეტიანემდე ცოტა ხნით ადრე, სასახლე იქნა აშენებული. ამიტომ, მრავალი ეპისკოპოსი ექვემდებარებოდა ევსების. ისიც განუწყვეტლივ წერდა ხან ალექსანდრეს, რათა ხელი აეღო აღძრულ გამოძიებაზე და მიეღო არიოზის გარშემო მყოფნი; ხანაც – ქალაქებს, რათა არ დათანხმებოდნენ ალექსანდრეს განჩინებას. ამიტომ ყველაფერი აღსავსე იყო შფოთით. რადგან არა მხოლოდ ეკლესიათა წინამდგომელები ექიშპებოდნენ ერთმანეთს, არამედ ხალხიც გაყოფილი იყო: ზოგი ერთ ნაწილისკენ იხრებოდა, ზოგი – მეორესკენ. ესოდენ დიდ უჯერობამდე მივიდა საქმის ვითარება, რომ თეატრებში საჯაროდ დასცინოდნენ ქრისტიანობას. ზოგი თვით ალექსანდრიაში ექიშპებოდნენ ერთმანეთს ამაღლებული დოგმატების გამო, შუამავლობდნენ ეპარქიებში ეპისკოპოსებთან. ზოგი კი, სხვა დაჯგუფებად განკვეთილნი, მათ მსგავს ამბოხს მართავდნენ. არიანელებს მელეტიანელებიც შეერივნენ, რომლებიც ცოტა ხნის წინ გამოეყვნენ ეკლესიას. ისიც უნდა ითქვას, თუ ვინ იყვნენ ისინი. ალექსანდრიის ეპისკოპოს პეტრეს მმართველობისას, რომელიც ეწამა დიოკლეტიანეს დროს, ვინმე მელეტი, ეგვიპტის ერთ-ერთი ქალაქის ეპისკოპოსი განყენებულ იქნა მრავალი სხვა მიზეზის გამო, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ დევნულების დროს უარყო რწმენა და მსხვერპლი შეწირა. როდესაც იგი განაყენეს, მრავალი გაჰყვა მას და დღემდე ეგვიპტეში არსებულ ეგრეთ წოდებულ მელეტიანელთა მწვალებლობის მოთავე გახდა. მას არც ერთი მისაღები თავის მართლება არ გამოუთქვამს და განეშორა ეკლესიას, ამბობდა, რომ უბრალოდ დასჯილი იქნა. აძაგებდა და კიცხავდა პეტრეს. მაგრამ პეტრე დევნულებისას ეწამა და აღესრულა. მან კი ყვედრება გადაიტანა აქილასზე, რომელიც იყო ეპისკოპოსი პეტრეს შემდეგ, და კვლავ – აქილასის შემდეგ მოსულ ალექსანდრეზე. ასეთი იყო საქმის ვითარება, როდესაც წარმოიშვა არიოზთან დაკავშირებული გამოძიება და

მელიტიოსმაც არიოზის მომხრეები მიიღო ეპისკოპოსის წინააღმდეგ მოკავშირედ. ვინც უჯეროდ მიიჩნევდა არიოზის შეხედულებას, ის იწონებდა ალექსანდრეს გადაწყვეტილებას და რომ სამართლიანი იყო ასე მოაზროვნეთა წინააღმდეგ გამოტანილი განჩინება. ევსები ნიკომიდიელის მომხრეები წერდნენ და ისინიც, რომლებიც იზიარებდნენ არიოზის შეხედულებას, რათა გაუქმებულიყო განკვეთა და განკვეთილები დაებრუნებინათ ეკლესიაში, რადგან ისინი უკეთურად არ აზროვნებდნენ. როდესაც ასე საპირისპირო წერილებს გზავნიდნენ ალექსანდრიის ეპისკოპოსის წინააღმდეგ, ამ ეპისტოლეებმა შექმნეს დაჯგუფებები, არიოზმა – მის გამო მწერალთა, ალექსანდრემ კი – საპირისპიროთა. ეს თავის მართლების საბაბი გახდა ახლა მოტივტივე არიანელთა, ევნომიანელთა მწვალებლობებისათვის, და მათთვის, რომლებიც ატარებენ მაკედონიოსის სახელს; რადგან თითოეული მათგანი თავისი მწვალებლობის მოწმედ იყენებს ამ ეპისტოლეებს.

VII თავი
თუ როგორ დამწუხრდა იმპერატორი კონსტანტინე ეკლესიათა შფოთის გამო და გაგზავნა ჰოსიუს ესპანელი ალექსანდრიაში, რათა ერთსულოვნებისაკენ მოეწოდებინა ეპისკოპოსისა და არიოზისთვის

როდესაც ეს შეიტყო იმპერატორმა, სული ელმოდა, ისაზრა, რომ საშინაო საქმეებს უბედურება ელოდა. მყისვე დაეშურა აღძრული ბოროტების ჩასახშობად, წერილები გაუგზავნა ალექსანდრეს და არიოზს, იმ სანდო კაცის ხელით, ვისი სახელიც იყო ჰოსიუსი, ესპანეთში ერთ-ერთი ქალაქის, კორდუბიის ეპისკოპოსი. იგი ძლიერ უყვარდა იმპერატორს და პატივში ჰყავდა. უადგილო არ იქნება ამ წერილების ნაწილის აქ გადმოცემა.

მთელი ეს ეპისტოლე ევსების მიერ ჩართულია „კონსტანტინეს ცხოვრების“ წიგნებში.

„მძლე კონსტანტინე, მაქსიმუსი, ავგუსტუსი, ალექსანდრეს და არიოზს.

შევიტყვე, თუ საიდან ჩაეყარა საფუძველი ამ გავრცელებულ კვლევა-ძიებას. ეს მოხდა მაშინ, როდესაც შენ, ალექსანდრე, იძიებდი ხუცესებისგან, თუ რას ფიქრობდა თითოეული მათგანი რჯულში ჩაწერილი რომელიღაც ადგილის გამო, უფრო კი რომელიღაც ფუჭი ძიების შესახებ კითხულობდი. და შენც, არიოზ, ის, რაც აზრადაც არ უნდა მოგსვლოდა, ან თუ მოგივიდოდა, დადუმება შეეფერებოდა, მოულოდნელად წარმოაჩინე. აქედან აღიძრა დავა ჩვენში, ერთობა უკუგდებულ იქნა, ხოლო უწმინდესი ერი გაიყო ორ ნაწილად და განეშორა ერთიანი სხეულის ჰარმონიას. ამრიგად, ორივე მხარემ თანასწორად უნდა დაუგდოს ყური მეორეს, მიღებულ იქნას, რასაც თქვენი თანამსახური სამართლიანად შეგაგონებთ. ეს რა არის? თავიდანვე არც ასეთების გამო გვმართებდა კითხვის დასმა, არც დასმულ კითხვაზე – პასუხის გაცემა. ასეთი ძიებები, რომლებსაც რჯულის რაიმე აუცილებლობა არ ბრძანებს, არამედ შემოაქვს უსარგებლო და უქმი პაექრობა, ბუნებრივი რამ ვარჯიშის გამო თუ ხდება. თუმცა, ვალდებული ვართ, ჩვენს გონებაში ჩავკეტოთ და დაუფიქრებლად არ გამოვიტანოთ საჯარო შეკრებებზე, რათა ყველას სასმენელმა გაუაზრებლად არ ირწმუნოს. რადგან როგორ შეძლებს ყველა, რომ ასე დიდი და მეტად რთული საქმეების ძალა ზედმიწევნით შეიცნოს, ან სათანადოდ განმარტოს?

თუ ვინმემ ჩათვალა, რომ იოლია ამის გაკეთება, ხალხის რომელი ნაწილი დაარწმუნა? ან ვინ წინ აღუდგება ასეთი ძიებების სიზუსტეს შეცდომაში ჩავარდნის საშიშროებას? ასე რომ, ასეთ საქმეებში უნდა დავუკვირდეთ ჩვენს უხვსიტყვაობას, რადგან ჩვენი ბუნების უძლურება ან ვერასოდეს შეძლებს მათ

მართებულ განმარტებას, ან სწავლებების გაგება სასმენელზე უფრო მძიმე იქნება და ვერ მიაღწევენ ნათქვამის ზუსტ წვდომამდე. შედეგად კი ხალხი თითოეული მათგანის მოსაზრებებით აუცილებლად ან მკრეხელობაში ან განხეთქილებაში გადავარდება. ამიტომ, მოულოდნელმა შეკითხვამ და დაუფიქრებელმა პასუხმა ორივე მხარეს თანასწორი მიტევება უნდა მიანიჭოს, რადგან არც რჯულის მთავარ მცნებათა გამო გაჩნდა დავის საბაბი, არც ღვთის მსახურების გამო ახალი რამ მწვალებლობა შემოვიდა, არამედ გაქვთ ერთი და იგივე აზრი, როგორც თანაზიარების პირობა. თქვენ მცირე და მეტად კნინი მიზეზით ედავებით ერთმანეთს და ღვთის ერს არ შეჰფერის, რომ თქვენ მიერ იმართებოდეს, როდესაც ერთმანეთს ედავებით: ეს არც შესაფერისია, არც ის არის სარწმუნო, რომ სრულიად კანონიერია.

იმისათვის, რომ შევახსენო თქვენს კეთილგონიერებას მცირე მაგალითი, ვიტყვი. უწყით, რომ ფილოსოფოსებმა, ყველამ შეადგინა ერთი მოძღვრება, მაგრამ ხშირად დებულების რომელიმე ერთ ნაწილში ვერ თანხმდებიან, თუნდაც მეცნიერების სათნოებაში განშორდებიან ერთმანეთისაგან, სხეულის ერთობით კვლავ ერთმანეთთან ერთსულოვნებაში არიან. თუ ეს ასე არის, როგორ არ ხართ თქვენ, – უფრო მართალი სარწმუნოების ასეთ არჩევანში დიდი ღმერთის მსახურებად დადგენილნი, – უფრო მეტად ერთსულოვანნი ერთმანეთთან? განვიხილოთ უფრო აღმატებული მსჯელობით და მეტი კეთილგონიერებით გავიაზროთ ნათქვამი. ნუთუ მართებულად არის აღძრული დავა მცირე და ფუჭი გამონათქვამების გამო, როცა ძმები ძმებს უპირისპირდება, ერთობის პატივი უღმერთო დავით განშორდება თქვენი მეშვეობით, რომლებიც ერთმანეთს ასე მცირე და არანაირად აუცილებელი საკითხის გამო ვდაობთ? ეს არის მდაბიო და უფრო ბავშვური უგუნურების შესატყვისი, ვიდრე მღვდლების და გონიერი ადამიანების შესაფერისი. ჩვენი ნებით უნდა განვუდგეთ ეშმაკის განსაცდელთ. ჩვენი დიდი ღმერთი, ყოველთა მხსნელი

ყველაზე საერთო სინათლეს განავრცობს. მისი წინაგანგებით ამ მოშურნეობის სისრულეში მოყვანა დამითმო მე, უკეთესის მსახურს, რათა ჩემი მიმართვით, მსახურებით და შეგონების საშუალებით ერთობის თანაზიარებაში დაგაბრუნოთ. რამეთუ, როგორც ვთქვი, ერთი რამ მრწამსი არის თქვენ შორის და ერთი არჩევანის შეგნება, რჯულის მცნება საკუთარ თავში ნაწილების მეშვეობით სულის ერთ განზრახვაში მოიცავს ყოველივეს. ეს თქვენ შორის აღძრული დავა, ვინაიდან არ აღწევს მთელი რჯულის ძალამდე, ნუ ჩამოაგდებს თქვენ შორის განყოფას და ამბოხს. ამას ვამბობ არათუ ისე, რომ გაიძულოთ, გულუბრყვილობა გამოიჩინოთ და შეთანხმდეთ ამ გამოძიებაზე, როგორიც არის ის. შესაძლებელია დაცულ იქნას თქვენ შორის ძვირფასი ერთობა შეუბღალავად და ყველაფერში უცვლელი თანაზიარება განმტკიცდეს, თუნდაც რაიმე უთანხმოება უმნიშვნელო საკითხის გამო გაჩნდა თქვენ შორის; როდესაც ყველას ყველაფერში ერთი და იგივე არ გვსურს, არც ერთი ბუნება ან ზრახვა მოქალაქობს ჩვენში. საღვთო წინაგანგების შესახებ ერთი რამ რწმენა იყოს თქვენ შორის, ერთი შეგნება და უზენაესის შესახებ ერთი თანხმობა. მაგრამ, რასაც ამ უმნიშვნელო ძიების გამო იკვლევთ ერთმანეთში, თუნდაც ერთ აზრამდე ვერ მიხვიდეთ, გმართებთ დარჩეთ გამოუთქმელი მსჯელობით დაცული თქვენი აზრების შიგნით. დაე, თქვენთან ურყევად სუფევდეს უთქმელი და საუკეთესო ერთობლივი მეგობრობა, ჭეშმარიტების რწმენა, ღვთისა და რჯულის მსახურების პატივი. დაუბრუნდით ერთმანეთის მეგობრობას და სიხარულს. მთელ ერს უკან მიაგეთ თქვენი ამბორი. თქვენ თვითონ განიწმინდეთ თქვენი სულები და კვლავ შეიცანით ერთმანეთი. ხშირად მეგობრობა ტკბილი ხდება მტრობის შემდეგ. კვლავ შეურიგდით ერთმანეთს. ასე რომ, მომაგეთ მშვიდი დღეები და უზრუნველი ღამეები, რათა ჩემთვისაც იყოს განმწმენდელი სინათლის რამ სიამე და დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში მშვიდი კეთილგონიერება.

მაგრამ თუ არ იქნება, აუცილებლად სივიწროვე და მთლიანად გოდება მომიცავს და მყუდრო ცხოვრების საუკუნე აღარ დადგება. როდესაც ღვთის ერი, ვგულისხმობ ჩემს თანამსახურთ, ასე უსამართლოდ და ერთმანეთთან ზიანის მომტანი დავით არის გაყოფილი, მე როგორღა შევინარჩუნო მტკიცე გონება? რათა იგრძნოთ ამის გამო წუხილის ზეადმატებულობა, ისმინეთ. ქალაქ ნიკომიდიაში ვიმყოფებოდი, როდესაც ეს შევიტყვე, მყისვე განვიზრახე მეჩქარა აღმოსავლეთისკენ. უკვე თქვენთან მოვიჩქაროდი და დიდწილად თქვენთან ვიყავი, რომ ამ საქმის ამბავმა გონება უკან მიაქცია, რათა იძულებული არ გავმხდარიყავი, ჩემი თვალებით მეხილა, რისი არც ყურით მოსმენა მიმაჩნდა შესაძლებლად. თქვენი ერთსულოვნებით გამიხსენით აღმოსავლეთის გზა, რომელიც ერთმანეთთან დავით დამიხშეთ. მალე ნება მომეცით, რომ ვიხილო თქვენც და ყველა სხვა ხალხები გახარებული და დავალებულნი იმით, რომ ყველას საერთო ერთსულოვნებისა და თავისუფლების მადლიერება საქებარი სიტყვებით აღვავლინოთ უძლიერესის მიმართ.“

VIII თავი
ბითვინიის ქალაქ ნიკეაში გამართული კრების შესახებ; აგრეთვე იქ გადმოცემული მრწამსის შესახებ

ასეთი საოცარი და სიბრძნით აღსავსე ეპისტოლეთი შეაგონებდა იმპერატორი. მაგრამ ბოროტება სიძლიერით აღემატებოდა იმპერატორის მოშურნეობასაც და წერილების მიმტან ღირსეულ კაცსაც. რადგან, არც ალექსანდრე, არც არიოზი შეარბილა წერილებმა, არამედ ხალხში იყო განუსჯელი რამ განხეთქილება და შფოთი. თავი იჩინა კიდევ სხვა რამ ადრინდელმა ადგილობრივმა სნეულებამ, რამაც აღაშფოთა ეკლესია, – ეს იყო უთანხმოება პასექის დღესასწაულთან დაკავშირებით. ეს

უთანხმოება მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში გაჩნდა, როდესაც ზოგი ესწრაფოდა, იუდაურად აღენიშნა დღესასწაული, ზოგი კი ბაძავდა მსოფლიოში მცხოვრებ ყველა ქრისტიანს. ასე დღესასწაულის გამო უთანხმოებაში მყოფნი არავითარ შემთხვევაში არ განეშორებოდნენ ერთმანეთთან თანაზიარებას, მაგრამ ამ უთანხმოებით დღესასწაული უფრო მოღუშული ხდებოდა. როდესაც იმპერატორმა დაინახა, რომ ორივე ამ ძიების გამო ეკლესია შფოთში იყო, გამართა მსოფლიო კრება, ყველა მხრიდან ეპისკოპოსები წერილების მეშვეობით მოიწვია ბითვინიის ნიკეაში შესახვედრად. კრებას ესწრებოდა მრავალი ეპარქიის და ქალაქის ეპისკოპოსი, რომელთა შესახებ ევსები პამფილელმა „კონსტანტინეს ცხოვრების“ მესამე წიგნში სიტყვასიტყვით დაწერა შემდეგი:

„ასე რომ, ღვთის მსახურთაგან საუკეთესონი შეიკრიბნენ ყველა ეკლესიებიდან, რომლებიც აღავსებს მთელ ევროპას, ლიბიას და აზიას. ერთი სალოცავი სახლი, როგორც ღვთის მიერ განვრცობილი, იტევდა თავის შიგნით სირიელებს და კილიკიელებს, ფინიკიელებს და არაბებს, პალესტინელებს და მათთან ერთად ეგვიპტელებსაც, თებელებს, ლიბიელებს და შუამდინარეთიდან ჩამოსულთ; სპარსელთა ეპისკოპოსიც ესწრებოდა კრებას, არც სკვითების ეპისკოპოსი დაკლებია ზეიმს[6]. პონტომ, აზიამ, ფრიგიამ და პამფილიამ მიუძღვნა რჩეულნი. არამხოლოდ ისინი, არამედ თრაკიელები, მაკედონიელები, აქაველები, ეპირელები და უფრო შორს მცხოვრებნიც ჩამოვიდნენ. თავად ის, ესპანელთა შორის ყველაზე სახელგანთქმული[7], მრავალთან ერთად ესწრებოდა კრებას. მაგრამ საიმპერიო ქალაქის წინამდგომელი არ ესწრებოდა მოხუცებულობის გამო, თუმცა ესწრებოდნენ მისი ხუცესები, რომლებიც შეადგენდნენ მის მწყობრს. ასეთი გვირგვინი საუკუნიდან მხოლოდ იმპერატორმა კონსტანტინემ დაუწნა ქრისტეს მისი მშვიდობის საკვრელად, და მიუძღვნა ღვთივშვენიერი მადლობა მოშუღართა და მტრებზე

ძლევის მომნიჭებელ მის მხსნელს. მან შექმნა ჩვენთვის სამოციქულო ზეიმის ასეთი ხატი, მსგავსი იმისა, მოციქულთა დროს ცის ქვეშეთში ყველა ერიდან რომ შეიკრიბნენ კეთილკრძალული ადამიანები, რომელთა შორის იყვნენ „პართები, მიდები, ელამელები, შუამდინარეთის მოსახლეობა, იუდეველები და კაბადოკიელები, პონტო და აზია, ფრიგია და პამფილია, ეგვიპტე და ლიბიის მხარეები, რომლებიც მდებარეობს კვირინეასთან, სადაც ცხოვრობენ რომაელები, იუდეველები, პროზელიტები, კრეტელები და არაბები“ (საქმე. 2, 9–11). თუმცა ის კრებული ამას ჩამოუვარდებოდა, რადგან იქ ყველა ღვთის მსახური არ ყოფილა, მაგრამ აწ გამართულ ზეიმზე ეპისკოპოსთა სიმრავლე სამასს აღემატებოდა, მათ თან ახლდნენ ხუცესები და დიაკვნები, უამრავი აკოლუთი, რომლებსაც თვლა არ ჰქონდათ. ღვთისმსახურთაგან ზოგი ბრძნული სიტყვით გამოირჩეოდა, ზოგი კი – ცხოვრების სიმტკიცით და თავშეკავების დათმენით, ზოგი კი შუალედური გზით იყო შემკული. მათ შორის იყვნენ ასაკით პატივდებულნი, ზოგი კი სიყმაწვილით და სულის სიმწიფით მბრწყინავნი, ზოგი ახლახანს იყო გასული ღვთისმსახურის სარბიელზე. ყველა მათგანს იმპერატორი ყოველდღე უმართავდა მდიდრულ ნადიმებს“.

იქ შეკრებილთა შესახებ ამას გვიამბობს ევსები. როდესაც იმპერატორმა აღასრულა ლიკინიუსზე გამარჯვების ზეიმი,ისიც ნიკეაში წავიდა.

ეპისკოპოსთა შორის გამოირჩეოდნენ პაფნუტი ზემო თებედან და სპირიდონი კვიპროსიდან. თუ რის გამო ვახსენებთ მათ, შემდგომში ვიტყვი. ასევე მათთან ერთად ესწრებოდა მრავალი დიალექტიკაში გამოცდილი ერისკაცი, რომლებსაც ეწადათ თითოეული მხარის დაცვა. არიოზის შეხედულებას იცავდა ევსები ნიკომიდიელი, როგორც ზემოთ ვთქვი, ასევე თეოგნისი და მარისი, რომელთაგან ერთი იყო ნიკეის ეპისკოპოსი, მარისი კი – ბითვინიის ქალაქ ქალკედონის. მათ მამაცურად წინ აღუდგე-

ბოდა ათანასე, ალექსანდრიელთა ეკლესიის დიაკონი. იგი დიდ პატივში ჰყავდა ეპისკოპოს ალექსანდრეს. ამიტომაც აღიჭურვა შური მის წინააღმდეგ, როგორც ამას მოგვიანებით ვიტყვით. ამრიგად, ეპისკოპოსთა ერთ ადგილას შეკრებამდე მცირე ხნით ადრე დიალექტიკოსებმა მრავალი მოსამზადებელი სიტყვიერი შერკინება განახორციელეს. როდესაც მრავალი მიიზიდა სიტყვის სიტკბომ, აღმსარებელთაგან ერთი ერისკაცი, რომელსაც შეუბღალავი აზროვნება ჰქონდა, დაუპირისპირდა დიალექტიკოსებს და უთხრა მათ: „ქრისტეს და მოციქულებს დიალექტიკური ხელოვნება არ გადმოუცია ჩვენთვის, არც ფუჭი სიცბიერე, არამედ შიშველი აზრი, რწმენით და სათნო საქმეებით დაცული.“ როდესაც ეს თქვა, ზოგიერთი იქ დამსწრე აღფრთოვანდა და მიიღო [ეს შეგონება], დიალექტიკოსები კი უფრო კეთილად განეწყვნენ ერთმანეთის მიმართ და დადუმდნენ, ისმენდნენ რა მარტივ სიტყვას. ასე ჩაცხრა მაშინ დიალექტიკისგან ამტყდარი ხმაური. მომდევნო დღეს ყველა ეპისკოპოსი შეიკრიბა ერთ ადგილას. მათთან ერთად იმყოფებოდა იმპერატორიც. როდესაც იგი მივიდა, შუაში დადგა და მანამდე არ ისურვა დაჯდომა, სანამ ეპისკოპოსებმა არ დახარეს თავი იმის ნიშნად, რომ სურდათ დასხდომა. ასეთი კეთილკრძალულობით და პატივისცემით ეპყრობოდა იმპერატორი ამ კაცებს. როდესაც შესაფერის დროს სიმშვიდემ დაისადგურა, იმპერატორმა დაიწყო თავისი სავარძლიდან მათთვის შემაგონებელი სიტყვით მიმართვა, თანხმობისკენ და ერთსულოვნებისკენ მოუწოდებდა, ურჩევდა თითოეულს თავისი წუხილი დაეთმო მოყვასისთვის, რადგან უმრავლესობა ბრალს დებდა ერთმანეთს და წინა დღეს ეწადათ მრავალი საჩივრის გადაცემა იმპერატორისთვის. იგი მოუწოდებდა ყურადღება დაეთმოთ წამოჭრილი საკითხისთვის, რის გამოც იყვნენ შეკრებილი და ბრძანა დაეწვათ საჩივრის წიგნები. მან თქვა მხოლოდ ეს: „ქრისტე ბრძანებს, მიუტევოს ძმას მან, ვინც ესწრაფვის მიტევების მიღებას.“ მაშინ წარმოთ-

ქვა ერთსულოვნებისა და მშვიდობისთვის ვრცელი სიტყვა და კვლავ შეაგონებდა, რომ დოგმატების შესახებ უფრო მონდომებით ემსჯელათ. ამ საკითხის შესახებ კონსტანტინეს ცხოვრებისთვის მიძღვნილ მესამე წიგნში საუბრობს თვითონ ევსები, რისი მოსმენაც კარგი იქნება. მისი სიტყვები არის შემდეგი:

„ორივე მხრიდან მრავალი სიტყვა წარმოითქვა და მრავალი კამათი გაიმართა. იმპერატორი მოთმინებით უსმენდა ყველას, აუჩქარებლად და წადიერად განიხილავდა წინადადებებს. ნაწილობრივ იღებდა თითოეული მხარის მიერ ნათქვამს, სიმშვიდეს ამყარებდა საკამათოდ გაფიცხებულებში, წყნარად მიმართავდა თითოეულ მათგანს. ბერძნულ ენაზე უფრო ტკბილად და სასიამოვნოდ (არც ამის უსწავლელი ყოფილა) ზოგს არწმუნებდა, ზოგს კი შეაცბუნებდა, ზოგს, ვინც კარგად საუბრობდა, აქებდა. ყველას ერთსულოვნებისკენ ეწეოდა, ერთი და იმავე შეხედულების გამზიარებლებად და თანამოაზრეებად ხდიდა მათ ყველა სადავო საკითხის გარშემო, რათა ერთხმად განემტკიცებინათ რწმენა და მხსნელი დღესასწაულის ერთი და იგივე ჟამი ეღიარებინა ყველას. მან დაამტკიცა წერილობით ყველას ხელმოწერით ერთობლივად გამოტანილი განჩინება.“

მათ შესახებ ასეთი ჩანაწერი დაგვიტოვა თავისი სიტყვებით ევსებიმ. ჩვენ კი, არცთუ უდროოდ გამოვიყენებთ მათ, არამედ მოწმობად მოვიხმობთ მის მიერ ნათქვამს და ამ თხზულებაში გადმოვცემთ მას, რათა არ მოვითმინოთ, როცა ზოგიერთები ნიკეაში კრების განჩინებას რწმენასთან დაკავშირებით დაშვებულ ცთომილებაში ადანაშაულებენ, არც ვერწმუნოთ მაკედონიანელ საბინოსს, რომელიც იქ შეკრებილებს მდაბიოებს და გულუბრყვილოებს უწოდებს. საბინოსმა, თრაკიის ქალაქ ჰერაკლეის მაკედონიანელთა ეპისკოპოსმა, შეადგინა კრებული, რომელშიც წერილობით გადმოსცა სხვადასხვა ეპისკოპოსთა კრება, და ნიკეაში შეკრებილებს დასცინა, როგორც ლიტონთ და მდაბიოთ. ვერ გააცნობიერა, რომ თვითონ ევსების სწამებს ცილს, რომელ-

მაც დიდი მოწონებით აღიარა მრწამსი. ზოგიერთს შეგნებულად გვერდი აუარა, ზოგს კი ზურგი აქცია. ყველაფერი თავის მიზანს დაუქვემდებარა. იგი აქებს ევსები პამფილელს, როგორც სანდო მოწმეს, ასევე აქებს იმპერატორს, როგორც ქრისტიანთა სარწმუნოების განჩინების შემძლეს. მაგრამ კიცხავს ნიკეაში გადმოცემულ მრწამსს, როგორც ლიტონი ადამიანების და უსწავლელთა მიერ გადმოცემულს; ევსების ბრძენს და უტყუარ მოწმეს უწოდებს, მის სიტყვებს კი ნებაყოფლობით უგულებელყოფს. რადგან ევსები ამბობს, რომ ნიკეაში ესწრებოდნენ ღვთის მსახურთაგან ვინც გამოირჩეოდა სიბრძნის სიტყვით, ზოგი კი – ცხოვრების სიმტკიცით; და რომ იქ დამსწრე იმპერატორი ყველას ერთსულოვნებისაკენ მოუწოდებდა, ერთ ზრახვასა და აზრზე განამტკიცებდა მათ. საბინოსის შესახებ ვახსენებთ, სადაც საჭირო იქნება. ნიკეაში გამართული დიდი კრების მიერ ხმამაღლა გადმოცემული მრწამსის სიმფონია არის შემდეგი:

„გვწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისმპყრობელი, ყოველივე ხილულის და უხილავის შემოქმედი; და ერთი უფალი იესო ქრისტე, ღვთის ძე, მამისაგან შობილი მხოლოდშობილი, რაც ნიშნავს მამის არსისაგან, ღმერთი ღმერთისაგან, ნათელი ნათლისაგან, ჭეშმარიტი ღმერთი ჭეშმარიტი ღმერთისაგან, შობილი და არა ქმნილი, მამის თანაარსი, რომლის მეშვეობით შეიქმნა ყოველივე, ცაშიც და მიწაზეც, რომელიც ჩვენი, ადამიანებისა და ჩვენი ხსნის გამო ჩამოვიდა, და განხორციელდა და განკაცდა, ევნო და აღსდგა მესამე დღეს, ავიდა ცაში, და არის მომავალი ცოცხალთა და მკვდართა განსასჯელად. და ერთი წმინდა სული.

წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია შეაჩვენებს მათ, რომლებიც ამბობენ: „იყო დრო, როდესაც არ იყო“, და, „შობამდე არ იყო“, და, „რომ არარსებულიდან შეიქმნა“, ან ამბობენ, რომ ღვთის ძე არის „სხვა გვამოვნებისგან“ ან „არსისგან“, ან ღვთის ძე არის ქმნილება, ქცევადი და ცვალებადი“.

ეს მრწამსი აღიარეს და მოიწონეს სამასთვრამეტმა, და, როგორც ევსები ამბობს, ერთხმად და ერთსულოვნად დაწერეს. მხოლოდ ხუთმა არ მიიღო, – გამოეკიდნენ სიტყვა „თანაარსს“. ესენი იყვნენ: ნიკომიდიის ეპისკოპოსი ევსები, თეოგნის ნიკეელი, მარის ქალკედონელი, თეონას მარმარიკელი, სეკუნდოს პტოლემაიდელი. რადგან ამბობდნენ, რომ „თანაარსი“ არის ის, რაც წარმოშობილია რაიმესგან, ან გამოყოფით, ან დინებით, ან გამოშვერით, როგორც ფესვებიდან ამონაყარი. წარდინებით, როგორც მამისეული შვილები, გამოყოფით, როგორც ორი თუ სამი ოქროს მონეტა ნივთიდან. მაგრამ არც ერთი მათგანის მიხედვით არ არის ძე, ამიტომ, როგორც ამბობდნენ, არ დაეთანხმნენ მრწამსს. ბევრი დასცინეს სიტყვა „თანაარსს“ და არ ისურვეს არიოზის განყენებაზე ხელის მოწერა. ამიტომ, კრებამ არიოზი და ყველა მისი თანამოაზრე შეაჩვენა, დასძინეს, რომ არ შესულიყო იგი ალექსანდრიაში; იმპერატორის ბრძანებით კი იგი და ევსების და თეოგნისის მომხრეები გადასახლებაში იქნენ გაგზავნილი. ევსებიმ და თეოგნისმა გადასახლებიდან მცირე ხნის შემდეგ სინანულის წიგნები გამოგზავნეს და დაეთანხმნენ „თანაარსის“ მრწამსს, როგორც ამას შემდგომში გაუწყებთ.

მაშინ კრებაზე პამფილელად ზედწოდების მქონემ ევსებიმ, პალესტინის კესარიის ეპისკოპოსად არჩეულმა, ცოტა ხნით თავი შეიკავა, ყურადღებით განიხილა, იყო თუ არა საჭირო მრწამსის ამ განსაზღვრების შეწყნარება და ასე დაეთანხმა ყველას და მათთან ერთად მოაწერა ხელი; თავისი მმართველობის ქვეშ მყოფ ერს მრწამსის წერილობითი განსაზღვრება გაუგზავნა და განმარტა სიტყვა „თანაარსი“, რათა სრულებით არ ჰქონოდათ რაიმე ეჭვი მის მიმართ, თავი რომ შეიკავა. მისი ნაწერი სიტყვასიტყვით არის შემდეგი:

„საყვარელნო, ნიკეაში გამართულ დიდ კრებაზე საეკლესიო რწმენასთან დაკავშირებით მომხდარი მოვლენები, ალბათ, თქვენც შეიტყვეთ სხვა გზებით, რადგან ხმა საქმეთა შესახებ ჩვეუ-

ლებრივ წინ უსწრებს მათ ზუსტ გადმოცემას. მაგრამ იმისათვის, რომ ასეთი სმენისაგან ჭეშმარიტება სხვაგვარად არ გეუწყოთ, აუცილებლად ჩავთვალე გამომეგზავნა რწმენის შესახებ ჩვენ მიერ გადმოცემული პირველი წერილი, შემდეგ კი მეორე, რომელიც ჩვენ სიტყვებს დაუმატეს და გადმოსცეს. ჩვენ მიერ [გადმოცემული] წერილი, რომელიც ჩვენი ღვთივსათნო იმპერატორის თანდასწრებით იქნა წაკითხული და მართებულად და ჭეშმარიტად წარმოჩნდა, არის შემდეგი სახის.

„როგორც მივიღეთ ჩვენამდე მყოფი ეპისკოპოსებისგან კათაკმეველთა პირველი განსწავლისას, და მაშინ, როცა მივიღეთ განბანვა[8], და როგორც გვისწავლია წმინდა წერილიდან, და როგორც ჩვენი პრესვიტერობისას და ეპისკოპოსობისას ვირწმუნეთ და ვისწავლეთ, ასე გვწამს ახლაც და მოგახსენებთ ჩვენს მრწამსს. ეს არის:

„გვწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისმპყრობელი, ყოველივე ხილულისა და უხილავის შემოქმედი; და ერთი უფალი იესო ქრისტე, ღვთის სიტყვა, ღმერთი ღვთისაგან, ცხოვრება ცხოვრებისაგან, ძე მხოლოდშობილი, პირმშო[9] მთელი ქმნილებიდან, ყველა საუკუნის უწინარეს მამისაგან შობილი, რომლის მეშვეობით შეიქმნა ყოველივე, რომელიც ჩვენი ხსნის გამო განხორციელდა, კაცთა შორის მოქალაქობდა და ევნო, აღსდგა მესამე დღეს და ავიდა მამასთან, და კვლავ მოვა დიდებით ცოცხალთა და მკვდართა განსასჯელად. გვწამს ერთი სულიწმინდა.

„მათგან თითოეულის ყოფნა და არსებობა გვწამს, – რომ მამა ჭეშმარიტად არის მამა, ძე ჭეშმარიტად არის ძე, სულიწმინდა ჭეშმარიტად არის სულიწმინდა, როგორც ჩვენმა უფალმა, როდესაც თავისი მოწაფეები საქადაგებლად წარგზავნა, უთხრა: „წადით, დაიმოწაფეთ ყველა ერი, მონათლეთ ისინი მამის, ძის, და წმინდა სულის სახელით“ (მათ. 28, 19). მათ შესახებ ვამტკიცებთ, რომ ასე გვიპყრია და ასე ვფიქრობთ,და ადრეც ასე გვეპყრა,და ამ მრწამსის გამო სიკვდილამდე ვიდგებით, შევაჩვენებთ ყველა

უღმერთო მწვალებლობას. ამას ვფიქრობთ [მთელი] გულითა და სულით, რაც თავი გვახსოვს და ახლაც ჭეშმარიტებისაგან ვფიქრობთ და ვამბობთ, დავამოწმებთ ყოვლისმპყრობელ ღმერთზე და ჩვენს უფალ იესო ქრისტეზე, ძალგვიძს წარმოვაჩინოთ დასაბუთების მეშვეობითაც და დაგარწმუნოთ თქვენ, რომ წარსულშიც ასე გვწამდა და ვქადაგებდით“.

„როდესაც ჩვენგან ეს მრწამსი გადმოიცა, სადავო არაფერი ყოფილა. არამედ პირველმა თავად იმპერატორმა დაამოწმა, რომ ის შეიცავდა სიმართლეს. აღიარა, რომ თვითონაც ასე ფიქრობდა და არწმუნებდა ყველას, ეს მიეღოთ, ხელი მოეწერათ დოგმატებისათვის და ამას დათანხმებოდნენ; მიეწერათ მხოლოდ ერთი სიტყვა, „თანაარსი“, რაც განმარტა: რომ „თანაარსი“ გულისხმობს არათუ სხეულთა ვნების მიხედვით, არც განყოფის, არც მამისაგან რაიმეს განკვეთის მიხედვით არსებობას, რადგან შეუძლებელია, რომ უნივთო, გონისმიერი და უსხეულო ბუნება სხეულებრივმა რამ ვნებამ შეაარსოს[10]. საღვთო უთქმელი სიტყვებით მართებს ამის შემეცნება. ასე იფილოსოფოსა ჩვენმა უბრძენესმა და ყველაზე კეთილმსახურმა იმპერატორმა. მათ კი „თანაარსის“ დამატების საბაბით შექმნეს ეს წერილი:

მრწამსი

„გვწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისმპყრობელი, ყოველივე ხილულის და უხილავის შემოქმედი; და ერთი უფალი იესო ქრისტე, ღვთის ძე, მამისაგან შობილი მხოლოდშობილი, რაც ნიშნავს მამის არსისაგან, ღმერთი ღმერთისაგან, ნათელი ნათლისაგან, ჭეშმარიტი ღმერთი ჭეშმარიტი ღმერთისაგან, შობილი და არათუ ქმნილი, მამის თანაარსი, რომლის მეშვეობით შეიქმნა ყოველივე ცაშიც და მიწაზეც, რომელიც ჩვენი, ადამიანებისა და ჩვენი ხსნის გამო ჩამოვიდა, განხორციელდა და განკაცდა; ევნო და აღსდგა მესამე დღეს, ავიდა ცაში, და არის მომავალი ცოცხალთა და მკვდართა განსასჯელად. და ერთი წმინდა სული“.

„ღვთის კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია შეაჩვენებს მათ, რომლებიც ამბობენ: „იყო დრო, როდესაც არ იყო“, და, „შობამდე არ იყო“, და, „რომ არარსებულიდან შეიქმნა“, ან ამბობენ, რომ ღვთის ძე არის „სხვა გვამოვნებისგან“ ან „არსისგან“, არის ქმნილება, ქცევადი და ცვალებადი“.

„როდესაც ეს ჩანაწერი იქნა მათ მიერ ნაკარნახევი, ჩვენ გამოუკვლეველი არ დაგვიტოვებია მათ მიერ ნათქვამი „მამის არსისაგან“ და „მამის თანაარსი“. ამიტომ, აღიძრა კითხვები და პასუხები, გამოძიებულ იქნა გამონათქვამთა აზრი. და მათ მიერ ცხადად იქნა აღიარებული, რომ „არსისაგან“ ნიშნავს მამისაგან არსებობას, არა როგორც მამის ნაწილის არსებობას. ჩვენც ჩავთვალეთ, რომ კარგი იქნებოდა მიგვეღო ეს მოსაზრება, როდესაც კეთილმსახური მოძღვრება გვკარნახობს, რომ ძე არის მამისაგან, თუმცა, არა როგორც მისი არსის ნაწილი. ამიტომ, ამ მოსაზრებას თავადაც ვეთანხმებით, არც გამონათქვამს უარვყოფთ, როცა მშვიდობის მიზანი ჩვენ თვალწინ ძევს, და არ უკუვაგდებთ მართალ მოსაზრებას. ამის გამო ვღებულობთ ამ გამონათქვამსაც, „შობილი და არა ქმნილი“, რადგან ამბობენ, „ქმნილი“ არის იმ დანარჩენ ქმნილებათა აღმნიშვნელი სიტყვა, რომლებიც ძის მეშვეობით შეიქმნა და რომლებთანაც არავითარი მსგავსება არა აქვს ძეს. ამიტომ არ არის იგი ქმნილება, მისი მეშვეობით შექმნილთა მსგავსი, არამედ წარმოიშვა ყველა ქმნილებაზე უკეთესი არსისგან. საღვთო სიტყვა[11] გვასწავლის, რომ იგი არის მამისაგან შობილი, [მისი] შობის გვარი კი ყველა ქმნილი ბუნებისათვის გამოუთქმელი და მოუაზრებელია. ასევე გამონათქვამი – „ძე არის მამის თანაარსი“, გამოკვლეულ იქნა და ის აღნიშნავს [თანაარსობას] არც სხეულებრივი გვარის მიხედვით და არც ცოცხალი მოკვდავი [არსებების] მსგავსად. რადგან არათუ არსის გაყოფით ან მოკვეთით არის, არც მამის ძალის რაიმე ვნებით ან ქცეულებით, ან განსხვავებით არის,

რადგან ეს ყოველივე უცხო არის მამის უშობელი ბუნებისათვის. მამის თანაარსობა თვალსაჩინოდ გამოხატავს იმას, რომ ღვთის ძე დაბადებულ ქმნილებათა არავითარ მსგავსებას არ ატარებს [თავის თავში], მხოლოდ მშობელი მამისადმი აქვს ყველანაირი მსგავსება და არის არა სხვა რაიმეს ჰიპოსტასისაგან და არსისაგან, არამედ მამის [არსისაგან]. ჩანდა, რომ კარგი იქნებოდა მიგვეღო ამგვარად განმარტებული [გამონათქვამი]. ამასთან ვიცით, რომ ზოგი ადრინდელი გონიერი და გამოჩენილი ეპისკოპოსი და მწერალი იყენებდა მამისა და ძის ღვთისმეტყველებისათვის სიტყვა „თანაარსს“.

„ეს ითქვა გადმოცემული მრწამსის შესახებ, რომელსაც ყველა დაეთანხმა, არათუ გამოუკვლეველად, არამედ თვით ღვთივსათნო იმპერატორის წინაშე გამოკვლეული მოსაზრებების და [ზემოთ] გამოთქმული შეხედულებების მიხედვით. ასევე მისაღებად მივიჩნიეთ მათ მიერ მრწამსის შემდეგ დართული ანათემატიზმა, წმინდა წერილში არარსებული სიტყვების გამოყენების გამო, რომელთა მეშვეობით თითქმის მთელს ეკლესიაში შეიქნა არეულობა და შფოთი; მაშინ, როცა ღვთივშთაგონებული წერილი არ იყენებს გამონათქვამებს: „არარსებულიდან“, „იყო დრო, როდესაც არ იყო“, და ა. შ. და არცთუ კეთილგონივრული ჩანს ამის თქმა და სწავლება. ესეც მართებულად მივიჩნიეთ და დავეთანხმეთ, მაშინ, როცა წინათ ჩვენ არ გვჩვეოდა ამ გამონათქვამების გამოყენება. ამასთან უჯეროდ არ ჩავთვალეთ, შეგვეჩვენებინა გამონათქვამი, – „შობამდე არ იყო“, და გვეღიარებინა, რომ ღვთის ძე ხორციელ შობამდეც იყო. შემდეგ ჩვენმა ღვთივსათნო იმპერატორმა ამ მოსაზრებითაც განამტკიცა, რომ მისი საღვთო შობის მიხედვით იგი საუკუნეთა უწინარეს მყოფობდა; და მოქმედებით შობის უწინარეს შესაძლებლობაში მყოფობდა უშობელად მამაში, როდესაც მამა მარად მამა იყო, როგორც მარად მეუფე და მხსნელი, და შესაძლებლობაში ყოველივედ მყოფი, და მარად იგივე და იგივურად მოქმედი.

აუცილებლად მივიჩნიეთ, რომ თქვენთვის გამოგვეგზავნა ეს ჩვენ მიერ მიღებული კვლევისა და თანხმობის ცხადი გადაწყვეტილება, საყვარელნო, და ისიც, თუ როგორ კეთილგონივრულად ვიდექით უკანასკნელ წუთამდე, როდესაც სხვაგვარად დაწერილი [გამონათქვამებით] შეურაცხგვყოფდნენ; ხოლო შემდეგ კამათის გარეშე მივიღეთ ის, რაც წყენას არ იწვევდა, როდესაც გონივრულად გამოიკვლიეს სიტყვებში ნაგულისხმევი აზრი, და ჩავთვალეთ, რომ აშკარად ესადაგებოდა თვით ჩვენ მიერ წინათ გადმოცემულ მრწამსში აღსარებულს“.

ასეთი წერილი გაგზავნა პალესტინის კესარიაში ევსებიმ. კრებამაც ერთობლივი განჩინებით მიწერა ალექსანდრიელთა ეკლესიას, აგრეთვე ეკლესიებს ეგვიპტეში, ლიბიასა და პენტაპოლში შემდეგი:

IX თავი
კრების ეპისტოლე იმ საკითხების შესახებ, რომლებიც განაჩინა კრებამ. ასევე თუ როგორ იქნა განყენებული არიოზი და მისი თანამოაზრენი

„ღვთის წმინდა მადლით, ალექსანდრიელთა დიდ ეკლესიას, ასევე საყვარელ ძმებს ეგვიპტეში, ლიბიასა და პენტაპოლში, ნიკეში შეკრებილნი და დიდ და წმინდა კრებაზე შეყრილი ეპისკოპოსები, მოგიკითხავთ უფალში.

ვინაიდან ღვთის მადლმა და უღვთივსათნოესმა იმპერატორმა კონსტანტინემ შეგვკრიბა სხვადასხვა ქალაქებიდან და ეპარქიებიდან, ნიკეაში შედგა დიდი და წმინდა კრება; და ყველამ აუცილებლად ჩავთვალეთ, წმინდა კრების სახელით თქვენთვის გამოგვეგზავნა წერილები, რათა იცოდეთ, რა საკითხები

იქნა წამოჭრილი და გამოძიებული, რა განჩინებები იქნა მიღებული და დამტკიცებული. პირველად ყველამ გამოიკვლია არიოზის და მასთან მყოფთა ურჯულოება უღვთივსათნოესი იმპერატორ კონსტანტინეს თანდასწრებით. ყველამ ერთხმად განაჩინა მისი უღმერთო შეხედულების, მკრეხელური გამონათქვამების და სახელების შეჩვენება, რომლებსაც იყენებდნენ მგმობელნი, როცა ამბობდნენ, რომ ღვთის ძე არარსიდან არის, და იყო ოდესღაც [ჟამი], როდესაც არ იყო, და ამბობდნენ, რომ ღვთის ძე თვითუფლებრივად მიმღებია ბოროტებისაც და სათნოებისაც; და მას ქმნილებად და დაბადებულად სახელდებენ. ყოველივე ამას შეაჩვენებს წმინდა სინოდი, და ვერც ითმენს, რომ ისმინოს ეს უღმერთო შეხედულებები, ან ამ მკრეხელური გამონათქვამების სიშლეგე. განჩინებები, რომლებიც მის წინაადმდეგ იქნა საბოლოოდ გამოტანილი, სრულად ან უკვე გაქვთ მოსმენილი ან მოისმენთ; რადგან არ ვფიქრობთ, რომ გავთელოთ კაცი, რომელმაც მიიღო მისი ცოდვის ღირსეული საზღაური. მაგრამ მისი უღმერთობა ესოდენ გაძლიერდა, რომ იმსხვერპლა თეონა მარმარიკიელი და სეკუნდუს პტოლემაიდელი. რადგან მათაც იგივე განაჩენი მიიღეს. ღვთის მადლმა გაგვათავისუფლა ამ ბოროტი სარწმუნოების, უღმერთობის, მკრეხელობის და თავხედ პიროვნებათა მიერ დაშორებისა და განყოფის ჩამოგდებისაგან ზემოდან მონიჭებული მშვიდობით მცხოვრებ ერში. მაგრამ დარჩა მელეტის და მის მიერ ხელდასხმულთა დაუდგრომლობით გამოწვეული საქმე. ვიტყვით ამ საქმის ნაწილის შესახებაც. საყვარელო ძმებო, გაცნობებთ იმას, რაც გადაწყვიტა კრებამ. კაცთმოყვარულად განეწყო რა კრება (რადგან მკაცრი მიდგომით არანაირი მიტევების ღირსი არ იყო), განაჩინა, რომ მელეტი დარჩენილიყო თავის ქალაქში და არც ხელდასხმის, არც წინდაწინ გამორჩევის და ამ საბაბით არც სოფელში, არც სხვა ქალაქში გამოჩენის არავითარი ძალაუფლება არ ჰქონოდა; დარჩენოდა მხოლოდ პატივის სახელი. მის მიერ დადგინებულნი კი

უფრო საიდუმლო ხელდასხმით უნდა დამტკიცებულიყვნენ[12] და თანაზიარებაში შესულიყვნენ მათთან, რომლებსაც ჰქონდათ იგივე პატივი და მსახურება, მაგრამ მეორე ადგილზე ყოფილიყვნენ ყველა მწყობრში თითოეულ ეპარქიასა და ეკლესიაში, რომლებიც ჩვენი უპატივცემულესი თანამსახურ ალექსანდრეს მიერ იქნა გამორჩეული; ისე რომ მათ არ ჰქონდეთ არავითარი ძალაუფლება, არც მათთვის სასურველი პირების გამორჩევის, სახელების შეცვლის, ან საერთოდ რაიმეს გაკეთებისა კათოლიკე ეკლესიის იმ ეპისკოპოსის ნების გარეშე, რომელიც იმყოფება ალექსანდრეს დაქვემდებარებაში. ისინი, რომლებიც ღვთის მადლით და თქვენი ლოცვებით არავითარ განხეთქილებაში არ აღმოჩენილან, არამედ შეუბღალავად იმყოფებიან კათოლიკე ეკლესიაში, აქვთ უფლება გამოარჩიონ და სახელები დაარქვან კლიროსში აყვანის ღირს პირებს, სრულებით ყოველივეს აღსრულების საეკლესიო რჯულის და კანონის თანახმად. მაგრამ თუ მოხდება ისე, რომ რომელიმე ეკლესიაში მყოფი სასულიერო პირი, რომელიც ესოდენ პატივში იქნა აყვანილი, აღესრულება, ალექსანდრიის ეპისკოპოსმა დაამტკიცოს და დაბეჭდოს ის, ვინც ახლახანს იქნა მიღებული იმავე პატივში, ოდენ თუ ღირსი აღმოჩნდება და ერიც აირჩევს[13]. ეს ნებადართული იყოს ყველა სხვისთვისაც. მაგრამ მელიტიოსის პიროვნების შესახებ იგივე განჩინება თავიდანვე არ იქნა გამოტანილი მისი უწესო საქციელების გამო, ასევე მისი გონების სიმსუბუქის და დაუდეგრობის გამო, რათა მას არავითარი ხელმწიფება და ძალაუფლება არ ჰქონოდა და შეძლებოდა კვლავ იმავე არეულობის შემოტანა. ეს წესი არის განსაკუთრებული და გამორჩეული ეგვიპტისთვის და ალექსანდრიელთა წმინდა ეკლესიისთვის. თუ სხვა რამ იქნა დაკანონებული და განჩინებული უპატივცემულესი უფლის, ჩვენი თანამსახურის და ჩვენი ძმის, ალექსანდრეს თანდასწრებით, თავად იგი შეგატყობინებთ უფრო ზედმიწევნით, რომელიც არის ავტორი და მონაწილე იმისა, რაც ხდე-

ბა. გახარებთ უწმინდესი პასექის თანხმობის შესახებ, რომ თქვენი ლოცვებით ეს ნაწილიც გამოსწორდა, ისე რომ ყველა აღმოსავლელი ძმა, რომელიც წინათ იუდეველებთან ერთად აღნიშნავდა დღესასწაულს, ამიერიდან რომაელებთან და ჩვენთან, და ასევე ძველთაგანვე ჩვენთან ერთად პასექის აღნიშვნის წესის დამცველებთან თანხმობაში იზეიმებენ მას. გაიხარეთ იმით, რომ ვითარება გამოსწორდა, მშვიდობის თანხმობა დამყარდა და ამოიძირკვა ყველა მწვალებლობა, და დიდი სიყვარულით მიიღეთ ჩვენი თანამსახური, თქვენი ეპისკოპოსი ალექსანდრე, რომელმაც გაგვახარა თავისი დასწრებით და ასეთ ასაკში ესოდენი ღვაწლი იტვირთა თქვენთან მშვიდობის დასამყარებლად. ყველა ჩვენგანის გამო ილოცეთ, რათა კეთილად გამოტანილი განჩინებები მტკიცედ ეგოს ყოვლისმპყრობელი ღვთის და ჩვენი უფალი იესო ქრისტეს მეშვეობით წმინდა სულთან ერთად, რომელსაც დიდება საუკუნოდ.“

კრების ამ ეპისტოლეში ნათლად არის დადგენილი, რომ არა მხოლოდ არიოზი და მისი თანამოაზრენი არიან ანათემაზე გადაცემული, არამედ მისი შეხედულების გამომხატველი გამონათქვამებიც; ასევე ისიც, რომ პასექის შესახებ ერთ აზრზე იყვნენ, მიიღეს ერესიარქი მელეტი, ნება დართეს ეპისკოპოსის ღირსება ჰქონოდა მას, მაგრამ, როგორც ეპისკოპოსს ჩამოართვეს რაიმეს კეთების უფლება. ვფიქრობ, ამ მიზეზით დღემდე არიან ეგვიპტეში ეკლესიისგან განშორებული მელეტიანელები, რადგან კრებამ მელეტიოსს ჩამოართვა უფლებამოსილება. უნდა ვიცოდეთ, რომ არიოზმა დაწერა წიგნი მისი შეხედულების შესახებ, რომელიც დაასათაურა „თალიად“. ეს წიგნი არის მზვაობარი და მოურიდებელი, სოტადიოსის სიმღერებს წააგავს საზომით. ეს ნაშრომიც განკვეთა ეკლესიამ. არა მხოლოდ კრებამ იზრუნა დაეწერა დამყარებული მშვიდობის შესახებ, არამედ იმპერატორმა კონსტანტინემაც საკუთარი წერილების მეშვეობით ალექსანდრიელთა ეკლესიას მიწერა შემდეგი:

იმპერატორის ეპისტოლე

„კონსტანტინე ავგუსტუსი, ალექსანდრიელთა კათოლიკე ეკლესიას. მოგიკითხავთ, საყვარელო ძმებო. საღვთო წინაგანგებით სრული მადლი მივიღეთ, რათა განქარვებულიყო მთელი საცდური და ერთი და შეგვეცნო იგივე მრწამსი. მეტად აღარ ეძლევა ნება ეშმაკს ჩვენ წინააღმდეგ სამოქმედოდ: თუ რამ ბოროტი სივერაგის ჩადენას ცდილობდა, ყოველივე საძირკვლიდან აღიხოცა. უთანხმოების განხეთქილებები, ეს შფოთი და სადავო საქმეები, ასე ვთქვათ, სასიკვდილო სამსალა, ჭეშმარიტების ბრწყინვალებამ დაძლია ღვთის ბრძანებით. ამრიგად, ყველა თაყვანს ვცემთ ერთს სახელითაც და რწმენითაც, რომ იგი არის ერთი. ეს, რომ ასე აღსრულებულიყო, ღვთის მინიშნებით ნიკეელთა ქალაქში მოვიწვიე უამრავი ეპისკოპოსი, რომლებთან ერთად მეც, ერთი თქვენგანი, თქვენი თანამსახური ზეაღმატებულად ვხარობ და თავად ჩემს თავზეც ვიღებ ჭეშმარიტების კვლევას. ყველაფერი გამოაშკარავებული და ზედმიწევნით გამოკვლეული იქნა, რაც კი, ვფიქრობ, კამათის გამო და უთანხმოების საბაბით წარმოიშვა. საღვთო დიდებულებამ დაგვინდო, როცა ესოდენ საშინელი სიტყვებით დიდი მხსნელის, ჩვენი სასოებისა და ცხოვრების შესახებ უჯეროდ მკრეხელობდნენ ზოგიერთები, ღვთივშთაგონებული წერილის და წმინდა რწმენის საპირისპიროს ამბობდნენ და აღიარებდნენ, რომ ასე სწამდათ. სამასზე მეტმა ეპისკოპოსმა, თავშეკავებითა და გონიერებით აღფრთოვანებას რომ იწვევდნენ, დაამტკიცა ერთი და იგივე მრწამსი, რომელიც არის კიდევაც ღვთის რჯულის ჭეშმარიტი და ზედმიწევნითი გამონათქვამებით შედგენილი მრწამსი. მხოლოდ არიოზი იქნა მხილებული ეშმაკის მოქმედებით ძლეულად, რომელმაც ეს ბოროტება პირველად თქვენთან შემდეგ კი სხვებთანაც მიმოაბნია თავისი უღმერთო ზრახვით. ასე რომ, დაე, მივიღოთ, რა აზრიც მოგვანიჭა ყოვლისმპყრობელმა ღმერთმა;

დავუბრუნდეთ ჩვენს საყვარელ ძმებს, რომლებსაც განგვაშორა ეშმაკის ურცხვმა მსახურმა. მთელი მოშურნეობით შევადგინოთ საერთო სხეული და ჩვენი ნამდვილი ასო. რადგან ეს შეეფერება გონიერებას და რწმენას და თქვენს სიწმინდეს, რათა ამ გამოაშკარავებული საცდურისგან, რომელიც ჭეშმარიტების მტერია, დავუბრუნდეთ საღვთო მადლს. ის, რაც სამასმა ეპისკოპოსმა ირჩია, სხვა არაფერია, თუ არა ღვთის აზრი, განსაკუთრებით მაშინ, როცა წმინდა სულმა განამტკიცა ასეთ და ესოდენ კაცთა აზრები და განანათლა საღვთო ნებასთან დაკავშირებით. ამიტომ ნუ იქნება დავა, ნურც დაახანებთ და ყველა გულმოდგინედ დაუბრუნდით უჭეშმარიტეს გზას, რათა, როცა თქვენთან მოვალ, სავალდებულო მადლიერება აღვავლინო თქვენთან ერთად ყოვლისმხედველი ღვთის მიმართ, რადგან უბიწო მრწამსი წარმოაჩინა და დაგიბრუნათ საწადელი სიყვარული. ღმერთმა დაგიცვათ, საყვარელო ძმებო.“

ასეთი წერილი მისწერა იმპერატორმა ალექსანდრიის მოსახლეობას, აცნობა, რომ არათუ მარტივად, არცთუ შემთხვევით შეიქმნა მრწამსის განსაზღვრება, არამედ ბევრი ერთობლივი გამოძიების და გამოცდის შემდეგ უკარნახეს იგი; და არათუ იმისათვის, რომ რაიმე გამოაშკარავებული ყოფილიყო და რაიმე – დადუმებული, არამედ იმისათვის, რომ ყველაფერი ამოძრავებულიყო, რაოდენი რამის თქმაც შეეფერებოდა დოგმატის შემტკიცებას; ისიც, რომ არათუ მარტივად იქნა განჩინებული, არამედ წინდაწინ ზედმიწევნით იქნა გამოკვლეული, რათა ყველაფერი, რაც კი დავის ან უთანხმოების წარმოშობის საბაბად მიიჩნეოდა, ესენი მოეშორებინათ. ყველა იქ შეკრებილთა ნებას უწოდებს ღვთის მთავარ ნებას და ეჭვი არ ეპარება, რომ ასეთი და ესოდენი ეპისკოპოსის ერთსულოვნების დამყარება მოხდა სულიწმინდით. მაკედონიოსის მწვალებლობის წინამდგომელს, საბინოსი განზრახ არად აგდებს მათ, არამედ ამბობს, რომ იქ შეკრე-

ბილები იყვნენ მდაბიო, უმეცარი ადამიანები. ამით იმის საფრთხეში ვარდება, რომ თვით ევსები კესარიელსაც უმეცრებაში დასწამოს ცილი და აზრად არ მოსდის, რომ თუნდაც უსწავლელნი ყოფილიყვნენ კრების მონაწილენი, მაგრამ ღვთის მიერ და სულიწმინდის მადლით იქნენ გაბრწყინებული; ამიტომ არანაირად არ ძალუძდათ, შეცდომა დაეშვათ ჭეშმარიტებაში. ისმინონ, თუ რა კანონი გამოსცა იმპერატორმა სხვა ეპისტოლეს მეშვეობით არიოზის და მისი თანამოაზრეების წინააღმდეგ, და ყველგან დაუგზავნა ეპისკოპოსებს და ხალხს.

კონსტანტინეს სხვა ეპისტოლე

„მძლე კონსტანტინე, მაქსიმუსი, ავგუსტუსი, ეპისკოპოსებს და ხალხს.

უკეთურთა და უღმერთოთა მიმბაძველი არიოზი სამართლიანად იმსახურებს მათი მსგავსი უპატიობის დათმენას. როგორც აწ ღვთისმოსავობის მტერ პორფირის, რომელმაც შეადგინა ურჯულო თხზულებები სარწმუნოების წინააღმდეგ, მიეგო ღირსეული საზღაური, ისეთი, რომ შემდგომში სამარცხვინო გახდა, და აღივსო მისი უამრავი ყვედრებით, მისი უღმერთო თხზულებები კი გაუჩინარდა; ახლაც ჩანს, რომ არიოზს და არიოზის თანამოაზრეთ ეწოდებათ პორფირიანელები, რათა მისი საქციელის მიმბაძველებს მათი ზედწოდება ჰქონდეთ. გარდა ამისა, თუ რამ არიოზის მიერ შედგენილი ნაწერი იქნება ნაპოვნი, ცეცხლს მიეცეს, რათა არა მხოლოდ მისი მოძღვრების მანკიერება გაქრეს, არამედ საერთოდ არ დარჩეს მისი ხსენება. ამას ვაცხადებ, რომ თუ ვინმეს წაასწრებენ, რომ მალავს არიოზის მიერ შედგენილ ნაწერებს და მყისვე არ მისცემს ცეცხლს გასანადგურებლად, მისი სასჯელი იქნება სიკვდილი; რადგან ამ საქციელისთვის შეპყრობილი დაუყოვნებლივ დაისჯება თავის მოკვეთით. ღმერთმა დაგიფაროთ თქვენ!“

სხვა ეპისტოლე

„კონსტანტინე, ავგუსტუსი, ეკლესიებს.

განვიხილე რა რესპუბლიკის კეთილდღეობა, როგორც საღვთო ძალის მადლით აღმოცენებული, უპირველეს ყოვლისა განვსაჯე, რომ ამ მიზანს შევხებოდი, რათა კათოლიკე ეკლესიის უნეტარეს [წევრთა] ერთსულოვნებაში მყოფ სიმრავლეში დაცული იყოს ერთი სარწმუნოება, შეუბღალავი სიყვარული და კეთილმსახურება ყოვლისმპყრობელი ღმერთის მიმართ. მაგრამ ამ შეურყეველი და მტკიცე წესის მიღება სხვაგვარად ვერ აღსრულდა, თუ არა იმით, რომ ამისთვის ყველა, ან ეპისკოპოსთა უმრავლესობა მაინც შემოკრებილიყო და განხილულიყო უწმინდესი ღვთისმსახურების თითოეული საკითხი. ამიტომ ესოდენ მრავალი [ეპისკოპოსი] იქნა შეკრებილი, და თავად მეც, როგორც ერთი თქვენგანი, მათთან ერთად ვესწრებოდი. რადგან არ უარვყოფ, განსაკუთრებით მიხარია, რომ თქვენი თანამსახური გავხდი. ყველაფერი სათანადოდ იქნა გამოკვლეული, ვიდრე ყოვლიერების ზედამხედველი ღვთისათვის სათნო აზრი ერთიანობისა და თანხმობისათვის სინათლეზე არ იქნა გამოტანილი, ისე რომ მეტი აღარაფერი დარჩა აზრთა გაყოფისა და რწმენასთან დაკავშირებული დავისათვის.

აქ უწმინდესი პასექის დღის შესახებაც იყო გამოკვლევა. საერთო აზრმა გადაწყვიტა, რომ კარგი იქნებოდა, ყველგან ყველას ერთ დღეს აღესრულებინა. რადგან ჩვენთვის რა არის მშვენიერი, რა შეიძლება იყოს უფრო მნიშვნელოვანი, თუ არა ის, რომ ეს დღესასწაული, რომლისგანაც მივიღეთ უკვდავების სასოება, ერთი წესითა და ნათელი აზრით ყველასთან უშეცდომოდ იყოს დაცული?! და პირველ რიგში უღირსად მიიჩნიეს, რომ ეს უწმინდესი დღესასწაული იუდაური ჩვეულების მიდევნებით აღსრულებულიყო, რომლებმაც ხელები გაისვარეს ურჯულო, უწესო საქციელით, ამ უწმინდურებმა თავიანთი სულე-

ბი ნებაყოფლობით დააბრმავეს. ნებადართულია, რომ ამოიძირკვოს მათი ჩვეულებები, და დადგინდეს უფრო ჭეშმარიტი წესის მიდევნებით აღსრულება მომავალი საუკუნეებისათვისაც, რასაც [უფლის] ვნების დღეთა ჟამიდან მოყოლებული, ახლანდელ დრომდე, ვიცავთ. აწ არაფერი არ გვქონდეს საერთო იუდეველთა ყველაზე მტრულ ერთან. რამეთუ მხსნელისაგან სხვა გზა გვაქვს მიღებული. წინ უდევს ჩვენს უსამღვდელოეს მსახურებას შესაფერისი სარბიელიცა და რჯულიც. ყველაზე პატივცემულო ძმანო, ამის ერთსულოვნად მიმდებებმა საკუთარი თავი განვაშოროთ ამ სამარცხვინო სინდისისაგან. რადგან ნამდვილად ყველაზე უფრო უჯერო არის, რომ ისინი იქადოდნენ, თითქოს არ ძალგვიძს ამის დაცვა მათი მოძღვრების გარეშე. რისი მართებულად ფიქრი შეუძლიათ უფლის ამ მკვლელობის შემდეგ გონებაცდომილთ, რომლებიც წარიმართებიან არათუ რაიმე აზრით, არამედ დაუცხრომელი აღძვრით, სადაც კი მიაქანებს მათ მათში ჩანერგილი სიშლეგე?! ამიტომ, ნაწილობრივადაც ვერ ხედავენ ჭეშმარიტებას, ისე რომ მუდამ დიდწილად შემცდარი არიან ისინი, სათანადო გამოსწორების ნაცვლად ერთსა და იმავე წელს მრავალგზის ზეიმობენ პასექს. ასე რომ, რატომ უნდა მივსდიოთ მათ, რომლებიც აღიარებულია, რომ დასნეულებული არიან საშინელი საცდურით?! რადგან ერთ წელიწადში მეორე პასექის აღსრულების ნებას ვერასოდეს დავრთავთ. მაგრამ თუ ეს არ ხდება, თქვენი გონებამახვილობა განუწყვეტელი მოშურნეობითა და ლოცვით ფრთხილად უნდა იყოს,რომ თქვენი სულის სიწმინდე არასოდეს არანაირი მსგავსებით არ ეზიაროს ყოვლად ბოროტი ადამიანებისას.

ამას გარდა, იმისათვისაც არის ეს ერთობლივი განხილვა, რომ უკანონო არის ესოდენ მნიშვნელოვან საკითხში და ასეთი მსახურების დღესასწაულში არსებობდეს უთანხმოება. რამეთუ ჩვენმა მხსნელმა გადმოგვცა ჩვენი თავისუფლების ერთი დღე, რაც არის მისი უწმინდესი ვნებების [დღე]. განზრახულია, რომ

იყოს მისი ერთი კათოლიკე ეკლესია და თუმცა მისი ცალკეული ნაწილები მრავალ და სხვადასხვა ადგილებზე არის დანაწილებული, მაინც ერთი სულით, ესე იგი საღვთო ნებით, განხურდება. გაიაზროს თქვენმა უწმინდესმა მახვილგონიერებამ, როგორი საშინელი და შეუფერებელი არის, რომ ამ დღეებში სხვები მარხვებს მისდევდნენ, სხვები ნადიმებს აღასრულებდნენ ერთად და პასექის დღეების შემდეგ ზოგი დღესასწაულებსა და დასვენებებზე აღმოჩნდეს, ხოლო ზოგი განჩინებულ მარხვებს უძღვნიდეს თავს. ამიტომ [ამის] სათანადოდ გამოსწორება და ერთ წესზე მოყვანა ინება საღვთო წინაგანგებამ, როგორც მე ვფიქრობ და ყველაფერს განიხილავთ ერთიანად. ვინაიდან ამ საქმეს შეშვენის ამგვარად გამოსწორება, რათა ამ მამისა და უფლის მკვლელებთან არაფერი გვქონდეს საერთო, კეთილმშვენიერი წესი არის დაცული მსოფლიოს დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხარეების ეკლესიებისა და აღმოსავლეთის ადგილებიდან ზოგიერთების მიერ, რომელთა გამოც დღემდე ყველას ესათნოვა მისი კეთილად პყრობა, და თავად მეც მხარი დავუჭირე, რომ მოწონებოდა თქვენს მახვილგონიერებას. რადგან იმას, რასაც რომაელთა ქალაქი, იტალია და მთელი აფრიკა, ეგვიპტე, ესპანეთი, გალია, ბრიტანეთი, ლიბია, მთელი საბერძნეთი, ასიისა და პონტოს მოსახლეობა და კილიკია ერთმანეთთან თანხმობითა და ერთი ზრახვით იცავს, თქვენი შეგნებაც სიხარულით მიიღებს არა მხოლოდ ეკლესიათა ზემოთ ჩამოთვლილ ადგილთა სიმრავლეზე ფიქრით, არამედ იმაზეც, რომ ეს არის ყველას საერთო უწმინდესი ზრახვა, რასაც, ჩანს, მოითხოვს ზუსტი აზრი და რასაც არავითარი ზიარება არ გააჩნია იუდეველთა ცრუ ფიცთან.

შეჯამებულად რომ მოვუყარო თავი, ვიტყვი, რომ ყველამ ერთობლივად განსაჯა, პასექის უწმინდესი დღესასწაული აღსრულდეს ერთსა და იმავე დღეს. რადგან არ შეშვენის, რომ ასეთ სიწმინდესთან დაკავშირებით იყოს უთანხმოება და რომ

კარგია ამ აზრის მიდევნება, რომელშიც უცხო საცდურთან და ცოდვასთან არავითარი აღრევა არ არის. როდესაც ამგვარად არის მოწესრიგებული ეს საკითხები, აწ სიხარულით მიიღეთ ციური მადლი და ჭეშმარიტად საღვთო მცნება. რადგან ყველაფერი, რაც აღსრულდება ეპისკოპოსთა წმინდა შეკრებებზე, ეს საღვთო ნებასთან მიმართებაში იმყოფება. ამიტომ, როდესაც ყველა საყვარელ ძმას განუცხადებთ ზემოთ დაწერილს, მოვალე ხართ, მიიღოთ ზემოთ ნათქვამი სიტყვა და დააწესოთ უწმინდესი დღის დაცვა, რათა შემდეგ ამისრულდეს თქვენი კეთილგანწყობის ხილვის ჩემი დიდი ხნის წადილი და შესაძლებელი იყოს ერთსა და იმავე დღეს თქვენთან ერთად წმინდა დღესასწაულის აღსრულება; ყველა თქვენგანთან ერთად მეც სათნო მიჩნდეს, როდესაც ვიხილავ, თუ როგორ გაანადგურა საღვთო ძალამ ჩვენი საქმეების მეშვეობით ეშმაკის სისასტიკე; როდესაც ყველგან იქნება აღზევებული ჩვენი სარწმუნოება, მშვიდობა და ერთსულოვნება. ღმერთმა დაგიცვათ, საყვარელო ძმებო“.

სხვა ეპისტოლე ევსების მიმართ

„ძმლე კონსტანტინე, მაქსიმუსი, ავგუსტუსი, ევსების.

უსაყვარლესო ძმაო, ამ დრომდე იდევნებოდა უწმინდური ზრახვისა და ტირანიისაგან მხსნელი ღვთის მსახურნი, სანამ არ ვიწამე და ზედმიწევნით არ დავარწმუნე საკუთარი თავი. მანამდე კი ყველა ეკლესიის საქმე ან უზრუნველობისგან იყო შერყვნილი, ან მოსალოდნელი ზომების შიშით ნაკლებად ღირსეულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. აწ, როდესაც თავისუფლება მიენიჭა და ეს მდევნელი დრაკონი, ლიკინიუსი ღვთის უდიდესი წინაგანგებით და ჩვენი მსახურებით განიდევნა სახელმწიფოს მმართველობისგან, ვფიქრობ, ყველასათვის ცხადი გახდა საღვთო ძალა და შიშით, ან ურწმუნოებით, ან რაიმე ცოდვებით მოცუ-

ლებმა შეიცნეს რა ჭეშმარიტად არსებული ღმერთი, დადგებიან ჭეშმარიტ და მართებული ცხოვრების გზაზე. ასე რომ, რამდენ ეკლესიასაც შენ თავად წინამდგომელობ, ან სხვა ადგილობრივ წინამდგომელ ეპისკოპოსებს, ხუცესებს და დიაკვნებს იცნობ, შეახსენე, გამოიჩინონ მოშურნეობა ეკლესიათა საქმეებისადმი, ან გამოასწორონ არსებული, ან უფრო განავრცონ, ან, სადაც ამას საჭიროება მოითხოვს, ახალი გააკეთონ. ითხოვე შენც და შენი მეშვეობით დანარჩენებმაც გამგებლებისგან და პრეფექტურის მოხელეებისგან, რაც საჭირო იქნება, რადგან მათ მივწერე, მთელი წადიერებით ემსახურონ შენი სიწმინდის მიერ ნათქვამს. ღმერთმა დაგიცვას შენ, საყვარელო ძმაო.“

ეს მიწერა თითოეული ეპარქიის ეპისკოპოსებს ეკლესიათა აგების შესახებ. ხოლო თუ რა მიწერა ევსები პალესტინელს წმინდა წიგნების დამზადების თაობაზე, ამის გაცნობა მოსახერხებელია თვით მისი წერილებიდან.

„მძლე კონსტანტინე, მაქსიმუსი, ავგუსტუსი, ევსები კესარიელს.

თქვენს სახელოვან ქალაქში[14] ღვთისა და მხსნელის შემწე წინაგანგებით ადამიანთა უდიდესმა სიმრავლემ თავი მიუძღვნა უწმინდეს ეკლესიას. როდესაც აქ ყველაფერი ასე დიდი წარმატებით ვითარდება, მეტად ღირსეულად გვიჩნს მასში უფრო მეტი ეკლესიის აგება. ამიტომ, დიდი გულმოდგინებით მიიღე ეს ჩვენთვის სათნო მოსაზრება. რამეთუ მართებულად მივიჩნიე, შენი გონიერებისათვის გამეცხადებინა, რომ გიბრძანებ, ორმოცდაათი ტომი დამუშავებულ პერგამენტებად შემზადებული, საკითხავად და გამოსაყენებლად მოსახერხებელი, ხელოვანი კალიგრაფებისა და ხელობის ზედმიწევნით მცოდნეთა მიერ იქნეს დაწერილი; ცხადია, საღვთო წერილი, რომლითაც მომარაგება და რომლის გამოყენებაც უწყი, თუ რაოდენ განსაკუთრებით

აუცილებელია საეკლესიო კრებულისათვის. ჩვენი მოწყალების მიერ გაგზავნილია წერილები დიოცეზის კათოლიკოსის[15] მიმართ, რათა იზრუნოს ყველაფრის მოცემაზე, რაც საჭიროა მათი დამზადებისათვის. რადგან შენი მზრუნველობის საქმე იქნება, რომ დამზადებულ იქნას სასწრაფოდ დაწერილი ტომები. ჩვენი ამ წერილის ძალაუფლებით შენ უნდა მიიღო იმის უფლება, რომ ის ორი სახელმწიფო ეტლით მოიტანო და ასე იოლად იქნას მოტანილი ჩვენს მზერამდე განსაკუთრებით მშვენივრად დაწერილი. ცხადია, ამას შენი ეკლესიის დიაკონთაგან ერთ-ერთი აღასრულებს, რომელიც მას შემდეგ, რაც ჩვენთან მოვა, გამოცდის ჩვენს კაცთმოყვარეობას. ღმერთმა დაგიცვას, საყვარელო ძმაო“.

ესეც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, უფრო კი იმის ნათლად საჩვენებლად, თუ როგორ ყველას ასწავლა ყოვლად სახელოვანმა იმპერატორმა ღვთის მიმართ მოშურნეობა. თუმცა, ზემოთ ნათქვამს დავურთავ მხსნელის საფლავთან დაკავშირებით მის მიერ წამოწყებულ საქმეებსაც. რადგან, როდესაც შეიტყო, თუ როგორ მიწით ამოავსეს მეუფის საფლავი შლეგებმა და კერპთა მსახურმა ბაკხებმა, რათა ჯიბრით დავიწყებისათვის მიეცათ გამოხსნის ძეგლი; და თუ როგორ დააშენეს მასზე გარყვნილი დემონის ტაძარი და დასცინოდნენ ქალწულებრივ მშობიარობას; ბრძანა, დაენგრიათ ეს საძაგელი შენობა და გაეტანათ ამ ბილწი მსხვერპლებით შებღალული მიწა, ქალაქიდან შორს გადაეყარათ. შემდეგ კი ბრძანა უდიდესი და უმშვენიერესი ტაძრის აგება. ამას უფრო ნათლად ცხადყოფს ეპისტოლე, რომელიც გაუგზავნა ამ ეკლესიის თავმჯდომარეს. იგი იყო მაკარი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, რომელიც მონაწილეობდა დიდ კრებაში და სხვებთან ერთად ებრძოდა არიოზის მკრეხელობას. ეს კი არის [შემდეგი].

მისივე ეპისტოლე მაკარის მიმართ

„მძლე კონსტანტინე, უზენაესი, ავგუსტუსი, იერუსალიმელთა ეპისკოპოსს მაკარის

ესოდენი არის ჩვენი მხსნელის მადლი, რომ ვფიქრობ, ვერავითარი სიტყვა ვერ იქნება აქ წარმოდგენილი საკვირველების ღირსი. რამეთუ ჭეშმარიტად ყოველგვარ აღფრთოვანებას ზეაღემატება, რომ უწმინდესი ვნების ნიშანი ადრე მიწის ქვეშ დაფარული, ამდენი წლის განმავლობაში დამალული ელოდა, ვიდრე ყველას საერთო მტრის განადგურების შედეგად არ ამობრწყინდებოდა მისი თავისუფალი მსახურება. რადგან თუ ყველა, ვინც კი მთელ მსოფლიოში ბრძენად ითვლება, ერთ ადგილას შეკრებილი მოისურვებს, რაიმე ამ საქმის ღირსი თქვას, ალბათ, უმცირესის მიღწევასაც ვერ შეძლებს. ესოდენ ზეაღემატება ყოველგვარ ადამიანური აზრის დამტევ ბუნებას ამ საკვირველების რწმენა, რამდენადაც ზეციური ადამიანურზე უფრო უმჯობესია. ამიტომ, ეს არის ჩემი მარადიული, უპირველესი და ერთადერთი მიზანი, რათა, როგორც ჭეშმარიტების რწმენამ საკუთარი თავი ამდენი ხნის შემდეგ უფრო ახალი საკვირველებებით წარმოაჩინა, ასევე ყველა ჩვენგანის სულები უფრო მოშურნე გახდნენ წმინდა რჯულის მიმართ ბრძნული და ერთსულოვანი გულმოდგინებით. მსურს, განსაკუთრებით შენ დაგარწმუნო იმაში, რაც უკვე ვფიქრობ, ყველასათვის ნათელი არის, რომ ყოველივეზე მეტად იმაზე ვზრუნავ, რათა მშვენიერი შენობებით შევამკო ეს წმინდა ადგილი, რომელიც ღმერთმა სამარცხვინო კერპის ზედნაშენისაგან, როგორც რამ მასზე მდებარე ტვირთისაგან, [თავისი] ბრძანებით აღამსუბუქა, დასაბამიდანვე ღვთის განსჯით განწმენდილი, ხოლო აწ უფრო მეტი სიწმინდით წარმოჩენილი; საიდანაც დღის სინათლეზე გამოიტანა მხსნელის ვნების რწმენა.

აწ შენს გონებაგამჭრიახობას შეჰფერის, რაც რამ [ამის-

ათვის] აუცილებელია, თითოეული მათგანის წინაგანგება ისე განაწესო და გააკეთო, რომ არა მხოლოდ ბაზილიკა იყოს ყველაფრით საუკეთესო, არამედ დანარჩენიც ისეთი უნდა იყოს, რომ თითოეულ ქალაქში ყოველივე გამშვენებულს ეს შენობა ჯობნიდეს. რაც შეეხება კედლების აგებას და მოჩუქურთმებას, იცოდე, რომ ჩვენს მეგობარ დრაკილიანოსს, უბრწყინვალეს პრეფექტთა თანამდებობის მპყრობელს და პროვინციის მმართველს, ჩვენგან აქვს ჩაბარებული ეს საზრუნავი. რადგან ჩვენი კეთილმსახურების მიერ ნაბრძანებია, რომ ხელოსნების, მუშების და ყველაფრის შესახებ, რაც მშენებლობისათვის აუცილებელია, შეიტყოს შენი მახვილგონიერებისაგან, და მყისვე გამოგზავნოს მათი წინაგანგების მეშვეობით. იჩქარე, მოგვწერო სვეტებისა და ასევე მარმარილოს შესახებ და იმის შესახებ, რასაც უფრო ძვირფასად და საჭიროდ ჩათვლი მათთვის, როდესაც განიხილავ; რათა შევიტყოთ, რაოდენიც და რაც კი საჭიროა შენი წერილის მეშვეობით, და შევძლოთ ამის მოზიდვა ყველა კუთხიდან. რადგან ეს უსაკვირველესი ადგილი იმსახურებს ღირსებისამებრ სამკაულით გამშვენებას. მსურს შენგან ვიცოდე, როგორ ფიქრობ, ბაზილიკის თაღი ფილებით უნდა მოპირკეთდეს თუ სხვა რამ სახის სამუშაოთი. რადგან თუ ფილებით უნდა იყოს, შესაძლებელი იქნება ოქროთი შემკობაც. დარჩა ის, რომ შენმა სიწმინდემ ზემოხსენებულ მსაჯულებს სწრაფად აუწყოს, თუ რამდენი მუშა, ხელოსანი და რა ოდენობის ხარჯის გაწევა არის საჭირო. რაც შემეხება მე, დაეშურე, მაშინათვე მომმართო, არა მხოლოდ მარმარილოებისა და სვეტების შესახებ, არამედ ფილების შესახებაც, თუ განსჯი, რომ ეს მშვენიერი იქნება. ღმერთმა დაგიცვას, საყვარელო ძმაო“.

სხვა ეპისტოლეებიც შეადგინა იმპერატორმა არიოზისა და მის თანამოაზრეთა წინააღმდეგ ამაღლებული სტილით, ყველგან გამოაქვეყნა ქალაქებში, დაცინვით და ირონიულად გაკიცხა

იგი. არა მხოლოდ მასზე, არამედ ნიკომიდიელებსაც მიწერა ევსებისა და თეოგნისის წინააღმდეგ, დაურთო ევსების ბოროტ-მოქმედებებიც, არამხოლოდ მისი არიანელობის გამო, არამედ წინათ რომ ტირანისადმი იყო კეთილგანწყობილი და მის საქმეებ-ში შეთქმული. შეაგონებდა, მის ნაცვლად სხვა ეპისკოპოსი აერჩიათ. მაგრამ ზედმეტად მივიჩნიე მათ შესახებ ეპისტოლეე-ბის აქ დამატება მათი სიდიდის გამო. ვისაც სურს, შეუძლია მათი მოპოვება და წაკითხვა. ეს ვიკმაროთ მათ შესახებ.

X თავი
თუ როგორ მოიწვია იმპერატორმა კრებაზე ნოვაციანელი ეპისკოპოსი აკესიოსი

იმპერატორის წადიერებამ აღმძრა, რომ მისი განზრახვების სხვა საქმეც გამეხსენებინა, თუ როგორ ზრუნავდა მშვიდობაზე. საეკლესიო ერთსულოვნებაზე მზრუნველმა კრებაზე ასევე მოი-წვია აკესიოსი, ნოვაციანელთა სარწმუნოების[16] ეპისკოპოსი. კრე-ბის მიერ მრწამსის განჩინების დაწერისა და მასზე ხელის მოწერის შემდეგ იმპერატორმა ჰკითხა აკესიოსს, ისიც თუ ეთან-ხმებოდა მრწამსს და ასევე პასექის დღესასწაულის დაწესებას. მან თქვა: „იმპერატორო, კრებას ახალი არაფერი განუჩინებია. რადგან ზემოდან თავიდანვე, სამოციქულო ჟამიდან ასე გად-მოგვეცა მრწამსის განჩინება და პასექის დღესასწაულის დრო. როდესაც იმპერატორმა ჰკითხა, თუ რის გამო გამოეყოფოდნენ თანაზიარებას, მან დეკიუსის დროინდელი დევნულება გაიხსე-ნა და თქვა, რომ მკაცრი კანონის ზედმიწევნითობა ნებას არ იძლეოდა ნათლისღების შემდეგ საღვთო საიდუმლოებებთან ზიარების ღირსი გაეხადათ, იმ ცოდვის ჩამდენნი, რომელსაც საღვთო წერილი სასიკვდილოს უწოდებს, არამედ სინანულისკენ უნდა მიექციათ, მიტევების სასოება კი არათუ მღვდლებისგან,

არამედ ღვთისგან უნდა მიეღოთ, ვისაც ძალუძდა და ჰქონდა უფლება ცოდვების მიტევების. როდესაც ეს თქვა აკესიოსმა, იმპერატორმა მიუგო: „აკესიოს, მიაყუდე კიბე და მარტო ადი ცაში.“ ეს არც ევსები პამფილელს, არც სხვა ვინმეს უხსენებია ოდესმე. მე კი ეს ისეთი კაცისგან მსმენია, რომელსაც არასოდეს უთქვამს სიცრუე, ძალიან ძველი თაობის კაცი იყო და ეს აღნიშნა კრების საქმეთა თხრობისას. აქედან ვასკვნი, რომ ამ ამბავს დუმილით გვერდი აუარეს, რაც მრავალმა ისტორიის მწერალმა გააკეთა. რამეთუ მათ მრავალი ამბავი გამოტოვეს ან ვინმესადმი არაკეთილგანწყობის ან რომელიმე პირისადმი პატივისცემის გამო. ასეთი ამბავი მოხდა აკესიოსთან დაკავშირებით.

XI თავი
ეპისკოპოს პაფნუტის შესახებ

როგორც ზემოთ დაგპირდით, რომ მოვიხსენიებდით პაფნუტის და სპირიდონს, აწ აქ დროა ვისაუბროთ მათ შესახებ. პაფნუტი იყო ზემო თებეს ერთ-ერთი ქალაქის ეპისკოპოსი. იგი ისეთი ღვთივსათნო კაცი იყო, რომ საოცარი ნიშნები აღსრულდებოდა მისი ხელით. მას დევნულების ჟამს ამოთხარეს თვალი. იმპერატორი ძლიერ პატივს სცემდა ამ კაცს, გამუდმებით იწვევდა სასახლეში და ეამბორებოდა მის ამოთხრილ თვალს. ესოდენი კეთილკრძალულება ჰქონდა იმპერატორ კონსტანტინეს. დაე, ითქვას ეს ერთი ამბავი პაფნუტის შესახებ. იმას მოგითხრობთ, რაც მოხდა მისი რჩევით ეკლესიის სასარგებლოდ და მღვდელთა შესამკობად. ეპისკოპოსებმა გადაწყვიტეს ახალი კანონის შემოტანა ეკლესიაში, რათა მღვდლები, – ვგულისხმობ ეპისკოპოსებს, ხუცესებს და დიაკვნებს, – არ დაწოლილიყვნენ ცოლებთან, რომლებიც ჯერ კიდევ ერისკაცობაში ჰყავდათ მოყვანილი. როდესაც ამის შესახებ დაიწყო მსჯელობა, დადგა

ეპისკოპოსთა კრებულის შუაში პაფნუტი, ხმამაღლა დაიძახა, რომ არ დაედოთ მძიმე უღელი მღვდლებისთვის, ამბობდა, რომ სარეცელი იყო წმინდა და ქორწინება – უბიწო (შდრ. ებრ. 13, 4); ზედმეტი სიმკაცრით უფრო ავნებდნენ ეკლესიას, რადგან ყველას არ ძალუძდა უვნებობის წვრთნა, ასევე არც თითოეული ცოლის თავშეკავების დაცვა. მან კანონიერ ცოლთან შეწყვილებას უწოდა თავშეკავება. სასულიერო პირად გამხდარი ადამიანისთვის საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ მეტად არ დაქორწინებულიყო ძველი საეკლესიო გადმოცემის თანახმად, არც განშორებოდა ცოლს, რომელიც ჯერ კიდევ ერისკაცობისას მოიყვანა. ეს თქვა ქორწინების და, მარტივად რომ ვთქვათ, ქალის გამოუცდელმა კაცმა, რადგან სიყრმიდან მონასტერში იზრდებოდა და თავშეკავებით ყველაზე სახელგანთქმული კაცი იყო. მღვდელმთავართა მთელი კრებული ერწმუნა პაფნუტის სიტყვებს. ამიტომ, ამ საკითხის შესახებ ძიება დაცხრა, დაუტოვეს რა ეს მათ, ვისაც ნებით სურდა ცოლებთან ურთიერთობისგან თავის შეკავება. ეს ითქვა პაფნუტის შესახებ.

XII თავი
კვიპროსელთა ეპისკოპოს სპირიდონის შესახებ

რაც შეეხება სპირიდონს, ჯერ კიდევ მწყემსს ესოდენი სიწმინდე ჰქონდა, რომ იგი ღირსი შეიქნა ადამიანთა მწყემსი გამხდარიყო. იგი აირჩიეს კვიპროსში ერთ-ერთ ქალაქში სახელად ტრიმითუნტის ეპისკოპოსად. მისი დიდი სიმდაბლის გამო უკვე ეპისკოპოსი ცხვრებსაც მწყემსავდა. მრავალი რამ არის მის შესახებ ნათქვამი. მაგრამ ჩვენ გავიხსენებთ ერთს ან ორს, რათა არ იფიქრონ, რომ წინამდებარე თემისგან გადახვევით ვთხზავ რაიმეს.

ერთხელ შუადამისას ქურდები მალულად მივიდნენ ცხვრების ფარეხთან და ცდილობდნენ ცხვრების მოტაცებას. მაგრამ მწყემსის მხსნელმა ღმერთმა ცხვრები გადაარჩინა. რადგან უხილავმა ძალამ ქურდები ფარეხთან შეაშინა. როცა ირიჟრაჟა, სპირიდონი მივიდა სამწყსოსთან. ნახა ქურდები, რომლებსაც ხელები უკან ჰქონდათ შეკრული და შეიტყო, რაც მოხდა. მან ილოცა და გაუშვა ქურდები. კარგად დაარიგა, ურჩია სამართლიანი შრომისთვის მიეყოთ ხელი, რათა არ მიეღოთ უსამართლობის საზღაური. ვერძი აჩუქა მათ და ხუმრობით უთხრა: „ისე არ იყოს, რომ ფუჭად არ გაგითენებიათ ღამე“. ეს იყო სპირიდონის ერთი საკვირველება. მეორე კი იყო შემდეგი. მას ჰყავდა ქალწული, რომელიც მისდევდა მამისეულ კეთილკრძალულებას, სახელად ირინე. მას ერთმა ნაცნობმა ძვირფასი სამკაული ჩააბარა. მან კი ჩაბარებული უფრო უსაფრთხო ადგილას მიწაში დამალა. არცთუ დიდი ხნის მერე ამ ცხოვრებიდან წავიდა. გარკვეული დროის შემდეგ მოვიდა ის კაცი, ვინც შესანახად ჩააბარა. როდესაც ვერ ნახა ქალწული, საქმეში ჩარია მამა, ხან ბრალს დებდა, ხანაც სთხოვდა. როდესაც მოხუცმა ამ კაცის დანაკარგი თავის უბედურებად მიიღო, მივიდა ქალიშვილის საფლავთან და ღმერთს შესთხოვდა დროზე ადრე ეჩვენებინა მისთვის დაპირებული ადგილი. იმედიც არ გაუცრუვდა, რამეთუ მყისვე გაცოცხლდა ქალწული და ეჩვენა მამას. მიუთითა ადგილი, სადაც სამკაული ჰქონდა დამალული და მაშინათვე გაშორდა. ასეთი ადამიანები ბრწყინავდნენ იმპერატორ კონსტანტინეს დროს ეკლესიებში. ეს მე გადმოცემით მსმენია მრავალი კვიპროსელისგან, ასევე ხუცეს რუფინუსის ლათინურ ენაზე შედგენილ თხზულებებშიც წამიკითხავს. აქედან გამოვკრიბე ეს და სხვა რამეებიც, რასაც ვიტყვი ცოტა ხნის შემდეგ.

XIII თავი
მონაზონ ევტიქიანეს შესახებ

მსმენია ევტიქიანეს შესახებაც, რომელიც იმ დროს სახელგანთქმული ღვთივსათნო კაცი იყო. ისიც ნოვაციანელთა ეკლესიის წევრი იყო და მსგავსი საქმეების ჩადენით აკვირვებდა ხალხს. მე, ვინც მოგითხრობთ მის შესახებ, ვიტყვი მთელი სიზუსტით და არ დავმალავ, თუნდაც ვიცი, რომ ზოგიერთებს ეს არ მოეწონებათ. იყო ვინმე ავქსანიოსი, ნოვაციანელთა ეკლესიის ერთი მეტად ხანდაზმული ხუცესი, რომელიც ნიკეის კრებაზე სრულიად ყმაწვილი იყო და აკესიოსთან ერთად იმყოფებოდა. მან მომითხრო აკესიოსთან დაკავშირებით მომხდარი ამბები. ამ კაცმა იმ დროიდან უმცროსი თეოდოსის ზეობამდე იცოცხლა და მე, სრულიად ყმაწვილს, მიამბო ევტიქიანოსის შესახებ, მრავალი რამ მომითხრო მასზე გადმოსული საღვთო მადლის შესახებ. ერთი ეს ღირსსახსოვარი ამბავიც თქვა მომხდარი კონსტანტინეს ზეობისას. ერთი შუბოსანი, რომლებსაც შინაურებს უწოდებს იმპერატორი[17], ტირანულ რამ საქმეებში იქნა ეჭვმიტანილი და გაიქცა. იმპერატორმა ბრძანა მუქარით, რომ მოეკლათ, სადაც იპოვიდნენ. იგი იპოვეს ბითვინიის ოლიმპოს მახლობლად. უმძიმესი და სასტიკი ბორკილები დაადეს და ჩაამწყვდიეს საპყრობილეში, ოლიმპოს იმ ადგილის მახლობლად, სადაც იმყოფებოდა ევტიქიანოსი და მარტოსულ ცხოვრებაში იწვრთნებოდა, მრავალ სულს და სხეულს კურნავდა. მასთან ერთად ასევე იმყოფებოდა ეს ხანდაზმული ავქსანოსი, რომელიც სრულიად ახალგაზრდა იყო და მისგან სწავლობდა მონაზვნურ ცხოვრებას. ამ ევტიქიანოსთან ბევრი მოდიოდა, სთხოვდნენ, მოეხსნა ბორკილები, თხოვნით მისულიყო იმპერატორთან. რადგან იმპერატორის ყურამდეც მიაღწია ევტიქიანოსის მიერ ჩადენილი საკვირველებების შესახებ. ევტიქიანოსმა სიამოვნებით იტვირთა იმპერატორთან გამგზავრება. როდესაც

აუტანელი გახდა ბორკილებით შეპყრობილის ტანჯვა, მის გამო მთხოვნელები ამბობდნენ, რომ იმპერატორის სასჯელსაც და მის თხოვნებსაც დაასწრებდა ბორკილებისგან მოსალოდნელი სიკვდილი. ევტიქიანოსმა თხოვნა გაუგზავნა საპყრობილის მცველებს, რომ გამოეშვათ ეს კაცი. როდესაც მათ მიუგეს, რომ საპყრობილედან გამოშვება მათ საფრთხეში ჩააგდებდა, თვითონ წავიდა საპყრობილეში ავქსანიოსთან ერთად. მათ არ სურდათ საპყრობილის გაღება მისთვის. მაშინ ევტიქიანოსზე მყოფი მადლი უფრო აშკარა შეიქმნა, რადგან საპყრობილის კარები თავისით გაიხსნა, მაშინ, როცა მცველებს თან ჰქონდათ გასაღებები. ევტიქიანოსი შევიდა ავქსანიოსთან, მრავალი იქ მყოფი შეძრწუნდა, ბორკილდადებულს თავისით დასცვივდა ბორკილები. ამის შემდეგ ავქსანიოსთან ერთად ჩავიდა ძველ ბიზანტიონში, შემდგომში კონსტანტინოპოლში. იგი მიიღეს საიმპერიო სასახლეში და მან სიკვდილისგან იხსნა ეს კაცი. რადგან იმპერატორი პატივს სცემდა ამ კაცს და თანხმობა მისცა თხოვნაზე. ეს მოხდა მოგვიანებით.

მაშინ კრებაზე დამსწრე ეპისკოპოსებმა, როგორც კი დაწერეს სხვა რამეებიც, რასაც კანონებს უწოდებენ, მალევე წავიდნენ თავიანთ ქალაქებში. ვფიქრობ, სწავლისმოყვარეთა გულისთვის აქ უნდა გადმოვცე ნიკეაში შეკრებილ ეპისკოპოსთა სახელები, რომელთა მოძიებაც შევძელით, ასევე ისიც, თუ რომელი ეპარქიიდან და ქალაქიდან იყო თითოეული მათგანი და ის ჟამიც, როცა შეიკრიბნენ. ჰოსიუსი (როგორც ზემოთ დავწერე) დარწმუნებული ვარ, იყო კორდუბიის ეპისკოპოსი; რომიდან იყვნენ ვიტუსი და ბიკენტი ხუცესები; ეგვიპტის ეპისკოპოსი ალექსანდრე; ანტიოქიის ეპისკოპოსი დიდი ევსტათი; იერუსალიმის – მაკარი; კინოპოლისის – ჰარპოკრატიოსი; და სხვები, რომელთა სახელები სრულად მოხსენიებულია ალექსანდრიის ეპისკოპოს ათანასეს სინოდიკში. კრების თარიღი, როგორც მოსახსენებლებში აღმოვაჩინეთ, არის პავლინუსის და იულიანეს

კონსულობის დრო, მაისის თვის ოცი რიცხვი, ხოლო იდგა მაკედონელი ალექსანდრეს მეფობიდან ექვსას ოცდათექვსმეტი წელი. ამრიგად, დასრულდა კრება. უნდა ვიცოდეთ, რომ კრების შემდეგ იმპერატორი წავიდა დასავლეთ ნაწილში.

XIV თავი
თუ როგორ დაიბრუნეს მოგვიანებით თავიანთი საყდრები არიოზის თანამოაზრეობის გამო გადასახლებულმა ევსები ნიკომიდიელმა და თეოგნის ნიკეელმა, მას შემდეგ, რაც გამოგზავნეს სინანულის წიგნი და დაეთანხმნენ მრწამსის გადმოცემას

ევსებიმ და თეოგნისმა სინანულის წიგნი გაუგზავნეს მთავარ ეპისკოპოსებს. მაშინ ისინი გადასახლებიდან გამოხმობილ იქნენ იმპერატორის ბრძანებით და უკან დაიბრუნეს მათი ეკლესიები, მათ ადგილას ხელდასხმულნი კი გამოაძევეს: ამფიონი – ევსებიმ, ქრესტოსი – თეოგნისმა. ეს არის ამ წიგნის ასლი:

„თქვენი კეთილკრძალულების მიერ განსჯამდე უკვე დასჯილები ვალდებული ვართ, მშვიდად ავიტანოთ თქვენი წმინდა განაჩენი. მაგრამ ვინაიდან უჯეროა, ჩვენ წინააღმდეგ ცილისმწამებელთა მტკიცებულებების დუმილისთვის გადაცემა, ამის გამო მოგმართავთ, რომ ჩვენც ვეთანხმებით მრწამსს. გამოვიკვლიეთ რა „თანაარსის“ მნიშვნელობა, სრულად ვესწრაფით მშვიდობას და არ მივსდევთ არავითარ მწვალებლობას. მოვიხსენიეთ, თუ რამდენმა აზრმა გაგვირბინა ეკლესიათა მშვიდობისათვის, დავარწმუნეთ ისინიც, ვინც მოვალენი არიან, დარწმუნდნენ ჩვენი მეშვეობით და ხელი მოვაწერეთ მრწამსს. მაგრამ ანათემებზე ხელი არ მოვაწერეთ, არათუ იმიტომ, რომ მრწამსს

ვდებდით ბრალს, არამედ არ გვჯეროდა, რომ ასეთი კაცი იყო ბრალდებული, – ჩვენ მიმართ მოწერილი მისი პირადი ეპისტოლეებიდან და პირისპირ საუბრებიდან დარწმუნებული ვიყავით, რომ ის ასეთი არ იყო. მაგრამ თუ დარწმუნდა თქვენი წმინდა კრება, არ ვეწინააღმდეგებით, არამედ ვეთანხმებით თქვენს განჩინებებს და ამ წერილების მეშვეობით ვადასტურებთ თანხმობას. არათუ იმიტომ, რომ გადასახლების ატანა გვიჭირს, არამედ მწვალებლობის ეჭვს განვიშორებთ. თუ ღირსს გაგვხდით იმისა, რომ პირისპირ გვიხილოთ, ნახავთ, რომ ყველაფერში გეთანხმებით და მივსდევთ თქვენ მიერ განჩინებულთ; განსაკუთრებით მაშინ, როცა თქვენმა კეთილკრძალულებამ გადაწყვიტა ამ განჩინებებით დადანაშაულებულის მიმართ კაცთმოყვარეობის გამოჩენა და უკან გამოხმობა. უჯეროა, რომ, როდესაც კაცი გამოსწორებულად მიიჩნევა, უკან გამოიხმობა და თავი იმართლა, რაზეც ცილი დასწამეს, ამ დროს ჩვენ დავდუმდეთ და მივცეთ სამხილი ჩვენი თავის წინააღმდეგ. ღირსგვყავით, როგორც შეჰფერის თქვენს ქრისტესმოყვარე კეთილკრძალულებას, შეახსენეთ უღვთივსათნოეს იმპერატორს და გადაეცით ჩვენი თხოვნები, და მალე ინებოთ ჩვენზე ის, რაც შეგეფერებათ.“

ეს არის ევსების და თეოგნისის უკან დახევის წიგნი. მისივე სიტყვებით ვამტკიცებ, რომ მათ ხელი მოაწერეს გამოცხადებულ მრწამსს, მაგრამ არ ისურვეს, თანხმობა მიეცათ არიოზის განყენებაზე და რომ არიოზი მათზე უწინ ჩანს უკან გამოხმობილი. მაგრამ თუმც ეს ასე ჩანს, მას ეკრძალებოდა ალექსანდრიაში ჩასვლა. იქიდან, რომ მოგვიანებით ეკლესიაში და ალექსანდრიაში შესვლა განიზრახა, ცხადი ხდება, ყალბი სინანული გამოავლინა, როგორც ამას ვიტყვით თავის ადგილას.

XV თავი
თუ როგორ იქნა დადგინებული ალექსანდრიელთა ქალაქის ეპისკოპოსად ათანასე, კრების შემდეგ, როდესაც აღესრულა ალექსანდრე

ამის შემდეგ მალე აღესრულა ალექსანდრიის ეპისკოპოსი ალექსანდრე. ეკლესიის წინამდგომელი გახდა ათანასე. რუფინუსი ამბობს, რომ ის სრულიად ყმაწვილი სხვა თანატოლებთან ერთად თამაშობდა სამღვდელო რამ თამაშს. ეს იყო მიბაძვა მღვდლობისა და სამღვდლო კაცთა დასის. ამ თამაშის დროს ათანასე საეპისკოპოსო საყდარზე იქნა არჩეული, სხვა ბავშვებიდან თითოეული ბაძავდა ხუცესს ან დიაკონს. ამას ბავშვები თამაშობდნენ იმ დღეს, როდესაც აღნიშნავდნენ მოწამისა და ეპისკოპოსის, პეტრეს ხსენებას. მაშინ გამოსული იყო ალექსანდრიის ეპისკოპოსი ალექსანდრე და დაინახა ეს თამაში. მოუხმო ბავშვებს და ჰკითხა, თუ თამაშში რა ადგილზე იყო არჩეული თითოეული მათგანი, ფიქრობდა, რომ ამის მეშვეობით რაღაც მიენიშნებოდა წინდაწინ. მან ბრძანა ეკლესიაში მიეყვანათ ბავშვები და აღეზარდათ, გამორჩევით კი – ათანასე. როდესაც სრულწლოვანი გახდა, დიაკვნად დაასხა ხელნი, წაიყვანა ნიკეაში და მასთან ერთად იბრძოდა იქ, როდესაც გაიმართა კრება. ეს ნათქვამი აქვს თავის თხზულებაში რუფინუსს და სულაც არ არის დაუჯერებელი, რადგან მრავალგზის მომხდარა მრავალი ასეთი რამ. მაგრამ ეს ვიკმაროთ ათანასეს შესახებ.

XVI თავი
თუ როგორ განავრცო იმპერატორმა კონსტანტინემ ძველი ბიზანტიონი და უწოდა კონსტანტინოპოლი

იმპერატორი კრების შემდეგ მხიარულებაში ატარებდა დროს. მან აღასრულა მისი ოცი წლისთავის სახალხო დღესასწაული და მაშინათვე იზრუნა ეკლესიათა აგებაზე. ეს გააკეთა სხვა ქალაქებში და ასევე მის მოსახელე ქალაქში. მას ადრე ეწოდებოდა ბიზანტიონი, შემდეგ ის განავრცო, დიდი კედელი შემოავლო და სხვადასხვა შენობებით შეამკო. იგი გამოაცხადა სამეფო ქალაქ რომის თანასწორად, კონსტანტინოპოლად შეუცვალა სახელი და კანონით დაამტკიცა, რომ ეწოდებინათ მეორე რომი. ეს კანონი ქვის სვეტზე დაიწერა და სტრატეგიუმად წოდებულზე საჯაროდ გამოქვეყნდა მისი ცხენზე ამხედრებული ქანდაკების მახლობლად. ამ ქალაქში ააგო ორი ეკლესია, ერთს უწოდა ირინე, მეორე კი იყო მოციქულთა სახელობისა. მან არამხოლოდ ქრისტიანთა საქმეები განავრცო, არამედ, როგორც ითქვა, გაანადგურა წარმართთა სარწმუნოება. ღმერთების ქანდაკებები საჯაროდ სამკაულად დადგა კონსტანტინოპოლში, დელფოსის სამფეხები სახალხოდ დადგა იპოდრომში. ვფიქრობ, ზედმეტია ამ ამბებზე ახლა საუბარი, რადგან უკვე მანამდე ვხედავთ, სანამ მოვისმენთ. მაშინ უდიდესად განივრცო ქრისტიანობა. იმპერატორ კონსტანტინეს დროს ღვთის წინაგანგებამ ასევე სხვა უამრავი რამ შემოგვინახა. ევსები პამფილელმა ასე სამახსოვრო გახადა იმპერატორის შესხმის ამაღლებული სიტყვები. მაგრამ ვფიქრობ უადგილო არ არის, ჩვენც მოკლედ ვახსენოთ მათ შესახებ.

XVII თავი
თუ როგორ გამოიძია და იპოვა იერუსალიმში ჩასულმა იმპერატორის დედამ, ელენემ ქრისტეს ჯვარი, და ააგო ეკლესიები

იმპერატორის დედას, ელენეს, რომლის სახელისთვის ოდესღაც დაბა დრეპანე იმპერატორმა ქალაქად აქცია და ჰელენოპოლისად შეუცვალა სახელი, სიზმარში ეუწყა და იერუსალიმში ჩავიდა. მაშინ იერუსალიმი იყო გაუდაბურებული, როგორც „ხილის საცავი“ წინასწარმეტყველის ნათქვამის მიხედვით[18]. ელენე გულმოდგინედ ეძებდა ქრისტეს საფლავს, სადაც აღდგა დაფლული. და ღვთის შეწევნით ძნელად აღმოაჩინა. ამ სიძნელის მიზეზს მოკლედ ვიტყვი. ქრისტიანები მისი ვნების შემდეგ პატივს მიაგებდნენ საფლავს. მაგრამ, ვინც ქრისტეს სარწმუნოებას გაურბოდა, მიწა დააყარეს ამ ადგილს. მის წინააღმდეგ ააგეს აფროდიტეს ტაძარი და დადგეს მისი ქანდაკება, რომ არ შემორჩენილიყო ამ ადგილის ხსოვნა. ეს წარმატებით გააკეთეს წინათ. მაგრამ იმპერატორის დედისთვის ეს ადგილი გაცხადდა. მან დაანგრია კერპი, ამ ადგილს მიწა მოაშორა და გაწმინდა. საფლავში აღმოაჩინა სამი ჯვარი: ერთი იყო ის უნეტარესი, რომელზეც ქრისტე გააკრეს, სხვები კი, რომლებზეც თანაჯვარცმული ორი ავაზაკი მოკვდა. მათთან ერთად იპოვა პილატეს დაფა, რომელზეც წარწერილი იყო, რომ ჯვარცმული ქრისტე იყო იუდეველთა მეფე, და სხვადასხვა ენაზე აცხადებდა. როდესაც გაურკვეველი იყო საძიებელი ჯვარი, დიდმა მწუხარებამ მოიცვა იმპერატორის დედა. მაგრამ მისი მწუხარება მალე დაასრულა იერუსალიმის ეპისკოპოსმა, რომლის სახელი იყო მაკარი. მან რწმენით დახსნა ეს გაურკვევლობა. მან ნიშანი ითხოვა ღვთისგან და მიიღო კიდეც. ნიშანი იყო შემდეგი სახის. ერთი იქაური ქალი დიდი ხანი ავად იყო და სიკვდილის პირას

იმყოფებოდა. ეპისკოპოსს თითოეული ჯვარი მიჰქონდა მომაკვდავთან, სწამდა, რომ ქალი განიკურნებოდა, როცა შეეხებოდა ჯვარი პატიოსანი. და არც გაუცრუვდა იმედი. როდესაც მიუტანა ორი ჯვარი, რომელიც არ იყო უფლის, არაფერი შეიცვალა მომაკვდავ ქალში. როცა მიადო მესამე ნამდვილი, მომაკვდავი მეყსეულად გამომჯობინდა და განიკურნა. ამ გზით აღმოაჩინა ჯვრის ხე. იმპერატორის დედამ კი ძვირფასი სამლოცველო სახლი ააშენა საფლავის ადგილას და ახალი იერუსალიმად გადაარქვა სახელი, იმ ძველის და დანგრეულის საპირისპიროდ გააკეთა ეს. ჯვრის ნაწილი ჩაკეტა ვერცხლის ზარდახშაში, ცოდნის მსურველთათვის სამახსოვროდ, და იქ დატოვა, ხოლო სხვა ნაწილი გაუგზავნა იმპერატორს. როდესაც კონსტანტინემ ის მიიღო, იმის რწმენით, რომ სრულიად იხსნიდა ქალაქს, თუ მას იქ შეინახავდა, დამალა თავის ქანდაკებაში, რომელიც კონსტანტინოპოლში კონსტანტინესად წოდებულ ფორუმზე იდგა მეწამულ დიდ სვეტზე აღმართული. ეს დავწერე, რაც მსმენია გადმოცემით. მაგრამ კონსტანტინოპოლის თითქმის ყველა მაცხოვრებელი ამბობს, რომ ეს სიმართლეა. როდესაც კონსტანტინემ მიიღო სამსჭვალნი (ესენიც საფლავში ნაპოვნი გაუგზავნა დედამ), რომლებითაც ქრისტეს ხელები იყო ჯვარზე მიმაგრებული, ამით მან დაამზადა ლაგამი და მუზარადი და ბრძოლებში იყენებდა.

იმპერატორი ყველაფრით უზრუნველყოფდა ეკლესიათა მშენებლობას. მან მისწერა ეპისკოპოს მაკარის, რომ დაეჩქარებინა მშენებლობა. იმპერატორის დედამ ააშენა ახალი იერუსალიმი, ბეთლემის მღვიმეში კი, სადაც ხორციელად იშვა ქრისტე, სხვა არანაკლები ეკლესია ააგო. არა მხოლოდ ეს, არამედ ასევე ამაღლების მთაზეც. ასე კეთილკრძალული იყო ამის მიმართ, რომ ქალთა გუნდთან ერთადაც ლოცულობდა. ეკლესიათა კანონებში აღრაცხულ ქალწულებს გამასპინძლებისას თავად ემსახურებოდა და კერძები მიჰქონდა ტაბლაზე. ბევრს უბოძებ-

და ეკლესიებს და უპოვართ. იგი ღვთისმოსავურად ატარებდა ცხოვრებას და აღესრულა დაახლოებით ოთხმოცი წლის ასაკში. მისი სხეული წაიღეს სამეფო ქალაქ ახალ რომში და საიმპერიო სამარხში დაფლეს.

XVIII თავი
თუ როგორ დაანგრია იმპერატორმა კონსტანტინემ წარმართთა ტაძრები და სხვადასხვა ადგილას ააგო მრავალი ეკლესია

ამის შემდეგ იმპერატორი უფრო მზრუნველი გახდა ქრისტიანობის მიმართ და ზურგი აქცია წარმართთა მსახურებას. მან გააუქმა გლადიატორთა შერკინებები და თავისი ქანდაკებები დადგა ტაძრებში. წარმართები ამბობდნენ, რომ სერაპისი ადიდებდა ნილოსს ეგვიპტის მოსარწყავად, რისთვისაც საზომი იდაყვი მიჰქონდათ სერაპისის ტაძარში. მან ბრძანა, ეს იდაყვი გადაეტანათ ალექსანდრიელთა ეკლესიაში. როდესაც წინასწარმეტყველებდნენ, რომ ნილოსი არ ადიდდებოდა სერაპისის განრისხების გამო, მოხდა მდინარის გადმოსვლა ნაპირებიდან მომდევნო წელსაც და შემდეგ წლებშიც; საქმით გამოჩნდა, რომ არათუ რიტუალით, არამედ წინაგანგების განჩინებით ხდებოდა ნილოსის ადიდება.

მის დროში, როდესაც სარმატი და გუთი ბარბაროსები შემოესივნენ რომაელთა მიწა-წყალს, ეკლესიების მიმართ იმპერატორის განწყობა არ შერყეულა, არამედ ორივეზე სათანადოდ იზრუნა, რადგან ისინი მიანდო ქრისტიანული ძლევის ნიშანს და დიდად სძლია მათ, ისე რომ შეწყვიტა, ძველად იმპერატორებისგან წესად რომ იყო ბარბაროსებისთვის ოქროს მიცემა. ამ საოცარი მარცხით შეძრწუნებულმა ბარბაროსებმა ირწმუნეს მაშინ ქრისტიანული სარწმუნოება, რომლის მეშვეობითაც გამოხ-

სნილ იქნა კონსტანტინე. მან კი კვლავ სხვა ეკლესია ააგო. ერთიც ააშენა მამბრესად წოდებულ მუხასთან, რომლის ქვეშაც, როგორც წმინდა სიტყვები გვაუწყებენ, ანგელოზებს გაუმასპინძლდა აბრაამი. იმპერატორმა შეიტყო, რომ მუხის ქვეშ ბომონები იყო აღმართული და წარმართები მსხვერპლს წირავდნენ მასთან, და ეპისტოლეში გაკიცხა კესარიის ეპისკოპოსი ევსები. ბრძანა ბომონის დამხობა და მუხასთან სალოცავი სახლის აშენება. მან ასევე ბრძანა სხვა ეკლესიის აშენება ფინიკიის ჰელიოპოლისში შემდეგი მიზეზით. არ შემიძლია იმის თქმა, თუ დასაბამიდან რომელი კანონმდებელი ჰყავდათ ჰელიოპოლისის მოქალაქეებს, ასეთი ჩვეულება რომ ჰქონდათ. თუ რა ჩვეულება იყო, კი ჩანს ამ ქალაქიდან. ადგილობრივი კანონი ბრძანებდა, რომ მათ საერთო ჰყოლოდათ ქალები. ამიტომაც, გაურკვეველი იყო მათი შვილების წარმომავლობა. რადგან მშობლებს შვილებისგან ვერ არჩევდნენ. მათ ქალწულებს კი უცხოებს აძლევდნენ სიძვისათვის. კონსტანტინემ მოიწადინა დასაბამიდან გაბატონებული ამ ჩვეულების მოშლა. მან ღირსეული კანონით მოსპო ეს სამარცხვინო სისაძაგლე და შესაძლებელი გახადა წარმომავლობის ცოდნა. ააგო ეკლესიები და უზრუნველყო ეპისკოპოსის ხელდასხმა და წმინდა კლიროსი. ასე გააუქმა ჰელიოპოლელთა საყოველთაოდ გავრცელებული ბოროტება. მსგავსადვე დაანგრია ლიბანის აფაკაში აფროდიტეს საკურთხეველი და იქ მიმდინარე გარყვნილი ქმედებები ამოძირკვა. რა საჭიროა იმის თქმა, რომ კილიკიაში პითონის დემონი განდევნა და ბრძანა იმ სახლის საძირკვლითურთ დანგრევა, სადაც ბინადრობდა? ესოდენი იყო იმპერატორის ღვაწლი ქრისტიანობის წინაშე, რომ როდესაც აპირებდა სპარსელების წინააღმდეგ ომს, დადგა ჭრელი თხელი ტილოს კარავი და აღმართა ეკლესიის მსგავსად, როგორც მოსემ გააკეთა უდაბნოში[19], და ამას დაატარებდა, რათა ჰქონოდათ უკაცრიელ ადგილებში გამზადებული სამლოცველო. მაგრამ მაშინ არ დაწყებულა ომი, ჩაცხრა

იმპერატორის შიშით. ვფიქრობ უადგილოა დავწერო, თუ როგორ მოწადინებული იყო იმპერატორი ქალაქების აღდგენაზე, როგორ გადააკეთა დაბები ქალაქებად, როგორც დრეპანა მისი დედის სახელის მატარებლად, და პალესტინაშიც კონსტანტია. რადგან ჩემი საქმე არ არის იმპერატორის საქმეების აღრაცხვა, არამედ მხოლოდ იმის, რამდენი რამაც ქრისტიანობას შეესაბამება, განსაკუთრებით, რაც კი ეკლესიებისთვის გააკეთა. ამიტომ, იმპერატორის საქმეები სხვა თემა არის, მას ცალკე ნაშრომი სჭირდება და სხვებს მივანდობ, ვისაც ძალუძთ ამის აღწერა. მე კი ჩუმად უნდა ვყოფილიყავი, ეკლესია რომ განუყოფელი დარჩენილიყო. რადგან სადაც საუბრის თემა არ გამარაგებს მომხდარი მოვლენებით, სიტყვები ზედმეტია. მაგრამ ვინაიდან ქრისტიანობის სამოციქულო სარწმუნოება მოიცვა დიალექტიკურმა და ფუჭმა სიცრუემ და ასე გაფანტა, ვიფიქრე წერილობით უნდა გადამეცა ეს ამბები, რათა არ გაუჩინარებულიყო ეკლესიასთან დაკავშირებით მომხდარი მოვლენები. რამეთუ მათ შესახებ ცოდნას მრავალთათვის სახელიც მოაქვს და თვითონ მცოდნეც უფრო უსაფრთხოდ შრომობს, ასწავლის ისე, რომ არ ირყევა და არ ვარდება სიტყვების რამ ფუჭმეტყველებაში.

XIX თავი
თუ როგორ გაქრისტიანდა კონსტანტინეს დროს ინდოელთა შიდა მოსახლეობა

კვლავ უნდა ვახსენოთ, თუ როგორ განივრცო ქრისტიანობა იმპერატორის დროს. რადგან იმ დროს დაედო დასაბამი შიდა ინდოელებისა და იბერების გაქრისტიანებას. თუ რატომ ვიყენებ სახელწოდება „შიდას“, მოკლედ ვიტყვი. როდესაც მო-

ციქულებმა წილხვედრით იმოგზაურეს წარმართებთან, თომამ თავს იდო პართელთა მოციქულობა, მათემ – ეთიოპია, ბართლომეს წილად ხვდა მისი მომიჯნავე ინდოეთი. შიდა ინდოეთი კი, რომლის მახლობლად მრავალი ბარბაროსი ერი მკვიდრობს, რომელიც სხვადასხვა ენაზე საუბრობს, კონსტანტინეს ზეობამდე არ იყო განათლებული ქრისტიანული მოძღვრებით. ახლა გადავდივარ იმის სათქმელად, თუ რა გახდა მათი გაქრისტიანების მიზეზი. ფილოსოფოსი ვინმე მეროპიოსი, წარმოშობით ტვიროსელი, ისწრაფოდა ინდოელთა ქვეყნის გაცნობას, ეჯიბრებოდა ფილოსოფოს მეტროდორეს, რომელმაც მასზე უწინ იმოგზაურა ინდოელთა მხარეში. მეროპიოსმა თან იახლა ორი ყმაწვილი, მისი ნათესავები, ბერძნული ენის მცოდნენი და ხომალდით გაცურა ამ ქვეყნისკენ. იმოგზაურა, რამდენიც ენება და აუცილებელი სარჩოს გამო მიადგა ადგილს, რომელსაც უსაფრთხო ნავსაყუდელი ჰქონდა. მაშინ მოხდა ისე, რომ ზავი დაირღვა რომაელებსა და ინდოელებს შორის. ინდოელებმა შეიპყრეს ფილოსოფოსი და მისი თანმხლებნი, მისი ორი ნათესავის გარდა ყველა დახოცეს. ეს ორი ყმაწვილი კი მათი ასაკისადმი სიბრალულით დაინდეს და ძღვნად მიართვეს ინდოელთა მეფეს. მეფეს ყმაწვილები მოეწონა და ერთი მათგანი, რომლის სახელი იყო ედესიოსი, მისი ტაბლის მწდედ დაადგინა, მეორეს კი, რომლის სახელი იყო ფრუმენტიოსი, დაავალა სამეფო ხელნაწერთსაცავზე ზრუნვა. არცთუ დიდი ხნის შემდეგ სიკვდილის წინ მეფემ ისინი გაათავისუფლა და ძალაუფლება გადასცა სრულიად ჩვილ ვაჟიშვილს და მეუღლეს. მეფის ცოლმა, რომელსაც მცირეწლოვანი ძე ჰყავდა დარჩენილი, მათ უთხრა, ეზრუნათ მასზე, სანამ იგი დავაჟკაცდებოდა. ჭაბუკები დამორჩილდნენ და განაგებდნენ მეფის საქმეებს. განსაკუთრებით ფრუმენტიოსი მართავდა ყველაფერს. იგი შეუდგა ამ ქვეყანაში დასახლებული რომაელი ვაჭრების ძებნას, სადმე თუ იპოვიდა რომელიმე ქრისტიანს. როდესაც იპოვა ისინი, გააცნო საკუთარი თავი, დაარიგა

აერჩიათ გამორჩეული ადგილი, სადაც აღასრულებდნენ ქრისტიანულ ლოცვებს. მცირე დროის გავლის შემდეგ ააშენა სამლოცველო და ზოგიერთი ინდოელი განსწავლა და მათთან ერთად თანამლოცველი გახადა.

მას შემდეგ, რაც მეფის შვილი სრულწლოვანი გახდა, ფრუმენტიოსმა და მის გარშემო მყოფებმა მას გადასცეს მათ მიერ მშვენივრად მართული საქმეები და სთხოვეს, რომ გაეშვათ თავიანთ სამშობლოში. მეფე და დედამისი თხოვდნენ, რომ დარჩენილიყვნენ, მაგრამ ვერ დაითანხმეს. მაშინ გაუშვეს სამშობლოში დაბრუნების მოწადინენი. ედესიოსი ტვიროსში მიიჩქაროდა მშობლების და ნათესავების სანახავად. ფრუმენტიოსი კი ჩავიდა ალექსანდრიაში და მაშინ ეპისკოპოსად ახლად დადგინებულ ათანასეს მოახსენა საქმის ვითარება, აუწყა მას მისი მოგზაურობის შესახებ და ასევე ისიც, რომ იმედოვნებდა ინდოელების მიერ ქრისტიანობის მიღებას; სთხოვდა, გაეგზავნა ეპისკოპოსი და სასულიერო პირები და არ უგულებელყოო ისინი, რომლების ხსნაც შესაძლებელი იყო. ათანასემ გაიაზრა, თუ რამდენად სასარგებლო იყო ეს საქმე. მან თვითონ ფრუმენტიოსი შეამზადა ეპისკოპოსობის მისაღებად, უთხრა, რომ არ ეგულებოდა მასზე შესაფერისი პირი. ასეც მოხდა. ფრუმენტიოსი გახდა ეპისკოპოსობის ღირსი, კვლავ ინდოელთა ქვეყანაში ჩავიდა, ქრისტიანობის მქადაგებელი შეიქნა და მრავალი სამლოცველო ააგო. საღვთო მადლით ღირსქმნილმა მრავალი სასწაული აღასრულა და სულთან ერთად მრავალი სხეული განკურნა. ამას ამბობს რუფინუსი, რომ მას ეს სმენოდა ტვიროსში მღვდლობით ღირსქმნილი ედესიოსისგან.

XX თავი
თუ როგორ გაქრისტიანდნენ იბერები

უკვე დროა ვთქვათ, თუ როგორ გაქრისტიანდნენ იბერები იმავე დროს. ერთი ღვთისმოსავი და თავშეკავებული ცხოვრების მატარებელი ქალი საღვთო რამ წინაგანგებით დატყვევებულ იქნა იბერთა მიერ. ეს იბერები მკვიდრობენ ევქსინოს ზღვის სანაპიროზე, ისინი არიან მათი კოლონია, რომლებიც ცხოვრობენ ესპანეთში. ეს ტყვე-ქალი იმყოფებოდა რა ბარბაროსებს შორის, ეწეოდა ფილოსოფიური წესის ცხოვრებას. იგი დიდი თავშეკავებით იწვრთებოდა, უმძიმეს და ხანგრძლივ მარხვას აყოლებდა ლოცვებს. როდესაც ამას ხედავდნენ ბარბაროსები, უკვირდათ ეს უცნაური საქციელი.

მოხდა ისე, რომ სნეულებამ მოიცვა მეფის მცირეწლოვანი შვილი. ადგილობრივი რამ ჩვეულებით მეფის მეუღლემ ბავშვი გაგზავნა სამკურნალოდ სხვა ქალებთან, იქნებ გამოცდილებით ეშველათ სნეულისთვის. მას შემდეგ, რაც ძიძამ ბავშვი მოატარა, მაგრამ ქალებისგან ვერავითარი მკურნალობა ვერ მიიღო, ბოლოს ტყვესთან მიიყვანეს. მას მრავალი ქალის თანდასწრებით არავითარი ნივთი არ გამოუყენებია, რადგან არც იცოდა. მან აიყვანა ბავშვი, დააწვინა ბეწვისგან მოქსოვილ მის საწოლზე და წარმოთქვა მარტივი სიტყვები: „ქრისტევ, რომელმაც მრავალი განკურნე, ეს ჩვილიც განკურნე“. ილოცა რა ამ სიტყვებით და მოუხმო ღმერთს, მყისვე გამომჯობინდა ყრმა და ამის შემდეგ კარგად გახდა. აქედან ბარბაროსმა ქალებმა ხმა გაავრცელეს, ისე რომ თვით მეფის მეუღლემდეც მიაღწია. ტყვე-ქალის საქმე უფრო მეტად გაცხადდა. არცთუ დიდი ხნის შემდეგ მეფის მეუღლეც უძლურებამ მოიცვა და ტყვე-ქალთან გადაიყვანეს. როდესაც მან ითხოვა, თავისი ზნით ზომიერება გამოიჩინა, იგი

მიიყვანეს მასთან. ტყვემ გააკეთა ის, რაც ყრმისთვის მოიმოქმედა წინათ. მაშინათვე გამომჯობინდა სნეული და მადლი შესწირა ტყვეს. მაგრამ მან მიუგო: „ეს არათუ ჩემი საქმე იყო, არამედ ქრისტესი, რომელიც არის იმ ღმერთის ძე, რომელმაც შექმნა ქვეყნიერება“. ურჩია იგი მოეხმო და შეეცნო ჭეშმარიტი ღმერთი. იბერთა მეფეს გაუკვირდა სენისგან უსწრაფესი განკურნება, იკითხა, თუ ვინ იყო მკურნალი და ძღვენით მიუზღა ტყვეს. მაგრამ მან თქვა, რომ არ სჭირდებოდა სიმდიდრე, რადგან მისი სიმდიდრე იყო სარწმუნოება და დიდ ძღვენს მიიღებდა, თუ შეიცნობდნენ ღმერთს, რომელიც მის მიერ იყო შეცნობილი. ეს თქვა და ძღვენი უკან გააგზავნა. მეფემ ეს სიტყვა გონებაში დაიმარხა. მომდევნო დღეს, როდესაც იგი გავიდა სანადიროდ, მოხდა ასეთი რამ. მთების მწვერვალები და ტყეები, სადაც ნადირობდა, მოიცვა ბურუსის ძლიერმა წყვდიადმა[20]. ნადირობა შეუძლებელი იყო და გზაც უვალი გახდა. მეფე გამოუვალ მდგომარეობაში იყო, მრავალ ღმერთს მოუხმო, რომლებსაც ეთაყვანებოდა. მაგრამ ბევრი ვერაფერი მოხდა, ბოლოს აზრად მოუვიდა ტყვე-ქალის ღმერთი და საშველად მას მოუხმო. როგორც კი ილოცა, ბურუსის წყვდიადი გაიფანტა. მომხდარით გაოცებული და გახარებული დაბრუნდა შინ. რაც მოხდა, უამბო მეუღლეს. მაშინათვე მოიყვანა ტყვე და ჰკითხა, თუ ვინ იყო ის ღმერთი, რომელსაც ის სცემდა თაყვანს. როდესაც ქალი მასთან პირადად მივიდა, იბერთა მეფე გახადა ქრისტეს მქადაგებელი. რამეთუ მან ირწმუნა ამ ღვთისმოსავი ქალის მეშვეობით და ყველა მისი ქვეშევრდომი იბერი შემოკრიბა. იგი მოუყვა არა მხოლოდ მისი მეუღლესთან და ბავშვთან დაკავშირებით მომხდარი ამბები, არამედ ნადირობის დროსაც რაც მოხდა, და შეაგონებდა თაყვანი ეცათ ტყვე-ქალის ღმერთისთვის. ორივე გახდა ქრისტეს მქადაგებელი: მეფე მამაკაცთა, მისი ცოლი კი ქალების. როდესაც მან შეიტყო ტყვე ქალისგან რომაელებთან არსებული ეკლესიების გეგმა, ბრძანა სამლოცველო სახლის

აგება, განკარგულება გასცა მყისვე მოემზადებინათ შენობისთვის საშენი მასალა. და ააგო კიდეც სახლი. როდესაც ცდილობდნენ სვეტების აღმართვას, მოსახლეობაში რწმენის ჩასანერგად ღვთის წინაგანგებამ განაგო შემდეგნაირად. რამეთუ ერთი სვეტი ადგილიდან არ იძროდა და ვერანაირი ხერხით ვერ შეძლეს მისი დაძვრა. თოკი გაწყდა და მოწყობილობა დაიმტვრა. საგონებელში ჩავარდნილი მუშები წავიდნენ. მაშინ წარმოჩნდა ტყვე ქალის რწმენა. ღამით, ისე, რომ არავის შეატყობინა, წავიდა იმ ადგილას და ლოცვით ღამე გაათია. ღვთის წინაგანგებით აღიმართა სვეტი, ფუძის ზემოთ მაღლა დადგა ჰაერში, საფუძველს საერთოდ არ ეხებოდა. დღისით შენობასთან წავიდა მეფე, რომელიც კეთილგონიერი კაცი იყო. დაინახა ფუძის თავზე დაკიდებული სვეტი და განცვიფრდა მომხდარით. ასევე შეძრწუნდნენ მისი თანმხლებნი. არცთუ დიდი ხნის შემდეგ სვეტი ჩავიდა თავის ფუძეში და აღიმართა. შეძახილი აღმოხდა ხალხს და ჭეშმარიტი უწოდეს მეფის რწმენას და უგალობეს ტყვე ქალის ღმერთს. სხვებმაც ირწმუნეს, დიდი გულმოდგინებით აღმართეს დანარჩენი სვეტები და მალე დაასრულეს სამუშაო. ამის შემდეგ ელჩობა გაიგზავნა იმპერატორ კონსტანტინესთან, ითხოვდნენ, რომ ამიერიდან რომაელთა მოკავშირენი გამხდარიყვნენ, მიეცათ ეპისკოპოსი და სასულიერო პირები, – ამბობდნენ, – უბიწოდ რომ ერწმუნათ ქრისტე.

რუფინუსი ამბობს, რომ ეს შეიტყო ბაკურისგან, რომელიც წინათ იყო იბერთა მცირე მეფე (ნაკლებ მნიშვნელოვანი მთავარი, ბასილისკო), შემდეგ რომაელებთან მივიდა და პალესტინაში საჯარისო ნაწილების მეთაურად იქნა დადგინებული, შემდეგ კი სარდლების; იმპერატორ თეოდოსისთან ერთად იბრძოდა ტირან მაქსიმეს წინააღმდეგ. ამგვარად გაქრისტიანდნენ იბერები კონსტანტინეს ზეობის დროს.

XXI თავი
მონაზონ ანტონის შესახებ

ჩვენთვის ზედმეტია იმის მოყოლა, თუ როგორი კაცი იყო იმ დროს ეგვიპტის უდაბნოში მოღვაწე მონაზონი ანტონი,რომელიც ღიად ებრძოდა დემონებს და მარტივად აღმოაჩენდა მათ ხრიკებს და შერკინებებს, ასევე იმისიც, თუ როგორ იქმოდა მრავალ სასწაულს. რადგან ეს დაგვასწრო ალექსანდრიის ეპისკოპოსმა ათანასემ, რომელმაც ერთ წიგნად გადმოსცა მისი ცხოვრება. ასეთი სათნო კაცთა ნაყოფიერება იყო ერთსა და იმავე დროს იმპერატორ კონტანტინეს ზეობისას.

XXII თავი
მანიქეველთა მწვალებლობის დამფუძნებლის, მანესის შესახებ, ასევე თუ საიდან დაედო სათავე

მაგრამ ხდება ხოლმე, რომ სასარგებლო ხორბალში აღმოცენდება სარეველა. შურს ჩვევია, ჩაუსაფრდეს სათნო ადამიანებს. რადგან კონსტანტინეს ზეობამდე ცოტა ხნით ადრე ქრისტიანული ჭეშმარიტების გვერდით აღმოცენდა წარმართული ქრისტიანობა, ასევე წინასწარმეტყველების გვერდით აღმოცენდნენ ცრუწინასწარმეტყველები, ხოლო მოციქულების გვერდით – ცრუ მოციქულები. იმ დროს ბერძენი ფილოსოფოსის, ემპედოკლეს მოძღვრებამ მანიქეველობის მეშვეობით მიიღო ქრისტიანობის ნიღაბი. მის შესახებ ნახსენებია ევსები პამფილელის საეკლესიო ისტორიის მეშვიდე წიგნში, მაგრამ დაწვრილებით არ არის გადმოცემული. ამიტომ, ვფიქრობ, აუცილებელია შეივსოს, რაც მას დარჩა. ცნობილია, თუ ვინ იყო მანიქეველი და როგორ გაკადნიერდა ამის ჩასადენად.

ერთმა სარკინოზმა სახელად სკვითელმა ცოლად შეირთო ზემო თებელი ტყვე ქალი,ვის გამოც ეგვიპტეში დასახლდა და

ეგვიტელთა განათლება მიიღო. მან ემპედოკლეს და პითაგორეს სწავლებები ქრისტიანობაში შემოიტანა. იგი ამბობდა, რომ არსებობდა ორი ბუნება, კეთილი და უკეთური, ემპედოკლეს მსგავსად, უკეთურს უწოდებდა უთანხმოებას, კეთილს – მეგობრობას. ამ სკვითელის მოწაფე გახდა ბუდა, რომელსაც წინათ ეწოდებოდა ტერებინთელი. იგი გაემართა ბაბილონელთა ქვეყანაში, რომელიც სპარსელებით არის დასახლებული და თავისი თავით ძლიერ განაცვიფრა, ამბობდა, რომ ქალწულისგან იყო ნაშობი და მთებში იზრდებოდა. შემდეგ შეადგინა ოთხი წიგნი: ერთს უწოდა „საიდუმლოთა“, მეორეს – „სახარება“, მესამეს – „საუნჯე“, მეოთხეს – „თავები“. რაღაც საიდუმლოებების აღსრულების წარმოდგენისას სულმა გადაისროლა იგი და ასე დაიღუპა. ერთმა ქალმა, ვისთანაც ცხოვრობდა, დამარხა იგი, მისი ქონება მან მიიღო, იყიდა ბავშვი, დაახლოებით შვიდი წლის, სახელად კუბრიკოსი. იგი მან გაათავისუფლა, წერა-კითხვა ასწავლა და რაღაც დროის შემდეგ აღესრულა. ტერებინთოსის მთელი ქონება მას დაუტოვა, ასევე ის წიგნებიც, რომლებიც მან, სკვითელის მიერ განსწავლულმა შეადგინა. როდესაც ესენი მიიღო გათავისუფლებულმა კუბრიკოსმა, დასახლდა სპარსთა რომელიღაც მხარეში და სახელი შეიცვალა მანესად. ბუდა ტერებინთელის წიგნები, ბუნებრივია, მის მიერ შეცთომილებს გადასცა. ამ წიგნების შინაარსი ენით ქრისტიანულია, სწავლებები კი – წარმართული: რადგან იყო რა მანესი უღმერთო, შეაგონებდა, ემსახურათ მრავალი ღმერთისთვის და ასწავლიდა, თაყვანი ეცათ მზისთვის[21]; შემოჰქონდა ბედისწერა, აუქმებდა ჩვენს [თავისუფალ ნებას]; ასევე ღიად ამტკიცებდა გარდასხეულებას[22] ემპედოკლეს, პითაგორეს და ეგვიპტელთა შეხედულებების თანახმად. არ სურდა ქრისტეს სხეულში შობის აღიარება და მასზე ამბობდა, რომ მოჩვენება იყო[23]. რჯულს და წინასწარმეტყველთ უარყოფდა და თავის თავს „ნუგეშისმცემელს“ უწოდებდა; და ამტკიცებდა ყველაფერს, რაც კი მართლმადიდებელი ეკლესიისთვის უცხო არის.

იგი გაკადნიერდა თავისი თავისთვის მოციქული ეწოდებინა მის ეპისტოლეებში. მაგრამ ესოდენი სიცრუის ღირსი საზღაური მიეგო შემდეგი მიზეზით. სპარსელთა მეფის ვაჟიშვილი სნეულებამ მოიცვა. მამამ შვილის გადარჩენის სურვილით, როგორც იტყვიან, ყველა ქვა დაძრა. მან შეიტყო მანიქეველის შესახებაც და მისი სასწაულები ჭეშმარიტებად მიიჩნია, როგორც მოციქული, ისე მოიწვია, სწამდა, რომ გადაარჩენდა მის ვაჟიშვილს. როდესაც იგი მოვიდა, მისთვის ჩვეული წესით შეუდგა მეფის შვილის მკურნალობას. მაგრამ, როდესაც მეფემ დაინახა, რომ ბავშვი მის ხელში მოკვდა, დაამწყდია იგი და მზად იყო, დაესაჯა. მანესი გაიქცა მესოპოტამიაში და გადარჩა. როდესაც სპარსელთა მეფემ შეიტყო, რომ იქ ცხოვრობდა, შეიპყრო და ცოცხლად გააძრო ტყავი. თივით გამოტენა მისი ტყავი და ქალაქის კარიბჭის წინ ჩამოკიდა.

ეს ამბავი არათუ ჩვენ შევთხზეთ, არამედ მესოპოტამიის ერთ-ერთი ქალაქის, კასხაროსის ეპისკოპოსის, არქელაოსის თხზულებიდან გამოვკრიბეთ. თვითონ არქელაოსი ამბობს, რომ პირადად ესაუბრა მას და გადმოსცემს მის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ამბებს, რაც ჩვენ დავწერეთ. ასე რომ, როგორც ითქვა, სათნოების მწვერვალზე ასულ ადამიანთა შორის ჩვევია შურს აღმოცენება. მაგრამ რა მიზეზით უშვებს კეთილი ღმერთი ამას, რომელსაც სურს ან ეკლესიის მოძღვრებათა სიკეთის გამოაშკარავება და რწმენასთან მიბმული სარეველას ამოძირკვა, ან სხვაგვარად რა შეიძლება იყოს, დასჭირდება ძნელი და ხანგრძლივი გადმოცემა, უადგილოა აწ ამის კვლევა, რადგან არც მოძღვრების წარმოჩენა არის ჩვენი მიზანი, არც ღვთის წინაგანგებისა და მსჯავრის შესახებ ძნელად აღმოსაჩენი სწავლებების აღძვრა, არამედ – საეკლესიო საქმეებთან დაკავშირებით მომხდარი ამბების თხრობა ისე, როგორც იყო. ითქვა, თუ როგორ აღმოცენდა კონსტანტინეს ზეობამდე მცირე ხნით ადრე მანიქეველთა სარწმუნოება. დავუბრუნდეთ წინამდებარე ისტორიის პერიოდს.

XXIII თავი
თუ როგორ გამხნევდნენ ევსები ნიკომიდიელი და თეოგნის ნიკეელი და მოშურნედ იღწვოდნენ ნიკეის მრწამსის შესაცვლელად ათანასეს წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობით

ევსების და თეოგნისის მომხრეები დაბრუნდნენ გადასახლებიდან და შევიდნენ ეკლესიებში, როგორც ითქვა, განდევნეს მათ ადგილზე ხელდასხმული პირები. დიდი კადნიერება მოიხვეჭეს იმპერატორთან, რომელსაც ისინი დიდ პატივში ჰყავდა, როგორც მავნე შეხედულებებიდან მართლმადიდებლობაზე მოქცეულნი. მათ ისარგებლეს მინიჭებული კადნიერებით და წინანდელზე დიდი შფოთი აღძრეს მსოფლიოში. ისინი ორი მხრიდან დაიძრნენ: მათ მიერ გაზიარებული არიანული სწავლებიდან და ათანასეს მიმართ მტრობიდან, რადგანაც იგი მათ შეუპოვრად წინ აღუდგა კრებაზე საკვლევ დოგმატებთან დაკავშირებით. პირველად მათ ცილი დასწამეს ათანასეს ხელდასხმას, როგორც ეპისკოპოსობის უღირსს და როგორც არასანდო პიროვნებას. მაგრამ, როდესაც ათანასე ცილისწამებაზე ძლიერი აღმოჩნდა (რადგან განაგებდა რა ალექსანდრიის ეკლესიას, აღტყინებული იბრძოდა ნიკეის მრწამსის გამო), მაშინ ევსების მომხრეებმა მათი მცდელობა გააძლიერეს და მოაწყეს ათანასეს წინააღმდეგ შეთქმულება და არიოზის ალექსანდრიაში დაბრუნება. რადგან მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი „თანაარსის“ მრწამსის განდევნა და არიანელობის მალულად შემოტანა. ევსებიმ მიწერა ათანასეს, მიეღო არიოზი და მისი მომხრეები. წერილში იგი სთხოვდა, საჯაროდ კი ემუქრებოდა. მაგრამ, როდესაც ათანასე არანაირად არ დათანხმდა, მაშინ შეუდგნენ იმპერატორის დარწმუნებას, პირისპირ მიეღო არიოზი და მისთვის ალექსანდრიაში ჩასვლის ნება დაერთო. თუ როგორ შე-

ძლეს ამის გაკეთება, თავის ადგილზე ვიტყვით. ამ მოვლენების წინ სხვა შფოთი გაჩნდა ეკლესიებში. კვლავ ეკლესიის შინაურებმა დაარღვიეს მშვიდობა. ევსები პამფილელი ამბობს, რომ კრების შემდეგ კვლავ აჯანყდა ეგვიპტე თავისი თავის წინააღმდეგ, მაგრამ მიზეზს არ ასახელებს. ამიტომ, მან არაგულწრფელობის სახელი მოიხვეჭა, რადგან თავი აარიდა მიზეზის დასახელებას, რომ არ დათანხმებოდა ნიკეის მრწამსის მომხრეთა მოწონებას. მაგრამ ჩვენ იმ სხვადასხვა ეპისტოლეებიდან აღმოვაჩინეთ, რომლებიც კრების შემდეგ ერთმანეთს მიწერეს ეპისკოპოსებმა, თუ ვის აშფოთებდა გამონათქვამი „თანაარსი“. ამის გარშემო ზედმიწევნით მსჯელობებს უთმობდნენ დიდ დროს და ერთმანეთის წინააღმდეგ ომს აღძრავდნენ. ეს არაფრით განსხვავდებოდა ღამის ბრძოლებიდან. ჩანდა, რომ მათ არ ესმოდათ ერთმანეთის ის მოსაზრებები, რის გამოც მათ გმობდნენ. ზოგიერთები თავს არიდებდნენ სიტყვა „თანაარსის“ გამოყენებას, ფიქრობდნენ, რომ საბელიოზის და მონტანის მოძღვრება შემოჰქონდა მის მიმღებებს. ამიტომ, მათ ღვთის მგმობელებს უწოდებდნენ, როგორც ღვთის ძის არსებობის უარმყოფელებს. ისინი კი, რომლებიც „თანაარსს“ ემხრობოდნენ, ფიქრობდნენ, რომ სხვებს მრავალღმერთიანობა შემოჰქონდათ და განუდგებოდნენ, როგორც წარმართობის შემომტანთ. ევსტათი ანტიოქიელი დასცინოდა ევსები პამფილელს, როგორც ნიკეის მრწამსის გამყალბებელს. ევსები კი ამბობდა, რომ გადაუხვევია ნიკეის მრწამსისთვის, ევსტათის კი ცილს სწამებდა, რომ საბელიოზის მოძღვრება შემოჰქონდა. ამ მიზეზით თითოეული მათგანი მოწინააღმდეგეზე წერდა თხზულებებს. ორივე მათგანი ამბობდა, რომ ღვთის ძე იყო ჰიპოსტასისა და ყოფიერების მქონე, აღიარებდა ერთი ღმერთის სამ ჰიპოსტასში არსებობას. არ ვიცი, თუ როგორ არ შეეძლოთ ერთმანეთთან შეთანხმება და რატომ ვერანაირი გზით ვერ იტანდნენ მშვიდად ყოფნას.

XXIV თავი
ანტიოქიაში გამართული კრების შესახებ, რომელმაც განაყენა ანტიოქიის ეპისკოპოსი ევსტათი, რის გამოც მოხდა ამბოხი ისეთი, რომ ცოტა უკლდა ქალაქის დანგრევას

ამრიგად, მათ, ვინც გამართეს ანტიოქიაში კრება, განაყენეს ევსტათი, როგორც უფრო საბელიოზის მიმდევარი, ვიდრე ნიკეაში განჩინებული მრწამსის. როგორც ზოგიერთები ამბობდნენ, სხვა, არცთუ კეთილი მიზეზის გამო, თუმცა ღიად არ თქმულა. ყოველთვის ასე სჩვევიათ ეპისკოპოსებს, როცა განაყენებენ, ბრალს სდებენ და უღმერთოებს უწოდებენ, მაგრამ უღმერთობის მიზეზს არ ასახელებენ. სირიის ლაოდიკიის ეპისკოპოსი გიორგი, „თანაარსის“ ერთ-ერთი მოძულე, ევსები ემისელისადმი მიძღვნილ შესხმაში წერს, რომ ევსტათი, როგორც საბელიანელი განაყენეს ბეროის ეპისკოპოსის კიროსის ბრალდებით. ემისელი ევსების შესახებ თავის დროზე ვიტყვით. გიორგი წერს ევსტათის შესახებ; იგი ამბობს, რომ ევსტათის კიროსმა ბრალი დასდო საბელიანიზმში, შემდეგ თვით კიროსი დაიჭირეს იმავე ბრალდებებით და განაყენეს. როგორ სდებდა ბრალს საბელიოზის მსგავსად მოაზროვნე კიროსი ევსტათის საბელიანიზმში? ჩანს ევსტათი სხვა საბაბით განაყენეს.

მაშინ ანტიოქიაში მისი განყენების გამო საშინელი ამბოხება მოხდა. ამის შემდეგ ეპისკოპოსზე გამოტანილი განჩინების გამო მრავალგზის ისეთი ცეცხლი გაჩაღდა, რომ ცოტა უკლდა მთელი ქალაქის დანგრევას. მოსახლეობა ორ ნაწილად გაიყო. ზოგი დაობდა ევსები პამფილელის პალესტინის კესარიიდან ანტიოქიაში გადმოყვანისთვის, ზოგი კი ევსტათის უკან დაბრუნებას ესწრაფოდა. ორივე დაჯგუფებამ მოიცვა ქალაქის მთელი მოსახლეობა. ჯარისკაცის ხელი თითქოს მტრის წინააღმდეგ იყო აღმართული და მახვილის აღებასაც აპირებდა, ღმერ-

თის და იმპერატორის წინაშე შიშს რომ არ შეეკავებინა ბრბოს აბობოქრება. იმპერატორმა ეპისტოლეების მეშვეობით დააცხრო მიმდინარე მოვლენები და ამბოხება. ევსებიმ უარი განაცხადა [ანტიოქიაში გადასვლაზე]. ამან აღაფრთოვანა იმპერატორი, მიწერა მას და შეაქო მისი გადაწყვეტილება, უწოდა ნეტარი, რომ არათუ ერთი ქალაქის, არამედ თითქმის მთელი მსოფლიოს ეპისკოპოსობის ღირსი იყო. ამბობენ, ამის შემდეგ რვა წლის განმავლობაში ცარიელი იყო ანტიოქიაში ეკლესიის საყდარი. მოგვიანებით ნიკეის მრწამსის შერყვნის მოწადინეთა მიერ ხელდასხმულ იქნა ევფრონიოსი.

ეს გიამბეთ კრების და ანტიოქიაში ევსტათის გამო მომხდარი მოვლენების შესახებ. ამის შემდეგ მყისვე მოიწადინა ევსებიმ, რომელმაც ადრე დატოვა ბერიტა და მაშინ ეპყრა ნიკომიდიის ეკლესია, არიოზი ჩაეყვანა ალექსანდრიაში. თუ როგორ შეძლო ამის გაკეთება და როგორ დაარწმუნა იმპერატორი, პირისპირ მიეღო არიოზი და მისი თანმხლები ევძოიოსი, ეს უკვე უნდა ითქვას.

XXV თავი
ხუცესის შესახებ, რომელიც ესწრაფოდა არიოზის უკან გამოხმობას

იმპერატორ კონსტანტინეს ჰყავდა და სახელად კონსტანტია. იგი გახდა ლიკინიუსის მეუღლე, რომელიც წინათ იყო იმავე კონსტანტინეს თანაიმპერატორი, მაგრამ შემდეგ გახდა ტირანი და ამის გამო მოკლულ იქნა. მასთან დაახლოებული იყო არიანული მოძღვრების მიმდევარი ერთი ხუცესი და მან იგი თავის შინაურებს შორის დააყენა. ევსებიმ და მისმა მომხრეებმა ის წააქეზეს, სიტყვა ჩამოეგდო კონსტანტიასთან არიოზის შესახებ და ეთქვა, რომ უსამართლოდ მოეპყრო მას კრება და რომ არ ფიქრობდა იგი ისე, როგორც მის შესახებ ამბობენ.

როდესაც ეს მოისმინა კონსტანტიამ, ერწმუნა ხუცესს, მაგრამ ვერ გაბედა იმპერატორისთვის ეთქვა. მოხდა ისე, რომ მძიმე სენი შეეყარა კონსტანტიას. იმპერატორი გამუდმებით ნახულობდა ავადმყოფს. როდესაც ქალი სნეულებისგან უფრო ცუდად გახდა და სიკვდილის პირას იყო, მან ხუცესი ჩააბარა იმპერატორს, დაამოწმა მისი მოშურნეობა და კეთილკრძალულება და თუ როგორ კეთილგანწყობილი იყო მისი ხელმწიფების მიმართ. კონსტანტია მალე გარდაიცვალა. ხუცესი იმპერატორის ყველაზე დაახლოებულ პირთა შორის ირაცხებოდა. მალე გაიზარდა მისი კადნიერება და არიოზის შესახებ იმავე სიტყვებით მიმართა იმპერატორს, რომლებიც მანამდე უთხრა მის დას. ამბობდა, რომ იმისგან განსხვავებულად არ ფიქრობდა არიოზი, რაც განაჩინა კრებამ, მასთან პირისპირ მოსული დაეთანხმებოდა მის განჩინებებს და რომ უგუნურად დასწამეს მას ცილი. იმპერატორს ეუცხოვა ხუცესის სიტყვები და თქვა: „თუ არიოზი დაეთანხმება კრებას და თუ მისი განჩინებების მსგავსად ფიქრობს, მივიღებ მას პირადად და პატივით გავგზავნი ალექსანდრიაში. ეს თქვა და მყისვე მიწერა მას შემდეგი:

„მძლე კონსტანტინე, მაქსიმუსი, ავგუსტუსი, არიოზს.

წინათ ეუწყა შენს სიმტკიცეს, რომ ჩემს სამხედრო ბანაკში მოსულიყავი, რათა ჩვენი ხილვით დატკბობა შეგძლებოდა. ძლიერ გაოცებული ვარ, რომ ეს მყისვე არ შესრულდა. ამიტომ, აწ ჩაჯექი სახელმწიფო ეტლში და იჩქარე ჩემთან მოსასვლელად, რათა მიიღო ჩვენი კეთილგანწყობა და მფარველობა და შეძლო სამშობლოში წასვლა. ღმერთმა დაგიფაროს, საყვარელო.“

ეს არის იმპერატორის ეპისტოლე არიოზის მიმართ. დათარიღებულია დეკემბრის კალენდების მეხუთე დღის წინ. აღფრთოვანებული ვარ იმ გულმოდგინეობითა და მოშურნეობით, რაც იმპერატორმა გამოიჩინა ღვთისმოსავობის მიმართ. ეპის-

ტოლედან ჩანს, რომ ის მრავალგზის შეაგონებდა არიოზს სინანულისკენ; კიცხავს, რომ ბევრჯერ მისწერა მას, მაგრამ არიოზი მყისვე არ დაუბრუნდა ჭეშმარიტებას. არიოზმა მიიღო იმპერატორის ეპისტოლე და არცთუ დიდი ხნის შემდეგ ჩავიდა კონსტანტინოპოლში. მას თან ახლდა ევძოიოსი, რომელიც ალექსანდრემ განაყენა არიოზთან ერთად, როცა ის დიაკონი იყო. იმპერატორმა ის პირადად მიიღო და ჰკითხა, თუ ეთანხმებოდა მრწამსს. როდესაც მათ მზაობა გამოთქვეს, იმპერატორმა მათ უბრძანა წერილობით გადმოეცათ მრწამსი.

XXVI თავი
თუ როგორ მისცა სინანულის წიგნი იმპერატორს უკან გამოხმობილმა არიოზმა და მოჩვენებითად მიიღო ნიკეის მრწამსი

მათ შეადგინეს წიგნი და მიუტანეს იმპერატორს, რომელსაც ჰქონდა შემდეგი სახე:

„ყველაზე კეთილკრძალულ და ღვთივსათნო მეუფეს ჩვენსას, იმპერატორ კონსტანტინეს, არიოზი და ევძოიოსი.

როგორც ბრძანა შენი ღვთისმოყვარეობის კეთილმორწმუნეობამ, მეუფეო იმპერატორო, გადმოვცემთ ჩვენს მრწამსს და წერილობით ვაღიარებთ ღვთის წინაშე, რომ ასე გვწამს ჩვენც და ჩვენთან მყოფებსაც, როგორც ქვემოთ გადმოვცემთ:

გვწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისმპყრობელი; და ერთი უფალი, იესო ქრისტე, მისი ძე, რომელიც მისგან იშვა უწინარეს ყველა საუკუნისა, ღმერთი სიტყვა, რომლის მეშვეობით შეიქმნა ყოველივე, ცათა შინა და ქვეყანაზეც, ჩამოვიდა და განხორციელდა, ევნო, აღდგა, ავიდა ცაში და კვლავ მოვა ცოცხალთა და მკვდართა განსასჯელად; და წმინდა სული; და ხორციელი აღდგომა; და მომავალი საუკუნის ცხოვრება; და ცათა სასუფე-

ველი; და ღვთის ერთი კათოლიკე ეკლესია მიწის კიდეებიდან კიდეებამდე განვრცობილი.

ეს მრწამსი მიგვიღია წმინდა სახარებებიდან, როდესაც უფალი ეუბნება თავის მოწაფეებს: „წადით და დაიმოწაფეთ ყველა წარმართი, ნათელს სცემდით მათ მამის, ძის და წმინდა სულის სახელით“ (მათ. 28, 9). თუ ეს ასე არ გვწამს და მართლა არ ვღებულობთ მამას, ძეს და სულიწმინდას, როგორც მთელი კათოლიკე ეკლესია და წმინდა წერილი ასწავლის, რაც სრულად გვწამს, ჩვენი მსაჯული იყოს ღმერთი, აწ და მომავალ სამსჯავროზე. ამიტომ, ვთხოვთ შენს ღვთისმოსავობას, უღვთისსათნოესო იმპერატორო, ჩვენ ეკლესიურებად მყოფნი და ეკლესიისა და წმინდა წერილის მრწამსის და აზრის მქონენი შეგვაერთე შენი მშვიდობისმყოფელი და ღვთისმოსავი კეთილმორწმუნეობის მეშვეობით ჩვენს დედას, ეკლესიას; შეწყდეს გამოძიებები და მრავალმეტყველება, რათა ჩვენც და ეკლესიაც დამშვიდდეს, და ერთობლივად ყველამ აღვავლინოთ ლოცვები შენი იმპერიის მშვიდობისა და მთელი შენი მოდგმის გამო.“

XXVII თავი
თუ როგორ ჩავიდა არიოზი ალექსანდრიაში იმპერატორის ნებით და არ მიიღო ათანასემ; თუ როგორ მოაწყვეს ევსების მომხრეებმა ათანასეს წინააღმდეგ სხვადასხვა ცილისწამებები იმპერატორის წინაშე

ასე დაარწმუნა არიოზმა იმპერატორი და წავიდა ალექსანდრიაში. თუმცა, შეთქმულება ჭეშმარიტებაზე ძლიერი არ აღმოჩნდა, რადგან ალექსანდრიაში ჩასული არიოზი არ მიიღო ათანასემ, როგორც სიბილწეს ზურგი აქცია. არიოზმა კვლავ სცადა შემოჭრილი მწვალებლობის ხელახლა აღძვრა. მაშინ

ევსების მომხრეებმა მიწერეს და იმპერატორი შეამზადეს, მიეწერა, რათა მიეღოთ არიანელები. ათანასე სრულებით უარს აცხადებდა მათ მიღებაზე, იმპერატორს მისწერა და აცნობა, რომ არ ძალუძდა მათი კვლავ მიღება მოქცევის შემდეგ, რომლებიც საერთოდ განუდგნენ რწმენას და ანათემაზე იქნენ გადაცემული. იმპერატორს ეს ემძიმა და ათანასეს მუქარით მიწერა. ეს არის იმპერატორის ეპისტოლეს ნაწილი.

„როდესაც შენთვის ცნობილია ჩემი ნება, დაუბრკოლებლად მიეცა საშუალება ეკლესიაში შევიდეს ყველა, ვისაც ეს სურს. რადგან თუკი შევიტყობ, რომ დაბრკოლებულია ზოგიერთები ეკლესიაში, რომლებმაც აზრი შეიცვალეს, ან დაუკეტეს შესასვლელი, ჩემი ბრძანებით მყისვე წარვგზავნი, ვინც შენ განგაყენებს და გადასახლებაში გაგიშვებს.“

ეს მიწერა იმპერატორმა საყოველთაო სიკეთისათვის და არ სურდა ეკლესიის გაყოფა. ესწრაფოდა, რომ ყველა ერთსულოვნებაში მოეყვანა. მაშინ ევსების მომხრეებმა ჩათვალეს, რომ მარჯვე დრო დაუდგათ მათ, ათანასეს მიმართ მტრულად განწყობილებმა იმპერატორის წუხილი თავიანთ მიზანს დაუქვემდებარეს. ამიტომ, მათ აამღვრიეს საქმის ვითარება და ეშურებოდნენ ათანასეს ეპისკოპოსობიდან განყენებას. რადგან მხოლოდ ასე იმედოვნებდნენ არიანული მოძღვრების გამარჯვებას, თუ ათანასეს დაამარცხებდნენ. მის წინააღმდეგ ერთობლივად მოქმედებდნენ ევსების ნიკომიდიელი, თეოგნის ნიკეელი, მარის ქალკედონელი, ურსაკიუს სინგოდონელი ზემო მიზიიდან და ვალენტი პანონიის მურსადან. მათ მოისყიდეს ზოგიერთი მელეტიოსის მწვალებლობის მიმდევარი და ათანასეს წინააღმდეგ სხვადასხვა ბრალდებები აღძრეს. პირველად მათ აამოქმედეს ცილისწამება მელეტიანელების, ისიონოსის, ევდაიმონოსის და კელინიკეს მეშვეობით,თითქოს ათანასემ უბრძანა ეგვიპტელებს სელის ტანისამოსით გადაეხადათ გადასახადები ალექსანდრიის ეკლესიისთვის. მაგრამ ეს ცილისწამება განაქარვეს ალექსან-

დრიის ხუცესებმა, ალიპიოსმა და მაკარიმ, რომლებიც იმ დროს შემთხვევით იმყოფებოდნენ ნიკომიდიაში; იმპერატორს აცნობეს, რომ სიცრუე იყო ათანასეს წინააღმდეგ ნათქვამი. ამიტომ, იმპერატორი კიცხავს მის ბრალმდებლებს წერილებში, მაგრამ ათანასეს მიმართავს, რომ მასთან მივიდეს. მაგრამ სანამ ჩამოვიდოდა, ევსების მომხრეებმა დაასწრეს და სხვა ცილისწამება მიაბეს პირველს, წინანდელზე გაცილებით უარესი, თითქოს ათანასე შეთქმულებას უწყობდა იმპერატორს და ვიღაც ფილომენეს გაუგზავნა ოქროთი სავსე ზარდახშა. მაგრამ ამ დროს იმპერატორი იმყოფებოდა ნიკომიდიის გარეუბანში, ფსამათიაში, გამოიკვლია, ათანასე უდანაშაულოდ სცნო და პატივით გაისტუმრა; ალექსანდრიის ეკლესიას მიწერა, რომ მათ ეპისკოპოს ათანასეს სიცრუე დასწამეს. ამის შემდეგ თუ რა მოიმოქმედა ევსების დაჯგუფებამ ათანასეს წინააღმდეგ, კარგი და ჯეროვანი იქნება, დუმილს გადაეცეს, რათა ქრისტეს ეკლესია არ უგულებელყონ არაქრისტიანებმა. მაგრამ ვინაიდან წერილობით გადმოიცა და ყველასათვის ნათელი გახდა, ამიტომ აუცილებლად ჩავთვალეთ, მოკლედ ითქვას, რაც ცალკე თხზულებას საჭიროებს. მოკლედ ვიტყვი, თუ საიდან დაედო დასაბამი ცილისწამების საბაბს და ცილისწამების აღმძვრელებს.

მარეოტი არის ალექსანდრიის უბანი. მასში არის ძალიან ბევრი ხალხმრავალი დაბა, მათში კი – მრავალი ბრწყინვალე ეკლესია. ეს ეკლესიები ექვემდებარება ალექსანდრიის ეპისკოპოსს და მისი ქალაქის მმართველობის ქვეშ არიან, როგორც სამრევლოები. ამ მარეოტში ერთმა კაცმა სახელად ისხირასმა თავი ჩაყო საქმეში, რომელიც მრავალგზის სიკვდილს იმსახურებდა. მან, ისე რომ არასოდეს მიუღია მღვდლობა, მიისაკუთრა ხუცესის სახელი და გაბედა მღვდელმოქმედების აღსრულება. ზემოხსენებულ ქმედებებში მხილებული ისხირასი იქიდან გაიქცა, ჩავიდა ნიკომიდიაში და მივიდა ევსების დაჯგუფებაში. მათ ათანასეს სიძულვილით მიიღეს ის, როგორც ხუცესი. დაპირდ-

ნენ ეპისკოპოსის ღირსებით პატივის მიგებას, თუ ბრალდებას წამოაყენებდა ათანასეს წინააღმდეგ, საბაბად აიღეს, რაც ისხირასმა შეთხზა. მან გაავრცელა ხმა, თუ რა ყოვლად საშინელი გზით ევნო მას ძალადობის შედეგად; და რომ მაკარი შევარდა საკურთხეველში, დაანგრია ტრაპეზი, საიდუმლოს ბარძიმი დაამსხვრია, და წმინდა წერილი დაწვა. როგორც ითქვა, მისი ბრალდების საზღაურად ეპისკოპოსობას დაპირდნენ. მათ იცოდნენ, რომ მაკარის წინააღმდეგ ბრალდება ბრალდებულთან ერთად მის წარმგზავნელ ათანასისაც განაყენებდა. ეს ბრალდება მოგვიანებით შეადგინეს. მაგრამ მანამდე უნდა გიამბოთ ერთი საზარელი საქმე, რომლის შესახებაც უნდა ითქვას.

მათ აიღეს ხელი, არ ვიცი საიდან, ვინმე მოკლეს და ხელი მოკვეთეს, თუ უკვე მიცვალებული ამოთხარეს; ღმერთმა უწყის და თვით ამ საქმის ჩამდენებმა. აჩვენეს ეს ხელი, როგორც მელეტინელი ეპისკოპოსის, არსენის. გამოიტანეს ეს შუაში, არსენი კი დამალეს, და თქვეს, რომ ეს ხელი ათანასეს ჰქონდა რაღაც მჩხიბაობისთვის. ასე რომ, უდიდესი საფუძველი, რომელიც ცილისმწამებლებმა შეადგინეს, იყო შემდეგი სახის. როგორც ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში, სხვები სხვა რამეს აბრალებდნენ მას. მაშინ განსაკუთრებით ბევრი ბრალდება დაუმატეს მისმა მტრებმა. როდესაც ეს შეიტყო იმპერატორმა, მიწერა მის ბიძაშვილს, ცენზორ დალმაციუსს, რომელიც იმყოფებოდა სირიის ანტიოქიაში, მოეყვანა ბრალმდებლები და მხილებულის საქმეების სამართალი დაედგინა. გაგზავნა ევსები თეოგნისთან ერთად, რათა მათი თანდასწრებით განსჯილიყო ათანასე. როდესაც მან შეიტყო,რომ ცენზორი უხმობდა მას,გაგზავნა ეგვიპტეში არსენის მოსაძებნად. გაიგო, რომ ის დამალული იყო, მაგრამ მისი შეპყრობა შეუძლებელი იქნა, ვინაიდან ის ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა. იმპერატორმა შეაჩერა ცენზორის წინაშე გამართული სამსჯავრო, შემდეგი მიზეზით.

XXVIII თავი
თუ როგორ მოამზადა იმპერატორმა ტვიროსში ეპისკოპოსების კრება ათანასეს წინააღმდეგ აღძრული ბრალდებების გამო

იმპერატორმა გამოაცხადა ეპისკოპოსთა კრების გამართვა სამლოცველო სახლის კურთხევისას, რომელიც იერუსალიმში ააგო. მან ბრძანა, რომ გზად ჯერ ტვიროსში შეკრებილიყვნენ ეპისკოპოსები და ათანასესთან დაკავშირებული საქმე გამოეძიებინათ, რათა ჯერ იქ დამარცხებულიყო გაღიზიანება და შემდეგ უფრო დამშვიდებულად აღესრულებინათ ეკლესიის დღესასწაული და მიეძღვნათ ის ღვთისთვის. ეს მოხდა კონსტანტინეს ზეობის ოცდამეათე წელს. ტვიროსში სხვადასხვა ადგილებიდან ჩავიდა სამოცი ეპისკოპოსი, კონსულმა დიონისემ შეკრიბა ისინი. მოიყვანეს მაკარი, ხუცესი ალექსანდრიიდან, ბორკილდადებული, ჯარისკაცების ხელით. მაგრამ ათანასეს არ სურდა ჩასვლა, არათუ ასეთ ბრალდებას თავს არიდებდა, არც იცნობდა ბრალმდებლებს, არამედ ეშინოდა არ დათანხმებოდა ნიკეის მრწამსის გარდა მაშინდელი კრების მიერ რაიმე სიახლის შემოღებას. მაგრამ ერიდებოდა იმპერატორის მუქარის წერილებსაც, რადგან მას მისთვის მიწერილი ჰქონდა, რომ თუ ნებით არ ჩამოვიდოდა, ძალდატანებით ჩამოიყვანდნენ. ასე რომ, იძულებით ესწრებოდა ათანასეც.

XXIX თავი
არსენიოსის და მისი ხელის შესახებ, რომელზეც ამბობდნენ, რომ მოკვეთილი ჰქონდა

ღვთის რამ წინაგანგებით არსენიოსი გაიქცა ტვიროსში. მან არად ჩააგდო მისი მომსყიდველი ბრალმდებლების დავალება,

მომავალი მოვლენების სანახავად ფარულად ჩავიდა. მოხდა ისე, რომ კონსულ არქელაოსის მსახურებმა დუქანში მოისმინეს, რომ არსენიოს, რომელზეც ამბობდნენ, მკვდარი იყო, ერთ სახლში მალულად იმყოფებოდა. როდესაც ეს მოისმინეს და უჩვენეს ისინი, რომლებიც ამას ამბობდნენ, მოსმენილი განუცხადეს მათ ბატონს. მან კი დაუყოვნებლივ დაიწყო მისი ძებნა და იპოვა,და ნაპოვნი უსაფრთხოდ შეიფარა. ცხადია, ათანასეს არ აშფოთებდა, როცა იცოდა, რომ არსენიოსი ცოცხალი იყო. შეპყრობილი არსენიოსი უარობდა თავის ვინაობას. მაგრამ ტვიროსის ეპისკოპოსმა პავლემ, რომელიც მას ადრე იცნობდა, საეაშკარაოზე გამოიყვანა იგი. როდესაც ეს კეთილად შეამზადა წინაგანგებამ, მალე კრებამ მოუხმო ათანასეს. მისი თანდასწრებით ცილისმწამებლებმა შუაში გამოიტანეს ხელი და ბრალდებას დაჟინებით ამტკიცებდნენ. მან საქმის ვითარება ბრძნულად შეაბრუნა. დამსწრე ბრალმდებლებს ჰკითხა, რომელი მათგანი იცნობდა არსენიოსს. ბევრმა თქვა, რომ იცნობდა მას. მაშინ შემოიყვანეს არსენიოსი, რომელსაც მოსასხამის ქვეშ ჰქონდა ხელი. შემდეგ კვლავ იკითხა: „ეს არის მოკლულის ხელი?“ ისინი ამ საოცრების ხილვისას შეძრწუნდნენ, მათ გარდა, ვინც იცოდა, საიდან იყო ხელი მოკვეთილი. მაგრამ დანარჩენებს მართლა ეგონათ, რომ არსენიოსს ხელი აკლდა და მოელოდნენ, რომ ათანასე სხვა საბაბით დაიცავდა თავს. მაგრამ მან ასწია არსენიოსის მოსასხამის ერთი მხარე და გამოაჩინა ადამიანის ხელი. კვლავ ფიქრობდნენ, რომ მეორე ხელი აკლდა მას, ცოტათი შეიცადა, ეჭვში ჩავარდნენ. შემდეგ მეორე ნაწილიც აჰხადა და არსენიოსის მეორე ხელი გამოაჩინა. ასე უთხრა იქ დამსწრეთ: „როგორც ხედავთ, არსენიოსს ორი ხელი აღმოაჩნდა. ბრალმდებლებმა აჩვენონ, მესამეს ადგილი, საიდანაც მოიკვეთა“.

XXX თავი
თუ როგორ გაიქცნენ ბრალმდებლები, როდესაც ათანასე ბრალდებებისგან უდანაშაულო აღმოჩნდა

როდესაც ასე მოხდა არსენიოსთან დაკავშირებით, მზაკვრობის შემთხზველები საგონებელში ჩავარდნენ. ბრალმდებელი აქაბი, იგივე იოანე, დაუსხლტა სამსჯავროს და ხმაურის დროს გაიქცა. ასე ჩამოსცილდა ათანასეს ეს ბრალდება, ისე რომ არავითარი საჩივრის განხილვაზე პროტესტი არ გამოუთქვამს. დარწმუნებული იყო, რომ ცილისმწამებლებს ზარს დასცემდა მხოლოდ ცოცხალი არსენიოსის ხილვა.

XXXI თავი
თუ როგორ არ მიიღეს ეპისკოპოსებმა ათანასეს თავის მართლება მეორე ბრალდებაზე, ხოლო ათანასე იმპერატორთან გაიქცა

მაკარის წინააღმდეგ ცილისწამებებზე ათანასემ კანონიერი ფორმით განაცხადა პროტესტი. პირველად პროტესტი გამოთქვა ევსების მომხრეებზე, როგორც მის მტრებზე, თქვა, რომ არ უნდა განსჯილიყო იურიდიული მხარის წინაშე, გარდა ამისა, უნდა ეჩვენებინათ, ისხირასი მართლა თუ იყო ხუცესობის ღირსი. რადგან ასე იყო ჩაწერილი ბრალდებაში. მას შემდეგ, რაც მსაჯულებმა არ მიიღეს ეს პროტესტი, შემოტანილ იქნა საქმე მაკარის წინააღმდეგ. ბრალმდებლები დაიღალნენ და მოსმენა გადაიდო, რომლის დროსაც ვინმე უნდა ჩასულიყო მარეოტში, რათა ადგილზე გამოეძიათ სადავო საქმე. მაგრამ ათანასემ იცოდა, რომ გაგზავნილი იყვნენ ისინი, რომლებზეც მან გამოთქვა პრო-

ტესტი. რადგან გაიგზავნა თეოგნისი, მარისი, თეოდორე, მაკედონიოსი, ვალენტი, ურსაკიუსი. მან შესძახა, რომ შეთქმულება იყო და მზაკვრობა, რაც ხდებოდა, რადგან სამართლიანი არ იყო, რომ ხუცესი მაკარი ბორკილებში ყოფილიყო, ბრალმდებელი კი მტრულად განწყობილ მსაჯულებთან ერთად ყოფილიყო, რის გამოც ერთი მხრის ჩანაწერებით წარიმართებოდა სასამართლო განხილვა. როდესაც ეს დაიძახა ათანასემ მთელი სინოდის და კონსულ დიონისეს წინაშე და მისი არც ერთი სიტყვა არ შესრულდა, მალულად წავიდა. მარეოტში წარგზავნილებმა ერთი მხარის ჩანაწერები გააკეთეს, სიმართლედ მიიღეს, რასაც ბრალმდებელი ამბობდა.

XXXII თავი
თუ როგორ განაჩინა კრებამ ათანასეს განყენება, როდესაც იგი წავიდა

ათანასე წავიდა და მალე მივიდა იმპერატორთან. კრებამ მას დაუსწრებლად მიუსაჯა. როგორც კი მარეოტში ნამოქმედარი იქნა წარდგენილი, მას განყენება განუჩინეს, განყენების განჩინებაში ბევრი გაკიცხეს იგი, მკვლელობაზე ცილისმწამებლების ბრალდების მარცხზე დუმილი დაიცვეს. მიიღეს ის არსენიოსი, რომელზეც ამბობდნენ, რომ მკვდარი იყო. იგი წინათ მელიტინელთა ეპისკოპოსი იყო და მაშინ ათანასეს განყენებას ხელი მოაწერა როგორც ჰიფსელოპოლისის ეპისკოპოსმა. საოცრებაა, ათანასეს მოკლულად გამოცხადებულმა ცოცხალმა განაყენა ათანასე.

XXXIII თავი
თუ როგორ ჩავიდა კრება ტვიროსიდან იერუსალიმში და აკურთხეს ახალი იერუსალიმი, არიანელები კი თანაზიარებაში მიიღეს

მაშინ მოვიდა იმპერატორის წერილები, რომელიც მიუთითებდა კრებას სწრაფად ჩასულიყო ახალ იერუსალიმში. როგორც კი მიიღეს, მყისვე სწრაფად გაემგზავრნენ იერუსალიმში. საყოველთაო დღესასწაული მოაწყვეს ადგილების კურთხევაზე. არიოზი და მისი მომხრეები მიიღეს, ამბობდნენ, რომ იმპერატორის წერილებს ემორჩილებოდნენ, რომელთა მეშვეობით ეუწყებოდა მათ, რომ იმპერატორი დარწმუნებული იქნა არიოზის და ევძოიოსის მრწამსთან დაკავშირებით. მიწერეს ალექსანდრიის ეკლესიას, რომ სრულებით განდევნილ იქნა შური და მშვიდობაში დაიმკვიდრა საეკლესიო საქმეებმა; და რომ არიოზმა სინანულის შედეგად შეიცნო ჭეშმარიტება, ისე რომ ამიერიდან ეკლესიაში იყო, სამართლიანად იქნა მათ მიერ მიღებული; უცხადებდნენ, რომ ათანასე განდევნილი იყო. არა მხოლოდ ეს, არამედ იმპერატორსაც აცნობეს მათ მიერ მიღებული დადგენილებების შესახებ. როდესაც ასე იყვნენ განწყობილი ეპისკოპოსები, მიიღეს იმპერატორის სხვა წერილი, რომელიც აუწყებდა ათანასეს მასთან მიყვანას და აუცილებელი იყო მათი ჩასვლა კონსტანტინოპოლში მის გამო. იმპერატორისგან მიღებული წერილი არის შემდეგი სახის:

XXXIV თავი
თუ როგორ მოუხმო კრებას იმპერატორმა თავისთან ეპისტოლის მეშვეობით, რათა მის წინაშე ზედმიწევნით გამოკვლეულიყო ათანასესთან დაკავშირებული საქმე

„მძლე კონსტანტინე, მაქსიმუსი, ავგუსტუსი, ტვიროსში შეკრებილ ეპისკოპოსებს.

მე არ ვიცი, რა განჩინება იქნა გამოტანილი თქვენი კრების მიერ შფოთსა და მღელვარებაში. ჩანს, რაღაც არეული უწესრიგობით გამრუდდა ჭეშმარიტება, ცხადია, თქვენ მიერ ერთმანეთის გასაღიზიანებლად, რაც დაუძლეველი გგონიათ, და ვერ დაინახეთ, რა ეთნება ღმერთს. მაგრამ დაე, იყოს ღვთის წინაგანგების საქმე, და განქარდეს ამ ქიშპობის აშკარად აღმოცენებული ბოროტება. ჩვენთვისაც ნათლად წარმოჩნდა, თუ გამოიჩინეთ ჭეშმარიტებაზე რაიმე ზრუნვა იქ შეკრებილებმა, და განჩინება თუ ვინმეს გულის მოსაგებად ან მტრობით გამოიტანეთ. ამიტომ, მნებავს სასწრაფოდ მოხვიდეთ ყველა ჩემს კეთილკრძალულებასთან, რათა თქვენ მიერ ნამოქმედარის სიზუსტე თვით ჩვენ მიერაც განმტკიცდეს. თუ რისი გულისთვისაც მივიჩნიე საჭიროდ ამის თქვენთვის მიწერა, და თქვენ ჩემთან მოგიხმობთ წერილის მეშვეობით, ამას შემდეგი მოვლენებით შეიტყობთ. ჩვენს მოსახელე და ყოვლად ბედნიერ სამშობლოში, კონსტანტინოპოლში ჩამოსულს, როდესაც ცხენს მივაჭენებდი, უცბად შუა გზაზე შემხვდა ეპისკოპოსი ათანასე სხვებთან ერთად, რომლებიც თან ახლდა მას; ასე მოულოდნელად მოვიდა, ისე რომ, მეტად გავოცდი. მოწმეა ყოველივეს ზედამხედველი ღმერთი, რომ პირველად არ ვიცოდი, თუ ვინ იყო იგი, ზოგიერთებს რომ არ გამოეკითხათ, თუ ვინ იყო და რა უსამართლობა ევნო მას, და, როგორც წესია, შემატყობინეს მე. იმ დროს მე არ მიმსჯელია მასთან და არც გავსაუბრებივარ. იგი ითხოვდა, მაგრამ მე უარი

ვუთხარი, ცოტაც და მის განდევნას ვუბრძანებდი, რომ სხვაზე უფრო მეტი კადნიერებით ითხოვდა, თქვენი ჩამოსვლის საბოძვარს მთხოვდა, რათა თქვენი თანდასწრებით შეძლებოდა დაეჩივლა, რაც ევნო. რადგანაც გონივრული იყო და შესაფერისი ჟამიც ჩანდა, სიამოვნებით ვბრძანე მიეწერათ თქვენთვის, რათა ყველა თქვენგანი, რომლებმაც შეავსეთ ტვიროსში გამართული კრება, დაუყოვნებლივ ჩვენი მოწყალების ბანაკში მოსულიყავით და ჩვენ წინაშე თვით საქმეებით აჩვენოთ თქვენი მსჯავრის სიწმინდე და გაუმრუდებლობა, რაც ღვთის ნამდვილი მსახურება არის, არ იქნას უარყოფილი. ამგვარად, ღვთის მიმართ ჩვენი მსახურების მეშვეობით ყველგან მშვიდობა დამყარდეს და თვით ბარბაროსებისგან ჭეშმარიტად იკურთხოს ღვთის სახელი, რომლებმაც დღემდე არ უწყიან ჭეშმარიტება; ცხადია, თუ ჭეშმარიტება არ იციან, ვერც ღმერთს იმეცნებენ. თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, აწ ჩემი მეშვეობით ბარბაროსებმაც შეიცნეს ჭეშმარიტი ღმერთი და ის, თუ როგორ უნდა ემსახურონ მას, და ისწავლეს კეთილკრძალულება, რომლის მფარველობა და მზრუნველობა თვით საქმეებითაც მეთნება. ამიტომ, კარგად შეიცნეს ღმერთი, რომელსაც ისინი ჩვენი შიშით თაყვანს სცემენ. როდესაც ჩვენ მისი კეთილგანწყობის საიდუმლოს განვრცელება გადავწყვიტეთ, რომ არ ვთქვათ დაცვა, არაფერს ვიქმთ, რაც განხეთქილებას და სიძულვილს განამტკიცებს, და მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანთა მოდგმას დასაღუპად წირავს. ასე რომ, მოდით, როგორც ზემოთ ითქვა, ყველამ ჩემთან იჩქარეთ, დარწმუნებულნი იმაში, რომ მთელი ძალით ვეცდები საქმის გამოსწორებას, რათა ღვთის რჯულით უპირველეს ყოვლისა უშეცდომოდ იქნას ყოველივე დაცული, რასაც შეუძლებელია დაემუქროს გმობა ან რაიმე სახის ბოროტი შეხედულებები; აშკარად გაიფანტება და მთლიანად შეიმუსრება, სრულებით გაუჩინარდება მტრების კანონი, რომლებიც რადაცის საბაბით წმინდა სახელს მრავალგვარ და სხვადასხვანაირ მკრეხელობას დაატეხენ თავს“.

XXXV თავი
თუ როგორ არ წავიდა კრება იმპერატორთან და ევსების მომხრეებმა ცილი დასწამეს ათანასეს, რომ იმუქრებოდა უკან გააბრუნებდა ალექსანდრიიდან კონსტანტინოპოლში გასაგზავნ პურს; რის გამოც აღიძრა იმპერატორი და გადასახლებაში გაგზავნა ათანასე, ბრძანა გალიაში დასახლებულიყო

ამ წერილმა კრების მონაწილენი დააშინა. ამიტომ, მრავალი მათგანი თავიანთ ქალაქში დაბრუნდა. ევსების, თეოგნისის, მარისის, პატროფილეს, ურსაკიუსის და ვალენტის დაჯგუფების წევრები კონსტანტინოპოლში წავიდნენ. ნება არ დართეს, გამოძიება წარმოებულიყო ბარძიმის ან ტრაპეზის დამსხვრევაზე, ან არსენიოსის მკვლელობაზე, არამედ სხვა ცილისწამებაზე გადავიდნენ, და იმპერატორს შეატყობინეს, რომ ათანასე იმუქრებოდა, რომ ხელს შეუშლიდა პურის გაგზავნას, რომელიც ჩვეულებრივ ალექსანდრიიდან მიჰქონდათ კონსტანტინოპოლში, და ეს ათანასესგან მოესმინათ ეპისკოპოსებს: ადამანტიოსს, ანაბიონას, არბათიონას და პეტრეს. ცილისწამება განმტკიცდა, რადგან ცილისმწამებელი სანდო კაცი იყო. ამით მოტყუებულ იქნა იმპერატორი და რისხვად აღიძრა, გადასახლებაში განდევნა ათანასე და ბრძანა, გალიაში დასახლებულიყო. ზოგიერთი ამბობდა, რომ ეს გააკეთა იმპერატორმა იმ მიზნით, რომ გაეერთიანებინა ეკლესია, ვინაიდან ათანასე სრულიად უარს აცხადებდა არიოზის მომხრეებთან თანაზიარებაზე. ათანასე ცხოვრებას ატარებდა გალიის ტრევერში.

XXXVI თავი
მარკელოს ანკვირელის და ასტერიოს სოფისტის შესახებ

კონსტანტინოპოლში შეკრებილმა ეპისკოპოსებმა ასევე განაყენეს მცირე გალატიაში მდებარე ქალაქ ანკვირიის ეპისკოპოსი მარკელოსი. მიზეზი იყო შემდეგი. ვინმე ასტერიოსი კაბადოკიაში ეწეოდა სოფისტობას, შემდეგ მიატოვა ეს ხელობა და აღთქმა დადო, რომ გაქრისტიანდებოდა. მაგრამ შეუდგა ნაშრომების წერას, რომლებმაც დღემდე მოაღწია. ასტერიოსი მათი მეშვეობით განამტკიცებდა არიოზის სწავლებას, ამბობდა, რომ ქრისტე იმგვარად იყო ღვთის ძალა, როგორც მოსესთან არის ნათქვამი, რომ კალია და მატლი არის ღვთის ძალა, და სხვა მსგავს რამეებსაც ამბობდა. ასტერიოსი გამუდმებით იმყოფებოდა ეპისკოპოსებთან, განსაკუთრებით მათთან, რომლებიც არ უარყოფდნენ არიოზის მოძღვრებას. კრებებზე დადიოდა და ეწადა, შეპარულიყო რომელიმე ქალაქის საეპისკოპოში, მაგრამ მღვდლობას ვერ მიაღწია იმის გამო, რომ მსხვერპლი ჰქონდა შეწირული დევნულების ჟამს. იგი დადიოდა სირიის ქალაქებში და წარმოაჩენდა იმ ნაწარმოებებს, რომლებიც შექმნა. როდესაც ეს შეიტყო მარკელოსმა, სურდა მას წინ აღდგომოდა და საპირისპირო მხარეს გადავარდა. რადგან, როგორც სამოსატელმა გაბედა, ეთქვა, რომ ქრისტე იყო უბრალო ადამიანი. როდესაც ეს შეიტყვეს მაშინ იერუსალიმში შეკრებილებმა, ასტერიოსის შესახებ სიტყვა არ დაუძრავთ, რადგან მღვდლების სიაში არ იყო განწესებული. მაგრამ მარკელოსს, როგორც მღვდელს, პასუხი მოსთხოვეს მის მიერ შედგენილი წიგნის გამო. როგორც კი აღმოაჩინეს, რომ იგი სამოსატელის მსგავსად ფიქრობდა, უბრძანეს შეეცვალა შეხედულება. მარკელოსს შერცხვა და პირობა დადო, რომ დაწვავდა წიგნს. მალე დაიშალა ეპისკოპოსების კრება, როდესაც იმპერატორმა კონსტანტინოპოლში მოუხმო

მათ, მაშინ ევსების მომხრეები კონსტანტინოპოლში იმყოფებოდნენ და კვლავ გამოიძიეს მარკელოსთან დაკავშირებული საქმე. როდესაც მარკელოსმა არ ისურვა უჯერო თხზულების დაწვა, როგორც დაპირდა, იქ მყოფებმა განაყენეს იგი, მის ნაცვლად კი ანკვირაში გაგზავნეს ბასილი. ეს თზულება ევსებიმ სამ წიგნში განაქიქა და გამოააშკარავა მისი ბოროტი შეხედულებები. მარკელოსმა მოგვიანებით სარდიკიის კრებაზე დაიბრუნა ეპისკოპოსობა, თქვა, რომ ვერ გაიგეს მისი თხზულებები და ამიტომ მიაწერეს მას სამოსატელის მოძღვრება. ამის შესახებ თავის ადგილას ვიტყვით.

XXXVII თავი
თუ როგორ გადმოიყვანა იმპერატორმა არიოზი მას შემდეგ, რაც ათანასე ალექსანდრიიდან გადასახლებაში წავიდა; და მან აღაშფოთა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი ალექსანდრე

ეს ამბები მოხდა კონსტანტინეს ზეობის ოცდამეათე წელს. არიოზი მის მომხრეებთან ერთად ჩავიდა ალექსანდრიაში, კვლავ შფოთი ჩამოაგდო ყველგან, როდესაც ალექსანდრიის მოსახლეობა შეწუხდა არიოზის და მის გარშემო მყოფთა ჩამოსვლაზე და ასევე იმაზეც, რომ მათი ეპისკოპოსი ათანასე გადასახლებაში გაგზავნეს. როდესაც იმპერატორმა შეიტყო, რომ არიოზმა შეიცვალა აზრი, ბრძანა, კვლავ კონსტანტინოპოლში წასულიყო ის და პასუხი გაეცა იმის გამო, რისი კვლავ აღძვრაც სცადა. მოხდა ისე, რომ მაშინ კონსტანტინოპოლში ეკლესიის წინამდგომელი იყო ალექსანდრე, რომელმაც შეცვალა წინანდელი მიტროფანე. იგი იყო ღვთივსათნო კაცი, რაც წარმოაჩინა მაშინ არიოზის წინააღმდეგ ბრძოლამ. როდესაც ჩამოვიდა არიოზი და ხალხი კვლავ ორ ნაწილად გაიყო, შფოთი ჩამოვარდა ქალაქში. ერთნი ამბობდნენ, რომ არავითარ შემთხვევაში არ

უნდა შერყეულიყო ნიკეის მრწამსი; მეორენი კი დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ გონივრული იყო არიოზის შეხედულება. უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა ალექსანდრე, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ევსები ნიკომიდიელი ბევრს ემუქრებოდა მას, ეუბნებოდა, რომ განაყენებდა მას, თუ თანაზიარებაში არ მიიღებდა არიოზს და მის მომხრეებს. ალექსანდრე იმდენად ამ განყენებაზე არ დარდობდა, რამდენადაც ეშინოდა, რომ მოძღვრებას გაანადგურებდნენ ასეთი მოშურნეობით. იგი თავის თავს კრების განჩინებების მცველად თვლიდა, ყველანაირად ცდილობდა, არ დაზიანებულიყო მისი გადაწყვეტილებები[24]. როდესაც ის ასეთ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, იგი გამოემშვიდობა ლოგიკურ მსჯელობებს და შეუვრდა ღმერთს: განუწყვეტლივ მარხულობდა და ლოცვის არც ერთი სახე არ გამოუტოვებია. ასეთი წადიერება ჰქონდა და მალულად აღასრულებდა განზრახვას. მარტო ჩაიკეტა ირინეს სახელობის ეკლესიაში, შევიდა საკურთხეველში, წმინდა ტრაპეზის ქვეშ მუცელზე განერთხა და ცრემლებით ლოცულობდა. მრავალი დღისა და ღამის განმავლობაში აღასრულებდა ამას. ღვთისგან ითხოვდა და მიიღო კიდეც. მისი თხოვნა იყო შემდეგი: თუ არიოზის მოძღვრება იყო ჭეშმარიტი, გამოძიების დანიშნული დღე მას არ ეხილა, მაგრამ თუ მას ეპყრა ჭეშმარიტი რწმენა, ყველა ბოროტების მიზეზს, არიოზს მიგებოდა უღმერთობის საზღაური.

XXXVIII თავი
არიოზის სიკვდილის შესახებ

ასე ლოცულობდა ალექსანდრე. იმპერატორს სურდა არიოზის გამოცდა, სასახლეში მოიყვანა იგი და ჰკითხა, თუ ეთანხმებოდა ნიკეის კრების განჩინებებს. იგი მზად იყო ყოყმანის გარეშე, მზაკვრულად განიზრახა მის წინაშე, ხელი მოეწერა

მრწამსის განჩინებას. იმპერატორი აღფრთოვანდა და ფიცი დაადებინა. მან მზაკვრულად ესეც გააკეთა. როგორც მსმენია, შემდეგი ხერხით დაწერა. ამბობენ, არიოზმა ქარტაზე დაწერა, რა შეხედულებაც ეპყრა და იღლიის ქვეშ ეჭირა. დაიფიცა, რომ მართლა ისე ფიქრობდა, როგორც დაწერილი იყო. ეს რომ ასე მოხდა, გადმოცემით დავწერე. ხოლო ის, რომ ფიცი დაურთო ნაწერზე, იმპერატორის ეპისტოლეებიდან ამოვკრიბე. ირწმუნა იმპერატორმა და უბრძანა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოს ალექსანდრეს, რომ იგი მიეღო თანაზიარებაში. შაბათი დღე იყო და მეორე დღეს უნდა შეკრებილიყვნენ, როცა სასჯელი მოჰყვა არიოზის დანაშაულებს. რადგან, როდესაც გამოვიდა იმპერატორის სასახლიდან, ევსების დაჯგუფების წევრები დაცვად დაჰყვებოდა შუა ქალაქში, ყველა ხედავდა მას. როდესაც იგი გამოჩნდა კონსტანტინეს სახელობის ფორუმს, სადაც აღმართული იყო მეწამული სვეტი, რაღაცის შეგნებისგან შიშმა შეიპყრო არიოზი, შიშთან ერთად აღიძრა ნაწლავების მოდუნება. მან იკითხა, თუ სად იყო ახლომახლო საპირფარეშო, როდესაც შეიტყო, რომ კონსტანტინეს ფორუმის უკან იყო, იქითკენ გაემართა. ამ კაცმა დაკარგა გონება, და განავალთან ერთად ნაწლავები გადმოეყარა, ბევრი სისხლი გადმოდინდა და ასევე წვრილი ნაწლავები. სისხლს გამოყვა თირკმელი და ღვიძლი. იგი მყისვე გარდაიცვალა. როგორც ამბობენ, კონსტანტინოპოლში დღემდე ჩანს ეს საპირფარეშო კონსტანტინეს ფორუმის და ხორცის ბაზრის უკან, ყველა გვერდით მიმავალი თითს იშვერს იქითკენ, – სიკვდილის სახე მარად სახსოვარი გახდა. როდესაც ეს მოხდა, შიშმა და აგონიამ შეიპყრო ევსები ნიკომიდიელის გარშემო მყოფნი. ხმა გავარდა მთელ ქალაქში და მთელ მსოფლიოში. იმპერატორმა უფრო მეტად განავრცო ქრისტიანობა და თქვა, რომ ღმერთმა ჭეშმარიტად დაამოწმა ნიკეის მრწამსი. ხარობდა ასევე და მისი სამი ვაჟის გამო, რომლებიც კეისრებად იყვნენ გამოცხადებული, თითოეული მათგანი – მისი ზეობის ათწლე-

ულზე. პირველი მათგანი, მისი მოსახელე კონსტანტინე, დასავლეთ იმპერიის სამართავად დაადგინა მისი ზეობის პირველ ათი წლის თავზე. აღმოსავლეთ ნაწილზე კი ოცი წლის თავზე დაადგინა პაპის მოსახელე კონსტანციუსი. უმრწემეს კონსტანტს მისი ზეობის ოცდაათ წელს დაასხა ხელნი.

XXXIX თავი
თუ როგორ მოიცვა იმპერატორი სენმა და აღესრულა

ერთი წლის შემდეგ იმპერატორმა კონსტანტინემ შეაბიჯა სამოცდამეხუთე წელში, როცა ის სნეულებამ მოიცვა. იგი კონსტანტინოპოლიდან გაემგზავრა ჰელენოპოლისში, რათა ესარგებლა ბუნებრივი წყაროებით, რომლებიც იმ ადგილის მახლობლად იყო. მაგრამ, როდესაც სენის გაძლიერება იგრძნო, გადადო აბაზანა, ჰელენოპოლისიდან გამოემართა ნიკომიდიისკენ, მის გარეუბანში დამკვიდრდა და მიიღო ქრისტიანული ნათლობა. ამის გამო იგი კარგ გუნებაზე დადგა და ანდერძი შეადგინა, რომელშიც მისი სამ ვაჟიშვილს იმპერიის ნაწილები უმემკვიდრა, როგორც მის სიცოცხლეში ჰქონდათ განაწილებული. რომს და მის მოსახელე ქალაქს მრავალი პრივილეგია დაუტოვა. ეს ანდერძი ჩააბარა ხუცესს, რომლის გამოც უკან მოუხმო არიოზს, რომელიც ცოტა ზემოთ ვახსენეთ. მას დაუბარა, აღმოსავლეთის მმართველის კონსტანციუსის გარდა სხვა არავისთვის გადაეცა ხელში. ანდერძის დატოვების შემდეგ, რამდენიმე დღე იცოცხლა და დატოვა ეს ცხოვრება. არც ერთი მისი შვილი არ ესწრებოდა მის აღსასრულს. ასე რომ, მყისვე გაგზავნეს მაცნე აღმოსავლეთში მისი აღსასრულის კონსტანციუსისთვის საუწყებლად.

XL თავი
იმპერატორ კონსტანტინეს დასაფლავების შესახებ

იმპერატორის სხეული მოათავსეს ოქროს კუბოში და კონსტანტინოპოლში გადაიტანეს. ის დადგეს სასახლეში ამაღლებულ ადგილზე, მრავალი მცველის და იმ პატივის თანხლებით წაიღეს, რაც ცოცხალს ჰქონდა. ეს გაკეთდა, სანამ მისი ერთ-ერთი შვილი ჩამოვიდოდა. ამის შემდეგ აღმოსავლეთ ნაწილზე დადგინებულმა კონსტანციუსმა საიმპერიო საფლავით ღირსჰყო იგი და მოციქულთა სახელობის ეკლესიაში დამარხა, რომელიც სწორედ იმისთვის იყო აგებული, რომ იმპერატორები და მღვდელმთავრები მოციქულთა ნეშტებს არ განშორებოდნენ. იმპერატორმა კონსტანინემ იცოცხლა სამოცდახუთი წელი, ხოლო იმეფა ოცდათერთმეტი წელი, აღესრულა ფილიკიანუსის და ტატიანეს კონსულობისას, მაისის თვის ოცდაორს; იდგა ორას სამოცდამეთვრამეტე ოლიმპიადის მეორე წელი. ამიტომ, ეს წიგნი მოიცავს ოცდათერთმეტწლიან პერიოდს.

პ ი რ ვ ე ლ ი წ ი გ ნ ი ს

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

მ ე ო რ ე წ ი გ ნ ი

I თავი
წინათქმა
თუ რა მიზეზით გადმოიცა ხელახლა პირველი და მეორე წიგნები

რუფინუსმა, რომელმაც ლათინურ ენაზე შეადგინა საეკლესიო ისტორია, თარიღებთან დაკავშირებით დაუშვა შეცდომები. ათანასესთან დაკავშირებულ ამბებზე ფიქრობს, რომ ისინი კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ მოხდა. არ იცნობს ასევე მის გალიაში გადასახლებას და სხვა მრავალ რამესაც. ჩვენ ადრე რუფინუსს მივყვებოდით, „ისტორიის“ პირველ და მეორე წიგნებში, ვწერდით იმას, როგორც ის ფიქრობდა. მაგრამ მესამე წიგნიდან მეშვიდე წიგნამდე, ზოგი რამ რუფინუსისგან ავიღეთ, ზოგიც სხვადასხვა წყაროებიდან, ხოლო ზოგი რამ ჯერ კიდევ ცოცხალი მოწმეებიდან მოვისმინე; და ასე შევავსეთ. მოგვიანებით წავაწყდით ათანასეს თხზულებებს, რომლებშიც თავის გასაჭირზე ჩივის და მოგვითხრობს, თუ როგორ იქნა გადასახლებული ევსების ცილისწამებით. აქედან შევიტყვეთ, რომ უფრო სანდო არის ვნებული და მომხდარი მოვლენების მოწმე, ვიდრე მათი, ვინც ვარაუდებს გამოთქვამს და ამიტომაც შეცდომაში იმყოფება. ასევე აღმოვაჩინეთ იმდროინდელ პირთა ეპისტოლეები და გამოვიკვლიეთ, თუ როგორი იყო სინამდვილე. ამიტომ იძულებული გავხდით, პირველი და მეორე წიგნები ხელახლა გადაგვეწერა, გამოვიყენეთ ასევე ის ცნობები, რომლებშიც რუფინუსი არ სცილდება სიმართლეს. არა მხოლოდ ეს, არამედ ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ პირველ შესწორებაში არ გადმოვეცით არიოზის განყენება, არც იმპერატორის ეპისტოლეები, არამედ ოდენ შიშველი მოვლენები, რათა უხვსიტყვიანი არ გამხდარიყო

ისტორია და მკითხველში მოწყენილობა არ გამომეწვია. ვინაიდან შენი გულისთვის, ღვთის წმინდა კაცო, თეოდორე, ესეც უნდა გამეკეთებინა, რომ არც იმის უმეცარი დარჩენილიყავი, რამდენი ეპისტოლეც გაგზავნა იმპერატორმა, ან სხვადასხვა კრებებზე ეპისკოპოსებმა მოკლე მრწამსები გადააკეთეს და გადმოცეს. ამიტომ, რაც კი აუცილებლად ჩავთვალე, შესწორების შემდეგ ამ ნაშრომში გადავიტანე. ეს გავაკეთეთ პირველ წიგნში და ამავეს გაკეთებას ვესწრაფით იმაშიც, რაც ხელთა გაქვს, ვგულისხმობ მეორე წიგნს. მაგრამ შევუდგეთ თხრობას.

II თავი
თუ როგორ კვლავ ცდილობდნენ ნიკომიდიელ ეპისკოპოს ევსების მომხრეები არიოზის მოძღვრების შემოტანას და შფოთი აღძრეს ეკლესიაში

როდესაც გარდაიცვალა იმპერატორი კონტანტინე, ევსები ნიკომიდიელის და ნიკეის ეპისკოპოს თეოგნისის მომხრეებმა იფიქრეს, რომ მათთვის მარჯვე დრო დადგა, ბრძოლა წამოეწყოთ „თანაარსის“ მრწამსის გასადევნად, მის ნაცვლად კი არიანელობის შემოსატანად. მაგრამ ამის გაკეთებას ვერ შეძლებდნენ, თუ ათანასე უკან დაბრუნდებოდა. როდესაც ეს შეთქმულება შეამზადეს, მსახურად გამოიყენეს ხუცესი, რომელიც ცოტა ზემოთ არიოზის უკან გამოხმობის მიზეზი გახდა. უნდა ითქვას, თუ როგორ მოხდა ეს. ამ ხუცესმა იმპერატორის ვაჟიშვილს, კონსტანციუსს გადასცა ანდერძი და მომაკვდავი იმპერატორის დანაბარები. მან აღმოაჩინა, რომ მასში ეწერა ის, რაც მას ეწადა: ანდერძი მას აბარებდა აღმოსავლეთის მართვას. კონსტანციუსმა პატივით შეამკო ხუცესი და დიდი კადნიერება მიანიჭა – ნება დართო, გაბედულად შესულიყო სასახლეში. მისთვის ბო-

ძებულმა კადნიერებამ იგი მალე დაახლოვა იმპერატორის მეუღლესთან და მის საჭურისებთან. იმ ხანად იმპერატორის საწოლთუხუცესი იყო საჭურისი, სახელად ევსები. ხუცესმა იგი დაარწმუნა დათანხმებოდა არიოზის სწავლებას. ამის შემდეგ დანარჩენი საჭურისებიც დაარწმუნა, რომ ასეთი შეხედულებები ჰქონოდათ. არა მხოლოდ ისინი, არამედ იმპერატორის ცოლიც გადავიდა არიოზის შეხედულებაზე საჭურისებისა და ამ ხუცესის მეშვეობით. არცთუ დიდი ხნის შემდეგ თვით იმპერატორამდეც მიაღწია ამ კითხვა-ძიებამ, მალე ცნობილი გახდა, ჯერ სასახლის ჯარისკაცებისთვის, შემდეგ კი გავრცელდა ქალაქის მოსახლეობაში. კამათობდნენ მოძღვრების შესახებ სასახლეში მესაწოლეები და ქალები, ქალაქში კი – ყოველ სახლში გაჩაღებული იყო კამათი. ასე რომ, ამ ბოროტებამ სწრაფად მოიარა სხვა პროვინციები და ქალაქები. როგორც ნაპერწკალი მცირედით დაიწყო ძიება და მსმენელები საპაექროდ აღძრა. ყველა, ვინც კითხვას სვამდა შფოთის მიზეზზე, მყისვე ეძლეოდა კამათის საბაბი, კითხვის დასმასთან ერთად დავის წამოწყებას განიზრახავდა. დავისგან კი ყველაფერი ემხობოდა. ეს ამბავი მოხდა აღმოსავლეთის ქალაქებში. რადგან ჯერ კიდევ ჩუმად იყვნენ ილირიელები და დასავლეთი იმპერია, არ სურდათ ნიკეის კრების განჩინებების შერყევა. მაგრამ, როგორც საქმის ვითარება გაუარესდა, მაშინ ევსები ნიკომიდიელის მომხრეებმა მოულოდნელ წარმატებად მიიჩნიეს მრავალთა შორის ჩამოვარდნილი შფოთი. რადგან მხოლოდ ამ გზით შეეძლოთ ალექსანდრიის ეპისკოპოსად მათი თანამოაზრის დადგინება. მაგრამ მაშინ მოასწრო ათანასემ ქალაქში დაბრუნება, ერთ-ერთი ავგუსტუსის წერილებით განმტკიცებულმა, რომლებიც ალექსანდრიის მოსახლეობას მამის მოსახელე უმცროსმა კონსტანტინემ გალიის ტრევერიდან გამოაგზავნა. ეს წერილი ქვემოთ არის გადმოცემული.

III თავი
თუ როგორ ჩავიდა ალექსანდრიაში უმცროსი კონსტანტინეს წერილებით გამხნევებული ათანასე

„კონსტანტინე კეისარი ალექსანდრიელთა კათოლიკე ეკლესიის ერს.

ვფიქრობ, თქვენს წმინდა გონებას არ გამოეპარება იმის ცოდნა, რომ სათაყვანებელი რჯულის განმმარტებელი ათანასე თავის დროზე გალიაში იქნა გაგზავნილი, რათა მაშინ, როცა მისი სისხლისმსმელი და მასთან მებრძოლი მტრების სისასტიკე მისი წმინდა თავისთვის საფრთხედ რჩებოდა, უკეთურ კაცთა გარყვნილების მეშვეობით გამოუსწორებელი [რამ] არ შემთხვეოდა. ახლა მათ დასაცინად გამოტაცებულ იქნა ამ კაცების პირიდან და მისი ჩემს განმგებლობის ქვეშ მოყვანა იქნა ნაბრძანები; ამგვარად ამავე ქალაქში, რომელშიც ცხოვრობდა, ყველა აუცილებელი [სახმარით] უხვად იყო მომარაგებული. განსაკუთრებით მისი სახელოვანი სათნოება, საღვთო შემწეობზე მინდობილი, არად აგდებს უმძიმეს ბედს. ჩვენმა მეუფემ, ნეტარხსენებულმა კონსტანტინე ავგუსტუსმა, ჩემმა მამამ, ირჩია, რომ თქვენი ყველაზე ძვირფასი ღვთისმოსაობისათვის იმავე ადგილზე მიეძღვნა ეს ეპისკოპოსი. თუმცა, მას შემდეგ, რაც ადამიანური ხვედრი ეწია და განისვენა ვედრების აღსრულების წინ, მისმა მონაცვლემ საჭიროდ მივიჩნიეთ საღვთო სახსენებელი იმპერატორის არჩევანის აღსრულება. როდესაც თქვენს ეპისკოპოსს შეხვდებით, მისგან შეიტყობთ, თუ რაოდენ დიდი პატივისცემა მიიღო ჩემგან. რადგან რა გასაკვირია, თუ რაიმე გავაკეთე მის გამო. რადგან ჩემი სულიც თქვენი წადილის მსგავსად აღძრა და შეაგონა ესოდენ დიდი კაცის ხასიათმა. საღვთო წინაგანგებამ დაგიცვათ, საყვარელო ძმებო“.

ამ წერილებით გაკადნიერებული ათანასე ჩავიდა ალექსანდრიაში და იგი უტკბესად მიიღო ალექსანდრიის მოსახლეობამ. მაგრამ ვინც კი არიანელი იმყოფებოდა იქ, მის წინააღმდეგ დაჯგუფება შექმნეს. მათი მეშვეობით განუწყვეტლივ აღიძვრებოდა ამბოხებები, რომელთა მეშვეობით ევსების მომხრეებს საბაბი გაუჩნდათ იმპერატორთან ცილი დაეწამათ მასზე, რომ ეპისკოპოსთა საერთო კრების მიერ მსჯავრის გამოტანის გარეშე თავის თავს უფლება მისცა ეკლესიაში შესულიყო. მათ იმდენად განავრცეს ცილისწამებები, რომ განრისხებულმა იმპერატორმა ათანასე ალექსანდრიიდან გააძევა. ცოტა მოგვიანებით ვიტყვი, თუ როგორ მოხდა ეს.

IV თავი
ევსები პამფილელის აღსასრულის შემდეგ როგორ იმემკვიდრა კესარიის საეპისკოპოსო აკაკიმ

იმ ხანად აღესრულა ევსები, რომელიც იყო პალესტინაში კესარიის ეპისკოპოსი და პამფილელის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. იგი შეცვალა მისმა მოწაფემ აკაკიმ, რომელმაც მრავალი სხვა წიგნიც დაწერა, ერთი მათგანი კი მისი მოძღვრის ცხოვრების შესახებ შეადგინა.

V თავი
უმცროსი კონსტანტინეს გარდაცვალების შესახებ

არცთუ დიდი ხნის შემდეგ იმპერატორ კონსტანციუსის ძმა, რომელიც იყო მამამისის მოსახელე, კონსტანტინე უმცროსი შეიჭრა მისი უმცროსი ძმის კონსტანტის მიწა-წყალზე. იგი შეიპყრეს კონსტანტის ჯარისკაცებმა და მოკლულ იქნა მათ მიერ. ეს მოხდა აკინდინოსის და პროკლეს კონსულობისას.

VI თავი
კონსტანტინოპოლის ეპისკოპოს ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ როგორ იქნენ კანდიდატებად წამოყენებული პავლე და მაკედონიოსი

იმ დროისთვის კონსტანტინოპოლში პირვანდელ შფოთს ახალი გადაეწნა შემდეგი მიზეზით. ამ ქალაქის ეკლესიების წინამდგომელმა ალექსანდრემ, რომელიც ებრძოდა არიოზს, დატოვა აქაური ცხოვრება. მან ოცდასამი წელი გაატარა ეპისკოპოსობაში, საერთოდ ოთხმოცდათვრამეტი წელი იცხოვრა. მას არავისთვის დაუსხამს ხელნი თავის ადგილას. მან სათანადო პირებს მცნებად დაუდო, აერჩიათ იმ ორიდან ერთი, რომლებსაც ის დაასახელებდა. თუ მათ სურდათ განსწავლული და სათნო ცხოვრების დამამოწმებელი პიროვნება, იყო მის მიერ ხელდასხმული ხუცესი პავლე, ახალგაზრდა ასაკის, მაგრამ გონებით დაწინაურებული. მაგრამ თუ სურდათ ოდენ კეთილკრძალულობის მშვენიერების მაჩვენებელი პიროვნება, აერჩიათ მაკედონიოსი, უკვე ადრე ეკლესიის დიაკვნობის მიმღები, ასაკით კი მოხუცი. ამის შემდეგ უფრო დიდი ქიშპი ჩამოვარდა ეპისკოპოსის ხელდასხმასთან დაკავშირებით და ეკლესია შფოთმა მოიცვა. ხალხი ორ ნაწილად გაიყო: არიოზის მოძღვრების მიმდევრებად და ნიკეის კრების თანახმად მოაზროვნეებად. სანამ ალექსანდრე ცოცხალი იყო, „თანაარსის“ მომხრენი იმარჯვებდნენ, არიანელები დაყოფილი იყვნენ და ყოველდღე ჰქონდათ შეტაკებები მოძღვრებასთან დაკავშირებით. მაგრამ, როდესაც ეს კაცი აღესრულა, ხალხის ბრძოლა გახდა საეჭვო: „თანაარსის“ მრწამსის დამცველებმა კანდიდატად პავლე წამოაყენეს, არიანელები კი მაკედონიოსისთვის იღვწოდნენ. ირინეს სახელობის ეკლესიაში, რომელიც ახლა მდებარეობს სოფიას დიდი ეკლესიის მახლობლად, ხელნი დაასხეს პავლეს, ვისკენაც, ჩანდა, რომ უფრო მეტად იხრებოდა გარდაცვლილის ხმა.

VII თავი
თუ როგორ გააძევა ეპისკოპოსად არჩეული პავლე იმპერატორმა კონსტანციუსმა და კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსო ჩააბარა ნიკომიდიიდან გადმოსულ ევსების

არცთუ დიდი ხნის შემდეგ კონსტანტინოპოლში ჩამოსული იმპერატორი რისხვით აენთო მომხდარი ხელდასხმის გამო. მოიწვია არიანელი ეპისკოპოსების კრება და პავლე ეპისკოპოსობიდან გაათავისუფლა; ევსები გადმოიყვანა ნიკომიდიიდან და კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსად დაადგინა. როდესაც ეს გააკეთა იმპერატორმა, გაემგზავრა ანტიოქიაში.

VIII თავი
თუ როგორ მოიწვია ევსებიმ სხვა კრება სირიის ანტიოქიაში და სხვა მრწამსის გადმოცემა მოახდინა

ევსების არაფრით არ სურდა დადუმება, არამედ, როგორც იტყვიან, ყველა ქვა დაძრა, რათა სისრულეში მოეყვანა მისი განზრახვა. მან შეამზადა კრება სირიის ანტიოქიაში ეკლესიის კურთხევის საბაბით, რომლის შენება ავგუსტუსების მამას ჰქონდა დაწყებული, მისი აღსასრულის შემდეგ კი მისმა ვაჟიშვილმა კონსტანტინემ საძირკვლის ჩაყრიდან მეათე წელს დაასრულა. მაგრამ სიმართლე რომ ითქვას, ევსებიმ ეს განიზრახა „თანაარსის“ მრწამსის დასამხობად და გასანადგურებლად. ამ კრებაზე სხვადასხვა ქალაქებიდან შეიკრიბა ოთხმოცდაათი ეპისკოპოსი. იერუსალიმის ეპისკოპოსი მაქსიმე, რომელმაც შეცვალა მაკარი,

არ ესწრებოდა მას. იგი ფიქრობდა, რომ გადადრიკავდნენ და ხელს მოაწერინებდნენ ათანასეს განყენებაზე. ასევე არ ესწრებოდა დიდი რომის ეპისკოპოსი იულიუსი, არც მის ნაცვლად წარგზავნა ვინმე, მაშინ, როცა საეკლესიო კანონი ბრძანებდა, რომ არ უნდა გამოეცათ ეკლესიის კანონი რომის ეპისკოპოსის თანხმობის გარეშე. ეს კრება გაიმართა ანტიოქიაში იმპერატორ კონსტანციუსის თანდასწრებით მარკელუსის და პრობინუსის კონსულობისას. იყო ავგუსტუსთა მამის, კონსტანტინეს გარდაცვალებიდან მეხუთე წელი. მაშინ ანტიოქიის ეკლესიას წინამდგომელობდა პლაკიტოსი, რომელმაც შეცვალა ევფრონიოსი. ევსების მომხრეებმა პირველ რიგში მოახდინეს ათანასეზე ცილისწამება, რომ მან იმ კანონის დარღვევით იმოქმედა, რაც მათ განაჩინეს თავის დროზე და მან ეპისკოპოსთა კრების ერთობლივი ნებით არ დაიბრუნა სამღვდელო ხარისხი; რადგან, როდესაც იგი დაბრუნდა გადასახლებიდან, საკუთარ თავს მიანდო ეკლესიაში შესვლა; და რომ მისმა შესვლამ გამოიწვია შფოთი, ამბოხებისას მრავალი დაიღუპა; და თითქოს ზოგიერთი ნაწამები იყო ათანასეს მიერ, ზოგი კი საპყრობილეში ჩააგდო. არა მხოლოდ ეს, არამედ ტვიროსში ათანასეს წინააღმდეგ ნამოქმედარიც გამოიტანეს განსახილველად.

IX თავი
ევსები ემისელის შესახებ

მაშინ გამოთქმული ამ ცილისწამების საფუძველზე ალექსანდრიის ეპისკოპოსად პირველად წამოაყენეს ემისენოსად წოდებული ევსები. თუ ვინ იყო იგი, ამას გვაცნობებს ლაოდიკიის ეპისკოპოსი გიორგი, რომელიც მაშინ იმყოფებოდა კრებაზე. იგი მისი ცხოვრებისთვის მიძღვნილ ნაშრომში წერს, რომ ევსები იყო მესოპოტამიაში მდებარე ედესას წარჩინებულთა გვარიშ-

ვილის; ყმაწვილკაცობიდან მოყოლებული სწავლობდა წმინდა წერილს, შემდეგ ელინთა სწავლებებში განისწავლებოდა იმხანად ედესაში მცხოვრებ მასწავლებელთან; ბოლოს, პატროფილეს და ევსების მიერ განმარტებულ წმინდა ბიბლიას, რომელთაგან პირველი იყო კესარიაში მდებარე ეკლესიის, მეორე კი სკვითოპოლის ეკლესიის წინამდგომელი. ამის შემდეგ, როდესაც იგი ცხოვრობდა ანტიოქიაში, მოხდა კვიროს ბეროელის მიერ ევსტათის ბრალდება და განყენება როგორც საბელიანელის. შემდეგ კვლავ დაუახლოვდა ევსტათის შემცვლელ ევფრონიოსს, თავი აარიდა მღვდლობას და ჩავიდა ალექსანდრიაში, სადაც სწავლობდა ფილოსოფიას. როდესაც იგი დაბრუნდა ანტიოქიაში, ევფრონიოსის შემდეგ მოსულ პლაკიტოსს დაუახლოვდა და კონსტანტინოპოლის ეპისკოპოს ევსების მიერ წამოყენებულ იქნა ალექსანდრიის ეპისკოპოსად. მაგრამ ის იქ ვეღარ წავიდა, რადგან ალექსანდრიის მოსახლეობას ძლიერ უყვარდა ათანასე. წარგზავნილ იქნა ემესელთა ქალაქში. მაგრამ ემესელები აუჯანყდნენ მას და კიცხავდნენ, რომ მათემატიკას მისდევდა[25]. ევსები გაიქცა და ჩავიდა ლაოდიკიაში გიორგისთან, რომელმაც მის შესახებ მრავალი რამ თქვა. მან იგი ჩაიყვანა ანტიოქიაში, რათა პლაკიტოსს და ნარკისოსს კვლავ დაებრუნებინათ ემესაში. კვლავ გაკიცხვა გადაიტანა საბელიანელობის ბრალდებით. მისი დადგინების შესახებ უფრო ვრცლად მოგვითხრობს გიორგი. ბოლოს დასძენს, რომ იმპერატორმა წაიყვანა იგი ბარბაროსების წინააღმდეგ ლაშქრობაში და რომ სასწაულები ხდებოდა მისი ხელებით. ესოდენ ვრცლად გადმოვეცი გიორგის მიერ ემისელი ევსების შესახებ ნაამბობი.

X თავი
თუ როგორ დაახსეს ხელნი გრიგოლს მას შემდეგ, რაც ალექსანდრიაზე უარი განაცხადა ევსები ემისელმა, და როგორ გადააკეთეს ნიკეის მრწამსის სიტყვა

როდესაც ანტიოქიაში ევსები იქნა ეპისკოპოსობის კანდიდატად წამოყენებული და მას შეეშინდა ალექსანდრიაში წასვლა, შემოთავაზებულ იქნა გრიგოლი ალექსანდრიის ეპისკოპოსად. ეს აღასრულეს და ასევე გადააკეთეს მრწამსი, არც ნიკეაში შეკრებილები გაკიცხეს, მაგრამ სინამდვილეში „თანაარსის“ მრწამსის აღსახოცად და შესარყვნელად განუწყვეტლივ კრებების გამართვის მეშვეობით და სხვადასხვა დროს მრწამსის სხვადასხვა განჩინების გადმოცემით, რომ მოკლე ხანში არიანული მოძღვრებისკენ მოექციათ. თუ როგორ მოხდა ეს, თხრობისას გაუწყებთ. მრწამსის შესახებ ნაკარნახევი ეპისტოლე არის შემდეგი:

„ჩვენ არ ვართ არიოზის მიმდევრები. რადგან ეპისკოპოსები როგორ მივყვებით ხუცესს? არც სხვა რამ მრწამსი მიგვიღია დასაბამიდან გადმოცემულის გარდა. არამედ ჩვენ ვართ მისი რწმენის მკვლევარები და გამომცდელები, უფრო ვუახლოვდებით მას, ვიდრე მივსდევთ. იცოდეთ ამ გამონათქვამებიდან. რამეთუ დასაბამიდან გვისწავლია, რომ უნდა გვწამდეს ყოვლიერების ერთი ღმერთი, ყოველივე გონისმიერის და გრძნობადის შემოქმედი და წინგანმგებელი; და ერთი ძე ღვთისა მხოლოდშობილი, ყოველი საუკუნის უწინარეს მყოფი და თანმხლები მისი მშობელი მამის, რომლის მეშვეობით შეიქმნა ყოველივე ხილული და უხილავი; უკანასკნელ დღეებში მამის სათნოჩენით ჩამოსული და წმინდა ქალწულისგან ხორცის მიმრქმელი, მისი მამისეული მთელი ნების აღსრულების მოღვაწე; ასევე მისი აღდგომა და ცად ამაღლება, და მამის მარჯვენით დაჯდომა; მისი მოსვლა

ცოცხალთა და მიცვალებულთა განსასჯელად; საუკუნოდ მისი სუფევა მეფედ და ღმერთად; გვწამს წმინდა სული. თუ საჭიროა, დავძინოთ, გვწამს ხორცით აღდგომა და საუკუნო ცხოვრება.“

ეს დაწერეს პირველ ეპისტოლეში და ქალაქებში დააგზავნეს. ცოტა ხნით დარჩნენ ანტიოქიაში, დაგმეს ეს მრწამსი და კვლავ სხვა გადმოსცეს შემდეგი სიტყვებით:

[მრწამსის] სხვა გადმოცემა

„გვწამს სახარებისეული და სამოციქულო გადმოცემის თანახმად ერთი ღმერთი, მამა ყოვლისმპყრობელი, ყოველივეს შემოქმედი და დამბადებელი; და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე მისი, მხოლოდშობილი ღმერთი, რომლის მეშვეობით იქმნა ყოველივე, მამისაგან შობილი უწინარეს საუკუნეთა, ღმერთი ღმერთისაგან, მთელი მთელისგან, მხოლო მხოლოსგან, სრული სრულისგან, მეუფე მეუფისგან, უფალი უფლისაგან, ცოცხალი სიტყვა, სიბრძნე, სიცოცხლე, ნათელი ჭეშმარიტი, გზა ჭეშმარიტებისა, აღდგომა, მწყემსი, კარიბჭე, უქცეველი და უცვლელი, მამის ღმერთეები, არსის, ძალის, ნების და დიდების ზედმიწევნითი ხატი, ყველა ქმნილების პირმშო, დასაბამში ღმერთთან მყოფი, ღმერთი სიტყვა, სახარებაში ნათქვამის მიხედვით: „და სიტყვა იყო ღმერთი, რომლის მეშვეობით შეიქმნა ყოველივე“ და რომელშიც ყოველივე შემტკიცდა, უკანასკნელ დღეებში ზემოდან ჩამოვიდა და იშვა ქალწულისგან წმინდა წერილის თანახმად, გახდა ადამიანი, ღმერთსა და ადამიანებს შორის შუამავალი, ჩვენი რწმენის მოციქული, სიცოცხლის დამფუძნებელი, როგორც ითქვა: „ჩამოვედი ციდან, რათა არათუ ჩემი ნება აღვასრულო, არამედ ჩემი წარმგზავნელის ნება“ (იოან. 6, 38). ჩვენ გამო ვნებული, ჩვენ გამო მესამე დღეს აღმდგარი, ცად ამაღლებული და მარჯვენით მამისა მჯდომარე, და კვლავ მომავალი დიდებითა და ძალით ცოცხალთა და მიცვალებულთა განსასჯელად; და სულიწმინდა, ნუგეშისცემის, განწმენდისა და სრულქმნისათვის ბოძებული მორწმუნე-

თათვის, როგორც უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ დაუწესა მოწაფეებს და უთხრა: „წადით, მოიმოწაფეთ ყველა ერი, ნათელი ეცით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა“ (მათ. 28, 19). ცხადია, მამისა, ესე იგი ჭეშმარიტად არსებული მამისა, ძისა, ესე იგი ჭეშმარიტად არსებული ძისა, სულიწმინდისა, ესე იგი ჭეშმარიტად არსებული სულიწმინდისა; არათუ მარტივად სახელებისა, არამედ ზედმიწევნით აღმნიშვნელისა თითოეული სახელდებულის ჰიპოსტასის, დიდების და მწყობრის, რომ არის ჰიპოსტასით სამი, ხოლო ერთი თანხმობა. ასეთი მრწამსი გვიპყრია ღვთისა და ქრისტეს წინაშე, შევაჩვენებთ ყველა მწვალებლურ ბოროტ შეხედულებებს[26]. და თუ ვინმე წმინდა წერილის საღი და მართებული რწმენის წინააღმდეგ ასწავლის და ამბობს, რომ იყო ჟამი ან საუკუნე ღვთის ძის შობამდე, შეჩვენებულ იყოს. თუ ვინმე ამბობს, რომ ძე არის ქმნილება, როგორც ერთ-ერთი ქმნილებათაგანი, ან ნაშობი, როგორც ერთ-ერთი ნაშობთაგანი, და რომ საღვთო წერილს არ გადმოუცია თითოეული ზემოთქმული, ან თუ ვინმე სხვას ასწავლის ან ახარებს გარდა იმისა, რაც მივიღეთ, შეჩვენებულ იყოს. რამეთუ ჩვენ ჭეშმარიტად და ღიად გვწამს და მივდევთ ყველაფერს, რაც გადმოცემულია საღვთო წერილით წინასწარმეტყველთა და მოციქულთა მიერ“.

მრწამსის ასეთი გადმოცემები შეიქმნა ანტიოქიაში შეკრებილთა მიერ, რომლებსაც ხელი მოაწერა, როგორც ალექსანდრიის ეკლესიის ეპისკოპოსმა გრიგოლმა, თუმცა ის ჯერ კიდევ არ იყო ალექსანდრიაში ჩასული. მაშინ იქ შეკრებილი სინოდი დაიშალა მას შემდეგ, რაც ეს მოიმოქმედა და სხვა რამ კანონებიც განაჩინა. იმ დროს სახელმწიფო საქმეებიც აირია. ფრანკებად წოდებული ერი გალიის მახლობლად შეიჭრა რომაელთა მიწაზე. ამავე დროს აღმოსავლეთში მოხდა უდიდესი მიწისძვრები, განსაკუთრებით ანტიოქია ირყეოდა მთელი წლის განმავლობაში.

XI თავი
თუ როგორ ჩავიდა გრიგოლი ჯარისკაცების დახმარებით ალექსანდრიაში, ხოლო ათანასე გაიქცა

როდესაც ეს მოხდა, სარდალმა სირიანუსმა და მისმა თანმხლებმა მძიმედ შეჭურვილმა ხუთი ათასმა ჯარისკაცმა გრიგოლი შეიყვანეს ალექსანდრიაში. მათ შეუერთდნენ იქაური არიანელები. უნდა ვთქვათ, თუ როგორ გაექცა მის შეპყრობას ეკლესიიდან გაძევებული ათანასე.

იდგა მწუხრი. ხალხი ღამეს ათენებდა და საღვთიმსახურო შეკრება უნდა დაწყებულიყო[27]. მოვიდა სარდალი, ჯარისკაცები ფალანგებად მოაწყო ეკლესიის ირგვლივ ყველა მხრიდან. როდესაც ათანასემ დაინახა, რაც ხდებოდა, ზრუნვა დაიწყო იმაზე, როგორმე არაფერი ვნებოდა ხალხს მისი გულისთვის. მან უბრძანა დიაკონს, გამოეცხადებინა ლოცვის დაწყება და კვლავ ფსალმუნის სათქმელად მოემზადა. როდესაც ფსალმუნებისაგან სიმფონია გაისმა, ეკლესიის ერთ-ერთი კარიბჭიდან გავიდა ყველა. ამ დროს ჯარისკაცებს ხელი არ აღუმართავთ საბრძოლველად. ათანასე კი მგალობელთა შორის უვნებლად გადარჩა. ამ გზით გაიქცა იგი და რომში ჩავიდა. მაშინ გრიგოლმა ხელში ჩაიგდო ეკლესია. ალექსანდრიის ერმა ვერ აიტანა მომხდარი და დიონისესად წოდებული ეკლესია გადაწვა. ამრიგად, ეს ითქვა ამ მოვლენების შესახებ. ევსებიმ გააკეთა რა, რაც ენება, რომის ეპისკოპოს იულიუსთან გაგზავნა ელჩობა, სთხოვდა, რომ თავად ის გამხდარიყო ათანასესთან დაკავშირებული ბრალდებების მსაჯული და მის წინაშე დაედგინათ სამართალი.

XII თავი
თუ როგორ კვლავ დასვა ხალხმა კონსტანტინოპოლში საყდარზე პავლე, როდესაც აღესრულა ევსები. ასევე თუ როგორ წამოაყენეს არიანელებმა მაკედონიოსი

მაგრამ ევსები ვერ მოესწრო იმის შეტყობას, თუ რა განაჩენი გამოიტანა იულიუსმა ათანასეს საქმესთან დაკავშირებით. კრების შემდეგ მან ცოტა ხანი იცოცხლა და გარდაიცვალა[28]. ამიტომ, კონსტანტინოპოლის ერმა ეკლესიაში კვლავ პავლე შემოიყვანა[29]. იმავე დროს არიანელებმა პავლეს სახელობის ეკლესიაში ხელნი დაასხეს მაკედონიოსს. ეს გააკეთეს მათ, რომლებიც ახლახანს ევსების ყველა ხერხით გვერდში ედგნენ, იმ დროისთვის კი მისი ძალაუფლება იმემკვიდრეს. ესენი იყვნენ: თეოგნის ნიკეელი, მარის ქალკედონელი, თეოდორე თრაკიის ჰერაკლეადან, ურსაკიუს სინგიდონელი ზემო მიზიიდან, ვალენტი მურსელი ზემო პანონიიდან. ურსაკიუსმა და ვალენტმა მოგვიანებით შეიცვალეს შეხედულება, სინანულის წიგნი მიუტანეს ეპისკოპოს იულიუსს, დაეთანხმნენ „თანაარსის“ სწავლებას და ზიარებაში მიღებულ იქნენ. მაშინ არიანული სარწმუნოების მხურვალე დამცველებმა ძლიერი ბრძოლები გამართეს ეკლესიათა წინააღმდეგ, რომელთაგან ერთ-ერთი იყო მაკედონიოსის გამო კონსტანტინოპოლში მომხდარი მოვლენები. ქრისტიანთა შიდა ომისაგან განუწყვეტლივ ხდებოდა ამბოხებები ქალაქებში, რისგანაც მრავალი დაიღუპა ძალადობით.

XIII თავი
სარდალ ჰერმოგენეს მკვლელობის შესახებ; და თუ როგორ კვლავ გაძევებულ იქნა პავლე ამის გამო ეკლესიიდან

მომხდარმა ამბებმა კონსტანციუსის ყურამდე მიაღწია, რომელიც ანტიოქიაში იმყოფებოდა. მან დაავალა თრაკიის მხარეში გაგზავნილ სარდალ ჰერმოგენეს, რომ გზიდან გადაეხვია და ეკლესიიდან გაეძევებინა პავლე. იგი ჩავიდა კონსტანტინოპოლში და იქ შფოთი ჩამოაგდო, როცა ძალდატანებით განდევნა ეპისკოპოსი. ამას მყისვე მოყვა მოსახლეობის ამბოხი და ხალხი მზად იყო [ეპისკოპოსის] დასაცავად. როდესაც ჰერმოგენემ სცადა ჯარისკაცების ხელით გაეძევებინა პავლე, ხალხი გაღიზიანდა, როგორც ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში, არნახული ძალით გამოემართა მის წინააღმდეგ, დაწვეს მისი სახლი, ის კი გამოათრიეს და მოკლეს. ეს მოხდა ორი ავგუსტუსის, კონსტანციუსის - მესამე, კონსტანტის კი - მეორე კონსულობის დროს. იმ დროს კონსტანტმა დაამარცხა ფრანკთა ერი და რომაელებთან დააზავა. როდესაც იმპერატორმა კონსტანციუსმა შეიტყო ჰერმოგენეს მკვლელობა, ანტიოქიიდან ცხენზე ამხედრებული გამოემართა, ჩავიდა კონსტანტინოპოლში და პავლე ქალაქიდან გამოაძევა. მან დასაჯა ქალაქი, გააუქმა მამამისის მიერ ბოძებული ორმოც ათასზე მეტი საწყაული დღიური ხორბალი; დაახლოებით ოთხმოცი ათასი საწყაული ხორბლით მარაგდებოდა წინათ, - ის ჩამოჰქონდათ ალექსანდრიიდან. მაგრამ გადადო მაკედონიოსის ქალაქის ეპისკოპოსად დადგინება. იგი განრისხებული იყო მასზე არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ნების გარეშე იქნა ხელდასხმული, არამედ ასევე იმიტომაც, რომ მასსა და პავლეს შორის ამბოხებები ჩამოვარდა მრავალი სხვა რამის გამოც და ასევე სარდალ ჰერმოგენეს მკვლელობის გამო. ამრიგად, მან ნება დართო, საღვთისმსახურო შეკრება გაემართა იმ ეკლესიაში, სადაც ხელდასხმულ იქნა, და კვლავ ანტიოქიაში წავიდა.

XIV თავი
თუ როგორ გადაიყვანეს არიანელებმა გრიგოლი ალექსანდრიიდან და მის ნაცვლად გიორგი წარგზავნეს

იმ ხანად არიანელებმა გრიგოლი გადაიყვანეს ალექსანდრიიდან როგორც ხალხისთვის საძულველი და ამასთან ეკლესიის დაწვის გამო, ასევე იმიტომ, რომ მათ მოძღვრებას ნაკლებად განამტკიცებდა. მის ნაცვლად გაგზავნეს გიორგი, რომელიც კაბადოკიიდან წამოვიდა, მათი სარწმუნოების ძლიერი დამცველის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი.

XV თავი
თუ როგორ ჩავიდნენ ათანასე და პავლე რომში და ეპისკოპოს იულიუსის წერილებით განმტკიცებულნი კვლავ თავიანთ საყდრებზე დაბრუნდნენ

მოგვიანებით ათანასემ შეძლო იტალიაში დარჩენა. დასავლეთის ესოდენ დიდ მხარეს კონსტანტინეს უმრწემესი ვაჟიშვილი კონსტანტი მარტო განაგებდა, მისი ძმა კონსტანტინე ჯარისკაცთა მიერ იქნა მოკლული, როგორც უკვე ვთქვით. იმავე დროს სამეუფო ქალაქ რომში აღმოჩნდნენ პავლე კონსტანტინოპოლელი, ასკლეპას ღაზელი, მარკელოსი მცირე გალატიის ანკვირიდან, ლუკიოს ჰადრიანოპოლელი; ყველა მათგანი სხვადასხვა ბრალდებით იყო ეკლესიებიდან გამოძევებული. მათ გააცნეს თავიანთი საქმეები რომის ეპისკოპოსს იულიუსს. მან, როგორც რომში არსებული ეკლესიის პრივილეგიის მქონემ, კადნიერი წერილებით განამტკიცა ისინი და აღმოსავლეთში წარგზავნა, თითოეულ მათგანს თავისი ადგილი დაუბრუნა, გაკიცხა ისინი, რომლებმაც ისინი უგუნურად განაყენეს. ისინი

დაბრუნდნენ რომიდან და ეპისკოპოს იულიუსის ხელმოწერებით გამხნევებულები თავიანთ ეკლესიებში ჩავიდნენ, დაუგზავნეს ეპისტოლეები მათ, რომელთა მისამართითაც იყო ისინი დაწერილი. რომლებმაც ეს ეპისტოლეები მიიღეს, თავხედურად გაკიცხეს, კრების გამართვა გამოაცხადეს ანტიოქიაში, იქ შეიკრიბნენ, ერთობლივი ნებით ეპისტოლეთი უფრო ძლიერად უპასუხეს იულიუსს, განუცხადეს, რომ მას არ უნდა დაეკანონებინა ისინი, როცა მათ სურდათ ზოგიერთების განდევნა ეკლესიებიდან, რადგან არც მათ შეეწინააღმდეგნენ, როდესაც ნოვაციუსი გააძევეს ეკლესიიდან. ეს გაუგზავნეს აღმოსავლეთის ეპისკოპოსებმა რომის ეპისკოპოსს იულიუსს. ვინაიდან ათანასე ალექსანდრიაში შევიდა, შეტაკება მოაწყო არიანელმა გიორგიმ. ამბობენ, ამის გამო შფოთი და ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა გაიმართა. არიანელებმა ათანასეს ბრალად დასდეს ღვთის გმობა და ეს მოვლენები, მოკლედ უნდა ითქვას ამის შესახებ. ნამდვილი მიზეზი ღმერთმა უწყის, ჭეშმარიტების მსაჯულმა. გონიერი ადამიანებისთვის უცნობი არ არის, რომ ეს უამრავ საქმეებში ხდება ხოლმე, როცა საკუთარ თავს აუჯანყდება ხალხი. ასე ფუჭი მიზეზი მიაბეს ათანასეს მისმა მაგინებლებმა, განსაკუთრებით საბინოსმა, მაკედონიოსის მწვალებლობის წინამდგომელმა. იგი თუ საუბარს იწყებდა, დუმილით გვერდს უვლიდა, რამდენი ბოროტებაც არიანელებმა ჩაიდინეს ათანასეს და „თანაარსის“ მორწმუნეთა წინააღმდეგ, ან რამდენს ჩიოდნენ ათანასეს გამო გამართული კრებები, ან თვით ერესიარქმა მაკედონიოსმა რამდენი რამ მოიმოქმედა ყველა ეკლესიაში, ხოლო თუ ხმას იღებდა, მათ აქებდა. აწ მან ამ ყველაფერზე ხმა არ ამოიღო და მის ქმედებებს სწამებდა ცილს. მაგრამ მას საერთოდ არ უხსენებია ერესიარქი, სურდა, სრულიად დაეფარა მისი საშინელი დანაშაულებები. უფრო გასაოცარია, რომ ცუდი არაფერი უთქვამს არიანელებზე, რომლებსაც გაურბოდა, ხოლო მაკედონიოსის ხელდასხმაც დაფარა, ვისი მიმდევარიც იყო. რადგან მას თუ

ახსენებდა, ყველა მის უსამართლობასაც ახსენებდა, რომლებიც წარმოჩნდა მისი ხელდასხმისას. ეს ითქვა მის შესახებ.

XVI თავი
თუ როგორ მოაწყო იმპერატორმა პრეფექტ ფილიპეს მეშვეობით პავლეს გამოძევება და გადასახლებაში გაგზავნა, ხოლო მაკედონიოსის აღსაყდრება

ანტიოქიაში მყოფმა იმპერატორმა კონსტანციუსმა შეიტყო პავლეს მიერ საყდრის კვლავ დაბრუნება და განრისხდა მომხდარი ამბის გამო. წერილობითი განკარგულება გაუგზავნა პრეფექტ ფილიპეს,როგორც სხვა მაგისტრატებზე უფრო დიდი ძალაუფლების მქონეს, იმპერატორის შემდეგ მეორე კაცს, რომ პავლე ეკლესიიდან გაეძევებინა, ხოლო მის ნაცვლად ეკლესიაში მაკედონიოსი შემოეყვანა. პრეფექტ ფილიპეს შეეშინდა ხალხის ამბოხის და ხერხის გამოყენებით გადაიყვანა პავლე; მან დამალა იმპერატორის განზრახვა. მან მოიმიზეზა სახელმწიფო საქმეებზე ზრუნვა და შევიდა სახალხო აბანოში, რომელსაც ეწოდებოდა ძევქსიპოსი. მან იქიდან გაგზავნა პავლესთან კაცი პატივისცემის დადასტურებით, რომ აუცილებლად მოსულიყო მასთან. ისიც მივიდა. როდესაც იგი მოვიდა, პრეფექტმა მაშინვე განუცხადა იმპერატორის განკარგულება. ეპისკოპოსმა კეთილგონივრულად მიიღო უსამართლოდ გამოტანილი განაჩენი. პრეფექტს შეეშინდა გარს შემოჯარული ხალხის და მათი ამბოხის, რადგან მრავალი იყო შემოკრებილი აბანოს გარშემო საეჭვო ხმების გამო, ამიტომ მან ბრძანა, გაეღოთ აბანოს ერთი კარი, რომლის გავლითაც პავლე გაიყვანა სასახლის ეზოში, ჩასვა ხომალდში, რომელიც ამისთვის იყო გამზადებული და სასწრაფოდ გაამგზავრა გადასახლებაში. პრეფექტმა ბრძანა,

მაკედონიის მიტროპოლიაში, თესალონიკში წასულიყო, საიდანაც წარმომავლობით იყო პავლე. მას იქ უნდა ეცხოვრა და შეეძლო უშიშრად ევლო ილირიელთა სხვა ქალაქებშიც, მაგრამ იქიდან არ უნდა გამოსულიყო და არ უნდა ჩასულიყო აღმოსავლეთ ნაწილში. ამგვარად, მოულოდნელად ერთსა და იმავე დროს ეკლესიიდანაც და ქალაქიდანაც გამოძევებული პავლე საჩქაროდ იქნა გაყვანილი. იმპერატორის პრეფექტი ფილიპე საჯარო აბანოდან ეკლესიაში შევიდა. მასთან ერთად რაღაც გზებით აღმოჩნდა მაკედონიოსი, ყველასათვის დასანახად პრეფექტის გვერდით იჯდა. მათ გარშემო იყვნენ მახვილით შეიარაღებული ჯარისკაცები. ამიტომ, ხალხი შიშმა მოიცვა, ყველა ეკლესიებს მიაწყდა, როგორც „თანაარსის“ მაღიარებელნი, ასევე არიანული მოძღვრების მიმდევრებიც; ყველა ცდილობდა ეკლესიაში შესვლას. როდესაც პრეფექტი მაკედონიოსთან ერთად ეკლესიის მახლობლად გამოჩნდა, მაშინ ხალხი ენითუთქმელმა შიშმა შეიპყრო, არათუ ისინი, არამედ ჯარისკაცებიც. რადგან უამრავი ხალხი იმყოფებოდა იქ. მაკედონიოსის თანმხლებ პრეფექტს შესავლელი არ ჰქონდა, ამიტომ, ჯარისკაცები ძალით მიაწვნენ ხალხს. როდესაც ხალხი კვლავ აწვებოდა და სივიწროვის გამო უკან დასახევი ადგილი არ იყო, ჯარისკაცებმა გადაწყვიტეს ხალხს დაპირისპირებოდნენ და გზის ჩახერგვის მოწადინეთა წინააღმდეგ შიშველი მახვილი გაუშვეს საქმეში. როგორც ამბობენ, დაიხოცა დაახლოებით სამი ათას ას ორმოცდაათი კაცი, ზოგი ჯარისკაცებმა მოკლა, ზოგი ხალხმა გადათელა. ამ მოვლენების შემდეგ მაკედონიოსი ისე, თითქოს არაფერი ბოროტება არ ჩაედინა, არამედ წმინდა და უმანკო იყო მომხდარ ამბებში, უფრო პრეფექტის, ვიდრე საეკლესიო კანონების მეშვეობით დაჯდა საყდარზე. ამრიგად, ასე დაიპყრეს ეკლესია მაკედონიოსმა და არიანელებმა ესოდენი მკვლელობების გზით.

ამავე დროს იმპერატორმა დიდი ეკლესია ააგო, რომელსაც ახლა „სოფია“ ეწოდება. იგი მიბმულია ირინეს სახელობის

ეკლესიაზე, რომელიც იმპერატორის მამამ წინათ მცირე ზომისა გაამშვენა და განავრცო. ახლა ამ ორივე ტაძარს ერთი კედელი აქვს და ერთი სახელი.

XVII თავი
თუ როგორ გაიქცა იმპერატორების მუქარით შეშინებული ათანასე რომში

იმ დროს არიანელებმა ახალი ცილისწამება შეკერეს ათანასეს წინააღმდეგ, საბაბად გამოიყენეს შემდეგი რამ. ავგუსტუსების მამას ალექსანდრიელთა ეკლესიისთვის უკვე წინათ ნაბოძები ჰქონდა სანოვაგით მომარაგება გლახაკების გამოსაკვებად. ამბობდნენ, რომ ეს გაყიდა ათანასემ, რითაც სარგებელი თვითონ ნახა. ეს ირწმუნა იმპერატორმა და მას სიკვდილის სასჯელით დაემუქრა. მან წინდაწინ შეიტყო იმპერატორის მუქარა, გაიქცა და გაუჩინარდა. მაშინ რომის ეპისკოპოსმა იულიუსმა შეიტყო არიანელთა მიერ ათანასეს წინააღმდეგ მოწყობილი ცილისწამებები, მიიღო ასევე გარდაცვლილი ევსების წერილები და თავისთან მოუხმო ათანასეს, მას შემდეგ, რაც გამოარკვია ადგილი, სადაც ის იყო დამალული. ამ დროს მოუსწრო წერილმაც, რომელიც წინათ ანტიოქიაში შეკრებილებმა გამოგზავნეს. ასევე გაუგზავნეს მას სხვა წერილიც ეგვიპტის ეპისკოპოსებმა და აუწყეს მას, რომ სიცრუე იყო ათანასეს წინააღმდეგ გამოთქმული ბრალდებები. როდესაც დაპირისპირებულმა მხარეებმა ასე გამოგზავნეს წერილები, იულიუსმა საპასუხო წერილში გაკიცხა ანტიოქიაში შეკრებილნი, ჯერ მათი ეპისტოლეს არცთუ სასიამოვნო ტონის გამო, შემდეგ კანონების საწინააღმდეგოდ ჩადენილი მათი საქმეები, რომ კრებაზე იგი არ მოიწვიეს, მაშინ როდესაც საეკლესიო კანონი ამას მოითხოვდა, რომ არავითარი განჩინება არ უნდა მიეღოთ ეკლესიებს რომის ეპისკოპოსის ნების წინააღმდეგ; მან ასევე გაკიცხა ის საქციელიც, რომ რწ-

მენა ფარულად შერყვნეს. გარდა ამისა დაგმო ადრე ტვიროსში მათ მიერ ნამოქმედარი, როდესაც წინდაწინ გამოიტანეს განაჩენი, ისე, რომ მარეოტში ცალი მხრიდან მოიძიეს ჩვენებები; არა მხოლოდ ეს, არამედ ისიც, რომ არსენიოსთან დაკავშირებული საქმე აშკარა ცილისწამებად წარმოჩნდა. ეს და ასეთები გრძლად მიწერა იულიუსმა ანტიოქიაში შეკრებილთ. გადმოვცემდით იულიუსის მიმართ მათ მიერ მიწერილ ეპისტოლეებსაც და მის მიერ მიწერილსაც, მათი მრავალსიტყვაობის სიგრძე რომ არ მაბრკოლებდეს. მაკედონიოსის მწვალებლობის მიმდევარმა საბინოსმა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, იულიუსის მიერ მიწერილი ეპისტოლეები კრებების ოქმების კრებულში არ შეიტანა; თუმცა, ანტიოქიაში შეკრებილთა მიერ იულიუსის მიმართ მიწერილი ეპისტოლეები არ გამოტოვა. ასეთი რამის გაკეთება მას ჩვევია. იმ ეპისტოლეებს, რომლებშიც სიტყვა „თანაარსს“ გვერდი აქვს ავლილი ან არ გვხვდება, მოწადინებული გადმოცემს, საპირისპიროთა ეპისტოლეებს კი შეგნებულად გვერდს უვლის. ეს ითქვა მათ შესახებ. არცთუ დიდი ხნის შემდეგ პავლე თესალონიკიდან კორინთოში წასვლის საბაბით ჩავიდა იტალიაში. ორივემ აცნობა თავიანთი საქმეები იქაურ იმპერატორს.

XVIII თავი
თუ როგორ მოითხოვა დასავლეთის იმპერატორმა მისი ძმისგან, რომ მისთვის გამოეგზავნა ათანასეს და პავლეს გამო მომჩივანნი; და რომ გაგზავნილებმა მრწამსის ახალი გადმოცემა დაწერეს

დასავლეთ ნაწილის იმპერატორმა შეიტყო მათი მსგავსი გასაჭირი და ძმას წერილები გაუგზავნა. აცნობებდა, რომ სამი ეპისკოპოსი გაეგზავნა მასთან, რომლებიც თავს იმართლებდნენ

პავლეს და ათანასეს განყენების გამო. წარგზავნილ იქნენ ნარკისოს კილიკიელი, თეოდორე თრაკიელი, მარის ქალკედონელი და მარკოზ სირიელი. როდესაც ისინი ჩავიდნენ, ათანასესთან დაკავშირებით საჩივარი არ გამოუთქვამთ. მათ დამალეს ანტიოქიაში გადმოცემული მრწამსი, ახალი შეადგინეს და გადმოცეს იმპერატორ კონსტანტის წინაშე შემდეგი სიტყვებით:

[მრწამსის] ახალი გადმოცემა

„გვწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისმპყრობელი, დამფუძნებელი და შემოქმედი ყოველივესი, რომელისგანაც იწოდება ყოველი მამობა ცაშიც და მიწაზეც. და მისი მხოლოდშობილი ძე, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ყველა საუკუნის უწინარეს მამისაგან შობილი, ღმერთი ღვთისგან, ნათელი ნათლისაგან, რომლის მეშვეობით შეიქმნა ყოველივე ცაშიც და მიწაზეც, ხილულიც და უხილავიც; სიტყვა, სიბრძნე, ძალა, ცხოვრება და ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც უკანასკნელ დღეებში ჩვენ გამო განკაცდა და წმინდა ქალწულისგან იშვა, ჯვარს ეცვა და მოკვდა, დაეფლა, მკვდრეთით აღდგა მესამე დღეს, ამაღლდა ცად, დაჯდა მამის მარჯვენით და მოვალს საუკუნეთა დასასრულს ცოცხალთა და მიცვალებულთა განსასჯელად, და თითოეულისთვის მათი საქმეების მიხედვით მისაგებლად, რომლის სუფევას არ აქვს დასასრული და გრძელდება უსასრულო საუკუნეების განმავლობაში. რამეთუ იგი იჯდება მამის მარჯვნივ არა მხოლოდ ამ საუკუნეში, არამედ – მომავალშიც. [გვწამს] სულიწმინდა, რომელიც არის ნუგეშისმცემელი, რომელიც აღთქმული იყო მოციქულებისთვის მისი ცად ამაღლების შემდეგ, და წარიგზავნა დამოძღვრისა და ყველაფრის გასახსენებლად, ვისი მეშვეობითაც განიწმინდება მის მიმართ წრფელად მორწმუნეთა სულები.

„მათ, რომლებიც ამბობენ, რომ ძე არარსებულიდან წარმოიშვა, ან სხვა ჰიპოსტასისგან არის და არა ღვთისგან,და რომ იყო ჟამი, როდესაც არ იყო, კათოლიკე ეკლესია სცნობს როგორც უცხოთ.“

ეს გადასცეს იმპერატორს, ასევე – სხვა მრავალსაც; მეტი არაფერი გაუკეთებიათ, ისე დაიშალნენ. როდესაც დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის განურჩეველი თანაზიარება სუფევდა, ილირიელთა ქალაქ სირმიაში აღმოცენდა ახალი მწვალებლობა. ადგილობრივი ეკლესიების წინამდგომელი ფოტინოსი, წარმოშობით მცირე გალატიიდან, განყენებული მარკელოსის მოწაფე და მოძღვრის მიმდევარი ამტკიცებდა, რომ ძე იყო უბრალო ადამიანი. ამ საკითხის შესახებ თავის ადგილას ვიტყვი.

XIX თავი
[მრწამსის] ვრცელი გადმოცემის შესახებ

სამი წლის გასვლის შემდეგ კვლავ გამართეს სხდომა აღმოსავლეთის ეპისკოპოსებმა, სხვა მრწამსის სიმბოლო შეადგინეს და იტალიის ეპისკოპოსებს გაუგზავნეს იმხანად გერმანიკიის ეპისკოპოს ევდოქსიოსის, მარტირის და მაკედონიოსის მეშვეობით, – ეს უკანასკნელი იყო კილიკიაში მდებარე მოფსუესტიის ეპისკოპოსი. უფრო ვრცელი მრწამსი დაიწერა, მრავალ რამეს შეიცავდა წინაზე დამატებით. ის გადმოიცა შემდეგი სიტყვებით:

„გვწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისმპყრობელი, დამფუძნებელი და შემოქმედი ყოველივესი, რომელისგანაც იწოდება ყოველი მამობა ცაშიც და მიწაზეც. და მისი მხოლოდშობილი ძე, ჩვენი უფალი იესო ქრისტე, ყველა საუკუნის უწინარეს მამისაგან შობილი, ღმერთი ღვთისგან, ნათელი ნათლისაგან, რომლის მეშვეობით შეიქმნა ყოველივე ცაშიც და მიწაზეც, ხილულიც და უხილავიც; სიტყვა, სიბრძნე, ძალა, ცხოვრება და ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც უკანასკნელ დღეებში ჩვენ გამო განკაცდა და წმინდა ქალწულისგან იშვა, ჯვარს ეცვა და მოკვდა, დაეფლა, მკვდრეთით აღდგა მესამე დღეს, ამაღლდა ცად, დაჯდა

მამის მარჯვენით და მოვალს საუკუნეთა დასასრულს ცოცხალთა და მიცვალებულთა განსასჯელად, და თითოეულისთვის მათი საქმეების მიხედვით მისაგებლად, რომლის სუფევას არ აქვს დასასრული და გრძელდება უსასრულო საუკუნეების განმავლობაში. რამეთუ იგი იჯდება მამის მარჯვნივ არა მხოლოდ ამ საუკუნეში, არამედ – მომავალშიც. [გვწამს] სულიწმინდა, რომელიც არის ნუგეშისმცემელი, რომელიც აღთქმული იყო მოციქულებისთვის მისი ცად ამაღლების შემდეგ, და წარიგზავნა დამოძღვრისა და ყველაფრის გასახსენებლად; ვისი მეშვეობითაც განიწმინდება მის მიმართ წრფელად მორწმუნეთა სულები.

„მათ, რომლებიც ამბობენ, რომ ძე არარსებულიდან წარმოიშვა,ან სხვა ჰიპოსტასისგან არის და არა ღვთისგან,და რომ იყო ჟამი, როდესაც არ იყო, კათოლიკე ეკლესია სცნობს, როგორც უცხოთ; ასევე მათაც შეაჩვენებს წმინდა და კათოლიკე ეკლესია, რომლებიც ამბობენ, რომ არის სამი ღმერთი, ან ქრისტე არ არის საუკუნეთა უწინარეს არსებული ღმერთი, ან რომ იგი არ არის არც ქრისტე, არც ღვთის ძე, ან რომ ერთი და იგივე არის მამა, ძე და სულიწმინდა, და უშობელია ძე, ან რომ არათუ განზრახვით ან ნებით შვა მამამ ძე. რამეთუ არ არის უსაფრთხო იმის თქმა, რომ ძე არარსებულიდან წარმოიშვა, როდესაც ღვთივშთაგონებული წერილში არაფერი არ წერია ამის შესახებ. არც იმას ვასწავლით,რომ მამის გარდა სხვა ჰიპოსტასისგან დაედო საფუძველი[30], არამედ იმას, რომ იგი არის მხოლოდ ღვთისგან ჭეშმარიტად შობილი. რამეთუ საღვთო სიტყვა ასწავლის ქრისტეს ერთ უშობელ და დაუსაბამო მამას. არამედ მათ, რომლებიც სახიფათოდ ამბობენ, რომ იყო ოდესღაც, როდესაც არ იყო, არ უნდა მოიაზრონ მის უწინარეს ჟამიერი შუალედი, არამედ მხოლოდ მისი უჟამოდ მშობელი ღმერთი, რამეთუ ჟამები და საუკუნეები მისი მეშვეობით შეიქმნა. უნდა ვიფიქროთ, რომ ძე არ არის მამის თანადაუსაბამო, არც თანაუშობელი. რადგან მართებულად რომ ვთქვათ, არ არსებობს თანადაუსაბამოს და

თანაუშობელის მამა, არც ძეზე ითქმის ეს. მხოლოდ მამა ვიცით დაუსაბამო და მიუწვდომელი, და ყველასათვის მიუწვდომელი და მოუაზრებელი შობა. [გვწამს] ძის შობა საუკუნეთა უწინარეს და რომ არ არის იგიც მამის მსგავსად უშობელი, არამედ დასაბამად აქვს მისი მშობელი მამა. რადგან „ქრისტეს თავი არის ღმერთი“ (1 კორ. 11, 3). ვაღიარებთ სამ საგანს და სამ პირს, მამას, ძეს და წმინდა სულს წმინდა წერილის მიხედვით, ამიტომ სამივეს ღმერთად ვაქცევთ. ვინაიდან თვითსრულ, უშობელ, დაუსაბამო და უხილავ ღმერთად ვიცით მხოლოდ ერთი ღმერთი, მხოლოდშობილის მამა, რომელსაც საკუთარი თავისგან აქვს არსებობა, და არის მხოლო ყველა სხვისთვის უშურველად მინიჭებული. ამიტომ, თუმცა ვამბობთ, რომ არის ერთი ღმერთი, უფალ იესო ქრისტეს მამა, მხოლო უშობელი; არ უარვყოფთ, რომ ქრისტე არის წინასაუკუნოვანი ღმერთი, როგორადაც ფიქრობენ პავლე სამოსატელის მიმდევრები, რომლებიც ამბობენ, რომ შემდეგ წარმატების შედეგად გახდა ღმერთი, ბუნებით კი უბრალო ადამიანი იყო. ვიცით, რომ თუმც იგი მამისა და ღმერთის ქვემოთ არის დაწესებული, არამედ ღვთისგან არის შობილი, ბუნებით არის სრული და ჭეშმარიტი ღმერთი და არათუ ადამიანთაგან შემდგომში ღმერთად გამხდარი, არამედ ღვთისგან განკაცებული ჩვენ გამო და არასოდეს შეუწყვეტია ღმერთად ყოფნა.

„გვძაგს და შევაჩვენებთ, რომლებიც ღვთის მხოლო სიტყვას ლიტონს და მყოფობის არ მქონეს უწოდებენ შეთითხნულად და სხვაში არსებობის მქონედ [აღიარებენ]; ზოგიერთი მას ხან წარმოთქმულ სიტყვას უწოდებს, ხან შიგნითმდებარე სიტყვას, რომლებიც ფიქრობენ, რომ იგი იყო საუკუნეთა უწინარეს ქრისტე და ღვთის ძე, შუამავალი, ღვთის ხატი, არამედ ოდესღაც გახდა ქრისტე და ღვთის ძე, მას შემდეგ, რაც ქალწულისგან მიიღო ჩვენეული ხორცი, მთელი ოთხასი წლის წინათ. ისინი თვლიან, რომ ოდესღაც დაედო დასაბამი ქრისტეს მეუფებას და ბოლოს გავა მის გარეთ, [ჟამის] დასასრულისა და სამსჯავროს შემდეგ.

ასეთები არიან ანკვიროგალატიელი მარკელოსის და ფოტინოსის მიმდევრები, რომლებიც უარყოფენ ქრისტეს წინარესაუკუნოვან არსებობას და ღმრთეებას, ასევე იუდეველთა მსგავსად მის დაუსრულებელ მეუფებას; ისინი ასე მიიჩნევენ ერთსაწყისიანობის განმტკიცების საბაბით.

„ჩვენ ვიმეცნებთ მას, არათუ მარტივად ღვთის წარმოთქმულ ან შიგნითმდებარე სიტყვად, არამედ ცოცხალ ღმერთ სიტყვად, ცალკე არსებულს, ღვთის ძედ და ქრისტედ; არათუ წინასწარმცოდნეობით საუკუნეთა უწინარეს თავის მამასთან თანამყოფად და თანამცხოვრებად, და ყოველივეს – უხილავის თუ ხილულის – შესაქმისათვის მის მსახურად, არამედ მამის შეჰიპოსტასებულ სიტყვად და ღმერთად ღვთისაგან. რამეთუ იგი არის, რომლის მიმართაც თქვა მამამ, რომ „შევქმნათ კაცი ჩვენი ხატებისა და მსგავსების მიხედვით“ (შესაქ. 1, 26), რომელიც მამებს პირისპირ ეჩვენა და გადასცა რჯული, და საუბრობდა წინასწარმეტყველთა მეშვეობით, უკანასკნელ განკაცდა და თავისი მამა ყველა ადამიანს გაუცხადა და მეუფებს დაუსრულებელ საუკუნეებში. გვიწამებია, რომ ქრისტეს არათუ ახლახანს მოუპოვებია ღირსება, არამედ ზემოდან არის სრული და ყველაფერში მსგავსი მამისა.

„მსგავსადვე განვკვეთავთ ეკლესიიდან მათ, რომლებიც ამბობენ, რომ ერთი და იგივე არის მამა, ძე და სულიწმინდა, ერთი და იგივე საგნად და პირად მყოფად ურჯულად განმარტავენ სამ სახელს, რადგან უადგილო და უვნებელ მამას განკაცების მეშვეობით ადგილით შემოსაზღვრულთან და ვნებულთან ერთად განაწესებენ. ისინი არიან რომაელებთან „პატრიპასიანელებად“, ჩვენთან კი საბელიანელებად წოდებულნი. ჩვენ კი ვიცით, რომ წარმგზავნელი მამა უცვლელი ღმრთეების თვისებაში დარჩა ჩვეულებით, ხოლო წარგზავნილმა ქრისტემ განკაცების განგებულება აღასრულა.

„მსგავსადვე ურჯულოებად და ჭეშმარიტებისგან უცხოდ

ვაღიარებთ მათ, რომლებიც ამბობენ, რომ ქრისტე, არც განზრახვით, არც ნებით არ შობილა, აშკარაა, არაკეთილკრძალულად უნებურ და არჩევანის გარეშე არსებულ აუცილებლობას მიაწერენ ღმერთს, რათა უნებურად ეშვა ძე. რამეთუ ღვთის შესახებ საერთო განაზრების და ღვთივშთაგონებული წერილის განზრახვის საპირისპიროდ ბედავენ ასეთი რამის განჩინებას მის შესახებ. ჩვენ ღვთისმოსავურად მივიჩნევთ ღმერთს თვითმპყრობელად, უფლად, რომელმაც იცის საკუთარი თავი და თვითუფლებრივად და ნებელობით შობს თავის ძეს[31]. ღვთისმოშიშებით გვწამს ასევე მის შესახებ ნათქვამი: „უფალმა დამაფუძნა მე თავის გზების დასაბამში თავისი საქმეებისთვის“ (იგავ. 8, 22), – არათუ მის მიერ შექმნილთა ან დაბადებულთა მსგავსად ვიაზრებთ ჩვენ მის შექმნას. რამეთუ უღმერთობა და საეკლესიო რწმენისაგან უცხოა მის მიერ შექმნილებისთვის და დაბადებულებისთვის მისი, როგორც ქმნილების შედარება, და ჩავთვალოთ, რომ მას აქვს სხვებთან ერთი და იგივე წარმოშობის გვარი და მათთან იგივეობრივია. საღვთო წერილი გვასწავლის ერთადერთი და ერთადერთი გზით მხოლოდშობილი ძის შესახებ, აგრეთვე მის ნამდვილად და ჭეშმარიტად შობას. მაგრამ არც იმას ვამბობთ, რომ ძე არის თავისი თავისგან და მამის მსგავსად ცხოვრობს და არსებობს. ამიტომ, მას განვყოფთ მამისგან, თითქოს მათ შორის მოვიაზრებდეთ სხეულებრივი რამ კავშირის ადგილებს და დაშორებებს. რადგან გვირწმუნია, რომ ისინი უშუალედოდ და უმანძილოდ არიან შეკავშირებული, და ერთმანეთისგან განუშორებლად არსებობენ; მთელი ძე ჩახუტებულია რა მამის მკერდში, მთელი ძე დაყრდნობილი და მიზრდილია მამაზე, და მხოლო მარადიულად დაივანებს მამისეულ წიაღში[32]. გვწამს ყოვლადსრული და უწმინდესი სამება, მამას ვუწოდებთ ღმერთს, ასევე ძესაც, არათუ ორ ღმერთად ვაღიარებთ მათ, არამედ ერთად, ღმრთეების ღირსების მიხედვით, და მეუფების ერთ ზედმიწევნით კავშირს; სრულად ყოვლისმპყრობელობს მამა ყოვე-

ლივეზე და მისი ძეც; მაგრამ ძე დაწესებულია მამის ქვემოთ, მის გარეთ, მის შემდეგ მეუფებს ყოველივეზე, რაც მისი მეშვეობით არის შექმნილი; და წმინდანებს მამისეული ნებით უშურველად ანიჭებს სულიწმინდის მადლს. ასე გადმოუცია წმინდა სიტყვებს ჩვენთვის ქრისტეში ერთსაწყისიანობის შესახებ შედგენილი სწავლება.

„იძულებული ვიყავით, ეს უფრო ვრცლად შედგენილი [სიმბოლო] შეგვემუშავებინა შეჯამებულად გადმოცემული მრწამსის შემდეგ, არათუ პატივმოყვარეობის ზედმეტობით, არამედ რათა გაგვეთავისუფლებინა ჩვენეული გაგების წინააღმდეგ უცხო ეჭვისაგან ყველა, ვინც არის მათ შორის, რომლებიც არ იცნობენ ჩვენს მოსაზრებებს; და მივცეთ ცოდნა დასავლეთში ყველას, როგორც სხვაგვარად მორწმუნეთა ცილისწამებათა ურცხვობა, ასევე აღმოსავლელთა ქრისტეში მყოფი საეკლესიო აზრი, რომელიც არის მათ შორის ღვთივშთაგონებული წერილიდან შეურყვნელად და ძალადაუტანებლად დამოწმებული.“

XX თავი
სარდიკას კრების შესახებ

დასავლეთის ნაწილის ეპისკოპოსებმა ეს არ მიიღეს იმის გამო, რომ უცხო ენაზე იყო შედგენილი და არც ეთანხმებოდნენ, ამბობდნენ, რომ საკმარისი იყო ნიკეის მრწამსი და მეტი აღარ უნდა შექმნილიყო. როდესაც იმპერატორმა კვლავ მისწერა, პავლესთვის და ათანასესთვის დაებრუნებინათ თავიანთი ადგილები, არაფერი არ შესრულდა. რადგან განუწყვეტლივ ამბოხი იყო ხალხში. პავლეს და ათანასეს მომხრეები ითხოვდნენ ახალი კრების გამართვას, რათა მათი და რწმენის საქმეები განხილულიყო მსოფლიო კრებაზე. ისინი ამბობდნენ, რომ რწმენის გასანადგურებლად მოხდა მათი განყენება. ამგვარად, ორივე

იმპერატორთა ნებით კვლავ გამოცხადებულ იქნა მსოფლიო კრება ილირიელთა ქალაქ სარდიკაში; ერთი იმპერატორი წერილებით ითხოვდა ამას, აღმოსავლეთისა კი — ხალისით ემორჩილებოდა. მეათე წელი იყო ორივე ავგუსტუსის მამის გარდაცვალებიდან, კონსულები იყვნენ რუფინუსი და ევსები, როდესაც სარდიკაში შეიკრიბა სინოდი. დასავლეთის მხარიდან, როგორც ამბობს ათანასე, დაახლოებით სამასი ეპისკოპოსი შეიკრიბა, აღმოსავლელთაგან კი, მხოლოდ – საბინოსი ამბობს, – სამოცდათექვსმეტი, რომელთა შორის აღირაცხებოდა მარეოტის ეპისკოპოსი ისქირასი, რომელიც ათანასეს განმყენებლებმა იმ ადგილის ეპისკოპოსად დაასხეს ხელნი. ზოგმა სხეულის უძლურება მოიმიზეზა, სხვები კი ვადის სიმოკლეს კიცხავდა რომის ეპისკოპოს იულიუსის წინაშე. თუმცა, წელიწადი და ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც კრება იქნა გამოცხადებული, ათანასეს გარშემო მყოფნი რომში ცხოვრობდნენ კრების მსვლელობის მოლოდინში. როდესაც შეიკრიბნენ სარდიკაში, აღმოსავლელებმა არ ისურვეს დასავლელთა პირისპირ შეხვედრა, ამბობდნენ, რომ სხვაგვარად არ მივიდოდნენ სხდომაზე, თუ არ გააძევებდნენ ათანასეს და პავლეს მომხრეებს კრებიდან. მაგრამ მაშინვე წავიდნენ, როდესაც სარდიკას ეპისკოპოსმა პროტოგენემ და ჰოსიუს კორდუბელმა (როგორც ზემოთ ვთქვით, ეს არის ესპანეთის ქალაქი) არ დაუშვეს პავლეს და ათანასეს მომხრეების დაუსწრებლობა. ისინი ჩავიდნენ თრაკიის ფილიპოპოლისში და ცალკე სხდომა გამართეს და აშკარად შეაჩვენეს „თანაარსი“, ხოლო შეადგინეს ეპისტოლეები და ყველგან დაგზავნის „არამსგავსის“ შესახებ სწავლება. სარდიკაში შეკრებილებმა პირველად დუმილი გადაწყვიტეს მათ შესახებ, მაგრამ შემდეგ ათანასეს ბრალმდებლები ხარისხიდან განაყენეს, ნიკეის მრწამსი დაამტკიცეს, „არამსგავსი“ განაგდეს და „თანაარსი“ ღიად გადმოსცეს. მათაც დაწერეს და ყველგან დააგზავნეს. ორივე მხარე ფიქრობდა, რომ სამართლიანად მოიქცა: აღმოსავლელები იმი-

ტომ, რომ მათ მიერ განყენებულები დასავლელებმა მიიღეს, ხოლო დასავლელები იმ მიზეზით, რომ საქმის განხილვამდე გაიქცნენ განყენებულები და რომ ისინიც ნიკეის რწმენას იცავდნენ, მაშინ როცა ამათმა გაბედეს მისი შერყვნა. დასავლელებმა დაუბრუნეს ადგილები პავლეს და ათანასეს მომხრეებს, გარდა ამისა, მცირე გალატიაში მდებარე ანკვირიის ეპისკოპოსს მარკელოსს, რომელიც წინათ განაყენეს, როგორც წიგნში ზემოთ ვახსენეთ. მაშინ იგი ესწრაფოდა საბრალდებო განაჩენის უკან გამოხმობას, ამბობდა, რომ არ იქნა გააზრებული მის მიერ შედგენილი წიგნის სიტყვები და ამის გამო გაუჩნდათ სამოსატელის [სწავლების] ეჭვი. უნდა ვიცოდეთ, რომ მარკელოსის წიგნი ევსები პამფილელმა განაქიქა მასთან საუბარში სამ წიგნში, რომლებიც დაასათაურა „მარკელოსის წინააღმდეგ“, და ჩაურთო მარკელოსის სიტყვები, იმას ებრძოდა, რომ მარკელოსს საბელიოზ ლიბიელის და პავლე სამოსატელის მსგავსად შემოჰქონდა სწავლება, რომ უფალი ლიტონი ადამიანი იყო.

XXI თავი
ევსები პამფილელის
აპოლოგია

ვინაიდან ზოგიერთებმა სცადეს მისი გაკიცხვაც, ვგულისხმობ ევსები პამფილელს, როგორც არიანულად მოაზროვნეს იმ ნაშრომებში, რომლებიც მან გადმოცა, ვფიქრობ უადგილო არ არის მის შესახებ მცირე რამის თქმა. პირველად იგი ესწრებოდა ნიკეის კრებაზე „თანაარსის“ განჩინებას და დაეთანხმა კიდეც. თვითონაც ამბობს „კონსტანტინეს ცხოვრების“ მესამე წიგნში სიტყვასიტყვით შემდეგს: „იმპერატორი ყველას ერთსულოვნებისკენ ეწეოდა, სანამ თანამოაზრეებად და ერთი შეხედულების მქონეებად არ გახადა ისინი ყველა იმ სადავო საკითხის გარშემო,

ისე რომ ერთხმად გაიმარჯვა ნიკეის მრწამსმა.“ აწ თუ ევსები ახსენებს იქაურ კრებას და ამბობს, რომ გადაჭრილ იქნა იმ დროის სადავო საკითხები, ყველა ერთსულოვანი და თანამოაზრე გახდა, მაშინ როგორ მიიჩნევს მას ზოგიერთი არიანელად? არიანელებიც ცრუობენ, როდესაც მას მათ მომხრედ თვლიან. მაგრამ ერთი ვინმე ამბობს, რომ იგი თავის ნაშრომებში არიანელად ჩანს, რადგან განუწყვეტლივ ამბობს „ქრისტეს მეშვეობით“[33]. ამაზე მივუგებთ, რომ ამ გამონათქვამს ხშირად იყენებს ეკლესიის მწერლები, ასევე სხვა სიტყვებსაც, რომლებიც წარმოაჩენს ჩვენი მხსნელის კაცების განგებულებას. ამასთან ყველა მათგანზე ადრე მოციქულმა გამოიყენა ეს სიტყვები და არასოდეს მოხსენიებულა არიანელების მოძღვრად. გარდა ამისა იმაზე, რაც არიოზმა გაბედა, ძეზე ესაუბრა როგორც ქმნილებათა შორის ერთ-ერთზე, მსმენია, როგორ ამბობს სიტყვასიტყვით ევსები მარკელოსის წინააღმდეგ პირველ წიგნში: „ღვთის მხოლოდშობილი ძე არის იგი ერთადერთი და სხვა არავინ იწოდება და არც არის. საიდანაც, ბუნებრივია, გაიკიცხება ის, ვინც გაბედავს მის ქმნილებად გამოცხადებას, დანარჩენი ქმნილებების მსგავსად არარსებულიდან წარმოშობილად. ამასთან, როგორღა იქნება ძე და ღვთის მხოლოდშობილი ის, ვინც არის ბუნებით დანარჩენ ქმნილებებში აღრაცხული, როდესაც იქნება მრავალ ქმნილებათაგან ერთ-ერთი, როგორც არარსებულიდან წარმოშობილი ქმნილების მსგავსად მათთან თანაზიარების წილმქონე? მაგრამ ასე არ ასწავლის მის შესახებ საღვთო სიტყვები[34].“ შემდეგ ცოტათი ქვემოთ კვლავ დასძენს: „ვინც არარსებულიდან დამბადებელს და ქმნილების წინამძღვარს არარსებულიდან [წარმოშობილ] ძედ განაჩინებს, დავიწყებული აქვს, რომ ადიდებს რა ოდენ მის სახელს, სინამდვილეში უარყოფს, რომ ძე არის. რამეთუ არარსებულიდან წარმოშობილი არ იქნება ჭეშმარიტად ღვთის ძე, ისევე როგორც არც სხვა რომელიმე ქმნილება. არამედ ღვთის ჭეშმარიტი ძე არის ის, რომელიც არის მისგან, როგორც მამისაგან შობილი, ბუნებრივია, მამის მხოლოდშობილად და საყვარლად

იწოდება. ამგვარად, ის იქნება ღმერთი. რა იქნება ღვთის ნაშობი, თუ არა მისი მშობლის მსგავსი? იმპერატორი აფუძნებს ქალაქს, მაგრამ არ შობს ქალაქს, შობს ძეს, მაგრამ არ ითქმის, რომ ქმნის მას. და ხელოსანიც არის შემქმნელი, მაგრამ ის არ იქნება მის მიერ შექმნილის მამა. მაგრამ მის მიერ აღმოცენებულ ძეზე არ ითქმის შემქმნელი. ასევე ყოვლიერების ღმერთი, ძის მამა, შესაბამისად იწოდება ქვეყნიერების დამფუძნებლად და შემოქმედად. მაგრამ თუ წმინდა წერილის რომელიმე ადგილას ვინმე აღმოაჩენს ნათქვამს: „უფალმა დამაფუძნა მისი გზების დასაბამად მისი საქმეებისათვის“, საჭიროა ამ სიტყვის გონებით განხილვა, რასაც ცოტა მოგვიანებით გადმოვცემთ, მაგრამ არა მარკელოსის ერთის სიტყვის მიხედვით, რომელიც არყევს ეკლესიის უმთავრეს დოგმატს“.

ასეთ სწავლებებს და სხვა უამრავსაც ამბობს ევსები პამფილელი მარკელოსის წინააღმდეგ ნაშრომის პირველ წიგნში. მესამე წიგნში იგი ასწავლის, თუ როგორ უნდა გავიგოთ სიტყვა „ქმნილება“, და ამბობს შემდეგს: „როდესაც ისინი ასე შემზადებული არიან, აქედან გამომდინარეობს, რომ ამ ყველა წინდაწინ დაფუძნებულთან ერთად ითქვას ესეც: „უფალმა დამაფუძნა მისი გზების დასაბამად მისი საქმეებისთვის“. თუ ამბობს, რომ იგი შექმნილია, ეს არ ითქმის ისე, თითქოს არარსებულიდან არსებობად მოვიდა, არც ისე, რომ სხვა ქმნილებების მსგავსად ისიც არარსებულიდან წარმოიშვა, რაც ზოგიერთებმა არამართებულად გაიაზრეს. არამედ [ეს ითქმის მასზე] როგორც არსებულზე და ცოცხალზე, მთელი ქვეყნიერების შემტკიცებამდე წინარეარსებულზე და წინარემყოფზე, ყოვლიერების სამართავად უფლის, მისი მამის მიერ განწესებულზე. ამიტომ ითქმის „დამაფუძნა“, განმაწესას ან დამაყენას თქმის ნაცვლად. გარკვევით უწოდებს მოციქული ადამიანთა მთავრებს და მმართველებს „ქმნილებას“, როდესაც ამბობს: „დაემორჩილეთ ყოველგვარ ადამიანურ ქნილებას უფლის გამო, თუნდ მეფეს, როგორც უზენაესს, თუნდ განმგებლებს, როგორც მის მიერ წარმოგზავნილთ“

(1 პეტ. 2, 13-14). წინასწარმეტყველიც ამბობს: „ისრაელ, მზად იყავი შენი ღმერთის მოსახმობად; რამეთუ, აჰა, ქუხილის შემამყარებელი, სულის შემქმნელი, ადამიანებისთვის მისი ცხებულის მაუწყებელი“ (ამოს. 4, 13). „შემქმნელს“ არათუ არარსებულიდან წარმომქმნელის მნიშვნელობით აღვიქვამთ. რადგან ღმერთს მაშინ არ შეუქმნია სული, როდესაც მისი ქრისტე აუწყა ყველა ადამიანს, რადგან „მზისქვეშეთში ახალი არაფერია“ (ეკლ. 1, 10). არამედ იყო და წინათვე არსებობდა, მაგრამ წარიგზავნა მაშინ, როდესაც მოციქულები შეიკრიბნენ, როდესაც „ქუხილის მსგავსად ხმა იყო ციდან, როგორც ძლიერი ქარის მობერვისგან; ხოლო აღივსნენ სულიწმინდისაგან. და ასე ეუწყა ყველა ადამიანს ღვთის ცხებული, წინასწარმეტყველების სიტყვების თანახმად: „აჰა, ქუხილის შემამყარებელი, სულის შემქმნელი, ადამიანებისთვის მისი ცხებულის მაუწყებელი“ – „შემქნელს“ წარმგზავნელის ან განმაწესებელის ნაცვლად ამბობს, ქუხილს კი სხვაგვარად განმარტავს სახარებისეული ქადაგება. და როდესაც ამბობს: „გული წმინდა შექმენი ჩემში, ღმერთო“ (ფსალ. 50, 12), ამას არათუ ისე ამბობს, თითქოს გული არა აქვს, არამედ აზრის განწმენდის აღსრულებას ევედრება. ამგვარადვე ითქმება ესეც: „რათა ორი ერთ ახალ ადამიანად შექმნა“ (ეფეს. 2, 15) – „შემოკრიბოს“ ნაცვლად. ნახე, ასეთი არასოდეს არის ესეც: „შეიმოსეთ ახალი კაცი, ღვთის მიხედვით შექმნილი“ (ეფეს. 4, 24). ასევე – „თუ ვინმე არის ქრისტეში ახალი ქმნილება“ (II კორ. 5, 17). და რამდენ სხვასაც აღმოაჩენს, ვინც ღვთივშთაგონებულ წერილს ამგვარად დაწვრილებით გამოიკვლევს. ნუ გაგიკვირდება, თუ გადატანითი მნიშვნელობით არის ამ ადგილასაც – „უფალმა დამაფუძნა თავისი გზების დასაბამად“ – „დამაფუძნა“ დამადგინა ან დამაწესას ნაცვლად.“

ამაზე საუბრობს ევსები „მარკელოსის წინააღმდეგ“ დაწერილ ნაშრომში. ჩვენ ის გადმოვეცით იმის გამო, რომ მას ამაოდ დასცინიან და ცდილობენ ამ კაცზე აუგის თქმას. მათ არ

ძალუძთ აჩვენონ, რომ ევსები არსებობის დასაბამს აძლევს ღვთის ძეს, თუ არა განგებულების სიტყვებს იყენებს მის შემორჩენილ წიგნებში; განსაკუთრებით იმიტომ, რომ იგი იყო ორიგენეს წიგნების მოშურნე და თაყვანისმცემელი, რომლებშიც ყველგან აღმოაჩენენ ორიგენეს წიგნების ღრმად შეცნობის შემძლენი, რომ ძე მამისაგან არის შობილი. ეს გადავუხვიეთ ევსების გაკიცხვის მოსურნეთა გამო.

XXII თავი
თუ როგორ დაუბრუნა საყდრები სარდიკას კრებამ ათანასეს და პავლეს, და როდესაც არ მიიღო აღმოსავლეთის იმპერატორმა, დასავლეთის იმპერატორი ომით დაემუქრა

როდესაც სარდიკაში შეკრებილებმა და მათაც, რომლებმაც ფილიპოპოლისში ცალკე სხდომა გამართეს, ორივე მხარემ თავისთვის მოსაწონი განჩინებები მიიღეს, დაბრუნდნენ თავიანთ ქალაქებში. აღმოსავლეთს გამოეყო დასავლეთი. მათი თანაზიარების გამყოფი ზღვარი გადიოდა მთაზე სახელად სუკისზე, რომელიც მდებარეობს ილირიელთა და თრაკიელთა შორის. ამ მთამდე განურჩეველი იყო თანაზიარება, როდესაც უთანხმოება გაჩნდა, ერთმანეთთან მეტად აღარ ეზიარებოდნენ. მაშინ ასეთი იყო ეკლესიის გარშემო ჩამოვარდნილი არეულობა. ამის შემდეგ დასავლეთის იმპერატორმა შეატყობინა მის ძმას კონსტანციუსს სარდიკაში მომხდარი ამბები და მოსთხოვა პავლეს და ათანასეს მომხრეებისთვის თავიანთი ადგილების დაბრუნება. მაგრამ ვინაიდან კონსტანციუსი აყოვნებდა მიწერილის აღსრულებას, დასავლეთი მხარის იმპერატორმა კვლავ გადაწყვიტა შეეთავაზებინა, ან მიეღო პავლეს და ათანასეს მომხრეები თავიანთ ხარისხებში, ან თუ ამას არ იქმოდა, მისი მტერი გახდებოდა

და ომი მიეღო. ძმისთვის მიწერილი არის შემდეგი სახის:

„ასე ჩემთან არიან ათანასე და პავლე. გამოკითხვით გამოვიკვლიე, რომ ისინი კეთილმსახურების გულისთვის იდევნებიან. ამრიგად, თუ დაპირდები, რომ დაუბრუნებ მათ საყდრებს, დაიფარავ მათგან, რომლებიც მათ უმიზეზოდ ეკიდებიან, მაშინ გამოგიგზავნი მათ. მაგრამ თუ უარს მეტყვი ამის გაკეთებაზე, კარგად იცოდე, მე თვითონ ჩამოვალ მანდ და შენი ნების წინააღმდეგ დავუბრუნებ მათ თავიანთ საყდრებს.“

XXIII თავი
თუ როგორ მოუხმო ათანასეს ეპისტოლეს მეშვეობით ძმის მუქარით შეშინებულმა კონსტანციუსმა და გაგზავნა ალექსანდრიაში

როდესაც ეს ეუწყა აღმოსავლეთის იმპერატორს, მეტად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. მან [ეპისტოლე] გაუგზავნა აღმოსავლელ ეპისკოპოსთა უმრავლესობას, გააცნო ძმის ნება-სურვილი და ჰკითხა, თუ როგორ მოქცეულიყო. მათ უპასუხეს, რომ უმჯობესი იყო ეკლესიები დაეთმო ათანასეს მომხრეებისათვის, ვიდრე ძმათა შორის ომი დაწყებულიყო. ამიტომ, იძულებულმა იმპერატორმა თავისთან მოიხმო ათანასეს მომხრეები. ამის შემდეგ დასავლეთის იმპერატორმა მყისვე წარგზავნა პავლე კონსტანტინოპოლში ორი ეპისკოპოსის თანხლებით და სხვა პატივითაც, საკუთარი წერილებით და ასევე კრების წერილებით განმტკიცებული. მაგრამ ათანასე ჯერ კიდევ თავს იკავებდა და ყოყმანობდა, მისულიყო თუ არა მასთან; ეშინოდა ცილისმწამებელთა სივერაგის. აღმოსავლეთის იმპერატორმა იგი არათუ ერთგზის, არამედ ორგზის და სამგზის მოიხმო თავისკენ, როგორც ამას ცხადყოფს მისი წერილები,რომლებიც ლათინური ენიდან არის თარგმნილი და არის შემდეგი სახის:

კონსტანციუსის ეპისტოლე ათანასესადმი

„კონსტანციუს, მძლე, ავგუსტუსი, ეპისკოპოს ათანასეს.

დიდი ხნის განმავლობაში იყო ღელვასა და ქარიშხალში თითქოს ზღვის სასტიკი ტალღებით და ვერ მოაღწია შენამდე ჩვენი სიმშვიდის კაცთმოყვარეობამ. მამისეულ კერიისგან გაუდაბურებულმა და შინაურებს მოკლებულმა და ველური, უვალი გზებით დაკარგულმა (შეცთომილმა) არ უგულებელყავი ჩვენი უშრეტი სარწმუნოება. თუ განსაკუთრებით დიდი ხანი არ გწერდი ჩემი გონების განაზრახს, მოველოდი, რომ შენი ნებით ჩამოხვიდოდი ჩემთან და ითხოვდი ტანჯვისაგან განკურნებას. თუმცა, ვინაიდან შიში აბრკოლებდა შენი განზრახვის არჩევანს, ამიტომ ძღვენით სავსე წერილები გავუგზავნე შენს სიმტკიცეს, რათა მალე გესწრაფა ჩვენი მზერისთვის შენი ხილვის მინიჭება, შენი წადიერებით დავმტკბარიყავით, განგეცადა ჩვენი კაცთმოყვარეობა და უკან მიგეღო საკუთარი [საყდარი]. ამის გამო ჩემი ძმა და მეუფე მძლე ავგუსტუსი კონსტანტიც მთხოვდა, რათა შენთვის ჩამოსვლის უფლება მომეცა და ორივე ჩვენგანის თანხმობით სამშობლოში დაბრუნებულს უზრუნველყოფილი გქონოდა ჩემი წყალობა“.

სხვა ეპისტოლე ათანასეს მიმართ

„კონსტანციუს მძლე, ავგუსტუსი ეპისკოპოს ათანასეს.

წინა წერილების მეშვეობითაც საკმაოდ ცხადვყავით, რათა ჩვენს საიმპერიო კარზე[35] უზრუნველად მოხვიდე, რადგან განსაკუთრებით გვწადია შენი წარგზავნა შენს [ეპარქიაში]. თუმცა, ახლაც ამ წერილს გადავცემ შენს სიმტკიცეს, რომლის მეშვეობით გთხოვთ, ყოველგვარი უნდობლობისა და შიშის გარეშე ჩამოხვიდე სახელმწიფო ეტლით და გამოეშურო ჩვენკენ, რათა რაც გწადია, შეძლო იმით დატკბობა“.

სხვა ეპისტოლე მის მიმართ

„კონსტანციუს მძლე, ავგუსტუსი ეპისკოპოს ათანასეს.

როდესაც ვიმყოფებოდი ედესაში, შენი ხუცესების თანდასწრებით ვინებე, რომ გამომეგზავნა შენთან ხუცესი, რათა გეჩქარა ჩვენს კარზე მოსვლა, ჩვენი მზერის სახილველად და მაშინვე ალექსანდრიაში გასამგზავრებლად. მაგრამ ვინაიდან დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენგან მიიღე წერილები და არ ჩამოხვედი, ამიტომ ჩვენც ვიჩქარეთ, შეგვეხსენებინა შენთვის, რომ აწ შენც გეჩქარა ჩვენთან ჩამოსვლა და ასე შეგძლებოდა სამშობლოში დაბრუნება და შენს ლოცვაზე პასუხის მიღება. უფრო ვრცლად სიტყვის გადმოსაცემად გიგზავნი დიაკონ აქეტას, ვისგანაც შეძლებ, შეიტყო ჩვენი სულის ნება-სურვილი და შეძლო მიიღო ის, რის გამოც ლოცულობ.“

ეს ეპისტოლეები ათანასემ მიიღო აკვილეაში. რადგან სარდიკადან იქ ჩავიდა და ცხოვრობდა. იგი მყისვე გაეშურა რომში. მან უჩვენა წერილები ეპისკოპოს იულიუსს და რომაელთა ეკლესიამ ძლიერ გაიხარა. რადგან ჩანდა, რომ აღმოსავლეთის იმპერატორი ეთანხმებოდა მათ რწმენას, ვინაიდან თავისთან უხმობდა ათანასეს. იულიუსმა ალექსანდრიის კლიროსს და ერს ათანასეს შესახებ მიწერა შემდეგი:

„იულიუსი ეპისკოპოსებს, ხუცესებს, დიაკვნებს და ალექსანდრიაში მცხოვრებ ხალხს, საყვარელ ძმებს. მოკითხვა უფალში.

საყვარელო ძმებო, მეც თქვენთან ერთად ვხარობ, რომ თქვენი რწმენის ნაყოფს ამიერიდან თქვენი თვალით იხილავთ. ეს რომ სიმართლეა ჩემი ძმის და თანაეპისკოპოს ათანასესთან დაკავშირებით, ნებისმიერს შეუძლია, გაარკვიოს. იგი ცხოვრების სიწმინდისა და თქვენი ლოცვების გამო მოგანიჭათ ღმერთმა. აქედან ჩანს, რომ თქვენი წმინდა და სიყვარულით სავსე ლოცვები მუდამ აღწევს ღმერთთან. გახსოვთ ციური აღთქმები

და მათ მიმართ სიყვარული, რაც ჩემი ზემოხსენებული ძმის მიერ დამოძღვრილებმა ისწავლეთ და ნამდვილად იცით და თქვენ მიერ შეწყნარებული მართალი რწმენის თანახმად ცხებული ხართ ამით, ისე რომ ბოლომდე ვერ განგშორდებათ თქვენ, ვინც თქვენს ღვთისმოსავ სულებში გიპყრიათ, როგორც მუდამ თქვენთან მყოფი. ასე რომ, ბევრი სიტყვა არ მჭირდება, მოგწეროთ. რადგან რაც კი ჩემ მიერ ითქვა თქვენ მიმართ, ეს თქვენმა რწმენამ წინდაწინ მიიღო; და აღსრულებულია ქრისტეს მადლის მიხედვით ყველა თქვენგანის ერთობლივი ლოცვა.

აწ თქვენთან ერთად ვხარობ. რამეთუ კვლავ ვამბობ, რომ სულების რწმენაში დაუმარცხებლად დაიცავით. თვით ჩემს ძმასთან, ათანასესთან ერთად ნაკლებ როდი ვხარობ, რომ მიუხედავად მრავალი მწუხარებით ვნებისა, არასოდეს არ დავიწყებულა თქვენი სიყვარული და თქვენი ტანჯვა. რამეთუ თუმც სხეულით მცირე ჟამს თქვენგან გაყრილად ჩანდა, მაგრამ სულით განუწყვეტლივ როგორც თქვენთან მყოფი რჩებოდა. მე კი, საყვარელნო, ვფიქრობ, რომ მის წინააღმდეგ მიმართული ყველა განსაცდელი არ ყოფილა დიდების გარეშე. რადგან თქვენიც და მისი რწმენაც შეცნობილ იქნა ყველაფერში და გამოიცადა კიდეც. ეს რომ არ მომხდარიყო, ვინ დაიჯერებდა, რომ თქვენ ესოდენი დაფასება და ესოდენი სიყვარული გქონდათ ასეთი დიდი ეპისკოპოსის მიმართ, ან ის, რომ ესოდენი სათნოებებით იყო შემოსილი, რომელთა მეშვეობით ზეციური სასოებისგან უცხოც არ იქნება? მან ამ გზით მიიღო აწ და სამომავლოდაც აღსარების დიდებული მოწმობა. რადგან მან ხმელეთზეც და ზღვაზეც მრავალი განსაცდელი გამოიარა და არიანული მწვალებლობის ყველა მზაკვრობა არად ჩააგდო; მას მრავალგზის შურით მოუწყვეს სახიფათო შეთქმულება და უგულებელყო სიკვდილი ყოვლისმპყრობელი ღვთისა და ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მიერ დაცულმა. იმ იმედით, რომ თავიდან აირიდებს შეთქმულებებს და დაუბრუნდება თქვენს ნუგეშისსაცემად, მო-

გიძღვნით თქვენივე სინდისისგან უფრო დიდ ნადავლს. მასში ის შეცნობილ იქნა სახელოვან კაცად მთელი დედამიწის კიდეებამდე, გამოცდილ იქნა ცხოვრებისგან, გაკადნიერებულ იქნა თავისი ზრახვითა და ციური მოძღვრებით; და წარმოჩნდა თქვენ მიერ უკვდავი დაფასებით შეყვარებული.

ამრიგად, გიბრუნდებათ აწ უფრო ბრწყინვალე, ვიდრე მაშინ, როდესაც თქვენგან გამოემგზავრა. რადგან თუკი ძვირფასი ნივთი, ვგულისხმობ ოქროს და ვერცხლს, სიწმინდეში ცეცხლით გამოიცდება, ვინ შეძლებს ღირსეულად ისაუბროს ასეთ კაცზე, რომელიც ესოდენი განსაცდელის ცეცხლი და ესოდენი საფრთხეები დაძლია და გიბრუნდებათ უვნებელი, არა მხოლოდ ჩვენგან, არამედ მთელი კრების მიერ შეწყნარებული? ასე რომ, საყვარელო ძმებო, მიიღეთ ღვთისმიერი მთელი დიდებით და სიხარულით თქვენი ეპისკოპოსი ათანასე, მასთან ერთად კი ისინიც, რომლებიც ამ განსაცდელების თანაზიარი გახდნენ[36]. გაიხარეთ და ლოცვების სათხოვარი მიიღეთ,რომლებმაც თქვენი მწყემსი, ასე ვთქვათ, თქვენი ღვთისმოსავობისთვის დატანჯული და მწყურვალე მხსნელი წერილებით გამოკვებეთ და დაარწყულეთ. უცხოეთში მისი ყოფნისას თქვენ გახდით მისი ნუგეშისცემა, დევნული და შეთქმულებების მსხვერპლი გაათბეთ თქვენი უერთგულესი სულებით და აზრებით. აწ მეც ვხარობ, როდესაც გონებით ვიაზრებ და წინდაწინ ვჭვრეტ მისი დაბრუნებისას თითოეული თქვენგანის სიხარულს და უღვთისმოსავესი ხალხის შეგებებას, და შეკრებილთა დიდებულ დღესასწაულს და თუ რა და როგორი დღე იქნება ეს თქვენთვის, როდესაც დაბრუნდება ჩემი ძმა. როდესაც შეწყდება ადრინდელი ამბები და აღსრულდება შევედრებული დაბრუნება, კეთილგონივრული რამ უსრულესი სიხარული მოიცავს ყველას. ასეთმა სიხარულმა უდიდესი ძალით მოაღწია ჩვენამდე, რომლებსაც ღვთისგან ამის ნება მოგვეცა, რომ ესოდენ დიდი კაცის გასაცნობად მისვლა შეგვძლებოდა.

კარგია ეპისტოლეს დასრულება ლოცვით. ყოვლისმპყრობელმა ღმერთმა და მისმა ძემ, ჩვენმა უფალმა და მხსნელმა იესო ქრისტემ მოგანიჭოთ ეს მუდმივი სიხარული, მოგცეთ თქვენი საოცარი რწმენის ჯილდო, რომელიც თქვენი ეპისკოპოსის მიმართ დიდებული დამოწმებით წარმოაჩინეთ, რათა თქვენთვის და თქვენთან ერთად მანდ მყოფთათვის მომავალშიც უკეთესი ეგოს, რაც თვალმა არ უწყის და ყურს არ სმენია, და კაცის გულში არ ასულა, რაც განუმზადა ღმერთმა მის საყვარელთ, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მეშვეობით, რომლის მეშვეობით ყოვლისმპყრობელ ღმერთს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამენ. ვლოცულობ თქვენი გაძლიერებისათვის, საყვარელო ძმებო!“

ამ წერილებს მინდობილი ათანასე ჩავიდა აღმოსავლეთში. იმპერატორი კონსტანციუსი არ აჩვენებდა მაშინ მტრობას. არიანელთა შეთქმულების შედეგად დაჯერებული ცდილობდა მის გაცურებას და უთხრა მას: „გპირდები შენი საყდრის დაბრუნებას კრების განჩინებით და ჩვენი თანხმობით. მაგრამ ვინაიდან არიან ალექსანდრიაში ზოგიერთები, რომლებიც გამოეყოფიან შენთან თანაზიარებას, ნება მიეცი მათ, რომ ქალაქში ერთი ეკლესია ჰქონდეთ“. ამ შემოთავაზებას ათანასე სასტიკად შეეწინააღმდეგა და მიუგო: „იმპერატორო, უფლება გაქვს ბრძანო და გააკეთო, რაც გნებავს. თავადაც გთხოვ წყალობას და ვითხოვ, მომცე.“ როდესაც იმპერატორი დაპირდა, რომ მზად იყო მიეცა, მაშინათვე დასძინა ათანასემ, რომ ითხოვდა იმავე წყალობის მიცემას, რის მიღებასაც იმპერატორი ითხოვდა. რადგან იგიც ითხოვდა ყოველ ქალაქში ერთი ეკლესიის გამოყოფას მათთვის, რომლებიც არ იმყოფებოდნენ არიანელებთან თანაზიარებაში. არიანელებმა მისი სურვილი მათთვის არახელსაყრელად მიიჩნიეს და ამბობდნენ, რომ უარს აცხადებდნენ ამაზე და იმპერატორს უთმობდნენ, რომ გაეკეთებიანა ის, რაც მას ენება. ამიტომ, იმპერატორმა დაუბრუნა თავიანთი საყდრები

ათანასეს, პავლეს და მარკელოსს; მათ გარდა ასკლეპას ღაზელსაც და ლუკიოს ადრიანოპოლელსაც. რამეთუ მათ ეს სარდიკაში გამართული კრების მიერ მიიღეს. ასკლეპასმა აჩვენა ჩანაწერები, რომლებშიც წარმოჩენილი იყო, რომ ევსები პამფილელმა სხვა მრავალთან ერთად გამოიკვლია მისი საქმე და დაუბრუნა მისი ხარისხი. ლუკიოსს კი – იმიტომ,რომ მისი ბრალმდებლები გაიქცნენ. ამგვარად, იმპერატორის დეკრეტით ისინი წავიდნენ თავიანთ ქალაქებში, ბრძანებდა რა, მყისვე მიეღოთ ისინი. როდესაც ანკვირიიდან გააძევეს ბასილი და მის ნაცვლად მარკელოსი შემოვიდა, დიდი შფოთი შეიქნა ქალაქში და ყვედრების საბაბი მიეცა საწინააღმდეგო შეხედულების მქონეთ. მაგრამ ასკლეპა ხალისით მიიღეს ღაზელებმა. კონსტანტინოპოლში მაკედონიოსმა პავლეს მოკლე ხანში დაუთმო ადგილი და თავისთვის ქალაქის ცალკე ეკლესიაში გამართა კრებები. ათანასეს გამო იმპერატორმა ეპისკოპოსებს, კლირიკოსებს და ხალხს მიწერა, რომ სიხარულით მიეღოთ იგი. გარდა ამისა, სხვა წერილების მეშვეობით ბრძანა, რომ აღეხოცათ მის წინააღმდეგ სამსჯავროებში გამოტანილი განაჩენები. ამ ორივე საკითხის შესახებ მის მიერ დაწერილი არის შემდეგი სახის.

კონსტანციუსის ეპისტოლე ათანასეს გამო

„მძლე კონსტანციუსი, მაქსიმუსი, ავგუსტუსი, კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსებს და ხუცესებს.

არ მოკლებია ღვთის მადლი უპატივცემულეს ეპისკოპოსს ათანასეს. თუმც მცირე დროით მიეცა ადამიანურ განსჯას, მაინც ყოვლისმხედველმა წინგანგებამ გამოიტანა სათანადო განაჩენი. უმჯობესი თათბირით და ჩვენი განსჯით უკან დაიბრუნა სამშობლოც და ეკლესიაც, რომლის წინამდგომელობაც წილად ხვდა ღვთის ნებით. ამას უნდა მიყვეს ჩვენი წყალობაც. ასე ყველაფერი ამის წინათ მასთან თანაზიარებაში მყოფთა წინააღმ-

დეგ განჩინებული აწ დავიწყებას უნდა მიეცეს, ამიერიდან მის წინააღმდეგ აღძრული ყოველგვარი ეჭვი უნდა განქარდეს, მასთან ერთად მყოფი კლირიკოსებს შესაბამისად დაუმტკიცდეს გადასახადებისგან გათავისუფლება, რაც მათ წინათ ჰქონდათ. არა მხოლოდ ეს, არამედ მის მიმართ წყალობით ამასაც ვბრძანებთ, რომ ყველა მათგანი ჩაიწეროს სამღვდელო სიაში, უშიშრად ეგონ მასთან შეერთებულნი, იქნებიან ეს ეპისკოპოსები თუ ხუცესები. თითოეული მათგანის საკმარისი ნიშანი იყოს მართებული არჩევანი – მასთან ერთობა. რამეთუ, ვინც უკეთესი განსჯა და სვე ირჩია და ილტვის მასთან თანაზიარებისკენ, ყველა მათგანს ვუბრძანეთ, წინარე წინაგანგების მსგავსების თანახმად, აწ ჩვენი ნებითაც დატკბნენ უკეთესი მადლის მინიჭებით.“

სხვა ეპისტოლე
გაგზავნილი ალექსანდრიელებისადმი

„მძლე კონსტანციუსი, მაქსიმუსი, ავგუსტუსი, ალექსანდრიაში მყოფი კათოლიკე ეკლესიის ერს.

ყველაფერში თქვენთან კანონიერი წესრიგის დამყარება მაქვს მიზნად დასახული. ვიცით, რომ სრულებით მოგაკლდათ ეპისკოპოსის ზედამხედველობა, განვაჩინეთ, კვლავ უკან დაგიბრუნოთ ეპისკოპოსი ათანასე, კაცი ყველაფერში შესაფერისი სიმართლით და პირადი კარგი თვისებებით ცნობილი. ჩვეულებისამებრ და სათანადოდ მიიღეთ იგი, ღვთის მიმართ ლოცვებისთვის შემწედ დააყენეთ და ისწრაფეთ ხანგრძლივად დაიცვათ თქვენთვის შესაფერისი და ჩემთვის სათნო ერთსულოვნება და მშვიდობა ეკლესიის კანონის თანახმად. რამეთუ არ არის კეთილგონივრული, რაიმე უთანხმოება ან ამბოხი აღიძრას თქვენ შორის და დაუპირისპირდეთ ჩვენი დროის კეთილდღეობას. ამის თქვენგან სრულებით მოშორება მწადია. ჩვეულებისამებრ შეგაგონებთ, თქვენი ლოცვებისთვის იგი გამოიყენოთ, როგორც ზემოთ ითქვა,

წინადგომელად და დამხმარედ და ასე დარჩეთ მტკიცედ, რათა, როცა თქვენი ასეთი განწყობა მრავალთა ყურს მიაღწევს, წარმართთაგან ისინიც, რომლებიც ჯერ კიდევ ახლაც კერპთა საცთურს შედგომილი არიან, წმინდა სარწმუნოების ცოდნისაკენ გულმოდგინედ მოისწრაფონ, უსაყვარლესო ალექსანდრიელებო. ამგვარად, კვლავ შეგაგონებთ, მტკიცედ იდგეთ ზემოხსენებულ [ღვაწლში]. ეპისკოპოსი კი, უზენაესის განჩინებით და ჩვენი ნებით გამოგზავნილი, ტკბილად მიიღეთ, მთელი სულითა და ზრახვით სიხარულით წარუძეხით. ეს თქვენც შეგეფერებათ და ჩვენი მოწყალების მიერაც სათნადოდ არის დადგენილი. ბოროტგანზრახულებით ყოველგვარი შიშისა და ამბოხის საბაბის აღსახოცად თქვენთან მყოფ მსაჯულებს წერილების მეშვეობით ვუბრძანე, შეისწავლონ ყველა, ვინც კი იქნება მეამბოხე და კანონიერ სასჯელს დაუქვემდებარონ. ორმაგ მიზანს ესწრაფეთ: ჩვენს და უზენაესის ნებას, და თქვენი ერთსულოვნების და წესის ამრევთა დასჯას; დაიცავით წმინდა სარწმუნოების კანონის შესაფერისი [წესი] და ზემოხსენებულ [ეპისკოპოსს] წარუძეხით სრული დიდებითა და პატივით, დაეშურეთ მასთან ერთად აღავლინოთ ლოცვები ყოვლიერების მამისა და ღვთის წინაშე თქვენი თავისთვისაც და მთელი კაცობრიობის წესრიგისათვის“.

ეპისტოლე ათანასეს წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებების აღხოცვის შესახებ

„მძლე კონსტანციუსი, ავგუსტუსი, ნესტორს, და იმავე სახით ავგუსტომნიკეში, თებესა და ლიბიაში მყოფ განმგებლებს

თუ წინათ ადგილი ჰქონდა ეპისკოპოს ათანასესთან თანაზიართადმი ზიანისა და შეურაცხყოფის მიყენებას, მსურს, ეს აღხოცილ იქნას. მნებავს, კვლავაც ჰქონდეთ თავისუფლება საზოგადოებრივი ვალდებულებებისგან მის კლირიკოსებს, რაც მათ ჰქონდათ. მნებავს, დაცული იყოს ჩვენი ეს განკარგულება,

რათა, როდესაც დაუბრუნდება ეპისკოპოს ათანასეს ეკლესია, მასთან თანაზიართ ჰქონდეთ თავისუფლება საზოგადოებრივი ვალდებულებებისგან, რაც ყოველთვის ჰქონდათ და რაც ყველა დანარჩენ კლირიკოსს აქვს; ასე ჰქონდეთ და მათაც გაიხარონ“.

XXIV თავი
თუ როგორ ჩავიდა ათანასე ალექსანდრიაში იერუსალიმის გავლით და თანაზიარებაში მიღებულ იქნა მაქსიმეს მიერ, გამართა ეპისკოპოსთა კრება, რომელზეც დაამტკიცა ნიკეის რწმენა

ამ ეპისტოლეებით განმტკიცებული ეპისკოპოსი ათანასე სირიის გავლით გაემართა და ჩავიდა პალესტინაში. შევიდა იერუსალიმში და ეპისკოპოს მაქსიმეს გააცნო სარდიკას კრებაზე მიღებული განჩინებები და თუ როგორ დაეთანხმა მათ მსჯავრს იმპერატორი კონსტანციუსი. ათანასემ გამართა ადგილობრივ ეპისკოპოსთა კრება. მაქსიმეს არ უყოყმანია, გაგზავნა რამდენიმე ეპისკოპოსი სირიიდან და პალესტინიდან, დაჯდა სხდომაზე და თვითონ მანაც დაუბრუნა ათანასეს თანაზიარება და [სამღვდელო] ღირსება. ამ კრებამ მიწერა ალექსანდრიაში მყოფთ და ყველა ეგვიპტისა და ლიბიის ეპისკოპოსს ათანასეს შესახებ კრებაზე დადგენილი და განჩინებული, რისთვისაც ძლიერ დასცინეს ათანასეს მტრებმა მაქსიმეს, რომ წინათ მან განაყენა იგი და კვლავ აზრი შეიცვალა, თითქოს არაფერი მომხდარიყო და ათანასეს სასარგებლოდ გამოიტანა განაჩენი, მიანიჭა თანაზიარება და ღირსება. როდესაც ეს შეიტყვეს ურსაკიუსმა და ვალენტმა, რომლებიც ადრე არიანულ მოძღვრებას მგზნებარედ ეშურებოდნენ, მაშინ დაგმეს მათი წინანდელი მოშურნეობა და რომში გაემართნენ. მათ ეპისკოპოს იულიუსს გადასცეს სინან-

ულის წიგნი და დაეთანხმნენ „თანაარსს“, წერილები გაუგზავნეს ათანასეს, აღიარეს ამიერიდან მასთან თანაზიარება. ამრიგად, ასე ათანასესთან დაკავშირებით მომხდარი ამბებით ძლეულმა ურსაკიუსი და ვალენტი, როგორც ითქვა, დაეთანხმნენ „თანაარსს“. ათანასე პელუსიიდან გაემგზავრა ალექსანდრიაში, ქალაქებში ჩასვლისას ასწავლიდა, რომ განდგომოდნენ არიანელებს და სიხარულით მიეღოთ „თანაარსის“ აღმსარებლები. ზოგიერთ ეკლესიაში ხელდასხმაც აღასრულა. ეს გახდა მისი გაკიცხვის ახალი მიზეზი, რადგან სხვა ეპისკოპოსების სამრევლოებში დაასხა ხელნი. ათანასესთან დაკავშირებით ეს მოვლენები მაშინ ასე წარიმართა.

XXV თავი
ტირანების მაგნენციუსის და ვეტრანიონის შესახებ

იმხანად რესპუბლიკა ძლიერმა შფოთმა მოიცვა. აუცილებელი არ არის გვერდი ავუაროთ მთავარ მოქმედ პირებს, რომელთა შესახებ მოკლედ ვიტყვით. კონსტანტინოპოლის დამფუძნებლის აღსასრულის შემდეგ მისი იმპერია მისმა სამმა ვაჟიშვილმა იმემკვიდრა, როგორც ვახსენეთ წინა წიგნში. უნდა ვიცოდეთ, რომ მათთან ერთად მეფობდა მათი ბიძაშვილი, რომლის სახელი იყო დალმაციუსი, მისი მამის თანამოსახელე. მან მცირე ხანი იმეფა მათთან ერთად და მოკლულ იქნა ჯარისკაცების ხელით. კონსტანციუსს არ უბრძანებია მისი მოკვლა, მაგრამ არც ხელი შეუშალა. ის, რომ უმრწემესი კონსტანტინე ძმის მიწაზე გადასვლისას ისიც ჯარისკაცებმა შეიპყრეს და მოკლეს, უკვე მრავალგზის ითქვა. მისი მკვლელობის შემდეგ სპარსელებმა წამოიწყეს ომი რომაელების წინააღმდეგ, რომელშიც კონსტანციუსმა წარმატება ვერ მოიპოვა. ღამის ბრძოლა გაიმართა რომაელთა და

სპარსელთა საზღვრებთან და ჩანდა ისე, რომ მცირე ხნით სპარსელები უფრო ძლიერი იყვნენ. იმ დროს არც ქრისტიანთა საქმეები დამშვიდებულან, არამედ ათანასეს და გამონათქვამ „თანაარსის“ გამო ეკლესიაშიც ომი იყო გამართული. საქმის ამგვარ ვითარებაში დასავლეთ მხარეში თავი წამოყო ტირანმა მაგნენციუსმა, რომელმაც შეთქმულების მოწყობით მოკლა გალიაში მყოფი დასავლეთის მხარის იმპერატორი კონსტანტი. როდესაც ეს მოხდა, უდიდესი შიდა ომი გაჩაღდა. ტირანი მაგნენციუსი მთელ იტალიას დაეუფლა, აფრიკა და ლიბია დაიმორჩილა და თვით გალიაც დაიპყრო. ილირიკიაში, ქალაქ სირმიაში ჯარისკაცებმა სხვა ტირანი აირჩიეს, – მისი სახელი იყო ვეტრანიონი. აგრეთვე რომიც შფოთმა მოიცვა, რადგან კონსტანტინეს დისშვილი, რომლის სახელი იყო ნეპოტიანუსი, გლადიატორთა მხარდაჭერით ილტვოდა ძალაუფლებისაკენ. ნეპოტიანუსი მოკლეს მაგნენციუსის ჯარისკაცებმა. მაგნენციუსმა კი დალაშქრა და დაარბია მთელი დასავლეთი.

XXVI თავი
როდესაც აღესრულა დასავლეთის იმპერატორი, კვლავ განდევნილ იქნენ თავიანთი ადგილებიდან პავლე და ათანასე. აგრეთვე, თუ როგორ იქნა მოკლული პავლე გადასახლებაში მიმავალ გზაზე, ხოლო ათანასე გაიქცა

მთელი ამ ბოროტებათა აღრევა მოხდა მოკლე ხანში. სარდიკაში კრების გამართვიდან მეოთხე წელს მოხდა, სერგისა და ნიგრინიანუსის კონსულობის დროს. როდესაც ეს ამბები ცნობილი გახდა, ჩანდა, რომ იმპერია მხოლოდ კონსტანციუსის ხელში გადავიდა. აღმოსავლეთის მხარეების თვითმპყრობელად

გამოცხადებული კონსტანციუსი მთელი ძალებით დაირაზმა ტირანთა წინააღმდეგ. ათანასეს მოწინააღმდეგეებმა ეს მათთვის მარჯვე დროდ მიიჩნიეს და მის წინააღმდეგ კვლავ უდიდესი ცილისწამებები აღძრეს ისე, რომ ის ჯერ კიდევ არ იყო ალექსანდრიაში ჩასული. იმპერატორ კონსტანციუსს აუწყეს, რომ მთელი ეგვიპტე და ლიბია დაიქცეოდა. განსაკუთრებით გააბუქეს ის ცილისწამება, რომ მან ხელდასხმა აღასრულა სხვა სამრევლოებში. ამ დროს ჩავიდა ათანასე ალექსანდრიაში და ეგვიპტელი ეპისკოპოსების კრებები გამართა. მათ სარდიკაში შეკრებილებთან და მაქსიმეს მიერ იერუსალიმში გამართულ კრებასთან თანხმობაში მიიღეს განჩინებები. იმპერატორმა – მას თავად ადრიდანვე არიანული შეხედულება ეპყრა – ცოტა ხნის წინ მის მიერ ნაბრძანები საპირისპიროდ შეცვალა. მან პირველად ბრძანა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოს პავლეს გადასახლება, რომელიც წაიყვანეს კაბადოკიის კუკუზაში და მოაშთვეს. განდევნეს მარკელოსი და ანკვირიის ეკლესია კვლავ ბასილიმ დაიკავა. ლუკიოს ადრიანოპოლელი კი საპყრობილეში ბორკილდადებული მოკლულ იქნა. ესოდენ გაძლიერდა ათანასეს შესახებ ნათქვამი, რომ უზომო რისხვაში ჩავარდა იმპერატორი და ბრძანა მისი მოკვლა, სადაც იპოვიდნენ. მასთან ერთად კი – თეოდულეს და ოლიმპიოსის, თრაკიაში მდებარე ეკლესიების წინამდგომელთა. ათანასეს არ დაემალა იმპერატორის მიერ განჩინებული. მან წინდაწინ შეიტყო და კვლავ გაიქცა და ასე აარიდა თავი იმპერატორის მუქარას. მის ამ გაქცევას ცილს სწამებდნენ არიანელები, განსაკუთრებით ნარკისოსი, კილიკიის ნეორნიადოსის ეპისკოპოსი, გიორგი ლაოდიკიელი და მაშინ ანტიოქიაში ეკლესიის წინამდგომელი ლეონტი, რომელიც იმ დროს ხუცესი იყო და განხდილ იქნა ხარისხიდან, რადგან ქალთან სახელად ევსტოლიოსთან ატარებდა დროს და ცდილობდა მის მიმართ სირცხვილის ეჭვის დაფარვას და მოიკვეთა გენიტალიები, ამის შემდეგ უფრო თამამად ცხოვრობ-

და ამ ქალთან ერთად, ისე რომ საბაბი არ გააჩნდათ, რის გამოც ცილს დასწამებდნენ ამ ქალს. იმპერატორ კონსტანციუსის ნებით და მეცადინეობით ანტიოქიის ეკლესიის ეპისკოპოსად იქნა წამოყენებული სტეფანეს შემდეგ, რომელმაც მანამდე შეცვალა პლაკიტოსი. ეს ითქვა მის შესახებ.

XXVII თავი
თუ როგორ მიიღო მაკედონიოსმა საყდარი და მრავალი ბოროტება უყო მათ, ვინც მის მსგავსად არ აზროვნებდა

იმ დროს კონსტანტინოპოლის ეკლესიები დაიპყრო მაკედონიოსმა, როდესაც პავლე გაძევებულ იქნა ზემოხსენებული გზით. მაკედონიოსმა იმპერატორის წინაშე უდიდესი კადნიერება მოიხვეჭა, ქრისტიანული ომი აღძრა, იმაზე არა ნაკლები, რაც წამოიწყეს იმავე დროის ტირანებმა. მან დაარწმუნა იმპერატორი შეწეოდა მას ეკლესიების განადგურებაში, კანონით დასამტკიცებლად შეამზადა, რამდენი რამ ბოროტების გაკეთებაც განზრახული ჰქონდა. აქედან მოყოლებული, კანონი გამოქვეყნდა ქალაქებში და ნაბრძანები იყო ჯარისკაცის ხელით შესრულებულიყო იმპერატორის დეკრეტები. გაძევებულ იქნენ, ვისაც სწამდა „თანაარსი“, არა მხოლოდ ეკლესიებიდან, არამედ ქალაქებიდანაც. პირველად მხოლოდ გაძევებით კმაყოფილდებოდნენ, მაგრამ ბოროტება გაიზარდა და გადავიდნენ იძულებით მათთან თანაზიარებაზე დათანხმებაზე, ნაკლებ ზრუნავდნენ ეკლესიებზე. არა ნაკლები იძულება იყო, ვიდრე წინათ, ძალას ატანდნენ, თაყვანი ეცათ კერპებისთვის. ყოველგვარ ტანჯვას იყენებდნენ, მრავალგვარ წამებას და ქონების ჩამორთმევას მიმართავდნენ; მრავალი გადაასახლეს, ზოგი ტანჯვა-წამებით მოკვდა, ზოგი გადასახლებაში დაიღუპა. ეს მოხდა ყველა აღმო-

სავლურ ქალაქში, გამორჩეულად კი – კონსტანტინოპოლში. ეს შიდა, ძმათა შორის წარმოქმნილი დევნულება, რომელიც წინათ უმნიშვნელო იყო, უფრო გაიზარდა, როდესაც მაკედონიოსი ეპისკოპოსობამდე ავიდა. ბერძნულ ქალაქებში მცხოვრებნი, ილირიელები და დასავლელები ურყევი დარჩნენ, ერთმანეთს ეთანხმებოდნენ და ნიკეის კრებაზე გადმოცემული კანონები ეპყრათ.

XXVIII თავი
ალექსანდრიაში არიანელი გიორგის მიერ ჩადენილი საქმეების შესახებ ათანასეს გადმოცემით

თუ რამდენი რამ ჩაიდინა ალექსანდრიაში გიორგიმ იმ დროისთვის მომხდარი მოვლენებით ვნებული და მოწმე ათანასეს სიტყვებით გვსმენია. თავისი გაქცევის შესახებ აპოლოგეტურ სიტყვაში სიტყვასიტყვით იქ მომხდარი მოვლენების შესახებ ამბობს:

„ალექსანდრიაში კვლავ გამოჩნდნენ ჩვენი მკვლელობის მეძიებელნი. მოგვიანებით რაც მოხდა, წინანდელზე უარესი იყო. რადგან ჯარისკაცები მეესეულად შემოერტყნენ ეკლესიას და ლოცვების ნაცვლად ბრძოლები დაიწყო. შემდეგ, როდესაც ორმოცეული[37] დადგა, მათ კაბადოკიიდან გამოგზავნეს გიორგი და მან გაამრავლა ბოროტი საქმეები, რაც კი მათგან ჰქონდა ნასწავლი. პასექის შვიდეულის შემდეგ ქალწულები საპყრობილეში ჩაყარა, ჯარისკაცების მიერ შებორკილი ეპისკოპოსები წაიყვანა, ობლებისა და ქვრივების სახლები გაძარცვულ იქნა, მძარცველები და თავდამსხმელები სახლებში დადიოდნენ, და ღამით ქრისტიანებს იტაცებდნენ, სახლები დაბეჭდილი იყო, კლერიკოსების ძმები საფრთხეში ვარდებოდნენ მათი ძმობის გამო. ეს საშინელება იყო, მაგრამ ამის შემდეგ უფრო საშინელი

დანაშაულებები იქნა ჩადენილი. წმინდა ორმოცდაათეულის მომდევნო კვირას ერი მარხულობდა და გავიდა სასაფლაოს მახლობლად ლოცვისათვის,რადგან ყველამ ზურგი აქცია გიორგისთან ურთიერთობას. მაგრამ ყოვლად უკეთურმა ეს შეიტყო და გაასასტიკა ჯარის მეთაური სებასტიანონი, რომელიც მანიქეველი იყო. შემდეგ იგი საჭურველით, გაშიშვლებული ხმლით, მშვილდითა და შუბით შეიარაღებულ მრავალ ჯარისკაცთან ერთად თვით უფლის დღეს[38] გაემართა ხალხის წინააღმდეგ. ნახა, ცოტა მლოცველები იყვნენ, რადგან უმრავლესობა გვიანი ჟამის გამო წასული იყო და მათ ისეთი რამ გააკეთეს, რაც მათი პირიდან უნდა მოვისმინოთ. მან გააჩაღა ცეცხლი, ქალწულები ცეცხლთან დააყენა და აიძულებდა, ეთქვათ, რომ არიოზის სარწმუნოების იყვნენ. როდესაც დაინახა, რომ ისინი იმარჯვებდნენ და ცეცხლი არ ანადგურებდათ, შემდეგ გააშიშვლა ისინი და ისე სცემა სახეზე, რომ რაღაც დროის შემდეგ ძლივს იცნობდით. ორმოცი მამაკაცი შეიპყრო და ახლებური რამ სახით სცემა: მაშინათვე ფინიკებიდან მოჭრა ტოტები, რომლებსაც ბევრი ხიჭვი ჰქონდა, და ამით მათ ზურგზე ტყავი ისე გააძრო, რომ ზოგიერთს მათში ხიჭვების ხშირი ჩარჭობის გამო ქირურგი სჭირდებოდა, ზოგიერთმა კი ვერ გაუძლო და მოკვდა. ყველა შეპყრობილი და [მათ შორის] ქალწულებიც გააძევეს დიდ ოაზისში, ხოლო გარდაცვლილთა გვამები არათუ გადასცეს მათ ნათესავებს, არამედ დამალეს და სურდათ დაუმარხავების გადაყრა, რადგან ფიქრობდნენ, რომ დამალავდნენ ესოდენ დიდ სისასტიკეს. მაგრამ ეს ცნობამიღებულები შეცდნენ. რადგან გარდაცვლილთა შინაურები ხარობდნენ მათი აღსარების გამო, ხოლო გლოვობდნენ სხეულების გამო და უფრო მეტად გამოჩნდა მათ წინააღმდეგ უღმერთობისა და სისასტიკის სამხილი.

ეგვიპტიდან და ლიბიიდან განდევნა ეპისკოპოსები: ამონიოსი, მუიოსი, გაიოზი, ფილონი, ჰერმესი, პლენიოსი, ფსინოსირისი, ნილამონი, აგაპიოსი, ნაგამფოსი, მარკოზი, სხვა ამონიოსი, სხვა

მარკოზი, დრაკონტიოსი, ადელფიოსი, ათენოდორი; ხოლო ხუცესები: ჰიერაქსი და დიოსკორე[39]. და ისე მწარედ დევნიდა მათ, რომ ზოგი მათგანი გზაში, ზოგი კი თვით გადასახლებაში დაიღუპა. განდევნა ოცდაათზე მეტი ეპისკოპოსი. რადგან მათი მოშურნეობა იყო აქაბის მსგავსი, და რომ შეეძლოთ, ჭეშმარიტებასაც მოსპობდნენ“.

ეს ათანასემ გიორგის მიერ ალექსანდრიაში ჩადენილი საქმეების შესახებ საკუთარი სიტყვებით გადმოცა. იმპერატორმა ილაშქრა ილირიაში; იგი იქ წაიყვანა სახელმწიფო საქმეების აუცილებლობამ, განსაკუთრებით ჯარისკაცების მიერ ვეტრანიონის [იმპერატორად] გამოცხადებამ. როდესაც იგი ჩავიდა სირმიაში, მოსალაპარაკებლად მივიდა ვეტრანიონთან, მოამზადა გადაებირებინა მისი გამომცხადებელი ჯარისკაცები. ისინი გადავიდნენ მის მხარეზე და მხოლოდ კონსტანციუსი დაიძახეს აუგუსტუსად, იმპერატორად და თვითმპყრობელად, მოყვირალთ საერთოდ არ უხსენებიათ ვეტრანიონი. მან მყისვე იგუმანა გაცემა და იმპერატორის ფეხებთან დაეცა. კონსტანციუსმა მას განძარცვა გვირგვინი და მეწამული, შეიწყალა და ურჩია უბრალო კაცის გარეგნობით ჩუმად გაეტარებინა ცხოვრება, რადგან ხანდაზმულ ასაკში მყოფს შეჰფეროდა უფრო საზოგადოებრივი საქმეებისგან თავისუფალს ეცხოვრა, ვიდრე საზრუნავით სავსე ყოფილიყო. ვეტრანიონთან დაკავშირებით მოვლენებს კი ასეთი დასასრული ჰქონდა. იმპერატორმა ბრძანა, ყველა სახის ხარჯი მიეცათ მისთვის ხაზინიდან. მოგვიანებით მას მრავალგზის მიწერა ბითვინიის პრუსეში მცხოვრებს და უცხადებდა, რომ მისთვის უდიდესი სიკეთე იქნებოდა, გათავისუფლებულიყო საზრუნავიდან და რაც კი ბოროტება თან სდევს ძალაუფლებას. ეუბნებოდა მას, რომ კარგად არ მოიქცა, როცა ის, რაც მას მიანიჭა, თავად არ იგემა. ეს ითქვა ამათ შესახებ. მაშინ იმპერატორმა კეისრად დაადგინა მისი ბიძაშვილი გალუსი, საკუთარი სახელი უწოდა მას და სირიის ანტიოქიაში გაგზავნა, წინდაწინ

განაგებდა იმაზე, რომ მის მიერ დაცული ყოფილიყო აღმოსავლეთის მხარე, როდესაც მან შეიტყო ანტიოქიელთაგან, რომ აღმოსავლეთში გამოჩნდა მაცხოვრის ნიშანი. ცაში ჯვრისსახოვანი სვეტი იხილებოდა და მხედველთათვის უდიდესი საოცრება იყო. მისი სხვა სარდლები დიდი ლაშქრით მაგნენციუსის წინააღმდეგ წინდაწინ გაგზავნა. თავად სირმიაში შეყოვნდა, ელოდა შედეგს.

XXIX თავი
ერესიარქ ფოტინოსის შესახებ

იმხანად იქ ეკლესიის წინამდგომელი იყო ფოტინოსი. მას საბაბი გაუჩნდა უფრო აშკარად გამოეთქვა მისი მოძღვრება. ამის გამო შფოთი ჩამოვარდა და იმპერატორმა ბრძანა სირმიაში ეპისკოპოსთა კრების მოწვევა. იქ შეიკრიბნენ აღმოსავლეთელთაგან მარკოზ არეთუსელი, გიორგი ალექსანდრიელი, რომელიც არიანელებმა გაგზავნეს, როცა ჩამოაშორეს გრიგოლი, როგორც წინათ ითქვა, ანკვირაში ეკლესიიდან მარკელოსის განდევნისას დაყენებული წინამდგომელი ბასილი, პანკრატიოს პელუზიელი, ჰიპატიოანოს ჰერაკლიელი. დასავლელთაგან, ვალენტი მურსელი, და არა ნებაყოფლობით ესწრებოდა იმ დროინდელ კაცთა შორის სახელგანთქმული ესპანეთის კორდუბიის ეპისკოპოსი ჰოსიუსი. ისინი სერგის და ნიგრინიანუსის კონსულობის შემდეგ, როცა ერთი წელი ომებისგან აღძრული შფოთის გამო არც ერთი კონსული აღასრულებდა ჩვეულებისამებრ კონსულობას. სირმიაში შეკრებილებმა გამოააშკარავეს, რომ ფოტინოსის მოძღვრება იყო ლიბიელი საბელიოზის და პავლე სამოსატელის ნააზრევი, და მყისვე განაყენეს იგი. ის, რომ ეს კარგად და სამართლიანად მოხდა, ყველამ მოიწონა მაშინაც და ამის შემდეგაც. მაგრამ ზოგიერთი დარჩა და გააკეთეს ის, რაც ყველასათვის არ ყოფილა საუკეთესო.

XXX თავი
იმპერატორ კონსტანციუსის თანდასწრებით სირმიაში გადმოცემული მრწამსების შესახებ

როგორც კი მათ დაგმეს ძველად მრწამსის შესახებ მიღებული განჩინებები, მრწამსის შესახებ კვლავ სხვა გადმოცემა დააკანონეს. ერთი მათგანი უკარნახა მარკოზ არეთუსელმა ბერძნულ ენაზე, სხვები კი – ლათინურ ენაზე. მათ თანხმობა არ ჰქონიათ არც სიტყვებში, არც შინაარსში, არც ერთმანეთთან, არც ბერძნულთან, რომელიც არეთუსელმა უკარნახა. ლათინურთაგან ერთ-ერთ გადმოცემას შევაუღლებ მარკოზის მიერ შედგენილს და აქ ჩავურთავ. მეორეს კი, რომელიც მოგვიანებით წაიკითხეს სირმიაში, თავის ადგილას მოვათავსებთ, როდესაც არიმინში მომხდარ მოვლენებს გადმოვცემთ. უნდა ვიცოდეთ, რომ ორივე მათგანი ბერძნულ ენაზე არის თარგმნილი. მარკოზის მიერ ნაკარნახევი მრწამსის გადმოცემა არის შემდეგი:

„გვწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისმპყრობელი, დამფუძნებელი და შემოქმედი ყოველივესი, რომლისგანაც იწოდება ყოველი მამობა ცაშიც და მიწაზეც. და მისი მხოლოდშობილი ძე, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ყველა საუკუნის უწინარეს მამისაგან შობილი, ღმერთი ღვთისგან, ნათელი ნათლისაგან, რომლის მეშვეობით შეიქმნა ყოველივე ცაშიც და მიწაზეც, ხილულიც და უხილავიც; სიტყვა, სიბრძნე, ძალა, ცხოვრება და ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც უკანასკნელ დღეებში ჩვენ გამო განკაცდა და წმინდა ქალწულისგან იშვა, ჯვარს ეცვა და მოკვდა, დაეფლა, მკვდრეთით აღდგა მესამე დღეს, ამაღლდა ცად, დაჯდა მამის მარჯვენით და მოვალს საუკუნეთა დასასრულს ცოცხალთა და მიცვალებულთა განსასჯელად, და თითოეულისთვის მათი საქმეების მიხედვით მისაგებლად, რომლის სუფევას არ აქვს დასასრული და გრძელდება უსასრულო საუკუნეების გან-

მავლობაში. რამეთუ იგი იჯდება მამის მარჯვნივ არა მხოლოდ ამ საუკუნეში, არამედ – მომავალშიც. [გვწამს] სულიწმინდა, რომელიც არის ნუგეშისმცემელი, რომელიც აღთქმული იყო მოციქულებისთვის მისი ცად ამაღლების შემდეგ, და წარიგზავნა დამოძღვრისა და ყველაფრის გასახსენებლად, ვისი მეშვეობითაც განიწმინდება მის მიმართ წრფელად მორწმუნეთა სულები.

მათ, რომლებიც ამბობენ, რომ ძე არარსებულიდან წარმოიშვა,ან სხვა ჰიპოსტასისგან არის და არა ღვთისგან,და რომ იყო ჟამი, როდესაც არ იყო, კათოლიკე ეკლესია სცნობს როგორც უცხოთ.

კვლავ ვაცხადებთ, თუ ვინმე მამას და ძეს ორ ღმერთს უწოდებს, შეჩვენებულ იყოს.

თუ ვინმე უწოდებს ქრისტეს ღმერთს და ღვთის უწინარეს საუკუნეთა ძეს, ხოლო არ აღიარებს, რომ არის მამის მსახური ყოვლიერების შესაქმისათვის, შეჩვენებულ იყოს.

თუ ვინმე გაბედავს თქვას, რომ უშობელი ან მისი ნაწილი მარიამისგან იშვა, შეჩვენებულ იყოს.

თუ ვინმე იტყვის, რომ წინასწარცოდნით ითქმის ძე მარიამისგან და არა საუკუნეთა უწინარეს მამისაგან შობილი იყო ღმერთთან, და მის მიერ შეიქმნა ყოველივე, შეჩვენებულ იყოს.

თუ ვინმე იტყვის ღვთის არსის განვრცობას ან შეკუმშვას, შეჩვენებულ იყოს.

თუ ვინმე ღვთის განვრცობილ არსად ღვთის ძის გახდომას იტყვის, ან მისი არსის განვრცობას უწოდებს ძეს, შეჩვენებულ იყოს.

თუ ვინმე შიგნითმდებარე ან წარმოთქმულ სიტყვას უწოდებს ღვთის ძეს, შეჩვენებულ იყოს.

თუ ვინმე მხოლოდ ადამიანს უწოდებს მარიამისგან ძეს, შეჩვენებულ იყოს.

თუ ვინმე ღმერთს უწოდებს ადამიანს მარიამისგან და უშობელ ღმერთად გაიაზრებენ მას, შეჩვენებულ იყოს.

თუ ვინმე სიტყვებს „მე ვარ ღმერთი პირველი და მე ვარ შემდეგ, და ჩემ გარდა არ არის ღმერთი“, კერპების და არარსებული ღმერთების აღსახოცად ნათქვამს ღვთისგან უწინარეს საუკუნეთა მხოლოდშობილის იუდაურად აღსახოცად მიიღებს, შეჩვენებულ იყოს.

თუ ვინმე მოისმენს „სიტყვა ხორც იქმნა“ და ჩათვლის სიტყვის ხორცად შეცვლას, ან ხორცი განიცდის ცვლილებას, შეჩვენებულ იყოს.

თუ ვინმე მოისმენს ღვთის მხოლოდშობილი ძის ჯვარცმას, იტყვის, რომ განიცადა ხრწნა ან ვნება, ცვლილება, დაკნინება, ან განადგურება, შეჩვენებულ იყოს.

თუ ვინმე იტყვის [სიტყვებს] „ვქმნათ ადამიანი“ მამის ძის მიმართ ნათქვამად, არამედ – ღმერთის თავის თავის მიმართ ნათქვამად, შეჩვენებულ იყოს.

თუ ვინმე იტყვის, რომ ძე იხილა აბრაამმა, არამედ – უშობელი ღმერთი ან მისი ნაწილი, შეჩვენებულ იყოს.

თუ ვინმე იტყვის, რომ იაკობს ერკინებოდა არათუ ძე, როგორც ადამიანი, არამედ – უშობელი ღმერთი, ან მისი ნაწილი, შეჩვენებულ იყოს.

თუ ვინმე იტყვის, რომ სიტყვები „უფალმა აწვიმა უფლისგან“, მამასა და ძეზე არ უნდა მივიღოთ, არამედ – თავისი თავისადმი ნათქვამად, შეჩვენებულ იყოს. რამეთუ უფალმა ძემ აწვიმა უფალ მამისგან.

თუ ვინმე მოისმენს უფალ მამას და ძე უფალს, ორივეს მამას და ძეს უწოდებს უფალს, და უფლისგან უფლის თქმისას ორ ღმერთს იტყვის, შეჩვენებულ იყოს. რადგან მამასთან ერთად არ დავაწესებთ ძეს, არამედ მამის ქვემოთ დავაწესებთ. რადგან არ ჩამოსულა სხეულამდე მამის ნების გარეშე, არც უწვიმია საკუთარი თავისგან, არამედ უფლის, ცხადია, მამის ხელმწიფებით. არც საკუთარი ნებით ზის მარჯვენით, არამედ მამის ნათქვამის მორჩილებით: „დაჯექი ჩემს მარჯვენით“ (ფს. 109, 1), –

შეჩვენებულ იყოს.

თუ ვინმე მამას, ძეს და წმინდა სულს ერთ პირად იტყვის, შეჩვენებულ იყოს.

თუ ვინმე, როგორც უსწავლებიათ ჩვენთვის, ძისგან განსხვავებულს არ უწოდებს ნუგეშინისმცემელს, – რამეთუ ნათქვამია: „სხვა ნუგეშინისმცემელს გამოგიგზავნით მამა, რომელსაც მე ვთხოვ“ (იოან. 14, 16) – შეჩვენებულ იყოს.

თუ ვინმე სულს მამის და ძის ნაწილს უწოდებს, შეჩვენებულ იყოს.

თუ ვინმე მამას, ძეს და წმინდა სულს სამ ღმერთს უწოდებს, შეჩვენებულ იყოს.

თუ ვინმე იტყვის, რომ ძე ღვთისგან ღვთის ნებით წარმოიშვა, როგორც ერთ-ერთი ქმნილება, შეჩვენებულ იყოს.

თუ ვინმე იტყვის, რომ ძე მამის ნების გარეშე იშვა, შეჩვენებულ იყოს. რამეთუ მამა არათუ ბუნებითი აუცილებლობით იძულებულმა, შემდეგ, ისე რომ არ ინება, შვა ძე, არამედ ინება კიდეც და ამასთანავე უჟამოდ და უვნებლად საკუთარი თავიდან მშობელმა გააცხადა იგი, – შეჩვენებულ იყოს.

თუ ვინმე უშობელს და დაუსაბამოს უწოდებს ძეს, ისე რომ ორ დაუსაბამოს და უშობელს იტყვის და ორ ღმერთს გახდის, შეჩვენებულ იყოს. რამეთუ ყოველივეს თავი და დასაბამი არის ძე, მაგრამ „ქრისტეს თავი არის ღმერთი“ (1 კორ. 11, 3). ასე ყოველივეს ერთ დაუსაბამო დასაბამამდე აგვყავს ყველაფერი კეთილმორწმუნედ ძის მეშვეობით.

ამრიგად, ზედმიწევნით ვიკვლევთ ქრისტიანულ მოძღვრებას, ვამბობთ, თუ ვინმე არ იტყვის, რომ ქრისტე იესო არის ღვთის საუკუნეთა უწინარესი ძე და არის მამის მსახური, არის ყოვლიერების შესაქმისათვის, არამედ – არარსებულიდან მარიამისგან, და ამის შემდეგ იწოდება ძე და ქრისტე, და შემდეგ მიიღო ღვთის დასაბამი, შეჩვენებულ იყოს, როგორც პავლე სამოსატელი.“

სირმიაში სხვაგვარად ლათინურად გადმოცემული და თარგმნილი მრწამსი

ვინაიდან ჩანდა, რომ მრწამსის შესახებ გარკვეული განხილვა ჩატარდა, ყველაფერი უსაფრთხოდ გამოიძიეს და გამოიკვლიეს სირმიაში ვალენტის, ურსაკიუსის, გერმინიუსის და დანარჩენთა თანდასწრებით.

დადგენილია, რომ ერთი არის ღმერთი მამა ყოვლისმპყრობელი, როგორც იქადაგება მთელ მსოფლიოში, ერთი არის მისი მხოლოდშობილი ძე იესო ქრისტე, ჩვენი უფალი, ღმერთი და მხსნელი, საუკუნეთა უწინარეს მისგან შობილი. არ უნდა ითქვას ორი ღმერთი, ვინაიდან თავად უფალს აქვს ნათქვამი: „მივდვარ ჩემს მამასთან და თქვენს მამასთან, ჩემს ღმერთთან და თქვენს ღმერთთან“ (იოან. 20, 17). ამიტომ არის ყველას ღმერთი, როგორც ასწავლის მოციქული: „განა მხოლოდ იუდეველთა ღმერთი არის და არა წარმართებისაც? დიახ, წარმართებისაც. ვინაიდან ერთია ღმერთი, რომელიც გაამართლებს წინდაცვეთას რწმენით“ (რომ. 3, 29-30). და ყველაფერი დანარჩენი ეთანხმება და არავითარი ორაზროვნება არ არის. როდესაც მრავალი ვინმე აღიძრა ლათინურად გამოთქმულ „სუბსტანციაზე“, ბერძნულად „უსიად“ წოდებულზე, რათა უფრო ზედმიწევნით შეეცნოთ „თანაარსი“ ან გამონათქვამი „მსგავსარსი“, საჭიროდ ჩათვალეს საერთოდ არ ეხსენებინათ რომელიმე მათგანი, არც გადმოეცათ ეკლესიაში, იმ მიზეზით და მოსაზრებით, რომ საღვთო წერილში წერია მათ შესახებ და რომ ეს ადამიანთა ცოდნისა და ადამიანური გონებისთვის იყო და რომ არავის ძალუძდა ძის წარმომავლობის გადმოცემა, როგორც დაწერილია, „ვინ მოგვითხრობს მის წარმომავლობას?“ (ეს. 53, 5) რადგან აშკარა არის მხოლოდ მამამ რომ იცის, თუ როგორ შვა ძე; ასევე ძემ – თუ როგორ არის თავად შობილი მამისაგან. არაფერია საკამათო, რომ მამა უმეტესია პა-

ტივით, ღირსებით და ღმრთეებით და თვით მამის სახელით არის უმეტესი, როგორც მოწმობს თვით ძე: „ჩემი წარმომგზავნელი მამა ჩემზე მეტი არის“ (იოან. 14, 28). ამ საყოველთაო [სწავლების] უმეცარი არავინ არის, – ორი პირი არის მამისა და ძის და მამა მეტია, ძე კი დაქვემდებარებული, ყველა მასთან ერთად, რომლებიც მას მამამ დაუქვემდებარა. მამას არ გააჩნია დასაბამი, არის უხილავი, უკვდავი და უვნებელი. ძე შობილი არის მამისგან, ღმერთი ღმერთისგან, ნათელი ნათლისაგან, და მისი წარმომავლობა, როგორც ითქვა, არავინ უწყის, თუ არა მხოლოდ მამამ. თვითონ ძემ, ჩვენმა უფალმა და ღმერთმა მიიღო ხორცი ანუ სხეული, ესე იგი ადამიანი, როგორც ახარა ანგელოზმა, როგორც ასწავლის მთელი წმინდა წერილი, განსაკუთრებით მოციქული, წარმართთა მოძღვარი, რომ ადამიანი მიიღო ქრისტემ ქალწულ მარიამისგან, რომლითაც ევნო. მთელი რწმენის შემოკლება და სიმტკიცე არის ის, რომ მუდამ დაცული იყოს სამება, როგორც ვკითხულობთ სახარებაში: „წადით, დაიმოწაფეთ ყველა წარმართი, ნათელი ეცით მათ სახელითა მამისა, ძისა და წმინდა სულისა“ (მათ. 28, 19). უზადო და სრული არის სამების რიცხვი. ნუგეშისმცემელი, სულიწმინდა ძის მეშვეობით წარიგზავნა, მოვიდა აღთქმისაებრ, რათა მოციქულები და ყველა მორწმუნე წმინდა ჰყოს და დამოძღვროს.

ფოტინოსს მოთხოვეს განყენების შემდეგ დარწმუნებულიყო დათანხმებოდა და მათთან ერთად მოეწერა ხელი, დაპირდნენ, დაუბრუნებდნენ ეპისკოპოსობას, თუკი სინანულით შეაჩვენებდა მის მიერ გამოგონებულ მოძღვრებას, ხოლო დაეთანხმებოდა მათ შეხედულებას. მაგრამ მან არ მიიღო შემოთავაზება, გამოიწვია ისინი საკამათოდ. დანიშნულ დღეს იმპერატორის ნებით შეიკრიბნენ იქ მყოფი ეპისკოპოსები და არცთუ მცირე რაოდენობის სენატორი, რომლებსაც იმპერატორმა უბრძანა, დასწრებოდნენ კამათს. მათ წინაშე ფოტინოსს დაუპირისპირდა ანკვირიაში ეკლესიის მაშინდელი წინამდგომელი ბასილი, სწრაფჩამწერები

იწერდნენ რა მათ სიტყვებს. უდიდესი ბრძოლა გაიმართა თითოეული მათგანის მტკიცებულებებს შორის. მასში ფოტინოსი დამარცხდა და დაგმობილ იქნა. მან დარჩენილი ცხოვრება გადასახლებაში გაატარა, შეადგინა თხზულება ორივე ენაზე, რადგან ლათინური ენაც იცოდა. დაწერა ყველა მწვალებლობის წინააღმდეგ, მხოლოდ თავის მოძღვრებას გამოდმოსცემდა. ეს ითქვა ფოტინოსის შესახებ. უნდა ვიცოდეთ, რომ სირმიაში შეკრებილმა ეპისკოპოსებმა შეცვალეს მრწამსის ლათინური გადმოცემა. რადგან გადმოცემის შემდეგ გამოჩნდა, რომ მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავდათ მათ. ამიტომ, ისწრაფეს, რომ ის ამოეღოთ დაწერილთაგან. მაგრამ ვინაიდან მრავალმა ის დაფარა, იმპერატორმა განკარგულებით ბრძანა, მოეძიათ გადმოცემა, დასჯით დაემუქრა, ვინმეს თუ ამხილებდნენ მის დამალვაში. მაგრამ ვერც მუქარებმა შეძლო გადმოცემის გამოჩენა, მოასწრო უმრავლესობის ხელში ჩავარდნა. ეს ითქვა ამის შესახებ.

XXXI თავი
კორდუბიის ეპისკოპოს ჰოსიუსის შესახებ

ვინაიდან ჰოსიუს ესპანელის შესახებ ვახსენეთ, რომ იგი მისი ნების წინააღმდეგ ესწრებოდა კრებას, მოკლედ მის შესახებაც უნდა ითქვას. იგი ცოტა ხნის წინ არიანელთა შეთქმულებით გადასახლებაში იქნა გაგზავნილი. მაშინ კი სირმიაში შეკრებილთა მოწადინებით იმპერატორმა იგი უკან გამოიხმო, რათა ნებით, დარწმუნებით თუ იძულებით დათანხმებოდა იქ დამსწრეთ. რადგან, როდესაც ეს მოხდა, მათი მრწამსის უდიდეს მოწმობად ჩაითვალა. ამიტომ, როგორც ითქვა, იგი იძულებით მისი ნების საწინააღმდეგოდ იმყოფებოდა იქ. რადგან იგი უარს აცხადებდა მათთან დათანხმებაზე. მოხუცი ცემეს და აწამეს. ამიტომ, მან ძალდატანებით მაშინ გადმოცემულ [მრწამსს] დაეთანხმა და ხელი მოაწერა. სირმიაში მომხდარ მოვლენებს

ასეთი დასასრული ჰქონდა. იმპერატორი კონსტანციუსმა მაინც დაჰყო სირმიაში, დაელოდა მაგნენციუსთან ომის შედეგს.

XXXII თავი
ტირან მაგნენციუსის დამარცხების შესახებ

მაგნენციუსი ჩავიდა სამეფო ქალაქ რომში, სენატის სათათბიროს მრავალი წევრი დახოცა, ასევე მოსახლეობისგანაც მრავალი გაანადგურა. მაგრამ, როდესაც კონსტანციუსის სარდლებმა შეკრიბეს რომაული ჯარი და მასზე წამოვიდნენ, მან დატოვა რომი და გალიაში ჩავიდა. იქ გამუდმებით ხდებოდა შეტაკებები და ხან ერთი მხარე, ხან მეორე მხარე იმარჯვებდა. ბოლოს, მურსასთან (ეს არის გალების ციხე-სიმაგრე) მაგნენციუსი დამარცხდა და ალყაში მოექცა. ამბობენ, ამ ციხე-სიმაგრეში მოხდა შემდეგი საოცრება. მაგნენციუსი ცდილობდა მარცხისგან სულით დაცემულ ჯარისკაცთა გამხნევებას და მაღალ ბემაზე იყო ასული. ჯარისკაცებს სურდათ იმპერატორებისთვის ჩვეული დიდებისმეტყველება დაეძახათ, მაგრამ განზრახვის საწინააღმდეგოდ ეს კონსტანციუსზე გადაიტანეს. ყველამ ერთად არა მაგნენციუსი, არამედ კონსტანციუსი დაიძახეს ავგუსტუსად. მაგნენციუსმა ეს თავისთვის ნიშნად მიიჩნია და ციხიდან მყისვე გამოვიდა და გალიის უშორესი ადგილებისკენ გაიქცა. იქამდე დევნეს კონსტანციუსის სარდლებმა და მყისვე მოხდა შეტაკება იმ ადგილის მახლობლად, რომელსაც ეწოდება სელევკის მთები, სადაც მაგნენციუსი სრულებით დამარცხდა, მარტო გაიქცა გალიის ქალაქ ლუგდუნაში, სადამდეც არის ციხე-სიმაგრე მურსადან არის სამი დღის სავალი გზა. როდესაც ამ ლუგდუნაში ჩავიდა მაგნენციუსი, მოკლა თავისი დედა, ასევე მოკლა მისი ძმა, რომელიც კეისრად ჰყავდა გახდილი თავისთვის, ბოლოს თავიც განიგმირა. ეს მოხდა კონსტანციუსის მეექვსე და კონსტანციუს გალუსის მეორე კონსულობისას, აგვისტოს თვის დაახ-

ლოებით თხუთმეტ რიცხვში. არცთუ დიდი ხნის შემდეგ მაგნენციუსის მეორე ძმაც, სახელად დეკენტიუსი, გამოესალმა სიცოცხლეს, თავი ჩამოიხრჩო. ასე დასრულდა მაგნენციუსთან დაკავშირებული ამბები. მაგრამ სახელმწიფო საქმეები სრულად მაინც არ დამშვიდდა. რადგან ამის შემდეგ კვლავ სხვა ტირანი აღდგა, რომლის სახელი იყო სილვანუსი. ისიც კონსტანციუსის სარდლებმა გალიასთან ამბოხებული მალე გაანადგურეს.

XXXIII თავი
პალესტინის დიოკესარიის იუდეველების შესახებ

მომხდარ მოვლენებს მოყვა აღმოსავლეთში სხვა შიდა ომი. პალესტინის დიოკესარიაში მცხოვრებმა იუდეველებმა რომაელთა წინააღმდეგ იარაღი აიღეს ხელში და მომიჯნავე მიწები დაარბიეს. გალუს კონსტანციუსმა, რომელიც იმპერატორმა კეისრად დაადგინა და აღმოსავლეთში გაგზავნა, ჯარები გაგზავნა, დაამარცხა ისინი და ბრძანა, მათი ქალაქი დიოკესარია საძირკვლამდე დაენგრიათ.

XXXIV თავი
კეისარ გალუსის შესახებ

როდესაც ეს გააკეთა გალუსმა, წარმატება ვერ აიტანა. მყისვე სცადა მისი დამადგინებელის წინააღმდეგ გადატრიალების მოწყობა, მანაც განიზრახა ტირანობა. მაგრამ მალე გამოაშკარავდა კონსტანციუსის მიერ მისი მიზანი. რადგან იმ დროს აღმოსავლეთის პრეტორიის პრეფექტი დომიციანე და კვესტორი მაგნუსი მისი ხელისუფლებით დახოცა ისე, რომ არ შეუტყობინებინა იმპერატორისთვის მისი მიზანი. ამაზე კონსტანციუსი

განრისხდა და გალუსს თავისთან მოუხმო. მაგრამ იგი შეშინდა და არ სურდა გამგზავრება. როდესაც იგი ჩავიდა დასავლეთ ნაწილში და კუნძულ ფლანონას მახლობლად იმყოფებოდა, კონსტანციუსმა ბრძანა მისი მოკვლა. არცთუ დიდი ხნის შემდეგ გალუსის ძმა იულიანე დაადგინა კეისრად და გალიაში ბარბაროსების წინააღმდეგ გაუშვა. ამრიგად. გალუსი, იგივე კონსტანციუსი, იმპერატორ კონსტანციუსის მეშვიდე კონსულობისას დაიღუპა, როდესაც თვითონ მესამედ იყო კონსული. იულიანე კი არბეტიონეს და ლოლიანუსის კონსულობისას დადგინებულ იქნა კეისრად, ნოემბრის თვის შვიდში. იულიანეს შესახებ მომდევნო წიგნში ვახსენებთ. როდესაც კონსტანციუსი არსებულ ბოროტებათაგან დამშვიდდა, კვლავ საეკლესიო ომისკენ მოაბრუნა მისი გონება. იგი სირმიიდან სამეფო ქალაქ რომში ჩავიდა და კვლავ გამოაცხადა ეპისკოპოსთა კრების გამართვა, და ზოგიერთ აღმოსავლელ ეპისკოპოსს უბრძანა გალიისკენ სასწრაფოდ გამგზავრებულიყვნენ. ამზადებდა, რომ ერთსა და იმავე ადგილას შეხვედროდნენ დასავლეთი ნაწილის ეპისკოპოსები. იმ დროს, როდესაც ისინი ემზადებოდნენ იტალიაში გამგზავრებისთვის, მოხდა შემდეგი მოვლენა. აღესრულა რომის ეპისკოპოსი იულიუსი, რომელიც თხუთმეტი წელი წინამძღვრობდა იქაურ ეკლესიას. მისი ეპისკოპოსობა გადაეცა ლიბერიუსს.

XXXV თავი
ევნომიოსის მოძღვრის სირიელი აეციუსის შესახებ

სირიის ანტიოქიაში სხვა ერესიარქი აეციუსი გამოჩნდა, რომლის ზედწოდება იყო „ულმერთო“[40]. იგი არიოზის შეხედულებას იზიარებდა და იცავდა მის მოძღვრებას. მაგრამ იგი გამოეყო არიანელებს, რადგან მათ არიოზი მიიღეს თანაზიარე-

ბაში. არიოზი, როგორც ზემოთ ითქვა, ერთს ფიქრობდა გონებაში, სხვას აღიარებდა სიტყვით, როდესაც ნიკეის კრების სიმბოლო მიიღო და ხელი მოაწერა და მაშინ მოატყუა იმპერატორი. ამიტომ გამოეყო აეციოსი არიანელებს. აეციოსი წინათ მწვალებელი იყო და მგზნებარედ ეშურებოდა არიოზის მოძღვრების დაცვას. იგი ცოტა ხნით განისწავლებოდა ალექსანდრიაში და უკან დაბრუნდა, ჩავიდა სირიის ანტიოქიაში, სადაც ცხოვრობდა, და ანტიოქიის იმ დროინდელი ეპისკოპოსის, ლეონტის მიერ დიაკვნად იქნა ხელდასხმული. მაშინათვე დაიწყო მსმენელების გაოცება. ამას იქმოდა არისტოტელეს კატეგორიებზე დაყრდნობით. არსებობს ასეთი წიგნი, რომლის ავტორობაც მას მიეწერება. იგი მათი მეშვეობით მსჯელობს და ვერ გრძნობს, რომ თავისი თავისთვის მცდარ დასკვნას აკეთებს, არც მცოდნე კაცთაგან ისწავლა არისტოტელეს მიზანი. რადგან არისტოტელემ ეს სავარჯიშო ყმაწვილებისთვის შეადგინა იმ სოფისტების გამო, რომლებიც დასცინოდნენ ფილოსოფიას, და მსჯელობა დაუპირისპირა სოფისტებს სოფიზმების მეშვეობით. სკეპტიკოსმა აკადემიკოსებმა, რომლებმაც განმარტეს ფილოსოფოსების, პლატონის და პლოტინის შრომები, განაქიქეს არისტოტელესთან ასე ხელოვნური გამონათქვამები. მაგრამ აეციუსს არ ჰყოლია სკეპტიკოსი მასწავლებელი და კატეგორიების მცდარ დასკვნებში დარჩა. ამიტომ, ვერ შეძლო გაეაზრებინა, თუ როგორ არის დაუსაბამო შობა და როგორ არის შობილი მშობლის თანამარადიული. ასე ცუდად განსწავლული და წმინდა წერილში გაუნდობელი აეციუსი მხოლოდ კამათის ხელოვნების მიდევნებით, რასაც რომელიმე გლეხიც შეძლებდა, არც ქრისტიანული სიტყვების ადრეული განმმარტებლების მცოდნე, მთლიანად ემშვიდობება ყოველგვარი სიბრძნის მეცნიერ კაცებს: კლიმენტის, აფრიკელს და ორიგენეს. შეთხზა ეპისტოლეები იმპერატორ კონსტანციუსის და სხვების მიმართ, უბირ მსჯელობებს თხზავს, ზრუნავს რა თავის სოფიზმებზე. ამიტომ შეერქვა მას უღმერთო. მიუხე-

დავად იმისა, რომ იგი არიანელების მსგავსად საუბრობდა, თუმცა მისი სილოგიზმების სიმშრალესთან დათანხმება არ ძალუძდათ, მათი თანამოაზრე მათ მიერ მწვალებლად ითვლებოდა. ახლაც არიან მისი მიმდევრები, რომლებიც მაშინ აეციანელებად, ახლა კი ევნომიანელებად იწოდებიან, რადგან მოგვიანებით ევნომიოსი, – მისი სწრაფჩამწერი და მის მიერ განსწავლული მწვალებლურ გამონათქვამებში, – ჩაუდგა სათავეში მის სამხედრო კოლონებს. ევნომიოსის შესახებ თავის დროზე ვიტყვით.

XXXVI თავი
მედიოლანის კრების შესახებ

იმ დროს იტალიაში შეიკრიბნენ ეპისკოპოსები, აღმოსავლელთაგან არც ისე ბევრი, რადგან მათი უმრავლესობა მხცოვანი იყო და გზის სიშორემ შეუშალა ხელი. დასავლელთაგან კი სამასზე მეტი ესწრებოდა. იმპერატორის განკარგულება იყო, მედიოლანში გაემართათ კრება. შეკრებაზე აღმოსავლელებმა ყველაზე ადრე მოითხოვეს ერთობლივი განაჩენის გამოტანა ათანასეს წინააღმდეგ, რათა სრულიად აკრძალული ყოფილიყო მისთვის ალექსანდრიაში შესვლა. როდესაც მიხვდნენ პავლინე, გალიის ტრევერის ეპისკოპოსმა, დიონისე და ევსები, რომელთაგან პირველი იყო იტალიის მიტროპოლიის ალბას ეპისკოპოსი, ევსები კი – იტალიაში ლიგიელთა ქალაქ ვერცელის, – რომ აღმოსავლელები ცდილობდნენ მრწამსის გასანადგურებლად ათანასეს წინააღმდეგ განჩინების დამტკიცებას, ადგნენ და ხმამაღლა დაიყვირეს, რომ მომხდარი ამბების გამო ქრისტიანობა სივერაგითა და სიცრუით ზიანდებოდა. ისინი ამბობდნენ, რომ სინამდვილეში არათუ ათანასეს წინააღმდეგ იყო მიმართული გაკიცხვა, არამედ რწმენის შესარყვნელად განიზრახავდნენ ამას. როდესაც მათ ეს დაიყვირეს, მაშინ დაიშალა ეპისკოპოსთა კრებული.

XXXVII თავი
არიმინში გამართული კრებისა და იქ გადმოცემული მრწამსის შესახებ

როდესაც იმპერატორმა შეიტყო, ისინი ჩამოიშორა გადასახლებაში გაგზავნით. განიზრახა მსოფლიო კრების გამართვა, რათა ყველა აღმოსავლელი ეპისკოპოსი დასავლეთში ჩაეყვანა და, თუ შეძლებდა, ყველა ერთ აზრზე მოეყვანა. ამაზე ფიქრისას მას რთულად ეჩვენა გზის სიშორის გამო და ბრძანა ორნაწილედი გაეხადა კრება მათთვის. იტალიის არიმინში მაშინ იქ მყოფთ მოსთხოვა შეკრებილიყვნენ, აღმოსავლეთში მყოფთ კი წერილების მეშვეობით უბრძანა, ჩასულიყვნენ ბითვინიის ნიკომიდიაში. ეს იმპერატორმა ერთსულოვნების მისაღწევად ბრძანა. მაგრამ მიზანს არ ჰქონია მისთვის სასურველი შედეგი, რადგან არც ერთი კრება არ ეთანხმებოდა ერთმანეთს, არამედ ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. არც არიმინში შეკრებილებმა შეძლეს შეთანხმებულიყვნენ, და აღმოსავლეთში შეკრებილებმა ისავრიის სელევკიაში ახალი განხეთქილება ჩამოაყალიბეს. თუ როგორ მოხდა ეს ამბები, თხრობის მსვლელობისას გადმოგცემთ, მანამდე კი ევდოქსიოსის შესახებ ცოტა რამეს ვახსენებთ.

დაახლოებით იმ დროს აღესრულა ლეონტი,ვინც დიაკვნად წამოაყენა მწვალებელი აეციოსი. მაშინ ევდოქსიოსი იყო გერმანიკიას ეპისკოპოსი – ეს ქალაქი არის სირიაში. როდესაც იგი იმყოფებოდა რომში, ფიქრობდა, რომ უნდა ეჩქარა და იმპერატორს ცბიერად ესაუბრებოდა, რომ გასაჭირში მყოფი გერმანიკიის დამშვიდებისა და დაცვის გამო ნება დაერთო მისთვის მალე დაბრუნებულიყო უკან. იმპერატორმა წინასწარ არაფერი უწყოდა ისე გაუშვა იგი. მას შემწედ ჰყავდა მესაწოლეთუხუცესები, ეპარებოდა რა ანტიოქიის ეპისკოპოსობას, მიატოვა თავისი ქალაქი. იგი ცდილობდა აეციოსზე თავდასხმას, მოშურნეობა

გამოიჩინა ეპისკოპოსთა კრების მოსაწვევად და მისთვის დიაკვნის ხარისხის დასაბრუნებლად. მაგრამ ეს არ მოხდა, რადგან ევდოქსიოსის მოწადინებაზე ძლიერი იყო აეციოსის მიმართ სიძულვილი. ეს ითქვა მათ შესახებ.

როდესაც შეიკრიბნენ არიმინში, აღმოსავლელმა ეპისკოპოსებმა განაცხადეს, რომ მათ სურდათ დუმილით გვერდი აევლოთ ათანასეს წინააღმდეგ აღძრული საჩივრებისთვის. მათ გულმოდგინედ მხარი დაუჭირეს ურსაკიუსმა და ვალენტმა, რომლებიც თავიდანვე ამტკიცებდნენ არიოზის მოძღვრებას, მაგრამ შემდგომ დაეთანხმნენ „თანაარსს“ რომის ეპისკოპოსისთვის გადაცემული წიგნის მეშვეობით, რაც ჩემ მიერ ზემოთაც ითქვა. ისინი მუდამ უფრო ძლიერისკენ იხრებოდნენ. მათ მხარი დაუჭირეს ასევე გერმანემ, ავქსენტიმ, დემოფილემ და გაიოზმა. როდესაც იქ დამსწრეთა კრებულში თითოეული მათგანი მეცადინეობდა სხვა კანდიდატის წამოყენებას, ურსაკიუსის და ვალენტის მომხრეებმა თქვეს, რომ მრწამსის ყველა ჩანაწერი უნდა გაუქმებულიყო და მიეღოთ ახალი გადმოცემა, რომელიც ცოტა ხნის წინ გადმოსცეს სირმიაში შეკრებილებმა. ეს თქვეს, ხელში დაიკავეს ქარტია და დაიწყეს კითხვა. მაგრამ მრწამსის სხვა გადმოცემა, რომელიც სირმიაში ნიმუშად დასახეს, იქ, როგორც წინათაც ითქვა, შეინახეს, ხოლო მაშინ გამოაჩინეს არიმინში. ლათინურიდან გადმოთარგმნილი ის არის გადმოცემული შემდეგი სიტყვებით:

„კათოლიკე მრწამსი გადმოიცა ჩვენი მეუფე კონსტანციუსის თანდასწრებით, უბრწყინვალეს ფლავიუს ევსებიუსის და ჰიპატიუსის კონსულობის ჟამს, სირმიაში ივნისის კალენდების თერთმეტში[41].

გვწამს ერთი და ჭეშმარიტი ღმერთი, მამა ყოვლისმპყრობელი, ყოველივეს დამფუძნებელი და შემოქმედი;

და ღვთის ერთი მხოლოდშობილი ძე, ყველა საუკუნის, ყველა დასაბამის, ყველა მოაზრებადი ჟამის[42], ყველა წვდომადი აზრის უწინარეს ღვთისგან უვნებლად შობილი[43], რომლის მეშ-

ვეობითაც საუკუნენი განეგო და ყოველივე შეიქმნა; რომელიც არის შობილი მხოლოდშობილი, მხოლო მხოლო მამისგან, ღმერთი ღვთისგან, მსგავსი მისი მშობელი მამის წერილის თანახმად, რომლის შობა არავინ უწყის გარდა მისმა მშობელმა მამამ. იგი ვიცით მის მხოლოდშობილ ძედ, რომელიც მამის წამისყოფით ცათაგან ჩამოხდა ცოდვისაგან გასათავისუფლებლად, იშვა ქალწულ მარიამისგან, დადიოდა მოწაფეებთან ერთად და მამისეული ნების თანახმად აღასრულა მთელი განგებულება, ჯვარს ეცვა, დაეფლა, ჩავიდა ჯოჯოხეთში და იქ აღასრულა განგებულება, რომლის მნახველი ჯოჯოხეთის ბჭენი შეძრწუნდნენ, აღდგა მესამე დღეს და მოწაფეებთან ერთად იმყოფებოდა. აღსრულდა რა ორმოცი დღე, ავიდა ზეცად, დაჯდა მამის მარჯვენით, მოვა უკანასკნელ დღეს მამისეული დიდებით, თითოეულს მიაგებს მის საქმისამებრ;

და წმინდა სული, რომელიც თვითონ ღვთის მხოლოდშობილმა ძემ, იესო ქრისტემ აღუთქვა, რომ წარუგზავნიდა ადამიანთა მოდგმას, ნუგეშისმცემელი, დაწერილის თანახმად: „მივდივარ ჩემს მამასთან, და ვთხოვ ჩემს მამას და სხვა ნუგეშისმცემელს გამოგიგზავნის თქვენ, ჭეშმარიტების სულს. იგი ჩემგან მიიღებს, გასწავლით და შეგახსენებთ ყოველივეს“ (იოან. 14, 16-17,26; 16, 14-15).

ხოლო სიტყვა „არსი“ მამებმა მეტი სიმარტივისთვის ჩაურთეს, მაგრამ ხალხი მისი უმეცარი იყო და ცთუნება მოიტანა, რადგან წერილში ეს არ იყო; ვირჩიეთ, ამოგვეღო და ამიერიდან ღმერთზე არსის სრულებით არავითარი ხსენება არ ყოფილიყო, რადგან საღვთო წერილი საერთოდ არ ახსენებს მამის და ძის არსს. მაგრამ ვამბობთ, რომ ძე მსგავსია მამის ყველაფრის მიხედვით, როგორც ამბობს და ასწავლის წმინდა წერილი.“

როდესაც ეს წაიკითხეს, ადგნენ ისინი, რომლებსაც ეს არ მოეწონათ და თქვეს: „მრწამსის საჭიროებისათვის აქ არ შევკრე-

ბილვართ, რამეთუ ვიცავთ საღ [მრწამსს], რომელიც ოდითგანვე მიგვიღია; არამედ, რათა, თუ რაიმე სიახლე შემოვიდა ამასთან დაკავშირებით, იმას შევუშალოთ ხელი. ასე რომ, თუ წაკითხულ [მრწამსს] არავითარი სიახლე არ შემოაქვს, მაშინ ღიად შეაჩვენეთ არიანული მწვალებლობა იმ გზით, როგორც ეკლესიის ძველი კანონი სხვა მწვალებლობებს განაგდებს როგორც ღვთისმგმობელთ. რამეთუ არიოზის მკრეხელურმა მოძღვრებამ ეკლესიაში ამბოხი და დღემდე არსებული შფოთი აღძრა, ეს ცხადია მთელ მსოფლიოში.“ ეს შემოთავაზება არ მიიღეს ურსაკიუსის, ვალენტის, გერმანეს, ავქსენტის, დემოფილეს და გაიოზის დაჯგუფების წევრებმა, იქამდე რომ [ამ მრწამსმა] გახლიჩა ეკლესია. ერთნი უერთდებოდნენ არიმინში კრებაზე მაშინ წაკითხულ მრწამსს, მაგრამ სხვებმა კვლავ ნიკეის მრწამსი დაამტკიცეს. წაკითხულ ჩანაწერს დასცინეს, განსაკუთრებით ათანასემ. მან იმ წერილების მეშვეობით, რომლებიც თავის ახლობლებს გაუგზავნა, სიტყვასიტყვით მისწერა შემდეგი: „რა დააკლდა კათოლიკე ეკლესიის სწავლებას კეთილმსახურებისათვის, ახლა რომ ვიძიოთ რწმენის შესახებ, და ამჟამინდელი კონსულობა დავადგინოთ რწმენის შესახებ მათ მიერ გადმოცემული სიტყვებისთვის? რამეთუ ურსაკიუსმა, ვალენტმა და გერმანემ რაც გააკეთა, არც მომხდარა და არც სმენილა ოდესმე ქრისტიანებთან. რადგან დაწერეს ის, რაც მათ სურდათ, რომ ეწამათ, წინ დაუწერეს ახლანდელი ჟამის კონსულობა, თვე და რიცხვი, რათა ეჩვენებინათ ყველა გონიერი ადამიანისთვის, რომ არათუ წინათ, არამედ ახლა, კონსტანციუსის ზეობისას, დაედო დასაბამი მათ მრწამსს. ყველა მათგანმა თავისი მწვალებლობის გათვალისწინებით დაწერა. ამასთან, უფლის შესახებ დაწერისას დაურთეს, რომ ისინი თავიანთ მეორე მეუფეს უწოდებენ კონსტანციუსს. რადგან იგი იყო მათთვის უღმერთობის ძალაუფლების მიმნიჭებელი. ასევე ნათქვამი აქვთ მისი საუკუნო მეფობა[44], და უარყოფენ ძის მარადიულობას, – ასეთები არიან ქრისტესთანმბრძოლები.

მაგრამ მათთვის კონსულობის მითითების საბაბი არის წმინდა წინასწარმეტყველთა ჟამთააღწერა. მაგრამ თუ მათ გაბედეს ამის თქმა, ისინი თავიანთ დიდ უმეცრებას ხდიან სასაცილოს. რადგან წმინდანთა წინასწარმეტყველებებს ჟამი მოსახსენიებლად აქვთ. ესაია და ოსია იყვნენ ოზიას, იოათამის, აქაზის და ეზეკიას ზეობის დროს. იერემია კი – იოსიას ზეობისას; იეზეკიელი და დანიელი – კიროსის და დარიოსის ზეობისას. სხვები სხვა დროში წინასწარმეტყველებდნენ და არ ივიწყებდნენ ღვთისმოსაობის დასაბამს. რამეთუ ის იყო მათ უწინარეს, მარად და ქვეყნიერების დაარსების უწინარეს, ეს წინდაწინ მოგვიმზადა ქრისტეში ღმერთმა. მათ არ აღნიშნეს მათი რწმენის ჟამი, რადგან მათ უწინარესაც იყვნენ მორწმუნეები, ხოლო აღნიშნული იყო მათი მეშვეობით ქადაგების ჟამი. ქადაგება ძირითადად იყო ჩვენი მხსნელის დამკვიდრების შესახებ. ამას მოსდევდა [წინასწარმეტყველება] ისრაელსა და წარმართების მომავლის შესახებ. ჟამი აღნიშნავდა არათუ რწმენის დასაბამს, როგორც ზემოთ ითქვა, არამედ მათი წინასწარმეტყველებისას, როდესაც ისინი იყვნენ და ამას წინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ ეს ბრძენები არათუ ისტორიას მოგვითხრობენ, არც მომავალს წინდაწინ გვაუწყებენ, არამედ წერენ: „გადმოიცა საყოველთაო მრწამსი“ და მაშინათვე დაურთავენ კონსულობას, თვეს და რიცხვს. როგორც წმინდანები ისტორიებისა და მათი მსახურების ჟამს წერდნენ, ასე ესენიც აღნიშნავენ თავიანთი რწმენის ჟამს. შემდეგ თავიანთი თავის შესახებ დაწერეს, რადგან ახლა მიიღო დასაბამი, რადგან არ დაწერეს „ასე გვწამს“, არამედ, რომ „გადმოიცა საყოველთაო მრწამსი“. ამრიგად, მათი არჩევანის თავხედობას ამხელს მათ უღმერთობა[45]. ახალი გააზრება არიანული მწვალებლობის ნაწერის ტოლფარდი არის. ასე დაწერეს და ასწავლიან[46], როდესაც მათ დაიწყეს რწმენა. მათ სურთ ამ ჟამიდან იქადაგონ მათ რწმენა. როგორც მახარებელ ლუკას მიხედვით „გამოიცა ბრძანება აღწერის შესახებ“ (ლუკ. 2, 1), მანამდე არ

იყო, მათი დროიდან დაიწყო და გადმოიცა წერილობით, ასე დაწერეს მათაც: „აწ გადმოიცა რწმენა“, – აჩვენეს, რომ ახალი არის მათი მწვალებლობის შეხედულება და მანამდე ის არ არსებობდა. მაგრამ თუ დაურთავენ „კათოლიკეს“, მალავენ, რომ ისინი ჩავარდნენ ფრიგიელების ურჯულოებაში[47], ისე რომ ისინიც მათ მსგავსად ამბობენ: „პირველად ჩვენ გაგვეცხადა და ჩვენგან დაედო სათავე ქრისტიანთა [სარწმუნოებას]“. და როგორც ისინი ქრისტეს ნაცვლად მაქსიმილას და მონტანს მიაწერდნენ მეუფობას, ასევე ესენიც – კონსტანციუსს. მაგრამ თუ მათ თანახმად რწმენას ამჟამინდელი კონსულობის დროიდან აქვს დასაბამი, მაშ მამებმა და ნეტარმა მოწამეებმა რა გააკეთეს? რას უზამენ მათ, რომლებიც მამებმა განსწავლეს და ამ კონსულობის დადგომამდე მიიძინეს? როგორ აღადგენენ მათ, რათა, რაც მათ მიაჩნიათ, რომ ნასწავლი აქვთ, მათგან აღხოცონ; ხოლო, რაც მათ აწ აღმოაჩინეს და დაწერეს, ჩათესონ მათში? ასე უმეცარნი არიან და ოდენ მოთხოვნების (პრეტენზიების) შეთხზვა იციან და ისიც უჯეროსი და სიმართლისგან შორს მდგომის, რაც [თავის თავში] შეიცავს სამხილს“.

ეს მიწერა ათანასემ მის მეგობრებს. ვისაც დააინტერესებს, შეუძლიათ მოიძიონ ეს ეპისტოლე და გაეცნონ მასში მჭევრმეტყველურად ნათქვამ სიტყვებს. რადგან ჩვენ სიმოკლის მოთხოვნით აქ მისი ნაწილი გადმოვეცით. უნდა ვიცოდეთ, რომ კრებამ განაყენა ვალენტის, ურსაკიუსის, ავქსენტის, გერმანეს, გაიოზის და დემოფილეს გარშემო მყოფნი, რადგან უარი განაცხადეს არიანობის ანათემაზე გადაცემაზე. ამიტომ, ისინი აღშფოთდნენ მათი განყენებისას, სწრაფად გაიქცნენ იმპერატორთან, მიუტანეს კრებაზე წაკითხული მრწამსის გადმოცემა. კრებამ კი ეპისტოლეს მეშვეობით გააცნო იმპერატორს მის მიერ ნამოქმედარი. ლათინურიდან თარგმნილი შეიცავს შემდეგ აზრს:

არიმინში გამართული კრების ეპისტოლე იმპერატორ კონსტანციუსის მიმართ

„ღვთის ბრძანებითა და შენი კეთილმსახურების განკარგულებით, ის გვწამს, რაც ძველად დოგმატად განაჩინეს. დასავლეთის ყველა ქალაქიდან ყველა ეპისკოპოსი ერთად შევიკრიბეთ არიმინში, რათა გაცხადდეს კათოლიკე ეკლესიის სარწმუნოება, და ისინიც გამოაშკარავდნენ, ვინც ამის საპირისპიროს ფიქრობს. დიდი ხნის განმავლობაში განვიხილავდით და მივხვდით, რომ საუკეთესო იქნებოდა ძველთაგან დაცული მრწამსი, რომელიც წინასწარმეტყველებმა და მოციქულებმა ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მეშვეობით იქადაგეს, იცავს რა შენს იმპერიას და წარმართავს შენი ძალმოსილების ზრდას, რათა დავიცვათ ამის პყრობა და დამცველები აღსასრულამდე უსაფრთხოდ ვიყოთ. რადგან უჯერო და უკანონო არის, რაიმე შევცვალოთ მართებულად და სამართლიანად განსაზღვრულიდან, მაშინ, როცა იგი ნიკეაში შენს მამასა და იმპერატორთან, სახელოვან კონსტანტინესთან ერთად იქნა განხილული, და რომლის მოძღვრება და აზრი ყველა ადამიანის სმენას და გონებას მიწვდა და იქადაგა, რომელიც იყო არიოზის მწვალებლობის ერთადერთი მოწინააღმდეგე და დამღუპველი; და რომლის მეშვეობით არა მხოლოდ ის, არამედ სხვა მწვალებლობებიც განადგურდა. მასში ნამდვილად საფრთხილო არის რაიმეს ჩამატება და ამოღებაც საშიში არის, თუკი ერთი ან მეორე იქნება, მტრები შეძლებენ მოურიდებლად იმის გაკეთებას, რაც მოესურვებათ. ამიტომ, ურსაკიუსი და ვალენტი, რადგანაც ისინი იზიარებენ და ეთანხმებიან არიანულ დოგმატს, ჩვენთან თანაზიარებიდან განშორებულად წარმოჩნდებიან. იმისათვის, რომ ზიარება ჰქონოდა, საკუთარ თავზე აღიარეს, რომ შეცდომა დაუშვეს, ითხოვენ სინანულსა და შენდობას, როგორც ამას მათი ნაწერიც მოწმობს;

ამ ყველაფრის მეშვეობით მოხდა შენდობა და დანაშაულთა მიტევება. ხოლო იმ დროს, როდესაც ეს ხდებოდა, მედიოლანში კრების სხდომა იყო გამართული, ესწრებოდნენ რომაელთა ეკლესიის ხუცესები. ამასთან ვიცით, რომ ღირსახსოვარი კონსტანტინეს აღსრულების შემდეგ მთელი სიზუსტითა და გამოკვლევით გადმოსცეს ჩაწერილი მრწამსი. ამიტომ, მას შემდეგ, რაც მოინათლა, ადამიანთაგან გავიდა და დამსახურებულ მშვიდობაში წავიდა, ვთვლით, რომ უჯეროა მის შემდეგ რაიმე სიახლის გამოგონება და ასეთი წმინდა აღმსარებლებისა და მოწამეების, ამ დოგმატის ავტორებისა და გამომგონებლებისთვის გვერდის ავლა, რომლებიც ეკლესიის ძველი საკვრელის თანახმად ვიაზრებთ ყველაფერს და ვიცავთ, რომელთა რწმენა შენი ზეობის ჟამამდეც გადასცა ღმერთმა ჩვენი მეუფის იესო ქრისტეს მეშვეობით, რომლის წყალობით შენ ასე მეუფებ, ისე, რომ მართავ ჩვენს მსოფლიოს. აზროვნებით საბრალოებმა და უბადრუკებმა უკანონო დანაშაულით საკუთარი თავი კვლავ უღმერთო შეხედულების მქადაგებლებად გამოაცხადეს და სცადეს ჭეშმარიტების მთელი ლაშქრის დამარცხება. როდესაც შენი ბრძანებით კრების სხდომა გაიმართა, მათაც გამოააშკარავეს საკუთარი სიცრუის ეჭვი. რადგან მზაკვრობისა და არეულობის გამოწვევით სცადეს რაღაც სიახლის გამოგონება, ამ საქმეში შეიამხანაგეს ვინმე გერმანიონი[48], ავქსენტი[49] და გაიოზი[50], მწვალებლობისა და განხეთქილების შემქმნელები, რომელთა მოძღვრება, ეს ერთი აღემატა მგმობელთა მთელ სიმრავლეს. როდესაც დაინახეს, რომ არც ამ არჩევანს ვემხრობოდით, არც იმ აზრებს ვიზიარებდით, რაც მათ ბოროტად განიზრახეს, ჩვენს კრებულში გადმოვიდნენ, ფიქრობდნენ სხვა რამის დაწერას. მაგრამ მოკლე დროში მხილებულ იქნა მათი ზრახვები. იმისათვის, რომ მათ ყოველთვის არ მოეცვათ ეკლესია, შფოთისა და ხმაურის გულმოდგინედ შემქმნელებს არ აერიათ ყველაფერი, მტკიცე [გადაწყვეტილებად] წარმოჩნდა ძველად განსაზღვრული კანონის უცვლელად

დაცვა, ხოლო ზემოთქმული პირების – ჩვენი თანაზიარებიდან განშორება. ამ მიზეზით ელჩები გამოვგზავნეთ შენი მოწყალების მიმართ, რათა ეპისტოლეს მეშვეობით განგიმარტოთ და გამცნოთ კრების მოსაზრება. ელჩებს უწინარეს ყოვლისა დავავალეთ ის, რომ ძველთაგან მართებულად განსაზღვრული[51] ჭეშმარიტების ერთგული ყოფილიყვნენ. მათ შენს სიწმინდეს განუმარტეს, რომ, რაც ურსაკიუსმა და ვალენტმა თქვეს, არ მოიტანდა მშვიდობას, თუკი რამ მართებული განადგურდებოდა; რადგან როგორ დაამყარებენ მშვიდობას მშვიდობის დამარღვევლები? მათგან უფრო მეტი უთანხმოება და შფოთი იქნება დანარჩენ ქალაქებშიც და რომაელთა ეკლესიაშიც. ამიტომ შენს მოწყალებას ვთხოვთ, რათა კეთილგანწყობილი ყურითა და მშვიდი თვალით მიიღოს ჩვენი ელჩები, ნურც გარდაცვლილთა შეურაცხყოფისათვის წააქეზებ რაიმე ახლით შეცვლისკენ, არამედ ნება მოგვეცი, რომ დავრჩეთ ჩვენს წინაპართაგან განსაზღვრებულსა და განჩინებულში, რომლებმაც, ვიტყვით, რომ ყველაფერი გააკეთეს გამჭრიახობითა და გონიერებით, და სულიწმინდასთან ერთად. მათ მიერ გამოგონებული სიახლე მორწმუნეებში ურწმუნობას იქმს, ურწმუნოებში კი – სიფიცხეს.

გევედრებით, უბრძანე უცხო მხარეებში მცხოვრებთ, ხანდაზმულობით დამაშვრალთ და სიღარიბისგან შეჭირვებულთ, სახლში დაუბრკოლებლად დაბრუნდნენ, რათა ეპისკოპოსებისგან დაცარიელებული არ დარჩეს ეკლესიები.

ყველაფერთან ერთად ამასაც გთხოვთ, რათა არაფერი მოაკლო, არც დაუმატო წინათ არსებულს, არამედ ყველაფერი ხელუხლებელი დარჩეს, რაც შენი მამის კეთილმსახურებიდან მოყოლებული ახლანდელ დრომდეა დაცული. მეტად ნუღარ დაგვტანჯავ და საკუთარი სამრევლოებიდან ნუ განგვაშორებ, არამედ ეპისკოპოსებმა თავის ხალხთან ერთად მშვიდობით, ლოცვებითა და მსახურებით განვლონ ჟამი, მლოცველებმა შენი იმპერიის, ხსნისა და მშვიდობისთვის, რასაც ღმრთეება მარადი-

ულად მოგანიჭებს შენ. ჩვენს ელჩებს მოაქვთ ეპისკოპოსთა ხელმოწერები და მოკითხვა, რომლებიც შენს ღვთიურობას თვით საღვთო წერილებიდან განუმარტავენ“.

ამრიგად, ეს მიწერა კრებამ და გაუგზავნა ეპისკოპოსთა ხელით. მაგრამ ურსაკიუსის და ვალენტის მომხრეებმა დაასწრეს მათ გამგზავრებას, წინდაწინ ცილი დასწამეს კრებას და აჩვენეს მრწამსის გადმოცემა, რაც წამოღებული ჰქონდათ. იმპერატორმა არიანული შეხედულების მიღების გამო მხარი დაუჭირა მათ და აღშფოთდა კრების მიმართ; ვალენტის და ურსაკიუსის მომხრეები დიდი პატივით მიიღო. ამიტომ, კრების მიერ წარგზავნილებს აცდევინა და პასუხი არ გასცა. მოგვიანებით იმპერატორმა იქ ჩამოსულთა მეშვეობით კრებას მიწერა შემდეგი ეპისტოლე:

„კონსტანციუსი მძლე და ტრიუმფატორი, ავგუსტუსი, არიმინში შეკრებილ ყველა ეპისკოპოსს

თქვენი სიწმინდე არ არის უმეცარი, რომ ყოველთვის უპირველეს ყოვლისა მზრუნველობას ვიჩენთ საღვთო და სათაყვანებელი კანონის მიმართ. მაგრამ აწ ამ დრომდე ვერ შევძელით ნახვა თქვენი სიბრძნის მიერ წარმოგზავნილი ოცი ეპისკოპოსისა, რომლებმაც თავს იდვეს თქვენი შუამავლობა. რამეთუ აუცილებელია ბარბაროსებზე გალაშქვრა. და როგორც უწყით, სულს შეფერის განწმენდილი იყოს ყოველგვარი საზრუნავისგან და საღვთო რჯულის შესახებ წვრთნა. ამიტომ, ეპისკოპოსებს ვუბრძანეთ, ადრიანოპოლში მიიღონ ჩვენი უკან დაბრუნება, რათა მას შემდეგ, რაც კარგად განეგება ყველა სახელმწიფო საქმე, მაშინ შევძლოთ მოსმენა და განსჯა იმ საკითხის, რაც წამოიჭრა. თქვენს სიმტკიცეს ნუ დაუმძიმდება მათი უკან დაბრუნების ასე მიღება, რათა, როდესაც უკან დაბრუნდებიან, მოგიტანონ ჩვენი პასუხები; და შესძლოთ სისრულეში მოიყვანოთ, რაც კათოლიკე ეკლესიისთვის მეტად სასარგებლოა.“

როდესაც ეს წერილი მიიღეს, ეპისკოპოსებმა კვლავ მისწერეს შემდეგი:

„უფალო და ყველაზე ღვთივსათნო იმპერატორო, მივიღეთ შენი კეთილგანწყობის წერილები, რომლებშიც წერია, რომ სახელმწიფო საჭიროების გამო ვერ შეძელი ჩვენი ელჩების ნახვა, ხოლო ჩვენ გვიბრძანებ, დაველოდოთ მათ უკან დაბრუნებას, ვიდრე შენი კეთილკრძალულება მათგან გაეცნობა ჩვენ მიერ წინაპართა მიდევნებით განჩინებულს. მაგრამ ის, რაც ახლა ამ წერილების მეშვეობით განვაცხადეთ და დავამტკიცეთ, არანაირად არ განგვაშორებს ჩვენი საკუთარი დებულებისაგან. რამეთუ ეს დავავალეთ ჩვენ ელჩებს. აწ გთხოვთ, უშფოთველად შეხედო და ბრძანო წაკითხულ იქნეს ჩვენი ზომიერების წერილები. აგრეთვე ისიც სიამოვნებით შეიწყნარო, რაც დავავალეთ ჩვენს ელჩებს. ჩვენ მსგავსად შენმა კეთილგანწყობამაც უწყის, რაოდენ სამწუხარო და სირცხვილი არის, შენი უნეტარესი ზეობის დროს ესოდენი ეკლესიები ეპისკოპოსების გარეშე დარჩეს. ამიტომ, უფალო და ყველაზე ღვთივსათნო იმპერატორო, კვლავ ვთხოვთ შენს კაცთმოყვარეობას, რომ ზამთრის სიმკაცრის დადგომამდე, თუ შენს კეთილკრძალულებას სათნო უჩნს, ბრძანოს ჩვენი უკან დაბრუნება ჩვენს ეკლესიებში, რათა შევძლოთ, ხალხთან ერთად შენი იმპერიისათვის ჩვეული ვედრება აღვავლინოთ ყოვლისმპყრობელი ღმერთისადმი და მისი მხოლოდშობილი ძის, ჩვენი მეუფისა და მხსნელის იესო ქრისტესადმი, როგორც მუდამ აღვასრულებთ და ახლაც ვლოცულობთ“.

ეს მიწერეს, ცოტა ხანი შეიცადეს და როდესაც იმპერატორმა ისინი პასუხის ღირსი არ გახადა, თავიანთ ქალაქებში დაბრუნდნენ. იმპერატორს კი წინათაც ჰქონდა მიზნად დასახული არიანული მოძღვრების ეკლესიებში დათესვა, ის ესწრაფოდა ამის მიღწევას. ამიტომ, მათი წასვლა შეურაცხყოფის საბაბად

მიიჩნია, თქვა, რომ მათ არად ჩააგდეს იგი, როცა მისი ნების გარეშე დაშალეს კრება. მან ურსაკიუსის მომხრეებს მიანდო, რაც მათ ენებათ, გაბედულად გაეკეთებინათ ეკლესიების წინააღმდეგ. ბრძანა, არიმინში წაკითხული მრწამსის გადმოცემა დაეგზავნათ იტალიის გარშემო მდებარე ეკლესიებში; განკარგულება გამოსცა, ვინც არ ისურვებდა მასზე ხელის მოწერას, განედევნათ ეკლესიებიდან და მათ ადგილზე სხვები დაედგინათ. პირველად რომის ეპისკოპოსმა ლიბერიუსმა განაცხადა უარი, დათანხმებოდა ამ მრწამსს. იგი გადაასახლეს და მის ადგილას ურსაკიუსის მომხრეებმა დაადგინეს ფელიქსი, რომელიც იყო რომში ეკლესიის დიაკონი და ემხრობოდა არიანულ მოძღვრებას, და ეპისკოპოსად იგი წამოაყენეს. მაგრამ არიან ზოგიერთები, რომლებიც ამბობენ, რომ იგი არ ემხრობოდა არიანულ მოძღვრებას და ძალდატანებით და იძულებით იქნა ხელდასხმული. ასე რომ, მაშინ დასავლეთში ყველა სიახლემ შფოთი მოიტანა, ზოგი გაძევებამ და გადასახლებამ, ზოგიც მათ ადგილას სხვების დადგინებამ. და ეს ხდებოდა ძალადობითა და იმპერატორის დეკრეტებით, რომლებიც აღმოსავლეთის ნაწილშიც იქნა გაგზავნილი. ლიბერიუსი ცოტა მოგვიანებით გამოხმობილ იქნა გადასახლებიდან და დაიბრუნა თავისი საყდარი, როდესაც აჯანყდა რომში მოსახლეობა და ეკლესიიდან განდევნეს ფელიქსი, რასაც იმპერატორი მათ თავისი ნების წინააღმდეგ დაეთანხმა. ურსაკიუსის მომხრეებმა დატოვეს იტალია, გადავიდნენ აღმოსავლეთში და ჩავიდნენ თრაკიის ქალაქ ნიკეში. მცირე ხნით დარჩნენ იქ, გამართეს ახალი კრება და არიმინში წაკითხული მრწამსის გადმოცემა ბერძნულად თარგმნეს ზემოთ დაწერილი სახით, შემდეგ გამოაქვეყნეს და დაამტკიცეს, მსოფლიო კრების მიერ [განჩინებულად] განსაზღვრეს ნიკეში ნაკარნახევი მრწამსიც. მათ სურდათ სახელის მსგავსებით მოეტყუებიათ ლიტონი ადამიანები, რადგან ბითვინიის ნიკეის მრწამსი ეგონათ. მაგრამ არანაირი სარგებელი არ მოუტანა მათ ამ ხრიკმა, არცთუ დიდი

ხნის შემდეგ ის გამოაშკარავდა და დასაცინი გახდნენ. ეს ითქვა დასავლეთ ნაწილში მომხდარი მოვლენების შესახებ. უნდა გადავიდეთ იმავე დროს აღმოსავლეთში მომხდარი მოვლენების თხრობაზე. დავიწყოთ აქედან.

XXXVIII თავი
მაკედონიოსის სისასტიკის შესახებ, აგრეთვე მის მიერ აღძრული შფოთის შესახებ

არიანელმა ეპისკოპოსებმა იმპერატორის დეკრეტით უფრო მეტი გამბედაობა შეიძინეს. ცოტა ხნის შემდეგ ვიტყვი, თუ როგორ მოამზადეს კრების გამართვა. მაგრამ ჯერ კრებამდე მათ მიერ ჩადენილს გავივლით. აკაკიმ[52] და პატროფილემ განდევნეს იერუსალიმის ეპისკოპოსი მაქსიმე და მის ნაცვლად კირილე დაადგინეს. მაკედონიოსმა მოაოხრა კონსტანტინოპოლის მეზობელი ეპარქიები და ქალაქები და მისი განზრახვის მსახურებს დაადგინებდა ეკლესიების წინააღმდეგ. კიზიკიის ეპისკოპოსად ელევსიოსი დაადგინა, ნიკომიდიისა – მარათონიოსი, რომელიც წინათ იყო მაკედონიოსის დაქვემდებარებაში მყოფი დიაკონი, მაგრამ მოშურნეობდა მამაკაცთა და ქალთა მონასტრების დაფუძნებაში. უკვე უნდა ითქვას, თუ როგორ მოაოხრა მაკედონიოსმა კონსტანტინოპოლის გარშემო ეპარქიები და ქალაქები. მან, როგორც მოვასწარით ამის თქმა, მიიტაცა ეპისკოპოსობა, ათასი ბოროტება უყო მათ, ვინც არ ირჩია მისი შეხედულებების გაზიარება, არა მხოლოდ მათ დევნიდა, რომლებიც გამოეყვნენ ეკლესიას, არამედ ნოვაციანელებსაც, იცოდა, რომ მათაც „მსგავსარსის“ შეხედულება ჰქონდათ. მათთან ერთად ესენიც იდევნებოდნენ და სასიკვდილოდ ევნებოდათ. გაიქცა მათი ეპისკოპოსი, ვისი სახელიც იყო აგელიოსი. მრავალი კეთილკრძალულებით სახელგანთქმული კაცი შეიპყრეს და ტანჯეს, როდესაც უარს

ამბობდნენ მასთან თანაზიარებასთან წილმქონეობაზე. ტანჯვის შემდეგ ძალადობით აზიარებდა საიდუმლოებებს. ხის ჯოხს უყრიდნენ პირში და უდებდნენ საიდუმლოს. ისინი ამას ითმენდნენ, სხვა სასჯელებზე უარესად ამისთვის ხელის შეშლას მიიჩნევდნენ. ქალებს და ბავშვებს იტაცებდნენ და აიძულებდნენ ნათლისღებას. თუ ვინმე უარს ამბობდა, ან სხვაგვარად შეეპასუხებოდა, მყისვე მოაყოლებდნენ ცემას, ცემის შემდეგ კი ბორკილებს და საპყრობილეს და სხვა საშინელებებს. ერთი ან ორი რომ გავიხსენოთ, მსმენელთათვის ცხადი შეიქნება მაკედონიოსის და იმხანად სახელოვანი ადამიანების სიშლეგე და სისასტიკე. იმ ქალებს, რომლებიც არ იღებდნენ საიდუმლოებებში ზიარებას, ძუძუებს უდებდნენ ყუთში და ახერხავდნენ. ზოგ ქალს იმავე ასოს, ზოგს რკინით, ზოგს გაცხელებული კვერცხით უწვავდნენ. წარმართებისთვისაც კი უცხო სასჯელებს იყენებდნენ ქრისტიანებად წოდებულნი. ეს მე ყველაზე ასაკოვანი ავქსენტისგან მსმენია, რომელიც პირველ წიგნში ვახსენე. იგი იყო ნოვაციანელთა ეკლესიის ხუცესი. იგი ამბობდა, რომ არანაკლებ ევნო არიანელთაგან, როდესაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა წილად ხვდომილი ხუცესის ღირსება. იგი ალექსანდრე პაფლაგონელთან ერთად ეწეოდა ასკეტურ ცხოვრებას და მასთან ერთად ჩააგდეს საპყრობილეში, მრავალგზის სცემეს და ტანჯეს. ალექსანდრე ცემით აღესრულა საპყრობილეში. იგი დაფლულია კერასად წოდებულ ბიზანტიის ნავსაყუდელში მოცურავეთაგან ხელმარჯვნივ, მდინარეების მახლობლად, რომლის მახლობლად ასევე არის ალექსანდრეს სახელობის ნოვაციანელთა ეკლესია. მაკედონიოსის ბრძანებით არიანელებმა მრავალი ეკლესია დაანგრიეს ქალაქებში, მათ შორის კონსტანტინოპოლში პელარგუსის მახლობლად მდებარე ნოვაციანელთა ეკლესია. ამის გულისთვის ის ცალკე ვახსენე, მომავალში ვიტყვი, რამდენი რამეც მსმენია მხცოვანი ავქსენტისგან. იმპერატორის კანონმა და ასევე მაკედონიოსის ძალადობამ, ბრძანებდა

„თანაარსის“ შეხედულების მქონეთა ეკლესიების დანგრევას. განკარგულებამ და ძალადობამ მიაღწია ადგილობრივ ეკლესიამდე და მას ავიწროვებდნენ ამის გამკეთებლად მიჩენილი პირები. გამაოცა, თუ რაოდენ დიდი მოშურნეობა და გულმოდგინება ჰქონდათ ნოვაციანელ მრევლს თავიანთი ეკლესიის მიმართ, ასევე კეთილგონიერებამ, რაც მათ მიმართ ჰქონდათ მაშინ არიანელთა მიერ ეკლესიიდან განდევნილებმა, ხოლო ამჟამად მშვიდობით უპყრიათ ეკლესიები. როდესაც ზეწოლას ახდენდნენ, რომ დაენგრიათ ეს ეკლესია მათ, რომლებსაც ეს ჰქონდათ დავალებული, შეიყარა ურიცხვი ერი ნოვაციანელთა და ზოგიერთი მათი თანამოაზრეთაგან. მათ დაანგრიეს ეკლესია და სხვა ადგილას გადაიტანეს. ეს ადგილი მდებარეობდა ქალაქის მოპირდაპირე მხარეს, ეწოდება სიკა და არის კონსტანტინოპოლის ოცდამეათე უბანი. სწრაფად გადაიტანეს ეკლესია, – ბევრ ადამიანს გულმოდგინედ გადაჰქონდა ის. ზოგს მიჰქონდა ყავარი, ზოგს – ქვა, ზოგს – ხე, სხვას სხვა რამე ეჭირა და ასე მიიტანეს სიკაში. ასევე მიჰქონდათ ქალებს, მცირე წლოვანთ, მათი ვედრების აღსრულებად მიიჩნევდნენ და დიდ სარგებლად თვლიდნენ, რომ ღირსი შეიქნენ, ღვთისთვის შეწირულის უმწიკვლო მცველები გამხდარიყვნენ. ასე იქნა გადატანილი ნოვაციანელთა ეკლესია სიკაში. მოგვიანებით, კონსტანციუსის აღსასრულის შემდეგ, იმპერატორმა იულიანემ ბრძანა მათთვის ადგილის დაბრუნება და დაავალა ხელახლა აგება. ხალხმა კვლავ იმავე გზით უკან გადაიტანეს საშენი მასალა და ეკლესია იმ ადგილას, სადაც თავიდანვე იყო აგებული. მათ უკეთესი ააშენეს და სიმბოლურად „ანასტასია[53]“ უწოდეს. ეს ეკლესია, როგორც ითქვა, მოგვიანებით აღდგა იულიანეს დროს. მაგრამ მაშინ ორივე, [კათოლიკე] ეკლესიის წევრებიც და ნოვაციანელებიც, ერთნაირად იდევნებოდნენ. ამიტომ, კათოლიკე ეკლესიის წევრებს სძაგდათ სამლოცველოებში შესვლა, სადაც არიანელები იკრიბებოდნენ. იკრიბებოდნენ ერთად სხვა სამ

[სამლოცველოში], – ესენი ჰქონდათ ქალაქში ნოვაციანელთა ეკლესიის წევრებს,– და ერთად ლოცულობდნენ. ცოტა აკლდა მათ გაერთიანებას, უარი რომ არ ეთქვათ ნოვაციანელებს, რომლებიც იცავდნენ ძველ მცნებას. თუმცა, სხვაგვარად კეთილგანწყობას მეტად გულმოდგინედ იცავდნენ ერთმანეთის მიმართ, ისე რომ სიკვდილსაც ირჩევდნენ ერთმანეთის გულისთვის. ისინი ერთად იდევნებოდნენ კონსტანტინოპოლში, სხვა პროვინციებში და ქალაქებში. მაგალითად, კიზიკიაში ადგილობრივი ეპისკოპოსი ელევსიოსი მაკედონიოსთან ერთად მისნაირად მოქმედებდა ქრისტიანთა წინააღმდეგ, ყველგან დევნიდა და შფოთში აგდებდა მათ. კიზიკიაში საძირკვლამდე დაანგრია ნოვაციანელთა ეკლესია. მაკედონიოსმა კი იმ ბოროტებების მწვერვალს, რომლებსაც სჩადიოდა, ესეც დაურთო. რადგან შეიტყო, რომ პაფლაგონელთა პროვინციაში უამრავი იყო ნოვაციანელთა სარწმუნოების მიმდევარი, განსაკუთრებით მანტინიონში. ისაზრა, რომ ესოდენ სიმრავლეს საეკლესიო მსახურთა მეშვეობით ვერ განდევნიდა და იმპერატორის განკარგულებით ორმოცი ჯარისკაცი გაგზავნა პაფლაგონიაში, რათა ჰოპლიტების შიშით მიეღოთ არიანული მოძღვრება. მანტინიონში მცხოვრებლებმა სარწმუნოებისადმი მოშურნეობით სიშლეგე გამოიყენეს ჯარისკაცების წინააღმდეგ: მრავალრიცხოვანმა ხალხმა გრძელი ნამგლები და ცულები აიღო და დახვდნენ ჯარისკაცებს. როდესაც მოხდა შეტაკება, მრავალი პაფლაგონიელი დაიღუპა, ჯარისკაცთაგან კი მცირედის გამოკლებით – ყველა. ეს მე შევიტყვე პაფლაგონიელი გლეხისგან, რომელიც ამბობდა, რომ ესწრებოდა ამ ბრძოლას. ამავეს ამბობს ბევრი პაფლაგონიელი. აი, ასეთი იყო მაკედონიოსის წარმატებები ქრისტიანობის გამო, – მკვლელობები, ბრძოლები, ადამიანთა დამონება, ძმათა შორის ომები. ამ საქმიანობამ არა მხოლოდ უსამართლობის მსხვერპლთა მხრიდან, არამედ მისი ახლობლების მხრიდანაც გამოიწვია მის მიმართ სამართლიანი სიძულვილი. ამის გამო თვით

იმპერატორიც კი განაწყენდა, ასევე შემდეგი მიზეზის გამოც. დანგრევა ემუქრებოდა სახლს, სადაც მდებარეობდა კიდობანი, რომელშიც მოთავსებული იყო კონსტანტინეს სხეული. ამიტომ, მასში შემავალნი, მახლობლად მყოფნი და მლოცველნი დიდ შიშში იყვნენ. მაკედონიოსმა განიზრახა იმპერატორის ძვლების გადატანა, რათა კუბო არ მოყოლოდა ნანგრევებში. როდესაც ეს შეიტყო ხალხმა, სცადეს, ხელი შეეშალათ: ამბობდნენ, რომ არ შეიძლებოდა იმპერატორის ძვლების გადატანა, რამეთუ ამოთხრის ტოლფასი იყო. მოსახლეობა მყისვე ორ ნაწილად გაიყო: ნაწილი ამბობდა, რომ გადატანისას არ დაზიანებულიყო ნეშტი, ნაწილი კი ამბობდა, რომ უწმინდურობა იყო ეს საქმე. შეიკრიბნენ „თანაარსის“ აღმსარებლები და წინ აღუდგნენ ამ საქმეს. მაკედონიოსი ნაკლებად ზრუნავდა მის მოწინააღმდეგეებზე, გადაიტანა იმპერატორის სხეული ეკლესიაში, სადაც ესვენა მოწამე აკაკის სხეული. როდესაც ეს მოხდა, ერთმანეთთან უთანხმოებაში მყოფი ხალხი დიდი ძალით თავს დაატყდა ამ ეკლესიას. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მხარეები და დაუყოვნებლივ მოხდა შეტაკება. ადამიანთა მრავალრიცხოვან მკვლელობებს ჰქონდა ადგილი, ისე რომ ამ ეკლესიის ეზო სისხლით აივსო და მასში ჭიდან სისხლმა გადმოჩქეფა, ის გადმოიღვარა სვეტებიან გალერეისკენ, თვით ქუჩამდე. როდესაც ეს უბედურება შეიტყო იმპერატორმა, განრისხდა მაკედონიოსზე დაღუპულთა გამო და რომ გაბედა, მისი ნებართვის გარეშე დაეძრა მამამისის სხეული. მან დასავლეთ ნაწილზე საზრუნავად დატოვა კეისარი იულიანე და თვითონ აღმოსავლეთში გაემგზავრა. თუ როგორ იქნა განყენებული ცოტა ხნის შემდეგ მაკედონიოსი – ესოდენი ბოროტებისთვის ეს მცირე სასჯელი მიეგო, ცოტა მოგვიანებით ვიტყვი.

XXXIX თავი
ისავრიის სელევკიაში გამართული კრების შესახებ

ახლა გიამბობთ სხვა კრების შესახებ, რომელიც არიმინის კრების მიბაძვით იმპერატორმა ბრძანა, რომ გამართულიყო აღმოსავლეთში. პირველად ინება, ბითვინიის ნიკომიდიაში შეკრებილიყვნენ ეპისკოპოსები. მაგრამ მათი იქ შეკრებას ხელი შეუშალა უდიდესმა მიწისძვრამ, რომლისგანაც დაიქცა ქალაქი ნიკომიდია. ეს მოხდა ტატიანეს და კერეალიოსის კონსულობის დროს, დაახლოებით აგვისტოს თვის მერვე დეკადაში. ასე განიზრახა კრების გადატანა მის მეზობლად მდებარე ნიკეაში. მაგრამ ესეც გადაიფიქრა და კილიკიის ტარსუსში გადაწყვიტა შეკრების გამართვა. ესეც არ მოიწონა და შეიკრიბნენ ისავრიის სელევკიაში, ტრაქეად წოდებულში. ეს მოხდა იმავე წელს, როდესაც კონსულები იყვნენ ევსები და ჰიპატიოსი. შეკრებილთა რაოდენობა იყო ასსამოცი. მათთან ერთად ესწრებოდა სასახლეში გამოჩენილი პირი, სახელად ლეონი, რომლის წინაშე რწმენის შესახებ გამოძიების გამართვას ბრძანებდა იმპერატორის განკარგულება. ნაბრძანები იყო ასევე, რომ დასწრებოდა ისავრიის ჯარების სარდალი ლავრიკიოსი, რათა მომსახურებოდა ეპისკოპოსებს, თუ საჭირო გახდებოდა. ამისთვის შეიკრიბნენ სექტემბრის თვის ოცდაშვიდში და საჯარო ჩანაწერებზე დაყრდნობით გამართეს მსჯელობა. ასევე ესწრებოდნენ სწრაფჩამწერები, თითოეულ სიტყვას ჩანიშნავდნენ. თითოეული რამ, რაც მაშინ მოხდა, სწავლისმოყვარეთ შეუძლიათ მოიძიონ საბინოსის კრებულში ვრცლად გადმოცემული. ჩვენ კი შემოკლებულად გადავირბენთ. კრების პირველ დღეს ლეონმა ბრძანა თითოეულს გადმოეცა, რასაც ფიქრობდა. მაგრამ დამსწრეებმა მანამდე არ დაიწყეს ძიება, სანამ დანარჩენებიც არ შეიკრიბებოდნენ. დარჩენილი იყვნენ მაკედონიოს კონსტანტინოპოლე-

ლი, ბასილი ანკვირელი და სხვა ზოგიც, რომლებიც ბრალდების ეჭვქვეშ იყვნენ. მაკედონიოსმა თქვა, რომ ავად იყო და დარჩა. პატროფილე ამბობდა, რომ დაბრმავდა და ამიტომ იძულებული იყო სელევკიის გარეუბანში ეცხოვრა. სხვებმაც, ყველამ რაღაც მოიმიზეზა და არ ჩამოვიდა. მას შემდეგ,რაც ლეონმა თქვა,რომ მათი არ დასწრებით უნდა გამართულიყო გამოძიება, იქ დამსწრენი კვლავ არწმუნებდნენ, რომ არ დაიწყებდნენ ძიებას, ვიდრე ბრალდებულთა ცხოვრებას არ გამოიკვლევდნენ. რადგან მანამდე უკვე ბრალდებული იყვნენ: კირილე იერუსალიმელი, ევსტათი სომხეთის სებასტიიდან და ზოგიერთი სხვაც. ამის გამო იქ დამსწრეთა შორის წარმოიშვა დავა. ზოგი ამბობდა, რომ პირველ რიგში ბრალდებულთა ცხოვრება უნდა გამოეძიათ, ზოგი კი – რომ სარწმუნოებაზე წინ არანაირი ძიება არ დაეყენებინათ. კამათი გამოიწვია იმპერატორის სხვადასხვა განკარგულებებმა. რადგან იგი წერილებს გზავნიდა, ბრძანებდა, ხან ჯერ ეს გამოეძიათ, ხან სხვა რამ. როდესაც ეს დავა წარმოიშვა იქ დამსწრენი განხეთქილებამ განაშორა ერთმანეთს. ეს გახდა იმის მიზეზი, რომ სელევკიაში ორ ნაწილად გაიყო კრება. ერთ ნაწილს წინამძღვრობდა აკაკი პალესტინის კესარიელი, გიორგი ალექსანდრიელი, ურანიოს ტვიროსელი, ევდოქსიოსი ანტიოქიელი, რომლებსაც მხოლოდ სხვა ოცდაათი ეთანხმებოდა. მეორე ნაწილს კი – გიორგი სირიის ლაოდიკიიდან, სოფრონი პაფლაგონიის პომპეოპოლელი, ელევსიოს კიზიკელი, რომლებსაც ჰყავდათ უამრავი მიმდევარი. როდესაც გაიმარჯვა იმ მოსაზრებამ, რომ პირველ რიგში უნდა გამოძიებულიყო რწმენის საკითხი, აკაკის დაჯგუფების წევრებმა ღიად უარყვეს ნიკეის მრწამსი და სხვა მრწამსი შემოიტანეს. მეორე მხარის მიმდევრები, რომლებიც რაოდენობით აღემატებოდნენ, ყველაფერი მიიღეს ნიკეის კრების მრწამსიდან, მხოლოდ „თანაარსის“ გამონათქვამი განაქიქეს. ბევრი იკამათეს ერთმანეთთან გვიან საღამომდე, ბოლოს ტარსუსის ეკლესიის წინამდგომელმა სილბანოსმა ხმამაღლა დაიყვირა და

თქვა, რომ საჭირო არ იყო ახალი მრწამსის გადმოცემის ჩაწერა, არამედ უკვე ადრე ანტიოქიაში ტაძრის კურთხევაზე ჩაწერილი მრწამსი უნდა ეპყრათ. როდესაც ეს ითქვა, აკაკის მომხრეები ჩუმად გავიდნენ (უკან დაიხიეს), მეორე მხარემ კი გამოიტანა ანტიოქიის მრწამსი, წაიკითხეს და დაიშალა კრება იმ დღეს. მომდევნო დღეს სელევკიაში მდებარე სამლოცველოში შეიკრიბნენ, კარები დახშეს, წაიკითხეს მრწამსი და ხელისმოწერით დაამტკიცეს. იქ არ მყოფთა გამო ხელი მოაწერეს იქ დამსწრე წიგნისმკითხველებმა და დიაკვნებმა, რომელთა მეშვეობით არ დამსწრეებმა აღიარეს, რომ მოიწონეს ეს განჩინება.

XL თავი
თუ როგორ ჩაწერა მრწამსის სხვა გადმოცემა აკაკი კესარიელმა სელევკიაში გამართულ კრებაზე

აკაკიმ და მისი დაჯგუფების წევრებმა არ მოიწონეს ეს ამბავი, რომ ეკლესია დაკეტეს და ისე მოაწერეს ხელი. ამბობდნენ, რომ ფარულად მომხდარი, არაქმედითუნარიანია და საეჭვო. როდესაც ამას ამბობდა, სურდა სანაცვლოდ მრწამსის სხვა გადმოცემის შემოტანა, გამზადებული ჰქონდა, რომელიც მანამდე ლავრიკიოს და ლეონ რექტორებს წაუკითხა და მხოლოდ მის გაბატონებას ესწრაფოდა. ამის გარდა სხვა არაფერი გაუკეთებიათ მეორე დღეს. მესამე დღეს ლეონი კვლავ ცდილობდა მხარეების ერთად შეკრებას. იმ დღეს არც მაკედონიოს კონსტანტინოპოლელი აკლდა, არც ბასილი ანკვირელი. ორივე ერთ მხარეს იყვნენ შეკრებილი და არ სურდათ, აკაკის მომხრეებს შეხვედროდნენ: ამბობდნენ, რომ პირველ რიგში კრებიდან უნდა გაეძევებინათ ადრე განყენებულნი და იქ დამსწრე ბრალდებულნი. როდესაც ასე დავობდნენ, უფრო მეტად ამან გაიმარჯვა: გააძევა დადანაშაულებული პირები და მათ ნაცვ-

ლად აკაკის მომხრეები შემოვიდნენ. მაგრამ მაშინ ლეონმა თქვა, რომ აკაკის მომხრეებს მისთვის წიგნი ჰქონდათ მიცემული: იგი მალავდა, რომ ეს იყო დოგმატის გადმოცემა, ის კი ზოგან ფარულად, ხოლო ზოგან ღიად ებრძოდა წინა გადმოცემას. მაგრამ დამსწრეთ ხმა არ ამოიღეს, ფიქრობდნენ, რომ ის რწმენის გადმოცემაზე მეტად სხვა რამეს შეიცავდა ეს წიგნი. მაშინ აკაკის მრწამსის განწესება შესავლითურთ წაიკითხეს, რომელიც იყო შემდეგი სახის:

„ჩვენ იმპერატორის ბრძანების თანახმად ისავრიის სელევკიაში გუშინ, ოცდაშვიდ სექტემბერს,[54] შეკრებილებმა მთელი გულმოდგინებით, მთელი წესრიგის მოხმობით დავიცავით მშვიდობა ეკლესიაში და რწმენის შესახებ გაწონასწორებულად გადავწყვიტეთ, როგორც ბრძანა ჩვენმა უღვთივსათნოესმა იმპერატორმა კონსტანციუსმა, საწინასწარმეტყველო და სახარებისეული სიტყვების თანახმად, და საღვთო წერილის გარდა არაფერი შეგვიტანია საეკლესიო მრწამსში. მაგრამ ვინაიდან კრებაზე ზოგიერთებმა ზოგ ჩვენგანს შეურაცხყოფა მიაყენეს, ზოგი გააჩუმეს და ნება არ მისცეს ესაუბრა, ზოგიც ძალდატანებით ჩაამწყვდიეს. მათ თან ახლდათ სხვადასხვა ეპარქიებში განყენებული პირები და ისინი [საეკლესიო] კანონების დარღვევით დაადგინეს. ამრიგად, ყველა მხრიდან კრება შფოთით აღივსო, ისე რომ პროვინციის უბრწყინვალესი მმართველი ლავრიკიოსი და უბრწყინვალესი კომიტი ლეონიც გახდნენ ამის თვითმხილველნი. ამიტომ ვამბობთ შემდეგს: არ გავურბივართ ანტიოქიაში ტაძრის კურთხევისას გადმოცემულ სანდო მრწამსს, მოვიხმობთ მას, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჩვენი მამები იმ დროში ძიებისას მის მიმართ მიილტვოდნენ. ვინაიდან გარდასულ ჟამს ბევრი შფოთი მოიტანა „თანაარსმა“ და „მსგავსარსმა“, და ახლაც მოაქვს, მაგრამ ასევე ითქმის ისიც, რომ ზოგიერთების მიერ შემოტანილ იქნა სიახლე, რომ ძე არამსგავსია მამის.

ამიტომ, განვაგდებთ „თანაარსსაც“ და „მსგავსარსსაც“, როგორც წმინდა წერილისთვის უცხოს, ხოლო შევაჩვენებთ „არამსგავსს“, და ყველას, რაოდენიც ასეთი არის, ეკლესიისთვის უცხოდ მივიჩნევთ. უსაფრთხოდ ვაღიარებთ ძის მამასთან მსგავსებას, როგორც ამბობს მოციქული ძის შესახებ: „რომელიც არის უხილავი ღვთის ხატი“ (კოლ. 1, 15).

ვაღიარებთ და გვწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისმპყრობელი, შემოქმედი ცათა და მიწის, ხილულთა და უხილავთა.

გვწამს უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ძე მისი, მისგან შობილი უვნებლად ყოველი საუკუნის უწინარეს, ღმერთი სიტყვა, ღვთისგან მხოლოდშობილი, სინათლე, სიცოცხლე, ჭეშმარიტება, სიბრძნე, რომლის მიერაც შეიქმნა ყოველივე, რაც არის ცაში და მიწაზე, ხილული თუ უხილავი. გვწამს, იგი საუკუნეთა დასასრულს ცოდვათა გასაუქმებლად, ხორცი შეისხა წმინდა ქალწულ მარიამისგან, განკაცდა, ევნო ჩვენი ცოდვების გამო, აღდგა, ამაღლდა ცად მამის მარჯვენით დასაჯდომად და კვლავ მოვალს დიდებით ცოცხალთა და მიცვალებულთა განსასჯელად.

გვწამს ასევე წმინდა სული, რომელიც ჩვენმა უფალმა და მაცხოვარმა ნუგეშისმცემლად სახელდვა, აღუთქვა მისი წასვლის შემდეგ მისი გაგზავნა მოწაფეებთან და წარმოგზავნა კიდეც; რომლის მიერაც განწმენდს ასევე ეკლესიაში მორწმუნეთ და მამის, ძისა და წმინდა სულის სახელით ნათელცემულთ.

ისინი კი, რომლებიც ამ მრწამსის გარდა სხვას ქადაგებენ, კათოლიკე ეკლესიისთვის უცხო არიან“.

ეს არის აკაკის მიერ წაკითხული მისი მრწამსის გადმოცემა. მას ხელი მოაწერეს: თვითონ აკაკიმ და მისმა თანამოაზრეებმა, რომლებიც იმდენი იყვნენ, რამდენიც ზემოთ ვახსენეთ. როდესაც ეს წაიკითხეს, სოფრონიმ პაფლაგონიის პომპეოპოლიდან შემდეგი სიტყვები წამოიძახა: „ყოველდღე თუ განსხვავებული აზრი გადმოიცემა, რომელიც მრწამსის გადმოცემა იქნება,

დაგვტოვებს ჩვენ ჭეშმარიტების ზედმიწევნითობა“. ეს თქვა სოფრონიმ. მე კი ვამბობ, რომ თავიდანვე ასე რომ ეფიქრათ ნიკეის მრწამსის შესახებ მათ უწინარეს და მათ შემდეგ მყოფთ, შეწყვეტილი იქნებოდა ყოველგვარი სადავო ძიება და ეკლესიას არ მოიცავდა უაზრო შფოთი. მაგრამ დაე, ეს განსაჯონ მათ, ვისაც ძალუძს ამის გააზრება. მაშინ კი ამის შესახებ ბევრი რამ უთხრეს ერთმანეთს და მოისმინეს ერთმანეთისგან და დაიშალნენ. მეოთხე დღეს კვლავ შეიკრიბა ყველა ერთ ადგილას და კვლავ წამოიწყეს გამაღიზიანებელი საუბრები. მაშინ აკაკიმ სიტყვასიტყვით ასეთი აზრი გამოთქვა: „თუკი ოდესღაც ნიკეის მრწამსი მის შემდეგ მრავალგზის გადაკეთდა, არაფერი გვიშლის ხელს, ახლაც დავწეროთ სხვა მრწამსი“. ამაზე ელევსიოს კიზიკელმა უპასუხა შემდეგი: „ამჟამად კრება გაიმართა არათუ იმისთვის, რომ ისწავლოს, რაც არ უსწავლია, არც, რათა მრწამსი მიიღოს, რაც არ შეუძენია, არამედ მამათა მრწამსით განსწავლულები მას არც სიცოცხლეში არც სიკვდილის ჟამს არ განვუდგეთ“. ასეთი სიტყვებით გამოეხმაურა ელევსიოსი აკაკის მოსაზრებას და ანტიოქიაში გადმოცემულ მრწამსს მამათა მრწამსი უწოდა. მაგრამ შეიძლებოდა მასაც შეპასუხებოდა ვინმე: „ელევსიოს, როგორ უწოდებ ანტიოქიაში შეკრებილთ მამებს, მათ მამებს კი უარყოფ?“ რამეთუ ნიკეაში შეკრებილებზე, რომლებიც რწმენით დაეთანხმნენ „თანაარსს“, უფრო მეტი სიმტკიცით ითქმება მამები, იმიტომ, რომ ჟამითაც წინ უსწრებდნენ და ანტიოქიაში მყოფნი მათ მიერ იქნენ სამღვდელოდ ხელდასხმული. მაგრამ თუ ანტიოქიაში ჩასულები თავიანთ მამებს განუდგნენ, დაუმალეს თავიანთ თავს, რომ ამის შემდეგ მამისმკვლელობას მიჰყვეს ხელი. როგორ მოხდა, რომ ისინი განუდგნენ მრწამს, როგორც მიუღებელს, ხელდასხმა კი მისაღებად მიიჩნიეს?! მათ თუ არ გააჩნდათ სულიწმინდა, რომელიც ხელდასხმის გზით გადმოდის, არც მათ მიუღიათ მღვდლობა. რადგან როგორ მიიღეს მათგან, რომლებსაც არ გააჩნდათ გასაცემი?

ამით დაუპირისპირდებოდა კაცი ელევსიოსის ნათქვამს. მაგრამ მაშინ კვლავ სხვა საძიებელ საკითხზე გადავიდა. რადგან მას შემდეგ, რაც აკაკის მომხრეებმა წაკითხულ მრწამსში წარმოთქვეს, რომ ძე მამის მსგავსი იყო, ერთმანეთისგან გამოიკითხეს, თუ რის მიხედვით იყო ძე მამის მსგავსი. აკაკის მომხრეებმა თქვეს, რომ ოდენ ნების მიხედვით და არა არსის მიხედვით არის ძე მამის მსგავსი. მაგრამ სხვა დანარჩენებმა თქვეს, რომ არსის მიხედვით. ამ ძიების შესახებ დავაში გაატარეს მთელი დღე და აკაკი განაქიქეს იმით, რაც იყო მის სიტყვებში, რომლებიც წერილობით გადმოცა, რომ ძე მამის მსგავსი იყო ყოველივეს მიხედვით. უთხრეს: „აწ როგორ უარყოფ ძის მამასთან არსის მიხედვით მსგავსებას?“ მან მიუგო: „თავისი თხზულებებით არც თანამედროვე, არც ძველი ვინმე განსჯილა“. როდესაც ბევრი იმსჯელეს ამ საკითხის გარშემო და ვერ შეთანხმდნენ, ლეონი ადგა და დაშალა კრება. ასეთი დასასრული ჰქონდა სელევკიაში გამართულ კრებას. რადგან, როდესაც მეორე დღეს მას სთხოვეს, მან უარი განაცხადა მათთან შეკრებაზე და თქვა: „იმპერატორმა გამომგზავნა ერთსულოვან კრებაზე დასასწრებად, ხოლო ვინაიდან ზოგიერთები გამოეყვნენ, არ ძალმიძს დასწრება; წადით და ეკლესიაში იყბედეთ.“ როდესაც ეს მოხდა, აკაკის მომხრეებმა წარმატებად მიიჩნიეს და მათაც არ ისურვეს შეხვედრაზე დასწრება. მაგრამ სხვა ნაწილის ეპისკოპოსებმა გადაწყვიტეს, შეკრებილიყვნენ ეკლესიაში და მოუხმეს აკაკის მომხრეებს იერუსალიმის ეპისკოპოს კირილეს საქმის განსასჯელად. უნდა ვიცოდეთ, რომ კირილე წინათ უკვე იყო დადანაშაულებული, თუ რის გამო, არ ძალმიძს, ვთქვა. იგი განყენებულ იქნა, რადგან მრავალგზის მოუხმეს სამსჯავროზე, ის კი ორი წელი ზედიზედ გაურბოდა და ბრალდებებს ერიდებოდა. თუმცა, როდესაც განაყენეს, მან მისი განყენების განაჩენის გამომტანთ დაუგზავნა სააპელაციო წერილი, უფრო დიდ სამსჯავროს ითხოვდა, რომლის აპელაციასაც იმპერატორი კონსტანციუსიც დაეთანხმა.

ამრიგად, ასეთი რამ ერთადერთმა და პირველმა კირილემ გააკეთა საეკლესიო კანონის წესის დარღვევით და საჩივრით მიმართა სახელმწიფო სასამართლოს[55]. მაგრამ მაშინ სელევკიაში იგი ესწრებოდა განსჯილი. ამ მიზეზით მოუხმეს ეპისკოპოსებმა აკაკის მომხრეებს, როგორც ცოტა ხნის წინ ვახსენეთ, რათა ბრალდებულთა შესახებ საქმე განეხილათ და ერთობლივი განჩინება გამოეტანათ. რადგან ასევე მოუხმეს ზოგიერთ სხვა ბრალდებულსაც, რომლებიც აკაკის მომხრეებთან აფარებდნენ თავს. მას შემდეგ, რაც მრავალგზის მოუხმეს და არ მივიდნენ, განაყენეს თვითონ აკაკი, გიორგი ალექსანდრიელი, ურანიოს ტვიროსელი, თეოდულე ფრიგიის ხერეტაპიიდან, თეოდოსი ლიბიის ფილადელფიიდან, ევაგრე კუნძულ მიტელენიდან, ლეონტი ლიდიის ტრიპოლიდან და ევდოქსიოსი, რომელიც ადრე იყო გერმანიკიელი, შემდეგ კი სირიის ანტიოქიის ეპისკოპოსობა მიითვისა. ასევე განაყენეს პატროფილე, რადგან იგი ხუცეს დოროთეს მიერ ბრალდებული არ დაემორჩილა მოწოდებას. ასე რომ, განაყენეს ესენი. მათ ასევე განკვეთეს ზიარებიდან: ასტერიოსი, ევსები, აბგარი, ბასილიკე, ფოებოსი, ფიდელიონი, ევტიქი, მაგნუსი და ევსტათი, – განაჩინეს ასე დაეტოვებინათ ისინი, ვიდრე არ გაიმართლებდნენ თავს და ჩამოიშორებდნენ ბრალდებას. როდესაც ეს მოიმოქმედეს, წერილების მეშვეობით აცნობეს განყენებულთა შესახებ მათ სამრევლოებს, ევდოქსიოსის ადგილას ანტიოქიის ეპისკოპოსად დაადგინეს ვინმე სახელად ანიანოსი. იგი შეიპყრეს აკაკის მომხრეებმა და გადაცეს ლეონს და ლავრიკიოსს, მათ კი იგი გადასახლებაში გაგზავნეს. როდესაც ეს მოხდა, ანიანოსის ხელდამსხმელმა ეპისკოპოსებმა სამხილებით აკაკის მომხრეების წინააღმდეგ მიმართეს ლეონს და ლავრიკიოსს, რომლებშიც ისინი იუწყებოდნენ კრების განჩინების დარღვევის შესახებ. მაგრამ, როდესაც ვერაფერს გახდნენ, გაემგზავრნენ კონსტანტინოპოლში, რათა იმპერატორისთვის ეუწყებინათ მათ მიერ მიღებული განჩინებები.

XLI თავი
თუ როგორ შეიკრიბნენ აკაკის მომხრეები კონსტანტინოპოლში იმპერატორის დასავლეთიდან დაბრუნებისას და დაამტკიცეს არიმინში მიღებული მრწამსი და დაამატეს რაღაც ნაწილი

და მაშინ ჩამოვიდა დასავლეთი ნაწილიდან წამოსული იმპერატორი და კონსტანტინოპოლის პრეფექტად დანიშნა კაცი, სახელად ონორატოსი, რომელიც გათავისუფლებულ იქნა პროკონსულის თანამდებობიდან. აკაკის მომხრეებმა დაასწრეს [კრების მონაწილე ეპისკოპოსებს] და ცილი დასწამეს მათ, აუწყეს, რომ მათ არ მიიღეს მათ მიერ გადმოცემული მრწამსი. ამის გამო აღშფოთდა იმპერატორი, განიზრახა მათი გაბნევა, ბრძანა დეკრეტით, რომ მათგან ისინი, რომლებიც სახელმწიფო მოვალეობებს იყვნენ დაქვემდებარებული და გათავისუფლდნენ, დაბრუნებოდათ მათ წინანდელი მდგომარეობა. მათგან სახელმწიფო მოვალეობას ექვემდებარებოდა, ზოგი – ქალაქის მაგისტრატისას, ზოგი კი – პროვინციის მმართველისას[56]. როდესაც ასეთ შფოთში ჩაყარეს ისინი, აკაკის მომხრეები დარჩნენ კონსტანტინოპოლში და სხვა კრება გამართეს, ბითვინიიდან მოიყვანეს ეპისკოპოსები. ყველანი შეადგენდნენ ორმოცდაათ ეპისკოპოსს[57], რომელთა შორის აღირიცხებოდა მარის ქალკედონელიც. მათ დაამტკიცეს არიმინში კონსულების თანდასწრებით წაკითხული მრწამსი. ზედმეტი იქნებოდა მისი აქ გადმოცემა, არაფერი რომ დაემატებინათ მისთვის. მაგრამ ვინაიდან რამდენიმე სიტყვა დაუმატეს მას, აუცილებელია მისი კვლავ აქ გადმოწერა. იგი შედგება შემდეგი სიტყვებისგან:

„გვწამს ერთი მხოლო ღმერთი, მამა ყოვლისმპყრობელი, რომლისგანაც არის ყოველივე;

და ღვთის ერთი მხოლოდშობილი ძე, ყოველი საუკუნის და ყოველი დასაბამის უწინარეს შობილი, რომლის მიერ შეიქმნა ყოველივე, ხილულიც და უხილავიც, შობილი მხოლოდშობილი, მხოლო მხოლო მამისგან, ღმერთი ღვთისგან, მისი მშობელი მამის მსგავსი [წმინდა] წერილის მიხედვით, რომლის შობა არავინ უწყის, გარდა მისი მშობელი მამის. იგი ვიცით ღვთის მხოლოდშობილ ძედ, მამისგან წარგზავნილი ცათაგან ჩამოსასვლელად, როგორც წერია, ცოდვისა და სიკვდილისაგან გამოსახსნელად; შობილი სულიწმინდისგან და ქალწულ მარიამისგან ხორცის მიხედვით, როგორც დაწერილია და მოარული მოწაფეებთან ერთად; აღასრულა რა მთელი განგებულება მამისეული ნების მიხედვით, – ჯვარცმული და მოკლული, დაფლული და მიწისქვეშეთში ჩასული, ვის გამოც თვით ჯოჯოხეთიც შეძრწუნდა; რომელიც აღდგა მკვდრეთით მესამე დღეს, იმყოფებოდა მოწაფეებთან ერთად ორმოცი დღის განმავლობაში, ავიდა ზეცად, დაჯდა მამის მარჯვენით და მომავალ არს აღდგომის უკანასკნელ დღეს მამის დიდებით, რათა თითოეულს მიაგოს მისი საქმისაებრ.

და წმინდა სული, რომელიც თვით ღვთის მხოლოდშობილმა ქრისტემ, უფალმა და ჩვენმა ღმერთმა აღუთქვა, რომ წარუგზავნიდა ნუგეშინისმცემელს კაცთა მოდგმას, როგორც დაწერილია, – ჭეშმარიტების სულს, რომელიც წარუგზავნა მათ, როდესაც აღხდა ზეცად.

სიტყვა არსი კი მარტივად იქნა ჩართული მამების მიერ, რომლის უმეცარი იყო ხალხი და ცთუნება მოიტანა, ვინაიდან არც წმინდა წერილი შეიცავს ამას, ამიტომ ვირჩიეთ მისი ამოღება და მეტად საერთოდ აღარ ვახსენოთ, რადგანაც წმინდა წერილიც არსად ახსენებს მამის და ძის არსის შესახებ. და რადგან საჭირო არ არის მამის, ძისა და წმინდა სულის შესახებ სიტყვა ჰიპოსტასის გამოყენება. ვამბობთ, რომ ძე მამის მსგავსი არის, როგორც ამბობს და ასწავლის წმინდა წერილი.

ყველა მწვალებლობას, რომლებიც უკვე წინათ იქნა განსჯილი, და რომლებიც უფრო მოგვიანებით წარმოიშვა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამ გადმოცემულ ჩანაწერს, შევაჩვენებთ.“

ეს წაიკითხეს მაშინ კონსტანტინოპოლში. ჩვენ კი განვვლეთ რა ოდესღაც გადმოცემული მრწამსების ლაბირინთი, მათ აღრიცხვას შევუდგებით. ნიკეის მრწამსის შემდეგ, მოგვიანებით ანტიოქიაში ტაძრის კურთხევისას მრწამსის ორი გადმოცემა დაიწერა. მესამე არის ნარკისოსის მომხრეების მიერ გალიაში იმპერატორ კონსტანტის წინაშე გადმოცემული; მეოთხე კი – ევდოქსიოსის მიერ იტალიაში გაგზავნილი; სირმიაში სამი მრწამსი დაიწერა, რომელთაგან ერთი კონსულების წინაშე იქნა წაკითხული. მერვე არის, რომელიც სელევკიაში აკაკის მომხრეებმა წაიკითხეს. უკანასკნელი კი – კონსტანტინოპოლში ჩამატებით გადმოიცა. მას დაერთო, რომ ღვთის არც არსი, არც ჰიპოსტასი არ უნდა თქმულიყო. ამ გადმოცემას მაშინ პირველად დაეთანხმა გუთების ეპისკოპოსი ულფილა. რადგან იგი მანამდე ნიკეის მრწამსს იზიარებდა, მისდევდა რა თეოფილეს, რომელიც იყო გუთების ეპისკოპოსი და ნიკეის კრებაზე დამსწრემ მასზე ხელი მოაწერა. ეს ითქვა მათ შესახებ.

XLII თავი
თუ როგორ იპყრო ხელთ ევდოქსიოსმა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსობა მას შემდეგ, რაც განყენებულ იქნა მაკედონიოსი

აკაკის და ევდოქსიოსის მომხრეებმა კონსტანტინოპოლში ბრძოლა გამართეს, მათაც რომ თავის მხრივ განეყენებინათ ზოგიერთები მოწინააღმდეგე მხრიდან. უნდა ვიცოდეთ, რომ არავინ განაყენებდა სარწმუნოების გამო, არამედ სხვა საბაბით.

რადგან ისინი გაიყვნენ რწმენის გამო, ერთმანეთის განყენებისას ერთმანეთის რწმენას არ კიცხავდნენ. აკაკის მომხრეები ასევე იყენებდნენ იმპერატორის რისხვასაც, რომელიც სხვების წინააღმდეგ და განსაკუთრებით ესწრაფოდნენ მაკედონიოსის წინააღმდეგ მის გამოვლინებას. მათ განაყენეს მაკედონიოსი, როგორც მრავალი მკვლელობის მიზეზი და რომ სიძვაში მხილებული დიაკონი მიიღო ზიარებაში[58]; ასევე ელევსიოს კიზიკელი, რადგან ვინმე ჰერაკლიონი, ტვიროსში ჰერაკლეს ქურუმი, მჩხიაობაში მხილებული მონათლა და დიაკვნად დააყენა; ბასილეონი, იგივე ბასილა (რადგან ასეც ეწოდებოდა), ანკვირაში მარკელოსის ადგილას დაყენებული, რადგან ერთი კაცი უსამართლოდ ტანჯა და საპყრობილეში ჩაამწყვდია, ვიღაცეებზე ცილისწამება შეთხზა და გარდა ამისა ეპისტოლეებით აფრიკის ეკლესიები აღაშფოთა; დრაკონტიოსიც, – რადგან გალატიიდან გადავიდა პერგამოსში. მათ განაყენეს ნეონა სელევკიელი, სადაც გაიმართა კრება, აგრეთვე სოფრონი, პაფლაგონიის პომპეოპოლიდან, ელპიდიოსი, მაკედონიის სატალონიდან და იერუსალიმელი კირილე და სხვებიც განდევნეს სხვადასხვა მიზეზებით.

XLIII თავი
სებასტიის ეპისკოპოს ევსტათის შესახებ

ევსტათი სომხეთის სებასტიიდან არ მიიღეს თავის მართლებისთვის, არამედ იმიტომ, რომ მისი მამის და კაბადოკიის კესარიის ეპისკოპოს ევლალიოსის მიერ უკვე განყენებული იყო, რადგან მღვდლობისთვის შეუფერებელ სამოსს ატარებდა. უნდა ვიცოდეთ, რომ ევსტათის ადგილას ეპისკოპოსად დადგა მელეტი, რომლის შესახებაც ცოტა მოგვიანებით ვიტყვით. ევსტათი ამის შემდეგაც განისაჯა მის გამო პაფლაგონიის გან-

გრაში გამართულ კრებაზე, რადგან კესარიის კრებაზე მისი განყენების შემდეგ მრავალი რამ მოიმოქმედა საეკლესიო წესების[59] დარღვევით. რადგან იგი კრძალავდა ქორწინებას, განაჩინებდა ხორცისგან თავის შეკავებას. ამიტომ, მრავალი დაქორწინებული განაშორა თანამეცხედრისგან და ეკლესიიდან უკუქცეულთ შინ ზიარების ნებას რთავდა. მონებს ღვთისმოსავობის საბაბით განაშორებდა ბატონებისგან. თავად იგი ფილოსოფოსის სამოსელს ატარებდა და მის მიმდევრებს უცხო რამ სამოსს ატარებინებდა. ქალებს თმის შესაკვეცად ამზადებდა. განჩინებულ მარხვებისთვის უარყოფას და კვირა დღისით მარხვის დაცვას ასწავლიდა. დაქორწინებულთა სახლებში ლოცვას კრძალავდა. მცნებად უდებდა, განრიდებოდნენ ერისკაცობისას კანონიერად დაქორწინებული ხუცესის კურთხევასა და ზიარებას, როგორც რამ სისაძაგლეს. და სხვა მრავალ მსგავსს სჩადიოდა და ასწავლიდა. ამიტომ, პაფლაგონიის განგრაში გამართულმა კრებამ, როგორც ითქვა, განაყენა იგი და მისი მოძღვრებები ანათემაზე გადასცა[60]. ეს მოხდა მოგვიანებით. მაშინ კი გააძევეს მაკედონიოსი და კონსტანტინოპოლის საყდარზე დაადგინეს ევდოქსიოსი, რომელიც ანტიოქიის საყდარს ნაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნევდა. იგი აკაკის მომხრეთა მიერ იქნა აღსაყდრებული, რომლებმაც საკუთარ თავს დაუმალეს, რომ მათ მიერ განჩინებულის საწინააღმდეგო კანონი გამოსცეს. რადგან დრაკონტიონი განაყენეს, გალატიიდან პერგამოსში რომ გადავიდა და არ ისაზრეს, რომ მეორედ ეს გადასვლა ევდოქსიოსმა გააკეთა და ის აღასაყდრეს, ისე რომ საკუთარი მოძღვრების საპირისპირო რამ გააკეთეს. როდესაც ეს გააკეთეს, წაკითხული მრწამსი არიმინში არსებული ჩამატებითურთ, როგორც გასწორებული, გაგზავნეს. დაბარეს, რომ იმპერატორის ბრძანების თანახმად განეკვეთათ, ვინც არ მოაწერდა ხელს. მათ საქმეები ცნობილი გახადეს აღმოსავლეთში მყოფი მათი სხვა თანამოაზრეებისთვისაც, ასევე პატროფილე სკვითოპოლელისთვის. რადგან

იგი სელევკიიდან თავის ქალაქში გაემგზავრა. როდესაც ევ-
დოქსიოსმა ჩაიბარა დიდი ქალაქი, სოფიად წოდებული დიდი
ეკლესია იკურთხა, კონსტანციუსის მეათე კონსულობისას, ხოლო
კეისარ იულიანეს მესამე კონსულობისას, თებერვლის თვის
თხუთმეტში[61]. ევდოქსიოსი, როგორც კი დაჯდა საყდარზე, პირვე-
ლად ეს სახელგანთქმული სიტყვა წარმოთქვა: „მამა უღმერთოა,
ძე ღვთისმოსავი.“ როდესაც ამაზე ხმაური და ამბოხი ატყდა,
თქვა: „ნუ აღშფოთდებით ჩემ მიერ ნათქვამის გამო: მამა უღ-
მერთოა, რადგან არავის სცემს თაყვანს, ძე კი ღვთისმოსავი არის,
რადგან მამას სცემს თაყვანს.“ ეს რომ თქვა ევდოქსიოსმა, ხმაუ-
რი დაცხრა და შფოთის ნაცვლად სიცილმა მოიცვა მთელი
ეკლესია. ეს სიტყვა დღემდე სასაცილოა. ასე ბრძნობდა მწვალებ-
ლობის მოთავე და ასეთი გამონათქვამების შექმნით გახლიჩა
ეკლესია. ასეთი დასასრული ჰქონდა კონსტანტინოპოლში გა-
მართულ კრებას.

XLIV თავი
ანტიოქიის ეპისკოპოს მელეტის შესახებ

უკვე დროა მელეტის შესახებაც ითქვას. იგი, როგორც ზემოთ
ითქვა, სომხეთის სებასტიის ეპისკოპოსად იყო წამოყენებული,
როდესაც ევსტათი განაყენეს. მაგრამ სებასტიიდან ბეროაში იქნა
გადაყვანილი. როდესაც იგი ჩავიდა სელევკიის კრებაზე და ხელი
მოაწერა აკაკის მომხრეების მრწამსს, უკან ბეროაში დაბრუნდა.
როდესაც კონსტანტინოპოლში გაიმართა კრება, ანტიოქიელებმა
შეიტყვეს, რომ ევსოქსიოსმა უგულებელყო მათი ეკლესია და
კონსტანტინოპოლის სიმდიდრისკენ იბრუნა პირი, მელეტი გად-
მოიყვანეს ბეროადან და ანტიოქიის ეკლესიაში აიყვანეს ეპისკო-
პოსის საყდარზე. მან პირველად გადადო დოგმატებზე მსჯელო-
ბა და მხოლოდ ზნეობრივი მოძღვრება მიიტანა მსმენელებამდე.

მაგრამ დროთა განმავლობაში გადმოსცა ნიკეის მრწამსი და ასწავლიდა „თანაარსს“. როდესაც ეს შეიტყო იმპერატორმა, ბრძანა მისი გადასახლებაში გაგზავნა. ანტიოქიის ეპისკოპოსად კი წინათ არიოზთან ერთად განყენებული ევძოიოსი დაადგინა. ვისაც შერჩა მელეტის მიმართ კეთილგანწყობა, დატოვეს არიანული კრებული და ცალკე თავისთვის იკრიბებოდნენ. მათ, ვინც თავიდანვე „თანაარსს“ აღიარებდა, არ სურდათ მათთან ზიარება, რადგან მელეტს ხელდასხმა არიანული განაჩენით ჰქონდა მიღებული, და მის მიმდევრებს მისგან ჰქონდა ნათელი ცემული. ამგვარად გაიყო ანტიოქიის ეკლესია თანამოაზრეთა სხვა ნაწილად. იმპერატორმა შეიტყო, რომ სპარსელთა ერი კვლავ აღიძრა რომაელთა წინააღმდეგ და სასწრაფოდ გაემართა ანტიოქიისკენ.

XLV თავი
მაკედონიოსის მწვალებლობის შესახებ

კონსტანტინოპოლიდან გაძევებულმა მაკედონიოსმა ვერ აიტანა სასჯელი და ვერ შეძლო დადუმება, არამედ სხვა ნაწილისკენ მიიქცა, რომლებმაც სელევკიაში განაყენეს აკაკის მომხრეები. მან შუამავლები გაგზავნა სოფრონისთან და ელევსიოსთან, რათა ეპყრათ პირველად ანტიოქიაში გადმოცემული მრწამსი და ამის შემდეგ სელევკიაში დამტკიცებული, და შეაგონებდა „მსგავსარსის“ ყალბი სახელით გამოეცხადებინათ ეს მრწამსი[62]. ამრიგად, მასთან თავი მოიყარა ბევრმა მისმა მეგობარმა, რომლებიც ამჟამად მაკედონიელებად იწოდებიან მის გამო, რომლებიც სელევკიის კრებაზე გამოეყვნენ აკაკის მომხრეებს. ისინი უკვე ღიად განაჩინებდნენ მას, წინათ კი არ აცხადებდნენ. ბევრგან ხმა გავრცელდა, რომ ეს არ იქნებოდა მაკედონიოსის აღმოჩენა, არამედ უფრო მარათონიოსის, რომელიც ცოტა ხნის წინ ნიკომიდიის ეპისკოპოსი გახდა. ამიტომ, მარათონიანელებსაც

უწოდებენ მათ. მათთან მივიდა ევსტათი, მას შემდეგ, რაც სებასტიიდან განდევნეს იგი იმ საბაბით, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. როდესაც მაკედონიოსმა უარი განაცხადა სულიწმინდის სამების ღვთისმეტყველებაში შეტანაზე, მაშინ ევსტათიმ თქვა: „მე სულიწმინდის არც ღმერთად სახელდებას ვირჩევ და არც ქმნილების წოდებას გავბედავ.“ ამ მიზეზით „სულთანმბრძოლებსაც“ უწოდებენ მათ „თანაარსის“ აღმსარებლები. თუ როგორ გამრავლდნენ მაკედონიანელები ჰელესპონტში, თავის დროზე ვიტყვი. აკაკის მომხრეები კვლავ საჩქაროდ შეიკრიბნენ ანტიოქიაში, შეინანეს, რომ ძე მამის სრულად მსგავსად აღიარეს. ასე რომ, მომდევნო კონსულობის დროს, რომელიც იყო ტავრუსის და ფლორენტიუსის, ჩავიდნენ ანტიოქიაში. ევძოიოსს ეპყრა ადგილობრივი ეკლესია, იმპერატორიც ასევე იქ იმყოფებოდა. ამ დროს რამოდენიმე პირმა კვლავ წამოჭრა მათ მიერ განჩინებული საკითხები, განაცხადეს, რომ საჭირო იყო ამოეღოთ სიტყვა „მსგავსი“ არიმინში და ასევე კონსტანტინოპოლში გადმოცემული მრწამსიდან. მათ არ დამალეს, არამედ ღიად თქვეს, რომ ძე ყველანაირად არამსგავსი იყო მამის, არა მხოლოდ არსის, არამედ ნების მიხედვითაც; ისინიც არიოზის მსგავსად აცხადებდნენ, რომ ძე არარსიდან წარმოიშვა. ამ შეხედულებას დაეთანხმნენ მაშინ ანტიოქიაში მყოფი აეციოსის თანამოაზრენი. ამიტომ, მათ არიანელთა სახელის გარდა ასევე „ანომიანელები[63]“ და „ექსუკონტიელები“[64] უწოდეს ანტიოქიაში „თანაარსის“ აღმსარებლებმა, რომლებიც მაშინ გამოეყვნენ მელეტის გამო. როდესაც მათ ჰკითხეს, მიუხედავად იმისა, რომ მათი მრწამსის გადმოცემაში ამბობდნენ, ძე იყო ღმერთი ღვთისგან, მაინც ბედავდნენ მის სახელდებას არამსგავსად და არარსიდან წარმოშობილად; მათ ასეთი სოფიზმით სცადეს წინააღმდეგობის მოხსნა. თქვეს: „ისე ითქმება ღვთისგან, როგორც არის ნათქვამი მოციქულთან, „ყოველივე არის ღვთისგან“ (1 კორ. VIII, 6). ასე რომ, ერთი ამ ყოველთაგანი ძეც ღვთისგან არის და ამიტომ არის დართული გადმოცემაში „წერილის

თანახმად“. ამ სოფიზმის მოთავე იყო ლაოდიკიის ეპისკოპოსი გიორგი. იგი არ იყო განსწავლული ასეთ მოძღვრებებში, არ უწყოდა, რომ მოციქულის ეს თავისებური გამონათქვამი ძველ დროში ორიგენემ უფრო ფართოდ გამოიკვლია და განმარტა. თუმცა სცადეს ასეთი სოფიზმის გამოყენება, მაგრამ ვერ აიტანეს გაკიცხვა და ყვედრება და უკან წაიღეს ეს მრწამსი, რომელიც კონსტანტინოპოლშიც წაიკითხეს. და ასე დაბრუნდნენ თავიანთ ქალაქებში. გიორგი ალექსანდრიაში გაემართა, ეკლესიები ხელში ჩაიგდო, როდესაც ათანასე ჯერ ისევ გაუჩინარებული იყო. იგი დევნიდა ალექსანდრიაში მათ, ვინც მას არ ეთანხმებოდა. სასტიკად ექცეოდა ქალაქის მოსახლეობასაც, რადგან ბევრისთვის საძულველი იყო. იერუსალიმში კირილეს ნაცვლად დაადგინეს არენიოსი. უნდა ვიცოდეთ, რომ მის შემდეგ ჰერაკლე დაადგინეს, შემდეგ – ილარიონი. მაგრამ მოგვიანებით კირილე ჩავიდა იერუსალიმში და იქაური ეკლესია დაიბრუნა. მაშინ აღმოცენდა ახალი მწვალებლობა შემდეგი მიზეზით.

XLVI თავი
აპოლინარელებისა და მათი მწვალებლობის შესახებ

სირიის ლაოდიკიაში ორი ერთმანეთის თანამოსახელე კაცი ცხოვრობდა, მამა და შვილი. ორივეს ერქვა აპოლინარი. მამა ეკლესიაში ატარებდა ხუცესის ღირსებას, შვილი კი წიგნისმკითხველის ხარისხში იმყოფებოდა. ორივე იყვნენ ელინური სწავლებების მოძღვრები: მამა – გრამატიკის, ძე – რიტორიკის. მამა წარმომავლობით ალექსანდრიელი იყო, პირველად ბერიტაში ასწავლიდა, შემდეგ გადავიდა ლაოდიკიაში, იქ დაქორწინდა და [მისგან] შეეძინა ვაჟიშვილი, აპოლინარი. ორივე მათგანი იყო ეპიფანე სოფისტის თანამედროვე, მისი ნამდვილი

მეგობრები და მასთან მეტად დაახლოებული იყვნენ. ლაოდიკიის ეპისკოპოსს თეოდოტეს შეეშინდა, ამ კაცთან მუდმივი ურთიერთობით ისინი წარმართობისკენ არ გადახრილიყვნენ, და აუკრძალა მასთან სიარული. მაგრამ ისინი ნაკლებად ზრუნავდნენ ეპისკოპოსზე და ეპიფანესთან მეგობრობას აგრძელებდნენ. ამის შემდეგ თეოდოტეს მონაცვლე გიორგი ცდილობდა მათ განშორებას, მაგრამ, როდესაც ვერანაირი გზით ვერ შეძლო მათი დარწმუნება, ორივე ზიარებისგან განაყენა. შვილმა აპოლინარიმ ეს შეურაცხყოფად მიიჩნია და სოფისტური სწავლებების მჭევრმეტყველებით გაკადნიერებულმა თვითონაც ახალი მწვალებლობა გამოიგონა, რომელიც ახლაც ვრცელდება და მისი გამომგონებლის სახელს ატარებს. მაგრამ ზოგიერთები ამბობენ, რომ ისინი გიორგის გამოეყვნენ არა იმდენად ზემოხსენებული მიზეზით, არამედ დაინახეს, რომ იგი სხვა დოგმატებს გადმოცემდა (ასწავლიდა) და ახლაც აღიარებს ძეს მამის მსგავსად, როგორც დაეთანხმა სელევკიაში; ახლა კი არიანული შეხედულებისკენ გადაიხარა. ამიტომ, კეთილშობილური მიზეზი აიღეს და განშორდნენ მას. მაგრამ როდესაც არავინ გაჰყვა მათ, ფარულად შეცვალეს სარწმუნოების სახე. პირველად ამბობდნენ, რომ ღვთის სიტყვამ მიიღო ადამიანი განკაცების განგებულებაში სულის გარეშე. შემდეგ შეინანეს და გამოასწორეს, დაუმატეს, რომ სული მიიღო, მაგრამ გონება არ ჰქონია მას, არამედ ღვთის სიტყვა იყო გონების ნაცვლად მიღებულ ადამიანში[65]. ამბობენ, რომ მხოლოდ ამით განსხვავდებიან ისინი, რომლებიც ახლა ატარებენ მის სახელს, რადგან სამებას „თანაარსად“ აღიარებენ. აპოლინარის შესახებ თავის ადგილას კიდევ ვახსენებთ.

XLVII თავი
იმპერატორ კონსტანციუსის აღსასრულის შესახებ

როდესაც იმპერატორი კონსტანციუსი ანტიოქიაში იმყოფებოდა, კეისარი იულიანე გალიაში მრავალ ბარბაროსს ერკინებოდა. მან გაიმარჯვა, ამიტომ ყველა ჯარისკაცისთვის აღფრთოვანების საგანი გახდა და მათ ის იმპერატორად გამოაცხადეს. ეს შეიტყო იმპერატორმა კონსტანციუსმა და საგონებელში ჩავარდა. იგი მოინათლა ევძოიოსის ხელით და მასთან საომრად გაემართა. როდესაც იგი იმყოფებოდა კაბადოკიასა და კილიკიას შორის, დარდისაგან აპოპლექსია დაემართა და მოფსუკრენაში დაასრულა ცხოვრება, ტავრუსის და ფლორენტიუსის კონსულობისას, ნოემბრის თვის სამში. ეს იყო ორას ოთხმოცდამეხუთე ოლიმპიადის პირველი წელი. კონსტანციუსმა იცოცხლა ორმოცდახუთი წელი, იმეფა ოცდათვრამეტი წელი. იგი მამასთან ერთად მეფობდა ცამეტი წელი, ხოლო მისი აღსასრულის შემდეგ – ოცდაექვსი წელი. ამდენივე წლის პერიოდს მოიცავს ეს წიგნი.

მ ე ო რ ე წ ი გ ნ ი ს

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

მ ე ს ა მ ე წ ი გ ნ ი

I თავი
იულიანეს შესახებ – მისი წარმომავლობის, აღზრდისა და იმის შესახებ, თუ როგორ გახდა იმპერატორი და გადაიხარა წარმართობისკენ

იმპერატორმა კონსტანციუსმა კილიკიის საზღვართან დაასრულა ცხოვრება ნოემბრის თვის სამში, ტავრუსის და ფლორენტიუსის კონსულობისას. იულიანე ამავე კონსულების დროს, დაახლოებით დეკემბრის თვის თერთმეტში, გამოემართა დასავლეთი ნაწილიდან და შევიდა კონსტანტინოპოლში, და იქ თვითმპყრობელად გამოცხადდა. მცირედი უნდა მოგითხროთ ამ სახელგანთქმული კაცის, იმპერატორ იულიანეს შესახებ. მისი მეგობრები ნუ იძიებენ ფუჭ სიტყვებს, თითქოს საჭირო იყოს, გვერდი არ ავუარო ისეთი კაცის შესახებ სიტყვას, ვის შესახებაც არის სიტყვა. მაგრამ ეს ისტორია არის ქრისტიანული, სიცხადის გამო თავმდაბლური და მოკრძალებული სიტყვა შეფერის. ამას თავიდანვე გპირდებით. თუმცა, უნდა ითქვას მის შესახებ, მისი გვარტომობის, აღზრდის და იმის შესახებ, თუ როგორ გამეფდა. ეს უნდა გავაკეთოთ ცოტათი წინმსწრები მოვლენების შესახებ. კონსტანტინეს, რომელმაც ბიზანტიონს საკუთარი სახელი უწოდა, ორი ძმა ჰყავდა ერთი მამისგან, არა ერთი და იმავე დედისგან. ერთის სახელი იყო დალმაციუსი, მეორის – კონსტანციუსი. დალმაციუსს ჰყავდა მისი თანამოსახელე ძე. კონსტანციუსს კი ორი ძე ეყოლა, გალუსი და იულიანე[66]. კონსტანტინოპოლის დამაარსებლის აღსრულების შემდეგ ჯარისკაცებმა მოკლეს დალმაციუსი. მაშინ ისინიც დაობლდნენ თავიანთი მამით და ცოტა აკლდა, რომ დალმაციუსთან ერთად გაიზიარებდნენ საფრთხეს, სენს რომ არ მოეცვა გალუსი და სიკვდილის მოლო-

დინში რომ არ ყოფილიყო, იულიანე კი რვა წლის იყო და გადარჩა. მას შემდეგ, რაც იმპერატორის რისხვა დაცხრა მათ წინააღმდეგ, გალუსი იონიაში ეფესოში დადიოდა სწავლულებთან, სადაც მათ წინაპართაგან დიდი ქონება დარჩათ. როდესაც გაიზარდა იულიანე, კონსტანტინოპოლში სასწავლებელში ისმენდა, დადიოდა სასახლეში, სადაც მაშინ იყო სასწავლებელი. იგი ატარებდა უბრალო სამოსს და საჭურისი მარდონიოსი ზედამხედველობდა მას. გრამატიკის საგნებს სწავლობდა ნიკოკლე ლაკონიელისგან; რიტორიკას – სოფისტ ეკებოლიოსისგან, რომელიც მაშინ ქრისტიანი იყო. მასზე ზრუნავდა იმპერატორი კონსტანციუსი, რომ არ მოესმინა წარმართი მოძღვრისთვის და ცრურწმენაში არ ჩავარდნილიყო. თავიდან იულიანე ქრისტიანი იყო. მწერლობაში მისი განსწავლულობა როდესაც წარემატა, ხალხში სახელი გაუვარდა, რომ ძალუძდა რომაელთა რესპუბლიკის მართვა. მოგვიანებით ეს ხმა ღიად გავრცელდა და იმპერატორი შეშფოთდა. ამიტომ, მან ის გადაიყვანა დიდი ქალაქიდან ნიკომიდიაში და უბრძანა,არ ევლო სირიელ სოფისტ ლიბანიოსთან. რადგან იმხანად ლიბანიოსი გაძევებული იყო კონსტანტინოპოლის მასწავლებლების მიერ და ნიკომიდიაში ცხოვრობდა. მან თავისი რისხვა მასწავლებლების წინააღმდეგ დაცალა მათ მიმართ დაწერილ მის თხზულებაში. იულიანეს აეკრძალა მასთან სიარული,რადგან ლიბანიოსი წარმართულ სარწმუნოებას მისდევდა. მიუხედავად ამისა, იგი მისი თხზულებების მხურვალე თაყვანისმცემელი იყო და ფარულად სწავლობდა მათ. როდესაც იგი წარემატა რიტორიკაში, ნიკომიდიაში ჩამოვიდა მაქსიმე ფილოსოფოსი, არათუ ბიზანტიელი, ევკლიდეს მამა, არამედ ეფესელი, რომლის, როგორც მჩხიბავის, მოკვლაც მოგვიანებით ბრძანა იმპერატორმა ვალენტინიანემ. ეს მოხდა მოგვიანებით. მაგრამ მაშინ იგი არათუ სხვა რამის გამო ჩავიდა ნიკომიდიაში, არამედ იულიანეს სახელმა მიიყვანა იგი. მასთან იგემა მან ფილოსოფოსთა სწავლებები, მყისვე მიბაძა მისი მასწავლებლის

სარწმუნოებას, და მან ჩაუნერგა მას ძალაუფლების წადილი. როდესაც ეს არ დაემალა იმპერატორის ყურს, იგი იმედსა და შიშს შორის მერყეობდა, სურდა თავიდან აერიდებინა ეჭვი და ოდესღაც ნამდვილი ქრისტიანი ახლა ამას ამოფარებული იყო; კანამდე გაიპარსა და მონაზვნურ ცხოვრებას იგონებდა. ფარულად ფილოსოფიაში იწვრთნებოდა, ღიად კი ქრისტიანთა წმინდა წერილს კითხულობდა. ნიკომიდიაში ეკლესიის წიგნისმკითხველად იყო დადგინებული. ასეთი გარეგნული საფარველის გამო მან თავი დააღწია იმპერატორის რისხვას. ეს მან გააკეთა შიშის გამო. მაგრამ იმედზეც არ უთქვამს უარი, მრავალ მის მეგობარს ეუბნებოდა, რომ მალე დადგებოდა ბედნიერი დროება, როდესაც იგი ხელში ჩაიგდებდა ყოველივეს. როდესაც ასეთი იყო საქმის ვითარება მასთან დაკავშირებით, მისი ძმა, კეისრად დადგინებული გალუსი წავიდა მის სანახავად ნიკომიდიაში, რადგან აღმოსავლეთში მოგზაურობდა. ცოტა ხნის შემდეგ გალუსი მოკლულ იქნა და მაშინათვე იმპერატორის ეჭვის ქვეშ აღმოჩნდა იულიუსი. ამიტომაც ბრძანა მისი დაცვის ქვეშ ყოლა. მაგრამ მან შეძლო გაქცეოდა დაცვას და ადგილიდან ადგილზე გადასვლით გადარჩა. მოგვიანებით იმპერატორის მეუღლემ, ევსებიამ იპოვა დამალული და დაარწმუნა იმპერატორი, არაფერი ევნო მისთვის, არამედ ნება დაერთო ათენში წასულიყო ფილოსოფიის სასწავლებლად. მოკლედ, იქიდან იმპერატორმა ის გადაიყვანა და კეისრად დაადგინა, ცოლად შერთო თავისი და ელენე და გალიაში გაგზავნა ბარბაროსებთან საომრად, რადგან ბარბაროსებმა, ცოტა ხნის წინ იმპერატორ კონსტანციუსის მიერ მაგნენციუსის წინააღმდეგ მოკავშირეობით პატივდებულებმა, ტირანის წინააღმდეგ ვერაფერში ივარგეს და რომაელთა ქალაქები დაარბიეს. იულიანე ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო, ამიტომ [კონსტანციუსმა] უბრძანა არაფერი მოემოქმედებინა არმიის სარდლის ნების გარეშე. მაგრამ, როდესაც სარდლებმა ასეთი ძალაუფლება მიიღეს, გულგრილად ეპყ-

რობოდნენ საქმეს და ამიტომ ბარბაროსები უფრო გაძლიერდ-ნენ. იულიანე სარდლებს ნუგბარი საკვებით და სასმელით ანებივრებდა, ჯარისკაცები უფრო გულმოდგინენი გახადა, როცა დაპირდა, რომ დააჯილდოვებდა ბარბაროსის მკვლელს. ასე დაიწყო ბარბაროსების დასუსტება და იგი ჯარისკაცებისთვის საწადელი გახდა. გადმოცემით, როდესაც იგი შევიდა ერთ-ერთ დაბაში, გვირგვინი, რითაც ქალაქები [იმპერატორებს] ამკობდნენ, სვეტებს შორის თოკებზე დაკიდებული ჩამოვარდა და მას თავზე დაერქვა. ამის ხილვისას ყველამ შეჰღაღადა და ცხადი გახდა მისთვის ძალაუფლება ამ მინიშნების მეშვეობით. ზოგიერთები ამბობენ, რომ კონსტანციუსმა იგი იმისთვის გაგზავნა ბარბაროსე-ბზე სალაშქროდ, რომ იქ დაღუპულიყო მათთან შეტაკებაში. მაგრამ არ ვიცი, ეს სიმართლე თუ არის. რადგან თუ მისთვის საკუთარი დის შერთვის შემდეგ შეთქმულებას უწყობდა, სხვას არავის, თუ არა საკუთარი თავის წინააღმდეგ მოაწყობდა შეთ-ქმულებას. ეს ყველამ ისე განსაჯოს, როგორც ის ფიქრობს. როდესაც იულიანემ იმპერატორის წინაშე გაკიცხა სარდლების გულგრილობა, სხვა სარდალი გაგზავნა, რომელიც იულიანეს გულისთქმას ეხმიანებოდა. მისი დახმარებით იულიანეს გული მოეცა და თავს დაესხა ბარბაროსებს. მათ კი შუამავლები გაგ-ზავნეს მასთან და უჩვენეს იმპერატორის წერილები, რომელიც მათ უბრძანებდა რომაელთა მიწაზე შემოსვლას. მაგრამ მან ელჩი შეიპყრო, თავს დაესხა ბარბაროსებს და ძლიერ დაამა-რცხა ისინი. ბარბაროსთა მეფე დაატყვევა და კონსტანციუსს გაუგზავნა. როდესაც ასეთ წარმატებას მიაღწია, ჯარისკაცებმა იგი იმპერატორად გამოაცხადეს. მაგრამ, რადგან იმპერატორის გვირგვინი არ ჰქონდათ, ერთ-ერთმა შუბოსანმა თავისი ყელის დაწნული ჯაჭვი აიღო და იულიანეს თავზე დაადგა. ამ გზით გამეფდა იულიანე. ამის შემდეგ ის თუ ფილოსოფოსი იყო, მკითხველმა განსაჯოს. მას არ გაუგზავნია შუამავლები კონ-სტანციუსთან, არც ემსახურა, როგორც მის კეთილისმყოფელს,

არამედ ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც მას ეწადა. პროვინციებში შეცვალა მმართველები, ქალაქებში დასცინოდა კონსტანციუსს, საჯაროდ წაიკითხა მისი ეპისტოლეები ბარბაროსების მიმართ. ამიტომ, მას შეუერთდნენ, კონსტანციუსს კი განუდგნენ. მაშინ ღიად ჩამოიშორა მან ქრისტიანობის საფარველი: დადიოდა ქალაქებში და ხსნიდა ტაძრებს, კერპებს სწირავდა და თავის თავს უზენაეს ქურუმს[67] უწოდებდა, და სარწმუნოებით წარმართნი წარმართულ დღესასწაულებს მართავდნენ. ამით მან შიდა ომი წამოიწყო და კონსტანციუსის წინააღმდეგ გაემართა. რამდენადაც მასზე იყო დამოკიდებული, ყველაფერს იქმოდა, რა ბოროტებანიც ომს მოაქვს. რამეთუ მრავალი სისხლისღვრის გარეშე ვერ გადაწყდებოდა ამ ფილოსოფოსის გულის წადილი. მაგრამ ღმერთი არის საკუთარი სურვილების მსაჯული და მოწინააღმდეგეთაგან ერთ-ერთის ლაშქრობა სხვათა ზიანის გარეშე შეაჩერა. როდესაც იულიანე თრაკიაში იმყოფებოდა, მას აცნობეს, რომ კონსტანციუსი მოკვდა. და ასე გადაურჩა რომის იმპერია შიდა ომს. იულიანე ჩავიდა კონსტანტინოპოლში და მაშინვე მიზნად დაისახა, რაიმე გზით დაეახლოებინა ხალხი და მათი კეთილგანწყობა მოეპოვებინა. მან გამოიყენა შემდეგი ხერხი. კარგად იცოდა, რომ კონსტანციუსი სძულდა ყველას, ვინც აღიარებდა „თანაარსს“, რომლებიც გამოდევნა ეკლესიებიდან და მათ ეპისკოპოსების ქონება ჩამოართვა და გადაასახლა. ასევე კარგად უწყოდა, რომ წარმართები დატანჯული იყვნენ იმით, რომ მსხვერპლშეწირვა აეკრძალათ და მათთვის საწადელი ჟამი მოვიდა, როდესაც ტაძრები გახსნა და ნება დართო მათ მსხვერპლი შეეწირათ კერპებისთვის. ასე იცოდა გარდაცვლილი კონსტანციუსის მიმართ თითოეულის წუხილი. მაგრამ აღმოაჩინა, რომ ყველას ერთად სძაგდა საჭურისთა ძალადობა და მსახურთუხუცესი ევსების ძარცვა-გლეჯა. ყველას ხერხის გამოყენებით მიუდგა. ზოგს ცბიერებით მოეპყრა, ზოგს ფუჭი დიდებით სიკეთე გაუკეთა, ყველას ერთად კი, როგორც

იყო სინამდვილეში, ცრურწმენა უჩვენა. პირველ რიგში ცილი დასწამა კონსტანციუსის სისასტიკეს მისი ქვეშევრდომების მიმართ და ეწადა მისი მხილება ხალხის წინაშე; ბრძანა გადასახლებული ეპისკოპოსების უკან გამოხმობა და ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნება; სათანადოდ დადგენილ პირებს უბრძანა, სწრაფად გახსნილიყო წარმართული ტაძრები. საჭურისთაგან უსამართლოდ ვნებულთ დაპირდა, რომ უკან დაუბრუნებდა წართმეულ ქონებას. საიმპერიო საძინებლების უფროსი ევსები სიკვდილით დასაჯა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მრავალს მოეპყრა უსამართლოდ, არამედ იმიტომაც, რომ შეიტყო, მისი ძმა გალუსი მისი ცილისწამებით იქნა მოკლული. კონსტანციუსის სხეულს სამეფო პატივი მიაგო და დამარხა. მან განდევნა საჭურისები, დალაქები და მზარეულები. საჭურისები იმიტომ, რომ დაკარგა მეუღლე, რომლის შემდეგ სხვა აღარ მოუყვანია. მზარეულები იმიტომ, რომ უბრალო ცხოვრებას ეწეოდა. დალაქზე კი თქვა, რომ ერთი ბევრს ეყოფოდა. ისინი ამ მიზეზებით განდევნა. მდივნებიდან დატოვა, რამდენიც იყვნენ თავიდან, მათგან დარჩენილებისთვის ბრძანა მიეცათ მდივნის საზღაური. მან ასევე მოიცვა სახელმწიფო საჭიროებისათვის სამგზავრო საშუალებები, ჯორი, ხარი და ვირი აკრძალა, მხოლოდ ცხენების გამოყენების ნება დართო სახელმწიფო საჭიროებისათვის. ცოტა აქებდა მის ამ საქციელს, უმრავლესობა კი კიცხავდა, რომ საიმპერიო სიმდიდრიდან გაცემის შეწყვეტამ მრავალთათვის ძრწოლა გამოიწვია და ადვილად უგულებელსაყოფი გახადა იმპერია. ამას გარდა ღამეებს ათენებდა, სიტყვებს წერდა, სენატის სათათბიროში მიდიოდა და იქ წარმოთქვამდა. იმპერატორთაგან მხოლოდ იულიუს კეისარი იყო, ვინც პირველად წარმოთქვამდა თავის სიტყვებს სენატში. იგი ასევე პატივს მიაგებდა განათლების მიმართ მოშურნე პირებსაც. განსაკუთრებით მათ, რომლებიც ფილოსოფოსობის პირობას იძლეოდნენ. ამიტომ, სახელს ყველა მხრიდან მოჰყავდა ამ სურვილში განმტკიცებულნი, ემოსათ

ფილოსოფოსის მოსასხამი, მრავალი უფრო სამოსელით, ვიდრე განათლებით იყო ფილოსოფოსი. ეს ცრუ ადამიანები, მუდამ რომ იზიარებდნენ იმპერატორის სარწმუნოებას, ყველა მათგანი შეწუხებული იყო ქრისტიანებით. იმპერატორს კი შეეძლო რა მოეხვეჭა თავისთვის ფუჭი დიდება, ყველა მის წინა იმპერატორებს დასცინა იმ სიტყვაში, რომელსაც უწოდა „კეისრები“. ასეთი ჩვეულებით აღძრულმა ქრისტიანების წინააღმდეგ სიტყვები შეადგინა. მზარეულებისა და დალაქების განდევნა ფილოსოფოსის საქმე იყო და არა იმპერატორის. დაცინვა და გამასხარავება არ იყო ფილოსოფოსის, და არც იმპერატორის. რადგან ორივე მათგანი ყოველგვარ გაკიცხვასა და დაცინვაზე მაღლა უნდა დადგნენ. იმპერატორს შეუძლია ფილოსოფოსობა, რამდენადაც სიბრძნეს მისდევს, მაგრამ ფილოსოფოსი თუ ყველაფერში იმპერატორს მიბაძავს, დაშორდება თავის მიზანს. იმპერატორ იულიანეს შესახებ, მისი წარმომავლობის, განათლებისა და ზნის შესახებ, და თუ როგორ გახდა იმპერატორი, ეს მოკლედ ითქვა.

II თავი
ალექსანდრიაში ამტყდარი ამბოხის შესახებ და თუ როგორ მოკლეს გიორგი

კვლავ მისი ზეობისას ეკლესიის გარშემო მომხდარ ამბებს ვახსენებთ. ალექსანდრიის დიდ ქალაქში ატყდა დიდი შფოთი შემდეგი მიზეზით. ქალაქში იყო ადგილი, ოდითგანვე უდაბური და მიტოვებული, ბევრი ნაგვით სავსე, სადაც ადრე წარმართები მითრასთვის რიტუალებს აღასრულებდნენ და ადამიანებს მსხვერპლად წირავდნენ. ეს ცარიელი ადგილი წინათ კონსტანციუსმა დაუმტკიცა ალექსანდრიელთა ეკლესიას. გიორგის სურდა იქ სამლოცველოს აგება და ბრძანა ადგილის განწმენდა. განწმენდისას, აღმოჩნდა დიდ სიღრმეში ნაკრძალი ადგილი, სადაც

წარმართული მისტერიები იყო დაფარული. ეს ადგილი სავსე იყო ადამიანის თავის ქალებით, ახალგაზრდებისაც და მოხუცებისაც, რომლებიც გადმოცემით ძველად იყვნენ დახოცილი, როდესაც მისნობას ღვიძლის მეშვეობით აღასრულებდნენ წარმართები, მოგვურ მსხვერპლს წირავდნენ და სულებს აჯადოვებდნენ. როდესაც ქრისტიანებმა ეს ადმოაჩინეს მითრიუმის საკურთხეველში, მთელი გულმოდგინებით გამოიტანეს სააშკარაოზე დასაცინად წარმართების მისტერია. დაატარებდნენ შიშველ თავის ქალას და სახალხოდ აჩვენებდნენ. ამის მხილველმა წარმართებმა ვერ აიტანეს ეს სირცხვილი და განრისხდნენ, ყველა სახის საჭურველი გამოიყენეს, დაიძრნენ ქრისტიანებზე და მრავალი ჩასაფრების გზით დახოცეს მრავალი მათგანი, ზოგი მახვილით, ზოგი ჯოხით და ქვით მოკლეს, ზოგიც ბაწრით მოაშთვეს, ზოგი მათგანი ჯვარს გააკრეს, შეურაცხყოფის მისაყენებლად გამოიყენეს ჯვრით სიკვდილი, უამრავი კი დაჭრეს. ამ დროს, როგორც ხდება ხოლმე, შინაურებიც არ დაინდეს და მეგობარი მეგობარს დაესხა თავს, ძმა ძმას, მშობლები შვილებს და ერთმანეთის მოსაკლავად აღიძრნენ. ამიტომ, ქრისტიანებმა შეწყვიტეს მითრეუმის განწმენდა. წარმართებმა კი გიორგი ეკლესიიდან გამოათრიეს, აქლემზე დასვეს, ასო-ასო აქნეს და მასთან ერთად დაწვეს.

III თავი
თუ როგორ დააშინა ალექსანდრიელები გიორგის მკვლელობით განრისხებულმა იმპერატორმა ეპისტოლეს მიწერით

გიორგის მკვლელობით განრისხებულმა იმპერატორმა ეპისტოლეს მეშვეობით დააშინა ალექსანდრიის მოსახლეობა. ხმა გავრცელდა, რომ ეს გიორგის გაუკეთა ათანასეს გამო მასზე გადამტერებულმა ხალხმა. მე კი ვფიქრობ, ამბოხებებში ვიღა-

ცის მოძულენი შეურთდებიან ხოლმე დამნაშავეთ. თუმცა, იმპერატორის ეპისტოლე უფრო ხალხს, ვიდრე ქრისტიანებს ადანაშაულებს. ჩანს, გიორგი წინათაც და ამის შემდეგაც აუტანელი და შემაწუხებელი იყო ყველასათვის და ამიტომ აღეგზნა მის წინააღმდეგ ხალხი. ის, რომ უფრო მოსახლეობას ადანაშაულებს, თვით ეპისტოლედან მოისმინე.

„იმპერატორი, კეისარი იულიანე, მაქსიმუსი, ავგუსტუსი, ალექსანდრიის მოსახლეობას[68].

მაგრამ თუ თქვენ დამფუძნებელ ალექსანდრეს, მის უწინარეს კი დიდ ღმერთს, უწმინდეს სერაპისს არ სცემთ პატივს, თქვენთვის სახელმწიფოს, ადამიანურს და მართებულს როგორ არ ითვალისწინებთ? ამას ისიც უნდა დაერთოს, რომ ჩვენი ძალაუფლება სათნო იჩინა ყველა ღმერთმა, უპირველეს ყოვლისა კი დიდმა სერაპისმა. ამიტომ, ჩვენ უნდა გამოგვერკვია უსამართლობისგან თქვენი დაცვა. მაგრამ რისხვამ და გულისწყრომამ ერთნაირად შეგიყვანათ შეცდომაში, რასაც ჩვევია საშინელი საქმეების ჩადენა და ჭკუიდან გადაყვანა, შემდეგ აღძვრისგან დახსნილთ დაუფიქრებლად განზრახული უკანონობა მოგვიანებით განავრცეთ. ხალხი ხართ და არ შეგრცხვათ ამის ჩადენა, რაც სამართლიანად გძულთ. სერაპისისგან მითხარით მე, გიორგის, რა უსამართლობით განრისხდით. იტყვით, რომ უნეტარესი კონსტანციუსი წააქეზა თქვენ წინააღმდეგ, შემდეგ ჯარი შემოიყვანა წმინდა ქალაქში. და იმპერატორმა დაანგრია ეგვიპტის უწმინდესი ღმერთის საკურთხეველი, გამოყარა იქიდან ხატები[69], შესაწირი ძღვენი და ტაძრის სამკაული. ბუნებრივია, თქვენ აღშფოთდით და ცდილობდით ღმერთის დაცვას, უფრო კი ღმერთის საკუთრებას; მაშინ მან გაბედა თქვენზე გამოეგზავნა ჯარისკაცები – უსამართლოდ, უკანონოდ და ურჯულოდ. ეს კონსტანციუსზე მეტად გააკეთა შეშინებულმა გიორგიმ. იგი საკუთარ თავს დაიცავდა, თქვენ რომ უფრო ზომიერად, მო-

ქალაქეობრივად მოგპყრობოდათ და არა ტირანულად. ამ საქციელების გამო ღმერთის მტერ გიორგიზე განრისხებულებმა წაბილწეთ წმინდა ქალაქი, მსაჯულთა მიერ განაჩენის გამოტანის გარეშე. ასე რომ ყოფილიყო, არც მკვლელობა, არც უკანონობა მოხდებოდა. მოწესრიგებული სამართალი თქვენ სრულიად უდანაშაულოს დაგიცავთ, განაბრძნობს ყველა სხვას, ვინც ღმერთებს შეურაცხყოფს, გარდა ამისა ესოდენ ქალაქებს და მოსახლეობას არად აგდებს, არამედ ძალაუფლებას იყენებენ მათ წინააღმდეგ სისასტიკედ. ახლა შეადარეთ ჩემი ეს ეპისტოლე იმას, რაც ცოტა ხნის წინ გამოგიგზავნეთ, და გაიაზრეთ განსხვავება, მაშინ რამდენი თქვენი საქებარი დავწერე, აწ კი, ვფიცავ ღმერთებს, თქვენი ქების მოვალეს არ ძალმიძს ეს თქვენი უკანონობის გამო. ხალხმა რა ჩაიდინა, რომ ძაღლივით დაგლიჯა ადამიანი. შემდეგ არ შერცხვა და წმინდად დაცული ხელებით თითქოს ღმერთებისთვის შესაწირად სისხლი დაღვარა. მაგრამ გიორგი ღირსი იყო, რომ ეს დამართნოდა. მისი საქციელები მეც ასევე უარესის და უფრო სასტიკის ღირსად მიმაჩნია. რასაც თქვენ გამო ამბობთ, ამას მეც ვეთანხმები, მაგრამ თუ ამბობთ, რომ თქვენ მიერ უნდა მომხდარიყო ეს, ამას არ მივიღებ. რამეთუ თქვენთვის არსებობს კანონები, რომელთა პატივისცემა და სიყვარული განსაკუთრებით საჭიროა ყველასგან და თითოეულისგან. თუკი მოხდება, რომ რომელიმე თქვენგანი დაარღვევს კანონს, რომელიც სახელმწიფოს კარგი უნდა ჰქონდეს და ემორჩილებოდეთ მათ, არ უნდა გარდახდეთ იმას, რაც თავიდანვე კეთილად დაკანონდა. სვე-ბედნიერი იყავით, ალექსანდრიელებო, ამ შეცოდებისგან კი ღმერთის პატივისცემით და ჩემი პაპისა და თანამოსახელის გამო, რომელიც განაგებდა ეგვიპტის ამ ქალაქს, ძმური კეთილგანწყობით გადაგარჩენთ. რამეთუ ძალაუფლების მნიშვნელოვნება, მართვა-გამგეობის სიმკაცრე და შეურყვნელობა არასოდეს უგულებელყოფს ხალხის დანაშაულს, რომ არ უმკურნალეს ამ მძიმე სენს მწარე წამლით. მოგიძღვნით

თქვენ იმ მიზეზით, რაც ახლახანს ვთქვი, უადვილეს [წამალს] – შეგონებებს და სიტყვებს. მათი მეშვეობით კარგად ვუწყი, რომ უფრო დაემორჩილოთ, მით უფრო, რომ, როგორც ვიცი, წინაპრებით ბერძნები ხართ, ახლა კი ამ კეთილშობილებას ღირსსახსოვარი და წრფელი ხასიათი გიპყრიათ გონებაშიც და საქმეშიც. გამოქვეყნდეს ეს ჩემი მოქალაქე ალექსანდრიელებისთვის.“

ასეთი იყო იმპერატორის წერილი.

IV თავი
თუ როგორ შევიდა ეკლესიაში და იპყრა ალექსანდრია ათანასემ, მას შემდეგ, რაც დაიღუპა გიორგი

არცთუ დიდი ხნის შემდეგ გადასახლებიდან დაბრუნდა ათანასე და სიხარულით მიიღო იგი ალექსანდრიის მოსახლეობამ. მაშინ ეკლესიებიდან გამოდევნეს არიანული დოგმატის მიმდევრები და ათანასეს გადასცეს სალოცავი ადგილები. არიანელები კი უბრალო სახლებში იკრიბებოდნენ და გიორგის ადგილას ლუკიოსს დაასხეს ხელი. ასეთ ვითარებაში იყო ალექსანდრიის საქმეები.

V თავი
ლუციფერუსის და ევსების შესახებ

იმხანად იმპერატორის ბრძანებით გადასახლებით გამოხმობილ იქნენ ლუციფერუსი და ევსები. ლუციფერუსი იყო კარალების ეპისკოპოსი, რომელიც არის სარდინიის ქალაქი; ევსები კი – ვერკელის,ეს არის ლიგვიელთა ქალაქი იტალიაში, როგორც ზემოთაც ვთქვი. ორივე მათგანი ზემო თებეში გადასახლებიდან დაბრუნდნენ და გამართეს თათბირი, თუ რა გზით დაეცვათ საეკლესიო კანონები.

VI თავი
თუ როგორ დაასხა ხელი ანტიოქიაში ჩასულმა ლუციფერმა პავლინეს

ლუციფერმა გადაწყვიტა სირიის ანტიოქიაში ჩასვლა, ევსებიმ კი – ალექსანდრიაში, რათა კრება გაემართა ათანასესთან ერთად და განემტკიცებინათ ეკლესიის მოძღვრება. ლუციფერმა დიაკონი გაგზავნა მის ნაცვლად, რომლის მეშვეობითაც აღიარა, რომ ეთანხმებოდა კრების განჩინებებს. თავად კი ანტიოქიაში გაემართა და ნახა შფოთში მყოფი ეკლესია, რამეთუ ხალხი ორად იყო გაყოფილი. არა მხოლოდ არიანული მწვალებლობა იყო ევძოიოსის მიერ ეკლესიიდან გამოყოფილი, არამედ, როგორც უკვე წინათაც ითქვა, მელეტის მიმდევრები, მათი მოძღვრისადმი მოშურნე სიყვარულით, თავიანთ თანამოაზრეებსაც გამოეყვნენ. მან ეპისკოპოსად დაადგინა პავლინე და მაშინათვე წავიდა.

VII თავი
თუ როგორ შეუერთდა ევსები ათანასეს და ალექსანდრიაში კრების[70] გამართვის შემდეგ ცხადად იქადაგა თანაარსი სამება

როდესაც ევსები ჩავიდა ალექსანდრიაში, უფრო მოშურნედ შეკრიბა სინოდი ათანასესთან ერთად. შეიკრიბნენ ეპისკოპოსები სხვადასხვა ქალაქებიდან და უამრავ მეტად მნიშვნელოვან სწავლებებზე იმსჯელეს. იქ წმინდა სულის ღმერთობა დაამტკიცეს და სამების თანაარსად აღიარეს. აგრეთვე განკაცებული [ქრისტე] არა მხოლოდ განხორციელებულად, არამედ სულის მქონედაც გამოაცხადეს, რაც ძველად განაჩინეს საეკლესიო კაცებმა. რადგან არათუ ახალი რამ სარწმუნოების ეკლესიაში შემოტანას განიზრახავდენენ, არამედ რასაც თავიდანვე ამბობ-

და საეკლესიო გადმოცემა და დამაჯერებლად იყო ნაფილოსოფოსები ქრისტიან ბრძენთა მიერ. ასე იმსჯელა ყველა ძველმა [მამამ] ამ მოძღვრებასთან დაკავშირებით და წერილობითად დაგვიტოვეს ჩვენ. ირინეოსიც, კლიმენტიც, აპოლინარი ჰიეროპოლელიც და ანტიოქიის წინამდგომელი სერაპიონიც მათ ნაშრომებში [ქრისტეს] სულის მქონედ და განკაცებულად[71] აღიარებენ. არა მხოლოდ ისინი, არამედ არაბეთის ეპისკოპოს ბერილიოს ფილადელფიელის[72] გამო გამართულმა კრებამ მიწერა ბერილიოსს და იქაც იგივე არის გადმოცემული. ორიგენეც ყველა მის წიგნში სულის მქონედ და განკაცებულად აღიარებს. განსაკუთრებით „შესაქმის“ შესახებ მისი ნაშრომის მეცხრე ტომი, სადაც ვრცლად განმარტავს, რომ ადამი არის ქრისტე, ხოლო ევა – ეკლესია. ამის სანდო მოწმეები არიან, წმინდა პამფილი და მისი სახელით წოდებული ევსები. რადგან ორივე ერთობლივად გადმოსცემს ორიგენეს ცხოვრებას და ამ კაცის წინააღმდეგ გამოთქმული მსჯავრის საპასუხოდ სახელგანთქმულ წიგნებში მისი აპოლოგია გადმოსცეს. ისინი ამბობენ, რომ არათუ ორიგენე მივიდა ასეთ აზრამდე, არამედ ის განმარტავდა ეკლესიის საიდუმლო გადმოცემას. ალექსანდრიის კრების მონაწილეებმა, გამოუკვლეველი არ დატოვეს არც საკითხი „არსის“ და „ჰიპოსტასის“ შესახებ. რადგან ესპანეთის კორდუბიის ეპისკოპოსმა ჰოსიუსმა, რომლის შესახებაც წინათ ვახსენეთ, რომ იმპერატორმა კონსტანტინემ იგი გამოგზავნა იმ დროს არიოზის მიერ აღძრული შფოთის დასაცხრობად, არსის და ჰიპოსტასის შესახებ დაიწყო კვლევა, რაც ახალი დავის საბაბი გახდა. მაგრამ ნიკეაში გამართულმა კრებამ ამ გამოძიების შესახებ არაფერი ახსენა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ზოგიერთებმა მოიწადინეს ამის გამო დავის წამოწყება, ამიტომ ამ კრებაზე „არსის“ და „ჰიპოსტასის“ შესახებ განაცხადეს შემდეგი. ითქვა,რომ ღვთის შესახებ არ უნდა გამოეყენებინათ ეს სიტყვები, რადგან „არსად“ არსად სახელდებს [ღმერთს] წმინდა წერილი, ხოლო

მოციქული სიტყვა „ჰიპოსტასს“ იყენებს მოძღვრების შინაარსის აუცილებლობისთვის[73]. მაგრამ სხვა საბაბით მათ განაჩინეს, მიეღოთ ეს სიტყვები, რათა განეგდოთ საბელიოზის მოძღვრება, რომ არათუ სიტყვების სიმცირით ერთ საგნად მივიჩნევთ სამი სახელის მქონეს, არამედ სამების სახელდებულთაგან თითოეული საკუთარი ჰიპოსტასის მქონედ უნდა იღვთისმეტყველებოდეს. ეს განაჩინა მაშინ კრებამ.

არაფერი გვიშლის ხელს, რომ ვთქვათ ის, რაც ჩვენ ვიცით „არსის“ და „ჰიპოსტასის“ შესახებ. ელინებთან ელინური სიბრძნის გადმომცემებმა სიტყვა „არსი“ მრავალგვარად განსაზღვრეს,მაგრამ „ჰიპოსტასის“ შესახებ არაფერი ახსენეს. ირინეოს გრამატიკოსი[74] თავის ლექსიკონში „ატიკისტი“ ამ სიტყვას უწოდებს ბარბაროსულს. რადგან ძველ მწერლებს შორის არსად არის გამოყენებული. ხოლო, სადაც არის ნათქვამი, იმავე მნიშვნელობით არ არის ნახმარი, როგორც ახლა აღვიქვამთ. სოფოკლესთან „ფენიქსში“ „სივერაგეს“ (ჩასაფრებას) აღნიშნავს „ჰიპოსტასი“. მენანდრესთან – „ნუგბარ კერძს“, როგორც ერთი ვინმე ამბობს, კასრში ღვინის „ლექს“ ნიშნავს „ჰიპოსტასი“. უნდა ვიცოდეთ, რომ თუმც ძველი ფილოსოფოსები გვერდს უვლიდნენ ამ სიტყვას, თანამედროვე ფილოსოფოსები გამუდმებით იყენებენ სიტყვა „ჰიპოსტასს“ „არსის“ ნაცვლად. მაგრამ „არსის“ განსაზღვრება, როგორც ზემოთ ვთქვი, სხვადასხვაგვარად გადმოსცეს. მაგრამ თუკი „არსს“ მოიცავს განსაზღვრება, როგორ გამოვიყენებთ ამ სიტყვას მტკიცედ ღმერთზე, რომელიც არის მოუხელთებელი? ევაგრე თავის „სამონაზვნოში“ გვაფრთხილებს, რომ დაუფიქრებლად და გამოუძიებლად არ შევუდგეთ ღვთისმეტყველებას, და გვირჩევს, თავი შევიკავოთ ყოვლად მარტივი ღმერთის განსაზღვრებისაგან. რადგან იგი ამბობს, რომ განსაზღვრებები არის შედგენილი საგნებისთვის. იგივე [ღვთისმეტყველი] ასევე ასწავლის სიტყვასიტყვით და ამბობს: „ყველა დებულებას ან „გვარეობა“ აქვს განმსაზღვრელი, ან „განსხვავე-

ბა“, ან „სახეობა“, ან „საკუთრივი თვისება[75]“, ან „შემთხვევითი თვისება[76]“, ან მათგან შედგენილი, მაგრამ წმინდა სამებაზე არც ერთი მათგანი არ უნდა მივიღოთ. დუმილით უნდა ვსცეთ თაყვანი უთქმელს.“ ეს თქვა ევაგრიმ, რომლის შესახებ მოგვიანებით ვიტყვი. ჩვენ შეიძლება თემიდან გადავუხვიეთ, მაგრამ ისტორიის თემისთვის საჭირო იყო ამის ხსენება.

VIII თავი
ათანასეს „აპოლოგიის“ შესახებ, რომელიც დაწერა თავისი გაქცევის შესახებ

ათანასემ ასევე იქ დამსწრეთა წინაშე წარმოთქვა წინათ მისი გაქცევის შესახებ დაწერილი თავის მართლება. მისი ნაწილის აქ დართვა საჭირო და ჯეროვანი არის. მთლიანი სიტყვა გრძელი არის და შრომისმოყვარეთ შეუძლიათ მისი მოძიება და წაკითხვა. აი, ასეთი არის უღმერთოთა დანაშაულები! ეს ჩაიდინეს და არ შეინანეს ის, რაც წინათ ტირანული დანაშაულები ჩაიდინეს ჩვენ წინააღმდეგ, ახლა კი ბრალს დებენ მათ, ვინც დაუსხლტა მათ კაცისმკვლელ ხელებს; მეტად მწარედ ჩივიან, რომ ბოლომდე ვერ მოახერხეს ჩვენი მოშორება. შემდეგ საბაბად მოჰქონდათ სიმხდალე და კიცხავდნენ, არ უწყოდნენ, რომ ასე ჩივილით უფრო საკუთარი თავის წინააღმდეგ შეაბრუნებდნენ კიცხვას. რადგან თუ ცუდია გაქცევა, უარესია დევნა. ერთი დაიმალა, რომ არ მოეკლათ, მეორე კი დევნის და ეძებს მოსაკლავად. წმინდა წერილში წერია გაქცევაზე (მათ. 10, 23), დაღუპვის მაძიებელი კი არღვევს რჯულს, და უფრო მეტად თვითონ აძლევს საბაბს გასაქცევად. ასე რომ, თუ გაქცევას კიცხავენ, ჯერ საკუთარი თავი შეარცხვინონ მდევნელებმა, შეწყვიტონ შეთქმულებების მოწყობა და ისინიც მაშინათვე შეწყვეტენ გაქცევას. მაგრამ ესენი არ წყვეტენ თავიანთი უკეთურე-

ბის ჩადენას, ჩვენს შესაპყრობად ყველაფერს აკეთებდნენ, იცოდნენ, რომ დევნულთა გაქცევა, დიდი სამხილი იყო მდევნელთა წინააღმდეგ. რადგან არავინ გაურბის მშვიდს და კაცთმოყვარეს, არამედ უფრო ველურს და ბოროტს. ყველა ძლიერ შეწუხებული და დაჯაბნილი გაექცა საულს და დავითს შეაფარა თავი. ამიტომ ესწრაფოდნენ ისინი დამალულების დახოცვას, რათა არ ეფიქრათ, რომ ჰქონდათ მათ უკეთურების სამხილი. მაგრამ, როცა ამას ფიქრობდნენ, დაბრმავებულები იყვნენ ცთომილებაში მყოფნი. რადგან, რაც უფრო ცხადი ხდებოდა გაქცევა, მით უფრო მეტად აშკარა ხდებოდა შეთქმულებით მათ მიერ ჩადენილი მკვლელობა და გადასახლება. როცა კლავდნენ, სიკვდილი ქუხდა მათ წინააღმდეგ, თუ კვლავ ასახლებდნენ, ისინი ყველგან ავრცელებდნენ მათ წინააღმდეგ ამბებს. მათ რომ გონება შერჩენოდათ, დაინახავდნენ თავიანთ თავს ამ [მხილებებში] მოცულებს, და რომ თავიანთ ზრახვებზე ეცემოდნენ. მაგრამ გონიერება რომ დაკარგეს, იმიტომაც წამოიწყეს დევნულება და დაეძებდნენ მოსაკლავად, არ უყურებდნენ თავიანთ უღმერთობას. რადგან თუ მოკვლის მაძიებელთაგან დამალულთ კიცხავენ და ცილს სწამებენ მდევნელთაგან გაქცეულთ, რას იტყვიან, როდესაც დაინახავენ, თუ როგორ გაექცა იაკობი მის ძმას ესავს (შესაქ. 28), ხოლო მოსე მიდიაში წავიდა ფარაონის შიშით (გამ. 2, 15). ამას რომ ყბედობენ, როგორ გაამართლებენ საულისგან გაქცეულ დავითს, როდესაც საულმა თავისი სახლიდან გაგზავნა მოსაკლავად, რომელიც დაიმალა მღვიმეში და სახე შეიცვალა, აბიმელექს რომ გარიდებოდა და სიკვდილისგან თავი დაეღწია (1. მეფ. 19,12)? რას იტყვიან ასე მშვიდად მოსაუბრენი, როდესაც დაინახავენ დიდ ილიას, ღვთისგან მოწოდებულს და მკვდრეთით აღმადგინებელს, აქაბისგან დამალულს და იეზაბელის მუქარებისგან გაქცეულს (II მეფ. 19, 2)? რადგან მაშინ დაიმალნენ წინასწარმეტყველის შვილებიც, რომლებსაც ეძებდნენ, და დაიმალნენ მღვიმეებში აბდიასთან (II მეფ. 18, 4). ან ამ ამბებს, როგორც ძველებს არ

იცნობენ? მაგრამ სახარების ამბების შესახებ არაფერს ახსენებენ. რადგან მოწაფეები იუდეველთა შიშით განეშორნენ და დაიმალნენ (მათ. 26, 56); პავლეც დამასკოში მმართველის (ეთნარხის) მიერ ძებნილი კედლიდან დაეშვა კალათით (2 კორ. 11, 32-33) და ასე დაუსხლტა მძებნელის ხელებს. ასე რომ, როდესაც ასეთ რამეს ამბობს წმინდა წერილი, თავიანთი მერყეობისათვის რა საბაბის გამონახვას შეძლებენ? სიმხდალის გასაკიცხად თავიანთი თავის, როგორც შლეგების წინააღმდეგ სჩადიან დანაშაულს. მათ, როგორც ღვთის ნების დამარღვეველთ ცილს სწამებენ და სრულებით არ იციან წმინდა წერილი. რამეთუ რჯულში ბრძანება იყო გაცემული, რომ თავშესაფარი ქალაქები აეშენებინათ მოსაკლავად ძებნილთათვის, რათა შეძლებოდათ თავის გადარჩენა. მაგრამ საუკუნეთა აღსასრულს, როდესაც თავად იგი მოვიდა, მოსეს მიერ მეტყველი მამის სიტყვა, კვლავ ეს მცნება გადმოგვცა და თქვა: „როდესაც გდევნიან, ამ ქალაქიდან გაიქეცით სხვაგან.” (მათ. 10, 23) და ცოტა ხნის შემდეგ ამბობს: „როდესაც იხილავთ გაუდაბურების სისაძაგლეს, ნათქვამს წინასწარმეტყველის დანიელის მიერ, დამდგარს წმინდა ადგილას, – მკითხველმა გაიაზროს, – მაშინ იუდეაში მყოფნი გაიქეცით მთაში. სახლთან მყოფმა არ აიღოს რაიმე მისი სახლიდან, ყანაში მყოფი არ შებრუნდეს მისი მოსასხამის ასაღებად.“ (მათ. 24, 15-18) ეს იცოდნენ წმინდანებმა და ასეთ მოქალაქობას ეწეოდნენ. რაც ახლა ბრძანა უფალმა, იმავეს მეტყველებდა მის განსხეულებულ მოსვლამდე წმინდანებში[77]. და ეს არის განჩინება ადამიანთათვის სრულყოფილებისკენ მიმყვანი, რაც ღმერთმა ბრძანა, ის ქმნა. ამიტომ თავად სიტყვამ, რომელიც ჩვენ გამო გახდა ადამიანი, ღირსქმნა, რომ ძებნილი დამალულიყო ჩვენსავით, კვლავ დევნილი გაქცეულიყო და თავი დაეღწია შეთქმულებისთვის (იოან. 8, 59). რამეთუ შეეფერებოდა მას, რომ უპოვარებით და წყურვილით და ვნებით ამითაც ასე წარმოეჩინა საკუთარი თავის განკაცება. თავიდანვე ადამიანად გახ-

დომისთანავე, როდესაც ყრმა იყო, ანგელოზმა უბრძანა იოსებს: „ადექი, აიყვანე ყრმა და მისი დედა და გაიქეცი ეგვიპტეში. რამეთუ ჰეროდე აპირებს ამ ყრმის სულის მოძიებას.“ (მათ. 12, 14-15) მაგრამ ჰეროდეს სიკვდილის შემდეგაც მისი ძის, არქელაოსის გამო აჩვენა გაქცევა ნაზარეთში. მოგვიანებით, როდესაც საკუთარი თავი ღმერთად გამოაცხადა და გამხმარი ხელი განკურნა, ფარისეველებმა თათბირი გამართეს მის წინააღმდეგ, რათა დაეღუპათ (მათ. 12, 14-15). თუმცა, იესომ შეიტყო და განეშორა იქაურობას. როდესაც ლაზარე აღადგინა მკვდრეთით, ნათქვამია, რომ იმ დღიდან განიზრახეს მისი მოკვლა. იესო აღარ კადნიერდებოდა, ევლო იუდეველთა შორის (იოან. 11, 53-54), არამედ წავიდა იქიდან უდაბნოს მახლობელ ადგილას. შემდეგ, როდეს უფალი იტყვის, „აბრაამამდე მე ვიყავი,“ (იოან. 8, 58) იუდეველებმა აიღეს ქვები, რათა ესროლათ მისთვის. მაგრამ იესო დაიმალა (მიეფარა) და გავიდა ტაძრიდან, განვლო მათ შორის, გაემგზავრა და წავიდა (შდრ. იოან. 8, 58-59; ლუკ. 4, 30). განა, როდესაც ამგვარად ხედავენ ამას, უფრო კი იაზრებენ[78], რადგან ვერ ხედავენ დაწერილს, არ სურთ დაიწვნენ, რომ იმის საწინააღმდეგოს განიზრახავენ და ამბობენ, რასაც უფალი აკეთებს და ასწავლის? რადგან, როდესაც იოანე ეწამა და მოწაფეებმა დაფლეს მისი სხეული, შეიტყო რა ეს იესომ, წავიდა იქიდან ნავით უდაბურ ადგილას და განმარტოვდა (მათ. 14, 12-13). ამრიგად, უფალმა ეს გააკეთა და ამას ასწავლიდა. მას შემდეგ, რაც ესენი ასე შერცხვენილ იქნენ, მხოლოდ ადამიანებამდე დააყენებენ მათ დაუდგრომლობას, მეტს აღარ იშლეგებენ და მაცხოვარს არ დააბრალებენ სიმხდალეს, როცა მის წინააღმდეგ გმობაზე იღვაწეს. მაგრამ არც მათ სიშლეგეს მოითმენს ვინმე. უფრო კი მხილებულნი იქნებიან სახარების უმეცრებაში. რამეთუ ასეთი განშორების და გაქცევის საბაბი არის კურთხეული და ჭეშმარიტი, რომელიც მახარებლებმა მაცხოვარში არსებული მოიხსენიეს. გვმართებს, რომ აქედან ყველა წმინდანზე იგივე

გავიაზროთ. რამეთუ, რაც მაცხოვარზე ადამიანურად არის დაწერილი, ის უნდა გავრცელდეს ადამიანთა საერთო მოდგმაზე. რადგან ჩვენი მიიღო და ჩვენი უძლურების ვნება წარმოაჩინა. რაც იოანემ დაწერა შემდეგი სახით: „ეძებდნენ მას შესაპყრობად, მაგრამ ვერავინ დაადო მას ხელები, რადგან ჯერ არ იყო დამდგარი მისი ჟამი“ (იოან. 7, 30). და ამის დადგომამდე, მან უთხრა დედას: „ჯერ არ მოსულა ჩემი ჟამი.“ ძმებსაც განუცხადა: „ჩემი ჟამი ჯერ არ დამდგარა.“ როდესაც ჟამი დადგა, უთხრა მოწაფეებს: „იძინეთ და განისვენეთ. რამეთუ, აჰა, მოახლოვდა ჟამი, და ძე კაცისა გადაეცემა ცოდვილთ ხელში.“ (იოან. 2, 4) მაგრამ, არც დაუშვა, რომ ამ ჟამის დადგომამდე შეეპყროთ, არც ჟამის დადგომისას დაიმალა, არამედ გაცემული თავი გადასცა შეთქმულებს. ასეთ წესს იცავდნენ ნეტარი მოწაფეებიც დევნულების ჟამს. დევნულნი გარბოდნენ, და სამალავში რჩებოდნენ, მაგრამ, როდესაც იპოვიდნენ, ეწამებოდნენ.“

ეს წარმოთქვა ათანასემ მისი გაქცევის შესახებ შედგენილ აპოლოგიაში.

IX თავი
თუ როგორ აღმოაჩინა ალექსანდრიაში „თანაარსის“ მქადაგებელთა კრების შემდეგ ანტიოქიაში დაბრუნებულმა ევსებიმ, რომ თანამორწმუნენი გაყოფილი იყვნენ პავლინეს ხელდასხმის გამო, და ვერ შეძლო რა მათი შეერთება, წავიდა.

ვერცელის ეპისკოპოსი ევსები კრების შემდეგ ალექსანდრიიდან გაემართა ანტიოქიაში. მან ნახა, რომ ლუციფერუსს ხელი დაესხა პავლინესთვის და ხალხი ორად იყო გაყოფილი (რადგან მელეტის მიმდევრები ცალკე იკრიბებოდნენ). იგი შეშფოთდა, რომ აღსრულებულ ხელდასხმას ყველა არ ეთანხმებო-

და, თავის თავში დაგმო მომხდარი ამბავი, მაგრამ ლუციფერუსის პატივისცემის გამო ხმა არ ამოიღო და წავიდა, შეკრებილ ეპისკოპოსებს დაპირდა საქმის გამოსწორებას. ამის შემდეგ მრავალი მცდელობა ჰქონდა განყოფილთ შესაერთებლად, მაგრამ ვერაფერი გააწყო. გადასახლებიდან დაბრუნებულმა მელეტიმაც მოუსწრო. ნახა, რომ ცალკე იყვნენ შეკრებილი მისი მიმდევრები და მათი წინამდგომელი გახდა. მაგრამ ეკლესიები ეპყრა ევძოიოსს, რომელიც იყო არიანული სარწმუნოების წინამდგომელი. პავლინეს კი ერთი მომცრო ეკლესია ეკავა ქალაქის შიგნით, საიდანაც ევძოიოსმა არ გააძევა იგი მისდამი პატივისცემის გამო. მელეტი კი ქალაქის კარიბჭის გარეთ აღასრულებდა საღვთისმსახურო შეკრებას. მაშინ ასე დატოვა ანტიოქია ევსებიმ. ლუციფერუსმა როდესაც შეიტყო, რომ ევსებიმ არ მიიღო მისი ხელდასხმა, შეურაცხყოფად მიიღო და ძალიან აღშფოთდა. მან უარი თქვა ევსებისთან თანაზიარებაზე და განიზრახა მასთან ქიშპის გამო, კრებაზე მომხდარი შერიგების უარყოფა. ეს მოხდა სამწუხარო ჟამს და მრავალი განუდგა ეკლესიას. და გაჩნდა ლუციფერიანელების ახალი მწვალებლობა. მაგრამ ლუციფერუსმა ვერ შეძლო მისი რისხვის აღსრულება, რადგან გადასცა აპოლოგია მის დიაკონს, ვისი მეშვეობითაც გამოგზავნა ის და პირობა დადო, რომ იწონებდა კრების მიერ განჩინებულს. ამიტომ, ეკლესიის სარწმუნოების გამზიარებელი გაემგზავრა სარდინიაში თავის საყდარზე. მაგრამ ვინც პირველად მასთან ერთად იყო დამწუხრებული, დღემდე განშორებულია ეკლესიიდან. ევსები კეთილი მკურნალის მსგავსად მოგზაურობდა აღმოსავლეთში და სარწმუნოებაში დაუძლურებულთ აღადგენდა, საეკლესიო ქადაგების საფუძვლებში შეჰყავდა და მოძღვრავდა. იქიდან გადავიდა და ჩავიდა ილირიკიაში, იტალიაში წავიდა და იქაც იმავეს იქმოდა.

X თავი
პიქტავიის ეპისკოპოს ჰილარიუსის შესახებ

მაგრამ მას დაასწრო ჰილარიუსმა, რომელიც იყო პიქტავიელთა ეპისკოპოსი (ეს არის ქალაქი მეორე აკვიტანიაში), ავრცელებდა თანამოაზრეთა რწმენის დოგმატებს იტალიასა და გალიაში მყოფ ეპისკოპოსთა შორის. რადგან პირველად გადასახლებიდან დაბრუნებული ამ ადგილებში ჩავიდა. ორივე ერთმანეთის მხარდამხარ ძლიერად იბრძოდნენ სარწმუნოებისათვის. ჰილარიუსი სახელოვანი კაციც იყო,მან ლათინურ ენაზე შედგენილ წიგნებში გადმოსცა „თანაარსის“ დოგმატები, რომელთა მეშვეობით საკმარისად განამტკიცა და ძლიერად აბრკოლებდა არიანელთა მოძღვრებებს. ეს მოხდა ცოტა მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც გამოხმობილ იქნა გადასახლებიდან. უნდა ვიცოდეთ, რომ იმხანად მაკედონიოსის, ელევსიოსის, ევსტათის და სოფრონიოსის მომხრენი, ყველა ერთად მაკედონიანელებად წოდებულნი, განუწყვეტლივ მართავდნენ სხვადასხვა ადგილებში კრებებს. მათ სელევკიაში შეკრიბეს მათი შეხედულების მიმდევრები, განკვეთეს სხვა შეხედულების მიმდევრები, ვგულისხმობ აკაკიანელებს, უკუაგდეს არიმინში მიღებული მრწამსი და დაამტკიცეს სელევკიაში წაკითხული [მრწამსი]. ეს მრწამსი იყო პირველად რომ გადმოიცა ანტიოქიაში, როგორც ამას წინათ ვახსენეთ ჩვენს წიგნში. ზოგიერთებმა მათ ჰკითხეს: „თქვენ მაკედონიანელებად იწოდებით და თუ აკაკიანელთაგან განსხვავებულად ფიქრობთ, აწ როგორ ღებულობთ მათ თანაზიარებაში, როგორც თანამორწმუნეებს?“ ამ კითხვაზე პაფლაგონიის პომპეოპოლის სოფრონის პირით მიუგეს: „დასავლელები დასნეულდნენ „თანაარსით“, აღმოსავლეთში კი აეციუსმა დაამძიმა საქმის ვითარება (პარახარაქსაას) და არსის მიხედვით არამსგავსი შემოიტანა. საშინელი იყო ორივე [სწავლება]. რადგან პირველნი უწესოდ შეაწნავდნენ ერთობაში მამის და ძის საკუთარ ჰიპოს-

ტასებს[79], ბოროტების სიმით, სახელი „თანაარსით“ შეკრულები. ესენი კი ძის მამისადმი ბუნების სიახლოვეს გაყოფენ არსის მიხედვით არამსგავსის გამონათქვამით[80]. ორივე მხარე ვარდება ურთიერთსაწინააღმდეგო უკიდურესობებში, მაშინ, როცა ჩვენ საკმარისად ნათლად წარმოგვიჩნდება, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოების პყრობა არის ორივეს შუა გამავალი გზა: ძის მამისადმი ჰიპოსტასის მიხედვით მსგავსების თქმა.“ ასე უპასუხეს მაკედონიანელებმა სოფრონის პირით, როგორც ამბობს საბინოსი კრებებათა ოქმების კრებულში. მაგრამ, როდესაც კიცხავენ აეციუსს, როგორც „არამსგავსის“ მოთავეს და არ ეხებიან აკაკიანელებს, ჩანს, ამაოდ ბრძნობენ ჭეშმარიტებაზე და ჰგონიათ, რომ ნაწილობრივ არიანელებსაც განუდგებიან და ნაწილობრივ „თანაარსის“ მიმდევრებსაც. საკუთარი სიტყვებით არიან მხილებულნი, რომ ორივესგან განშორებით შემოიტანეს სიახლე[81]. ეს ითქვა მათ შესახებ.

XI თავი
თუ როგორ ჩამოართვა ქონება ქრისტიანებს იმპერატორმა იულიანემ

იმპერატორი იულიანე პირველ ხანებში ყველას ტკბილად ეპყრობოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ყველას ერთნაირად აღარ აჩვენებდა თავს. იგი მეტად გულმოდგინედ იცავდა კონსტანციუსს ქრისტიანთა ბრალდებებისგან, როდესაც გაჩნდა ცილისწამება მის წინააღმდეგ. მაგრამ სადაც ეს არ იყო, თავის სიძულვილს, რაც მას ჰქონდა ყველა ქრისტიანის წინააღდეგ, ღიად აჩვენებდა ყველას წინაშე. როდესაც ევძოიოსმა ნოვაციანელთა ეკლესია საძირკვლამდე დაანგრია, უბრძანა მისი აგება და უმძიმესი სასჯელი დაადო ადგილობრივ ეპისკოპოსს ელევსიოსს, რომელმაც თავისი ხარჯებით ორ თვეში ვერ დაასრულა მშენებლობა. იგი განამტკიცებდა წარმართობას. მან,

როგორც ითქვა, გახსნა წარმართული ტაძრები, საჯაროდ სასახლეში მსხვერპლს წირავდა კონსტანტინოპოლის მფარველ „ბედისწერას“, სადაც აღმართა „ბედისწერის“ კერპი.

XII თავი
ქალკედონის ეპისკოპოს მარისის შესახებ

იმ დროს ბითვინიის ქალკედონის ეპისკოპოსი, რომელიც ხელით დაჰყავდათ, რადგან სიბერისგან თვალებით იყო დასნეულებული (იპოხისის – კატარაქტა),მრავალგზის მივიდა სასახლეში, დაგმო იგი, ურჯულო, განდგომილი და უღმერთო უწოდა მას. იულიანემ თავი შეურაცხმყოფელი სიტყვებით დაიცვა და მას „ბრმა“ უწოდა და უთხრა: „რატომ არ განგკურნავს შენი გალილეველი ღმერთი?“ იულიანე გალილეველს უწოდებდა ქრისტეს და ქრისტიანებს – გალილეველებს. მაგრამ მარისმა უფრო კადნიერად შეეპასუხა იმპერატორს და უთხრა: „ვმადლობ ღმერთს ჩემი დაბრმავებისთვის, რომ არ დავინახე შენი სახე ასე გადავარდნილი ურჯულოებაში.“ იმპერატორმა არაფერი უპასუხა. მაგრამ ძლიერად შეუტია [მოგვიანებით]. როდესაც დაინახა, რომ დიოკლეტიანეს დროს წამებულებს ქრისტიანები პატივს მიაგებდნენ, მიხვდა, რომ გულმოდგინედ ესწრაფებოდა მრავალი მოწამეობისკენ და ამით ის ქრისტიანობას დაიცავდა, სხვა გზას მიმართა. მან უარი თქვა დიოკლეტიანეს ზეაღმატებულ სისასტიკეზე, თუმცა სრულად არ შეუკავებია თავი დევნისაგან. დევნულებაში ვგულისხმობ დამშვიდებულთა რამენაირად შეშფოთებას. მან შეაშფოთა შემდეგნაირად: კანონით ბრძანა, რომ ქრისტიანები არ ზიარებოდნენ განათლებას. იგი ამბობდა, რომ არ გაემახვილებინათ მათი ენა წარმართთა დიალექტიკისადმი იოლად პასუხის გასაცემად.

XII თავი
შფოთის შესახებ, რაც აღძრეს წარმართებმა ქრისტიანთა წინააღმდეგ

მან ბრძანა, რომ არავის ემსახურა სასახლის გვარდიაში, ვისაც არ სურდა ქრისტიანობის დატოვება და კერპების წინაშე მსხვერპლის შეწირვა; არც პროვინციების მმართველები ყოფილიყვნენ – ამბობდა: „მათი კანონი ბრძანებს, არ გამოიყენოს მახვილი სიკვდილის ღირს დამნაშავეთა წინააღმდეგ.“ იგი მრავალ ხრიკებს და ძღვენს იყენებდა მსხვერპლშეწირვისკენ მოსაქცევად. მაშინ მყისვე ყველასათვის ნათელი გახდა, როგორც ბრძმედში, ვინ იყო ნამდვილი ქრისტიანი და ვინ მხოლოდ ითვლებოდა ასეთად. რადგან მართებული შეხედულების მქონე ქრისტიანები მოშურნედ სწირავდნენ სიცოცხლეს და უმალ ყველაფრის დათმენას ირჩევდნენ, ვიდრე ქრისტეს უარყოფდნენ. მათ შორის იყვნენ იოვიანუსი, ვალენტინიანე და ვალენტი, რომლებიც მოგვიანებით გახდნენ იმპერატორები. მაგრამ სხვები, რომლებიც მართებული შეხედულებით არ იყვნენ ქრისტიანები და ამქვეყნიური ქონება და პატივი ჭეშმარიტ ბედნიერებად შერაცხეს, არ ზრუნავდნენ მსხვერპლშეწირვისგან თავის არიდებაზე. ერთი მათგანი იყო კონსტანტინოპოლელი სოფისტი ეკებოლიოსი. იგი მისდევდა იმპერატორთა წესებს და კონსტანტინეს ზეობისას მგზნებარე ქრისტიანად აჩვენებდა თავს. მაგრამ იულიანეს დროს საშინელ წარმართად წარმოჩნდა და იულიანეს შემდეგ კვლავ ქრისტიანობა მოინდომა: სამლოცველოს კარიბჭესთან პირქვე დაემხო და გაჰყვიროდა: „ფეხი დამადგით უვარგის მარილს.“ ასეთი მერყევი იყო და ადვილად ერგებოდა ვითარებას ეკებოლიოსი წინათაც და შემდეგაც.

იმხანად იმპერატორმა განიზრახა სპარსელებისგან თავი დაეცვა, იმის საპასუხოდ, რაც მათ კონსტანციუსის დროს დაარბიეს რომაული მიწა-წყალი და სწრაფად გაემართა აზიის გავლით

აღმოსავლეთ მხარეში. მან იცოდა, თუ რამდენ ბოროტებას მოიტანდა ომი და თუ რამდენი ფული დასჭირდებოდა, რომლის გარეშე წარმატებას ვერ მოიპოვებდა. ამიტომ, მოიფიქრა, ვერაგულად შეეგროვებინა ფული ქრისტიანებისგან. რადგან მათ, ვისაც არ სურდა მსხვერპლის შეწირვა, ფულადი სასჯელი დაადო. ძლიერი იყო მოთხოვნა ჭეშმარიტი ქრისტიანების წინააღმდეგ, თითოეული მათგანი ქონების შესაბამისად იხდიდა. ასე რომ, იმპერატორი უსამართლო ფულის უსამართლო აკრეფის შემდეგ სწრაფად გამდიდრდა. კანონი მოქმედებდა იქაც, სადაც იულიანე გაივლიდა გზად და იქაც, სადაც არ იმყოფებოდა. წარმართებმა ძლიერ დაარბიეს ქრისტიანები. თავყრილობა შეიქნა მათი, ვინც თავს ფილოსოფოსად უწოდებდა. რაღაც მისტერიებს აღასრულებდნენ, ისე რომ ღვიძლზე მჩხიბაობისთვის მსხვერპლად წირავდნენ უმანკო ყრმებს, მამრებს და მდედრებს, და ხორცსაც კი იგემებდნენ. ამას იქმოდა სხვა ქალაქებშიც, ათენში და ალექსანდრიაში. იქ ათანასეს წინააღმდეგ შეთქმულებებს აწყობდნენ და იმპერატორს აუწყებდნენ, თითქოს იგი ანადგურებდა ქალაქს და მთელ ეგვიპტეს და საჭირო იყო მისი განდევნა ქალაქიდან. მის წინააღმდეგ იმპერატორის ბრძანებით ალექსანდრიის პრეფექტიც აღიძრა.

XIV თავი
ათანასეს გაქცევის შესახებ

ის კვლავ გარბის და ეუბნება მის მეგობრებს: „მოყვასნო, ცოტათი უკან ვიხევთ, რამეთუ ღრუბელი არის და გადაივლის.“ როდესაც ეს თქვა, მაშინათვე როგორც იყო, ისე გაიქცა ნავით ნილოსის გავლით ეგვიპტისკენ. უკან მოსდევდნენ მისი შეპყრობის მოწადინენი. ვინაიდან შეიტყო, რომ შორს არ იყვნენ მისი მდევრები, მისი თანმხლებნი შეაგონებდნენ, უდაბნოში გაქცეულიყო, მაგრამ იგი ბრძნულად მოიქცა და ასე დააღწია თავი მდევნელებ-

ისგან. რადგან იგი ურჩევდა მობრუნებას მდევრებისკენ და შეხვედრას. და ეს სწრაფად მოხდა. როდესაც მდევრების ნავისგან ცოტა მანძილზე იყვნენ გაქცეულები, მდევნელებმა ჰკითხეს ათანასეს თანმხლებ პირებს, სადმე თუ ენახათ ათანასე. მათ აცნობეს, რომ იგი ახლოს იყო და უთხრეს, თუ იჩქარებდნენ, მალე დაეწეოდნენ. ასე შეიცვალეს გზა და ძლიერ მისდევდნენ ამაოდ. ათანასე კი დაუსხლტა და ალექსანდრიაში მალულად ცხოვრობდა, ვიდრე დევნულება არ შეწყდა. ამგვარად, წარმართთა მხრიდან ალექსანდრიის ეპისკოპოსზე მოწევნული ასეთი ბოროტებები ცვლიდა ერთმანეთს მრავალი ქრისტიანული დევნულების შემდეგ. პროვინციის მმართველებმა თავიანთი სარგებლის მოპოვების ჟამად მიიჩნიეს იმპერატორის სარწმუნოება და ხელი მიჰყვეს იმპერატორთა ბრძანებების ქრისტიანთა წინააღმდეგ ბოროტად გამოყენებას. ფულს საჭიროზე მეტს კრეფდნენ. ხდებოდა ესეც, რომ სხეულის ტანჯვასაც მიმართავდნენ. როდესაც ეს შეიტყო იმპერატორმა, არაფრად ჩააგდო და ამის გამო მასთან მოსულ ქრისტიანებს უთხრა: „თქვენ გმართებთ ამ ბოროტად მტანჯველთა მოთმენა, რადგან ეს არის თქვენი ღმერთის მცნება.“

XV თავი
ფრიგიის ქალაქ მეროში იულიანეს ჟამს წამებულთა შესახებ

ფრიგიის პროვინციის ქალაქ მეროში მმართველი იყო ამახიოსი, რომელმაც ბრძანა ადგილობრივი ტაძრის გახსნა, განკარგულება გასცა ჟამთა სვლისგან დაგროვილი მწვირესგან განწმენდა, და მოითხოვა მასში მდგომ კერპებზე ზრუნვა. ამ ამბავმა ძალიან დაამწუხრა ქრისტიანები. ვინმე მაკედონიოსმა, თეოდულემ და ტატიანემ ქრისტიანობის შურით ვერ აიტანეს მწუხარება. სათნოებისადმი განხურვებული გონებით ღამით ტაძარში

შეიჭრნენ და დაამსხვრიეს კერპები. როდესაც მმართველმა ეს შეიტყო, ძლიერ განრისხდა და ესწრაფოდა მრავალი უდანაშაულოს დახოცვას ქალაქში, როდესაც საქმის ჩამდენები თავისი ნებით მივიდნენ მასთან. მათ უმალ სიკვდილი ირჩიეს ჭეშმარიტების გამო, ვიდრე იმის ცოდნა, რომ სხვები დაიხოცებოდნენ მათ ნაცვლად. ისინი შეიპყრო მმართველმა და უბრძანა თავი ემართლებინათ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო მსხვერპლის შეწირვით, ხოლო, ამას თუ არ გააკეთებდნენ, დასჯით დაემუქრა. მაგრამ მათ წრფელი ზრახვა ეპყრათ, არაფრად თვლიდნენ მუქარებს, ყველაფრის დასათმენად მზად იყვნენ; უმალ სიკვდილს ირჩევდნენ, ვიდრე მსხვერპლს შეწირავდნენ. მაშინ ყველანაირი ტანჯვა გამოიყენეს ამ ადამიანებისთვის, ბოლოს, ტაფაზე დასვეს ისინი, ბრძანა ცეცხლის შენთობა და ასე დაიხოცნენ. მათ კი სიმამაცის ესოდენ დიდი რქა (ფორტიტუდინის – სიმტკიცე) აჩვენეს, რომ მმართველს უთხრეს შემდეგი რამ: „ამახიოს, თუ გწადია ხორცის გასინჯვა, გადაგვაბრუნე მეორე მხარეზეც, რათა საჭმელად ნახევრად უმი არ ვიყოთ.“ ამგვარად დაასრულეს მათ სიცოცხლე.

XVI თავი
თუ როგორ აღიძრნენ აპოლინარები ნაშრომების დაწერისთვის, როდესაც იმპერატორმა აუკრძალა ქრისტიანებს ელინური განათლების მიღება

იმპერატორის კანონმა, რომელიც ქრისტიანებს უკრძალავდა ელინურ განათლებასთან ზიარებას, უფრო ნათლად წარმოაჩინა აპოლინარები, რომლებიც წინათაც ვახსენეთ. ორივე მათგანი ლიტერატურის მცოდნე იყო, მამა – გრამატიკის, ძე კი – სოფისტიკის. მათ იმხანად დიდი სარგებელი მოუტანეს ქრისტიანებს. გრამატიკოსმა გრამატიკული ხელოვნება ქრისტიანუ-

ლი წესის მიხედვით შეადგინა; მოსეს წიგნები ეგრეთ წოდებული ჰეროიკული საზომით გადათარგმნა, და რაც კი ძველ აღთქმაში ისტორიულ ჟანრში იყო დაწერილი, ზოგი დაქტილური საზომით შეადგინა, ზოგიც ტრაგედიის წესის დაცვით დრამატულად გადაამუშავა. ყველა საზომის რითმა გამოიყენა, რათა ბერძნული ენის არც ერთი სახეობა არ ყოფილიყო ქრისტიანთათვის უმეცარი. უმცროსმა აპოლინარმა კი, მეტყველებაში კარგად გაწაფულმა, სახარება და სამოციქულო სწავლებები დიალოგის სახით გადმოსცა, როგორც ეს გააკეთა პლატონმა ელინებისთვის. ასე სასარგებლო წარმოჩნდნენ ქრისტიანთათვის და იმპერატორის ხრიკი თავიანთი შრომით დაძლიეს. მაგრამ ღვთის განგებულება მათ ღვაწლზეც და იმპერატორის მცდელობაზეც უფრო ძლიერი აღმოჩნდა. რადგან კანონი არცთუ დიდი ხნის შემდეგ გაუჩინარდა, როგორც ამას აჩვენებს მომდევნო ამბები. და ეს შრომები ისე შეიძლება ჩაითვალოს, რომ თითქოს არც დაწერილა. მაგრამ ზოგიერთი ძლიერ შეგვეწინააღმდეგება და იტყვის: „როგორ ამბობ, რომ ესენი ღვთის განგებულებით მოხდა?“ იმპერატორის სწრაფი აღსასრული ქრისტიანობისთვის რომ სარგებლის მომტანი იყო, ეს ცხადია; მაგრამ აპოლინარების ქრისტიანული ნაშრომების მოშორება და კვლავ ქრისტიანთა მიერ წარმართთა განათლების მიღება, – ეს არ არის ქრისტიანობისთვის სასარგებლო. რადგან საზიანო არის წარმართული განათლება, რომელიც ასწავლის მრავალღმერთიანობას. ამაზე ვიტყვი იმას, რაც ახლა თავში მომივიდა. ელინური განათლება, არც ქრისტესგან, არც მისი მოწაფეებისგან არ ყოფილა მიღებული, როგორც ღვთივშთაგონებული, მაგრამ არც განუგდიათ როგორც საზიანო. ვფიქრობ, ეს არ გაუკეთებიათ წინაგანგების გარეშე. რამეთუ მრავალი ბერძენი ფილოსოფოსი ღვთის შეცნობისგან შორს არ ყოფილა. ისინი ლოგიკური მეცნიერებით მამაცურად შეეპაექრნენ წინაგანგების უარმყოფელთ, როგორიც იყო ეპიკურე, ან სხვა მოკამათენი,

და გააცამტვერეს მათი უსწავლელობა. მათი ნაშრომების მეშვეობით დიდი სარგებელი მოუტანეს ღვთისმსახურების მოყვარულთ. მოძღვრების თავში ვერ ავიდოდნენ, რომ არ ცოდნოდათ თაობებიდან და საუკუნეთაგან დაფარული საიდუმლო ქრისტეს შესახებ[82]. ეს რომ ასე არის, მოციქული გააცხადებს რომაელთა მიმართ ეპისტოლეში, როდესაც ამბობს: „რამეთუ დაფარულია ღვთის რისხვა ცათაგან, იმ ადამიანთა ურჯულოებისა და უსამართლობის გამო, რომლებიც ჭეშმარიტებას უსამართლობით ავიწროვებენ, რადგან ღვთის ცოდნა ცხადი არის მათში. რადგან ღმერთი გაეცხადა მათ. მისი უხილავი [საქმეები] ქვეყნიერების შექმნიდან (დაფუძნებიდან) იხილება მის ქმნილებებში გააზრებადი – მისი მარადიული ძალა და ღმრთეება; რათა ვერ შეძლონ მათ თავის გამართლება, რადგან შეიცნეს მათ ღმერთი და არ განადიდეს როგორც ღმერთი.“ (რომ. 1, 18-21) ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ მათ ჰქონდათ ჭეშმარიტების ცოდნა, რომელი მათ ღმერთმა გაუცხადა. დამნაშავე არიან, რომ იციან ღმერთი და არ განადიდეს, როგორც ღმერთი. ასე რომ, არ უნდა დავაბრკოლოთ ელინთა [თხზულებების] შესწავლა და მათ ნებას უნდა მივანდოთ, რომლებსაც აქვთ ამის სურვილი. ერთი ეს სიტყვა ვთქვით ამ საკითხის შესახებ. მეორე კი არის შემდეგი.

ღვთივშთაგონებული წერილი ასწავლის ჭეშმარიტად საღვთო მოძღვრებებს და საოცრებებს. დიდ კეთილკრძალულებას და მართებულ ცხოვრებას ჩააგონებს მსმენელებს, ღვთივსათნო რწმენას ანიჭებს მისი შესწავლისთვის მოშურნეთ. თუმცა, არ ასწავლის ლოგიკურ ხელოვნებას, რათა შესაძლებელი იყოს მსურველებმა პასუხი გასცენ ჭეშმარიტებასთან მებრძოლებს. მაგრამ მტრები ძლიერ მარცხდებიან, როდესაც კი მათ საჭურველს ვიყენებთ მათ წინააღმდეგ. ეს არ გააჩნდათ ქრისტიანებისთვის დაწერილ იმ თხზულებებს, რომლებიც დაწერეს აპოლინარებმა. სწორედ ეს მიზანი ამოძრავებდა იმპერატორ იულიანეს, როდესაც კანონით განაყენა ქრისტიანები ელინთა

განათლებისგან. რადგან კარგად იცოდა, რომ მითები ადვილად გასაკიცხს გახდიდნენ მის სახელს. მათგან ასევე საბრალდებო განაჩენი იქნა გამოტანილი მათი უდიდესი ფილოსოფოსისთვის, სოკრატესთვის, რადგან მან არაფრად ჩააგდო და დაგმო მათ დემონები. სხვაგვარადაც შეგვაგონებენ ქრისტე და მისი მოციქული, რომ უნდა ვიყოთ გამოცდილი მეკერმენი, რათა ყველაფერი გამოვცადოთ და კეთილი მივიღოთ[83]. გვმართებს, რომ არ წარგვიტაცოს ვინმემ ფილოსოფიითა და ფუჭი სიცრუით[84]. მაგრამ ამას ვერ შევასრულებთ, თუ არ მოვიპოვებთ მოწინააღმდეგის საჭურველს და მოპოვებისას არა თუ მოწინააღმდეგის მსგავსად ვიაზროვნებთ, არამედ კეთილსა და ჭეშმარიტს ვიპყრობთ, ყველაფერს შევიძენთ გამოცდით. რამეთუ სადაც არის მშვენიერი რამ, ის ჭეშმარიტების საკუთრება არის. მაგრამ ვინმემ, რომ არ იფიქროს, თითქოს ძალდატანებით ვამბობთ ამას, განიხილოს, თუ როგორ არა მხოლოდ არ აბრკოლებს ელინურ განათლებაში განსწავლას მოციქული, არამედ წარმოაჩენს, რომ თავად იგიც არ უგულებელყოფს მას, როდესაც მრავალი რამ უწყის ელინთა მიერ ნათქვამი. ასე საიდან იღებს, როცა ასე ამბობს: „კრეტელები მუდამ ცრუობენ, ბოროტი მხეცები, უსაქმური მუცლები“ (ტიტ. 1, 12), მისტერიებში განდობილი კაცის, ეპიმენიდე კრეტელის „ორაკულები“[85] რომ არ წაეკითხა? ან საიდან წაიკითხა – „რამეთუ მისი მოდგმა ვართ“ (საქმე. 17, 28) – თუ არ იცნობდა ატრონომ არატოსის „ფენომენებს“? ასევე ესეც: „ცუდი ურთიერთობები რყვნიან კეთილ ზნეს“ (1 კორ. 15, 33), წარმოაჩენს, რომ მას სმენოდა ევრიპიდეს ტრაგედიების შესახებ[86]? და რატომ უნდა გავაგრძელო სიტყვა? თავიდანვე დაუბრკოლებელი ჩვეულებით წარმოჩნდებიან ეკლესიის მოძღვრები მოხუცებულობამდე ელინურ სწავლებებში გაწვრთნილად: ზოგი მჭევრმეტყველებისა და გონების გავარჯიშების გამო, ზოგი მათი სწავლებების დასაგმობად, რომელთა შესახებაც ისინი ცდებოდნენ. ამგვარად, ეს ითქვა აპოლინარების შესახებ.

XVII თავი
თუ როგორ აპირებდა იმპერატორი სპარსეთში შეჭრას და ანტიოქიაში ყოფნისას მოსახლეობამ დასცინა მას. ამ საბაბით მან შეადგინა თხზულება „წვერთმოძულე“.

იმპერატორმა უამრავი ფული მოაგროვა ქრისტიანებისგან და სპარსელების წინააღმდეგ სწრაფად გაემართა და ჩავიდა სირიაში. როდესაც იგი იქ იმყოფებოდა, მისთვის ძვირფასი ქონების ანტიოქელებისათვის ჩვენების მსურველმა საჭირო იყო თუ არა საქონლის ფასები შეამცირა, ისე რომ არ გაითვალისწინა დრო, არც გაიაზრა, რომ ჩამოსულ მოლაშქრეთა მრავალრიცხოვნება პროვინციის მოსახლეობისათვის მძიმე ასატანი იქნებოდა და ქალაქს განაშორა უშურველობა. ამიტომ, მეკერმეებმა და საქონლით მოვაჭრეებმა ვერ აიტანეს იმპერატორის ბრძანების სიმძიმე და შეწყვიტეს ვაჭრობა. ამის გამო მათ მიატოვეს საქონელი. ანტიოქიელებმა ვერ აიტანეს ასეთი ზეწოლა (რადგან ადამიანები ადვილად აღეგზნებიან შეურაცხყოფისკენ) და დაუყოვნებლივ იმპერატორის წინააღმდეგ წამოვიდნენ, უყვიროდნენ მას და დასცინოდნენ მის წვერს, რომელიც იულიანეს გრძელი ჰქონდა. ამბობდნენ, რომ იკრეჭდა და ბაწარს გრეხდა მისგან; მის მონეტაზე კურო იყო გამოსახული, რაც ქვეყნიერების დაქცევას ნიშნავდა[87]. რამეთუ იმპერატორი მეტად ცრუმორწმუნე იყო, გამუდმებით წირავდა კუროებს კერპების ბომონებს, ამიტომ ბრძანა კუროს ბომონის გამოსახვა მონეტაზე. ამ დაცინვების გამო იმპერატორი განრისხდა და დაიმუქრა, რომ ყველა სახის ბოროტებას დაატეხდა თავს ანტიოქიელთა ქალაქს. ამის შემდეგ იგი კილიკიის ტარსუსში გაბრუნდა და ბრძანა, რომ იქ მოემზადებინათ, რაც საჭირო იყო, წასვლას ჩქარობდა. აქედან

აიღო სოფისტმა ლიბანიოსმა თემა, რომ დაეწერა შუამდგომლობის სიტყვა ანტიოქიელთ გამო და ანტიოქიელებსაც მიწერა იმპერატორის რისხვის შესახებ. მაგრამ სოფისტის მიერ დაწერილი ეს სიტყვები ბევრთან აღარ მოიპოვება. იმპერატორმა თავი დაანება საქმეებით დაესაჯა მისი შეურაცხმყოფელები და დაცინვით უპასუხა დაცინვას, და ამით დაიცხრო რისხვა. მის ნაშრომს უწოდა „ანტიოქიური“, ანუ „წვერთმოძულე“, და დაუტოვა ანტიოქიელთა ქალაქს გრძელი ლაქა. ეს ითქვა მათ შესახებ, მაგრამ ასევე უნდა ითქვას, თუ რა გაუკეთა მაშინ იმპერატორმა ანტიოქიელ ქრისტიანებს.

XVIII თავი
თუ როგორ ეწადა იმპერატორს წინასწარმეტყველების მიღება, მაგრამ დემონმა არ უპასუხა მოწამე ბაბილასადმი[88] კრძალვით

იულიანემ ბრძანა, ანტიოქიაში გაეხსნათ წარმართთა ტაძარი და ეწადა წინასწარმეტყველების მიღებას დაფნაში მყოფი აპოლონისგან. მაგრამ ტაძარში მკვიდრმა დემონმა მეზობლის შიშით, ვგულისხმობ მოწამე ბაბილას, არაფერი უპასუხა. რადგან მახლობლად იყო სამარხი, სადაც მოწამის სხეული იყო დაფლული. ბრძენი იმპერატორი მიხვდა მიზეზს და ბრძანა სამარხის სასწრაფოდ გადატანა. როდესაც ეს შეიტყვეს ანტიოქელმა ქრისტიანებმა, ქალებთან და ყრმებთან ერთად სიხარულითა და ფსალმუნების გალობით დაფნადან ქალაქში გადაიტანეს საფლავი. ფსალმუნები[89] იყო წარმართ ღმერთებზე, მათ მორწმუნეებზე და მათ კერპებზე.

XIX თავი
იმპერატორის გულისწყრომისა და თეოდორე აღმსარებლის შესახებ

მაშინ გაცხადდა იმპერატორის დაფარული ზნე. რადგან ვეღარ შეძლო თავის შეკავება, რომელიც წინათ თავს დებდა ფილოსოფოსობაზე. საგალობლებით გაკიცხვის შედეგად იგი ადვილად ჩავარდა მრისხანებაში და მზად იყო ქრისტიანებს ისე მოპყრობოდა, როგორც დიოკლეტიანეს დროს ეპყრობოდნენ მათ. მაგრამ ვინაიდან სპარსელთა წინააღმდეგ ლაშქრობა არ აძლევდა დროს საამისოდ, მან უბრძანა პრეტორიის პრეფექტს სალუსტიუსს, დასასჯელად შეეპყრა განსაკუთრებით მოშურნე მგალობლები. მაგრამ პრეფექტს, მიუხედავად იმისა, რომ წარმართი იყო, ბრძანება არ ეამა. მან ვერ შეძლო შეპასუხებოდა და მრავალი ქრისტიანი შეიპყრო და ბრძანა ზოგიერთი მათგანის საპყრობილეში დამწყვდევა. მასთან წარმართებმა მოიყვანეს ერთი ყმაწვილი სახელად თეოდორე. მან იგი სხვადასხვა სატანჯველებსა და სასჯელებში გაატარა, და ბრძანა მთელი მისი სხეულის ჩამოფხეკვა. მან ის გაათავისუფლა ტანჯვისაგან, როდესაც იფიქრა, რომ ვეღარ გადარჩებოდა. მაგრამ ღმერთმა იხსნა ეს კაცი. მან დიდი ხანი იცოცხლა ამ აღსარების შემდეგ. ლათინურ ენაზე საეკლესიო ისტორიის მწერალი რუფინუსი ამბობს, რომ იგი ამ ამბის შემდეგ მოგვიანებით შეხვდა ამ კაცს და ჰკითხა, თუ გრძნობდა უდიდეს ტკივილს ცემისა და ტანჯვაწამების დროს. მან მიუგო, რომ ცოტა ხნით ძლიერ მტკივნეული იყო ტანჯვა, მაგრამ მის გვერდით იდგა ერთი ყმაწვილი, რომელიც წმენდდა მას ტანჯვისგან გამოსულ ოფლს, განაძლიერებდა მის სულს და მისთვის ეს უფრო მეტად საამური იყო, ვიდრე ტანჯვისგან მოყენებული ტკივილი. ეს ითქვა საკვირველი თეოდორეს შესახებ.

მაშინ ჩამოვიდნენ სპარსი ელჩები და ითხოვდნენ, რომ ღიად გამოეცხადებინა ომი. მაგრამ მან ისინი უკან გააბრუნა და უთხრა: „მალე ნახავთ მას, ასე რომ, არაფერია სათხოვარი შუამავლობით.“

XX თავი
თუ როგორ შეაგონებდა იმპერატორი იუდეველებს, რომ მსხვერპლი შეეწირათ. აგრეთვე იერუსალიმის სრულქმნის მცდელობის ჩაშლა

იმპერატორი სხვა გზითაც ესწრაფოდა ქრისტიანებისთვის ზიანი მიეყენებინა და გამოააშკარავა თავისი ცრურწმენა. იგი მსხვერპლშეწირვის მოყვარული[90] იყო და არა მხოლოდ თვითონ უხაროდა სისხლი, არამედ სასჯელი დააკანონა, სხვებიც თუ არ გააკეთებდნენ ამავეს. მაგრამ ვინაიდან ასეთები ცოტა ნახა, გადავიდა იუდეველებზე. მათგან გამოიკითხა, თუ რა მიზეზით იკავებდნენ თავს, როდესაც მოსე ბრძანებდა მსხვერპლის შეწირვას? როდესაც მათ მიუგეს, რომ იერუსალიმის გარდა სხვაგან არსად ძალუძდათ მსხვერპლის შეწირვა, ბრძანა სასწრაფოდ აეგოთ სოლომონის ტაძარი. თავად იგი კი სპარსეთში გაეშურა. იუდეველებმა დრო იხელთეს აღესრულებინათ, რაც ძველად ეწადათ, რომ აეგოთ ტაძარი მსხვერპლის შესაწირად, ამიტომ მაშინ გულმოდგინედ შეუდგნენ საქმეს. მაგრამ ქრისტიანებს აშინებდნენ, იკვეხნიდნენ მათ წინაშე და ემუქრებოდნენ, რომ იმას გაუკეთებდნენ მათ, რაც მათ ძველად ევნებოდათ რომაელებისგან. იმპერატორმა ბრძანა სახელმწიფო ხაზინიდან გაეცათ ხარჯის დასაფარად. მათ ყველაფერი გაამზადეს: ხე, ქვა, გამომწვარი აგური, თიხა და კირი, და სხვა, რაც კი საჭირო იყო მშენებლობისთვის.

მაშინ იერუსალიმის ეპისკოპოსმა კირილემ გაიხსენა წინასწარმეტყველი დანიელი, რომელიც ქრისტემაც დაბეჭდა წმინდა სახარებებში, ასევე მრავალთა მიერ იქნა ნაწინასწარმეტყველები, რომ „აწ მოდის ჟამი, როდესაც ქვა ქვაზე არ დარჩება ამ ტაძრისგან," არამედ აღსრულდა მაცხოვრის სიტყვა. ეს თქვა ეპისკოპოსმა. ღამით მოხდა დიდი მიწისძვრა, ამოიყარა ქვები საძირკვლიდან და ყველა მათგანი გაიფანტა გვერდით მდებარე ნაგებობებთან ერთად. მომხდარის გამო შიში დაეცა იუდეველებზე და ამ ადგილის შესახებ ხმამ შორეულ მაცხოვრებლებამდეც მიაღწია. როდესაც იქ იმყოფებოდა მრავალი მათგანი, სხვა საოცრებაც მოხდა. ცეცხლი ჩამოვარდა ციდან და ყველა სამშენებლო იარაღი დაიმტვრა. ასე რომ, ნახავდით დამწვარ ჩაქუჩებს, [ქვების] საპრიალებლებს, ხერხებს, ცულებს, ორლესულ ნაჯახებს, ყველაფერს, რაც კი საჭიროა მშენებლებისთვის. მთელი დღის განმავლობაში ცეცხლი ჰქონდა მოდებული ამ ყველაფერს. იუდეველები უდიდესმა შიშმა მოიცვა და თავისდა უნებურად აღიარებდნენ ქრისტეს და უწოდებდნენ მას ღმერთს. მაგრამ არ აღასრულეს მისი ნება, არამედ დარჩნენ იუდაური შეხედულებებით შეპყრობილები. რამეთუ, არც მოგვიანებით მომხდარმა მესამე სასწაულმა მიიყვანა ისინი ჭეშმარიტების რწმენამდე. ღამის დადგომისას სხივის სახის ჯვრის ბეჭდები გამოისახა მათ მოსასხამებზე. გათენებისას ეწადათ ჩამორეცხვა და ჩამოწმენდა, მაგრამ ვერაფრით ვერ შესძლეს. გაფიცხდნენ, როგორც მოციქული ამბობს, და ხელში ჩავარდნილი სიკეთე გადააგდეს. ამრიგად, აშენების ნაცვლად ბოლოს ასე დაინგრა ტაძარი.

XXI თავი
იმპერატორის სპარსეთში წასვლისა და მისი დაღუპვის შესახებ

იმპერატორი სპარსთა ქვეყანაში შეიჭრა გაზაფხულის დადგომამდე მცირე ხნით ადრე, რადგან იცოდა, რომ სპარსელი ხალხი მეტად დასუსტებული და დაძაბუნებული იყო ზამთარში. ისინი ყინვას ვერ იტანდნენ და ამ დროს არ იბრძოდნენ. ანდაზა იყო გავრცელებული: „მედოსი ხელს არ გამოიღებდა მოსასხამიდან“. მან იცოდა, რომ რომაელებს შეეძლოთ ზამთარში ბრძოლა, ამიტომ გაუშვა ჯარი ამ ქვეყანაში. მრავალი სოფელი, დაბა და ციხესიმაგრე დაანგრიეს და ქალაქებიც დაიპყრეს. როდესაც ისინი შემოეწყვნენ დიდ ქალაქ კტეზიფონს და ალყაში მოაქციეს მეფე, ერთი მეორეს მიყოლებით უგზავნიდა ელჩებს და ევედრებოდა წაედო მისი სამშობლოს რომელიმე ნაწილი, ოღონდ შეეწყვიტა ომი და წასულიყო. მაგრამ მისი სული არ შედრკა, არც მისი ვედრებები შეიწყალა, და არც ეს გამონათქვამი მოაგონდა, რომ „გამარჯვება კარგია, ხოლო ზედმეტ გამარჯვებას შური მოაქვს.“ მას სწამდა რაღაც მჩხიბაობის, რაც მასთან მყოფმა მაქსიმემ წარმოუდგინა, მას ეზმანებოდა ალექსანდრე მაკედონელის დიდების მოხვეჭა, ან მასზე აღმატებაც. ამიტომაც, არ შეისმინა სპარსელთა ვედრებები. იგი ფიქრობდა პითაგორას და პლატონის შეხედულების თანახმად, რომ ალექსანდრე მაკედონელის სული ჰქონდა გარდასხეულებული[91]. ამ რწმენამ შეიყვანა შეცდომაში და განაწყო იგი ისე, რომ არ მიიღო სპარსელების თხოვნა. როდესაც სპარსთა მეფემ შეიტყო, რომ უშედეგო იყო მისი ელჩობა, იძულებული გახდა, რომ ელჩობის გაგზავნიდან მეორე დღეს მთელი მისი ძალები დაეპირისპირებინა რომაელთა ჯარისთვის. რომაელები კიცხავდნენ იმპერატორს, რომ არ ისარგებლა და ომი თავიდან არ აიცილა, თუმც წინ აღუდგნენ მტერს და მოწინააღმდეგე მყისვე უკუაქციეს.

იმპერატორი ცხენზე იყო ამხედრებული და ამხნევებდა ჯარს, მაგრამ უსაჭურვლოდ იყო მხოლოდ კეთილი ბედისწერის იმედით გაკადნიერებული. მაგრამ უჩინარმა ვინმემ ისარი გაუშვა მის წინააღმდეგ და მხრის გავლით ფილტვში განგმირა. ამ ჭრილობისგან იგი დაიღუპა, ისე რომ უცნობი იყო მისი მკვლელი. ზოგი ამბობდა, რომ სპარსთა მხრიდან გადმოსულმა ესროლა, ზოგი კი ამბობდა, – მისმა ჯარისკაცმა, როგორც ბევრგან არის ხმა გავრცელებული. მაგრამ კალისტოსი, რომელიც იმპერატორთან დაახლოებულ პირებთან ერთად ლაშქრობდა, მოგვითხრობს მის შესახებ ამბებს ჰეროიკული საზომით და ამბობს, რომ დემონის მიერ ნატყრცნმა ისარმა მოკლა იგი. შესაძლოა, ეს არის პოეტურად შეთხზული, შესაძლოა, ასეც იყო. რადგან მრავალი დაღუპეს ერინიებმა. მაგრამ, როგორიც არ უნდა ყოფილიყო მისი დაღუპვის მიზეზი, ეს კი ცხადი შეიქნა, რომ ეს კაცი მისი გულისთქმის გამო არცთუ უსაფრთხოდ იყო, მაღალი განათლების გამო – პატივმოყვარე, პირფერული ზნეობის გამო ადვილად იწვევდა უპატივცემლობას. როგორც ვთქვით, იულიანე აღესრულა სპარსთა ქვეყანაში მისი კონსულობის მეოთხე თვეს, რომელიც მას მინიჭებული ჰქონდა სალუსტიუსთან ერთად, დაახლოებით ივნისის თვის თექვსმეტში. ეს იყო მისი ზეობის მესამე წელი, ხოლო მას შემდეგ, რაც კონსტანციუსმა კეისრად დაადგინა მერვე წელი, დაბადებიდან კი ოცდათერთმეტი წელი.

XXII თავი
იოვიანუსის იმპერატორად გამოცხადების შესახებ

უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილმა ჯარისკაცებმა არ დაახანეს და მეორე დღეს იმპერატორად გამოაცხადეს იოვიანუსი, კაცი მამაცი და წარმომავლობითაც წარჩინებული. იგი ათასის-

თავი იყო, როდესაც იულიანემ კანონით არჩევანის გაკეთება შესთავაზა ჯარისკაცებს: ან მსხვერპლი შეეწირათ, ან უარი ეთქვათ ჯარისკაცად მსახურებაზე. იოვიანუსმა უმალ სიცოცხლის დათმობა ირჩია, ვიდრე უღმერთო იმპერატორის ბრძანების შესრულება. მაგრამ იულიანეს იგი სარდლად ჰყავდა ომში საჭიროების გამო. როდესაც იგი აირჩიეს იმპერატორად, მან უარი განაცხადა, ჯარისკაცებმა ძალით გამოათრიეს. მან შესძახა: „არ მსურს მათზე მეფობა, რომლებმაც წარმართობა აირჩიეს, როცა მე თავად ქრისტიანი ვარ.“ მაშინ ყველამ ერთობლივად შესძახა და აღიარა, რომ ისინიც ქრისტიანები იყვნენ. ამიტომ, მან მიიღო ძალაუფლება და, როდესაც მოულოდნელად სპარსეთში განსაცდელში იმყოფებოდნენ და ჯარისკაცები შიმშილით იხოცებოდნენ, ზავით შეწყვიტა ომი. თუმცა, რომაელთა აზრით, ეს ზავი მიუღებელი იყო, მაგრამ ვითარებიდან გამომდინარე – აუცილებელი. რადგან დათმეს სირიის მმართველობა, სპარსელებს გადასცეს შუამდინარეთში მდებარე ქალაქი ნისიბისი და დატოვეს იგი. როდესაც ეს ამბავი გავრცელდა, ქრისტიანები გამხნევდნენ, წარმართებმა კი გლოვა გამართეს იულიანეს აღსასრულის გამო. მაგრამ ყველა ჯარისკაცი კიცხავდა მის წინდაუხედავ მგზნებარებას და საზღვრების დათმობას მას აბრალებდნენ, სპარსი გამცემის მიერ რომ მოტყუვდა და მდინარეზე სანოვაგით დატვირთული ხომალდები გადაწვა, რის გამოც შიმშილობა ჩამოვარდა ჯარში.

იმ დროს იულიანეზე სამგლოვიარო სიმღერა შეადგინა სოფისტმა ლიბანიოსმა,რომელიც წააწერა იულიანეს საფლავზე. ამ თხზულებაში თითქმის ყველაფერი, რაც მასთან არის დაკავშირებული მისი შესხმით და ქებით არის მოთხრობილი. იგი ახსენებს წიგნებს, რომლებიც იულიანემ ქრისტიანთა წინააღმდეგ შეადგინა და თუ როგორ წარმოაჩენდა მათში ქრისტიანთა წიგნებს, როგორც სასაცილოს და სისულელეს. იმპერატორის სხვა საქმეებსაც თუ აქებს სოფისტი, დუმილით გადავიდეთ ჩვე-

ნი ისტორიის თხრობაზე. ვინაიდან როგორც ძლიერი რიტორი იულიანეს წიგნების ხსენებას ქრისტიანობას უკავშირებს, ამიტომ ჩვენც ვირჩიეთ გვეთქვა ცოტა რამ მათ შესახებ. პირველად გადმოვეცით მისი სიტყვები.

XXIII თავი
სოფისტ ლიბანიოსისადმი შეპასუხება იულიანესთან დაკავშირებით

ლიბანიოსი წერს[92]: „როდესაც ზამთარი დადგა და ღამეები გადიდდა, იმპერატორმა შეუტია წიგნებს, რომლებიც ერთ პალესტინელ კაცს ღმერთად და ღვთის შვილად აცხადებს, მან დიდი ბრძოლით და მხილების ძალით სასაცილოდ და სისულელედ წარმოაჩინა მათი თაყვანისცემა; მათ'ში იგი მოხუც ტირიოსზე უფრო ბრძენი გამოჩნდა. ტირიოსი გაიხარებდა და კეთილგანწყობით მიიღებდა მის სიტყვებს, როგორც მის ძის მიერ დამარცხებული.“ ეს არის ლიბანიოსის სიტყვები. მე ვიტყვი, რომ იგი საუკეთესო სოფისტი იყო, ვიცი, რომ სარწმუნოებაში იმპერატორის თანამოაზრე რომ არ ყოფილიყო, მას არ ეტყოდნენ იმ ყველაფერს, რამდენი რამეც მის წინააღმდეგ თქვეს ქრისტიანებმა, და როგორც სოფისტის წესია, განადიდებდა ნათქვამს. როდესაც კონსტანციუსი ცოცხალი იყო, მისი ქება დაწერა, მაგრამ გარდაცვალების შემდეგ შეურაცხყოფით აღსავსე ბრალდებები გადმოღვარა. პორფირი რომ ყოფილიყო იმპერატორი, იგი მის წიგნებს ამჯობინებდა იულიანესას. ასევე იულიანე რომ ყოფილიყო სოფისტი, იტყოდა, რომ იგი ცუდი სოფისტია, როგორც ამბობს ეკებოლიოსი იულიანეს ეპიტაფიაში. მას შემდეგ, რაც მან, როგორც მისმა თანამოაზრემ, სოფისტმა და იმპერატორის მეგობარმა, რაც კი სურდა, გვიამბო, ჩვენც შეძლებისდაგვარად ვუპასუხებთ მის მიერ დაწერილს. პირველად იგი ამბობს, რომ

შეუტია [ქრისტიანთა] წიგნებს მაშინ, როდესაც ზამთარში ღამეები გადიდდა. იგი შეტევას უწოდებს იმას, რომ იღვაწა გაკიცხვის დასაწერად, როგორც ეს არის სოფისტების წესი ყმაწვილთა სახელმძღვანელოებში. რადგან ადრე შეისწავლა ეს წიგნები, მაგრამ მხოლოდ მაშინ შეუტია. და დიდი ბრძოლა გამართა, არა როგორც ლიბანიოსი ამბობს,„მხილების ძალით“, არამედ სიმართლის ნაკლებობით და თავის [წიგნებში] კარგად დასცინა, როგორც მასხარაობის მოყვარულმა. ყველა, ვინმესთან მებრძოლი, ხან რყვნის ჭეშმარიტებას, ხანაც მალავს და აყალბებს მის შესახებ [ცნობებს[, ვისთანაც ბრძოლაში არის ჩართული. ვინმესთან მტრულად განწყობილი არა მხოლოდ ყველაფერს იქმს როგორც მისი მოწინააღმდეგე, არამედ მის საწინააღმდეგოს თქმასაც ესწრაფვის. მის მრავალ უკეთურებას მას მიაწერს, ვისაც მტრობს. ის, რომ იულიანეც და პორფირიც, რომელსაც ტირიელს უწოდებს, მასხარაობის მოყვარულნი იყვნენ, ეს მათივე თხზულებებიდან ჩანს. პორფირიმ ფილოსოფოსთა შორის უდიდესის, სოკრატეს ცხოვრებას დასცინა მის მიერ დაწერილ „ფილოსოფიის ისტორიაში“. მან მის შესახებ დაწერილ თხზულებაში ისეთი რამ დაწერა, რისი თქმაც ვერ გაბედეს სოკრატეს ბრალმდებლებმა მელიტონმა და ანიტოსმა. სოკრატეს ვამბობ, რომელიც ელინებთან პატივცემული იყო სიბრძნის, სამართლიანობისა და სხვა სათნოებების გამო. მათ შორის პატივცემული ფილოსოფოსი პლატონი[93], ქსენოფონე და ერთი ფილოსოფოსთა თაყვანისმცემელი მას არა მხოლოდ როგორც ღვთივსათნო კაცს მიაგებენ პატივს, არამედ ადამიანზე აღმატებულად მოაზროვნედაც მიიჩნევდნენ. იულიანეს კი მისი „მამის“ შური ჰქონდა და საკუთარი ვნება კეისრებზე გამოააშკარავა: მის წინარე ყველა იმპერატორს დასცინოდა, არც ფილოსოფოსი მარკუსი[94] დაინდო. მათივე სიტყვებიდან ჩანს, რომ ორივე დაცინვის მოყვარული იყო. საჭირო არ არის მრავალი ძლიერი სიტყვების მოყვანა, არამედ ეს გამოამჟღავნებს მათი ჩვევების მიდრეკილე-

ბას. ასე რომ, მე ორივე თხზულებიდან ეს დავიმოწმე მათი ჩვევების შესახებ და ვწერ შემდეგს. მაგრამ თუ რა თქვა იულიანეს შესახებ გრიგოლ ნაზიანზელმა, მისივე თხზულებებიდან მოისმინეთ. მან „წარმართების მიმართ“ მეორე სიტყვაში[95] სიტყვა-სიტყვით თქვა შემდეგი:

„გამოცდილებამ ნათელი ეს მოვლენები სხვებისთვის და ძალაუფლებამ თავისუფალი გახადა იგი. მაგრამ მე ეს შორიდანაც დავინახე რაღაცნაირად, იმ დროიდან მოყოლებული, რაც დავუახლოვდი ამ კაცს ათენში. იგი იქ ჩამოვიდა მაშინათვე, რაც მის ძმასთან დაკავშირებით გადატრიალება იყო მომხდარი, როდესაც მან იმპერატორობა მოითხოვა. მისი ჩამოსვლის მიზანი ორი სახის იყო. ერთი კეთილშობილური საბაბი იყო, რომ ეხილა საბერძნეთი და იქაურ განათლებას გაცნობოდა. მაგრამ მეორე უფრო დაფარული იყო და მრავალთათვის უცნობი: იქ მსხვერპლშეწირვებითა და სიცრუით მასთან დაკავშირებული მომავალი შეეტყო, – ჯერ არ ჰქონდა უღმერთობის გაცხადების გამბედაობა. მაშინაც ვიყავი ამ კაცის ცუდი წინასწარმეტყველი, თუმცა არ ვარ ერთი იმათგანი, ვისაც ეს კარგად ეხერხება. მაგრამ მისნად მაქცია მისი ხასიათის არამდგრადობამ და აღტაცებულობის სიჭარბემ, თუკი „საუკეთესო მისანი ის არის, ვინც კარგად გამოთქვამს ვარაუდს“. რადგან ჩემი აზრით კარგის მაუწყებელი არ იყო მერყევი მზვაობრობა, მხრების ხშირ-ხშირად აჩეჩვა და დაწევა, თვალის სწრაფი ხამხამი და ტრიალი, შლეგური გამოხედვა, ფეხის აშლა და ქანაობა, ქედმაღლობით და ზიზღით დაბერილი ნესტოები; დამცინავი სახის გამომეტყველება; თავშეუკავებელი და ფეთქებადი სიცილი; თავის დაკვრა ყოველგვარი სიტყვის გარეშე; მერყევი მეტყველება და სუნთქვის შეკავება; უწესრიგო და უაზრო შეკითხვები, პასუხები კი – არაფრით უკეთესი, ერთმანეთში არეული, არც მდგრადი, არც განათლების წეს-რიგის წარმომჩენი. რატომ ვწერ ამ ყველაფერს ასე დაწვრილებით? ისეთი რამ დავინახე საქმემდე, რაც

საქმემ გამოაჩინა. ვინც ჩემ გვერდით იმყოფებოდა იმ დროს და მისმენდა, კარგად დაამოწმებს, თუ როგორ ვთქვი მყისვე, როცა კი ეს ვიხილე: „ეს რა გამოკვება რომმა მის საუბედუროდ.“ ეს ვიწინასწარმეტყველე და ვილოცე, რომ ცრუმისანი გამოვსულიყავი. რადგან ეს უმჯობესი იყო, ვიდრე მსოფლიოზე დატეხილი ეს უბედურებები და ასეთი ჯერ ურჩხულის გაჩენა, როგორიც ჯერ არ მოსწრებია ქვეყნიერებას, როდესაც მრავალი წყალდიდობა ყოფილა, მრავალი ხანძარი, მიწის რყევა და გაპობა; გარდა ამისა არაადამიანური და მხეცისსახე კაცები, უცნაური და შერეული ბუნების სიახლეები. ამგვარად დადგა ამ გონებაცთომილების ღირსეული დასასრული.“

ეს მოგვითხრო გრიგოლმა იულიანეს შესახებ. როდესაც ქრისტიანთა წინააღმდეგ მრავალი თხზულება დაიწერა და სცადეს სიმართლეზე ძალადობა, ზოგიერთმა წმინდა წერილი დაამახინჯა, თავის თავს მიაწერა ზოგი რამ, ყველაფერი საკუთარ მიზანს დაუქვემდებარეს; მრავალმა შეუტია, დაამხეს და ამხილეს მათი სოფიზმები. მაგრამ ყველაზე უწინ ორიგენემ, რომელიც იულიანეზე დიდი ხნით ადრე ცხოვრობდა, თვითონ გამოიტანა ის ადგილები, რომლებიც თითქოს აშფოთებდა წმინდა წერილის მკითხველთ, მან ისინი განმარტა და უღირს კაცთა ფუჭი სოფისტობა უკუაგდო. იულიანეს და პორფირის რომ ზედაპირულად არ წაეკითხათ [წმინდა წერილი], კეთილგანწყობით მიიღებდნენ მას, ყველანაირად სხვა აზრებისკენ მიიქცეოდნენ და შეუდგებოდნენ ღვთისმგმობელი სოფიზმების წერას. ის, რომ იმპერატორი დასაცინად წერდა თხზულებებს გაუნათლებელი და ლიტონი ადამიანებისთვის და არა მათთვის, რომლებსაც ეპყრათ წმინდა წერილისგან აღებული ჭეშმარიტების სახე[96], ნათელია მისი შემდეგი საქციელიდან. იგი იღებდა გამონათქვამს [წმინდა წერილიდან], რომელიც საჭიროების გამო ღვთის შესახებ ადამიანური განგებულებითად არის დაწესებული, მრავალ რამეს დაუმატებდა და ბოლოს სიტყვასიტყვით დასძენ-

და შემდეგს: „ეს სიტყვა რაიმე დაფარულ ხედვას თუ არ შეიცავს, როგორც მე ვგონებ, ღვთის გმობის მრავალი აზრით არის აღსავსე.“ ეს სიტყვები ქრისტიანების წინააღმდეგ მესამე წიგნში აქვს ნათქვამი. ხოლო მის თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „ცინიკოსების შესახებ[97]“, გვასწავლის, თუ როგორ უნდა შევთხზათ წმინდა ამბები (მითები). იგი ამბობს, რომ ასეთი გამონათქვამების ჭეშმარიტი [შინაარსი] უნდა დავფაროთ და ამ გამონათქვამებზე სიტყვასიტყვით ამბობს შემდეგს: „რამეთუ ბუნებას უყვარს დაფარვა; და ღმერთების არსის დაფარული არ უნდა წარმოვაჩინოთ შიშველი სიტყვებით და მივუგდოთ განუწმენდელ ყურს.“ აქედან ჩანს, იმპერატორი ეჭვობდა, რომ ეს საიდუმლო სიტყვები იყო და დაფარულ რამ ხედვას შეიცავდა. მაგრამ იგი აღშფოთებული იყო, რომ ყველას არ გააჩნდა იგივე ეჭვი და უტევდა მათ, რომლებიც ქრისტიანთა შორის მარტივად იღებდა ამ გამონათქვამებს. მაგრამ მას არ უნდა შეეტია მრავალი ლიტონი ადამიანისათვის, არც ექადა მათ გამო წმინდა წერილის წინააღმდეგ, არ უნდა შეძულებოდა და განდგომოდა მშვენივრად მის მიერ გააზრებულს, ყველა რომ იმავეს არ ფიქრობდა, როგორც მას სურდა. მაგრამ აწ, ბუნებრივია, მას პორფირის მსგავსად ევნო. რადგან პორფირიმ დარტყმა მიიღო პალესტინის კესარიაში ზოგიერთი ქრისტიანისგან, ვერ აიტანა რისხვა და დათრგუნულობის გამო მისი მგვემელის სიძულვილით დატოვა ქრისტიანობა, გადავარდა ქრისტიანთა წინააღმდეგ გმობაში, როგორც იგი ამხილა ევსები პამფილელმა და განაქიქა მისი თხზულებები. იმპერატორი უსწავლელი ბრბოს წინაშე გამოდიოდა ქრისტიანების წინააღმდეგ და იმავე ვნებით პორფირის გმობაში ჩავარდა. ასე რომ, ორივე მათგანი ნებაყოფლობით ჩავარდნენ უღმერთობაში და ცოდვის ცოდნით სასჯელს იმსახურებენ. ვინაიდან სოფისტი ლიბანიოსიც დასცინოდა და ამბობდა: „ერთ პალესტინელ კაცს ღმერთად და ღვთის შვილად მიიჩნევენ“, – ვფიქრობ, სრულიად დაავიწყდა მას, რომ თავად

მისი სიტყვის დასასრულ იულიანე გააღმერთა (აპეთეოსე). იგი ამბობს: „პირველი მაცნე თითქმის სასიკვდილოდ ჩაქოლეს, როგორც ღმერთზე სიცრუის მთქმელი.“ შემდეგ ცოტა ქვემოთ ამბობს: „ო, დემონების მიერ გამოზრდილო, დემონების მოწაფევ, დემონების გვერდით მჯდომო!“ თუნდაც ისიც სხვაგვარად იაზრებდა ამას, მაგრამ ცუდთან სიტყვებით მსგავსებას ვერ გაექცა და ჩანს იმავეს ამბობს, რის გამოც ქრისტიანებს კიცხავდა. ასე რომ, თუ მის ქებას განიზრახავდა, უნდა გაქცეოდა სიტყვების ბუნდოვანებას, რასაც თავი აარიდა სხვა სიტყვით, რის გამოც გაიკიცხა და განაგდო საკუთარი სიტყვები. როგორც ქრისტესთან დაკავშირებით ადამიანი იღვთისმეტყველება და როგორც ცხადად ადამიანი იყო, ხოლო დაფარულად ღმერთი, როგორც არის სინამდვილეში ორივე, ასე ასწავლის ქრისტიანთა საღვთო სიტყვები. ელინებს არ ძალუძთ შეიცნონ, სანამ არ ირწმუნებენ. რადგან ნათქვამი არის: „თუ არ ირწმუნებთ, ვერ შეიგნებთ“ (ეს. 7, 9). ამიტომ, არ რცხვენიათ, რომ მრავალ ადამიანს აღმერთებენ და ნეტავ კეთილი ცხოვრების ადამიანებს, ან სამართლიანებს, ან ბრძენებს, არამედ უგუნურებს, უსამართლოებს, სასმელს დამონებულებს, – ჰერაკლეს, დიონისეს და ასკლეპიოსს ვგულისხმობ, რომელთა სახელის დაფიცება არ რცხვენია ლიბანიოსს მის თხზულებებში, რომელთა მამაკაცურ და ქალურ ტრფიალს თუ აღვრაცხავთ, ძალიან დაშორდება სიტყვა ჩვენს თემას. მაგრამ ამის ცოდნა ვისაც სურს, საკმარისი იქნება არისტოტელეს პეპლოსი, დიონისეს გვირგვინი, რიგინიოსის „პოლიმნემონი“ და პოეტთა მთელი სიმრავლე, რომლებიც მათ შესახებ წერდნენ. ამ თხზულებებიდან ჩანს, რომ ისინი სასაცილო და ყბედი იყვნენ ელინური ღვთისმეტყველების ყველა სააშკარაოზე გამომტანისთვის. მცირედის გახსენება იკმარებს იმის საჩვენებლად, რომ ელინები იოლად აღმერთებდნენ ადამიანებს. განსაცდელით მოცულ როდოსელებს მიეცა წინასწარმეტყველება, რომ ფრიგიელი ატისისთვის ფრიგიაში მდებარე შლეგური მისტერიის ტა-

ძარში ეცათ თაყვანი. წინასწარმეტყველება იყო შემდეგი:

„დაამწყალობეთ ატისი, დიდი ღმერთი, უბიწო ადონისი,
სვე-ბედნიერი და ბედნიერების მომნიჭებელი,
ლამაზად თმადაწნული დიონისე.“

მისანი ადონისს და დიონისეს უწოდებს ატისს, რომელმაც ტრფიალის ჟინით დაისაჭურისა თავი. როდესაც მაკედონელთა მეფე ალექსანდრე აზიაში ლაშქრობდა, ამფიკტიელებმა მისი გული მოიგეს და პითიამ წარმოთქვა:

„თაყვანი ეცით ღმერთების გამრიგე ზევსს და
სამგზის შობილ ათენას,
რომელიც შეჭმული და სხეულში დაფარული კვლავ
ამოვიდა, რომელიც ზევსმა საუკეთესო შობით შვა[98];
მოკვდავთა სამართლიან შემწეს, მეფე ალექსანდრეს.“

ეს იწინასწარმეტყველა პითიაში დემონმა, რითაც ასევე პირფერულად გააღმერთეს მმართველები. ესეც მსგავსადვე პირფერულად გააკეთეს. რას იტყვიან, როდესაც მოკრივე კლეომედე გააღმერთეს და მის შესახებ ეს ორაკული წარმოთქვეს:

„გმირთა შორის უკანასკნელი, კლეომედე ასტიპალიევსს
მსხვერპლებით მიაგეთ პატივი, რათა არროდეს მოკვდეს.“

ამ ორაკულის გამო დაგმეს აპოლონის პითია დიოგენე ცინიკოსმა და ოინომაოს ფილოსოფოსმა. კიზიკელებმა კი ადრიანე მეცამეტე ღმერთად გამოაცხადეს. თვითონ ადრიანე ანტინოოსმა თავის თავზე შეყვარებულმა გააღმერთა საკუთარი თავი. ამას სასაცილოს და სისულელეს არ უწოდებს ლიბანიოსი, მიუხედავად იმისა, რომ იცნობდა ამ ორაკულებს და ერთ ტომად დაწერილ წიგნს, რომელიც ადრიასმა მიუძღვნა ალექსან-

დრეს ცხოვრებას, არ შერცხვა და პორფირი იმავენაირად გააღმერთა. რადგან თქვა: „გაუხარდებოდა ტირიოსს და იმპერატორის წიგნებს ამჯობინებდა მისას.“ ეს სოფისტის გასაკიცხად გაკვრით საკმარისად ითქვა. ვფიქრობ, ეს ცალკე თემას უნდა დავუტოვოთ. ჩვენ კი განვაგრძოთ ჩვენი თხრობა.

XXIV თავი
თუ როგორ მოადგნენ ყველა მხრიდან ეპისკოპოსები იოვიანუსს: თითოეული მათგანი იმედოვნებდა, რომ თავის რწმენაზე გადაიბირებდა მას

როდესაც იმპერატორი იოვიანუსი სპარსეთიდან დაბრუნდა, კვლავ აღიძრა ეკლესიის საქმეები. ეკლესიათა წინამდგომლები მისკენ მიიჩქარობდნენ და თითოეული მათგანი მოელოდა იმპერატორის საკუთარ რწმენაზე დათანხმებას. მაგრამ იგი თავიდანვე „თანაარსის“ მრწამსს ემხრობოდა, ამას ყველას წინაშე ღიად მიანიჭა უპირატესობა. მან წერილების მეშვეობით დაამტკიცა ალექსანდრიის ეპისკოპოსად ათანასე, რომელმაც იულიანეს გარდაცვალების შემდეგ მაშინათვე იპყრა ალექსანდრიელთა ეკლესიის მართვის სადავეები. ამ წერილებით კი უფრო გამხნევდა და ყოველგვარი შიშისგან გათავისუფლდა. იმპერატორმა გამოიხმო კონსტანციუსის მიერ გადასახლებული ეპისკოპოსები, რომლებიც ვერ მოესწრნენ იულიანეს მიერ დაბრუნებას. იმხანად ყველა წარმართული ტაძარი დაიხურა. წარმართები კი სხვადასხვაგვარად სხვადასხვა ადგილებში დაიმალნენ. პალიუმით შემოსილმა ფილოსოფოსებმა[99] გაიხადეს პალიუმი და ჩვეულებრივი სამოსელით შეიმოსნენ. შეწყდა ასევე მათ მიერ საჯაროდ სისხლიანი მსხვერპლის წირვა, რასაც იულიანე გადაჭარბებულად მიმართავდა.

XXV თავი
თუ როგორ შეიკრიბნენ მაკედონიოსის თანამოაზრენი და აკაკის მომხრეები ანტიოქიაში და დაამტკიცეს ნიკეაში მიღებული მრწამსი

და მაინც, არ დაწყნარდნენ ქრისტიანები. სხვადასხვა მრწამსის მქონე დაჯგუფებების წინამდგომლები[100] მიდიოდნენ იმპერატორთან და ეგონათ, რომ მისგან მიიღებდნენ კადნიერებას მათ წინააღმდეგ, ვისაც თავიანთ მტრებად თვლიდნენ. პირველად მაკედონელები მივიდნენ, წიგნი მიართვეს და სთხოვეს ეკლესიებიდან გამოეძევებინათ ისინი, ვინც განაჩინეს სწავლება „არამსგავსის“ შესახებ[101], და მათ ნაცვლად ისინი შესულიყვნენ ეკლესიაში. თხოვნის წიგნი გადასცეს: ბასილი ანკვირელმა, სილბანოს ტარსელმა, სოფრონ პომპეოპოლელმა, პასინიკე ზელელი[102], ლეონტი კომანელი, კალიკრატე კლავდიოპოლელი, თეოფილე კასტაბალელი. როდესაც იმპერატორმა მათგან მიიღო წიგნი, უპასუხოდ გაუშვა უკან ისინი, მხოლოდ ეს უთხრა: „მე მძაგს ქიშპობა, ხოლო მათ, ვინც მიმართავს ერთსულოვნებას, მიყვარს და პატივს მივაგებ.“ როდესაც ამან სხვების ყურამდეც მიაღწია, დააცხრო მოქიშპეთა დაპირისპირება და ეს მოხდა იმპერატორის განზრახვისაებრ. რადგან მაშინ გამოაშკარავდა აკაკის მომხრეთა ქიშპობის სახე და ცხადად გამოჩნდა, თუ როგორ მუდამ იხრებოდნენ იმპერატორების მხარეზე. ისინი შეიკრიბნენ სირიის ანტიოქიაში და მოსალაპარაკებლად მივიდნენ მელეტისთან, რომელიც ცოტა ხნის წინათ გამოეყო მათ და „თანაარსის“ მოძღვრებას შეუერთდა. ასე მოიქცნენ, რადგან დაინახეს, რომ იმპერატორი პატივს მიაგებდა მას, როდესაც იქ იმყოფებოდა. ერთობლივად შეადგინეს წიგნი, აღიარეს „თანაარსი“, დაამტკიცეს ნიკეის მრწამსი და მიუტანეს იმპერატორს. ეს წიგნი არის შემდეგი სახის:

„უაღრესად ღვთისმოსავ და ღვთივსათნო მეუფეს ჩვენსას, მძლე ავგუსტუსს, იოვიანუსს, სხვადასხვა პროვინციებიდან ანტიოქიაში ჩამოსულ ეპისკოპოსთა კრება.

უღვთივსათნოესო იმპერატორო, თავადაც კარგად ვუწყით, თუ როგორ მოშურნედ შუამავლობდა წინათაც შენი კეთილმსახურება საეკლესიო მშვიდობისა და ერთსულოვნებისათვის. მაგრამ არც იმის უმეცარი გახლავართ, რომ თავი ასეთი ერთობისა არის ჭეშმარიტი და მართლმადიდებელი მრწამსის კეთილად შეწყნარებული სახე[103]. აწ რომ არ შეგვრაცხო ჭეშმარიტების მოძღვრების შემრყვნელთა რიგებში, შენს კეთილკრძალულებას მივართმევთ, რომ ნიკეაში გამართული წმინდა კრების მიერ წინათ დამტკიცებულ მრწამსს ვღებულობთ კიდეც და გვიპყრია. მასში მოხსენიებული ზოგიერთებისთვის უცხო გამონათქვამს, ვგულისხმობთ „თანაარსს“, უსაფრთხოდ ვკითხულობთ მამების განმარტებით, რომელიც აღნიშნავს, რომ მამის არსისგან იშვა ძე და რომ არსის მიხედვით არის მამის მსგავსი. მაგრამ არც რაიმე ვნებას გავიაზრებთ ენითუთქმელ შობაზე, არც წარმართული რამ გამონათქვამის მიხედვით ვიღებთ მამისთვის არსის სახელს, არამედ „არარადან“ [ძის წარმოშობის] დასამხობად, რომლის თქმაც ქრისტეს შესახებ ურჯულოდ გაბედა არიოზმა, რასაც ახლა ასწავლიან „ანომიელები“, რომლებიც ურცხვად, თამამად და თავხედურად კადნიერდებიან საეკლესიო ერთსულოვნების გასანადგურებლად. ამიტომ, შევადგინეთ ჩვენი ეს მიმართვა და ნიკეაში ეპისკოპოსთა მიერ დამტკიცებული მრწამსის გადმოცემის ასლი, რომელიც ჩვენც გვიჭვარს და რომელიც არის შემდეგი: „გვწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისმპყრობელი,“ და სიმბოლოს დანარჩენი ნაწილი. თანხმობა მივეცით ზემოდაწერილს. ანტიოქიის ეპისკოპოსი მელეტი, ევსები სამოსატელი, ევაგრი სიცილიელი, ურანიუს აპამიელი, ზოილოს ლარისელი, აკაკი კესარიელი, ანტიპატროს როსელი,

აბრაამ ურიმელი, არისტონიკე ბელის სელევკიიდან, ვარლაამ პერგამოსელი, ურანიუს მელეტინელი, მაგნუს ქალკედონელი, ევტიქი ელევთეროპოლელი, ისაკოკისი დიდი სომხეთიდან, ტიტე ბოსტრელი, პეტრე სიპელი, პელაგი ლაოდიკიელი, არაბიანოს ანტრელი, პისო ადანელი ხუცეს ლამიდრიონის მეშვეობით, სიბიანოს ძევგმატელი, ათანასე ანკვირელი ხუცესების, ორფიტოსის და აეციოსის მეშვეობით, ირინეოს ღაზელი, პისოს ავგუსტელი, პატრიკიოს პალტუსელი ხუცეს ლამიდრიონის მეშვეობით, ანატოლი ბეროელი, თეოტიმე არაბი, ლუკიანე არკელი.“

ეს წიგნი საბინოსის მიერ დაწერილ კრებათა ოქმების კრებულში აღმოვაჩინეთ. ახლა იმპერატორი კეთილგანწყობილი გახდა, რომ პირფერობით და დარწმუნებით აღმოიფხვრა დაპირისპირებულთა შორის ქიშპი, განაცხდა, რომ არანაირად არ იქნებოდნენ შეწუხებული მორწმუნენი; შეიყვარებდა და დიდ პატივს სცემდა მათ, რომლებიც დასაბამს მისცემდნენ ეკლესიის ერთობას. ეს რომ ასეც შეასრულა, ამას თემისტიოს ფილოსოფოსიც[104] ამბობს. რადგან მან მის კონსულობას მიუძღვნა სიტყვა, ხოტბა შეასხა იმპერატორს, რომ ნება დართო ისე ემსახურათ ღვთისთვის, ვისაც როგორ სურდა, და რომ სძლია მლიქვნელობას. იგი მლიქვნელთა მიერ წარმატების მოპოვების გზებს დასცინის, სააშკარაოზე გამოაქვს, რომ ისინი თაყვანს სცემდნენ პორფირს და არა ღმერთს, და არაფრით განსხვავდებოდნენ ევრიპესგან[105], რომელიც დინებას ხან ასე უშვებს და ხან ამის საპირისპიროდ ცვლის.

XXVI თავი
იმპერატორ იოვიანუსის აღსასრულის შესახებ

იმხანად იმპერატორმა ასე შეაკავა მწვალებლობათა ქიშპობის აღძვრა. მაგრამ სწრაფად დატოვა ანტიოქია და კილიკიის ტარსუსში ჩავიდა, სადაც დამარხა იულიანეს ნეშტი, ყველა წესი აღასრულა და კონსულად იქნა გამოცხადებული. იგი მყისვე გაემართა კონსტანტინოპოლში და ჩავიდა ერთ-ერთ დაბაში, რომლის სახელწოდებაა დადასტანი, გალატიასა და ბითვინიას შორის საზღვარზე. მას იქ შეეგება ფილოსოფოსი თემისტიოსი სხვა სენატორებთან ერთად და მის წინაშე წარმოთქვა კონსულისთვის მიძღვნილი სიტყვა, რომელიც მოგვიანებით კონსტანტინოპოლში სახალხოდ გამოქვეყნდა. მაგრამ კეთილად წარიმართებოდა რომის იმპერიის საქმეები, სახელმწიფოც და საეკლესიოც, ასეთი კეთილი იმპერატორი რომ ერგო ბედად, მოულოდნელ სიკვდილს რომ არ მოეშორებინა საქმეებისათვის ასეთი კაცი. იგი აღესრულა შეკრულობის სენით შეპყრობილი ზემოხსენებულ დაბაში, ზამთარში, როდესაც კონსულები იყვნენ იგი და მისი ვაჟი ბარონიანუსი, თებერვლის თვის თხუთმეტში, მისი მეფობის მეშვიდე თვეს, ოცდაცამეტი წლის ასაკში.

ეს წიგნი მოიცავს ორ წელს და ხუთ თვეს.

მ ე ს ა მ ე წ ი გ ნ ი ს

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

მ ე ო თ ხ ე წ ი გ ნ ი

I თავი
თუ როგორ გამოცხადდა იმპერატორად ვალენტინიანე მას შემდეგ, რაც აღესრულა იოვიანუსი, და თუ როგორ გაუზიარა იმპერია მის ძმას ვალენტს. თუ როგორ იყო ვალენტინიანე მართლმადიდებელი, ვალენტი კი – არიანელი

როდესაც, როგორც ვთქვით, იმპერატორი იოვიანუსი დადასტანში აღესრულა მისი და მისი ძის ბარონიანუსის კონსულობისას, თხუთმეტ თებერვალს მეშვიდე დღეს გალატიიდან ბითვინიის ნიკეაში ჩამოსულმა ჯარისკაცებმა ერთსულოვნად გამოაცხადეს იმპერატორად ვალენტინიანე იმავე კონსულობის პერიოდში, ოცდახუთ თებერვალს[106]. იგი წარმოშობით იყო პანონიელი, ქალაქ კიბალიდან[107]. მას ებარა ჯარისკაცთა რაზმი (ტაქსის, კორპს) და დაამტკიცა სამხედრო ტაქტიკის კარგი ცოდნა. იგი იყო ასევე დიდსულოვანი კაცი და ყოველთვის არსებულ ვითარებაზე მაღლა იდგა. როდესაც იგი დადგინებულ იქნა იმპერატორად, კონსტანტინოპოლში ჩასვლისას მისი გამოცხადებიდან მესამე დღეს მისი ძალაუფლება გაუზიარა მის ძმას ვალენტს. თუმცა ორივე ქრისტიანი იყო, ერთმანეთთან ვერ თანხმდებოდნენ ქრისტიანული მრწამსის შესახებ. ვალენტინიანე თაყვანს სცემდა[108] ნიკეის მრწამსს, ვალენტი კი უფრო არიანული მოძღვრებისადმი იყო განწყობილი. ეს განწყობა მას გაუჩინა იმან, რომ იგი მონათლული იყო კონსტანტინოპოლში არიანელი წინამდგომელის, ევდოქსიოსის მიერ. ორივე მათგანს მოშურნეობა ჰქონდა იმ მრწამსის მიმართ, რასაც თაყვანს სცემდნენ, მაგრამ იმპერატორად გახდომის შემდეგ ერთმანეთისაგან

ძალიან განსხვავებულად იქცეოდნენ. ადრე, იულიანეს დროს, როდესაც ვალენტინიანე ათასისთავი იყო, ვალენტი კი იმპერატორის ოჯახს ემსახურებოდა, თითოეულმა წარმოაჩინა, რა მოშურნეობაც ჰქონდა. რადგან, როდესაც აიძულებდნენ, რომ მსხვერპლი შეეწირათ [კერპებისთვის], უმალ ჯარისკაცის სარტყლის მოხსნა ირჩიეს, ვიდრე ქრისტიანობის დათმობა. მაგრამ მაშინ იულიანემ იცოდა, რომ ისინი საჭირონი იყვნენ სახელმწიფოსთვის, და არც ერთი მათგანი არ ჩამოაშორა ჯარს, ისევე როგორც არც მის შემდეგ გამეფებულმა იოვიანუსმა. მოგვიანებით, როდესაც იმპერატორები გახდნენ სახელმწიფოზე ზრუნვაში თავიდან ერთმანეთის მსგავსი იყვნენ, მაგრამ ქრისტიანობასთან დაკავშირებით, როგორც ვთქვი, უთანხმოება ჰქონდათ და ერთნაირად არ იქცეოდნენ ქრისტიანების მიმართ. ვალენტინიანე მხარს უჭერდა მის დაჯგუფებას, მაგრამ სრულებით არ აწუხებდა არიანელებს. ვალენტს სურდა რა არიანელების გამრავლება, საშინლად ეპყრობოდა მათ, ვინც მის მსგავსად არ ფიქრობდა, როგორც ამას ცხადყოფს ისტორიის შემდგომი თხრობა.

დაახლოებით იმ დროს რომის ეკლესიას წინამდგომლობდა ლიბერიუსი,ალექსანდრიაში კი „თანაარსის“ მრწამსის დაჯგუფებას – ათანასე, არიანელებს – ლუკიოსი, რომელიც გიორგის შემდეგ დაადგინეს არიანელებმა. ანტიოქიაში არიანელებს წინამძღვრობდა ევძოიოსი. „თანაარსის“ მიმდევრებიც გაყოფილი იყვნენ: ერთ ნაწილს პავლინე წინამძღვრობდა, მეორეს კი – მელეტი. იერუსალიმის ეკლესიებს კვლავ კირილე განაგებდა. მაგრამ კონსტანტინოპოლში ეკლესიები ეპყრა ევდოქსიოსს, რომელიც არიანულ მოძღვრებას ასწავლიდა, „თანაარსის“ მაღიარებლები კი მომცრო სახლში მართავდნენ შეკრებებს ქალაქის შიგნით. მაკედონიანელებს, რომლებიც გამოეყვნენ აკაკის მომხრეებს სელევკიაში, ჯერ კიდევ ეპყრათ სამლოცველოები ქალაქში.

II თავი
თუ როგორ გაემართა ვალენტინიანე დასავლეთში, ვალენტი კი დარჩა კონსტანტინოპოლში; მან ნება დართო მაკედონიანელებს, გაემართათ კრება, ხოლო „თანაარსის“ მიმდევრებს დევნა დაუწყო

ასეთ ვითარებაში იყო ეკლესიის საქმეები. ერთ-ერთი იმპერატორი, ვალენტინიანე სასწრაფოდ ჩავიდა დასავლეთში, რადგან იგი იქ ჩაიყვანა საქმის საჭიროებამ. ვალენტმა მცირე ხანს დაჰყო კონსტანტინოპოლში. მასთან მივიდნენ უამრავი ეპისკოპოსი მაკედონიანელთა სარწმუნოებიდან და ითხოვდნენ მისგან, რომ ახალი კრება მოეწვია სარწმუნოების გასამართავად. იმპერატორმა იფიქრა, რომ მათ დაეთანხმებოდნენ აკაკის და ევდოქსიოსის მომხრეები და ნება დართო, გაემართათ კრება.

ისინიც ესწრაფოდნენ კრების გამართვას ლამფსაკიოსში. ვალენტი სასწრაფოდ გაემართა სირიის ანტიოქიაში, ეჭვი ჰქონდა, რომ სპარსელებმა დაარღვიეს იოვიანუსის დროს დადებული ოცდაათწლიანი ზავი და რომის საზღვრებში შემოვიდნენ. მაგრამ სპარსული საქმეები დაამშვიდა[109] და მოიპოვა რა თავად სიმშვიდე, „თანაარსის“ მომხრეების წინააღმდეგ დაუნდობელი ომი გააჩაღა. ეპისკოპოს პავლინეს მისი ზეაღმატებული კეთილკრძალულების გამო არაფერი დაუშავა, მაგრამ მელეტი გადასახლებით დასაჯა, სხვები კი, რომლებსაც არ სურდათ ევძოიოსთან თანაზიარება, ზოგი ანტიოქიის ეკლესიებიდან გამოაძევა, ზოგს კი სხვადასხვა სასჯელები დაადო. ამბობენ, რომ მრავალი მდინარე ორონტში დაახრჩო.

III თავი
თუ როგორ აუმბოხდა ტირანი პროკოპი ვალენტს[110], როდესაც ის დევნიდა მართლმადიდებელ ქრისტიანებს, აგრეთვე იმხანად მომხდარი მიწისძვრის და წყალდიდობის შესახებ

როდესაც მან ეს მოიმოქმედა სირიაში, კონსტანტინოპოლიდან აუმბოხდა ტირანი, სახელად პროკოპი, რომელმაც მოკლე დროში შეკრიბა დიდი ჯარი და გაეშურა იმპერატორის წინააღმდეგ. როდესაც ეს შეიტყო იმპერატორმა, დიდ სადარდებელში ჩავარდა, ისე რომ მცირე ხნით შეაჩერა დევნულება.

როდესაც ომის შფოთით იყო შეწუხებული, მომხდარმა მიწისძვრამ მრავალი ქალაქი დააზიანა, ზღვაც გადმოვიდა თავისი საზღვრებიდან; ზოგი ადგილები ისე დატბორა, რომ წინათ სავალი გზები დაფარა, ზოგი ადგილებიდან კი ესოდენ დაიხია უკან, რომ მეზღვაურები ხმელეთზე აღმოჩნდნენ[111]. ეს მოხდა ორი იმპერატორის პირველი კონსულობის დროს.

IV თავი
თუ როგორ გამართეს მაკედონიანელებმა კრება ლაფსაკიოსში სახელმწიფოს და საეკლესიო ძალაუფლების მხარდაჭერით; როგორ დაამტკიცეს ანტიოქიის მრწამსის სიმბოლო, შეაჩვენეს არიმინზე მიღებული მრწამსი და კვლავ დაამტკიცეს აკაკის და ევდოქსიოსის განყენება

როდესაც ეს მოვლენები ხდებოდა, მაინც ვერ ჩაწყნარდა ვერც სახელმწიფო, ვერც საეკლესიო ამბები. ამგვარად, მათ იმპერატორს სთხოვეს კრების გამართვა და ის მოიწვიეს ლამფსაკიოსში იმავე კონსულობის პერიოდში. ეს იყო სელევკიაში კრების გამართვიდან მერვე წელი. იქ კვლავ დაამტკიცეს ანტი-

ოქიაში მიღებული მრწამსი, რომელსაც სელევკიაშიც მოაწერეს ხელი, შეაჩვენეს არიმინში მათი ადრინდელი თანამოაზრეების მიერ გადმოცემული მრწამსი და კვლავ განსაჯეს აკაკის და ევდოქსიოსის მომხრეები, როგორც სამართლიანად განყენებულნი. კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსმა ევდოქსიოსმა ვერ შეძლო მათ შეწინააღმდეგებოდა, რადგან დაწყებულმა სამოქალაქო ომმა საშუალება არ მისცა მას, თავი დაეცვა. ამიტომ, კიზიკიის ეპისკოპოს ელევსიოსის მომხრეები მცირე ხნით გაძლიერდნენ, განამტკიცეს მაკედონიოსის სახელის მატარებელი მოძღვრება, რაც ცოტა ხნის წინ ლამფსაკიოსში გამართულ კრებაზე გახდა უფრო ნათელი. ვფიქრობ, ეს კრება გახდა მიზეზი იმისა, რომ ჰელესპონტში გამრავლდნენ მაკედონიოსიელებად წოდებულნი; რადგან ლამფსაკიოსი მდებარეობს ჰელესპონტის ერთ-ერთ ვიწრო ყურეში.

V თავი

თუ როგორ მოხდა შეტაკება ვალენტსა და პროკოპის შორის. აგრეთვე სარდლების მიერ თავიანთი ტირანის ღალატისა და მოკვლის შესახებ

ასეთი შედეგი ჰქონდა ამ კრებას. მომდევნო კონსულობის ჟამს, რომელიც იყო გრაციანეს და დაგალაიფოსის, გაჩაღდა ომი. როდესაც კონსტანტინოპოლიდან წამოსული ტირანი მზად იყო გაელაშქრა იმპერატორის წინააღმდეგ, ვალენტმა ეს შეიტყო და მოასწრო ანტიოქიიდან წამოსვლა და პროკოპი შეიპყრო ფრიგიის ერთი ქალაქის მახლობლად, რომელსაც ეწოდება ნაკოლეია. თუმც პირველ შეტაკებაში იგი დამარცხდა, მალე ცოცხლად შეიპყრო პროკოპი, როდესაც მისმა სარდლებმა, აგელონოსმა და გომარიოსმა გასცეს ის. მან ამ სარდლებს უცნაური სასჯელები დაადო, რადგან გასცეს და არად ჩააგდეს ფიცი, რაც მას მისცეს. მან ისინი ხერხით დაჭრა და ასე მოკლა.

ტირანი კი შემდეგი სახით: ორი ერთმანეთის მეზობლად დარგული ხე მოდრიკა და მათზე მიაბა იგი ფეხებით, შემდეგ აუშვა მოდრეკილი ხეები და გამართვისას მათ გაგლიჯეს პროკოპი. ასე ორად გახლეჩილი დაიღუპა ტირანი[112].

VI თავი

თუ როგორ აიძულებდა ვალენტი პროკოპის სიკვდილის შემდეგ კრების მონაწილეებს და ყველა ქრისტიანს, რომ ელიარებინათ არიანელობა

მას შემდეგ, რაც იმპერატორმა წარმატებით დაასრულა ეს საქმე, კვლავ აღძრა ქრისტიანთა წინააღმდეგ შფოთი, და ეწადა ყველა სარწმუნოების არიანელობაზე მოქცევა. იგი განსაკუთრებით განრისხდა ლამფსაკიოსში გამართულ კრებაზე, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ განკვეთეს არიანელი ეპისკოპოსები, არამედ იმის გამოც, რომ მათ ანათემაზე გადასცეს არიმინში მიღებული მრწამსის გადმოცემა. ბითვინიის ნიკომიდიაში ჩასულმა თავისთან მოიხმო კიზიკიის ეპისკოპოსი ელევსიოსი. იგი ძლიერ მხარს უჭერდა მაკედონიოსის მოძღვრებას, როგორც ადრეც ვთქვი. ამრიგად, იმპერატორმა მოიწვია არიანული მწვალებლობის მიმდევარ ეპისკოპოსთა კრება და აიძულებდა ელევსიოსს, რომ დათანხმებოდა მათ მრწამსს. მან პირველად უარი განაცხადა, მაგრამ, როცა გადასახლების სასჯელით დაემუქრა, შეეშინდა და დაეთანხმა არიანულ მოძღვრებას. მაგრამ დათანხმების შემდეგ შეინანა და კიზიკიაში ჩასვლისას მთელი ერის წინაშე მწარედ ჩიოდა, ამბობდა, რომ აიძულეს დათანხმებოდა, არათუ ნებით ჩაიდინა ეს; ეუბნებოდა [ხალხს], რომ მოეძებნათ მათთვის სხვა ეპისკოპოსი, რადგან მან იძულებით უარყო თავისი მოძღვრება. მაგრამ კიზიკიელებმა მისდამი მხურვალე სიყვარულის გამო არ ისურვეს სხვა ეპისკოპოსის მმართველობის ქვეშ განწესება, არც ეკლესიიდან სხვაგან გადასვლა.

VII თავი
თუ როგორ შეცვალა მაკედონიანელი ელევსიოსი კიზიკიის საყდარზე ევნომიოსმა; აგრეთვე მისი წარმომავლობისა და აეციოსისადმი დამოწაფების შესახებ

როდესაც ეს შეიტყო კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსმა ევდოქსიოსმა, კიზიკიის ეპისკოპოსად წამოაყენა ევნომიოსი, როგორც ძლიერ მჭევრმეტყველი და თავისთან ხალხის მიზიდვის უნარის მქონე კაცი. როდესაც ევნომიოსი ჩავიდა, გამოვიდა იმპერატორის ედიქტი, რომ გამოეძევებინათ ელევსიოსი, ხოლო მის ადგილას აღსაყდრებულიყო ევნომიოსი. ამის შემდეგ ელევსიოსის მომხრეებმა ქალაქის გარეთ ააშენეს ერთი სამლოცველო სახლი და იქ მართავდნენ შეკრებებს.

ეს ითქვა ელევსიოსის შესახებ, ევნომიოსის შესახებ კი ეს უნდა ითქვას. ევნომიოსი იყო ზემოხსენებული უღმერთოდ წოდებული აეციოსის მდივანი. მასთან ყოფნისას ესწრაფოდა მისი სოფისტური მეთოდის მიბაძვას და მისი სიტყვების შესწავლას; იგი ვერ ხვდებოდა, რომ თავისთვის ქმნიდა სოფისმებს. ამით მზვაობარი გადავარდა ღვთის გმობაში, დაეშურა არიანულ მოძღვრებას და ბევრს იბრძოდა ჭეშმარიტების მოძღვრების წინააღმდეგ. იგი ნაკლებ განსწავლული იყო წმინდა წერილში და არ ძალუძდა მისი სიტყვების გააზრება; იგი იყენებდა მდიდარ სიტყვათა მარაგს და მუდამ სხვადასხვაგვარად ატრიალებდა სათქმელს, მაგრამ არ ძალუძდა განემარტა ის, რასაც სთავაზობდა [მსმენელს]. ამას წარმოაჩენს მისი შვიდი ტომი, რომლებიც ამაოდ დაშვრა მოციქულის რომაელთა მიმართ ეპისტოლეს [განსამარტავად]. თუმცა მრავალი სიტყვა დახარჯა, ამ ეპისტოლეს მიზანს ვერ ჩაწვდა. მათი მსგავსი მისი სხვა ნაშრომებიც, რომელთა გაცნობის მსურველი მასში იპოვის უხვსიტყვაობაში აზრთა სიმწირეს.

აწ ეს ევნომიოსი წამოაყენა ევდოქსიოსმა კიზიკიის ეპისკოპოსად, რადგან ეწადა ელევსიოსის განდევნა. როდესაც იგი ჩავიდა ამ ქალაქში, მან მისთვის ჩვეულ დიალექტიკას მიმართა, რაც ეუცხოვათ მსმენელებს და შფოთი ჩამოვარდა კიზიკიაში. კიზიკიელებმა ვერ აიტანეს მისი სიტყვების მზვაობრობა და განდევნეს ქალაქიდან. იგი ჩავიდა კონსტანტინოპოლში და ევდოქსიოსთან იმყოფებოდა; იყო ეპისკოპოსი ადგილის გარეშე. ყვედრების გამო ნათქვამად რომ არ ჩაითვალოს, თვითონ ევნომიოსის სიტყვები მოისმინე, რაც სოფისტურად შეთხზა და გაბედა, ეთქვა ღვთის შესახებ. იგი სიტყვასიტყვით ამბობს შემდეგს:

„ღმერთმა თავისი არსის შესახებ ჩვენზე მეტი არ იცის, არც არის იგი მისთვის უფრო მეტად შეცნობილი, ხოლო ჩვენთვის – ნაკლებად. არამედ, რაც ჩვენ ვუწყით მის შესახებ, ეს მანაც სრულებით იცის, ხოლო კვლავ რაც მან [იცის], ამას ზედმიწევნით აღმოაჩენ ჩვენში.“

ეს და ასეთი სხვა მრავალი სოფისტური გამონათქვამი შექმნა მან და ვერ გაიაზრა. თუ როგორ გამოეყო მცირე ხნის შემდეგ არიანელებს, ამას თავის ადგილას ვიტყვი.

VIII თავი
ქვაზე ამოტვიფრული წინასწარმეტყველების შესახებ, რომელიც აღმოაჩინეს, როდესაც ვალენტის ბრძანებით დაანგრიეს ქალკედონის კედლები

იმპერატორმა ბრძანა, დაენგრიათ ბიზანტიონის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ქალაქ ქალკედონის კედელი. ტირანზე გამარჯვებულმა, მან დაიფიცა ამის გაკეთება, რადგან ქალკედონელები მიემხრნენ ტირანს და მას შეურაცხყოფას აყენებდნენ, ქალაქის კარიბჭესთან მოსულს კი ის დაუხშეს. ასე რომ,

კედელი დაინგრა იმპერატორის ბრძანებით და ქვები კონსტანტინოპოლის სახალხო აბანოსთვის წაიღეს, რომელიც „კონსტანტიანაის“ სახელს ატარებს. ერთი ქვა აღმოაჩინეს, რომელზეც ეწერა წინასწარმეტყველება, რომელიც ძველი დროიდან დაიფარა, მაშინ კი გაცხადდა, რომ როდესაც წყალი ჭარბად იქნება ქალაქში, მაშინ კედელი აბანოს მოემსახურება, ხოლო ბარბაროსთა ათასობით ტომი შემოესევა რომაელთა მიწა-წყალს და მრავალ ბოროტებას ჩაიდენენ, და ბოლოს ისინი განადგურდებიან. არაფერი გვაბრკოლებს სწავლისმოყვარულობის გამო ეს წინასწარმეტყველებაც აქ დავურთოთ:

„როდესაც ნიმფები ნოტიო ფეხით როკვის
სიამეს წარმოადგენენ ქალაქში ლამაზად გვირგვინმოსილ
ქუჩებში და კედლის ქვათა წყობა აბანოს სამაგრი იქნება,
მაშინ ურიცხვ ადამიანთა ათასობით ტომი, ველური,
შლეგი, ბოროტი ძალით მოსილი, მათი ლაშქრით გადავლენ
ოსტროსის საამოდ მედინ ფონზე და ააოხრებენ სკვითთა მხარეს,
მიზიის მიწა-წყალს; მაგრამ თრაკიამდე მისულნი
შლეგური იმედებით, დაასრულებენ სიცოცხლეს და
ავი ბედისწერა მიუსწრებს მათ.“

ასეთი იყო ეს წინასწარმეტყველება. იმ დროის შემდეგ, რაც ვალენტმა ააგო აკვედუკი კონსტანტინოპოლისთვის წყლის უხვად მისაწოდებლად, მოხდა ისე, რომ ბარბაროსები აღიძრნენ, როგორც ამას მოგვიანებით ვიტყვით. წინასწარმეტყველება სხვაგვარადაც ახდა. როდესაც აკვედუკი შევიდა ქალაქში, ქალაქის პრეფექტმა კლეარხოსმა უდიდესი წყლის ავზი ააგო ამჟამად თეოდოსის სახელობის აგორაზე, რომელშიც ჩაედინებოდა წყალი. ამის გამო ქალაქმა მხიარული ზეიმი გამართა, და ეს არის, რაზეც ითქვა წინასწარმეტყველება:

„. . . ნიმფები ნოტიო ფეხით როკვის
სიამეს წარმოადგენენ ქალაქში ლამაზად
გვირგვინმოსილ ქუჩებში“.

მაგრამ წინასწარმეტყველებასთან დაკავშირებული ამბები ცოტა მოგვიანებით მოხდა. მაშინ კი კედლის დანგრევისას კონსტანტინოპოლის მოსახლეობა სთხოვდა იმპერატორს, რომ შეეწყვიტა კედლის ნგრევა. მათთან ერთად ამას ითხოვდნენ ბითვინიიდან კონსტანტინოპოლში ჩამოსული ნიკომიდიელები და ნიკეის მოსახლეობაც. რისხვით მოცულმა იმპერატორმა ძლივს შეისმინა მვედრებელთა თხოვნა. თავისი ფიცისადმი პატივისცემის გამო ბრძანა, კიდეც დაენგრიათ და კიდეც ამოევსოთ დანგრეული სხვა მომცრო ქვებით. ეს ახლაც ჩანს კედლის ზოგიერთ ნაწილში, სადაც უდიდეს და საოცარ ქვებზე დამატებული მაშინ დაშენებული უბრალო ქვები. ეს ითქვა ქალკედონელთა კედლის შესახებ.

IX თავი
თუ როგორ დევნიდა ვალენტი ნოვაციანელებს, როდესაც მათ მიიღეს მართლმადიდებლური მრწამსი

ამ დროს იმპერატორს არ შეუწყვეტია „თანაარსის“ სარწმუნოების მიმდევართა დევნა, არამედ ისინი განდევნა კონსტანტინოპოლიდან, მათთან ერთად კი – ნოვაციანელებიც, როგორც მათი თანამოაზრენი. მან ბრძანა, დაეკეტათ მათი ეკლესიები და განკარგულება გასცა, გადასახლებით დაესაჯა მათი ეპისკოპოსი. ამ ეპისკოპოსის სახელი იყო აგელიოსი, კაცი, რომლიც ადრე, ჯერ კიდევ კონსტანტინეს დროიდან[113] იყო ეკლესიათა წინამდგომელი და ეწეოდა სამოციქულო ცხოვრებას, რამეთუ სრულიად ფეხშიშველი დადიოდა და ერთი მოსასხამი ემოსა, იცავდა რა სახარების სიტყვებს[114]. მაგრამ იმპერატორის რისხვა შეაჩერა კაცმა კეთილკრძალულმა და ამავე დროს განათლებულმა, სახელად მარკიანოსმა[115], რომელიც წინათ სასახლის ჯარში მსახურობდა, იმ დროისთვის კი ნოვაციანელთა ეკლესიის ხუცესი იყო და მოხდა ისე, რომ გრამატიკას ასწავლიდა იმპერატორის

ქალიშვილებს, ანასტასიას და კაროსას, რომელთა სახელობის სახალხო აბანო ააშენა ვალენტმა კონსტანტინოპოლში. ამ კაცის პატივისცემით ცოტა ხნის წინათ დაკეტილი ნოვაციანელთა ეკლესია ხელახლა გაიხსნა. თუმცა, არიანელების მიერ თავს დამტყდარმა შფოთმა ბოლო მოუღო მათ თავისუფლებას. რადგან მათ სძულდათ ისინი, რომ მათ თანაუგრძნობდნენ და უყვარდათ ისინი, რომლებიც მათი თანამოაზრე იყვნენ. იმხანად ასეთი იყო მათი საქმის ვითარება. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ტირან პროკოპის წინააღმდეგ ომი მოხდა გრაციანეს და დაგალაიფოსის კონსულობის დროს, მაისის თვის ბოლოს.

X თავი
უმცროსი ვალენტინიანეს შობის შესახებ

ამ ომის დაწყებიდან ცოტა მოგვიანებით, იმავე კონსულობის პერიოდში დასავლეთ ნაწილში იმპერატორ ვალენტინიანეს შეეძინა ძე[116], მისი თანამოსახელე. რადგან ადრე, ჯერ კიდევ მის გამეფებამდე შეეძინა გრაციანე[117].

XI თავი
უჩვეულო ზომის სეტყვის შესახებ; ასევე ბითვინიასა და ჰელესპონტში მომხდარი მიწისძვრის შესახებ

მომდევნო კონსულობის პერიოდში, როდესაც კონსულები იყვნენ ლუპიკინუსი და იოვიანუსი, ივნისის თვის ორში, მუჭში ჩაგეტეოდა, ესოდენ დიდი სეტყვა დაუშინა კონსტანტინოპოლში, ქვას წააგავდა. ბევრი ამბობდა, რომ ეს სეტყვა იმპერატორისთვის ხელის შესაშლელად დაუშინა, რადგან მრავალი მღვდელმთავარი გადაასახლა, რომელთაც არ სურდათ ევდოქსიოსთან თანაზიარება.

ამის შემდეგ ცოტა ხანში, იმავე კონსულობის პერიოდში იმპერატორმა ვალენტინიანემ მისი ძე გრაციანე დაადგინა იმპერატორად აგვისტოს თვის ოცდაოთხ რიცხვში.

მომდევნო კონსულობის პერიოდში, როდესაც კონსულები იყვნენ ვალენტინიანე II და ვალენტ II, უდიდესი მიწისძვრა მოხდა ბითვინიაში და ქალაქი ნიკეა დაანგრია თერთმეტ ოქტომბერს. ეს იყო ნიკომიდიის დაცემიდან მეთორმეტე წელი. ამ მიწისძვრიდან ცოტა ხნის შემდეგ ჰელესპონტში გერმეს დიდი ნაწილი მეორე მიწისძვრით დაინგრა. მიუხედავად ამ ამბებისა, არანაირი კრძალვა არ შევიდა არიანელი ეპისკოპოს ევდოქსიოსში და არც იმპერატორ ვალენტში, რადგან არ შეუწყვეტიათ მათი დევნულება, რომლებსაც მათი მსგავსი შეხედულებები არ ჰქონდათ. თუმცა, ჩანდა, რომ მიწისძვრისგან მომხდარი უბედურებები ეკლესიებში ჩამოვარდნილი შფოთის ნიშანი იყო.

ამგვარად, როგორც ითქვა, მრავალი მღვდელმთავარი გადაასახლეს. ღვთის წინაგანგებით ზეაღმატებული კეთილკრძალულების გამო არ გადაასახლეს მხოლოდ ბასილი და გრიგოლი, – პირველი მათგანი იყო კაბადოკიის კესარიის ეპისკოპოსი, გრიგოლი კი – ერთი უბრალო ქალაქის, ნაზიანზის, რომელიც კესარიის მეზობლად მდებარეობდა.

XII თავი
თუ როგორ გაგზავნეს იმპერატორის ძალადობით შევიწროებულმა მაკედონიანელებმა შუამავლები რომის პაპ ლიბერიუსთან და ხელი მოაწერეს ნიკეის მრწამსს

ბასილის და გრიგოლის შესახებ მოგვიანებით ვიტყვით. როდესაც „თანაარსის“ მორწმუნენი მაშინ ძლიერ იდევნებოდნენ, მდევნელები კვლავ დაიძრნენ მაკედონელების წინააღმდეგ. მათ

უფრო შიშით, ვიდრე ძალდატანებით შევიწროვებულებმა ქალაქებში დააგზავნეს შუამავლები და ერთმანეთს აუწყებდნენ, რომ საჭირო იყო იძულების გამო გაქცეულიყვნენ იმპერატორის ძმასთან და რომის ეპისკოპოს ლიბერიუსთან, უფრო ხალისით მიეღოთ მათი მრწამსი, ვიდრე ევდოქსიოსთან შესულიყვნენ თანაზიარებაში. ამგვარად, მათ გაგზავნეს ევსტათი სებასტიელი, რომელიც მრავალგზის იყო განყენებული, კილიკიის ტარსუსის ეპისკოპოსი სილვანოსი და თეოფილე კასტაბალელი (ესეც კილიკიის ქალაქია); დააბარეს არ დაპირისპირებოდნენ ლიბერიუსს მრწამსის გამო, არამედ თანაზიარება ჰქონოდათ რომაელთა ეკლესიასთან და დაემტკიცებინათ „თანაარსის“ მრწამსი. მათ წაიღეს მათი წერილები, რომლებსაც გამოეყვნენ სელევკიაში, და ჩავიდნენ იტალიაში. ისინი იმპერატორს ვერ შეხვდნენ (იგი გალიაში სარმატებთან ომით იყო დაკავებული),მაგრამ ლიბერიუსს გადასცეს წერილები. მას არანაირად არ სურდა მათი მიღება, ამბობდა, რომ ისინი არიანელები იყვნენ და არ ძალუძდა მათი მიღება ეკლესიაში როგორც ნიკეის მრწამსის უარმყოფელების. მაგრამ მათ მიუგეს, რომ მოინანიეს და შეიცნეს ჭეშმარიტება; უკვე მანამდე უარყვეს „ანომიელთა“ მრწამსი და აღიარებდნენ, რომ ძე მამის მსგავსი იყო ყოველივეს მიხედვით და არაფრით განსხვავდებოდა „თანაარსისგან“ ყოველივეს მიხედვით მსგავსება. როდესაც მათ ეს თქვეს, ლიბერიუსმა მათ მოსთხოვა მათი შეხედულების წერილობითი აღსარება. მათაც მიაწოდეს მას წიგნი, რომელშიც ნიკეაში გადმოცემული მრწამსის გამონათქვამები იყო ჩართული. ის ეპისტოლეები, რომლებიც აზიის სმირნაში, პისიდიაში, ისავრიაში, პამფილიასა და ლუკიაში გამართულმა კრებებმა დაწერეს, აქ არ ჩავურთავთ მათ სიდიდის გამო. ის წიგნი კი, რომელიც ევსტათის თანმხლებმა შუამავლებმა გადასცეს ლიბერიუსს, არის შემდეგი სახის:

„უფალ ლიბერიუსს, ძმას და თანამსახურს, ევსტათი, თეოფილე, სილვანოსი, მოკითხვა უფალში.

მწვალებელთა შლეგურ გამოგონებათა გამო, რომლებიც არ წყვეტენ კათოლიკე ეკლესიებში ცთუნების შემოტანას, ამის გულისთვის მათი ყოველგვარი წამოწყების უარმყოფელნი ვაღიარებთ ლამფსაკიოსსა და სმირნაში და სხვა ადგილებში გამართულ მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა კრებებს. ამ კრების შუამავლობას ვეწევით და შენს მოწყალებას და იტალიისა და დასავლეთის ყველა ეპისკოპოსს ვუძღვნით წერილებს, რომლებიც განაძლიერებს და იცავს კათოლიკე მრწამსს, რომელიც ნიკეელთა წმინდა კრებაზე ნეტარი კონსტანტინეს დროს სამას თვრამეტი ეპისკოპოსის მიერ იქნა დამტკიცებული და განჩინებული უმწიკვლოდ და ურყევად ამ დრომდე და მუდამ ასე ჰგიებს, რომელშიც არიოზის შერყვნის საპირისპიროდ წმინდად და ღვთისმოსავურად ჩადებულია [გამონათქვამი] „თანაარსი“. მსგავსადვე ჩვენც ვაღიარებთ საკუთარი ხელით, რომ ზემოხსენებულ [ეპისკოპოსთა] ეს მრწამსი აქამდეც გვეპყრა, ახლაც გვიპყრია და ბოლომდე დავიცავთ; ვგმობთ არიოზს და მის უღმერთო სწავლებას მის მოწაფეებთან და თანამოაზრეებთან ერთად, ასევე ყველა მწვალებლობას საბელიოზის[118], პატროპასიანელების[119], მარკიონელების[120], ფოტინიანელების, მარკელიანელებისა[121] და პავლე სამოსატელის[122], მათ სწავლებას, მათ ყველა თანამოაზრეს და ყველა მწვალებლობას, რომელიც ეწინააღმდეგება ზემოხსენებულ წმინდა მრწამსს, რომელიც ღვთისმოსავურად და საყოველთაოდ განწესებულ იქნა წმინდა მამათა მიერ. განსაკუთრებით შევაჩვენებთ არიმინის კრებაზე წაკითხულ მრწამსის გადმოცემებს, როგორც ნიკეაში წმინდა კრებაზე დამტკიცებულ ზემოხსენებულ იმავე მრწამსთან დაპირისპირებულს, რომლებზეც, თრაკიის ნიკედან მოტანილზე ცბიერად და ფიცით დაარწმუნეს და ხელი მოაწერინეს კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსებს. ჩვენი და მათი მრწამსი, რომელთა

შესახებაც ზემოთ ითქვა, და რომელთა გამო ვეწევით შუამავლობას, არის შემდეგი სახის:

„გვწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისმპყრობელი, ყოველთა ხილულთა და უხილავთა შემოქმედი; და ერთი მხოლოდშობილი ღმერთი, უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა, შობილი მამისგან, ესე იგი მამის არსისგან, ღმერთი ღვთისგან, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, თანაარსის მამის, რომლის მეშვეობით შეიქმნა ყოველივე, რაც არის ცაში და მიწაზე, ჩვენს ადამიანთა და ჩვენი ხსნის გამო ჩამოვიდა, ხორცი შეისხა და განკაცდა, ევნო და აღდგა მესამე დღეს, ამაღლდა ზეცად და მომავალ არის განსჯად ცოცხალთა და მკვდართა; და სული წმინდა. მათ, რომლებიც ამბობენ, რომ „იყო დრო, როდესაც არ იყო" და „არარადან წარმოიშვა", სხვა არსისგან ან სხვა ჰიპოსტასისგან, ამბობენ, რომ ძე ღვთისა არის ქცევადი ანუ ცვალებადი, ამათ შეაჩვენებს ღვთის კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია".

ხოლო მე ქალაქ სებასტიის ეპისკოპოსმა ევსტათიმ, თეოფილემ და სილვანოსმა, ლამფსაკიის, სმირნის და დანარჩენი ქალაქების კრებათა შუამავლებმა ჩვენი ხელით და საკუთარი არჩევანით დავწერეთ ეს აღსარება. მაგრამ თუ ვინმეს ნებავს ჩვენ მიერ გადმოცემულ მრწამსის ჩვენი ან ჩვენს წარმომგზავნელთა წინააღმდეგ ბრალდებად გამოყენება, წავიდნენ შენი სიწმინდის წერილებით მათთან, რომლებიც შენმა სიწმინდემ გამოსცადა, რომ არიან მართლმადიდებელი ეპისკოპოსები, და მათ წინაშე განსაჯონ ჩვენთან ერთად. თუ რაიმე ბრალდება დამტკიცდება, დაე, დაისაჯოს დამნაშავე".

ამ წიგნით უსაფრთხოდ უზრუნველყვეს ლიბერიუსი და მან ისინი მიიღო თანაზიარებაში, ეს წერილები მისცა და გაუშვა:

„საყვარელ ძმებს და თანამსახურთ, ევეთიოსს, კირილეს, ჰიპერეხიოსს, ურანიოსს, ჰერონს, ელპიდიოსს, მაქსიმეს, ევსების, ევკარპიოსს, ეორტასიოსს, ნეონს, ევმათიოსს, ფაუსტინოსს, პროკლინეს, პასინიკოსს, არსენს, სევეროსს, დიდიმიონს, ბრეტანიოსს, კალიკრატეს, დალმაციოსს, აიდესიოსს, ევსტოქიოსს, ამბროსის, გელონიოსს, პარდალიოსს, მაკედონიოსს, პავლეს, მარკელოსს, ჰერაკლეს, ალექსანდრეს, ადოლიოსს, მარკიანოსს, სთენელოსს, იოანეს, მაკერიოსს, ქარისიოსს, სილვანოსს, ფოტინოსს, ანტონის, ავთოსს, კელსოსს, ევფრანორს, მილესიოსს, პატრიკიოსს, სევერიანეს, ევსების, ევმოლპიოსს, ათანასეს, დიოფანტეს, მენოდორეს, დიოკლეს, ქრისამპელოსს, ნეონს, ევგენის, ევსტათის, კალიკრატეს, არსენს, ევგენის, მარტვირის, ჰიერაკიოსს, ლეონტის, ფილაგრიოსს, ლუკიოსს და ყველა მართლმადიდებელ ეპისკოპოსს აღმოსავლეთში, ეპისკოპოსი ლიბერიუსი, იტალიის და დასავლეთის ეპისკოპოსები მოკითხვა ყოველ ჟამს უფალში.

საყვარელო ძმებო, უპატივცემულესი ძმების, ეპისკოპოსების, ევსტათის და თეოფილეს მიერ გადმოცემულმა რწმენის სინათლით ანთებულმა თქვენმა წერილებმა მშვიდობისა და ერთსულოვნების უსაწადელესი სიხარული გვიბოძა ჩვენ; განსაკუთრებით იმან, რომ თქვენი შეხედულებები და აზრები ეთანხმება და ეხმატკბილება ჩვენ უკნინესობას და იტალიელ და ყველა დასავლელი ეპისკოპოსის მიერ დამტკიცებულ და წარმოჩენილ [მრწამსს]. ვიცით, რომ ეს არის კათოლიკე და სამოციქულო მრწამსი, რომელიც ნიკეაში გამართული კრებიდან მოყოლებული, ამ ჟამამდე უბიწოდ და შეურყევლად ჰგიებს. ისინიც აღიარებენ, რომ მათ ეს მრწამსი უპყრიათ და სიხარულით აღვსილნი სრულიად განაგდებენ ეჭვის ყოველგვარ კვალს და უკანასკნელ ნაპერწკალს, და იგივე არა მხოლოდ სიტყვით, არამედ წერილობითაც გადმოსცეს, რომლის ასლის დართვა ამ წერილებისთვის აუცილებლად ჩავთვალეთ, რათა მწვალებლებისთვის არ დაგვეტოვებინა შეთქმულებისთვის რაიმე საბაბი, რომლითაც კვლავ აღაგ-

ზნებდნენ ბოროტების ნაპერწკლებს და მათთვის ჩვეული განხეთქილების ჩამოგდებით შეუნთებდნენ. მას შემდეგ, რაც ჩვენმა უპატივცემულესმა ძმებმა, ევსტათიმ, სილვანოსმა და თეოფილემ აღიარეს ეს მრწამსი და რომ თავადაც და თქვენს სიყვარულსაც ყოველთვის ეპყრათ ეს მრწამსი და იმავეს დაიცავდით ბოლომდე, ვგულისხმობ ნიკეის კრებაზე სამას თვრამეტი მართლმადიდებელი ეპისკოპოსის მიერ გამოკვლეულ მრწამსს, რომელიც შეიცავს სრულ ჭეშმარიტებას და მწვალებელთა მთელ ბრბოს პირს დაუხშავს და დაამხობს. რამეთუ არათუ შემთხვევით, არამედ საღვთო წამისყოფით შეიკრიბა ამ რაოდენობის ეპისკოპოსი არიოზის წინააღმდეგ, რა რაოდენობის [მსახურითაც] აბრაამმა ესოდენი ათასი უკუაქცია თავისი რწმენით[123]; რომელ რწმენასაც შეიცავს „თანაარსის“ არსიც და სახელიც და როგორც უძლეველი და დაუმარცხებელი რამ დაცვა დაამხობს და უკუაგდებს არიოზის ბოროტი სარწმუნოების ყოველგვარ შემოტევას და მზაკვრობას. ამიტომაც, როდესაც არიმინში შეიკრიბა დასავლეთის ყველა ეპისკოპოსი, როდესაც ისინი შეკრიბა არიანელთა ბოროტმა ჩვეულებამ, რათა ან დარწმუნებით ან, უფრო სწორად, საერო ძალაუფლების დახმარებით[124], და ის, რაც ყველაზე უფრო უსაფრთხო იყო მრწამსში, აღეხოცათ ან სიცრუით უარეყოთ, მაგრამ ვერაფერს გახდა მათი ყველანაირი მცდელობები. თითქმის ყველა, ვინც იმყოფებოდა არიმინში და მოტყუებული ან შეცდომაში შეიყვანეს, ახლა შეიცვალეს აზრი და შეაჩვენეს არიმინში შეკრებილთა [მრწამსის] გადმოცემა და ხელი მოაწერეს ნიკეაში ღვთივშთაგონებით გადმოცემულ კათოლიკე და სამოციქულო მრწამსს. ისინი ჩვენთანაც არიან თანაზიარებაში და მეტად მოშურნედ არიან განრისხებული არიოზის მოძღვრებასა და მის მოწაფეებზე. ამ საკითხის მხილება თქვენი სიყვარულის ელჩებმაც შეიცნეს და თავიანთი ხელმოწერაც შეაუღლეს, შეაჩვენეს არიოზი და არიმინში ჩადენილი საქმეები ნიკეაში ღვთივშთაგონებული მრწამსის წინააღ-

მდეგ, რასაც თქვენც, შეცდომაში შეყვანილებმა, ფიცით მოაწერეთ ხელი. ამიტომ, ჩვენ ბუნებრივად (აკოლუთონ) მივიჩნიეთ მოგვეწერა თქვენი სიყვარულისთვის და შევწევნოდით თქვენს სამართლიან მოთხოვნებს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ვცნობთ თქვენი ელჩების აღსარების მეშვეობით აზრშეცვლილ აღმოსავლელთა თანხმობას დასავლეთის მართლმადიდებელ [ეპისკოპოსებთან]. აგრეთვე გიცხადებთ, რათა უწყოდეთ, რომ არიმინის გმობას მაშინ მოტყუებული აღმსარებლები აწ შეაჩვენებენ და ყველაფერში ეთანხმებიან ნიკეის მრწამსს. აუცილებელია, რომ თქვენი მეშვეობით ყველას ეუწყოს ეს, რათა შეძლონ მზაკვრულად მოტყუებულებმა, ოდესმე მწვალებლური წყვდიადიდან კათოლიკე თავისუფლების საღვთო ნათელისკენ მოიქცნენ. მათ, რომლებიც ამავე კრების შემდეგ არ ისურვებენ გადმონერწყვონ ბოროტი სარწმუნოების შხამი და არიოზის ყოველი გმობის აღხოცვას და შეჩვენებას, უნდა იცოდნენ, რომ ისინი არიოზთა, მის მოწაფეებთან და დანარჩენ გველებთან, საბელიანელებთან თუ პატრიპასიანელებთან, თუ სხვა ოდესმე არსებულ მწვალებლობებთან ერთად მოღალატეებად არიან შერაცხილი და განკვეთილი არიან საეკლესიო კრებულებიდან[125], რომელიც არ ღებულობს უკანონო შვილებს. ღმერთმა დაგიცვათ ჯანმრთელად, საყვარელო ძმებო."

ეს წერილები მიიღეს ევსტათის თანმხლებმა პირებმა და სიცილიისკენ გაემართნენ. მათ იქ გამართეს სიცილიელი ეპისკოპოსების კრება, მათ წინაშე აღიარეს „თანაარსის" მრწამსი და დაამტკიცეს ნიკეის მრწამსი. მიიღეს რა მათგანაც იმავე გადაწყვეტილების შემცველი წერილები, დაბრუნდნენ მათ წარმომგზავნელებთან. როდესაც მათ მიიღეს ლიბერიუსის ეპისტოლეები, ელჩები დააგზავნეს ქალაქებში „თანაარსის" მრწამსის წინამდგომელებთან, შეაგონებდნენ ერთსულოვნად შეკრებილიყვნენ კილიკიის ტარსუსში ნიკეის მრწამსის დასამტკიცებლად და ამის

შემდეგ მომხდარი ყოველგვარი მასხარაობის გასაუქმებლად[126]. ალბათ, ასეც მოხდებოდა, იმხანად იმპერატორთან დაახლოებულ უდიდეს ძალას რომ არ შეეშალა ხელი, – ვგულისხმობ არიანელთა სარწმუნოების წინამდგომელს, ევდოქსიოსს, რომელმაც კრების გამოცხადების გამო რისხვით აღვსილმა უფრო მეტი ბოროტებები გაუკეთა მათ.

ის, რომ მაკედონიანელებმა იმ ელჩების მეშვეობით, რომლებიც გაგზავნეს ლიბერიუსთან, დაამტკიცეს ნიკეაში მიღებული მრწამსი, თვითონ საბინოსი აღიარებს ამას „სინოდიკონთა კრებულში[127]“.

XIII თავი

თუ როგორ გამოეყო ევნომიოსი ევდოქსიოსს. აგრეთვე ევდოქსიოსის მიერ ალექსანდრიაში აღძრული შფოთის შესახებ; თუ როგორ კვლავ გაიქცა ათანასე ნებაყოფლობით გადასახლებაში, მაგრამ ხალხის მოთხოვნით იმპერატორმა უკან მოიხმო იგი და დაამტკიცა მის საყდარზე

დაახლოებით ამ დროს ევნომიოსი გამოეყო ევდოქსიოსს და საკუთარი შეკრებები გამართა, რადგან მან მრავალგზის სთხოვა ევდოქსიოსს, მიეღო მისი მოძღვარი აეციოსი, რაც მან არ შეისმინა. მაგრამ მას ეს ნებაყოფლობით არ გაუკეთებია (რადგან მან არ უარყო აეციოსის მოძღვრება, რომელიც იგივე მისი რწმენა იყო), არამედ, ვინაიდან მისი ყველა თანამოაზრე მას სხვაგვარი რწმენის მქონედ მიიჩნევდა. ეს გახდა ევნომიოსის ევდოქსიოსისგან გამოყოფის მიზეზი.

ეს ამბები მოხდა კონსტანტინოპოლში. ევდოქსიოსის მიერ ალექსანდრიაში გაგზავნილმა პრეფექტების განკარგულებებმა აღაშფოთა ეკლესია. ათანასე ეჭვობდა, რომ ხალხში აღიძრებოდა უგუნური ამბოხი და შეშინებულმა იმით, რაიმე უჯერო არ

მომხდარიყო მისი მიზეზით, მთელი ორმოცი თვე მამამისის სასაფლაოზე იმალებოდა. ვინაიდან მისი წასვლის გამო მისდამი სიყვარულით ხალხი ამბოხდა, იმპერატორმა შეიტყო, რომ ამის გამო იყო ალექსანდრია შეწუხებული და წერილებით შეატყობინა, რომ ათანასეს უშიშრად ემართა ეკლესიები. ამიტომ, აღარ შეშფოთებულა ალექსანდრიის ეკლესია ათანასეს აღსასრულამდე.

ცოტა მოგვიანებით ვიტყვით, რომ მისი აღსასრულის შემდეგ კვლავ არიანული დაჯგუფება განაგებდა ეკლესიებს.

XIV თავი
თუ როგორ დაასხეს ხელნი არიანელებმა დემოფილეს ევდოქსიოსის გარდაცვალების შემდეგ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსად; ხოლო მართლმადიდებლებმა მის მონაცვლედ დაადგინეს ევაგრი

იმხანად იმპერატორმა ვალენტი კონსტანტინოპოლიდან კვლავ გაეშურა ანტიოქიაში[128]. ბითვინიის ნიკომიდიაში ჩასვლისას იქ შეყოვნდა შემდეგი მიზეზით. არიანული ეკლესიის ეპისკოპოსი ევდოქსიოსი იმპერატორის წასვლის შემდეგ აღესრულა ვალენტინიანე მესამეს და ვალენტ მესამეს კონსულობისას, ეპყრა რა კონსტანტინოპოლის ეკლესიის საყდარი თერთმეტი წლის განმავლობაში. ამიტომ, არიანელებმა მის ადგილზე დაადგინეს დემოფილე[129]. „თანაარსის“ მიმდევრებმა იფიქრეს, რომ მარჯვე დრო დაუდგათ და მათი რწმენის მქონე ვინმე ევაგრი[130] წამოაყენეს. მას წინათ ხელნი დაასხა ოდესღაც ანტიოქიის ეპისკოპოსმა ევსტათიმ, რომელიც გადასახლებიდან იოვიანუსის მიერ იყო გამოხმობილი და მაშინ კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა „თანაარსის“ სარწმუნოების გაძლიერების მიზნით; ასევე იქ მალულად ატარებდა ცხოვრებას.

XV თავი
თუ როგორ განდევნა იმპერატორმა ევსტათი და ევაგრი. აგრეთვე არიანელების მიერ მართლმადიდებელთა დევნულების შესახებ

როდესაც ეს მოხდა, არიანელებმა კვლავ ხელახლა აღძრეს დევნულება მათ წინააღმდეგ. მალე მიაღწია ამ ამბავმა იმპერატორის ყურამდე. მან სიფრთხილე გამოიჩინა, რომ ხალხის უკმაყოფილობით გამოწვეულ ამბოხს ქალაქი არ დაენგრია, და ჯარი გაგზავნა ნიკომიდიიდან კონსტანტინოპოლში. ბრძანა, რომ იქ შეეპყრათ ხელდამსხმელიც და ხელდასხმულიც და სხვადასხვა ადგილებში გადაესახლებინათ. ევსტათი გადაასახლეს თრაკიის ქალაქ ბიზიაში, ევაგრი კი სხვა ადგილას წაიყვანეს. მას შემდეგ, რაც ეს მოიმოქმედა, არიანელები უფრო მეტად გათავხედდნენ, ეკლესიის [წევრებს] ავნებდნენ, ცემდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ, საპყრობილეებში ამწყვდევდნენ, ქონებას ართმევდნენ, ერთი სიტყვით, ყველანაირ აუტანელ საქციელს ჩადიოდნენ მათ წინააღმდეგ. მათ ვერ გაუძლეს ამ ზეწოლას და იმპერატორთან მივიდნენ სათხოვნელად, რომ თუ შეიძლებოდა ნაწილობრივ მაინც გაეთავისუფლებინა ამ ძალადობისგან. მაგრამ გაუცრუვდათ იმედი, რადგან დანაშაულის ჩამდენისგან მოელოდნენ სამართლიანობას.

XVI თავი
თუ როგორ დაწვეს ერთ-ერთი ხუცესი ხომალდზე ვალენტის ბრძანებით. ფრიგიაში შიმშილობის შესახებ

მათ საეკლესიო წოდებიდან გამოარჩიეს ოთხმოცი კეთილ-კრძალული კაცი, რომელთა შორის იყვნენ ურბასოსი, თეოდორე, მენედემოსი, ნიკომიდიაში ჩავიდნენ და მათი ვედრება გადასცეს

იმპერატორს, აცნობეს. თუ რა ძალადობას ითმენდნენ. განრისხებულმა იმპერატორმა დაფარა თავისი ესოდენ დიდი გულისწყრომა, მაგრამ მალულად უბრძანა პრეფექტ მოდესტოსს[131], რომ შეეპყრო ეს ადამიანები და სიკვდილით დაესაჯა. მათი სიკვდილის სახეობა მეტად უცხო იყო, ამიტომაც ხსოვნით გადმოიცემა. პრეფექტი შეშინდა ხალხის ამბოხი არ მომხდარიყო მათი აშკარად დახოცვის გამო, ამიტომ მოიგონა, თითქოს გადასახლებაში უშვებდა მათ. პრეფექტმა თამამად მიიღო ეს გადაწყვეტილება, ბრძანა ხომალდში ჩაესვათ ისინი თითქოს გადასახლებაში გასამგზავრებლად, მაგრამ მეზღვაურებს დაავალა, რომ, როდესაც შუა ზღვაში იქნებოდნენ, ცეცხლი წაეკიდათ ხომალდისთვის, რათა ამ გზით დაეღუპა ისინი და არ ჰყოლოდათ დამმარხავი. ასეც მოხდა. როდესაც წავიდნენ, ასტაკიოსის ყურის შუაში რომ მიაღწიეს, გააკეთეს ის, რაც ნაბრძანები ჰქონდათ, მეზღვაურებმა ცეცხლი წაუკიდეს ხომალდს, გადასხდნენ თანმხლებ ნავში და დატოვეს ხომალდი. მაგრამ ამოვარდა ძლიერი ქარი, განდევნა ცეცხლწაკიდებული ხომალდი, ისე რომ სწრაფად გაცურა და გაჩერდა ნავსაყუდელთან, რომელსაც ეწოდება დაკიდიძა, სადაც საბოლოოდ განადგურდა ამ ადამიანებთან ერთად[132].

მრავალი ამბობს, რომ ეს ამბავი დაუსჯელი არ დარჩენილა. ძლიერი შიმშილობა დაატყდა თავს ფრიგიის პროვინციას[133], ისე რომ მალე ამ მხარის მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებული შეიქნა აყრილიყო და კონსტანტინოპოლში და სხვა პროვინციებში გაქცეულიყო. რადგან კონსტანტინოპოლი მუდამ კვებავდა განუსაზღვრელი ოდენობის ხალხს, ძლიერ მდიდარი იყო, ზღვით ყველა მხრიდან მოჰქონდათ რაც რამ საჭირო იყო და მასთან მდებარე ევქსინოს პონტოც (შავი ზღვაც) აძლევდა საკვებს, როდესაც კი ამის მოთხოვნილება უჩნდებოდა.

XVII თავი
თუ როგორ კვლავ დევნიდა ვალენტი ანტიოქიაში „თანაარსის“ მიმდევრებს

იმპერატორმა ვალენტმა ცოტა ხნით იზრუნა ამ შიმშილობაზე და შემდეგ გაემართა სირიის ანტიოქიაში[134]. როდესაც იგი იქ იმყოფებოდა, ავიწროვებდა მათ, ვინც არ იყო არიანელი. ბოლოს, განდევნა „თანაარსის“ მორწმუნენი ანტიოქიისა და აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქალაქის ეკლესიებიდან, მაგრამ ესეც არ იკმარა და სხვადასხვა სახის სასჯელებს ადებდა მათ. მან წინანდელზე მეტი დაღუპა, სხვადასხვა სახით დახოცა, განსაკუთრებით მდინარეში ახრჩობდა მათ.

XVIII თავი
ედესაში მომხდარი ამბების შესახებ[135]: თუ როგორ შეუპოვრობას იჩენდა მოსახლეობა; აგრეთვე ერთი ქალის სიმამაცის შესახებ

უნდა ითქვას ისიც, თუ რა მოხდა შუამდინარეთის ედესაში. ამ ქალაქში არის მოციქულ თომას ბრწყინვალე და დიდებული მარტირიუმი[136]. მასში იმართება საღვთისმსახურო შეკრებები ამ ადგილის სიწმინდის გამო. ამის მონახულება ეწადა იმპერატორ ვალენტს და, როდესაც შეიტყო, რომ ყველა ერთმანეთზე გადამტერებული მწვალებლობის მრევლი იქ იკრიბებოდა, ამბობენ, ხელი შემოარტყა პრეფექტს, რომ არ იზრუნა მათი იქიდან განდევნაზე. როცა შეურაცხყოფილი პრეფექტი მზად იყო მისი ნების წინააღმდეგ ემსახურა იმპერატორის რისხვისათვის (რადგან არ სურდა ამდენი ადამიანის დახოცვა), მალულად შეატყობინა მათ, რომ არ დარჩენილიყვნენ სამარტვილეში (მარტირიუმში).

მაგრამ არავინ არ იღო ყურად, არც რჩევა, არც მუქარა, რადგან მეორე დღეს ყველა შეიკრიბა მარტირიუმში. როდესაც პრეფექტი ჯარისკაცების თანხლებით გაემართა იმპერატორის რისხვის დასაცხრობად მარტირიუმში, ერთი უპოვარი ქალი შეხვდა, რომელსაც ხელით მიჰყავდა ბავშვი და მიიჩქაროდა მარტირიუმში, და შუაზე გადაკვეთა პრეფექტის შუბოსანთა რაზმი. აღშფოთებულმა პრეფექტმა ბრძანა მასთან მოეყვანათ ეს ქალი და უთხრა მას: „საბრალო ქალო, სად მირბიხარ ასე მოუწესრიგებელი?“ მან მიუგო: „სადაც სხვებიც მირბიან?“. პრეფექტმა უთხრა: „არ გსმენია,რომ პრეფექტი აპირებს ყველას დახოცვას,ვისაც იქ იპოვის?“ ქალმა მიუგო: „მსმენია და ამიტომაც მივიჩქარი, რომ იქ მიპოვოს.“ როცა პრეფექტმა ჰკითხა ქალს: „და სად მიათრევ ამ პატარას?“ – მან მიუგო: „რათა ისიც მოწამეობის ღირსი შეიქნას.“ როდესაც ამ კაცმა მოისმინა ეს სიტყვები, დარწმუნდა იქ შეკრებილთა სიშლეგეში, კვლავ მივიდა იმპერატორთან და აცნობა მას, რომ ყველა მზად იქნებოდა მათი რწმენისთვის დაღუპულიყო, და უთხრა, რომ უგუნურება იყო ესოდენი ადამიანის ასე უცბად დახოცვა; დაარწმუნა იმპერატორი, რომ დაეოკებინა გულისწყრომა[137]. ამგვარად დააღწიეს თავი ედესელებმა თავიანთი იმპერატორის მიერ გამართულ ომში დაღუპვას.

XIX თავი
თუ როგორ დახოცა მრავალი ადამიანი ვალენტმა მათი სახელების გამო წარმართული მჩხიბაობის შედეგად[138]

დაახლოებით იმ დროს დამღუპველმა დემონმა[139] სარგებელი მიიღო იმპერატორის სისასტიკისგან. რადგან დაარწმუნა ზოგიერთი ცნობისმოყვარე ადამიანი, ნეკრომანტია ჩაეტარებინათ იმის შესატყობათ, თუ ვინ გამეფდებოდა ვალენტის შემდეგ.

ამ მაგიური ხრიკის გამოყენებით დემონმა დაღუპა ისინი არათუ აშკარად, არამედ მისთვის ჩვეული გზით, არაპირდაპირ. მან აჩვენა ოთხი ასო, **"Θ", "Ε", "Ο"** და **"Δ"**, უთხრა, რომ ამ ასოებით იწყებოდა ვალენტის შემდეგ ვინც გამეფდებოდა, მისი სახელი და ამ ასოებისგან შედგებოდა ის სახელი. ამ ამბავმა მიაღწია იმპერატორის ყურამდე. მან არ დაუთმო ადგილი ღვთის მიერ მომავლის ცოდნას და იმის გაკეთებას, რაც მას ენება, რომელიც ყველაფერს განაგებს კეთილად, არამედ არად ჩააგდო ქრისტიანული დაპირებები (აღთქმები), რომელთათვის მოშურნედ მიაჩნდა თავი და მრავალი ადამიანი დახოცა, რომელთა ტირანულ განზრახვაშიც ეჭვი შეიტანა. ამრიგად, მან დახოცა თეოდორეები, თეოდოტიოსები, თეოდოსიები, თეოდულეები და რამდენი ვინმეც ატარებდა ამ სახელებს ან მათ მსგავსს. მათ შორის მოკლა თეოდოსიოლოსიც, კაცი კეთილშობილი ესპანეთის წარჩინებული გვარის ჩამომავალი. ამის შიშით მრავალმა შეიცვალა სახელი და უარი განაცხადა იმაზე, რაც მშობლებმა შობისას უწოდეს, რადგან მას მათთვის საფრთხე მოჰქონდა.

XX თავი
ათანასეს გარდაცვალებისა და მის საყდარზე პეტრეს ასვლის შესახებ

ეს ითქვა ამ ამბის შესახებ. უნდა ითქვას ისიც, რომ სანამ ალექსანდრიის ეპისკოპოსი ათანასე ცოცხალი იყო, იმპერატორმა ღვთის რამ წინაგანგებით გადადო ალექსანდრიასა და ეგვიპტეში შფოთის ჩამოგდება. მან იცოდა, რომ ალექსანდრიაში უამრავი ადამიანი იყო, ვინც მხარს უჭერდა ათანასეს და ამიტომ ეჭვობდა, ალექსანდრიაში ამბოხი არ ამტყდარიყო და ბუნებით მხურვალე ბრბოს არ ევნო სახელმწიფო საქმეები-

სათვის. ათანასემ ეკლესიის გამო მრავალი ბრძოლის გადატანის შემდეგ დატოვა ეს ცხოვრება გრაციანეს მეორეგზის და პრობუსის კონსულობის დროს. იგი ორმოცდაექვსი წლის განმავლობაში მრავალი საფრთხის ქვეშ აღასრულებდა საეპისკოპოსო მსახურებას[140]. მის ადგილას დატოვა პეტრე, კაცი კეთილკრძალული და განათლებული[141].

XXI თავი
თუ როგორ დართო ნება იმპერატორმა ვალენტმა არიანელებს, რომ დაეტუსაღებინათ პეტრე და მის ადგილზე დაედგინათ ლუკიოსი

ამრიგად, კვლავ გული მოეცათ არიანელებს, იკვეხნიდნენ იმპერატორის სარწმუნოებით და დაუყოვნებლივ შეატყობინეს იმპერატორს [ეს ამბავი], რომელიც მაშინ ანტიოქიაში იმყოფებოდა. მაშინ ანტიოქიის არიანელმა წინამდგომელმა ევძოიოსმა ისარგებლა ხელსაყრელი დროით, მოემზადა ალექსანდრიაში ჩასასვლელად, რათა ლუკიოსისთვის გადაეცა იქაური ეკლესია[142]. ეს განზრახვა იმპერატორმაც მოიწონა და ისიც იმპერატორის ძალაუფლებით სწრაფად ჩავიდა ალექსანდრიაში. მას თან გაჰყვა იმპერიის ხაზინადარი მაგნუსი, რომელმაც იმპერატორის განკარგულება გადასცა ალექსანდრიის პრეფექტ პალადიოსს[143] და ჯარს ებრძანა დახმარებოდა [ევძოიოსს]. ამიტომ, მათ შეიპყრეს პეტრე და დაატუსაღეს[144], სხვა სასულიერო პირები სხვადასხვა ადგილას გაფანტეს და საყდარზე დასვეს ლუკიოსი.

XXII თავი
თუ როგორ დუმს საბინუსი არიანელების დანაშაულებზე. პეტრეს რომში გაქცევისა და არიანელთა მიერ მოწყობილი მონაზონთა ხოცვა-ჟლეტის შესახებ

საბინუსი სრულებით არ ახსენებს, თუ რამდენი უბედურება მოხდა ლუკიოსის შესვლისას, რამდენი რამ ჩაიდინეს განდევნილთა მიმართ საპყრობილეებსა თუ მის კედლებს გარეთ, თუ რა ტანჯვა-წამება განიცადეს მათ თავს და ამ ტანჯვის შემდეგ გადაასახლეს. რადგან იგი არიანელი იყო და ნახევარი დამალა, რაც იყო მისი მეგობრების დანაშაულები. პეტრე თავისი წერილებით[145], რომლებიც ყველა ეკლესიას დაუგზავნა მისი ბორკილებიდან გაქცევის შემდეგ ცხადყოფს ყველაფერს, რაც მოხდა. მან შეძლო საპყრობილიდან გაქცევა და წავიდა რომის ეპისკოპოს დამასთან. არიანელებმა კი, თუმც ცოტანი იყვნენ, კვლავ ხელში ჩაიგდეს ალექსანდრიის ეკლესიები. ცოტა ხნის შემდეგ იმპერატორმა ბრძანება გამოსცა, რომ ალექსანდრიიდან და მთელი ეგვიპტიდან განედევნათ „თანაარსის“ მიმდევრები. პრეფექტს ებრძანა, რომ მრავალრიცხოვანი ჯარით გამოედევნა ისინი ყველა ადგილიდან, სადაც უბრძანებდა ლუკიოსი. იმხანად ნადირობდნენ, აშფოთებდნენ და საშინლად ებრძოდნენ უდაბნოში მდებარე მონასტრებს. შეჭურვილები თავს ესხმოდნენ უიარაღო ადამიანებს, რომლებიც ხელს არ აღმართავდნენ მათ დასახოცად წამოსულებზე. ასე საწყალობლად დახოცეს ისინი, რომ სიტყვას არ ძალუძს გადმოსცეს მათ თავზე დატრიალებული უბედურება[146].

XXIII თავი
ზოგიერთი წმინდანის ღვაწლი, რომლებმაც თავი მიუძღვნეს მონაზვნურ ცხოვრებას

მას შემდეგ, რაც ეგვიპტის მონასტრები ვახსენეთ, არაფერი გვიშლის ხელს, მოკლედ მოგითხროთ მათ შესახებ. ეგვიპტეში სამოღვაწეო სახლებს[147] დიდი ხნის წინ ჩაეყარა საფუძველი, განივრცო და დიდად წარემატა ღვთივსათნო კაცის თეოფილეს მიერ, რომლის სახელი იყო ამუნი[148]. მან სიყმაწვილეში უარი თქვა ქორწინებაზე, მაგრამ, როდესაც ზოგიერთები მოვიდნენ მასთან და შეაგონებდნენ, რომ შეურაცხყოფა არ მიეყენებინა ქორწინებისთვის, მოეყვანა ცოლი, დაარწმუნეს და წაიყვანეს დასაქორწინებლად. მაგრამ როდესაც საქორწინო ოთახიდან მოიყვანა ქალწული და წაიყვანა საძინებელში წესის მიხედვით გაცილებით, ბოლოს, მეგობრების წასვლის შემდეგ, მან აიღო სამოციქულოს წიგნი, და წაიკითხა პავლეს ეპისტოლე კორინთელთა მიმართ და მეუღლეს უამბო დაქორწინებულთა მიმართ მოციქულის აღთქმები[149]. გარდა ამისა, მან თვითონაც მრავალი რამ დაურთო და ასწავლიდა მას, თუ რამდენ სიძნელეს შეიცავს ქორწინება, როგორი მძიმეა მამაკაცის და ქალის თანაცხოვრება და რამდენი ტკივილი მოაქვს მშობიარობას და რამდენი განსაცდელი მოჰყვება ბავშვის აღზრდას[150]. მან ასევე უხსენა მას უბიწოების სიკეთე, თუ როგორი თავისუფალი, შეუსვრელი და სილირწის გარეშე არის წმინდა ცხოვრება, და რომ ქალწულება ღმერთთან აახლოებს. როდესაც ეს და სხვა მრავალი ასეთი რამ უთხრა მის ქალწულ მეუღლეს, დაარწმუნა იგი, რომ სანამ მასთან შეუღლდებოდა მასთან ერთად უარეყო ამქვეყნიური ცხოვრება. ასე ორივე მათგანი შეთანხმდა და წავიდნენ ნიტრიად წოდებულ მთაში, სადაც მცირე ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ ქოხში და ჰქონდათ საერთო სამოღვაწეო სახლი, ქალი და მამაკაცი არ იყვნენ ერთმანეთისგან გაყოფილი, არამედ იყვნენ

ერთი ქრისტეში, როგორც ამბობს მოციქული[151]. მაგრამ არცთუ დიდი დროის გავლის შემდეგ ახლადდაქორწინებულმა უბიწო მეუღლემ ამუნს უთხრა: „არ შეგფერის თავშეკავების ღვაწლში მყოფს სახლში გესვას ქალი. ამიტომ, თუ გსურს, ცალ-ცალკე ვიღვაწოთ.“ კვლავ შეთანხმდნენ ორივე, განშორდნენ ერთმანეთს და ასე გაატარეს დარჩენილი ცხოვრება, თავს იკავებდნენ ღვინისაგან და ზეთისგან, მხოლოდ გამხმარ პურს და მასაც ზოგჯერ დღეში ერთგზის, ზოგჯერ ორ დღეში ერთხელ, ხდებოდა ისე, რომ უფრო იშვიათადაც იხმევდნენ.

ამ ამუნის სული იხილა, თუ როგორ აჰყავდათ ანგელოზებს მისი გარდაცვალების შემდეგ, ანტონიმ, რომელიც მის დროს ცხოვრობდა, როგორც ამას ამბობს მის „ცხოვრებაში“ ალექსანდრიის ეპისკოპოსი ათანასე[152].

ძალიან ბევრი ბაძავდა ამუნის ცხოვრებას და თანდათან აივსო მონაზონთა სიმრავლით ნიტრიის და სკიტის მთები. ყველა მათგანის ცხოვრების აღწერა ცალკე თემაა. ვინაიდან იქ ცხოვრობდნენ ღვთივსათნო, ღვაწლით გამშვენებული და სამოციქულო ცხოვრებით მცხოვრები ადამიანები, სასარგებლო და მოხსენიების ღირს საქმეებს სჩადიოდნენ და ამბობდნენ, ვფიქრობ, საჭირო მრავლიდან ცოტა შევურიო ისტორიას მკითხველთათვის სარგებლის მოსატანად.

ამბობენ, ამ ამუნს არასოდეს უნახავს საკუთარი თავი შიშველი; ამბობდა, რომ მონაზონს არ შეშვენოდა შიშვლად საკუთარი თავის დანახვაც კი. ერთხელ ეწადა მდინარეზე გადასვლა, მაგრამ ყოყმანობდა, გაეხადა თუ არა, ილოცა ღვთის მიმართ, რომ გადაეყვანა იგი დაუბრკოლებლად; და ანგელოზმა გადაიყვანა იგი მდინარეზე.

მეორე მონაზონმა, დიდიმემ ოთხმოცდაათი წელი გაატარა ისე, რომ არავისთან არ უცხოვრია სიკვდილამდე.

სხვა მონაზონი არსენიოსი დაცემულ ყმაწვილებს არ განაშორებდა [კრებულს], არამედ – წარმატებულთ. იგი ამბობდა: „თუ

განკვეთავ ყმაწვილს, იგი ამას არად ჩააგდებს, [სულიერად] წარ-მატებულს კი სწრაფად მოიცავს განკვეთის ტკივილის გრძნობა.“

პიორი სიარულის დროს ჭამდა, და როდესაც ჰკითხეს – „რატომ ჭამ ასე“, უპასუხა: „არ მსურს საჭმელი ისე მივიღო, თითქოს საქმეს ვაკეთებდე, არამედ სახელდახელოდ[153].“ სხვას კი, ვინც ეს ჰკითხა, მიუგო: „რათა ჭამის დროს სულმა სხეულებრივი სიამოვნება არ განიცადოს[154].“

ისიდორე ამბობდა, რომ ორმოცი წლის იყო, როდესაც იგ-რძნო ცოდვა გონებაში, მაგრამ არასოდეს დათანხმებია არც გულისთქმას, არც გულისწყრომას[155].

პამბო წერა-კითხვის უმეცარი იყო და მივიდა ერთ კაცთან ფსალმუნის სასწავლებლად, მაგრამ, როდესაც მოისმინა ფსალ-მუნის პირველი მუხლი, რომელიც ამბობდა: „ვთქვი, დავიცავ ჩემს გზებს, რათა არ ვცოდო ჩემი ენით[156]“, მეორე მუხლი აღარ მოუსმენია, ისე წავიდა, თქვა, რომ საკმარისი იყო მისთვის ამ ერთი მუხლის მოსმენა: „თუ შევძლებ, საქმით ვისწავლი ამას“. როდესაც გაკიცხა მან, ვინც წაიკითხა ეს მუხლი, თუ რატომ არ გამოჩენილა იგი ექვსი თვის განმავლობაში, მან მიუგო: „იმიტომ, რომ ფსალმუნის ეს მუხლი ჯერ არ მქონდა საქმით ნასწავლი“. ამის შემდეგ დიდი ხანი გამოხდა და, როცა ერთმა მისმა მე-გობარმა ჰკითხა, თუ ისწავლა ეს მუხლი, უთხრა: „მთელი ოთხ-მოცდაათი წლის განმავლობაში ძლივს ვისწავლე.“ ერთხელ მას ერთმა კაცმა მისცა ოქრო უპოვართა გამოსაკვებად და უთხრა მას: „დაითვალე, რაც მოგეცი“, მან უპასუხა: „ღმერთს დათვლა არ სჭირდება, არამედ სადი განწყობა[157]“. ეს პამბო ჩავიდა ალექსანდრიაში, როდესაც მას მოუხმო ეპისკოპოსმა ათანასემ. იქ ჩასულმა დაინახა მსახიობი ქალი და ტირილი დაიწყო, როდესაც მიზეზი ჰკითხეს, უპასუხა: „ორმა რამ აღმძრა [სატირლად]: ერთი, ამ ქალის დაღუპვამ და მეორე, იმან, რომ მე არ გამაჩნია ესოდენი მოშურნეობა, ღმერთს ვაამო, როგორც ამას, რომ აამოს სამარცხვინო კაცებს[158]“.

სხვამ კი ამ ნეტარი პამბოს შესახებ თქვა, რომ მრავალი წლის განმავლობაში ასე ლოცულობდა: „უფალო, არ განმადიდო ამ მიწაზე“. და ესოდენი პატივით შემოსა ღმერთმა და განადიდა, როგორც მოსე. რადგან მისი პირის დანახვაც შეუძლებელი იყო მისი პირის დიდების გამო, რაც მას მიანიჭა ღმერთმა[159], ასევე მიიღო ამანაც იგივე მადლი და არავის შეეძლო მისი პირისპირ ხილვა მის აღსასრულამდე[160].

აბბა არსენი ამბობდა, რომ მონაზონი, თუ არ შრომობს, მომხვეჭელის თანასწორად უნდა შეირაცხოს.

პიტერიოსმა მრავალი ბუნებითი ხედვები[161] შეიცნო და გამუდმებით განუმარტავდა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხედვებს, ვინც კი ეკითხებოდა და ლოცულობდა თითოეული ხედვის მიხედვით.

იმხანად მონაზონთა შორის იყო ორი ღვთივსათნო კაცი, რომლებიც ერთმანეთის თანამოსახელე იყვნენ, რადგან ორივეს ეწოდებოდა მაკარი. მათგან ერთი იყო ზემო ეგვიპტიდან, მეორე კი – ალექსანდრიელთა ქალაქიდან. ორივე მათგანი მრავალი რამის გამო იყო სახელგანთქმული: მოღვაწეობის, ცხოვრების, ზნის, მათი ხელით მომხდარი სასწაულების გამო. ეგვიპტელმა მაკარიმ ესოდენი კურნება მოიმოქმედა და ესოდენი ეშმაკეულისგან განდევნა დემონები ღვთის მადლით, რომ ცალკე მწერალი სჭირდება ამის აღწერას[162]. მაგრამ იგი მკაცრი და კრძალული იყო მის მნახველებთან. ალექსანდრიელი მაკარი კი, თუმც ყველაფერში ეგვიპტელის მსგავსი იყო, მხოლოდ ამაში განსხვავდებოდა მისგან, რომ ის მასთან მოსულებთან მხიარული იყო და უხაროდა, როცა ყმაწვილებს აცნობდა ღვაწლს[163].

მათი მოწაფე გახდა ევაგრი და საქმეებით მოიხვეჭა ფილოსოფია, მანამდე მხოლოდ სიტყვის ფილოსოფოსი იყო. მას კონსტანტინოპოლში დიაკვნად ხელნი დაასხა გრიგოლ ნაზიანზელმა, შემდეგ მასთან ერთად გაემგზავრა ეგვიპტეში[164], შეხვდა ზემოხსენებულ პირებს და მათი ცხოვრებისადმი მოშურნეობა

გაუჩნდა. მისი ხელით იმდენივე სასწაულები ხდებოდა, რამდენიც მისი მოძღვრების მიერ. მან ასევე დაწერა მეტად სასარგებლო წიგნები, რომელთა შორის არის წიგნი, რომელსაც ეწოდება „მონაზონი“ ანუ „პრაქტიკის შესახებ“ – ას თავად, ასევე „გნოსტიკოსი“ ანუ „მათ მიმართ, რომლებიც ცოდნის ღირსი გახდნენ“ (ორმოცდაათ თავად); „ანტიერეტიკოსი“ – წმინდა წერილიდან [არის გამოკრებილი გამონათქვამები] მათთვის, ვინც ეშმაკის მიერ გამოიცდება, – რვა ნაწილად არის დაყოფილი, რვა ზრახვის რიცხვის მიხედვით[165]; აგრეთვე სამოცი „გნოსტიკური საკითხები[166]“; გარდა ამისა ორი ლექსი: ერთი – „კინობიაში ანუ კრებულში მცხოვრები მონაზვნების მიმართ“ და ერთიც – „ქალწულების მიმართ“[167]. თუ რამდენად საოცარი და სასარგებლო არის ეს ნაშრომები, ამას მკითხველი გაიგებს. ვფიქრობ კარგი იქნება, ცოტა რამ დავურთოთ ამ თხრობას იქიდან, რაც მის მიერ არის მოხსენიებული ამ მონაზვნების შესახებ. იგი სიტყვასიტყვით ამბობს შემდეგს:

„აუცილებელი არის მართებულად გამოვიკითხოთ ჩვენს წინმსწრებ მონაზონთა გზები და მათი მიხედვით წარვმართოთ [ჩვენი გზები]. რამეთუ მრავალი მათ მიერ მშვენივრად თქმულის და გაკეთებულის აღმოჩენა შეიძლება. მათ შორის ერთმა ესეც თქვა, რომ „ხმელი და წესიერი კვება შეუღლებული სიყვარულთან სწრაფად მიიყვანს მონაზონს უვნებლობის ნავსაყუდელთან.“ იგივე პირმა გაათავისუფლა ერთ-ერთ ძმა, რომელიც შეშფოთებული იყო ღამის მოჩვენებებისგან; მან უბრძანა მარხვასთან ერთად მომსახურებოდა სნეულთ. როდესაც ჰკითხეს, მიუგო: „რადგან ისე არაფერი აცხრობს ასეთ ვნებას, როგორც მოწყალება”. ერთხელ ერთი იმჟამინდელი ბრძენი მივიდა მართალ ანტონისთან და უთხრა: „მამაო, როგორ ძლებ წიგნებისგან ნუგეშს მოკლებული?“ ანტონიმ მიუგო: „ფილოსოფოსო, ჩემი წიგნი არის არსებულთა ბუნება და ხელთა მაქვს, რომ, როდესაც მსურს, ვკითხულობ ღვთის სიტყვებს“. რჩეულმა ჭურჭელმა[168],

ეგვიპტელმა ბერმა[169] მაკარიმ მკითხა: „რატომ ხდება რომ ადამიანთა ძვირადხსენებისას აღმოვფხვრით სულის მეხსიერების უნარს, ხოლო დემონების ძვირისხსენებისას დაუზიანებელი ვრჩებით?“ როდესაც მე გამიჭირდა პასუხის გაცემა და ვთხოვე, ესწავლებინა, მან მითხრა: „იმიტომ, რომ პირველი მრისხანების ბუნების წინააღმდეგ არის, მეორე კი მისი ბუნების თანახმად“. მივედი შუადღისას წმინდა მამა მაკარისთან და წყურვილისგან ძლიერ გახურებულმა ვთხოვე წყალი მოეწოდებინა. მაგრამ მან მომიგო: „იკმარე ჩრდილი. რადგან მრავალი მოგზაურობს ახლა ან ზღვით მგზავრობს და მოკლებულია ამას“. შემდეგ თავშეკავების შესახებ სიტყვებით გამწვრთნა და მითხრა: „შვილო, მხნედ იყავი. მთელი ოცი წლის განმავლობაში არც პური, არც წყალი, არც ძილი მოყირჭებამდე არ მქონია; ჩემს პურს წონით ვჭამ, წყალს კი – ზომით, კედლებს მივეყრდნობი და ცოტათი ძილი წარმიტაცებს“. როდესაც ერთ-ერთმა მონაზონმა აუწყა მამის სიკვდილი, უთხრა ამბის მაუწყებელს: „შეწყვიტე მკრეხელობა, რადგან ჩემი მამა უკვდავი არის“. ერთ-ერთ ძმას ჰქონდა მხოლოდ სახარება, ისიც გაყიდა და ფული მისცა უპოვართ და ღირსადსახსოვარი სიტყვა თქვა: „თვითონ ის წიგნი, რაც გავყიდე, მუდამ მეუბნებოდა: „გაყიდე შენი ქონება და მიეცი უპოვართ’[170]". არის ერთი კუნძული ალექსანდრიის მახლობლად, მარიად წოდებული ნავსაყუდელის ჩრდილოეთ ნაპირთან მდებარე, იქ ცხოვრობს ერთი პარემბოლელი მონაზონი, გნოსტიკოსთა შორის ყველაზე გამოცდილი. იგი აცხადებდა, რომ ყველაფერს მონაზვნები აკეთებენ შემდეგი ხუთი მიზეზით: ღვთის, ბუნების, ჩვეულების, აუცილებლობის, ხელსაქმის გამო. იგი ამბობდა, რომ სათნოება ბუნებით არის ერთი, მაგრამ სხვადასხვა სახეს ღებულობს სულის ძალებში[171]; იგი ამბობდა: „რადგან მზის სინათლე უფორმო არის, მაგრამ იმ სარკმლების ფორმას ღებულობს, რომელთა მეშვეობით შემოდის“. ერთი სხვა მონაზონი კი ამბობდა: „იმისათვის განვეშორები სიამეს, რომ მოვ-

იკვეთო რისხვის საბაბი. რადგან ვიცი, რომ იგი გამუდმებით ებრძვის სიამეთა გამო და აშფოთებს გონებას და დევნის ცოდნას“. ერთ-ერთი ბერი ამბობდა, რომ „სიყვარულმა არ იცის საკვების გადანახვა ან ფულის დაცვა“. თვითონ იგი ამბობდა: „არ მახსოვს, ორჯერ ვყოფილიყავ მოტყუებული დემონების მიერ[172]“.

ევაგრიმ ეს მოიხსენია სიტყვასიტყვით მის „პრაქტიკოსად“ დასათაურებულ ნაშრომში, მის „გნოსტიკოსში“ კი ამბობს შემდეგს:

„მართალი გრიგოლისგან მისწავლია, რომ არსებობს ოთხი სათნოება და ამდენივე ხედვა: სიბრძნე, სიმამაცე, თავშეკავება და სამართლიანობა. იგი ამბობდა, რომ სიბრძნის საქმე იყო გონისმიერი და წმინდა ძალების ჭვრეტა უსიტყვოდ (რადგან მხოლოდ სიბრძნისთვის არის მიცემული ამის გაცხადება), სიმამაცის კი მდგრადობა ჭეშმარიტებაში, მაშინაც როცა ებრძვიან და არ გადასვლა იმაში, რაც არ არსებობს. თავშეკავების თვისება არის პირველი მიწათმოქმედისგან მიღება თესლის და სარეველას ამოძირკვა. სამართლიანობის კი – თითოეულისთვის სიტყვების მიგება ღირსებისამებრ: ზოგი რამის ბუნდოვნად უწყება, ზოგის იგავებით მინიშნება, მაგრამ ზოგი რამის გაცხადება მარტივთა სასარგებლოდ. ჭეშმარიტების სვეტი კაბადოკიელი ბასილი ამბობდა: „ადამიანთაგან მომავალ ცოდნას შესაბამისი მეცადინეობა და წვრთნა განაძლიერებს, ღვთის მადლით მოსულს კი – სამართლიანობა, ურისხველობა და გულმოწყალება; პირველის მიღება ვნებებში მყოფსაც ძალუძს, მეორისა კი მხოლოდ უვნებლები იწყნარებენ, რომლებიც ლოცვის ჟამს გონების საკუთარ სინათლეს მათი ჭვრეტით განაბრწყინებენ“. ეგვიპტელთა წმინდა მნათობი ათანასე ამბობდა: „მოსეს ებრძანა ტრაპეზის ჩრდილოეთით დადგმა[173]; გნოსტიკოსებმა უნდა იცოდნენ, თუ ვინ დაჰბერს მათ წინააღმდეგ და ყველა განსაცდელი ახოვნად უნდა დაითმინონ და გულმოდგინედ დააპურონ მათ-

თან მოსულები“. თმუიტელთა ეკლესიის ანგელოზი სერაპიონი ამბობდა: „სულიერი ცოდნის შემსმელი გონება სრულებით განიწმინდება, სიყვარული კი კურნავს რისხვით ანთებულ [სულის] ასოს, ბოროტ გულისთქმას გადარეცხავს და მტკიცედ დგას თავშეკავებაში“. დიდი და გნოსტიკოსი მოძღვარი დიდიმე ამბობდა: „მუდამ იწვრთნიდე საკუთარ თავში წინაგანგებისა და მსჯავრის აზრებს და ეცადე მეხსიერებით ატარებდე მათ ნივთს. რამეთუ თითქმის ყველამ მათში განიცადა დაცემა. და მსჯავრის ზრახვებს სხეულთა და სამყაროთა მრავალფეროვნებაში აღმოაჩენ, წინაგანგებისას კი – იმ საქციელებში, რომლებსაც ბოროტებისაგან და უმეცრებისაგან სათნოებასა თუ ცოდნაში შევყავართ”[174].

ეს ყველაფერი აქ გადმოვეცით ევაგრეს ნაშრომებიდან. აგრეთვე იყო სხვა საკვირველი კაციც მონაზონთა შორის სახელად ამონიოსი, რომელიც ისეთი უბრალო კაცი იყო, რომ რომში ათანასესთან ყოფნისას სხვა არაფრის მონახულება ირჩია გარდა ოდენ პეტრეს და პავლეს მარტირიუმის ნახვა. ეს ამონიოსი, როდესაც ექაჩებოდნენ ეპისკოპოსად დასადგენად, თავის დასაღწევად მარჯვენა ყური მოიკვეთა, რათა ასე უსახური სხეულით გაქცეოდა ხელდასხმას. მოგვიანებით ალექსანდრიის ეპისკოპოს თეოფილეს მიერ შეპყრობილი ევაგრეც გაიქცა ისე, რომ არაფერი მოუკვეთია სხეულისგან. როდესაც იგი შეხვდა ამონიოსს, მიესალმა და უთხრა, ცუდად მოიქცა, ყური რომ მოიკვეთა და ამის გაკეთებით ღვთის წინაშე დამნაშავე იყო. მაგრამ ამონიოსმა მიუგო: „მაგრამ შენ, ევაგრე, არ ფიქრობ, რომ პასუხს აგებ ენის მოკვეთისათვის, როდესაც საკუთარი თავის სიყვარულის გამო არ გამოიყენე მონიჭებული მადლი?“

ასე რომ, იმ დროში მონასტრებში ცხოვრობდა სხვა მრავალი საოცარი და ღვთივსათნო ადამიანი, რომელთა მოხსენიებაც ვრცელი გამოვა წინამდებარე ნაშრომისთვის, სხვაგვარად იძულებული ვიქნებით მივატოვოთ ჩვენი თემა, თუ მოვისურ-

ვებთ, გადმოვცეთ თითოეული ამ კაცის ცხოვრების და რამდენი საოცრებაც ჩაიდინეს მათში არსებული სიწმინდის გამო. მაგრამ თუ ვინმე ისურვებს მათ შესახებ იმ ამბების შესწავლას, რაც მათ მოიმოქმედეს, გააკეთეს და მსმენელთა სარგებელისთვის წარმოთქვეს, ისე რომ მათ მხეცებიც ემორჩილებოდნენ, ეს ნაღვაწი არის მონაზონ პალადის საგანგებოდ შედგენილ ერთტომეულში, რომელიც იყო ევაგრეს მოწაფე; ყველაფერი ზედმიწევნით არის ნაამბობი მათ შესახებ, სადაც იმ ქალების ცხოვრებაა მოხსენიებული, რომლებმაც ზემოხსენებულ კაცებთან გაჯიბრება ირჩიეს. ევაგრე და პალადი მოღვაწეობდნენ ვალენტის აღსრულებიდან ცოტა ხნის გასვლის შემდეგ.

XXIV თავი
ეგვიპტელ მონაზვნებზე თავდასხმისა და მათი წინამძღვრების გადასახლების შესახებ, რომლებიც ახდენდნენ სასწაულებს

როდესაც იმპერატორმა ვალენტმა კანონის გამოცემით ბრძანა ალექსანდრიასა და ეგვიპტეში [მონაზვნების] დევნა, ყველაფერი გაპარტახდა და დაემხო; ზოგს სამსჯავროში მიათრევდნენ, ზოგს საპყრობილეში აგდებდნენ, სხვებს სხვაგვარად ტანჯავდნენ. მრავალგვარ სასჯელებს იყენებდნენ სიმყუდროვის მოყვარულების წინააღმდეგ.

მას შემდეგ, რაც ალექსანდრიაში ეს მოხდა, რაც ინება ლუკიოსმა, ევძოიოსი კვლავ დაბრუნდა ანტიოქიაში. მაშინ სარდალი ჯარის თანხლებით და არიანელი ლუკიოსი გაემართა ეგვიპტის მონასტრებისკენ. იგი არაფერს ინდობდა,არამედ ხმალამოღებული მიუძღოდა შეუბრალებელ ადამიანთა ჯარს და მოქმედებდა. როდესაც იგი მივიდა ადგილზე, შეიპყრო ადამიანები, მათთვის ჩვეული საქმიანობით დაკავებულნი, მლოცველნი,

ვნებების მკურნალნი, დემონების მდევნელები. მაგრამ ისინი ნაკლებად ზრუნავდნენ ღვთის სასწაულებზე, არც იმის ნებას რთავდნენ, რომ მათთვის ჩვეული ლოცვები აღესრულებინათ სამლოცველოებში, არამედ აქედანაც დევნიდნენ. მაგრამ მათ ესეც არ იკმარეს, არამედ მათ წინააღმდეგ წამოსულებმა იარაღიც გამოიყენეს. რუფინუსი, რომელიც იქ იმყოფებოდა, ამ განსაცდელში ჩავარდა და იხილა ეს ყოველივე, ამბობს შემდეგს[175]: „მათზე ახდა მოციქულის ნათქვამი: „დაცინოდნენ და შოლტით ცემდნენ, ტანჯავდნენ, საპყრობილეში აგდებდნენ, ქვით ქოლავდნენ, მახვილით ხოცავდნენ, ადამიანებს, რომლებიც ცხვრის ბეწვით და თხის ტყავით მოსილნი დადიოდნენ უდაბნოში, შეჭირვებაში, შევიწროებულნი, ტანჯულნი, რომელთა ღირსი არ არის ქვეყნიერება, მოხეტიალენი უდაბნოებში, მთებში, მღვიმეებში და ხვრელებში[176]“. ეს დაამოწმეს რწმენით, საქმეებით და სისხლით, რაც კი ღვთის მადლი იქმოდა მათი ხელებით. მაგრამ, როგორც ჩანს, ღვთის წინაგანგებამ დაუშვა ამ კაცთა ასე ვნება, უფრო უკეთესის წინაგანმჭვრეტი, რათა იმის მეშვეობით, რაც მათ ბოროტად ევნოთ, სხვებს ეპოვათ ხსნა ღმერთში; და ეს წარმოაჩინა ამ ამბის დასასრულმა.

როდესაც ეს ადამიანები მათზე მოწევნული განსაცდელზე ძლიერი აღმოჩნდნენ, ლუკიოსი შედრკა და საბრძოლო რაზმის მეთაურს აზრი მიაწოდა, რომ მონაზონთა მამები გადასახლებაში გაეგზავნათ, რომელთა შორის იყვნენ ეგვიპტელი მაკარი და მისი ალექსანდრიელი თანამოსახელე. ეს კაცები გადაასახლეს ერთ რომელიღაც კუნძულზე, რომელზეც ბევრი ხალხი სახლობდა, მაგრამ არც ერთი ქრისტიანი არ ცხოვრობდა. იმ კუნძულზე იყო ტაძარი და ქურუმი მასში; მას ყველა იქაური მაცხოვრებელი ერთად თაყვანს სცემდა რომელიღაც ღმერთს. როდესაც ეს ღვთივსათნო კაცნი ჩავიდნენ კუნძულზე, ყველა იქაური დემონი შეშფოთდა და შეშინდა. ისინი ერთად შეიკრიბნენ და ასეთი რამ მოიმოქმედეს. ქურუმის ასული ანაზდად შეიპყ-

რო დემონმა და შეიშალა ჭკუაზე და ყველაფერი დაამსხვრია, მას ვერ იჭერდნენ და ვერას გზით ვერ შეძლეს მისი დამშვიდება, არამედ ხმამაღლა გაჰყვიროდა და ამ ღვთივსათნო ადამიანებს ეუბნებოდა: „რატომ გინდათ ჩვენი აქედანაც განდევნა?“ ამრიგად, ამ კაცებმა იქაც წარმოაჩინეს მათი საქმე, რაც მიიღეს ღვთის მადლით. რამეთუ განდევნეს დემონი ქალწულისგან და ჯანმრთელი ჩააბარეს მამამისს. ასე მოიყვანეს ქრისტიანულ რწმენაზე ქურუმიც და ყველა კუნძულზე მცხოვრები. მყისვე გადაყარეს კერპები, ტაძრის მოწყობილობა ეკლესიად გადააკეთეს; ყველა მოინათლა და სიხარულით მიიღო ქრისტიანული მოძღვრება.

ეს საოცარი ადამიანები, ასე განდევნილნი „თანაარსის“ რწმენის გამო, თვითონაც უფრო გამოცდილი გახდნენ, სხვებიც აცხოვნეს და რწმენაც უფრო განამტკიცეს.

XXV თავი
დიდიმე ბრმის შესახებ

დაახლოებით იმ დროს ღმერთმა სხვა სანდო კაცი გამოაჩინა, რომლის მეშვეობითაც ეთნა რწმენის დამოწმება. იმავე დროს გაითქვა სახელი ყოველგვარი განსწავლულობით დიდიმემ, საოცარმა და განათლებულმა კაცმა. იგი ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილი იყო, როდესაც მწერლობის პირველსაფუძვლებს სწავლობდა და თვალის სნეულებამ მოიცვა, რამაც წაართვა თვალის ჩინი. მაგრამ ღმერთმა გრძნობითი თვალების ნაცვლად გონებითნი მიანიჭა. რისი შესწავლაც თვალებით ვერ შეძლო, ეს სმენით შეისწავლა. იგი სიყმაწვილიდან ძლიერი გონების და კეთილი სულის კაცი იყო და ნიჭიერებით სძლია ყველაზე გამჭრიახი მხედველობის მქონეთაც. იოლად შეითვისა გრამატიკის წესები და შემდეგ სწრაფად გადავიდა რიტორიკაზე. საოცრად წარმატებით გაიარა ფილოსოფიური მოძღვრებები

და განისწავლა დიალექტიკაში, არითმეტიკა, მუსიკა და სხვა ფილოსოფიური მეცნიერებები დაიუნჯა სულში[177], ისე რომ გულმოდგინედ ეკამათებოდა მათ, ვისაც ეს მეცნიერებები თავიანთი თვალით ჰქონდათ ნასწავლი. მაგრამ მან არა მხოლოდ ეს, არამედ ძველი და ახალი აღთქმის საღვთო მოძღვრებებიც ისე ზედმიწევნით იცოდა, რომ მრავალი წიგნი განმარტა, მან ასევე დაწერა სამი წიგნი „სამების შესახებ“[178]; განმარტა ორიგენეს „საწყისების შესახებ“, გადმოსცა მისი ახსნა, რომელშიც დაადგინა, რაც იყო საუკეთესო და ამაოდ გაკიცხული მათ მიერ, რომლებიც ესწრაფოდნენ ამ კაცის დადანაშაულებას და მისი წიგნების დაცინვას. იგი ამბობდა, რომ მათ ძალუძდათ ამ კაცის გონების წვდომა. ამრიგად, თუ ვინმეს სწადია დიდიმეს სულის ცეცხლოვანებისა და მრავალგანსწავლულობის შეცნობა, წაიკითხოს მის მიერ ნაღვაწი წიგნები და განისწავლება. ამასთან დაკავშირებით ამბობენ, რომ ჯერ კიდევ ადრე ან ვალენტის დროს უდაბნოდან არიანელთა გამო ალექსანდრიაში ჩასული ანტონი[179] შეხვდა დიდიმეს და, როცა შეიტყო ამ კაცის გონიერება, უთხრა მას: „დიდიმე, ნუ შეგაწუხებს გრძნობითი თვალების ნაკლებობა, რადგან შენ ისეთი თვალები გაკლია, რომლებითაც ბუზების და კოღოების დანახვაა შესაძლებელი; გიხაროდეს, ისეთი თვალები გაქვს, რომლებითაც ანგელოზები უმზერენ, რომელთა მეშვეობით ღმერთიც განიჭვრიტება და მის ნათელს წვდები[180]“. ეს ადრე უთხრა ღვთივსათნო ანტონიმ დიდიმეს, მაგრამ ამ დროში დიდიმე გამოჩნდა ჩვენი რწმენის უდიდესი დამცველი: იგი ხვდებოდა არიანელებს და არღვევდა მათ სოფიზმებს, ამხელდა მათ ყალბ და ცბიერ სიტყვებს.

XXVI თავი
ბასილი კესარიელისა და გრიგოლ ნაზიანზელის შესახებ

თუკი ღვთის წინაგანგებამ ალექსანდრიაში დიდიმე დაა-პირისპირა არიანელებს, სხვა ქალაქებში – ბასილი კესარიელი და გრიგოლ ნაზიანზელი, რომელთა შესახებ ვფიქრობ, დროა მოკლედ ითქვას. იკმარებს ყველასთან შემორჩენილი ამ კაცთა ხსოვნა და მათ მიერ დაწერილი წიგნების შესწავლა, რომ გად-მოიცეს თითოეული მათგანის სახელოვანება. იმხანად ისინი დიდად შეეწიენ ეკლესიებს და დაიცვეს რწმენა როგორც რამ ფერფლწაყრილი ნაღვერდალი. ამიტომ ჩვენი თემა განსაკუთრე-ბით ითხოვს მათ მოხსენიებას. თუ ვინმე ისურვებს ბასილის და გრიგოლის შედარებას, და თითოეული მათგანის ცხოვრების, ზნის და მათთვის დამახასიათებელი სათნოებების გაცნობას, გაუძნელდება რომელიმეს მეორესთან შედარებით უპირატესო-ბის მინიჭება. რადგან ორივე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მარ-თებულ მოქალაქობასა და განათლებაში, ვგულისხმობ ელინურ მეცნიერებებსა და წმინდა წერილში განსწავლას. ისინი ყმაწვი-ლები იყვნენ, როდესაც ათენში სახელგანთქმულ სოფისტებს ჰიმერიოსის და პროაირესიოსის მსმენელები იყვნენ და ამის შემდეგ სირიის ანტიოქიაში ლიბანიოსის სკოლაში დადიოდ-ნენ და რიტორიკის მწვერვალებში იჩენდნენ სიბეჯითეს. სოფის-ტობის ღირსად მიჩნეულნი მრავალთა მიერ მასწავლებლის ცხოვრებისკენ იქნენ მოწოდებული, სხვები კი სასამართლოში ვექილობას ურჩევდნენ[181]. მაგრამ ორივემ ეს არად ჩააგდეს, მია-ტოვეს ამქვეყნიური ცხოვრება და მონაზვნური ცხოვრება არ-ჩიეს. შეუდგნენ ფილოსოფიის სწავლას მასთან, ვინც იმ დროს ანტიოქიაში ასწავლიდა ფილოსოფიას[182]. მათ არცთუ დიდი ხნის შემდეგ შემოკრიბეს ორიგენეს წიგნები[183] და მათგან შეიც-ნეს წმინდა წერილის განმარტება (რადგან ორიგენეს დიდი

სახელი იმხანად მთელ მსოფლიოში იყო განთქმული), რაშიც ძალიან კარგად გაიწვრთნენ და უპირისპირდებოდნენ არიანელებს. როდესაც არიანელებს ეგონათ, რომ ორიგენეს წიგნები მათ ეგრეთ წოდებულ დოგმატს ემოწმებოდა, [ბასილიმ და გრიგოლმა] ისინი ამხილეს და წარმოაჩინეს, რომ მათ არ ესმოდათ ორიგენეს აზროვნება. იმ დროს მრავალთა შორის უაღრესად განათლებულებად მიჩნეული არიანელები და მაშინ მოარიანელე ევნომიოსი, როდესაც შეხვდნენ ბასილის და გრიგოლის მომხრეებს სრულიად გაუნათლებლები გამოჩნდნენ.

ბასილი დიაკვნის ხარისხში იქნა ხელდასხმული ანტიოქიის ეპისკოპოს მელეტის მიერ[184], ამის შემდეგ კი გახდა მისი სამშობლოს ეპისკოპოსი, ვგულისხმობ კაბადოკიის კესარიას, და თავს იდო ეკლესიებზე ზრუნვა[185]. იმის შიშით, რომ არიანელები არ მოდებოდნენ პონტოს პროვინციას, სწრაფად ჩავიდა იმ მხარეში და იქ დაარსა ასკეტ მოღვაწეთა სახლები, განსწავლა ხალხი და შერყეულნი განამტკიცა თავისი მოძღვრებით. გრიგოლი კი კაბადოკიის ერთ უბრალო ქალაქ ნაზიანზში, სადაც მამამისი იყო წინათ ეკლესიის წინამდგომელი, თვითონაც ბასილის მსგავსად მოიქცა. იგი დადიოდა ქალაქებში და რწმენაში დაუძლურებულთ განაძლიერებდა. განსაკუთრებით მან კონსტანტინოპოლში ცხოვრებისას განამტკიცა თავისი მოძღვრებით მისი თანამორწმუნენი. ამიტომაც, ცოტა ხნის შემდეგ მრავალი ეპისკოპოსის არჩევანით კონსტანტინოპოლის მოსახლეობის წინამდგომელი გახდა[186].

როდესაც ორივე მათგანის ამბებმა იმპერატორ ვალენტის ყურამდე მიაღწია, მან მყისვე ბრძანა ბასილის დაკავება და კესარიიდან ანტიოქიაში წაყვანა. ასე რომ, მყისვე წაიყვანეს იგი იმპერატორის ნების თანახმად და შეიყვანეს პრეფექტის სამსჯავროში. როდესაც პრეფექტმა კითხვა დაუსვა, თუ რატომ არ ღებულობდა იმპერატორის მრწამსს, ბასილიმ დიდი კადნიერებით გაკიცხა იმპერატორის სარწმუნოება და დაამტკიცა „თანაარ-

სის“ მრწამსი. პრეფექტი დაემუქრა სიკვდილით, მაშინ ბასილიმ მიუგო: „ნეტავ, მექმნას მე, რომ ჭეშმარიტების გულისთვის გავთავისუფლდე სხეულის ბორკილებისგან“. ამბობენ, როდესაც პრეფექტმა ბასილის უთხრა, რომ კარგად დაფიქრებულიყო, ბასილიმ მიუგო: „მე დღესაც და ხვალ დილითაც იგივე ვიქნები; სარგებელი და შენ ვერ შემცვლით მე[187]“. მაშინ ბასილიმ ის დღე დაცვის ქვეშ გაატარა. მაგრამ არცთუ დიდი ხნის შემდეგ ვალენტის ჩვილი ვაჟიშვილი, რომლის სახელი იყო გალატესი[188], ძლიერ ავად გახდა, ისე რომ ექიმებმა იმედი დაკარგეს. დედამისმა, იმპერატრიცა დომნიკამ მიმართა იმპერატორს და უთხრა, რომ ცუდად ეძინა საშინელი ხილვების გამო, რომ ყრმა ავად გახდა ეპისკოპოსის შეურაცხყოფის გამო. მაშინ იმპერატორი გონს მოეგო და კაცი გაგზავნა ბასილისთან, გამოსცადა და უთხრა: „თუ ჭეშმარიტია შენი მოძღვრებები, ილოცე, რომ ჩემი ვაჟი არ მოკვდეს“. მან კი მიუგო: „იმპერატორო, თუ იწამებ ისე, როგორც მე მწამს და ეკლესია გაერთიანდება, ყრმა გადარჩება“. მაგრამ იგი არ დაეთანხმა, მაშინ ბასილიმ უთხრა: „დაე, ღვთის ნება იყოს ყრმაზე“. როდესაც ეს თქვა ბასილიმ, ვალენტმა ბრძანა მისი გაშვება. ყრმა არცთუ დიდი ხნის შემდეგ აღესრულა[189].

ეს ამბები მოკლედ გადმოიცა ამ კაცთა შესახებ. ორივე მათგანმა მრავალი და შესანიშნავი წიგნები დაწერეს და გამოსცეს, რომელთაგან ზოგიერთი, რუფინუსი ამბობს, რომ თარგმნა ლათინურ ენაზე.

ბასილის ჰყავდა ძმები: პეტრე და გრიგოლი. პეტრე ბაძავდა ბასილის მონაზვნურ ცხოვრებას, გრიგოლი კი მის სამოძღვრო მჭევრმეტყველებას. ამ უკანასკნელმა იღვაწა ბასილის მიერ დაუმთავრებლად დატოვებული „ექვსთა დღეთაზე“-ს გასრულება ძმის აღსრულების შემდეგ და კონსტანტინოპოლში გადმოსცა ანტიოქიის ეპისკოპოს მელეტის ეპიტაფია[190]. ჩვენამდე მოღწეულია მისი სხვა თხზულებებიც.

XXVII თავი
გრიგოლ საკვირველთმოქმედის შესახებ

ვინაიდან ზოგიერთები შეცდომაში შეიყვანა თანამოსახელეობამ და გრიგოლის ავტორობით დასათაურებულმა წიგნებმა, უნდა ვიცოდეთ, რომ სხვა არის პონტოელი გრიგოლი, რომელიც წარმოშობით იყო პონტოს ნეოკესარიიდან და მასზე ადრე ცხოვრობდა; იგი გახდა ორიგენეს მოწაფე. ამ გრიგოლის სახელი დიდად არის განთქმული ათენში, ბერიტაში და მთელ პონტოს დიოცეზში, და როგორც იტყვიან მთელ მსოფლიოში. იგი ათენის სასწავლებლიდან გაემართა ბერიტაში კანონების შესასწავლად. როდესაც მან შეიტყო, რომ კესარიაში წმინდა წერილს განმარტავდა ორიგენე, სასწრაფოდ ჩავიდა კესარიაში. იგი ისმენდა წმინდა წერილის ამაღლებულ ხედვებს, დაემშვიდობა რომაულ სამართალს და ამიერიდან აღარ განშორდებოდა [წმინდა წერილის შესწავლას]. ჭეშმარიტ ფილოსოფიაში ორიგენეს მიერ განსწავლული შემდეგ გაემგზავრა სამშობლოში, მეოთმისმა მშობლებმა მოუხმეს თავისთან. იქ პირველად როგორც ერისკაცი მრავალ სასწაულს ახდენდა: კურნავდა სნეულთ, დემონებს ეპისტოლეების მეშვეობითაც კი დევნიდა, წარმართებს სწავლებებით, უფრო კი მისი საქმეებით მიუძღოდა [ქრისტიანობისაკენ]. მას იხსენიებენ მოწამე პამფილი და მისი მოსახელე ევსები[191] ორიგენეს შესახებ შედგენილ წიგნებში[192], რომლებშიც ასევე გადმოცემულია გრიგოლის მიერ ორიგენესადმი მიძღვნილი ნაწარმოები[193]. ასე რომ, მოკლედ რომ ვთქვა, იყო სამი გრიგოლი: ეს ადრინდელი, ორიგენეს მოწაფე, ასევე ნაზიანზელი და ბასილის ძმა. კიდევ იყო ერთი გრიგოლი ალექსანდრიაში, რომელიც არიანელებმა თავის დროზე ათანასეს გაქცევის შემდეგ დაადგინეს[194].

XXVIII თავი
ნოვაციუსისა და მისი მიმდევრების შესახებ. თუ როგორ შეცვალეს ნოვაციანელებმა აღდგომის აღნიშვნის თარიღი იუდეველთა წესის მიდევნებით

ეს ითქვა მათ შესახებ. იმ დროში ფრიგიაში მცხოვრებმა ნოვაციანელებმა შეცვალეს. ვიტყვი, თუ როგორ მოხდა ეს. პირველად ვიტყვი, თუ რატომ ეპყრათ ფრიგიელ და პაფლაგონიელ მოსახლეობას მათი ეკლესიის მკაცრი კანონი. ნოვაციანე იყო ხუცესი რომში არსებულ ეკლესიაში. იგი გამოეყო ეკლესიას, როდესაც ეპისკოპოსმა კორნელიუსმა იმპერატორ დეკუისის მიერ ეკლესიის წინააღმდეგ აღძრული დევნულების დროს მსხვერპლის შემწირველი მორწმუნეები მიიღო ზიარებაში. ამგვარად, ამ მიზეზით გამოეყო იგი და მასთან თანხმობაში მყოფი ეპისკოპოსების მიერ ეპისკოპოსად იქნა ხელდასხმული. მან მიწერა ყველა ეკლესიას, რომ არ მიეღოთ ისინი, რომლებმაც მსხვერპლი შეწირეს მისტერიის აღსრულებისას, არამედ შეეგონებინათ ისინი, რომ შეენანათ ეს საქციელი, ხოლო მიტევება ღმერთისთვის მიენდოთ, ვისაც ძალუძდა და ძალაუფლება ჰქონდა შეენდო ცოდვები. ვინც მიიღო ეს ეპისტოლეები, თავიანთი ჩვეულების მიხედვით გადაწყვიტეს, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. როდესაც იგი აცხადებდა, რომ არ უნდა გავხადოთ საიდუმლოში მონაწილეობის ღირსი, ვინც ნათლობის შემდეგ „სასიკვდილო ცოდვაში“[195] ჩავარდა, ზოგმა მკაცრად და სასტიკად ჩათვალეს ამ კანონის გადმოცემა, ზოგმა კი ეს კანონი სამართლიანად და ცხოვრების გამოსწორების საშუალებად მიიჩნია. ამ ძიების აღძვრისას წერილები მოვიდა ეპისკოპოს კორნელიუსისგან და ნათლობის შემდეგ ცოდვაში ჩავარდნილთ პირდებოდა მიტევებას[196]. ასე ერთმანეთის საწინააღმდეგოს წერდნენ და ამტკიცებდნენ წმინდა წერილიდან, რასაც ამბობდა თითოეული მათგანი. პროვინციებში თითოეული ისე მოიქცა, საითკენაც წინათ

იხრებოდა. ვინც კი ცოდვისმოყვარე იყო, გამოიყენა ეს მიტევება და მომავალშიც ყველა ცოდვის მისატევებლად იყენებდა ამას. მაგრამ ჩანდა, რომ ფრიგიელთა მოსახლეობა სხვა ერებზე უფრო თავშეკავებული იყო და იმიტომაც, რომ ფრიგიელები იშვიათად იფიცებდნენ. რადგან სკვითებთან და თრაკიელებთან გაბატონებული იყო მრისხანება, აღმოსავლეთში მოსახლეობა კი უფრო გულისთქმას ემონებოდა[197]. მაგრამ პაფლაგონიელები და ფრიგიელები არცერთ მათგანისკენ არ იხრებოდნენ, რადგან არც ახლა ისწრაფიან იპოდრომებსა და თეატრებისკენ[198]. ვფიქრობ, ისინი და ასე მოაზროვნენი უფრო ამიტომ იხრებოდნენ ნოვაციუსის მიერ მაშინ შედგენილი წერილისკენ, რადგან საშინელ სისაძაგლედ ითვლებოდა მათთან სიძვა. აღმოვაჩენთ, რომ ოდესმე არსებულ სხვა დაჯგუფებებზე უფრო თავშეკავებულად ცხოვრობენ ფრიგიელები და პაფლაგონიელები. ვფიქრობ, ამ მიზეზით დაუჯერეს ნოვაციუსს დასავლეთის მხარის მოსახლეობამ.

თუმცა ნოვაციანე გამოეყო მკაცრი ზნეობრივი წესის დაცვის გამო, მაგრამ მას არ შეუცვლია პასექის დღესასწაულის თარიღი. იგი მას ყოველთვის დასავლეთის ნაწილის მიხედვით აღასრულებდა. დასავლელები მას ოდითგანვე ბუნიობის შემდეგ აღასრულებდნენ, იქიდან მოყოლებული, რაც გაქრისტიანდნენ. იგი მოგვიანებით იმპერატორ ვალერიანეს დროს ქრისტიანთა წინააღმდეგ დაწყებული დევნულების დროს აღესრულა მოწამეობრივად. მაგრამ მათ, რომლებიც ფრიგიაში ატარებდნენ მის სახელს, განუდგნენ მათთან თანაზიარებას, რომლებსაც განეშორნენ, და დაახლოებით ამ დროს შეცვალეს პასექის დღესასწაული. ფრიგიელ ნოვაციანელთა შორის ნაკლებად ცნობილმა რამდენიმე ეპისკოპოსმა გამართა კრება დაბა პაძოში, სადაც არის მდინარე საგარიოსის წყაროები და გამოიტანეს განჩინება, რომ იუდაური წესით უნდა დაემზადებინათ უფუარი და მათთან ერთად აღესრულებინათ პასექის დღესასწაული. ეს გვაუწყა ჩვენ ერთმა ძველმა კაცმა, რომელიც საკუთარ თავზე ამბობ-

და, რომ უფროსი ვაჟიშვილი იყო და მამასთან ერთად ესწრებოდა მაშინ გამართულ სინოდზე. ამ კრებაზე არც კონსტანტინოპოლელ ნოვაციანელთა ეპისკოპოსი აგელიოსი იმყოფებოდა, არც მაქსიმე ნიკეელი, არც ნიკომიდიის ეპისკოპოსი, არც კოტიაიის, რამეთუ განსაკუთრებით მათ მიერ ხდებოდა ნოვაციანელთა სარწმუნოების დაკანონება[199]. ამრიგად, ეს მოხდა მაშინ. ცოტა მოგვიანებით ნოვაციანელთა ეკლესია გაიყო ამ კრების გამო, როგორც ამას ვამბობთ თავის ადგილას. მაგრამ ახლა უნდა გადავიდეთ იმ მოვლენებზე, რაც იმ დროს მოხდა დასავლეთში.

XXIX თავი
რომში დამასუსის ეპისკოპოსად ხელდასხმის შესახებ. ურსინუსის მეტოქეობით გამოწვეული ამბოხისა და სისხლისღვრის შესახებ[200]

როდესაც იმპერატორი ვალენტინიანე მშვიდად ახორციელებდა მის მმართველობას და არცერთ დაჯგუფებას არ ტანჯავდა, ლიბერიუსის შემდეგ დამასუსმა მიიღო რომის ეპისკოპოსის მღვდელმსახურება, რომლის დროს ჩამოვარდა შფოთი რომის ეკლესიაში შემდეგი მიზეზით. ვინმე ურსინუსი, მისი ეკლესიის დიაკონი, გახდა კანდიდატი, როდესაც მოხდა ეპისკოპოსის არჩევნები. როდესაც დამასუსს მიანიჭეს უპირატესობა, დამასუსმა ვერ აიტანა იმედის გაცრუება, ცდილობდა ცალკე ეკლესიის შეკრებას და არწმუნებდა ზოგიერთ ნაკლებად ცნობილ ეპისკოპოსებს, რომ ფარულად დაესხათ მისთვის ხელნი. მას ხელნი დაასხეს არა ეკლესიაში, არამედ სიკინად წოდებული ბაზილიკის საიდუმლო ადგილას. როდესაც ეს მოხდა, ხალხი დაპირისპირებამ მოიცვა. მოსახლეობა ერთმანეთის წინააღმდეგ აჯანყდა არათუ რაიმე რწმენის ან რაიმე დაჯგუფების გამო, არამედ მხოლოდ იმის გამო, თუ ვის უნდა ეპყრა საეპისკოპოსო საყ-

დარი. ამის შეტაკება მოხდა ბრბოში, ისე რომ მრავალი გადათელვით დაიღუპა, ასევე იმითაც, რომ მაშინდელმა პრეფექტმა მაქსიმინუსმა მრავალი სასულიერო და საერო პირი დასაჯა და ასე შეაჩერა ურსანიუსის მცდელობა და დააოკა ისინი, რომლებსაც სურდათ მას გაჰყოლოდნენ.

XXX თავი
უთანხმოების შესახებ, რომელიც ჩამოვარდა მედიოლანის ეპისკოპოსის ავქსენტიუსის მონაცვლის გამო. თუ როგორ იქნა ეკლესიის ეპისკოპოსად არჩეული შფოთის ჩასაცხრობლად ჩასული პროვინციის მმართველი ამბროსი ერთხმად და იმპერატორ ვალენტინიანეს თანხმობით[201]

დაახლოებით იმავე დროს სხვა ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა მედიოლანში. როდესაც იქ აღესრულა ეპისკოპოსი ავქსენტი, რომელიც არიანელთა მიერ იყო ხელდასხმული, მოსახლეობა მედიოლანში კვლავ შფოთმა მოიცვა ეპისკოპოსის არჩევნებზე: მათ შორის დიდი დავა იყო და ყველა თავის კანდიდატის წამოყენებას ცდილობდა. ამ ამბოხის ატეხვისას შეშინდა პროვინციის მმართველი, რომელიც კონსულის თანამდებობას ატარებდა, სახელად ამბროსი, რაიმე უჯერო არ მომხდარიყო ამ ჯანყისგან და სასწრაფოდ გაეშურა ეკლესიაში ამბოხის ჩასაცხრობად. როდესაც ადგილზე მივიდა, ხალხი გაყუჩდა. მან ბევრი სასარგებლო დარიგება მისცა ხალხს და დააწყნარა ბრბოს უგუნური აღძვრა. ანაზდად ყველა ერთმანეთთან შეთანხმდა და დაიძახა ამბროსი არის ეპისკოპოსობის ღირსი და ყველამ მოითხოვა მისი ხელდასხმა. მხოლოდ ასე მოიპოვა ხალხმა ერთობა და ერთსულოვნება სარწმუნოებასთან დაკავშირებით. მას შემდეგ, რაც საღვთო რამ [განგებულებით] ხალხი გაერთიანდა, იქ

მყოფმა ეპისკოპოსებმა იფიქრეს, რომ დაუყოვნებლივ უნდა დაესხათ ხელნი ამბროსისთვის. იგი მონათლეს (რადგან კათაკმეველი იყო) და მყისვე საეპისკოპოსო მღვდლობისთვის დასადგინებლად შეამზადეს. მას შემდეგ, რაც ამბროსიმ ნათლობა სიამოვნებით მიიღო, დიდხანს ამბობდა უარს მღვდლობაზე. მაშინ ეს შეატყობინეს იმპერატორ ვალენტინიანეს. იმპერატორი აღფრთოვანდა ხალხის ერთსულოვნებით და მომხდარში ღვთის ხელი სცნო. მან განუცხადა ეპისკოპოსებს, რომ დამორჩილებოდნენ ღმერთს, რომელიც ბრძანებდა მის ხელდასხმას, რამეთუ უფრო ღმერთს, ვიდრე ადამიანებს ეკუთვნოდა მისი არჩევა. ასე დაადგინეს ამბროსი და მედიოლანში აქამდე დაპირისპირებულნი მაშინ გაერთიანდნენ მისი გულისთვის.

XXXI თავი
ვალენტინიანე I-ის გარდაცვალებისა და ვალენტინიანე II მოსვლის შესახებ[202]

ამის შემდეგ, როდესაც სარმატები შემოიჭრნენ რომის იმპერიაში, იმპერატორი გაემართა მათ წინააღმდეგ უამრავი ჯარით. ბარბაროსებმა როდესაც შეიტყვეს ჯარის მრავალრიცხოვნება, შეშინდნენ და ელჩები გაუგზავნეს იმპერატორს, სთხოვდნენ ზავი დაედო მათთან. როდესაც ელჩები შევიდნენ მასთან და შეუფერებლად გამოიყურებოდნენ, იმპერატორმა იკითხა, ყველა სარმატი ასეთი თუ იყო. როდესაც უპასუხეს ელჩებმა, რომ ყველაზე წარჩინებული სარმატები იყვნენ მასთან მისული, განრისხდა ვალენტინიანე და ხმამაღლა შესძახა, რომ ცუდ დღეში იყო მის ხელში გადმოსული რომის იმპერია, როდესაც უბადრუკმა ბარბაროსთა მოდგმამ არ ამჯობინა თავისთან მშვიდად დარჩენა, არამედ საჭურველი აისხა, რომის საზღვრები გადმოლახა და ომის დაწყება გაბედა. ამ ყვირილის დროს ისე დაჭიმა,

რომ ყველა ძარღვი დაუწყდა და ყველა არტერია დაეგლიჯა. ასე სისხლისგან დაცლილი აღესრულა ციხე-სიმაგრეში, რომელსაც ეწოდებოდა ბრიგეტიო[203], გრაციანეს მესამეგზის კონსულობისა და ეკვიტიუსის დროს, ნოემბრის თვის ჩვიდმეტს; იცოცხლა ორმოცდათოთხმეტი წელი, ხოლო იმეფა თერთმეტი წელი.

ვალენტინიანეს აღსრულების შემდეგ იტალიის ჯარისკაცებმა მეექვსე დღეს მამის მოსახელე ვალენტინიანე, სრულიად ყმაწვილი იმპერატორად გამოაცხადეს იტალიის ქალაქ აკუინკუმში[204]. როდესაც ეს შეიტყვეს იმპერატორებმა, აღშფოთდნენ, არათუ იმიტომ, რომ იგი იყო ერთის ძმა და მეორეს ბიძაშვილი, არამედ იმიტომ, რომ მათ დაუკითხავად მოხდა მისი გამეფება, ვისი დადგინებასაც ისინიც აპირებდნენ. თუმცა, ისინი დაეთანხმნენ მის იმპერატორად გახდომას და ამგვარად უმცროსი ვალენტინიანე დადგა მისი მამის ადგილას.

უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ვაჟიშვილი ვალენტინიანეს შეეძინა იუსტინასგან, რომელზეც დაქორწინდა მაშინ, როცა მისი პირველი მეუღლე სევერა ცოცხალი იყო. ამის მიზეზი კი იყო შემდეგი. იუსტინას მამამ იუსტუსმა, რომელიც წინათ პიკინონის პროვინციის მმართველად იყო დანიშნული ჯერ კიდევ კონსტანციუსის დროს, სიზმარი იხილა, რომ მარჯვენა თეძოდან შვა საიმპერიო მეწამული. ეს სიზმარი ბევრთან ითქვა და კონსტანციუსის ყურამდეც მიაღწია, რომელმაც სიზმარი ისე გაიგო, თითქოს იმპერატორი გახდებოდა მისი ნაშიერი, გაგზავნა მასთან, მოკლა იუსტუსი. მას ასული, მამით დაობლებული ქალწული დარჩა. მოგვიანებით იგი დაუახლოვდა იმპერატორ ვალენტინიანეს მეუღლეს, სევერას და ხშირად ხვდებოდა მას. როდესაც გაძლიერდა მათ შორის მეგობრობა, მასთან ერთად იბანავა კიდეც. სევერამ იხილა რა მობანავე იუსტინა, ეტრფა მის სილამაზეს და იმპერატორს უამბო მის შესახებ, თუ რა საოცრად მშვენიერი ქალწული იყო იუსტუსის ასული და როგორ შეუყვარდა იგი მისი ქმნულკეთილობის[205] გამო, მიუხედავად იმისა,

რომ ქალი იყო. იმპერატორმა მეუღლის სიტყვით ისარგებლა და განიზრახა იუსტინას ცოლად მოყვანა, მაგრამ სევერას არ გაშორებია, ვისგანაც მას ეყოლა გრაციანე, ცოტა ხნის წინ იმპერატორად რომ გამოაცხადა. ამგვარად, კანონი გამოსცა საჯაროდ და გამოაქვეყნა ქალაქებში, რომ ვისაც სურდა, შეეძლო ორი კანონიერი მეუღლის ყოლა[206]. კანონი დამტკიცებულ იქნა და მან მოიყვანა იუსტინა, ვისგანაც მას შეეძინა ვალენტინიანე უმცროსი და სამი ასული: იუსტა, გრატა და გალა. მათგან ორი ქალწული დარჩა, გალაზე კი მოგვიანებით იმპერატორმა თეოდოსი დიდმა იქორწინა, ვისგანაც მას შეეძინა ასული პლაკიდია, არკადიუსი და ჰონორიუსი მას პირველი ცოლისგან პლაკილასგან ეყოლა.

თეოდოსისა და მისი ვაჟიშვილების შესახებ თითოეული მათგანის შესაფერის ადგილას ვიტყვით.

XXXII თავი
ფილოსოფოს თემისტიოსის სიტყვით დამშვიდებულმა ვალენტმა შეამცირა დევნულება

გარეშე ომებისგან დამშვიდებული ვალენტი ანტიოქიაში ცხოვრობდა (რადგან ყველგან ბარბაროსები თავიანთი ქვეყნების საზღვრებში რჩებოდნენ). მაგრამ საშინლად ებრძოდა „თანაარსის“ მორწმუნეებს და ყოველდღე უფრო და უფრო დიდ სასჯელებს იგონებდა მათ წინააღმდეგ, სანამ მისი დიდი სიცოფე არ შეამცირა ფილოსოფოსმა თემისტიოსმა მის მიერ წარმოთქმული სიტყვით, რომელშიც იმპერატორს შეაგონებდა, არ ეუცხოებინა ქრისტიანულ მოძღვრებათა უთანხმოება, რამეთუ უმნიშვნელო იყო მათი უთანხმოება, ვიდრე წარმართულ სწავლებათა სიმრავლე და აღრევა. რამეთუ არის სამასზე მეტი მოძღვრება, და შეხედულებათა სიმრავლის გამო, ბუნებრივია, დიდი უთანხ-

მოება არის; სურთ, ღმერთი სხვადასხვაგვარად ადიდონ, რათა თითოეულს მეტად ეშინოდეს მისი სიდიადის, როდესაც ადვილად ხელმისაწვდომი არ არის მისი ცოდნა. როდესაც ამ და ასეთი სიტყვებით მიმართა ფილოსოფოსმა, იმპერატორი დამშვიდდა, თუმცა ბოლომდე არ დაიოკა მრისხანება, არამედ სიკვდილის ნაცვლად გადასახლების სასჯელს ადებდა მღვდლებს, სანამ არ შეწყდა მისი ეს აღძვრა შემდეგი სახით.

XXXIII თავი
თუ როგორ მიიღეს გოთებმა ქრისტიანობა ვალენტის დროს

ისტროსის[207] სანაპიროზე მოსახლე ბარბაროსებმა, რომლებსაც ეწოდებათ გოთები, წამოიწყეს ტომთა შორის ომი და ორად გაიყვნენ, რომელთაგან ერთს წინამძღვრობდა ფრიტიგერნესი, მეორეს კი – ათანარიხოსი. როდესაც ათანარიხოსი აღმოჩნდა უფრო ძლიერი, ფრიტიგერნესი გაიქცა რომაელებთან და მათ თხოვდა მტრის წინააღმდეგ დახმარებას. ეს შეიტყო იმპერატორმა ვალენტმა და უბრძანა თრაკიაში დაბანაკებულ ჯარს, რომ დახმარებოდნენ ბარბაროსებს ბარბაროსების წინააღმდეგ ლაშქრობაში. მათ დაამარცხეს ათანარიხი ისტროსის სანაპიროზე და აიძულეს გაქცეულიყო. ეს საბაბი გახდა იმისათვის, რომ მრავალი ბარბაროსი ქრისტიანი გამხდარიყო. ფრიტიგერნესმა ამ სიკეთის გამო მადლიერებით მიიღო იმპერატორის სარწმუნოება და მისი მმართველობის ქვეშ მყოფ ხალხსაც ურჩია ამის გაკეთება. ამიტომ, დღემდე არის მრავალი გოთი არიანელი, რაც მაშინ იმპერატორის გამო ამჯობინეს.

მაშინ გოთელების ეპისკოპოსმა ულფილამ გამოიგონა გოთური დამწერლობა, წმინდა წერილი თარგმნა გოთურ ენაზე და ბარბაროსები მოამზადა საღვთო სიტყვების შესასწავლად.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ულფილამ არა მხოლოდ ფრიტიგერნესის მმართველობის ქვეშ მყოფნი, არამედ ათანარიხის ქვეშევრდომ ბარბაროსებსაც ასწავლა ქრისტიანობა, ათანარიხმა მრავალი ქრისტიანი დასაჯა, როგორც წინაპართა სარწმუნოების გამყალბებელნი, ისე რომ იმ დროს მოწამეები გახდნენ არიანელი ბარბაროსები. მაგრამ არიოზმა ვერ გაუძლო ლიბიელი საბელიოზის წინ აღდგომას და მართებული რწმენიდან განვარდა, მოძღვრებად განაჩინა, რომ ძე ღმერთის ახლახან იყო წარმოშობილი ღვთისგან. მაგრამ ბარბაროსებმა ქრისტიანობა უბრალოებით მიიღეს და ქრისტესადმი რწმენის გულისთვის თავიანთი სიცოცხლე არად ჩააგდეს.

XXXIV თავი

თუ როგორ დართეს ნება გაქცეულ გოთებს, რომ დასახლებულიყვნენ რომის იმპერიის მიწა-წყალზე, რამაც გამოიწვია იმპერატორის დამხობა და, საბოლოოდ, რომის იმპერიის ნგრევა

ეს ითქვა იმის შესახებ, რაც შეემთხვათ ქრისტიანებს. მაგრამ არცთუ დიდი ხნის შემდეგ ერთმანეთთან დამოყვრებულს ბარბაროსებს კვლავ ომი გაუმართეს მათ მეზობლად მცხოვრებმა სხვა ბარბაროსებმა, ეგრეთ წოდებულმა ჰუნებმა. ისინი განდევნილ იქნენ თავიანთი მიწიდან და რომაელთა მიწა-წყალს შეაფარეს თავი. მათ თანხმობა გამოაცხადეს იმპერატორის ყმადნაფიცობაზე[208] და იმის გაკეთებაზე, რასაც უბრძანებდა რომაელთა იმპერატორი. როდესაც ეს შეიტყო ვალენტმა, არც კი დაფიქრდა, ისე ბრძანა დაებინავებინათ თავშესაფრის მთხოვნელნი, მხოლოდ ამ ერთხელ გამოიჩინა სიბრალული. ამრიგად, მან გამოუყო მათ თრაკიის მხარე და ჩათვალა, რომ ამ საქმით წარმატება მოიპოვა; იგი ფიქრობდა, რომ მომზადებული და ძლიერი ლაშქარი

შეიძინა მტრების წინააღმდეგ. იმედოვნებდა, რომ ბარბაროსები რომაელებზე უფრო საშინელი მცველები იქნებოდნენ, ამიტომ, მეტად აღარ ზრუნავდა რომაელი ჯარისკაცების რიცხოვნების გაზრდაზე. ძველად ნალაშქრი და ომებში მამაცურად მებრძოლნიც კი უგულებელყო, ხოლო ლაშქრისთვის ბრძანა ფულის აკრეფა პროვინციების დაბებიდან, ისე რომ ერთი სული ჯარისკაცისთვის ოთხმოცი ოქრო უნდა მოეთხოვათ, თუმც მანამდე გადასახადები არ შეუმსუბუქებია მათთვის[209].

მალე ეს გახდა რომის იმპერიის უბედურებათა დასაწყისი[210].

XXXV თავი
თუ როგორ შეწყდა ქრისტიანთა დევნა გოთებთან ომის დაწყების გამო

თრაკიაში დასახლებულმა ბარბაროსებმა რომაელთაგან უშიშრად მოიპოვეს მიწა,მაგრამ ვერ აიტანეს ბედნიერება,არამედ მათ კეთილისმყოფელთა წინააღმდეგ აღდგნენ და ყველაფერი გააპარტახეს თრაკიაში.

როდესაც ამ ამბებმა მიაღწია ვალენტის ყურამდე, შეწყვიტა „თანაარსის“ მორწმუნეთა გადასახლებაში გაშვება[211], რადგან შეშფოთებული მყისვე გაეშურა ანტიოქიიდან კონსტანტინოპოლში[212]. ამიტომ, დააცხრო ამ ქალაქში ქრისტიანთა წინააღმდეგ გამართული ომი.

მაშინ ანტიოქიაში არიანული მიმდინარეობის წინამდგომელმა ევძოიოსმა დაასრულა ცხოვრება ვალენტის მეხუთე გზის და უმცროსი ვალენტინიანეს პირველი კონსულობის დროს, მის ადგილას დადგინებულ იქნა დოროთე[213].

XXXVI თავი
თუ როგორ მიიღეს ქრისტიანობა სარკინოზებმა დედოფალ მაბიას დროს; აგრეთვე ღვთისმოსავი მონაზვნის მოსეს ეპისკოპოსად ხელდასხმის შესახებ[214]

როდესაც იმპერატორი გაემგზავრა ანტიოქიიდან, სარკინოზები, რომლებიც წინათ რომაელთა მოკავშირეები იყვნენ, აღდგნენ ქალის, მაბიას სარდლობით, რომელსაც ქმარი მოუკვდა[215]. ასე რომ, იმ დროს ყველაფერი მოოხრდა აღმოსავლეთში სარკინოზთა მიერ. მაგრამ ღმერთმა დააოკა სარკინოზები შემდეგი სახით.

იყო ერთი კაცი სახელად მოსე, წარმომავლობით სარკინოზი, მონაზვნურ ცხოვრებას ეწეოდა უდაბნოში, კეთილკრძალულებით, რწმენითა და სასწაულებით სახელი ჰქონდა განთქმული. სარკინოზთა დედოფალმა მაბიამ ზავით ომის შეწყვეტის ნაცვლად მოითხოვა მისი ეპისკოპოსად დადგინება მისი ხალხისთვის. როდესაც ეს მოისმინეს რომაელმა სარდლებმა, სასიკეთოდ მიიჩნიეს ასეთი შეთანხმებით მშვიდობის დამყარება და მყისვე ბრძანეს მისი შეპყრობა. შეპყრობილი მოსე უდაბნოდან წაიყვანეს ალექსანდრიაში, რათა იქ მიეღო მღვდლობა. მაგრამ, როდესაც იგი მიიყვანეს იმ დროს ალექსანდრიის ეკლესიის მმართველ ლუკიოსთან,ხელდასხმაზე უარი განაცხადა და ლუკიოსს უთხრა: „მე საკუთარ თავს მღვდლობისთვის უღირსად მივიჩნევ, მაგრამ თუ ეს მნიშვნელოვანია სახელმწიფო საქმეებისთვის,ნუ დაიდება ჩემზე ლუკიოსის ხელი,რამეთუ მისი მარჯვენა სავსეა სისხლისღვრით.“ როდესაც ლუკიოსმა მიუგო, რომ არ უნდა მიეყენებინა მისთვის შეურაცხყოფა, არამედ პირველ რიგში მისგან მოესმინა სარწმუნოების დოგმატები, მოსემ მიუგო: „მაგრამ ახლა დოგმატების სწავლება არ იძიება შენგან, არამედ შენ მიერ შენი ძმების წინააღმდეგ ჩადენილი საქმეები გამხელენ, რომ არ გაგაჩნია ქრისტიანული დოგმატები. რამეთუ

ქრისტიანი არ ცემს, არ აყვედრის, არ იბრძვის; „უფლის მსახურები არ უნდა იბრძოდნენ"[216]. შენი საქმეები ღაღადებენ ადამიანების გადასახლებაში გაშვებაზე, მხეცებისთვის მიგდებაზე და ცეცხლით დაწვაზე. რადგან თვალებით დანახული უფრო კარგად წარმოაჩენს, ვიდრე ყურით მოსმენილი[217]." როდესაც მოსემ თქვა ეს და ამის მსგავსი სიტყვები, მისმა ახლობლებმა იგი წაიყვანეს მთაზე, რათა ხელდასხმა გადასახლებაში მყოფთაგან მიედო. ამრიგად, როდესაც ასე დაასხეს ხელნი მოსეს, სარკონოზთა ომი შეწყდა, შემდგომში მაბიას მშვიდობა ჰქონდა დამყარებული რომთან, ისე რომ მის ასულზე იქორწინა სარდალმა ვიქტორმა. ეს ითქვა სარკინოზთა შესახებ.

XXXVII თავი
თუ როგორ გააგდეს ლუკიოსი ალექსანდრიელებმა და მის ნაცვლად დაადგინეს პეტრე, რომელიც დაბრუნდა რომის ეპისკოპოს დამასუსის წერილებით

ამ დროს, როდესაც იმპერატორმა ვალენტმა დატოვა ანტიოქია, ყველგან გაძლიერდნენ ღევნულები, განსაკუთრებით კი ალექსანდრიაში მცხოვრებნი. ამ დროს რომიდან დაბრუნდა პეტრე რომის ეპისკოპოს დამასის წერილებით, რომლებიც ამტკიცებდა მის მრწამსს „თანაარსისას" და [ეპისკოპოსად] ადგენდა პეტრეს. ხალხმა სიმამაცე გამოიჩინა და განდევნა ლუკიოსი, მის ნაცვლად კი შემოიყვანეს პეტრე. ლუკიოსი კონსტანტინოპოლში გაემგზავრა ხომალდით. პეტრემ ცოტა ხანი იცოცხლა და მონაცვლედ დატოვა მისი მამის ძმა ტიმოთე[218].

XXXVIII თავი
თუ როგორ დაცინა ხალხმა ვალენტს გოთების გამო. ასევე იმის შესახებ, თუ როგორ გაილაშქრა მან მათ წინააღმდეგ და მოკლულ იქნა ადრიანოპოლის მახლობლად

იმპერატორი ვალენტი მაისის თვის ოცდაათს მისი კონსულობის მეექვსეგზის და უმცროსი ვალენტინიანეს მეორეგზის კონსულობის დროს ჩავიდა კონსტანტინოპოლში და ნახა, რომ ხალხი დიდ სასოწარკვეთაში იყო ჩავარდნილი. რადგან ბარბაროსები უკვე შემოჭრილი იყვნენ თრაკიაში და კონსტანტინოპოლის გარეუბანი დაარბიეს, მაშინ, როცა არანაირი ბრძოლისუნარიანი ჯარი არ გააჩნდათ. როდესაც ბარბაროსებმა სცადეს კედლებს მოდგომოდნენ, ქალაქი ძლიერ დამწუხრდა, ჩურჩული დაიწყო იმპერატორის წინააღმდეგ, რომ მან მოაყენა მტერი და რომ მაშინათვე არ განალაგა ჯარი მათ წინააღმდეგ, არამედ აყოვნებდა ომში ჩაბმას. იპოდრომზე მარულას გამართვისას ყველამ ერთხმად შესძახა იმპერატორს, რომ ის უგულებელყოფდა სახელმწიფო საქმეებს. ძლიერ ხმამაღლა დაუყვირეს: „მოგვეცი საჭურველი და ჩვენ ვიომებთ“. როდესაც ეს დაიყვირეს, იმპერატორი ვალენტი რისხვად აენთო, მალულად დატოვა ქალაქი ივნისის თვის თერთმეტ რიცხვში და დაიმუქრა, რომ უკან დაბრუნებისას კონსტანტინოპოლელებს წაართმევდა უპირატესობას, რომლებმაც მაშინ გადაწყვიტეს მისთვის შეურაცხყოფის მიყენება; ასევე იმის გამოც, რომ ჯერ კიდევ მანამდე ტირან პროკოპის მიემხრნენ; იგი აპირებდა მის გაუდაბურებას და ამბობდა, სახნისით გადაუვლიდა მას. ასე წავიდა ბარბაროსებზე სალაშქროდ. მან განდევნა ისინი ქალაქიდან შორს, დევნა თრაკიის ადრიანოპოლისამდე, რომელიც მდებარეობს მაკედონიის საზღვრებში. იქ ბარბაროსებთან შეტაკებაში დაიღუპა აგვისტოს თვის ცხრა რიცხვს, იმავე კონსულობის პერიოდში;

იყო ორას ოთხმოცდაცხრა ოლიმპიადის მეოთხე წელი[219]. ამბობენ, რომ ცეცხლში დაიწვა დაბაში, რომელსაც თავი შეაფარა, და რომელსაც თავს დაესხნენ ბარბაროსები და გადაწვეს. თუმცა იმასაც ამბობენ, რომ გამოიცვალა საიმპერიო სამოსი და ქვეითი ჯარის შუაში შეიჭრა, მაგრამ როცა კავალერიამ უღალატა, ქვეითი ჯარი ვერ გაუმკლავდა მტერს და მოწინააღმდეგისგან გარშემორტყმული დამარცხდა. ამბობენ, იქ დაეცა იმპერატორი ისე, რომ ვერ იცნეს, რადგან არ ემოსა იმპერატორის სამოსი და ვერ გაიგეს მისი ვინაობა[220]. მან სიცოცხლე დაასრულა ორმოცდაათი წლის ასაკში, მის ძმასთან ერთად იმეფა ცამეტი წელი[221], მისი ძმის შემდეგ კი – სამი წელი.

ეს წიგნი მოიცავს ჩვიდმეტწლიან პერიოდს.

მ ე ხ უ თ ე წ ი გ ნ ი ს

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

მ ე ხ უ თ ე წ ი გ ნ ი

წინათქმა

ვიდრე დავიწყებთ მეხუთე წიგნის ისტორიას, ვიტყვით, ნუ გაგვიცხავენ ისინი, ვინც მოელიან ამ თემის გაგრძელებას, რადგან საეკლესიო ისტორიის აღწერას შევურევთ დროდადრო მომხდარი ომების ხსენებას[222], რომელთა შესახებ ამბების დანამდვილებით გაგებაც შევძელით. ეს მრავალი მიზეზით გავაკეთეთ, არა მხოლოდ ცოდნისათვის, არამედ იმიტომაც, რომ მკითხველს არ მობეზრებოდა მხოლოდ ეპისკოპოსთა დავები და იმ მზაკვრული საქმეების გაცნობა, რასაც ისინი უწყობდნენ ერთმანეთს; უწინარეს ყოვლისა კი იმის გამოც, ცნობილი რომ იყოს, თუ როგორ სახელმწიფოს შფოთში ჩავარდნისას თითქოს რამ თანაგრძნობით ეკლესიასაც არეულობა მოიცავდა. თუ ვინმე დააკვირდება, აღმოაჩენს, რომ სახელმწიფოს ბოროტების აღზევებისას საეკლესიო საქმეებიც უარესობისკენ წარემართება; ან აღმოაჩენს, რომ ერთდროულად იჩენს თავს ისინი, ან – ერთმანეთს მოჰყვება; ზოგჯერ საეკლესიო საქმეების არევა უძღვის წინ და სახელმწიფო მისდევს მას, ზოგჯერ – პირიქით. ასე რომ, მათი მონაცვლეობა არათუ რაიმე დამთხვევის შედეგად უნდა მივიჩნიოთ, არამედ ჩვენი ცოდვებისგან იღებს სათავეს და სასჯელად მოსდევს უბედურებები, როგორც ამბობს მოციქული: „ზოგი ადამიანის ცოდვა წინდაწინ არის გაცხადებული, და შეჰყავს სამსჯავროში, ზოგს კი უკან მოსდევს[223].“

ამ მიზეზით საეკლესიო ისტორია და სახელმწიფო საქმეებისა ერთმანეთზე არის გადაწნული. კონსტანტინეს დროინდელი ომების შესახებ ამბების მოპოვება ვერ შევძელით დროის

სიშორის გამო, მაგრამ რაც შეეხება მომდევნო ეპოქას, რაც კი ცოცხალთაგან შეგვიტყვია, გადარბენით მოვიხსენიებთ. მუდმივად გადმოვცემთ იმპერატორთა ამბებს, ვინაიდან მას შემდეგ, რაც დაიწყო მათი გაქრისტიანება, საეკლესიო საქმეები მათზე გახდა დამოკიდებული, უდიდესი კრებები მათი ნებით იმართებოდა და ახლაც იმართება. არა მხოლოდ ისინი, არამედ იულიანეც ვახსენეთ, რადგან მან აღაშფოთა ეკლესია. ეს საკმარისად ითქვა წინათქმაში და ახლა გადავალთ თხრობაზე.

I თავი
თუ როგორ უკუაგდეს მოქალაქეებმა ვალენტის დაღუპვის შემდეგ გოთების მიერ განხორციელებული ხელახალი შემოტევა ზოგიერთი სარკინოზის დახმარებით

როდესაც იმპერატორი ვალენტის ასავალ-დასავალი გაურკვეველი იყო, ბარბაროსები კვლავ მოდგნენ კონსტანტინოპოლის კედლებს და მოაოხრეს მისი გარეუბნები. ამის გამო ხალხი აღშფოთდა და თვითონ გამოვიდა ბარბაროსების წინააღმდეგ, თითოეულმა ის აიღო საჭურველად, რაც ხელში მოხვდა. იმპერატორის მეუღლემ, დომნიკამ საომრად წასულთ საზღაური გადაუხადა საიმპერიო ხაზინიდან, ისე, როგორც ეს იყო დაკანონებული ჯარისკაცებისთვის[224]. მათ კი შემოეშველნენ მცირერიცხოვანი მოკავშირე სარკინოზები, რომლებიც მაშინ გაგზავნა მაბიამ, ვის შესახებაც ზემოთ ვახსენეთ[225]. ამგვარად იბრძოდა ხალხი და ქალაქიდან შორს განდევნეს ბარბაროსები.

II თავი
თუ როგორ გამოიხმო გრაციანემ მართლმადიდებელი ეპისკოპოსები გადასახლებიდან, მწვალებლები კი განდევნა ეკლესიებიდან[226]. აგრეთვე, თუ როგორ გაიხადა მან თეოდოსი თავისი თანამმართველად

როდესაც გრაციანემ უმცროს ვალენტინიანესთან ერთად მიიღო ძალაუფლება, დაგმო მისი ბიძის, ვალენტის სისასტიკე ქრისტიანთა წინააღმდეგ, მის მიერ გადასახლებულნი სასწრაფოდ უკან დააბრუნა. კანონით მიუთითა ყველა სარწმუნოებას, რომ შიშის გარეშე შეკრებილიყვნენ სამლოცველოებში, მხოლოდ ევნომიანელები, ფოტიანელები და მანიქეველები გამოდევნა ეკლესიებიდან, სხვა ყველას კი ნება დართო აღესრულებინათ თავიანთი მსახურება, როგორც სურდათ. მაგრამ დაინახა, რომ დაუძლურებული იყო რომის იმპერია და ბარბაროსები გაძლიერებული იყვნენ. ამიტომ, ვინაიდან რესპუბლიკას სჭირდებოდა მამაცი კაცი, ძალაუფლება გაუზიარა თეოდოსის[227]. იგი იყო კაცი ესპანელი წარჩინებული გვარის ჩამომავალი, ბევრი ჰქონდა ომებში ნაბრძოლი და ამის გამო ჯერ კიდევ გრაციანეს გამეფებამდე ყველა თვლიდა მას იმპერატორობის ღირსად. გრაციანემ იგი იმპერატორად გამოაცხადა სირმიაში (ეს არის ქალაქი ილირიაში), ავსონიუსის და ოლიბრიუსის კონსულობისას, თექვსმეტ იანვარს[228] მასთან ერთად ილაშქრა ბარბაროსების წინააღმდეგ.

III თავი
იმ დროის ეკლესიათა გამოჩენილი წინამდგომელნი

იმხანად რომის ეკლესიის წინამდგომელი იყო დამასი, რომელმაც შეცვალა ლიბერიუსი, იერუსალიმელთა ეკლესიას კი ჯერ

კიდევ კირილე განაგებდა, ანტიოქიაში ეკლესია, როგორც მრავალგზის აღვნიშნეთ, სამ ნაწილად გაიყო. ეკლესიათა ერთ ნაწილის მმართველი ევძოიოსის შემდეგ გახდა არიანელი დოროთე, სხვა ეკლესიებიდან კი ზოგი პავლინეს ექვემდებარებოდა, ზოგიც – გადასახლებიდან გამოხმობილ მელეტის მწყემსობის ქვეშ იყო განწესებული[229]. ალექსანდრიაში არსებული არიანელთა ეკლესიების ეპისკოპოსი ლუკიოსი გადასახლებაში იმყოფებოდა, „თანაარსის“ მრწამსის მიმდევართა წინამდგომელი პეტრეს შემდეგ იყო ტიმოთე. კონსტანტინოპოლში ეკლესიებს განაგებდა ევდოქსიოსის შემდეგ არიანული სარწმუნოების წინამძღვარი დემოფილე, ხოლო ისინი, ვინც მათ განუდგნენ, თავისთვის მართავდნენ საღვთისმსახურო შეკრებებს[230].

IV თავი
მაკედონიანელთა შესახებ; თუ როგორ დაუბრუნდნენ თავიანთ წინანდელ ცთომილებას მას შემდეგ, რაც აღიარეს „თანაარსი“

ლიბერიუსთან ელჩების გაგზავნის შემდეგ მაკედონიანელები გარკვეულ დრომდე განურჩევლად შედიოდნენ თანაზიარებაში, ყოველ ქალაქში ეკლესიებში ერთმანეთთან იყვნენ შერეული ისინი და ისინიც, რომლებიც თავიდანვე იწონებდნენ ნიკეაში გადმოცემული მრწამსის განჩინებას. მაგრამ, როდესაც იმპერატორ გრაციანეს კანონმა თავისუფლება მიანიჭა აღმსარებლობებს, კვლავ სცადეს გაყოფა. შეიკრიბნენ კარიის ანტიოქიაში და კვლავ განაჩინეს, უარეყოთ გამონათქვამი „თანაარსი“ და მეტად აღარ შეერთებოდნენ ნიკეის მრწამსის აღმსარებლებს[231]. მაგრამ მათ ამ საქციელით ვერ იხეირეს, რამეთუ ბევრმა მათგანმა დაგმო ეს და განუდგნენ მათ იმ მიზეზით, რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვა განჩინებებს იღებდნენ, და მტკიცედ შეუერთდნენ „თანაარსის“ აღმსარებელთ.

V თავი
პავლინესა და მელეტისთან დაკავშირებით ანტიოქიაში მომხდარი ამბების შესახებ

იმხანად სირიის ანტიოქიაში მელეტის გამო დაიწყო შემდეგი დაპირისპირება. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ანტიოქიის ეპისკოპოსი პავლინე მისი ზეაღმატებული კეთილკრძალულების გამო არ გაუშვეს გადასახლებაში. მელეტი იულიანეს ზეობისას უკან დაბრუნების შემდეგ ვალენტის ზეობისას კვლავ გადასახლებულ იქნა, მოგვიანებით კი გრაციანემ უკან გამოიხმო. იგი ჩავიდა ანტიოქიაში და შეხვდა პავლინეს, რომელიც უკვე მოხუცი იყო. მაშინ ყველა მისი მომხრე დაეშურა, პავლინეს თანამოსაყდრე გაეხადათ მელეტი. მაგრამ, როდესაც პავლინემ თქვა, რომ კანონებს ეწინააღმდეგებოდა არიანელთა მიერ ხელდასხმულის თანამოსაყდრედ მიღება, ხალხმა მას ძალა დაატანა და ქალაქის წინ ერთ-ერთ ეკლესიაში აღასრულეს მისი აღსაყდრება. როდესაც ეს მოხდა, დიდი ქიშპი იყო აღძრული, მაგრამ ამის შემდეგ ხალხი შეთანხმდა შემდეგი პირობებით. ერთად შეკრიბეს ეპისკოპოსობის კანდიდატები, სულ ექვსი კაცი, რომელთა შორის იყო ფლაბიანე. მათ ფიცი დადეს, რომ არც ერთი არ მიიღებდა ეპისკოპოსობას, როდესაც გარდაიცვლებოდა ერთ-ერთი ეპისკოპოსი, არამედ დაუთმობდნენ ცოცხლად დარჩენილს, რომ ასულიყო საყდარზე. დადეს რა ასე ფიცი, ხალხი ერთსულოვნებაში მოვიდა და მეტად აღარ გამოეყოფოდა ერთმანეთს[232]. ლუციფერუსის მომხრენი იმის გამო გამოეყვნენ, რომ არიანელთა მიერ ხელდასხმულმა მელეტიმ მიიღო ეპისკოპოსობა[233]. ანტიოქიაში განვითარებული ამ მოვლენებისას მელეტი იძულებული გახდა, კონსტანტინოპოლში წასულიყო.

VI თავი
თუ როგორ იქნა გადაყვანილი გრიგოლ ნაზიანზელი კონსტანტინოპოლის საყდარზე. აგრეთვე, ბარბაროსებზე გამარჯვების შემდეგ იმპერატორ თეოდოსის დასნეულებისა და ეპისკოპოს ასხოლიოსის მიერ მისი მონათვლის შესახებ[234]

იმხანად მრავალი ეპისკოპოსის ერთობლივი შეხედულებით გრიგოლი ნაზიანზიდან კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსად გადაიყვანეს[235]. ეს მოხდა შემდეგნაირად. იმ დროს იმპერატორებმა გრაციანემ და თეოდოსიმ ბარბაროსებზე მოიპოვეს გამარჯვება. გრაციანე მყისვე გალიაში გაემართა, სადაც ალამანებს დაერბიათ იქაური მიწები. თეოდოსი კი კონსტანტინოპოლში ტრიუმფით შესვლის შემდეგ თესალონიკში გაემგზავრა. იქ იგი ავად გახდა და ითხოვა ქრისტიანული ნათლისღების ღირსი გაეხადათ. იგი თავიდანვე წინაპართაგან მოყოლებული ქრისტიანი იყო და „თანაარსის“ მრწამსს მისდევდა, მაგრამ მაშინ იჩქარა ნათლისღება მისი დასნეულების გამო. როდესაც მოიძია ეპისკოპოსი თესალონიკში, პირველ რიგში ჰკითხა, თუ რა სარწმუნოების იყო. მან მიუგო, რომ არიანული მოძღვრება არ შეხებია ილირიის ერს, ვერც შეძლო წარეტაცებინა იგი მაშინ წარმოშობილ სიახლეს ადგილობრივი ეკლესიები, არამედ შეურყევლად იცავდნენ თავიდანვე, დასაბამიდან მოციქულთაგან გადმოცემულ მრწამსს, რომელიც ნიკეის კრებაზე იქნა დამტკიცებული[236]. მაშინ იმპერატორმა დიდი სიხარულით მიიღო ნათლისღება ეპისკოპოს ასხოლიოსისგან. არცთუ მრავალი დღის შემდეგ იგი გამომჯობინდა და კონსტანტინოპოლში წავიდა დაახლოებით ნოემბრის ოცდაოთხს, გრაციანეს მეხუთეგზის, ხოლო თვითონ თეოდოსის პირველი კონსულობის დროს.

VII თავი
თუ როგორ დატოვა გრიგოლმა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსობა მას შემდეგ, რაც წარმოიშვა უკმაყოფილება მისი დადგინების გამო. აგრეთვე, თუ როგორ უბრძანა იმპერატორმა არიანელ ეპისკოპოს დემოფილეს, რომ ან მიეღო მართლმადიდებლობა ან დაეტოვებინა ქალაქი, რის გამოც დემოფილემ ქალაქის დატოვება ამჯობინა

მაშინ ნაზიანზიდან გადმოსული გრიგოლი ქალაქის შიგნით მცირე სამლოცველოში მართავდა საღვთისმსახურო შეკრებებს, რომელსაც მოგვიანებით იმპერატორებმა უდიდესი სამლოცველო სახლი მიაშენეს და უწოდეს „ანასტასია“[237]. როდესაც გრიგოლმა, კაცმა განათლებულმა და კეთილკრძალულებით მისი დროის მოღვაწეებზე ზეაღმატებულმა, შეიტყო, რომ ზოგიერთები ჩიოდნენ მასზე, როგორც უცხოელზე, სიხარულით მიიღო იმპერატორის დაბრუნება და უარი განაცხადა კონსტანტინოპოლში ცხოვრებაზე[238]. ამ დროს იმპერატორმა ნახა ეკლესია ასეთ ვითარებაში და საგონებელში ჩავარდა, თუ როგორ დაემყარებინა მშვიდობა და ერთსულოვნება და განევრცო ეკლესია. ასე რომ, მყისვე განუცხადა დემოფილეს, რომელიც მაშინ არიანულ სარწმუნოებას წინამდგომლობდა, თუ სურდა, ერწმუნა ნიკეის კრება, გაეერთიანებინა ხალხი და დაემყარებინა მშვიდობა. მაგრამ, როდესაც მან თავი აარიდა ამ შეკითხვას, იმპერატორმა უთხრა: „თუ მშვიდობას და ერთსულოვნებას გაურბიხარ, გიბრძანებ, ისწრაფო და დატოვო სამლოცველოები.“ ეს მოისმინა რა დემოფილემ, ისაზრა, რომ ძნელი იქნებოდა მასზე ძლიერთან დაპირისპირება. მან შეკრიბა ხალხი ეკლესიაში, შუაში თვითონ დადგა და ასე მიმართა მისი მმართველობის ქვეშ მყოფთ: „ძმებო, სახარებაში დაწერილია: „თუ დევნას დაგიწყე-

ბენ ამ ქალაქში, გაიქეცით სხვაში[239]“. ვინაიდან იმპერატორს სჭირდება ეკლესიები, იცოდეთ, ხვალ შევიკრიბოთ ქალაქის გარეთ.“ ეს თქვა და გავიდა, არ უწყოდა სახარების სიტყვის [სულიერი] ხედვა[240], რომ ამ ქვეყნიერების ცხოვრების ზნიდან გაქცეულთა მიერ ზენა იერუსალიმის ძიებას ნიშნავდა. არამედ იგი ამ დროიდან მოყოლებული ქალაქის გარეთ მართვდა შეკრებებს[241]. მას გაჰყვა ასევე ლუკიოსი, რომელიც, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ალექსანდრიიდან გამოქცეული კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა. ასე, სამლოცველოების ორმოცი წლის განმავლობაში არიანელების საკუთრებაში ყოფნის[242] შემდეგ ისინი გაექცნენ იმპერატორ თეოდოსის ერთსულოვნებას და დატოვეს ქალაქი გრაციანეს მეხუთეგზის და ავგუსტუს თეოდოსის პირველგზის კონსულობის დროს, ნოემბრის თვის ოცდაექვსს. მათ ნაცვლად ეკლესიებში შევიდნენ და ისინი დაიკავეს „თანაარსის“ მრწამსის მიმდევრებმა.

VIII თავი

თუ როგორ გაიმართა კრება კონსტანტინოპოლში, რომელიც შედგებოდა ასორმოცდაათი ეპისკოპოსისგან განჩინებების გამოცემისა და ეპისკოპოსად ნექტარიოსის დადგინების შესახებ[243]

იმპერატორს აღარ დაუხანებია მისი მრწამსის მქონე ეპისკოპოსთა მოწვევა ნიკეის მრწამსის დასამტკიცებლად და კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის ხელდასხმისათვის. იგი იმედოვნებდა, რომ მაკედონიანელებს შეუერთებდა მის სარწმუნოებას და მათი წინამდგომლებიც მოიწვია. „თანაარსის“ მრწამსის მიმდევრებიდან შეიკრიბნენ: ალექსანდრიიდან ტიმოთე[244], იერუსალიმიდან კირილეს მაშინ შენანებული ჰქონდა [მისი წინანდელი შეხედულება] და „თანაარსს“ ემხრობოდა[245], ანტიოქიიდან მელეტი დიდი ხნის

წინ იყო ჩამოსული გრიგოლის დადგინების გამო[246], თესალონიკიდან კი – ახოლიოსი და სხვა მრავალი. ყველა ერთად იყო ას ორმოცდაათი[247]. მაკედონიანელების მხარეს წინამძღვრობდა ელევსიოს კიზიკელი და მარიანოს ლამფსაკიელი, რომლებიც სულ იყვნენ ოცდათექვსმეტი, რომელთა უმეტესობა იყო ჰელესპონტის მახლობლად მდებარე ქალაქებიდან. ამრიგად, ისინი შეიკრიბნენ ევხერიოსის და სიაგრიოსის კონსულობის დროს, მაისის თვეს. იმპერატორი[248] და მისი სარწმუნოების ეპისკოპოსები ყველა გზას მიმართავდნენ, რომ მათი თანამოაზრე გაეხადათ ელევსიოსის მომხრენი, ახსენებდნენ ელჩობას, რომელიც მათ გაგზავნეს რომის ეპისკოპოს ლიბერიუსთან ევსტათის მომხრეთა გამო; აგრეთვე იმასაც, რომ არცთუ დიდი ხნის წინათ ნებაყოფლობით შედიოდნენ განუყოფელ თანაზიარებაში მათთან; რომ არ იყო ზნეობრივად გამართლებული, რომ მას შემდეგ, რაც შეიცნეს მათი თანაზიარი მრწამსი, კვლავ ეცადათ, განდგომოდნენ იმას, რაც მშვენივრად გაიაზრეს. მაგრამ მათ განაცხადეს, რომ უმალ არიანული შეხედულების აღიარებას ირჩევდნენ, ვიდრე „თანაარსს“ დაეთანხმებოდნენ[249]. როდესაც ასე უპასუხეს, დატოვეს კონსტანტინოპოლი და მიწერეს მათ თანამოაზრეთ ქალაქებში, შეაგონებდნენ არ გაეზიარებინათ ნიკეის კრების მრწამსი. მეორე ნაწილი ეპისკოპოსებისა დარჩა და ბჭობა გამართა ეპისკოპოსის ხელდასხმის შესახებ. რადგან, როგორც ცოტა ხნის წინ ითქვა, გრიგოლმა უარი განაცხადა და დატოვა კრება ნაზიანზში გასამგზავრებლად[250]. იყო ერთი კაცი სახელად ნექტარიოსი, სენატორთა გვარის ჩამომავალი, მშვიდი ზნის, რის გამოც მას პატივს სცემდნენ, რომელსაც იმხანად ეკავა პრეტორის თანამდებობა. იგი აიტაცა ხალხმა და ეპისკოპოსობის კანდიდატად იქნა წამოყენებული, ას ორმოცდაათმა ეპისკოპოსმაც ხელნი დაასხა მას[251].

მაშინ გამოიცა განჩინება, რომ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს ჰქონდა პატივის უპირატესობა რომის ეპისკოპოსის შემდეგ იმ მიზეზით, რომ ის იყო ახალი რომი[252]. კრებამ კვლავ დაამტკიცა

ნიკეის მრწამსი, დაადგინა პატრიარქები და დაანაწილა ეპარქიები, ისე რომ დიოცეზის მმართველი ეპისკოპოსები ვერ შევიდოდნენ სხვა ეკლესიაში[253]. რადგან ეს საკითხი მანამდე გადაუჭრელი იყო დევნულების გამო. ნექტარიოსმა დაიმკვიდრა დიდი ქალაქი და თრაკია; პონტოს დიოცეზის პატრიარქობა კი – ბასილის შემდეგ კაბადოკიის კესარიის ეპისკოპოსმა ჰელადიოსმა, ბასილის ძმამ, ნოსელმა (ეს არის ქალაქი კაბადოკიაში) გრიგოლმა და სომხეთის მელიტინის ეპისკოპოსმა ოტრეიოსმა. აზია წილად ხვდა იკონიის ეპისკოპოს ამფილოქეს და პისიდიის ანტიოქიის ეპისკოპოს ოპტიმუსს. ეგვიპტის ეკლესიები ალექსანდრიის ეპისკოპოს ტიმოთეს გაუნაწილეს. აღმოსავლეთის ეკლესიათა დიოცეზი მის ეპისკოპოსებს ჩააბარეს: პელაგი ლაოდიკიელს და დიოდორე ტარსელს. მათ დაიცვეს ანტიოქიის ეკლესიის უხუცესობა და გადასცეს იქ დამსწრე მელეტის. განაჩინეს ასე, რომ თუ საჭიროება მოუხმობდა, თითოეულ პროვინციასთან დაკავშირებული საქმეები პროვინციის კრებას უნდა განეგო. ამ გადაწყვეტილებებს იმპერატორიც დაეთანხმა.

IX თავი
თუ როგორ პატივის მიგებით გადმოასვენეს კონსტანტინოპოლის ეპისკოპოს პავლეს ნეშტი გადასახლებიდან. მელეტის გარდაცვალების შესახებ

ასე დასრულდა კრება. იმ დროს იმპერატორმა გადმოიტანა ეპისკოპოს პავლეს ნეშტი ანკვირიიდან, რომელიც იმპერატორის პრეფექტმა ფილიპემ მაკედონიოსის გამო გადასახლებაში გაგზავნა სომხეთის კუკუზაში და მოაშთო, როგორც წინათ ვთქვი[254]. იგი დიდი პატივით და თაყვანისცემით მიიღო და დამარხა ეკლესიაში, რომელიც ახლაც მის სახელს ატარებს[255]; ის წინათ

არიანელთაგან გამოყოფილ მაკედონიანელებს ჰქონდათ დაკავებული. მაშინ კი იმპერატორის მიერ იყვნენ გამოდევნილი, რადგან უარი თქვეს მის მრწამსზე.

იმხანად ანტიოქიის ეპისკოპოსი მელეტი დასნეულდა და აღესრულა, რის გამოც ბასილის ძმამ გრიგოლმა წარმოთქვა სიტყვა[256]. მაგრამ მელეტის ნეშტი მისმა თანმხლებმა პირებმა გადაიტანეს ანტიოქიაში[257]; მათ ასევე არ ისურვეს პავლინეს მმართველობის ქვეშ ყოფნა, არამედ მის ადგილზე ფლაბიანე წამოაყენეს[258]. კვლავ გაიყო ხალხი. ამგვარად კვლავ გაიყო ანტიოქიის ეკლესია, არათუ რწმენის, არამედ ეპისკოპოსთა გამო.

X თავი
თუ როგორ ბრძანა იმპერატორმა ყველა მწვალებლობის კრების მოწვევა[259]. ასევე არკადიუსის ავგუსტუსად გამოცხადების შესახებ. თუ როგორ დართეს ნება ნოვაციანელებს, რომ თავიანთი შეკრებები გაემართათ კონსტანტინოპოლში, ხოლო სხვა მწვალებლობები განდევნილ იქნენ

როდესაც არიანელებს დევნიდნენ სამლოცველო ადგილებიდან, დიდი შფოთი შეიქნა სხვა ქალაქებში. რის გამოც იმპერატორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პატივისცემას იწვევს ჩემში. რადგან მან არ დაუშვა, რამდენადაც მას ძალუძდა, ქალაქების შფოთით აღვსება, არამედ მცირე დროის გასვლის შემდეგ კვლავ მოამზადა ყველა მწვალებლობის[260] კრების მოწვევა, ფიქრობდა, რომ ეპისკოპოსები ერთმანეთთან სჯა-ბაასით საერთო აზრამდე მივიდოდნენ. ვგონებ, ეს იყო საბაბი მისთვის, რომ ეს ასე კარგად მოაწყო. რადგან საღვთო რამ წინაგანგებით იმხანად მას დამორჩილდა ბარბაროსთა ერები. მათ შორის იყო გუთების ბელადი ათანარიხი, რომელმაც თავისი თავი საკუთარ

ერთან ერთად დაუმორჩილა მას, და მალე დაიღუპა კონსტანტინოპოლში[261]. მაშინ იმპერატორმა მისი ძე არკადიუსი გამოაცხადა ავგუსტუსად მერობავდუსის მეორეგზის და სატორნინუსის იმდენსავეგზის კონსულობის დროს, იანვრის თვის თექვსმეტს[262].

ამის შემდეგ არცთუ დიდი ხნის მერე ყველა ადგილიდან ჩამოვიდა [კონსტანტინოპოლში] ყველა სარწმუნოების ეპისკოპოსის იმავე კონსულობის პერიოდში ივნისის თვეში. იმპერატორმა თავისთან მოიხმო ეპისკოპოსი ნექტარიოსი და ითათბირა მასთან, თუ რა გზისთვის მიემართათ, რათა უთანხმოებაში არ ყოფილიყო ქრისტიანობა, არამედ გაერთიანებულიყო ეკლესია. იგი ეუბნებოდა, რომ საჭირო იყო ეკლესიის პრობლემის გამოკვლევა, უთანხმოების აღმოფხვრა და ეკლესიებში ერთსულოვნების დამკვიდრება. როდესაც ეს მოისმინა ნექტარიოსმა, საგონებელში ჩავარდა, მოიწვია იმ დროის ნოვაციანელთა ეპისკოპოსი აგელიოსი, რომელიც სარწმუნოებით მისი თანამოაზრე იყო, და გააცნო მას იმპერატორის განზრახვა[263]. ის კაცი თუმცა სხვა მხრივ კეთილკრძალული იყო, მაგრამ არ იყო ძლიერი დოგმატების შესახებ მსჯელობაში და მისი ერთ-ერთი წიგნის მკითხველი სახელად სისინიოსი გამოიყვანა სასაუბროდ. სისინიოსი მეტად განათლებული და გამოცდილი კაცი, ზედმიწევნით იცოდა წმინდა წერილის განმარტება და ფილოსოფიური მოძღვრებები. მან იცოდა, რომ მხოლოდ მსჯელობით ვერ გაერთიანდებოდა განხეთქილებები, არამედ უფრო გაღრმავდებოდა დაპირისპირება მწვალებლობებს შორის. ამიტომ, მან ასეთი რამ ურჩია ნექტარიოსს. მან კარგად უწყოდა, რომ ძველი მამები გაურბოდნენ ღვთის ძისთვის არსებობის დასაბამის მიცემას (რამეთუ მას იაზრებდნენ მამის თანამარადიულად), და ურჩია თავიდან აერიდებინა დიალექტიკური ორთაბრძოლები, მოწმეებად მოეხმო ძველი თაობის განმმარტებლების და მოძღვრების გადმოცემები, და იმპერატორს კითხვა დაესვა მწვალებლობათა მოთავეთათვის, თუ სცემდნენ პატივს ეკლესიაში გაყოფის მოხდენამდე მოღ-

ვაწე სახელოვან მოძღვართ[264], თუ როგორც ქრისტიანობისგან უცხოთ განაგდებდნენ. იგი ამბობდა: „თუ ისინი მათ უარყოფენ, ასე გაბედავენ მათ შეჩვენებას; და თუ გაბედავენ ამის გაკეთებას, ხალხის მიერ იქნებიან განდევნილი. როცა ეს მოხდება, აშკარა იქნება ჭეშმარიტება გამარჯვება. მაგრამ თუ არ უარყოფენ ძველი დროის მოძღვრებს, მაშინ ჩვენ უნდა მივაწოდოთ ადრინდელ მამათა წიგნები, რომლებიც მოწმობენ, რომ ჩვენი შეხედულება არის ჭეშმარიტი და მტკიცე“. როდესაც ეს მოისმინა ნექტარიოსმა სისინიოსისგან, სასწრაფოდ გაეშურა იმპერატორისკენ, რათა ეუწყებინა მისთვის მიცემული რჩევა. მანაც აიტაცა ეს აზრი და ბრძნულად წარმართა საქმე. მან წინდაწინ არ აცნობა მწვალებლობათა წინამძღვართ მისი განზრახვა, არამედ მხოლოდ ის განუცხადა, თუ სცემდნენ პატივს და ღებულობდნენ ეკლესიის გაყოფამდე არსებულ მოძღვართა განმარტებებს. მათ არ იუარეს, არამედ თქვეს, რომ ყველანაირ პატივს მიაგებდნენ მათ, როგორც მასწავლებლებს. მაშინ იმპერატორმა უთხრა, თუ მისდევდნენ მათ, როგორც ქრისტიანული მოძღვრების სანდო მოწმეებს. როდესაც ეს მოისმინეს სარწმუნოებათა წინამდგომლებმა და თითოეული მათგანის თანმხლებმა დიალექტიკოსებმა (რამეთუ მრავალი მათგანი კარგად იყო მომზადებული დიალექტიკურ კამათებისთვის), არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, რადგან ერთმანეთთან უთანხმოებაში ჩავარდნენ, ზოგი ამბობდა, რომ კარგი იყო იმპერატორის შემოთავაზება, მაგრამ ზოგი არ ეთანხმებოდა მათ ზრახვას. ყველა სხვადასხვაგვარად ღებულობდა ძველი დროის მოძღვართა წიგნებს და არ გააჩნდათ საერთო აზრი; ურთიერთსაპირისპირო შეხედულებები ჰქონდათ არა მხოლოდ სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე დაჯგუფებებს, არამედ საერთო აღმსარებლობის მქონეთაც. ამგვარად, მათი ბოროტი ერთსულოვნება, როგორც ძველად გოლიათების ენა დაიყო და დაემხო მათი ბოროტების გოდოლი[265]. იმპერატორმა შეიტყო მათი აღრევა და გაფანტულობა, და რომ მხოლოდ

დიალექტიკით და არა ძველი გადმოცემით იყვნენ გაკადნიერებული. ამიტომ, იგი გადავიდა მისი მეორე განზრახვის აღსრულებაზე. განუცხადა მათ, რომ თითოეულ მათგანს წერილობითად ეცნობებინა მისთვის მრწამსის განსაზღვრება[266], რაც მათ ეპყრათ. მაშინ თითოეულ [დაჯგუფებაში] მყოფი ძლიერმა მჭევრმეტყველმა ზედმიწევნითი გამონათქვამებით დაწერა თავისი დოგმატი. განსაზღვრულ იქნა დღე და თითოეული დაჯგუფების ეპისკოპოსი შეიკრიბა იმპერატორის მოწვევით.

„თანაარსის“ მრწამსის დაჯგუფებიდან ესწრებოდნენ წინამდგომლები ნექტარიოსი და აგელიოსი, არიანელთაგან დემოფილე, ევნომიანელთაგან თვითონ ევნომიოსი[267], მაკედონიანელთაგან ელევსიოს კიზიკელი. იმპერატორმა მიიღო შეკრებილები და გამოართვა თითოეული მათგანის მიერ დაწერილი მოძღვრება. იგი თავისთან განმარტოვდა და ღმერთს გულმხურვალედ შეევედრა შეწეოდა მას ჭეშმარიტების გაცხადებაში. შემდეგ თითოეული მოძღვრების ჩანაწერი წაიკითხა, ყველა, რომელსაც სამების გაყოფა შემოჰქონდა, გაკიცხა და დახია, მხოლოდ „თანაარსის“ აღსარება მოიწონა და მიიღო. ეს საბაბი გახდა იმისა, რომ ნოვაციანელებს კვლავ წარმატება მოეპოვებინათ და ქალაქის შიგნით დაეწყოთ შეკრებების გამართვა. რადგან იმპერატორი აღფრთოვანდა მათი თავისიანების მიმართ მრწამსში ერთსულოვნებით და კანონით ბრძანა, თავისუფლად დაეკავებინათ მათი სამლოცველო ადგილები, ჰქონოდა პრივილეგია მათ ეკლესიებს, რაც ჰქონდა მისი მრწამსის მიმდევართ[268].

სხვა აღმსარებლობების წინამდგომლები ერთმანეთთან უთანხმოების გამო გაკიცხეს მათი მწყემსობის ქვეშ მყოფმა ერმა, რის გამოც ისინი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და დამწუხრებულნი წავიდნენ. ისინი წერილებით შეაგონებდნენ და არიგებდნენ თავისიანებს, არ აჰყოლოდნენ მრავალ მათგანს, რომლებმაც დატოვეს ისინი და „თანაარსს“ შეუერთდნენ, ვინაიდან „მრავალი იყვნენ მოხმობილი, ხოლო მცირედნი რჩეულ[269]“.

მაგრამ ეს არ უთქვამთ მაშინ, როდესაც მრავალი მათ მიემხრო მათი ძალაუფლების გამო.

მაგრამ არც „თანაარსის“ მომხრენი ყოფილან მწუხარებისგან თავისუფალი, რადგან ანტიოქიაში მიმდინარე მოვლენებმა გაჰყო კრებაზე დამსწრენი. ეგვიპტელები,არაბეთიდან და კვიპროსიდან ჩამოსულები მხარს უჭერდნენ პავლინეს და ამბობდნენ, რომ ფლაბიანე უნდა განედევნათ ანტიოქიიდან[270]. მაგრამ პალესტინელები, ფინიკიელები და სირიელები ფლაბიანეს გვერდით იდგნენ.

XI თავი
თუ როგორ იქნა ღალატით მოკლული იმპერატორი გრაციანე ტირან მაქსიმეს მიერ. აგრეთვე, თუ როგორ შეწყვიტა დედოფალმა იუსტინამ ამბროსის დევნა მისი შიშით

თავის ადგილას ვიტყვით, თუ როგორ დასრულდა ეს ამბები. იმ დროს, როცა კონსტანტინოპოლში მიმდინარეობდა ეს კრება, დასავლეთ მხარეში ხდებოდა შემდეგი ამბები. ბრიტანეთიდან აღდგა მაქსიმე რომის იმპერიის წინააღმდეგ და წამოვიდა გრაციანეს წინააღმდეგ, რომელიც დაქანცული იყო ალამანებთან ომში[271]. იტალიაში ვინაიდან ვალენტინიანე სრულიად ყრმა იყო, სახელმწიფო საქმეებზე ზრუნავდა კონსული პრობუსი, რომელიც წარმართავდა პრეფექტის ხელისუფლებას[272]. იმპერატორ ვალენტინიანეს დედა იუსტინა არიანელი იყო, მაგრამ მისი მეუღლის სიცოცხლეში არ ავნებდა „თანაარსის“ აღმსარებლებს. ვინაიდან მისი ვაჟი ყრმა იყო, იგი ჩავიდა მედიოლანში და დიდი შფოთი აღძრა ამბროსის წინააღმდეგ; ბრძანა, ის გადასახლებაში გაეშვათ. მაგრამ ხალხი წინ აღუდგა მას, რადგან ძალიან უყვარდა ამბროსი და მედგრად დაუდგა მათ, ვინც

ცდილობდა მის წათრევას გადასახლებაში. ამ დროს ამბავი გავრცელდა, რომ გრაციანე ტირანის სივერაგით იქნა მოკლული. მაქსიმეს სარდალი ანდრაგათიოსი დაიმალა ჯორებშებმულ საკაციანი საზიდრის მსგავსში, უბრძანა შუბოსნებს წინდაწინ ეუწყებინათ, რომ იმპერატორ გრაციანეს მეუღლე იყო მოსული გალიის ქალაქ ლუგდუნას წინ იმპერატორთან შესახვედრად. იმპერატორმა დაიჯერა, რომ მისი მეუღლე იყო და თავი არ დაიზღვია მზაკვრობისგან, არამედ როგორც ბრმა ჩავარდა მტრის ხელში[273]. ანდრაგათიოსი გადმოხტა საკაციდან და შეიპყრა იგი. იგი აღესრულა მერობავდოსის და სატურნინუსის კონსულობის დროს, იმეფა თხუთმეტი წელი და იცოცხლა ორმოცდაექვსი წელი. როდესაც ეს მოხდა, იმპერატორის დედამ შეწყვიტა ამბროსის წინააღმდეგ მისი მრისხანების გამოვლინება. ვალენტინიანე კი ასეთი ჟამის დადგომის გამო იძულებული იყო, დანებებოდა და მიეღო მაქსიმეს გამეფება. მაშინ პრობუსს შეეშინდა მაქსიმეს ძლიერების და სცადა უფრო აღმოსავლეთ მხარეს წასულიყო. მან რაც შეეძლო სწრაფად დატოვა იტალია, ილირიკიაში ჩავიდა და მაკედონიის თესალონიკეში ცხოვრობდა[274].

XII თავი
თუ როგორ შეეძინა იმპერატორ თეოდოსის ვაჟიშვილი მაშინ, როცა იგი ემზადებოდა ტირანის წინააღმდეგ საომრად. ასევე, თუ როგორ გაემგზავრა მედიოლანში ტირანთან შესახვედრად

იმპერატორი თეოდოსი დიდ საზრუნავში ჩავარდა და უზარმაზარი ჯარი შეკრიბა ტირანის წინააღმდეგ, ეშინოდა ყრმა ვალენტინიანეს მოკვლა არ გადაეწყვიტა ტირანს[275]. ამავე დროს

ელჩები ეწვივნენ სპარსეთიდან და იმპერატორისგან მშვიდობას ითხოვდნენ. მაშინ იმპერატორს შეეძინა ძე ჰონორიუსი, რომელიც მას ეყოლა მისი მეუღლისგან პლაკილასგან რიხომერიოსის და კლეარხეს კონსულობის დროს, სექტემბრის თვის ცხრა რიცხვში. ამავე კონსულობის პერიოდში ცოტა მოგვიანებით აღესრულა ნოვაციანელთა ეპისკოპოსი აგელიოსი.

მომდევნო კონსულობის დროს, როდესაც კონსულები იყვნენ პირველგზის ავგუსტუსი არკადიუსი და ბაუდონოსი, აღესრულა ალექსანდრიის ეპისკოპოსი ტიმოთე და ეპისკოპოსობა მიიღო თეოფილემ. მის შემდეგ მომდევნო წელს არიანული სარწმუნოების წინამდგომელმა დემოფილემ დაასრულა ცხოვრება. არიანელებმა თავიანთი მწვალებლობის ეპისკოპოსი ვინმე მარინოსი გადმოიყვანეს თრაკიიდან და მას ჩააბარეს ეპისკოპოსობა. მაგრამ მარინოსი დიდი ხანი არ დარჩენილა იქ, რადგან გაიყო არიანული სარწმუნოება, როგორც ამას მოგვიანებით ვიტყვი. მყისვე დეროთე გადმოიყვანეს სირიის ანტიოქიიდან და მისი მმართველობის ქვეშ განეწესნენ[276].იმპერატორი ჩაება მაქსიმეს წინააღმდეგ ომში და დატოვა კონსტანტინოპოლი ისე, რომ მისი ვაჟიშვილი გაამეფა. როდესაც იგი ჩავიდა თესალონიკეში ვალენტინიანეს მომხრეები დიდ სასოწარკვეთაში ნახა, რადგან იძულებული გახდნენ, ტირანი იმპერატორად მიეღოთ[277]. თეოდოსიმ ღიად არაფერი მოიმოქმედა, რადგან მაქსიმეს ელჩებს არც უარი უთხრა, არც მიიღო, მაგრამ მან ვერ აიტანა, რომ უგულებელყოფილიყო რომის იმპერია და ტირანულად ხელში ჩაეგდო მას, ვინც იმპერატორს უწოდებდა თავის თავს. მან წაიყოლა ჯარის ლეგიონები და გაემართა მედიოლანისკენ. რადგან მაქსიმე უკვე იქ იმყოფებოდა[278].

XIII თავი
არიანელთა მიერ კონსტანტინოპოლში აღძრული შფოთის შესახებ

იმხანად, როდესაც იმპერატორი ომით იყო დაკავებული, კონსტანტინოპოლში მცხოვრებმა არიანელებმა შფოთი აღძრეს შემდეგი განზრახვით. ადამიანებს უყვართ ამბების შეთხზვა მათ შესახებ, რომლებსაც არ იცნობენ; ხოლო საბაბი თუ მიეცემათ, უფრო დიდად გააზვიდებენ ხმებს იმათზე, რომლებზეც სურთ ამის გაკეთება; მუდამ ახალი ამბები სწადიათ. მაშინაც ეს მოხდა ქალაქში. რადგან ყველა სხვადასხვა ამბებს თხზავდა ამ დიდი ომის შესახებ, მუდამ უარესის მოლოდინში იყვნენ. იმას, რაც საერთოდ არ მომხდარა ომში, ისინი თითქოს თვითმხილველები, ისე ჰყვებოდნენ, რაც არ იცოდნენ, რომ ტირანი იმპერატორის ჯარზე უფრო ძლიერი იყო, და რომ ესოდენი ადამიანი დაეცა ბრძოლაში და იმპერატორიც ძლივს გადარჩა ტირანის ხელში ჩავარდნას. მაშინ არიანელებიც ვნებით აღძრულნი (რადგან ძლიერ უკმაყოფილო იყვნენ, რომ [ქალაქის] შიგნით ეკლესიები ეკავათ, ამათ, რომლებსაც წინათ დევნიდნენ ისინი) სხვადასხვა ხმებს ავრცელებდნენ. შემდეგ ზოგი რამ მათ მიერ ნათქვამი თვით მისი შემთხზველები დააჯერა, რომ ის შეთხზული კი არა სინამდვილეში მოხდა, რადგან მათ, ვინც გადმოცემით მიიღო ამბავი, უმტკიცებდნენ მათ, ვისგანაც ეს მოისმინეს, რომ სხვებისგანაც ჰქონდათ იგივე მოსმენილი. მაშინ გათამამდნენ არიანელები და აღძრეს შლეგური ამბოხი და ეპისკოპოს ნექტარიოსის სახლი დაწვეს.

ასეთი ამბები დატრიალდა თეოდოსის მეორეგზის და კვინეგიოსის იმავე კონსულობის პერიოდში[279].

XIV თავი
ტირან მაქსიმეს დამხობა და დაღუპვა

როდესაც იმპერატორი დაედევნა ტირანს, მაქსიმეს დაქვემდებარებულებმა შეიტყვეს მისი ჯარის ძლიერება, ვერ გაუძლეს ამ ახალი ამბის შემოტევას, არამედ ბორკილდადებული მიჰგვარეს იგი იმპერატორს, რომელმაც ის მოკლა იმავე კონსულობის დროს აგვისტოს თვის ოცდაშვიდ რიცხვში[280]. იმპერატორ გრაციანეს მკვლელმა ანდრაგათიოსმა კი, როდესაც შეიტყო მარცხი, იქვე მდინარეში გადაეშვა და თავი დაიხრჩო[281].

მაშინ გამარჯვებული იმპერატორები გაემართნენ რომისკენ. მათ ასევე თან ახლდა თეოდოსის ძე ჰონორიუსი, რომელიც სრულიად ყმაწვილი იყო. რადგან იგი მამამისმა წამოიყვანა კონსტანტინოპოლიდან მაქსიმეზე გამარჯვების შემდეგ. მათ რომში გამართეს გამარჯვების აღსანიშნავი ზეიმები[282], რომლის დროსაც იმპერატორმა თეოდოსიმ თავისი სიკეთე გამოიჩინა ერთ-ერთი კონსულის სიმახიოსის მიმართ. ეს სიმახიოსი იყო რომის პირველი სენატორი. იგი საოცარი პიროვნება იყო მისი განათლებით ლათინურ მწერლობაში და ასევე იმითაც, რომ მან მრავალი ლათინენოვანი თხზულება დატოვა. ამრიგად, მან სამეფო სიტყვა დაწერა მაქსიმეს მიმართ, რომელიც დღემდეა შემორჩენილი და მისდამი მიძღვნის გამო ბრალდების ქვეშ აღმოჩნდა[283]. ამის გამო სიკვდილის შიშით გაიქცა ეკლესიაში[284]. იმპერატორი ესოდენ ეკრძალვოდა ქრისტიანობას, რომ არათუ ოდენ მისი მრწამსის მქონე მღვდლებს მიაგებდა ზეაღმატებულ პატივს, არამედ ნოვაციანელებსაც, რომლებსაც მისი რწმენის მსგავსი შეხედულებები ჰქონდათ, ხალისით იწყნარებდა[285]. როდესაც მასთან უშუამდგომლა რომში ნოვაციანელთა ეპისკოპოსმა ლეონტიმ, მას პატივი სცა და სიმახოსი გაათავისუფლა ბრალდებისაგან. შენდობის ღირსი გახდა რა სიმახიოსი, თავის მართლების სიტყვა დაწერა იმპერატორის მიმართ[286].

ასე, ომი, თავიდან უდიდესი მუქარის შემცველი, ბოლოს სწრაფად დასრულდა.

XV თავი
ანტიოქიის ეპისკოპოს ფლაბიანეს შესახებ

დაახლოებით ამავე დროს სირიის ანტიოქიაში მოხდა შემდეგი ამბავი. როდესაც აღესრულა პავლინე, მისი მმართველობის ქვეშ მყოფი განუდგა ფლაბიანეს და ამის გამო ხელდასხმისათვის მოამზადეს მათი დაჯგუფების წევრი ევაგრი. მაგრამ მას დიდი ხანი არ უცოცხლია[287] და მის ადგილას ჯერ კიდევ არ იყო სხვა დადგენილი, როცა ფლაბიანემ ეს მოაწყო. ვინც ფლაბიანეს განუდგა მის მიერ ფიცის დარღვევის გამო, ცალკე შეკრებებს მართავდნენ. ფლაბიანემ, რომ იტყვიან, „ყველა ქვა ამოატრიალა“ და ისინიც თავის მმართველობას დაუქვემდებარა, რაც ცოტა ხნის შემდეგ შეძლო განეხორციელებინა, როდესაც დააცხრო ალექსანდრიის ეპისკოპოს თეოფილეს რისხვა[288] და მისი მეშვეობით შეურიგდა რომის ეპისკოპოს დამასს. ორივე მათგანი განრისხებული იყვნენ ფლაბიანეზე არა მხოლოდ იმიტომ, რომ მან ფიცი გატეხა, არამედ იმიტომაც, რომ განხეთქილების საბაბი მისცა ერთმორწმუნეთ. როდესაც დაცხრა თეოფილეს რისხვა, მან გაგზავნა ხუცესი ისიდორე დამასთან მისი მწუხარების განსაქარვებლად, რომელმაც მას უთხრა, რომ ხალხის ერთსულოვნების გამო ყურადღება არ მიექცია ფლაბიანეს დანაშაულისთვის. ასე შევიდა ხალხი ფლაბიანესთან თანაზიარებაში და მალე დაისადგურა ერთსულოვნებამ. ასე დასრულდა ანტიოქიის ამბები[289]. ეკლესიებიდან გამოძევებული არიანელები ქალაქის წინ მართავდნენ საღვთისმსახურო შეკრებებს. ამავე დროს აღესრულა იერუსალიმის ეპისკოპოსი კირილე და ის შეცვალა იოანემ[290].

XVI თავი
თუ როგორ დაანგრიეს წარმართული ტაძრები ალექსანდრიაში, რამაც გამოიწვია შეტაკება წარმართებსა და ქრისტიანებს შორის

იმავე დროს ალექსანდრიაში ასეთი უბედურება დატრიალდა. ეპისკოპოს თეოფილეს მოწადინებით იმპერატორმა ბრძანება გამოსცა, რომ ალექსანდრიაში დაენგრიათ წარმართული ტაძრები; ეს მოხდა თეოფილეს ზრუნვით. როდესაც ასეთი ძალაუფლება მიიღო თეოფილემ, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ შეურაცხყოფა მიეყენებინა წარმართული საიდუმლოებებისთვის. მან გაწმინდა მითრეუმი[291] და დაანგრია სერაპიუმი. მან მითრეუმის სისხლიანი მისტერიები სააშკარაოზე გამოიტანა და აჩვენა, რომ სერაპიუმი და სხვა ტაძრები სასაცილო საქმეებით იყო აღსავსე, ბრძანა აგორაზე გამოეტანათ ფალოსები. როდესაც ეს დაინახეს ალექსანდრიელმა წარმართებმა, განსაკუთრებით მათ, ვინც აცხადებდა, რომ ფილოსოფოსები იყვნენ[292], ვერ აიტანეს განაწყენება და ადრინდელ ამბოხს გადააჭარბეს. შეთანხმებულად ერთი რამ აღძვრით დაიძრნენ ქრისტიანების წინააღმდეგ და ყველას ხოცავდნენ. ქრისტიანებიც თავს იცავდნენ და ბოროტებას ბოროტება მოჰყვა. ბრძოლა იქამდე გაგრძელდა, სანამ მკვლელობებით მოყირჭებულები არ დაცხრნენ. შეტაკებაში ცოტა წარმართი დაიღუპა, ქრისტიანები კი – ბევრი, დაჭრილები კი ორივე მხრიდან ურიცხვი იყო. მომხდარი ამბის გამო წარმართები იმპერატორის რისხვის შიშმა მოიცვა. ქმნეს რა, რაც ეწადათ და ხოცვა-ულეტით გულისწყრომა დაიოკეს, სხვადასხვა ადგილებში დაიმალნენ, მრავალი მათგანი გაიქცა ალექსანდრიიდან და სხვა ქალაქებში გაიფანტა. მათ შორის იყო ორი გრამატიკოსი[293], ჰელადიოსი და ამონიოსი, მათთან მე თვითონ ვსწავლობდი ყმაწვილკაცობისას კონსტანტინოპოლში. ელადიოსი ამბობდა, რომ იყო ზევსის ტაძრის ქურუმი, ამონიოსი კი – მაიმუნის[294].

როდესაც ეს უბედურებები დაცხრა, ალექსანდრიის პრეფექტი და ჯარების მეთაური თეოფილეს დაეხმარა ტაძრების დანგრევაში[295]. ასე რომ, საკურთხევლები დაამხეს, ღმერთების ქანდაკებები გადაადნეს ბრძმედში ალექსანდრიელთა ეკლესიის სხვა საჭიროებისათვის, რადგან იმპერატორმა ღმერთები გადასცა უპოვართა შემწეობისათვის. თეოფილემ ყველა ღმერთი დაამსხვრია, ბრძანა ერთი ქანდაკება არ გადაედნოთ და საჯაროდ დაედგათ, რათა, როგორც ამბობდა, „დროის გავლის შემდეგ წარმართებმა არ უარყონ, რომ ასეთ ღმერთებს სცემდნენ თაყვანს“. ამის გამო ძლიერ დამწუხრებული ამონიოს გრამატიკოსი, ვიცი, ამბობდა, რომ საშინლად ევნო წარმართთა სარწმუნოებას, როდესაც ერთი ქანდაკება მართალია არ გადაადნო, მაგრამ წარმართთა სარწმუნოების დასაცინად შემოინახა. ჰელადიოსი კი იკვეხნიდა, რომ ცხრა კაცი ჰყავდა მოკლული ამ შეტაკებისას[296].

XVII თავი
სერაპისის ტაძარში ნაპოვნი ჰიეროგლიფის შესახებ

იმ დროს ეს ამბები ხდებოდა ალექსანდრიაში. როდესაც დაანგრიეს და გააშიშვლეს სერაპისის ტაძარი, აღმოაჩინეს ქვებზე ამოტვიფრული ეგრეთ წოდებული იეროგლიფური წარწერები. ასო-ნიშნები იყო ჯვრის სახის. ეს რომ დაინახეს ქრისტიანებმა და წარმართებმა, თითოეულმა მათგანმა ეს თავის სარწმუნოებას მიაკუთვნა. ქრისტიანები ამბობდნენ, რომ ჯვარი იყო ქრისტეს მაცხოვნებელი ვნებების ნიშანი და ფიქრობდნენ, რომ ეს იყო მათი გამოსახულება. მაგრამ წარმართები ამბობდნენ: „რა საერთო აქვს სერაპისს ქრისტესთან, თუ ჯვრისსახოვანი ნიშანი სხვა რამის სიმბოლოა ქრისტიანებისთვის და სხვა

რამის – წარმართებისთვის?“ როდესაც ასეთი გაუგებრობა იყო, ზოგიერთმა წარმართობიდან ქრისტიანობაზე გადასულმა, რომელმაც იცოდა ჰიეროგლიფური დამწერლობა, ჯვრისსახოვანი გამოსახულებები განმარტეს და თქვეს, რომ ისინი მომავალ ცხოვრებას აღნიშნავდა. ეს ქრისტიანებმა მათი სარწმუნოებისათვის მიიტაცეს და უფრო მეტად იქადოდნენ. მაგრამ, როდესაც ჰიეროგლიფის სხვა ასო-ნიშნებმა გააცხადა, რომ „სერაპისის ტაძარი დასრულდებოდა, როდესაც ჯვრისსახოვანი გამოსახულება გამოჩნდებოდა, – ეს იყო „მომავალი ცხოვრება“, – უფრო მეტი შეუერთდა ქრისტიანობას, აღიარა ცოდვები და მოინათლა[297].

ამრიგად, ეს მსმენია ჯვრისსახოვან გამოსახულებასთან დაკავშირებულ ამბებზე[298]. მე არ ვამბობ,რომ ეგვიპტელმა ქურუმებმა წინასწარ იცოდნენ ქრისტეს შესახებ და ამიტომ გამოსახეს ჯვრისსახოვანი წარწერები. რამეთუ თუკი ქვეყნიერებაში ჩამოსვლის შესახებ „საუკუნეთაგან და თაობებისგან დაფარული საიდუმლო იყო[299]“, როგორც ამბობს მოციქული, და დაეფარა უკეთურობის მთავარს, ეშმაკს[300], უფრო მეტად გამოეპარებოდათ ეს მის მსახურ ეგვიპტელ ქურუმებს[301]. მაგრამ წინაგანგებამ შეამზადა, რომ ეს მომხდარიყო წარწერის კვლევა-ძიებისას, რაც წინათ წარმოჩენილი იქნა მოციქულ პავლეს მიერ. რამეთუ მანაც, საღვთო სულით განბრძნობილმა, მსგავს მეთოდს მიმართა და მრავალი მიიყვანა რწმენამდე, როდესაც ბომონზე გაკეთებული წარწერა საკუთარ სიტყვას შეუსაბამა[302]. ვინმე ალბათ იტყვის,რომ ღვთის სიტყვამ იმოქმედა ეგვიპტელ ქურუმებში, როგორც ბალაამისა[303] და კაიაფას[304] შემთხვევაში, რადგან მათაც უნებურად იწინასწარმეტყველეს კეთილ საქმეთა შესახებ.

XVIII თავი
პრივილეგიების ბოროტად გამოყენების გაუქმება თეოდოსის მიერ რომში

ეს ითქვა ამ მოვლენების შესახებ. იმპერატორი თეოდოსი მცირე ხნით დარჩა რომში და უდიდესი სარგებელი მოუტანა რომს: ზოგი რამ მიანიჭა, ზოგი რამ განაშორა. მან მრავალი თავისუფლება მისცა ქალაქს, მაგრამ მოაშორა ორი სირცხვილი მას, ერთი იყო შემდეგი რამ. რადგან უძველესი დროიდან უდიდეს რომში იყო უზარმაზარი შენობები, რომლებშიც ინახებოდა ქალაქისთვის გამოყოფილი პური; მათი განმგებლები, რომლებსაც ლათინურ ენაზე „მანციპე“[305] ეწოდებათ, დროთა განმავლობაში ძარცვავდნენ ამ სახლებს. როდესაც ამ წისქვილის სახლებს აღარ იყენებდნენ, ყოველ შენობას გვერდით მიადგეს დუქნები და მასში გარყვნილებას განაგებდნენ, მათი მეშვეობით მრავალი მოინადირეს, ზოგი სასადილოდ შედიოდა, ზოგი აღვირახსნილი სამარცხვინო სიამოვნებისათვის. რაღაც ხრიკებით ისინი დუქნიდან წისქვილში შეიჭრნენ. ეს განსაკუთრებით ავნებდათ რომში მცხოვრებ უცხოელებს. რადგან მათ იჭერდნენ და აიძულებდნენ, ემუშავათ ამ წისქვილებში, მრავალი მათგანი დაბერდა იქ ისე, რომ ნებას არ რთავდნენ დაეტოვებინათ, მათ შინაურებს ეგონათ, რომ დაღუპული იყვნენ. ამ საფარში მოხვდა იმპერატორ თეოდოსის ერთ-ერთი ჯარისკაცი. როდესაც ჯარისკაცი ჩაკეტეს წისქვილში და გარეთ არ უშვებდნენ, მან იშიშვლა მახვილი და მიეჭრა მათ, ვინც გასასვლელს უღობავდა. მათ შეშინებულებმა გაუშვეს ჯარისკაცი. როდესაც ეს შეიტყო იმპერატორმა, „მანციპები“ დასაჯა, ხოლო ავაზაკთა სასტუმრო სახლები, ბრძანა, დაენგრიათ[306].

ერთი ეს სირცხვილი მოაშორა იმპერატორმა სამეფო ქალაქს, მეორე კი ეს იყო. ერთი ქალი შეიპყრეს მრუშობაზე, ის დასაჯეს არათუ ცოდვის გამოსასწორებლად, არამედ მასზე კიდევ მეტის

დასამატებლად. რადგან ჩაამწყვდიეს ვიწრო საროსკიპოში და უშიშრად რყვნიდნენ მას, ზანზალაკს არეკინებდნენ, როდესაც ამ უწმინდურ საქმეს სჩადიოდნენ, რათა არ დაფარულიყო, რაც იქ ხდებოდა, არამედ ზანზალაკების ჟღარუნის ხმას ყველასთვის ეცნობებინა ეს შეურაცხმყოფელი სასჯელი. როდესაც იმპერატორმა შეიტყო ეს ურცხვი ჩვეულება, მან ეს ვერ აიტანა, არამედ გააუქმა „სეისტრები“ (ასე ეწოდებოდა ამ საროსკიპოებს) და ბრძანა, რომ მრუშობაზე წასწრებული სხვა კანონებით დასჯილიყო[307].

ამრიგად, იმპერატორმა თეოდოსიმ ამ ორი უკეთური და სამარცხვინო საქმისგან გაათავისუფლა ქალაქი რომი. როდესაც სხვა საქმეებიც მშვენივრად მოაწესრიგა, მან რომში იმპერატორად დატოვა ვალენტინიანე. თავად იგი მის ძესთან ჰონორიუსთან ერთად გაემგზავრა კონსტანტინოპოლში და იქ შევიდა ტატიანეს და სვიმახოსის კონსულობის დროს ნოემბრის თვის ათ რიცხვს[308].

XIX თავი
თუ როგორ იყო დაწესებული სინანულის აღსრულებისთვის ხუცესთა თანამდებობა და როგორ გაუქმდა ის[309]

იმავე დროს ასევე გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ გაუქმებულიყო ეკლესიაში სინანულის ხუცესთა [თანამდებობა] შემდეგი მიზეზით. იმ დროიდან მოყოლებული, რაც ნოვაციანელები გამოეყვნენ ეკლესიას, რომლებსაც არ სურდათ დეკიუსის დევნულებისას დაცემულთა თანაზიარებაში მიღება, ეპისკოპოსებმა საეკლესიო კანონით სინანულისთვის განაწესეს ხუცესი, რათა ნათლისღების შემდეგ დაცემულებს ამისთვის დადგინებული ხუცესის წინაშე ეღიარებინათ ცოდვები. ეს კანონი დღემდე მოქმედებს სხვა მწვალებლობებში, მაგრამ მხოლოდ „თანაარსის“ მიმდევრები და მრწამსის მიხედვით მათი თანამო-

აზრე ნოვაციანელები უარყოფენ სინანულის ხუცესს. ნოვაციანელები იმიტომ, რომ მათ თავიდანვე არ მიიღეს ეს, მაგრამ ეკლესიათა ის მმართველებიც[310], რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში იცავდნენ [ამ კანონს], ეპისკოპოს ნექტარიოსის დროს ის შეცვალეს, როდესაც ეკლესიაში მოხდა შემდეგი ამბავი.

ერთ-ერთი წარჩინებული გვარის ქალი სინანულისთვის მივიდა ხუცესთან და ნაწილობრივ აღიარა ცოდვები, რაც მას ჩადენილი ჰქონდა ნათლობის შემდეგ. ხუცესმა მას განუწესა მარხვა და მუდმივი ლოცვა,რათა აღსარებასთან ერთად სინანულის ღირის რაიმე საქმეც ეჩვენებინა. ქალმა მოგვიანებით თავისი თავი სხვა დაცემაშიც დაადანაშაულა: თქვა, რომ მასთან იწვა ეკლესიის დიაკონი. როდესაც ეს გამჟღავნდა, დიაკონი დიაკვნობისგან განყენებულ იქნა, მაგრამ ამან ხალხში ხმაური გამოიწვია. რადგან აღშფოთდნენ არა მხოლოდ მომხდარის გამო, არამედ იმაზეც, რომ ამ საქმემ ეკლესიას მკრეხელობა და შეურაცხყოფა მიაყენა[311]. როდესაც ამის გამო მღვდლების დაცინვა დაიწყეს, ეკლესიის ერთ-ერთმა ხუცესმა ევდემონმა, წარმოშობით ალექსანდრიელმა, ეპისკოპოს ნექტარიოსს აზრი მიაწოდა, რომ გაეუქმებინა სინანულის ხუცესის თანამდებობა და ნება დაერთო თითოეულისთვის საკუთარი სინდისით ზიარებოდა საიდუმლოს, რადგან მხოლოდ ასე შეიძლებოდა ეკლესია დაცულიყო შეურაცხყოფისაგან.

ეს მე მოვისმინე ევდემონისგან და გავბედე მისი ამ ნაწერში გადმოცემა. რამეთუ როგორც ბევრჯერ მითქვამს[312], მთელი გულმოდგინებით ვსწავლობდი და ზედმიწევნით გამოვიკითხავდი ამ ამბებს ყველასგან, ვინც ეს იცოდა, რათა ჭეშმარიტების გარეშე არ დამეწერა რაიმე. მე ვუთხარი ევდემონს: „ხუცესო, ღმერთმა უწყის, შენი რჩევა გამოიყენეს თუ არა ეკლესიაში. მაგრამ ვხედავ, რომ მიზეზი მიეცი არ გამხელილიყო ერთმანეთის ცოდვები და არც დაცულიყო მოციქულის მცნება: „ნუ თანაეზიარებით წყვდიადის უწმინდურ ცოდვებს, არამედ უფრო ამხილეთ[313]“.

XX თავი
არიანელთა და სხვა მწვალებელთა დაჯგუფებების შესახებ

საკმარისად ითქვა ამ ამბების შესახებ. მაგრამ ვფიქრობ, მოხსენიების გარეშე არ გვმართებს დავტოვოთ სხვაგან მომხდარი ამბებიც, ვგულისხმობ არიანელებთან, ნოვაციანელებთან, მათთან, რომლებიც ატარებენ მაკედონიოსის და ევნომიოსის სახელებს. რადგან გაყოფილი ეკლესია, არ დარჩენილა ისე, როგორც ის პირველად გაიყო, არამედ ეს გაყოფილი დაჯგუფებები კიდევ გაიყვნენ თავის თავში და მცირედი და უმნიშვნელო რამ საბაბით გამოეყვნენ ერთმანეთს. თუ როგორ, როდის და რა მიზეზით გამოეყო თითოეული მათგანი, ამას თხრობის განმავლობაში წარმოვაჩენთ. ეს უნდა ვიცოდეთ, რომ იმპერატორი თეოდოსი არ დევნიდა არც ერთ მათგანს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ევნომიოსი კონსტანტინოპოლში სახლში მართავდა შეკრებებს და მის მიერ დაწერილ თხზულებებს ქადაგებდა, რითაც მისი სწავლებებით მრავალი დაღუპა, და ამიტომ მან ბრძანა მისი გადასახლებაში გაშვება[314]. თუმცა, სხვებს არ ავიწროვებდა, არც [მის სარწმუნოებასთან] ზიარებას აიძულებდა, არამედ თითოეულს ნებას რთავდა საკუთარ ადგილას გაემართა შეკრება და ქრისტიანობის შესახებ ის შეხედულება ჰქონოდა, რისი მიღებაც შეეძლო თითოეულ მათგანს[315]. იგი ნებას იძლეოდა, რომ სხვა ქალაქების გარეთ აეგოთ სამლოცველო სახლები, მაგრამ ნოვაციანელებს, როგორც მისი მრწამსის თანამოაზრეთ, უბრძანებდა უშიშრად ჰქონოდათ ეკლესიები ქალაქის შიგნით, როგორც ეს ზემოთაც ვთქვი. ვფიქრობ, მათ შესახებ დროა ვახსენოთ ცოტა რამ, ამიტომ მცირედს ხელახლა გავიმეორებ.

XXI თავი
ნოვაციანელი ეპისკოპოსებისა და ნოვაციანელთა განხეთქილების შესახებ[316]

კონსტანტინოპოლში ნოვაციანელების ეკლესიას ორმოცი წელი წინამდგომლობდა აგელიოსი, კონსტანტინეს დროიდან მოყოლებული თეოდოსის ზეობის მეექვსე წლამდე, როგორც ეს ერთგან ადრეც ვახსენეთ[317]. მან სიკვდილის წინ ხელი დაასხა ეპისკოპოსად მის ადგილზე სისინიოსს[318], რომელიც იყო მის დაქვემდებარებაში მყოფი ხუცესი; იგი განათლებული კაცი იყო, ფილოსოფოს მაქსიმესთან სწავლობდა ფილოსოფიას იმპერატორ იულიანესთან ერთად[319]. მაგრამ ნოვაციანელმა ერმა არ მოიწონა ეს ხელდასხმა, რადგან მან ხელნი არ დაასხა მარკიანოსს, რომელიც უფრო მეტად კეთილკრალული იყო და ვის გამოც ვალენტის დროს ნოვაციანელები უშფოთველად ცხოვრობდნენ[320]. აგელიოსს სურდა ხალხის დამშვიდება და ხელნი დაასხა მარკიანოსს. როდესაც მისი სნეულება ცოტათი დაცხრა, იგი მოვიდა ეკლესიაში და თავისი პირით გამოაცხადა: „ჩემ შემდეგ გყავდეთ მარკიანოსი, მარკიანოსის შემდეგ კი – სისინიოსი“. ამის გამოცხადების შემდეგ კიდევ ცოტა ხანი იცოცხლა და აღესრულა.

როდესაც მარკიანოსი ასე იქნა ნოვაციანელთა ეპისკოპოსად დადგინებული, იგივე ეკლესია გაიყო შემდეგი მიზეზით. ვინმე საბატიოსს, იუდეველობიდან ქრისტიანობაზე მოქცეულს, მარკიანოსმა ხუცესის ღირსებაზე დაადგინა. მაგრამ იგი არანაკლებ მოშურნედ აგრძელებდა იუდაური შეხედულებების მსახურებას, ამასთან ერთად ეპისკოპოსად დადგინებასაც ესწრაფოდა. მან აიყვანა მისი გულის წადილის მესაიდუმლე ორი ხუცესი, თეოკტისტე და მაკარი, და ვალენტის ზეობისას პასექის დღესასწაულთან დაკავშირებით განიზრახა დაეცვა სიახლის შემოტანა ფრიგიის

დაბა პაძოში, როგორც ეს წინათაც ვთქვი[321]. პირველად მან ასკეტური ღვაწლის საფარველით ნელ-ნელა ჩამოაშორა ეკლესიას ზოგიერთები, ამბობდა, რომ მათ ის დაამწუხრეს, რადგან ეჭვი ჰქონდა, რომ ისინი არ იყვნენ საიდუმლოებებში ზიარების ღირსი. მაგრამ დროთა განმავლობაში [მისი სწრაფვა] გამოაშკარავდა და მოისურვა ცალკე შეკრებების გამართვა. როდესაც ეს შეიტყო მარკიანემ, მან დაგმო მისი ხელდასხმის შეცდომა, რადგან ასე ფუჭ დიდებას მიდევნებული[322] ადამიანები დაადგინა ხუცესებად. იგი დამწუხრებული ამბობდა: „უმჯობესი იყო ეკლესიისთვის დამესხა ჩემი ხელები, ვიდრე საბატიოსი დამედგინა ხუცესად“. მან გამართა ნოვაციანელ ეპისკოპოსთა კრება სანგაროსში, რომელიც მდებარეობდა ზღვის პირას (ეს არის საზღვაო პორტი ბითვინიაში ჰელესპონტის მახლობლად[323]). აქ შეკრებილებმა მოიხმეს საბატიოსი და უბრძანეს, მათთვის მოეხსენებინა ამ სამწუხარო ამბის მიზეზი. როდესაც მან თქვა, რომ წყენის მიზეზი იყო დღესასწაულთან დაკავშირებული უთანხმოება (რადგან ის უნდა აღსრულებულიყო ისე, როგორც მას იცავდნენ იუდეველები და როგორც პაძოში შეკრებილებმა განაჩინეს), კრების წევრებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ საეპისკოპოსო საყდრის სიყვარულის[324] გამო იმიზეზებდა ამას საბატიოსი და ფიცი დაადებინეს, რომ არასოდეს მიიღებდა ეპისკოპოსობას. მას შემდეგ, რაც მან ფიცი დადო, მათ მიიღეს კანონი პასექის დღესასწაულის შესახებ, რომელსაც უწოდეს „განურჩეველი“: ამბობდნენ, რომ ეკლესიის უთანხმოება დღესასწაულის გამო არ იყო საპატიო მიზეზი იმისათვის, რომ მომხდარიყო განხეთქილება, არც პაძოში შეკრებილებს ჰქონიათ განზრახვა, საყოველთაო კანონად[325] ექციათ მათი გადაწყვეტილება; რამეთუ ძველი მამები და მოციქულთა მახლობლად მყოფნი, რომლებიც ერთმანეთთან ვერ თანხმდებოდნენ ამ დღესასწაულის გამო, თანაზიარებაში იყვნენ და არ გამოეყოფოდნენ ერთმანეთს[326]. მეორე მხრივ, სამეუფო ქალაქ რომში მცხოვრები ნოვაციანელე-

ბი არასოდეს არ მისდევდნენ იუდეველებს, არამედ პასექს მუდამ აღნიშნავდნენ დღე-ღამსწორობის შემდეგ და არ გამოეყოფოდნენ მათი მრწამსის მქონეთ, რომლებიც ამ გზით არ აღასრულებდნენ დღესასწაულს. ეს და მრავალი ასეთი მოსაზრება მიიღეს მხედველობაში და განაჩინეს, როგორც ვთქვი, განურჩეველი კანონი პასექის შესახებ, რომლის მიხედვით თითოეულს, თუ სურვილი ჰქონდა, შეეძლო პასექის აღსრულება იმ ჩვეულების მიხედვით, რომელიც ჰქონდა მას შეთვისებული, და არ გამოყოფოდა თანაზიარებას, არამედ განურჩევლად ეზეიმათ და კვლავ დარჩენილიყო ეკლესიის ერთსულოვნება. როდესაც ეს განჩინება დამტკიცებულ იქნა მათ მიერ პასექის დღესასწაულის შესახებ, საბატიოსმა ფიცი დადო, რომ არასოდეს გახდებოდა უთანხმოების საგანი პასექის დღესასწაული. იგი ცალკე თავისთვის იცავდა მარხვას და აღასრულებდა პასექის დღესასწაულს, ღამეს ათევდა რჯულით დაწესებულ შაბათ დღეს და მომდევნო დღეს ყველასთან ერთად უერთდებოდა შეკრებას და ეზიარებოდა საიდუმლოებებს. იგი ამას იქმოდა მრავალი წლის განმავლობაში და ეს შეუძლებელია, რომ ბევრისთვის უცნობი დარჩენილიყო. ამიტომ, ზოგიერთმა გაუნათლებელმა ადამიანმა, განსაკუთრებით ფრიგიული და გალატიური წარმომავლობის პირებმა, იფიქრეს, რომ ასე გამართლდებოდნენ ისინი და მოინდომეს მალულად მის მსგავსად აღესრულებინათ პასექი. მაგრამ საბატიოსმა მოგვიანებით თავისთვის ცალკე შეკრებები გამართა[327] და არად ჩააგდო მის მიერ დადებული ფიცი, და მის მიმდევართა ეპისკოპოსად იქნა დადგინებული, როგორც შემდგომში ვიტყვით ამას[328].

XXII თავი
პასექის აღნიშვნის, ნათლისღების, მარხვის, ქორწინების, ევქარისტიისა და სხვა საეკლესიო წესების აღსრულების შესახებ

ვფიქრობ, უჯერო არ არის მოკლედ ვთქვა ის, რაც აზრად მომივიდა პასექის შესახებ. ვგონებ, არც ძველი მამები და არც თანამედროვენი, რომლებიც მისდევდნენ იუდეველებს, არ დაობდნენ ამ დღესასწაულის შესახებ გონებაზე დაყრდნობით. რადგან არავის მოსვლია აზრად, რომ მას შემდეგ, რაც იუდეველობა შეცვალა ქრისტიანობამ, მოსეს რჯულის ზედმიწევნითი დაცვა და წესები შეწყდა. ეს წარმოჩნდება აქედან. რადგან ქრისტეს არც ერთი კანონი მიუთითებს ქრისტიანებს, რომ იცავდნენ იუდეველობას, პირიქით, მოციქული კიდევაც კრძალავს: იგი არა მხოლოდ წინადაცვეთას უარყოფს, არამედ შეაგონებს არ განიყვნენ დღესასწაულების გამო, რომელთა შესახებაც გალატელებს წერს შემდეგს: „მითხარით, ვისაც გწადიათ რჯულის ქვეშ ყოფნა, არ უსმენთ რჯულს[329]?“ ცოტა ქვემოთ ამის შესახებ საუბრობს და წარმოაჩენს, რომ იუდეველი ერი არის მონა, ხოლო თავისუფლებისკენ არიან წოდებული ქრისტეს მიმდევრები[330]; არიგებს, რომ არ დაიცვან დღეები, თვეები და წლები[331]. კოლასელების მიმართ [ეპისტოლეში] ხმამაღლა ამბობს, რომ ეს წესები არის აჩრდილი და ეუბნება მათ: „ნურც ერთი თქვენგანი ნუ განისჯება საკვების, ან სასმელის, ან დღესასწაულების, ახალმთვარეობის, შაბათის გამო, რაც არის მომავლის აჩრდილი[332]“. ებრაელების მიმართ იგი დაბეჯითებით ამბობს შემდეგს: „როცა იცვლება მღვდლობა, ასევე აუცილებელია შეიცვალოს რჯულიც[333]“. ასე რომ, არც მოციქული, არც სახარებები არ ადებს მონობის უღელს ქადაგების მიმდევრებს, არამედ პასექის და სხვა დღესასწაულებს უტოვებს კეთილისმყოფელთა კეთილგონიერებას. ვინაიდან ამ-

იტომ უყვართ ადამიანებს დღესასწაულები, რომ ამ დროს ისინი თავისუფლდებიან შრომისგან, ყველა თავის ადგილას, როგორც მას სურს, ისე აღასრულებს მხსნელი ვნებების ხსენებას ძველი დროიდან გადმოცემული ჩვეულების მიხედვით. რამეთუ ამ დღის დაცვას არც მაცხოვარი, არც მოციქულები გვიდებენ მცნებად, რომ ეს დღე დავიცვათ რჯულის მიხედვით, არც საბრალდებო განჩინებით, არც სასჯელით, არც წყევლით გვემუქრებიან სახარება და მოციქულები, როგორც ამას იქმს მოსეს რჯული იუდეველების მიმართ. მხოლოდ ისტორიული თხრობის სიზუსტის გამო იუდეველთა დასადანაშაულებლად, რომ მათ სისხლი დაღვარეს დღესასწაულზე, არის აღწერილი სახარებებში, რომ უფუართა დღესასწაულზე ევნო მაცხოვარი[334].

ამრიგად, მოციქულთა მიზანი იყო არათუ სადღესასწაულო დღეების შესახებ კანონის დადება, არამედ მართებული ცხოვრებისა და ღვთისმოსავობაში შეყვანა. მე ვფიქრობ, რადგან, როგორც სხვა მრავალი წესი ადგილობრივი ჩვეულების მიხედვით იყო მიღებული, ასევე პასექის დღესასწაულიც ყველგან საკუთარი წესის მიხედვით იყო დაცული, იმიტომ, რომ, როგორც ვთქვი, არც ერთ მოციქულს არაფერი არ დაუკანონებია ამის შესახებ.

იმას, რომ ეს უფრო ჩვეულებისგან, ვიდრე კანონისგან იყო დაცული ყველგან ძველი დროიდან, წარმოაჩენს შემდეგი. ბევრი მცირე აზიაში ძველი დროიდან მოყოლებული იცავდა „თოთხმეტდღიანს[335]“ და უგულებელყოფდნენ შაბათ დღეს. მაგრამ, როცა ამას იქმოდნენ, არასოდეს არ იყვნენ უთანხმოებაში მათთან, რომლებიც სხვაგვარად აღასრულებდნენ პასექის დღესასწაულს, სანამ რომის ეპისკოპოსმა ვიქტორმა უზომო მოშურნეობით არ მიწერა თანაზიარების გაწყვეტის შესახებ აზიაში „თოთხმეტდღიანის“ მიმდევრებს. როდესაც ეს მოხდა გალიაში ლუგდუნის ეპისკოპოსმა ირინეოსმა თამამად გაკიცხა ვიქტორის სიფიცხე ეპისტოლეს მეშვეობით და განსწავლა,

რომ ძველადაც სხვადასხვაგვარად აღასრულებდნენ პასექის დღესასწაულს, მაგრამ თანაზიარებას არ განეშორებოდნენ, და რომ სმირნის ეპისკოპოსი პოლიკარპე, რომელიც მოგვიანებით გორდიანეს დროს ეწამა[336], ეზიარებოდა რომის ეპისკოპოს ანიკეტოსთან და არა გამოეყოფოდა მას ამ დღესასწაულის გამო, თუმცა იგიც სმირნას ადგილობრივი ჩვეულებით პასექს აღასრულებდა მეთოთხმეტე დღეს, როგორც ამას ამბობს ევსები „საეკლესიო ისტორიის“ მეხუთე წიგნში[337]. ამგვარად, ზოგი, როგორც ვთქვი, მცირე აზიაში იცავდა „თოთხმეტდღიანს“, ხოლო ზოგი კი აღმოსავლეთ მხარეში დღესასწაულს აღნიშნავდა შაბათ დღეს, განსხვავდებოდნენ თვესთან დაკავშირებით. იუდეველებს ვინც მისდევდა, თუმც არ იცავდა [რჯულის] სიზუსტეს, ამბობდნენ, რომ უნდა მიდევნებოდნენ მათ დღესასწაულთან დაკავშირებით, სხვები კი ყოველთვის ბუნიობის შემდეგ ზეიმობდნენ და უარს აცხადებდნენ დღესასწაულის იუდეველებთან ერთად აღნიშვნაზე; ამბობდნენ, რომ, როდესაც მზე ვერძის ზოდიაქოში იმყოფებოდა, მაშინ უნდა აღესრულებინათ, ანტიოქიელთა მიხედვით ქსანთიკოსის თვეში, რომაელების მიხედვით კი აპრილში. ამას როცა იქმან, არათუ იუდეველებს ემორჩილებიან, რომლებიც ახლა ყველაფერში ცდებიან, არამედ ძველებს და იოსებს, როგორც იგი ამბობს „იუდაურ სიძველეთა“ მესამე წიგნში[338]. ისინი ამაში განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ყველა სხვას კი ნახავთ, რომ დასავლეთში და ოკეანემდე ძველი რამ გადმოცემის თანახმად ბუნიობის შემდეგ აღასრულებენ პასექს. ყველა ისინი ამგვარად იქცევიან და არასოდეს უპირისპირდებიან ერთმანეთს, და არც კონსტანტინეს დროს გამართულ კრებას შეუცვლია ეს დღესასწაული, როგორც ყბედობენ ზოგიერთები[339]. თავად კონსტანტინე წერდა ამ დღესასწაულის გამო ერთმანეთთან უთანხმოებაში მყოფთ და შეაგონებდა, რომ, ვინაიდან ისინი ცოტანი იყვნენ, მიებაძათ უმრავლესობისთვის. სრულად იმპერატორის ეს ეპისტოლე შეგიძლიათ ნახოთ ევსების „კონსტანტინეს ცხოვრების“

მესამე წიგნში, ხოლო მასში პასექის დღესასწაულის შესახებ ნაწილი არის შემდეგი სახით წარმოდგენილი:

„კეთილმშვენიერი წესი არის დაცული მსოფლიოს დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხარეების ეკლესიებისა და აღმოსავლეთის ადგილებიდან ზოგიერთების მიერ, რომელთა გამო დღემდე მისი კეთილად პყრობა ყველას ესათნოვა, და თავად მეც მხარი დავუჭირე, რომ თქვენი მახვილგონიერება მოიწონებდა; რადგან იმას, რასაც რომაელთა ქალაქი, იტალია და მთელი აფრიკა, ეგვიპტე, ესპანეთი, გალია, ბრიტანეთი, ლიბია, მთელი საბერძნეთი, ასიისა და პონტოს მოსახლეობა და კილიკია ერთმანეთთან თანხმობითა და ერთი ზრახვით იცავს, თქვენი შეგნებაც სიხარულით მიიღებს არა მხოლოდ ეკლესიათა ზემოთ ჩამოთვლილ ადგილთა სიმრავლეზე ფიქრით, არამედ იმაზეც, რომ ეს არის ყველას საერთო უწმინდესი ზრახვა, რასაც, ჩანს, მოითხოვს ზუსტი აზრი, და რასაც არავითარი ზიარება არ გააჩნია იუდეველთა ცრუ ფიცთან[340].“

ასეთი შინაარსის იყო იმპერატორის ეპისტოლე. „თოთხმეტიანები“ აცხადებენ, რომ იოანე მოციქულის მიერ იყო გადმოცემული მათთვის თოთხმეტი დღის დაცვა, რომის და დასავლეთის მხარის მაცხოვრებლები კი ამბობდნენ, რომ მოციქულებმა პეტრემ და პავლემ გადმოსცეს ეს ადგილობრივი ჩვეულება. მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეძლო მათ შესახებ წერილობითი ცნობის ჩვენება, რადგან, როგორც ვთქვი, უფრო ადგილობრივი რამ ჩვეულებით აღასრულებდნენ პასექის დღესასწაულს და ამას ამით ვამტკიცებ.

ეკლესიებში ჩვეულებათა მრავალფეროვნების შესახებ

არც ერთი სარწმუნოება არ იცავს ერთსა და იმავე ჩვეულებას და ერთსა და იმავე შეხედულებას ატარებს ღვთის შესახებ. რამეთუ ერთი და იმავე რწმენის მქონენიც კი განსხვავდებიან ჩვეულებით ერთმანეთისაგან. ამიტომ, უჯერო არ იქნება, რომ ცოტა რამ გიამბოთ ეკლესიებში ჩვეულებათა შესახებ.

უცბად აღმოაჩენ, რომ პასექის წინ მარხვის სხვადასხვა [ეკლესიებში] სხვადასხვაგვარად იცავენ. რომში პასექის წინ სამი შვიდეულის განმავლობაში მარხულობენ[341] შაბათის და კვირა დღის გამოკლებით[342]. ილირიკიაში, მთელ საბერძნეთში და ალექსანდრიაში პასექის წინ ექვსი კვირა მარხულობენ, რასაც ისინი „ორმოცეულს“ უწოდებენ[343]. მაგრამ სხვები, მათგან განსხვავებით, მარხვას იწყებენ დღესასწაულამდე შვიდი კვირით ადრე და მარხულობენ მხოლოდ სამი ხუთი დღის განმავლობაში და მათ შორის შუალედებში, მაგრამ ისინიც ამ პერიოდს „ორმოცეულს“ უწოდებენ. საკვირველია, თუ როგორ განსხვავდებიან დღეთა რაოდენობით და მაინც „ორმოცეულს“ უწოდებენ, და ამ სახელისთვის ერთი ერთ მიზეზს იგონებს, მეორე – სხვას. აღმოვაჩენთ, რომ არა მხოლოდ დღეთა რაოდენობასთან დაკავშირებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ საკვებისგან თავშეკავებას ერთნაირად არ იცავენ. რადგან ზოგიერთები ყველა სახის სულიერისგან იკავებენ თავს[344], მაგრამ ზოგი ცოცხალი არსებებიდან მხოლოდ თევზს იგემებენ[345], მაგრამ ზოგი თევზთან ერთად ფრინველსაც იხმევს, ამბობენ, რომ ისინიც მოსეს მიხედვით წყლიდან არიან შექმნილი. ზოგი თხილისგან და კვერცხისგანაც იკავებს თავს[346], მაგრამ ზოგი მხოლოდ ხმიადს იღებს, სხვები კი ამასაც არა[347]. სხვები მეცხრე ჟამამდე მარხულობენ[348] და განურჩევლად იღებენ საკვებს, სხვა ტომებშიც ათას განსხვავებულ ჩვეულებას შეხვდებით. ვინაი-

დან არავის შეეძლო ამის შესახებ წერილობითი ცნობის ჩვენება, ცხადია, მოციქულები ამ საკითხს თითოეული მათგანის შეხედულებას და არჩევანს მიანდობდნენ, რათა თითოეულ მათგანს არც შიშით და არც იძულებით არ აღესრულებინა სიკეთე.

მარხვების შესახებ ასეთი განსხვავებულობა სუფევს ეკლესიებში, საღვთისმსახურო შეკრებების შესახებ კი შემდეგი [მრავალფეროვნებაა]. როდესაც ყველგან მსოფლიო ეკლესიებში ყოველ კვირას შაბათ დღეს აღასრულებენ საიდუმლოებებს, ალექსანდრიაში და რომში ძველი რამ გადმოცემის თანახმად უარს აცხადებენ ამის შესრულებაზე. ალექსანდრიელთა მეზობელი ეგვიპტელები და თებაიდის მაცხოვრებლები შაბათ დღეს აღასრულებენ შეკრებებს, მაგრამ ისინი არ ეზიარებიან საიდუმლოებებს როგორც ეს არის ქრისტიანთა ჩვეულება. რამეთუ ნადიმობისა და ყველა სახის საკვებით დანაყრებულნი საღამოს წირავენ და ეზიარებიან საიდუმლოებებს. ასევე ალექსანდრიაში ოთხშაბათს და ეგრეთ წოდებულ პარასკევს კითხულობენ წმინდა წერილს და მოძღვრები განმარტავენ მას, ამ დროს ყველა ესწრება შეკრებას, თუმცა საიდუმლოთა აღსრულების გარეშე. ეს ჩვეულება ალექსანდრიაში არის უძველესი, რადგან ჩანს, რომ ორიგენე დიდწილად ამ დღეებში მოძღვრავდა ეკლესიებში. იგი იყო ბრძენი მოძღვარი და იცოდა, რომ შეუძლებელი იყო მოსეს დაძაბუნებული რჯულის[349] სიტყვასიტყვით განმარტება[350], პასექის შესახებ თხრობა ჭვრეტისკენ აჰყავდა, ამბობდა, რომ მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი პასექი იყო ის, რომელიც მაცხოვარმა აღასრულა, მოქმედებდა რა მის მოწინააღმდეგე ძალების წინააღმდეგ, ჯვარზე მიმსჭვალვის გზით, – ამ ჯილდოზე, რომელიც გამოიყენა ეშმაკის წინააღმდეგ[351]. იმავე ალექსანდრიაში წიგნისმკითხველები და მოკარნახენი[352] განურჩევლად გამოირჩეოდნენ კათაკმეველთაგან თუ მორწმუნეთაგან, მაშინ, როცა ყველგან მათ მორწმუნეთაგან ირჩევდნენ.

ვიცი სხვა ჩვეულებაც, რომელიც თესალიაში არის გავრცე-

ლებული. იქ კლიროსის წევრი განიკვეთება, თუ დაწვება საკუთარ მეუღლესთან, რომელთანაც კანონით არის დაქორწინებული მანამ, სანამ სასულიერო პირი გახდებოდა; მაშინ, როცა აღმოსავლეთში ყველა სასულიერო პირი ნებით იკავებს თავს და ასევე ეპისკოპოსებიც, თუ სურთ, მაგრამ არა იძულებით აკეთებენ ამას[353]. რადგან მრავალ მათგანს ეპისკოპოსობის დროსაც გაუჩენია ბავშვები მისი კანონიერი ცოლისგან. მაგრამ თესალიაში ამ ჩვეულების შემომღები იყო ჰელიოდორი[354], ტრიკეს ეპისკოპოსი, რომელზეც ამბობენ, რომ იყო სატრფიალო თხზულებების ავტორი, რომლებიც ყმაწვილკაცობისას შეადგინა და უწოდა „ეთიოპიკა“. ეს ჩვეულება დაცულია თესალონიკეში, თვით მაკედონიაშიც და საბერძნეთშიც. ვიცი, რომ თესალიაში არის სხვა ჩვეულებაც: მხოლოდ პასექის დღეს ნათლავენ, რის გამოც მცირედი გამონაკლისის გარდა ძალიან ბევრი მოუნათლავი გარდაიცვალა.

სირიის ანტიოქიაში ეკლესიას აქვს შებრუნებული მდებარეობა, რადგან არათუ აღმოსავლეთით იყურება საკურთხეველი, არამედ დასავლეთით[355]. მაგრამ საბერძნეთში, იერუსალიმში და თესალიაში კანდელის ანთების ლოცვებს კონსტანტინოპოლელ ნოვაციანელების მსგავსად აღასრულებენ. მსგავსადვე კაბადოკიის კესარიაში და კვიპროსზე შაბათ და კვირა დღეებში ყოველთვის მწუხრზე კანდელების ანთების შემდეგ ხუცესები და ეპისკოპოსები განმარტავენ წმინდა წერილს. მაგრამ ჰელესპონტის ნოვაციანელები ყველაფერში კონსტანტინოპოლელების მსგავსად არ აღასრულებენ ლოცვებს, არამედ ბევრ რამეში გაბატონებული ეკლესიის[356] მსგავსად. ჯამში, ყველგან და ყველა აღმსარებლობაში შეუძლებელია ნახო ორი ერთმანეთთან თანხმობაში მყოფი ლოცვების წესთან დაკავშირებით. ალექსანდრიაში ხუცესი არ ქადაგებს და ამ წესს სათავე დაედო მას შემდეგ, რაც არიოზმა შფოთი შემოიტანა ეკლესიაში[357]. რომში კი ყოველ შაბათს მარხულობენ.

კაბადოკიის კესარიაში ნათლისღების შემდეგ ვინც შეცოდავს, განიკვეთიან თანაზიარებიდან როგორც ნოვაციანელები. იმავეს იქმან ჰელესპონტელი მაკედონიანელები და აზიაში „თოთხმეტიანელები“. ფრიგიაში მცხოვრები ნოვაციანელები არ ღებულობდნენ მეორედ დაქორწინებულებს, მაგრამ კონსტანტინოპოლში მცხოვრებნი არც ღიად ღებულობდნენ, არც აშკარად განაგდებდნენ, დასავლეთში კი ღიად ღებულობდნენ[358].

როგორც მგონია, ასეთი შეუთანხმებლობის მიზეზი უნდა იყვნენ გარკვეულ ჟამს მოღვაწე ეკლესიის წინამდგომლები, რომლებიც საკუთარი შეხედულებისამებრ განუწესებდნენ მათი მწყემსობის ქვეშ მყოფთ. სხვებმა კი ეს მიიღეს მათგან, როგორც კანონი და გადასცეს მათ მონაცვლეებს.

ძნელია ეკლესიებში არსებული ყველა ჩვეულების აღწერა, რომლებიც გავრცელებულია ქალაქებსა და ქვეყნებში, მეტიც, ეს შეუძლებელია. თუმცა ისიც საკმარისია, რაც გადმოვეცით, იმის წარმოსაჩენად, რომ პასექის დღესასწაულს ადგილობრივი რამ ჩვეულების გამო აქვს განსხვავებული აღნიშვნის წესი. ამიტომ ყბედობენ, რომ ნიკეის კრებამ შეცვალეს პასექის დღესასწაული, რადგან იქ შეკრებილები ესწრაფოდნენ უმცირესობა თანხმობაში მოეყვანათ უმრავლესობასთან, რომელთანაც ხშირად ჰქონდათ უთანხმოება.

რამეთუ ჯერ კიდევ მოციქულთა დროიდან მრავალი უთანხმოება იყო ამის გამო, რაც არც მოციქულებს გამოპარვიათ, როგორც მოწმობს „საქმეთა“ წიგნი. როდესაც მოციქულებმა შეიტყვეს, რომ მორწმუნეებში შფოთი აღიძრებოდა წარმართებთან უთანხმოების გამო, ყველა ერთად შეიკრიბა და საღვთო კანონი დააწესეს და ეპისტოლეში დაწერეს, რომლის მეშვეობით ამ საკითხებისადმი უმძიმესი მონობისა და ქიშპობისაგან გაათავისუფლეს მორწმუნენი; მათ განაწესეს მართებული ცხოვრებით მოღვაწეობა და დამოძღვრეს ჭეშმარიტი ღვთისმოსავობის წარმართვისათვის, ამცნებდნენ, რომ მხოლოდ აუცილებელი წესები

დაეცვათ. მაგრამ ეს ეპისტოლე „მოციქულთა საქმეებში“ არის გადმოცემული და არაფერი გვიშლის ხელს, რომ ის აქ გადმოვცეთ:

„მოციქულები, ხუცესები და ძმები, ანტიოქიაში, სირიასა და კილიკიაში წარმართთაგან მოქცეულ ძმებს, მოკითხვა. რაკიღა გავიგეთ, რომ ზოგიერთებმა, რომლებიც გამოვიდნენ ჩვენგან, აგამღვრიეს თავიანთი სიტყვებით და შეარყიეს თქვენი სული, ვინაიდან გეუბნებოდნენ, რომ უნდა წინადაიცვითოთ და დაიცვათ რჯული, რაც ჩვენ არ დაგვივალებია მათთვის, ამიტომ შეკრიბეთ და ერთსულოვნად გადავწყვიტეთ, ამოგვერჩია კაცები და თქვენთან გამოგვეგზავნა ჩვენს საყვარელ ბარნაბასა და პავლესთან ერთად, რომლებმაც თავი გადასდეს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელისთვის. ასე რომ, გამოგიგზავნეთ იუდა და სილა, რომლებიც ამასვე გადმოგცემენ სიტყვით. ვინაიდან სათნო უჩნდა წმინდა სულს და ჩვენც, რომ არ აგკიდოთ ზედმეტი ტვირთი, გარდა იმისა, რაც აუცილებელია: ეკრძალეთ ნეკერპალსა და სისხლს, დამხრჩვალს და სიძვას. თუ ამათგან მოიზღუდავთ თავს, კარგს იზამთ. მშვიდობით[359]“.

ეს სთნდა ღმერთს, რადგან ეპისტოლე ამბობს: „სათნო უჩნდა წმინდა სულს, რომ არ აგკიდოთ ზედმეტი ტვირთი, გარდა იმისა, რაც აუცილებელია“, რისი დაცვაც სავალდებულოა. რადგან ზოგიერთები ამაზე არ ზრუნავდნენ და ყოველგვარ გარყვნილებას განურჩევლად ღებულობდნენ, მაგრამ დღესასწაულის დღეებზე როგორც საკუთარი სულისათვის, ისე იბრძოდნენ; განუდგნენ ღვთის აღთქმებს და თავისთვის დაიკანონეს, და არაფერს ასრულებდნენ იქიდან, რაც მოციქულებმა რჯულდვეს, საკუთარ თავს უმალავდნენ, რომ იმის საწინააღმდეგოს იქმოდნენ, რაც ღმერთს სთნდა.

ამრიგად, შესაძლებელია პასექის შესახებ სიტყვა კიდევ უფრო განვავრცოთ და ვაჩვენოთ, რომ არც იუდეველები იცავენ პასე-

ქის შესახებ სიზუსტეს და წესს, თუ როგორ აღასრულებენ ამ დღესასწაულს ყოველთვის ბუნიობის შემდეგ, სამარიტელები, რომლებიც გამოეყვნენ იუდეველებს. მაგრამ ეს თემა ცალკე ვრცელ გადმოცემას მოითხოვს. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ვისაც სურს იუდეველებს მისდიოს და წესების შესახებ სიმკაცრეს იცავს, არაფერში არ უნდა განსხვავდებოდნენ მათგან. რადგან თუ სრულ სიზუსტეს ირჩევენ, ვალდებული არიან, არა მხოლოდ დღეები და თვეები დაიცვან, არამედ სხვაც, რაც რჯულის ქვეშ მყოფმა ქრისტემ[360] იუდაურად აღასრულა ან დაითმინა იუდეველთა მიერ უსამართლოდ დასჯილმა, ან ყველას სასიკეთოდ წინასახეობრივად იქმოდა ამას. იგი ადიოდა ნავში და ასწავლიდა[361]; ბრძანებდა, რომ მოეთხოვათ პასექისთვის სახლის მომზადება[362]; ამცნებდა[363], დაბმული ვირი აეშვათ; წყლის ჭურჭლის მზიდველი ნიშნად დაუდო მათ, ვინც პასექისთვის ეშურებოდა[364]; და სხვა უამრავი რამ წერია სახარებებში. და არც ერთი მათგანი ესწრაფვის სხეულებრივად დაიცვას ეს წესები, ვინც ფიქრობს დღესასწაულის მეშვეობით გამართლებას. რადგან არც ერთ მოძღვარს უსწავლებია ოდესმე ნავიდან, არც უცდია სახლის მომზადება პასექისთვის, არც დაბმული ვირის ახსნა უძებნია ვინმეს, არც რომელიმე თიხის ჭურჭლით წყლის მზიდველისთვის მიუმართავს, რათა სიმბოლო აღესრულებინა. ეს და ასეთები უფრო იუდაურად უნდა ჩაითვალოს. რადგან იუდეველები სხეულთან დაკავშირებულის ცხონებას უფრო ეშურებიან, ვიდრე სულიერს. ამიტომ არიან წყევლის ქვეშ[365], რადგან მოსეს რჯულს წინასახეებში და არა ჭეშმარიტებით იღებენ. იუდეველების მოყვარულებს ეს სულიერ ჭვრეტაში გადააქვთ და დღეებისა და თვეების შესახებ შეურიგებელი ომი აქვთ გაჩაღებული, რითაც ფეხქვეშ თელავენ მათ შესახებ სულიერ ჭვრეტას, რადგან ისინიც ამით აუცილებლად იუდეველების მსგავსად განისჯებიან და მათთან ერთად დაექვემდებარებიან წყევლის განაჩენს.

მაგრამ ვფიქრობ, საკმარისია მათ შესახებ საუბარი. უკან დავუბრუნდეთ ჩვენს თემას, რომელიც ცოტა ხნის წინ ვახსენეთ, რომ გაყოფილი ეკლესია არ დარჩენილა პირვანდელ დაყოფაში და რომ გაყოფილები კიდევ გაიყვნენ თავის თავში, მცირე და უმნიშვნელო საბაბი აიღეს და განშორდნენ ერთმანეთს. როგორც ითქვა[366], ნოვაციანელები პასექის დღესასწაულის გამო გაიყვნენ და ამის გამო არა მხოლოდ ერთი გაყოფა აქვთ, რადგან სხვები პროვინციებში სხვაგვარად და არა მხოლოდ თვის გამო, არამედ კვირის დღეებისა და სხვა უმნიშვნელო საკითხების გამო ვერ თანხმდებიან, და ხან გამოეყოფიან ერთმანეთს და ხანაც შეერთდებიან.

XXIII თავი
თუ როგორ მოხდა შემდგომი განხეთქილებები არიანელებს შორის კონსტანტინოპოლში. აგრეთვე „ფსათირიელების“ შესახებ

არიანელებს შორისაც მოხდა განხეთქილებები შემდეგი მიზეზით.

ყოველდღიურმა კამათებმა და გამოძიებებმა ზოგი მათგანი უგუნურ სიტყვებამდე მიიყვანა. ვინაიდან ეკლესიაში სწამდათ, რომ ღმერთი იყო ძის, სიტყვის, მამა, წამოიჭრა საკითხი, თუ იყო შესაძლებელი, რომ ძის შეარსებამდე ღმერთი წოდებულიყო მამად[367]. რადგან ფიქრობდნენ, რომ ღვთის სიტყვა არათუ მამისაგან იშვა, არამედ არარსებულიდან შეარსდა. პირველ და უზენაეს საკითხთან დაკავშირებით მცდარი აზრის მქონენი, ბუნებრივია, იოლად ჩავარდნენ უბრალო სახელის გამო უჯერო დავაში. ანტიოქიიდან მათ მიერ გადმოყვანილი დოროთე ამბობდა, რომ შეუძლებელია მამა იყოს და ასე იწოდებოდეს მაშინ, როცა ძე არ არსებობდა. მაგრამ მარინოსმა, რომელიც თრაკიიდან დოროთემდე იყო მოწვეული, დრო იხელთა ამ აღძ-

ვრით (რადგან ნაწყენი იყო დოროთეს რომ მიანიჭეს უპირატესობა მასთან შედარებით) და საპირისპირო სწავლება შემოიტანა. ამიტომ გაჩნდა მათ შორის გაყოფა, ერთმანეთს განშორდნენ ზემოთქმული გამონათქვამის გამო და ცალკე მართავდნენ საღვთისმსახურო შეკრებებს: დოროთეს დაქვემდებარებულნი დარჩნენ თავიანთ ადგილებზე, მარინოსის მიმდევრებმა კი ცალკე თავისთვის ააგეს სამლოცველო სახლები და იქ იკრიბებოდნენ, – ამბობდნენ, რომ მამა ყოველთვის იყო მამა, მაშინაც, როცა ძე არ არსებობდა. მათ ეწოდებოდათ „ფსათირიელები“[368], რადგან ვინმე თეოკტისტე ფსათიროპოლელი, წარმოშობით სირიელი, გულმხურვალედ მისდევდა ამ მოძღვრებას. მათი მიმდევარი იყო ასევე გუთების ეპისკოპოსი სელენასი, რომელიც შერეული წარმომავლობის იყო; მამით გუთი იყო, დედით კი ფრიგიელი, ამიტომ, ორივე ენაზე ძლიერად ასწავლიდა ეკლესიაში. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისინიც გამოეყვნენ ერთმანეთს, ვინაიდან მარინოსი აგაპიოსს შეუერთდა, რომელმაც იგი ეფესოს ეპისკოპოსად დაადგინა. ისინი არათუ სარწმუნოების, არამედ პირველობის გამო სულმოკლეობით ებრძოდნენ ერთმანეთს, რადგან გუთები ემხრობოდნენ აგაპიოსს. ამიტომ, მრავალმა, მათ დაქვემდებარებულმა კლირიკოსმა შეიძულა მათი პატივმოყვარეობით წარმოქმნილი ბრძოლა, განუდგა მათ და შეუერთდნენ „თანაარსის“ მრწამსს[369].

არიანელები ერთმანეთისგან გამოყოფილი იყვნენ ოცდახუთი წლის განმავლობაში და მოგვიანებით თეოდოსი უმცროსის ზეობისა და სარდალ პლინთას[370] კონსულობის დროს, რომელიც იყო „ფსათირიანელთა“ მწვალებლობის მიმდევარი, გადაწყვიტეს, რომ შეეწყვიტათ დავა და გაერთიანებულიყვნენ, ისე რომ კანონი განაჩინეს, მეტად აღარ ეხსენებინათ ის საკითხი, რის გამოც გაიყვნენ. მაგრამ ამის გაკეთება მხოლოდ კონსტანტინოპოლში შეძლეს, რადგან სხვა ქალაქებში, ვინც სად იყო, იქ დარჩა გაყოფილი.

ეს ითქვა არიანელთა შორის დაყოფის შესახებ.

XXIV თავი
ევნომიანელთა და მაკედონიანელთა განხეთქილებების შესახებ

მაგრამ არც ევნომიანელები დარჩენილან დაყოფის გარეშე. რადგან ევნომიოსი პირველად ჯერ კიდევ ევდოქსიოსს გამოეყო, რომელმაც მას ხელნი დაასხა კიზიკიის ეპისკოპოსად; საბაბად აიღო ის, რომ მან არ მიიღო [ეკლესიიდან] გაძევებული მისი მოძღვარი აეციოსი[371]. მაგრამ მის მიმდევრებს შორისაც ჩამოვარდა უთანხმოება და ერთმანეთს გამოეყვნენ. იყო ვინმე თეოფრონიოსი კაბადოკიელი, რომელიც ევნომიოსის მიერ იყო განსწავლული კამათის ხელოვნებაში და ღრმად იაზრებდა არისტოტელეს „კატეგორიებს“ და „განმარტების შესახებ“ და შეადგინა წიგნები, რომლებსაც უწოდა „გონების წვრთნის შესახებ“. იგი მის თანამორწმუნეთა მიერ იყო შეწუხებული და მათ მიერ გაძევებულ იქნა როგორც განდგომილი. ამიტომ, მან ცალკე შეკრებები[372] გამართა თავისთვის და მისი სახელობის მწვალებლობა დატოვა მის შემდეგ. კონსტანტინოპოლშიც ვინმე ევტიქიანოსი მოჩვენებითი ძიების საბაბით გამოეყო ევნომიანელებს და ახლაც ცალკე მართავს შეკრებებს. ამრიგად, თეოფრონიოსის მიმდევრებს ეწოდებათ ევნომიოთეოფრონიანელები, ევტიქიანესას კი – ევნომიოევტიქიანელები. თუ რა უმნიშვნელო გამონათქვამები არის, რომელთა გამო დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, არც ჩავთვალე ამის ისტორიაში გადმოცემის ღირსად, რათა სხვა თემისკენ არ გადავიდრიკო, გარდა იმ შემთხვევისა, რომ მათ ნათლისღების წესი შეცვალეს; რადგან არათუ სამების, არამედ ქრისტეს სიკვდილის სახელით ნათლავდნენ[373].

გარკვეულ დროს მაკედონიანელთა შორისაც ჩამოვარდა უთანხმოება, როდესაც ხუცესი ევტროპიოსი ცალკე მართავდა შეკრებებს, ხოლო კარტერიოსი არ ეთანხმებოდა მას.

მსგავსადვე, ალბათ, მათგანაც გაჩნდა სხვა სარწმუნოებებიც სხვა ქალაქებში. მაგრამ მე, რომელიც კონსტანტინოპოლში ვცხოვრობ, იქ დავიბადე და გავიზარდე, უფრო ვრცლად მოგითხრობთ იქ მომხდარს, რადგან ზოგი რამის თვითმხილველი ვარ და იმიტომაც, რომ იქაური ამბები უფრო ღირშესანიშნავია და ხსოვნის ღირსი.

ეს ამბები არათუ ერთსა და იმავე დროს, არამედ სხვადასხვა დროს მოხდა. მაგრამ თუ ვინმეს სურს სხვადასხვა მწვალებლობების სახელთა შესწავლა, შეუძლია შეიტყოს „ანკიროტად“ წოდებული წიგნიდან, რომელიც შეადგინა კვიპრელთა ეპისკოპოსმა ეპიფანემ.

მაგრამ ამ საკითხების შესახებ საკმარისად ითქვა. ხოლო სახელმწიფო საქმეები კვლავ არეული იყო შემდეგი მიზეზით.

XXV თავი
თუ როგორ მოკლა ტირანმა ევგენიმ ვალენტინიანე უმცროსი[374], მაგრამ თეოდოსიმ დაამარცხა იგი[375]

დასავლეთში ვინმე გრამატიკოსმა, სახელად ევგენიმ, რომელიც ასწავლიდა ლათინურ მწერლობას, დატოვა სასწავლებელი, სასახლეში სამსახური დაიწყო და გახდა იმპერატორის მდივანი[376]. მაგრამ, ვინაიდან იგი სხვებზე მეტად მიაგებდა პატივს მის განათლებულობას, ვერ შეურიგდა ამ უბრალო ხვედრს. თანამზრახველად გაიჩინა და ტირანობაზე გადაიბირა არბოგასტესი, რომელიც წარმოშობით იყო მცირე გალატიიდან და საჯარისო ნაწილის სარდალი გახდა, ზნით სასტიკი და სისხლისმსმელი იყო. ორივე მათგანმა განიზრახა, მოეკლათ იმპერატორი ვალენტინიანე და მოქრთამეს საძინებლის საჭურისები. მათ კი იმ დაპირებით, რომ უფრო დიდ ღირსებას მიიღებდნენ, გაგუდეს მძინარე იმპერატორი[377]. ეს მყისვე შეიტყო ევგენიმ[378] და ხელში

ჩაიგდო დასავლეთი სახელმწიფო და იქმოდა, რა უჯერო საქმეების კეთებაც ჩვევად აქვს ტირანს. როდესაც ეს შეიტყო იმპერატორმა თეოდოსიმ, მაშინვე დიდ საზრუნავში ჩავარდა, მეორე ბრძოლა უწევდა მაქსიმეს წინააღმდეგ გალაშქრების შემდეგ. ამრიგად, მან შეკრიბა ლაშქარი და მისი ძე ჰონორიუსი გამოაცხადა იმპერატორად მისი კონსულობის მესამე წელს და აბუდანტიუსის კონსულობის დროს, იანვრის თვის ათში[379]; და მყისვე გაეშურა დასავლეთში. კონსტანტინოპოლში მისი ორივე ძე დატოვა იმპერატორებად[380]. ევგენის წინააღმდეგ საომრად წასულს უამრავი ისტროსის განაპირას მცხოვრები ბარბაროსი გაჰყვა, რომლებმაც მასთან მეკავშირეობა არჩიეს ტირანის წინააღმდეგ. მალე იგი ჩავიდა გალიაში მრავალრიცხოვანი ჯარით, რადგან იქ იყო დაბანაკებული ტირანი და თან ახლდა მრავალათასიანი ჯარი.

ამრიგად, შეტაკება მოხდა ფრიგიდუსად წოდებულ მდინარესთან. მის ნაპირებზე რომაელები შეეჯახნენ რომაელებს. ბრძოლა თანაბარძალოვანი იყო ამ შეტაკებისას. მაგრამ იმპერატორ თეოდოსის მოკავშირე ბარბაროსები მარცხდებოდნენ ევგენის ლაშქრისგან[381]. როდესაც იმპერატორი ხედავდა ბარბაროსების ხოცვა-ჟლეტას, უდიდეს სადარდებელში იყო ჩავარდნილი, მიწაზე დაეცა და საშველად ღმერთს უხმობდა, დახმარებამაც არ დააყოვნა[382]. მისმა სარდალმა ბაკურიუსმა[383] ისეთი ვაჟკაცობა გამოიჩინა, რომ პირველი ფალანგების მებრძოლებთან ერთად შეიჭრა იქ, სადაც ბარბაროსები შევიწროებული იყვნენ. მან გაფანტა მოწინააღმდეგის ფალანგები და ცოტა ხანს ვინც იმარჯვებდა, უკუაქცია. სხვა საოცრებაც მოხდა. ამოვარდა ძლიერი ქარი ევგენის ჯარის მიერ ნასროლ ისრებს უკან გზავნიდა და მათ წინააღმდეგ მიაქცევდა. არა მხოლოდ ეს, არამედ მოწინააღმდეგეზე უფრო დიდი ძალით შეუტია მათ. ასე გაძლიერდა იმპერატორის ლოცვა. როდესაც ამგვარად შეტრიალდა ბრძოლის ბედი, ტირანი მივარდა იმპერატორის ფეხებთან და ითხოვ-

და სიცოცხლის შენარჩუნებას, მაგრამ მის ფეხებთან მოკვეთეს თავი მას ჯარისკაცებმა. ეს მოხდა სექტემბრის თვის რვა რიცხვში არკადიოსის მესამეგზის და ჰონორიუსის მეორეგზის კონსულობის პერიოდში. ესოდენი ბოროტების მიზეზი გახდა არბოგასტი, ორდღიანი ბრძოლის შემდეგ იგი გაიქცა, მაგრამ, როცა მიხვდა, რომ ვერ დააღწევდა თავს, საკუთარი მახვილით განიგმირა თავი[384].

XXVI თავი
თეოდოსი უფროსის დასნეულებისა და სიკვდილის შესახებ[385]

იმპერატორ თეოდოსის ომისაგან დაქანცულს სხეული დაუავადდა. ამ დაუძლურების გამო მოელოდა რა სიცოცხლის აღსასრულს, თავის სიკვდილზე მეტად სახელმწიფო საქმეებზე ჰქონდა ზრუნვა[386]. გაიაზრა, თუ რამდენ ბოროტებას მოუტანდა ადამიანებს იმპერატორის დაღუპვა. ასე რომ, სასწრაფოდ გამოიხმო კონსტანტინოპოლიდან მისი ძე ჰონორიუსი, სურდა მისი დადგინება დასავლეთის იმპერატორად[387]. როდესაც მოუსწრო მისმა ძემ მედიოლანში, გამომჯობინდა სნეულებისგან და გამარჯვების აღსანიშნავად ცხენთა სრბოლა მოაწყო[388]. სადილობამდე, მარულას ყურებისას მომჯობინდა, სადილის შემდეგ კი მოულოდნელად ცუდად გახდა. ყურების გაგრძელება ვეღარ შეძლო, მის ძეს უბრძანა, წარემართა მარულა. დაღამებისას ის გარდაიცვალა, ოლიბრიუსის და პრობინუსის კონსულობის დროს, იანვრის თვის ჩვიდმეტს[389]. ეს იყო ორას ოთხმოცდამეთოთხმეტე ოლიმპიადის პირველ წელს[390]. იმპერატორმა თეოდოსიმ იცხოვრა სამოცი წელი, ხოლო იმეფა – თექვსმეტი წელი. ეს წიგნი მოიცავს თექვსმეტი წლისა და რვა თვის პერიოდს.

მ ე ე ქ ვ ს ე წ ი გ ნ ი

წინათქმა

ღვთის სამღვდელო კაცო თეოდორე, შენი თხოვნა წინარე ხუთ წიგნში მოვიღვაწეთ, ისე რომ აღვწერეთ კონსტანტინეს დროიდან მოყოლებული საეკლესიო ისტორია. უნდა იცოდე, რომ ჩვენ არ ვზრუნავთ სტილზე, რამეთუ გვესმის, რომ თუ დავეშურებით სიტყვაკაზმულობას, მაშინ ავცდებით მიზანს. თუნდაც მივაღწიოთ მას, ყველაფრის ასე აღწერას ვერ შევძლებთ, როგორც გვიამბობენ ძველი დროის მწერლები, რომელთა მეშვეობით აქებდა და აძაგებდა მოვლენებს ვინც როგორ ჩათვლიდა. გარდა ამისა ეს არანაირად არ აღაშენებს უმრავლესობას და უბრალო ხალხს, რომლებსაც სურთ მხოლოდ მოვლენების ცოდნა და არ აღფრთოვანდებიან სიტყვა თუ არის ლამაზად შეწყობილი. ამრიგად, ორივე მხრიდან უსარგებლო რომ არ გახდეს საქმე, კარგი განათლების მქონეთათვის, ძველებური სტილის დარად რომ არ არის შედგენილი, უბრალო ხალხისთვის კი – რადგან არ ძალუძთ სიტყვის ქადილით დაფარულ მოვლენებს; ამიტომ, მივდიეთ უფრო ნათელ და დაბალ სტილს.

თუმცა, ვიწყებთ რა მეექვსე წიგნს, წინდაწინ ვაცხადებ, რომ ჩვენს დროს მომხდარ მოვლენებს ვეხებით და უკვე გადაწყვეტილი გვაქვს, დავწეროთ რაც მრავალთათვის არ არის მოსაწონი, ან იმიტომ, რომ, ანდაზის თანახმად, „სიმართლე მწარეა“, ან, იმ სახელებს, რომლებიც უყვართ, ქებით რომ არ მოვიხსენიებთ, ან, რადგან არ განვადიდებთ მათ საქმეებს. და ეკლესიის მოშურნე წევრები დაგმობენ, რომ არ ვამბობთ ეპისკოპოსებზე, რომ არიან უღვთივსათნოესნი და უწმინდესნი, და ასე შემდეგ.

სხვები ფუჭად შეწუხდება იმაზე, რომ იმპერატორებს არ ვუწოდებთ საღვთოებს და მეუფეებს, და როგორც ჩვევიათ მათი სახელდება. მე შემიძლია ძველი მწერლების ნაშრომებიდან იმის დამტკიცება და ჩვენება, რომ მათთან მონისაც ბატონად წოდება ჰქონდათ ჩვევა, როდესაც ამას საქმე მოითხოვდა[391]. მაგრამ მე არ დავეძებ მათ ღირსებებს და ვემორჩილები ისტორიის კანონებს, რომლებიც ითხოვენ მოვლენების შეურყვნელად, ჭეშმარიტად და რაიმე უცხოსთან შეურევნელად თხრობას. გადავდივარ თხრობის დარჩენილი ნაწილის გადმოცემაზე. აღვწერ იმას, რაც მე თავად ვიხილე და რაც თვითმხილველთაგან მსმენია; იქიდან ვმსჯელობ ამის სიმართლეზე, რომ ის არ განსხვავდება მათი მონაყოლიდან. ჩემთვის ძნელი იყო სიმართლის გამოცნობა მრავალი სხვადასხვა ამბებიდან, როდესაც ერთნი ამბობდნენ, რომ ამ მოვლენების მოწმე იყვნენ, მაგრამ ყველა აცხადებდა, რომ მან უფრო მეტი იცოდა[392].

I თავი
თუ როგორ გაიყვეს იმპერია თეოდოსის ვაჟებმა მისი გარდაცვალების შემდეგ. რუფინუსის არკადიუსის ფეხებთან მოკვლის შესახებ[393]

მას შემდეგ, რაც იმპერატორი თეოდოსი აღესრულა ოლიბრიუსის და პრობინუსის კონსულობის დროს, იანვრის თვის თხუთმეტს, მისმა ვაჟებმა იმემკვიდრეს რომის იმპერია: არკადიუსმა აღმოსავლეთი იპყრო, ხოლო ჰონორიუსმა – დასავლეთი. იმხანად ეკლესიებს წინამდგომლობდნენ, სამეუფო რომში – დამასი[394], ალექსანდრიაში – თეოფილე; იერუსალიმის გარშემო მყოფ ეკლესიებს განაგებდა იოანე, ფლაბიანე მართავდა ანტიოქელთა ეკლესიას, ახალ რომში, კონსტანტინოპოლში კი საყდარი ეკავა ნექტარიოსს, როგორც ეს გიამბეთ წინა წიგნში[395].

იმავე კონსულობის დროს, ნოემბრის თვის დაახლოებით რვა რიცხვში თეოდოსის ნეშტს, სადაც ის ესვენა დადგენილი წესის თანახმად პატივი მიაგო მისმა ვაჟმა არკადიუსმა. ამის შემდეგ მალე, იმავე თვის ოცდაშვიდში ჩამოვიდა ჯარი, რომელიც ლაშქრობდა იმპერატორ თეოდოსისთან ერთად ტირანის წინააღმდეგ. როდესაც იმპერატორი არკადიუსი ჩვეულებისამებრ კარიბჭესთან გამოვიდა ჯარის დასახვედრად, მაშინ ჯარისკაცებმა მოკლეს იმპერატორის პრეფექტი რუფინუსი[396]. რამეთუ რუფინუსის ტირანული ზრახვების ეჭვი ჰქონდათ და ფიქრობდნენ, რომ მან მოიწვია ჰუნები რომის იმპერიის წინააღმდეგ სალაშქროდ[397]. რადგან მათ იმხანად დაარბიეს სომხეთი და აღმოსავლეთის გარკვეული ნაწილი[398]. რომელ დღესაც რუფინუსი დაიღუპა, იმავე დღეს აღესრულა ნოვაციანელთა ეპისკოპოსი მარკიანოსი და ის შეცვალა სისინიოსმა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ[399].

II თავი
ნექტარიოსის გარდაცვალებისა და კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსად იოანეს ხელდასხმის შესახებ

ცოტა ხნის გასვლის შემდეგ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი ნექტარიოსიც აღესრულა კესარიოსის და ატიკოსის კონსულობის პერიოდში, სექტემბრის თვის ოცდაშვიდს[400]. მყისვე თავი იჩინა სწრაფვამ ეპისკოპოსის ხელდასხმის გამო, ყველა სხვადასხვას ეძიებდა. მას შემდეგ, რაც ამის გამო მრავალგზის შემოთავაზებულ იქნა რჩევა, ბოლოს გადაწყვიტეს, რომ ანტიოქიიდან გადმოეყვანათ ეკლესიის ხუცესი იოანე. რადგან ხმა იყო გავარდნილი მის შესახებ, რომ რწმენის კარგი მოძღვარი და განათლებული კაცი იყო. ცოტა ხნის შემდეგ ერთობლივი არჩევანით, ვგულისხმობ სასულიერო პირებს და ხალხს, იმპერა-

ტორმა არკადიუსმა ის გადმოიყვანა[401]. ღირსეული ხელდასხმის აღსასრულებლად იმპერატორის განკარგულებით ჩამოვიდა სხვა მრავალი ეპისკოპოსი, მათ შორის ალექსანდრიის ეპისკოპოსი თეოფილე. ამ უკანასკნელმა ძალისხმევა არ დაიშურა, რომ დაეკნინებინა იოანეს სახელი[402] და ეპისკოპოსად მისი მმართველობის ქვეშ მყოფი ისიდორე წამოეყენებინა, რომელიც ძალიან უყვარდა, რადგან მისი გულისთვის მან ერთხელ სახიფათო ბრძანება შეასრულა; თუ რა იყო ეს, ამას ვიტყვით.

როდესაც იმპერატორი თეოდოსი იბრძოდა ტირან მაქსიმეს წინააღმდეგ, თეოფილემ ისიდორეს ხელით საჩუქარი გაუგზავნა იმპერატორს; ორი ეპისტოლე მისცა ისიდორეს და დააბარა, რომ გამარჯვებულისთვის მიეცა საჩუქარიც და ეპისტოლეც. ეს სამსახური შეუსრულა მას ისიდორემ და ჩავიდა რომში და აკვირდებოდა ვინ გაიმარჯვებდა. მაგრამ დიდხანს არ დაიმალა ეს ამბავი,რადგან მისმა თანმხლებმა წიგნისმკითხველმა მოიპარა წერილები და აჩვენა იმპერატორს. ამაზე ისიდორე შეშინდა და რაც ძალა ჰქონდა ალექსანდრიისაკენ გაიქცა[403]. ეს იყო მიზეზი თეოფილეს მოშურნეობისა ისიდორეს გამო.

მაგრამ საიმპერიო სასახლემ უპირატესობა მიანიჭა იოანეს. ვინაიდან მრავალმა აღძრა საჩივრები თეოფილეს წინააღმდეგ და ყველა სხვადასხვა მიზეზს გადასცემდა იქ დამსწრე ეპისკოპოსებს, საიმპერიო სანთიობოთა უფროსმა ევტროპიოსმა აიღო წერილობითი ბრალდებები და უჩვენა თეოფილეს, უთხრა, რომ პასუხი გაეცა ამაზე, ან ხელნი დაესხა იოანესთვის, ანდა ის საეშკარაოზე გამოიტანდა მის საწინააღმდეგოდ აღძრულ ბრალდებებს.

ამრიგად, ხელდასხმული აღსაყდრებულ იქნა საეპისკოპოსო მღვდლობაზე თებერვლის თვის ოცდაექვს[404], მეექვსეგზის კონსულობის დროს, რომელიც დაასრულა რომში იმპერატორმა ჰონორიუსმა, კონსტანტინოპოლში კი – ევტიქიანოსმა, რომელიც მაშინ იყო სასახლის პრეფექტი. რადგან ეს კაცი გამოჩენილი არის იმ სიტყვებით, რომლებიც მან დატოვა და იმ მრავალი

განსაცდელით, რომელშიც ის ჩავარდა, ვფიქრობ იგი იმსახურებს, რომ დუმილით გვერდი არ ავუაროთ მასთან დაკავშირებულ ამბებს, არამედ რამდენადაც შესაძლებელია ვრცლად ნაამბობი შევკუმშოთ და ვთქვათ, თუ სადაური იყო და რა გვარიშვილობის, როგორ იქნა არჩეული მღვდელმთავრად, როგორ დაიღუპა და როგორ იქნა პატივდებული მისი სიკვდილის შემდეგ უფრო მეტად, ვიდრე სიცოცხლეში იყო.

III თავი
კონსტანტინოპოლის ეპისკოპოს იოანეს შობისა და აღზრდა-განათლების შესახებ

იოანე იყო კოელე-სირიის ანტიოქიიდან, ძე სეკუნდუსის და დედა ანთუსას, იქაურ წარჩინებულთა. იგი მოწაფე იყო სოფისტ ლიბანიუსის და ფილოსოფოს ანდრაგათიოსის მსმენელი[405]. იგი აპირებდა ვექილის ხელობისთვის მიეძღვნა თავი, მაგრამ მიხვდა, რომ სასამართლოებში უკეთური და უსამართლო ცხოვრება იყო, ამიტომ უფრო მშვიდ ცხოვრებას შეუდგა. როდესაც ეს გადაწყვეტილება მიიღო, მიბაძა ევაგრის, რომელიც თვითონაც დადიოდა იმავე მასწავლებლებთან და დიდი ხნის წინ გადავიდა მშვიდი ცხოვრების წესზე. მან მყისვე შეიცვალა გარეგნობა და სიარულის ჩვეულება, გონება მიუძღვნა წმინდა წერილს და მუდამ ეკლესიასთან დაკავშირებულ ღვაწლს ეწეოდა. აგრეთვე დაარწმუნა თეოდორე და მაქსიმე, რომლებიც მასთან ერთად სწავლობდნენ სოფისტ ლიბანიოსთან, რომ მიეტოვებინათ მომხვეჭელობითი ცხოვრება და უბრალოზე გადასულიყვნენ. მათგან თეოდორე მოგვიანებით კილიკიის ქალაქ მოფსუესტიის ეპისკოპოსი გახდა, მაქსიმე კი – ისავრიის სელევკიის. როდესაც ისინი სათნოების მოშურნენი გახდნენ, ასკეზას სწავლობდნენ დიოდორესგან და კარტერიოსისგან, რომლებიც იყვნენ სამოდ-

ვაწეო სახლების წინამდგომლები. დიოდორე მოგვიანებით ტარსუსის ეპისკოპოსი გახდა და მრავალი წიგნი დაწერა, სადვთო წერილის სულიერ ხედვას განუდგა და მის შიშველ ასოს მიაპყრო გონება[406].

ეს ითქვა მათ შესახებ. იოანე დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა ბასილისთან ერთად, რომელიც მაშინ მელეტის მიერ დიაკვნად იყო დადგენილი და მოგვიანებით გახდა კაბადოკიელთა კესარიის ეპისკოპოსი[407]. იგი იერუსალიმიდან ჩამოსული ეპისკოპოს ზენონის მიერ დადგინებულ იქნა ანტიოქიის ეკლესიის წიგნისმკითხველად[408]. წიგნისმკითხველის ხარისხში იყო იოანე, როდესაც მან შეადგინა სიტყვა „იუდეველთა წინააღმდეგ“[409]. ცოტა ხნის შემდეგ მელეტის მიერ ის აყვანილ იქნა დიაკვნის ხარისხში და შეადგინა სიტყვები „მღვდლობის შესახებ“, „სტაგირიოსის შესახებ“, გარდა ამისა „შეუცნობელის შესახებ“ და „სინიზაქტების შესახებ“[410]. ამის შემდეგ აღესრულა რა მელეტი კონსტანტინოპოლში (რადგან იქ იყო ჩასული გრიგოლ ნაზიანზელის ხელდასხმისათვის), იოანემ დატოვა მელეტიანელები, არც პავლინიანელებთან თანაეზიარა, არამედ მთელი სამი წელი გაატარა მშვიდად. მოგვიანებით, პავლინეს გარდაცვალების შემდეგ მისმა მონაცვლემ, ევაგრიმ ხელნი დაასხა ხუცესად[411].

შემოკლებულად ეს არის იოანეს ცხოვრება ეპისკოპოსად გახდომამდე. როგორც ითქვა, ის იყო მკაცრი თავშეკავების მოშურნე კაცი და, როგორც თქვა ერთმა მისი ყრმობის მეგობარმა, უფრო სიფიცხის, ვიდრე ზომიერების მოყვარული, და მისი ცხოვრების მართებულობის გამო არ ერიდებოდა მოსალოდნელ საფრთხეებს, თუმცა მისი უბრალოების გამო უზაკველი იყო. იგი უზომოდ თავისუფლად პირში ეუბნებოდა ვინც მას ხვდებოდა[412] და დამოძღვრაში დიდ სარგებელს ღებულობდნენ მისი მსმენელები, მაგრამ პირად ურთიერთობებში მკვეხარა ეგონათ მათ, ვინც მას არ იცნობდა.

IV თავი
დიაკონ სერაპიონის შესახებ, ვის გამოც იოანეს შესახებ ცუდი აზრი ჩამოუყალიბდა მის კლიროსს

ასეთი ზნის კაცი იყო იოანე და როცა ეპისკოპოსი გახდა, მისი ხელქვეითების მიმართ უფრო მეტ მზვაობრობას იჩენდა, როგორც მას ეგონა, განზრახული ჰქონდა მისი მწყემსობის ქვეშ მყოფი კლიროსის ზნეობის გამოსწორება. ასე რომ, თავიდანვე ეკლესიაში სასულიერო პირებმა სწრაფად შეიძულეს იგი, მრავალი გადაემტერა მას და განუდგნენ მას, როგორც ფიცხ კაცს[413]. ყველაზე მეტად მას გადაამტერა ისინი მის ხელქვეშ დაწესებულმა დიაკონმა სერაპიონმა, რომელმაც ერთხელ სასულიერო პირების თანდასწრებით ხმამაღლა უთხრა ეპისკოპოსს: „ეპისკოპოსო, ვერასოდეს შეძლებ ამათზე ბატონობას, თუ მხოლოდ მახვილით არ დევნი მათ“. ამ სიტყვამ კიდევ უფრო გააძლიერა ეპისკოპოსის მიმართ სიძულვილი. მაგრამ ეპისკოპოსმა მრავალი პირი სხვადასხვა მიზეზით გაყარა ეკლესიიდან. მათ კი, როგორც სჩვევიათ მათი მმართველების ასეთი საქციელის დროს, ერთად შეითქვნენ და მის წინააღმდეგ ცილისწამებები გაავრცელეს ხალხში. მათ დაარწმუნეს მსმენელები ნათქვამში, რომ ეპისკოპოსს არ სურს ინადიმოს ვინმესთან ერთად, არც მიდის, როდესაც იწვევენ სანადიმოდ. აქედან განსაკუთრებით კიდევ უფრო დიდი ცილისწამება გავრცელდა მის წინააღმდეგ. მაგრამ ნათლად არავის შეეძლო იმის თქმა, თუ რა მიზეზით აცხადებდა უარს ვინმესთან ერთად ნადიმობაზე. ზოგი, ვისაც სურდა მისი გამართლება, ამბობდნენ, რომ მგრძნობიარე იყო და მძიმედ იკვებებოდა[414], და მხოლოდ ამიტომ სადილობდა მარტო; სხვები კი – რომ ზეაღმატებული ღვაწლის გამო იქცეოდა ასე. მაგრამ, როგორიც არ უნდა ყოფილიყო სიმართლე, ამან არა

მცირე საბაბი მისცა ცილისწამებისათვის მის ბრალმდებლებს. თუმცა, ხალხი მის მიერ ეკლესიაში წარმოთქმული სიტყვების გამო მრავლად იკრიბებოდა შეუყვარდა და უყვარდა ეს კაცი, და ნაკლებად აქცევდა ყურადღებას მის წინააღმდეგ აღძრულ ბრალდებებს. რა საჭიროა ამის თქმა, თუ როგორი არის მის მიერ გადმოცემული სიტყვები და მის მიერ წარმოთქმული, რომლებიც სწრაფჩამწერებმა ჩაიწერეს, თუ როგორ ბრწყინვალე არის და მომხიბლავი? რადგან ძალუძს, ვისაც კი სურს, მათი წაკითხვა და მათგან სარგებლის მონაყოფება.

V თავი
თუ როგორ გამოიწვია იოანემ ამაქვეყნის ძლიერთა უსიამოვნებები თავის თავზე. აგრეთვე საჭურის ევტროპიოსის შესახებ[415]

ვიდრე იგი მხოლოდ კლიროსს უტევდა, უძლური იყო მის წინააღმდეგ მიმართული ვერაგული ხრიკები. მაგრამ მას შემდეგ, რაც მან გადაწყვიტა მრავალი უმაღლესი თანამდებობის მქონე პირის სათანადოდ მხილება, მაშინ მის წინააღმდეგ უფრო დიდი შური აღიძრა. და მრავალი რამ ითქმოდა მის წინააღმდეგ, რაც დიდწილად მოგვიანებით დაიჯერეს მათ, ვინც ამას ისმენდა. ცილისწამების საბაბი გააჩინა მის მიერ მაშინ ევტროპიოსის წინააღმდეგ წარმოთქმულმა ქადაგებამ. საჭურისი ევტროპიოსი იყო საიმპერიო სანთიობოთა უფროსი და საჭურისთაგან პირველი იყო, ვინც მიიღო იმპერიის კონსულის თანამდებობა[416]. მას სურდა შური ეძია ზოგიერთ პირებზე, რომლებმაც თავი შეაფარეს ეკლესიას და ძალა არ დაიშურა, რომ იმპერატორებს ბრძანება გამოეცათ, რომელიც გააუქმებდა ეკლესიაში თავშესაფრის მიღებას, და მათაც, რომლებიც იქ აფარებდნენ თავს ძალით უკან გამოეთრიათ[417]. მაგრამ ამას მყისვე მოჰყვა სასჯელი. რად-

გან კანონი გამოიცა და არცთუ დიდი ხნის შემდეგ ბრალდებული გახდა ევტროპიოსი იმპერატორის წინაშე და თვითონ გაიქცა თავის შესაფარებლად ეკლესიაში. როდესაც ევტროპიოსი საკურთხევლის ქვეშ იყო გართხმული და შიშისაგან ძრწოდა, ეპისკოპოსმა მჯდომარემ ამბიონის წინ, სადაც ჩვეოდა წინათაც ქადაგება მსმენელთა დასამოძღვრავად, მამხილებელი სიტყვა წარმოთქვა მის წინააღმდეგ. ამაზე კიდევ უფრო აღშფოთდნენ ზოგიერთები, რომ განსაცდელში ჩავარდნილი არათუ შეიბრალა, არამედ, პირიქით, ამხილა. ამრიგად, მაშინ კონსულის თანამდებობაზე მყოფი ევტროპიოსის წინააღმდეგ რაღაც დანაშაულის გამო იმპერატორმა მისი თავის მოკვეთის ბრძანება გამოსცა[418], კონსულთა სიიდან ამოიშალა მისი სახელი და მხოლოდ მისი თანაკონსულის, თეოდორეს სახელი ჩაიწერა.

არსებობს გადმოცემა, რომ ეპისკოპოსმა იოანემ იმდროინდელ სარდალ გაინას მისთვის ჩვეული კადნიერებით ძლიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რადგან მან გაბედა იმპერატორისთვის ეთხოვა, რომ მისი თანამორწმუნე არიანელთათვის ქალაქში ერთი ეკლესია გამოეყო[419]. სხვა მიზეზით სხვა ძალაუფლების მქონე პირები ამხილა დიდი კადნიერებით, რის გამოც იგი ბევრთან იმყოფებოდა უთანხმოებაში.

თეოფილეც, ალექსანდრიის ეპისკოპოსი მისი ხელდასხმისთანავე იმაზე ფიქრობდა, თუ როგორი სივერაგე გაეკეთებინა მისთვის, და ზოგიერთ ჩამოსულს ფარულად ესაუბრებოდა მის შესახებ, ბევრს კი, ვინც იქ არ იყო ჩამოსული, აცნობებდა საკუთარ განზრახვას. რადგან იგი გაანაწყენა არა მხოლოდ იოანეს ზეაღმატებულმა კადნიერებამ, არამედ იმანაც, რომ მისი მმართველობის ქვეშ დაწესებული ხუცესი ისიდორეს კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსად დადგინება ვერ შეძლო.

ასეთი იყო იოანესთან დაკავშირებული ამბები და თავიდანვე მყისვე თავი იჩინა მის წინააღმდეგ განსაცდელმა.

VI თავი

თუ როგორ ცდილობდა გადატრიალების განხორციელებას გაინა და მოკლულ იქნა მას შემდეგ, რაც შფოთი აღძრა კონსტანტინოპოლში[420]

იმ ამბებს, რაც მას შეემთხვა, გიამბობთ თხრობის მსვლელობისას. მოგიყვებით მეტად ღირსსახსოვარ მოვლენის შესახებ, რაც მოხდა იმ დროს, წარმოვაჩენთ, თუ როგორ სასწაულებრივად იხსნა ღვთის წინაგანგებამ ქალაქიც და რომის იმპერია უდიდესი საფრთხისგან. ახლა ვიტყვი, თუ რა იყო ეს.

გაინა წარმომავლობით იყო ბარბაროსი, მაგრამ მან მიიღო რომის ქვეშევრდომობა და შევიდა ჯარის სამსახურში, მალე წარმატება მოიპოვა და რომაელთა კავალერიის და ქვეითი ჯარის სარდალი გახდა. როდესაც მან მიიღო ესოდენ დიდი ძალაუფლება, მან დაივიწყა საკუთარი თავი, ვერც საკუთარი აზრების შეჩერება შეძლო, არამედ, როგორც იტყვიან, ყველა ქვა გადაატრიალა, რათა რომის იმპერია მისი მმართველობისთვის დაექვემდებარებინა. მან გუთების მთელი მოსახლეობა გადმოიყვანა მისი ქვეყნიდან და მის მეგობრებს ჩააბარა ჯარის მეთაურობა. როდესაც ტრიბიგილდმა, ერთ-ერთმა მისმა ნათესავმა, ფრიგიაში დაბანაკებული ჯარისკაცების ათასისთავმა, გადატრიალება მოაწყო გაინას ბრძანებით და დაარბია ფრიგიის მთელი მოსახლეობა, გაინამ ისე მოაწყო, რომ მისთვის ჩაებარებინათ იქაური საქმეების მოწესრიგება. იმპერატორმა არკადიუსმა არაფერი იცოდა წინდაწინ და წინააღმდეგობის გაუწევლად მიანდო ეს საქმე. იგი მყისვე გაემართა, სიტყვით, ტრიბიგილდის წინააღმდეგ, მაგრამ სინამდვილეში ტირანობის განზრახვით. თან წაიყვანა ათასობით გუთი[421]. როდესაც იგი ჩავიდა ფრიგიაში, ყველაფერი მოაოხრა. მაშინათვე შფოთმა მოიცვა რომაელები, არა მხოლოდ იმიტომ, რომ გაინას შეუერთდა უამრავი ბარბაროსთა, არამედ იმიტომაც, რომ აღმოსავლეთის მნიშ-

ვნელოვანი მხარეები საფრთხის ქვეშ იყო. მაშინ იმპერატორმა არსებულ ვითარებაში მშვიდი გადაწყვეტილება მიიღო და ხერხს მიმართა ბარბაროსთან საურთიერთობოდ. მან შეუთვალა, რომ მზად იყო ყველა სიტყვით და საქმითაც ემსახურა მისთვის. როდესაც მან მოითხოვა სენატის უპირველესი პირები, კონსულები სატორნინუსი და ავრელიანე[422], რომლებზეც მას ეჭვი ჰქონდა, რომ ხელს უშლიდნენ მის წამოწყებას, იმპერატორი იძულებული შეიქნა, რომ გადაეცა ისინი მისთვის. მათ ირჩიეს საზოგადოებისთვის თავის გაწირვა, კეთილშობილურად დაემორჩილნენ იმპერატორის ბრძანებას და იმპერატორი ქალაქ ქალკედონიდან მოშორებით ჰიპოდრომად წოდებულ ადგილას წავიდა მასთან შესახვედრად. ისინი მზად იყვნენ ყველა ვნება დაეთმინათ, რასაც მოისურვებდა ეს ბარბაროსი[423]. მაგრამ მათ არაფერი უკეთურის დათმენა არ მოუწიათ. გაინა თვალის ასახვევად ჩავიდა ქალკედონში და იქ შეხვდა მას იმპერატორი არკადიუსი. ისინი შევიდნენ სამარტვილეში, სადაც ესვენა მოწამე ევფემიას[424] სხეული, ერთმანეთს შეფიცეს იმპერატორმა და ბარბაროსმა, რომ შეთქმულებას არ მოუწყობდნენ ერთმანეთს[425]. იმპერატორი სიტყვის კაცი იყო და ამიტომ ღვთისთვის სათნო, ის დარჩა ფიცის ერთგული, მაგრამ გაინამ დაარღვია ზავი და არ გადაუხვია საკუთარ მიზანს, არამედ იმაზე ფიქრობდა, რომ ცეცხლი წაეკიდა და გაეძარცვა კონსტანტინოპოლი და, თუ შეძლებდა, მთელი რომის იმპერია. ბარბაროსული გახადა მან ქალაქი მისი ათასობით ბარბაროსის მეშვეობით და თვითონ მოსახლეობა დაატყვევა. ასეთი საფრთხე რომ დაემუქრა ქალაქს, ისიც მიანიშნებდა, რომ უდიდესი კომეტა ციდან დედამიწამდე ჩამოვიდა, როგორიც არავის უხილავს აქამდე[426]. პირველად გაინამ სცადა ღიად გაეძარცვა სახელმწიფო გადაცვლის დაწესებულებებში გაყიდული ვერცხლი. როგორც კი ეს ხმა გავრცელდა, თავი შეიკავეს ვერცხლის დახლზე გამოტანისაგან. მაშინ იგი სხვა განზრახვაზე გადავიდა: შუაღამეს ბარბაროსები გაგზავნა

სასახლის დასაწვავად. და აშკარად გამოჩნდა, რომ ღმერთმა წინაგანაგო ქალაქის დაცვა, რადგან ანგელოზთა სიმრავლე ეჩვენათ შეთქმულებს ჰოპლიტების საჭურველში, დიდი აღნაგობის მქონენი[427]. ბარბაროსებმა ამით იეჭვეს, რომ ნამდვილად ეს იყო მრავალრიცხოვანი და ძლიერი ლაშქარი და შეძრწუნებულები უკან დაბრუნდნენ. როდესაც ეს აცნობეს გაინას, მას ეს დაუჯერებელი ეჩვენა (რადგან იცოდა, რომ იქ არ იყო ბევრი რომაელი ჰოპლიტი, არამედ სხვადასხვა ქალაქებში იყვნენ დაბანაკებული); მან კვლავ გაგზავნა სხვები იმავე ღამეს და შემდეგაც მრავალგზის. სხვადასხვა ადამიანები იყვნენ გაგზავნილნი, მაგრამ ერთსა და იმავეს აუწყებდნენ მას, რადგან ღვთის ანგელოზები შეთქმულთ ერთსა და იმავე წარმოსახვას წარმოუჩენდნენ. ბოლოს, თვითონ დიდი მრავალრიცხოვანი რაზმით წავიდა, რომ გამოეცადა ეს საოცრება. იგი ფიქრობდა, რომ ნამდვილად ესენი ჯარისკაცები იყვნენ და დღისით იმალებოდნენ, ღამით კი წინ აღუდგებოდნენ მის მცდელობას. ამიტომ, მან განიზრახა ხრიკის მოწყობა, რაც, როგორც ის ფიქრობდა ზიანს მოუტანდა რომაელებს, მაგრამ მოუტანა სარგებელი, როგორც ეს შედეგმა აჩვენა. მან თავი მოაჩვენა, რომ დემონით იყო შეპყრობილი და ვითომ სალოცავად წავიდა მოციქულ იოანეს სამარტვილეში, რომელიც შვიდი ნიშნულით იყო დაშორებული ქალაქიდან[428]. მას გაჰყვნენ ბარბაროსებიც და მალულად თან წაიღეს საჭურველი, ზოგი თიხის ჭურჭელში დამალეს, ზოგიც – სხვა რამ ხერხით. როდესაც ეს ხრიკი აღმოაჩინეს კარიბჭის მცველებმა, წინ აღუდგნენ შუბების გარეთ გატანას. მაშინ ბარბაროსებმა მახვილი იშიშვლეს და მცველებს შეუტიეს. ამან საშინელი შფოთი გამოიწვია ქალაქში, ჩანდა, რომ ყველას სიკვდილი ემუქრებოდა. მაგრამ ქალაქი მაშინ უსაფრთხოდ იყო, რადგან მისი კარიბჭეები ყველა მხარეს იყო დაცული. იმპერატორმა იმ დროს მიიღო მშვიდი გადაწყვეტილება: გაინა გამოაცხადა აშკარა მტრად და ბრძანება გასცა დაეხოცათ ქალაქში

დარჩენილი ბარბაროსები[429]. ერთ დღეს შუადღეს, კარიბჭის მცველთა დახოცვის შემდეგ იქ მყოფი ჯარისკაცები თავს დაესხნენ ბარბაროსებს კარიბჭის შიგნით გუთების ეკლესიის მახლობლად, რადგან აქ მოიყარეს თავი ყველა დარჩენილმა. ეკლესიას ცეცხლი წაუკიდეს და დახოცეს ძალიან ბევრი მათგანი[430].

როდესაც გაინამ შეიტყო მათი დახოცვის ამბავი, რომლებმაც ვერ მოასწრეს კარიბჭიდან გამოსვლა, მიხვდა, რომ მეტად ვეღარ ექნებოდა წარმატება მის სიცრუეს და მაშინათვე გაიქცა სამარტვილედან თრაკიის მხარეში. ჩავიდა ხერსონესში და იქიდან ლამფსაკიაში გადაცურვას და ჩასვლას ცდილობდა, რათა იქიდან შეძლებოდა აღმოსავლეთის მხარეების დაპყრობა[431]. მაგრამ იმპერატორმა დაასწრო და ჯარი გაგზავნა ხმელეთის და ზღვის გავლით, სადაც კვალავ აჩვენა ღვთის წინაგანგებამ საოცარი საქმე. ბარბაროსები გაემგზავრნენ ხომალდებით და ცდილობდნენ ტივების შეკვრას. ამ დროს რომაული ჯარის ფლოტი გამოჩნდა მოულოდნელად. ზეფიროსის ძლიერი ქარი ქროდა. რომაელებმა იოლად გადაცურეს, მაგრამ ბარბაროსები ცხენებითურთ ტივებზე ღელვისაგან გადაცვივდნენ და დაიღუპნენ ზღვაში. მრავალი მათგანი რომაელთა ხელითაც დაიღუპა. ასე განადგურდა უამრავი ბარბაროსი გადაცურვისას. გაინა კვლავ უკან დაბრუნდა და თრაკიის გავლით ილტვოდა, მაგრამ რომაელთა სხვა ჯარის ხელში ჩავარდა და მოკლულ იქნა მის თანმხლებ ბარბაროსებთან ერთად[432].

ეს გაკვრით ითქვა გაინას შესახებ. ვისაც სურს ამ ომში მომხდარი მოვლენების ზედმიწევნით შესწავლა, წაიკითხოს ევსები სქოლასტიკოსის „გაიანიდა“, რომელიც იმხანად იყო სოფისტ ტროილოსის მოწაფე. იგი იყო ამ ომის თვითმხილველი და ოთხ წიგნში ჰეროიკული საზომით გადმოცა ეს ამბები, და ვინაიდან ეს იყო ახლანდელი მოვლენები, მისმა პოემებმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მკითხველებში. ახლა კი პოეტმა ამონიოსმა იმავე თემაზე შეთხზა სიმღერა უმცროსი თეოდოსის

მეთექვსმეტე გზის კონსულობისას, რომელსაც ის აღასრულებდა ფავსტუსთან ერთად. მან ის წარმოადგინა თვით თვითმპყრობელის წინაშე და ბრწყინვალე მოწონება დაიმსახურა.

ეს ომი დასრულდა სტელოხონოსის და ავრელიანეს კონსულობის დროს. მომდევნო კონსულობა გადაეცა ფრავიტოსს, ისიც წარმომავლობით გუთი იყო, მაგრამ დიდი კეთილგანწყობა ჰქონდა რომაელების მიმართ, იმ ომშიც ძლიერ გამოიჩინა თავი. ამიტომ, მან მიიღო კონსულის ღირსება[433], როდესაც იმპერატორ არკადიოსს შეეძინა ძე, კეთილი თეოდოსი, აპრილის თვის ათში[434].

ეს ითქვა ამ მოვლენების შესახებ. მაგრამ მაშინ, როდესაც ესოდენი უბედურებები დაატყდა თავს რომის იმპერიას, ისინი, ვისთვისაც მინდობილი იყო სამღვდელო მსახურება ხლართავდნენ მზაკვრობებს თავიანთი თავის წინააღმდეგ და არანაირად არ იკავებდნენ თავს ქრისტიანობის შეურაცხყოფისაგან. რადგან იმავე დროს ერთმანეთის წინააღმდეგ დაპირისპირებას ესწრაფოდნენ მღვდლები. ამ ბოროტებამ დასაბამი მიიღო ეგვიპტიდან. მიზეზი კი გახდა შემდეგი რამ.

VII თავი
თუ როგორი უთანხმოება ჩამოვარდა ალექსანდრიის ეპისკოპოს თეოფილეს და მეუდაბნოე მონაზვნებს შორის. აგრეთვე ორიგენეს წიგნების დაგმობის შესახებ[435]

ცოტა ხნის წინ აღიძრა კვლევა-ძიება: ღმერთი არის სხეული და ადამიანის გარეგნობა აქვს მას, თუ უსხეულოა და უცხო ადამიანური და, მარტივად რომ ვთქვათ, ყოველგვარი სხეულებრივი გარეგნობისაგან. ამ ძიებისგან მრავალთან გაჩნდა დავა და კამათი, ზოგი თავისას უმატებდა ამ სწავლებას, ზოგი საწი-

ნააღმდეგოს იცავდა. განსაკუთრებით მრავალი უბრალო ასკეტი ფიქრობდა, რომ ღმერთი იყო სხეულებრივი და ადამიანის სახის მქონე[436], მაგრამ უმრავლესობა ამ შეხედულებას გმობდა და ამბობდა, რომ ღმერთი უსხეულო იყო და აცხადებდა, რომ ყოველგვარი სხეულებრივი ფორმის გარეშე არსებობდა. ამ უკანასკნელთ ეთანხმებოდა ალექსანდრიის ეპისკოპოსი თეოფილეც, ისე რომ ეკლესიაში ხალხის წინაშე შეუტია მათ, ვინც ამბობდა, რომ ღვთაება ადამიანის სახის იყო, და განაჩინა ღმერთის არსებობა როგორც უსხეულოსი[437]. როდესაც ეს შეიტყვეს ეგვიპტელმა ასკეტებმა, დატოვეს მონასტრები და ალექსანდრიაში ჩამოვიდნენ, აუმბოხდნენ თეოფილეს, მიიჩნევდნენ, რომ ის უღმერთო იყო და სურდათ მისი მოკვლა. ეს რომ შეიტყო თეოფილემ, საგონებელში ჩავარდა და მოიფიქრა, თუ როგორ დაეღწია თავი სიკვდილის მუქარისთვის. იგი ეჩვენა მათ, მივიდა მათთან და ხერხის გამოყენებით მიმართა: „ისე გხედავთ თქვენ, როგორც ღვთის პირს“. ამ სიტყვებმა თავბრუ დაახვიეს მონაზვნებს. მათ უთხრეს: „თუ მართალს ამბობ, რომ ღმერთის სახე არის ისეთი, როგორიც არის ჩვენი, მაშინ განკვეთე ორიგენეს წიგნები. რადგან მათგან იღებენ საფუძველს მსჯელობისთვის ზოგიერთები და უპირისპირდებიან ჩვენს შეხედულებას. მაგრამ ასე თუ არ მოიქცევი, ჩვენგან მიიღებ იმას, რასაც იმსახურებს უღმერთო და ღმერთის წინააღმდეგ მებრძოლი კაცი“. თეოფილემ მიუგო: „მე გავაკეთებ იმას, რაც თქვენ გადაგიწყვეტიათ, ოღონდ ნუ განრისხდებით ჩემზე. მეც მტრულად ვუყურებ ორიგენეს წიგნებს და ვკიცხავ, ვინც მათ იწონებს.“ ასე შეიყვანა შეცდომაში მაშინ მონაზვნები და წავიდა. ალბათ, ეს ძიება აქ დასრულდებოდა, სხვა საქმე რომ არ დართვოდა მას.

ეგვიპტეში ასკეტთა სახლების წინამდგომლობდნენ ოთხი კეთილკრძალული კაცი, დიოსკორე, ამონიოსი, ევსები და ეფთვიმე[438]. თვითონ ისინი ძმები იყვნენ, სხეულის სიმაღლის გამო „გრძელებს“ უწოდებდნენ. ცხოვრებითაც და სიტყვითაც გამორ-

ჩეული იყვნენ და ამიტომ მათი სახელი დიდად განთქმული იყო ალექსანდრიაში. ალექსანდრიის ეპისკოპოს თეოფილეს ძალიან უყვარდა და პატივს სცემდა ამ ადამიანებს. ამიტომ, მან ერთი მათგანი, დიოსკორე, ძალით წაიყვანა და ჰერმოპოლის ეპისკოპოსად დაადგინა, ორ მათგანს თავისთან მოუხმო, რომ მასთან ეცხოვრათ და ძლივს დაარწმუნა, როგორც ეპისკოპოსმა აიძულა. მათ სასულიერო პირის ხარისხი მიანიჭა და ეკლესიის განმგებლობა ჩააბარა. ისინი იძულებით დარჩნენ და მშვენივრად შეუდგნენ მეურნეობას, თუმცა წუხდნენ, რომ ისე ვერ ფილოსოფოსობდნენ, როგორც სურდათ ასკეტურ ღვაწლს შედგომილთ. დროთა განმავლობაში მათ დაიწყეს ფიქრი, რომ ეს ავნებდა მათ სულს, როდესაც ხედავდნენ, რომ ეპისკოპოსი სავაჭრო საქმიანობაზე იყო გადასული, მთელ ძალისხმევას ქონების მოხვეჭისთვის იყენებდა და ამისთვის, როგორც იტყვიან, ყველა ქვას აბრუნებდა. ამიტომ, მათ უარი განუცხადეს მასთან დარჩენაზე, უთხრეს, რომ უყვარდათ უდაბნო და მას ამჯობინებდნენ ქალაქში ცხოვრებას. ის კი, სანამ შეიტყობდა ნამდვილ მიზეზს, შეაგონებდა მასთან დასარჩენად, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ეს გაიგო, როდესაც მათ მიერ იქნა გაკიცხული, რისხვით აღივსო და დაემუქრა მათ, რომ ყველანაირ ბოროტებას დაატეხდა მათ თავზე. მაგრამ მათ ნაკლებად ადარდებდათ მუქარა და წავიდნენ უდაბნოში. თეოფილეს გული მოუვიდა, როგორც ჩვეოდა, ცოტა ხანი არ უტევდა მათ, არამედ ესწრაფოდა, რომ ყველა სახის ხრიკებით ვერაგულად ემოქმედა მათ წინააღმდეგ. მან მყისვე შეიძულა მათი ძმა დიოსკორე, ჰერმოპოლის ეპისკოპოსი. იგი ძლიერ დამწუხრდა, რადგან ასკეტები მათ ემხრობოდნენ და დიდად პატივს მიაგებდნენ მათ. მიხვდა, რომ ამ ადამიანებს ვერაფრით ავნებდა, მონაზვნებს თუ არ აუმხედრებდა მათ. ამისთვის მიმართა შემდეგ გზას.

მან კარგად იცოდა ამ კაცების მიერ მრავალგზის ნათქვამი ღმერთის შესახებ მასთან საუბარში, რომ ღმერთი იყო უსხეულო და არავითარ შემთხვევაში ადამიანის სახის მქონე, რადგან

ადამიანის სახეობას აუცილებლად მოჰყვებოდა ადამიანური ვნება, და ეს იქნა მხილებული ძველი მამების მიერ, განსაკუთრებით ორიგენეს მიერ. ასევე ფიქრობდა ღმერთის შესახებ თეოფილეც, მაგრამ მტრებისთვის შურის საგებლად უყოყმანოდ უკუაგდო მის მიერ მშვენივრად განჩინებული სწავლება. მან თან წაიყოლა უამრავი მონაზონი, რომლებიც უზაკველნი იყვნენ, მაგრამ უსწავლელნი, მრავალი მათგანი წერა-კითხვის უმეცარი იყო. მან დააგზავნა უდაბნოში სამოღვაწეო სახლებში, რომ არ დაეჯერათ დიოსკორესთვის, არც მისი ძმებისთვის, რომლებიც ამბობდნენ, რომ ღმერთი უსხეულო იყო. იგი ამბობდა: „საღვთო წერილის მიხედვით ღმერთს აქვს თვალები, ყურები, ხელები და ფეხები, ისევე როგორც ადამიანებს, დიოსკორეს გარშემო მყოფნი კი ორიგენეს მისდევენ[439] და მკრეხელური მოძღვრება შემოაქვთ, რომ ღმერთს არც თვალები, არც ყურები, არც ხელები და არც ფეხები აქვს[440]“. ასეთი სოფისტობით წარიტაცა უამრავი მონაზონი, და ფიცხელი დაპირისპირება ჩამოვარდა მათ შორის. ვისაც გაწვრთნილი გონება ჰქონდა, ისინი ვერ წარიტაცა ამ ხრიკმა, არამედ დიოსკორეს გარშემო მყოფთ და ორიგენეს ენდობოდნენ. მაგრამ უფრო მარტივი გონების მქონეთ, რომლებიც უფრო მეტი იყვნენ, მხურვალე მოშურნეობა ჰქონდათ და მყისვე წავიდნენ ძმების წინააღმდეგ. მათ შორის იყო განყოფა და ერთმანეთს, როგორც უღმერთოებს ისე ეპყრობოდნენ. თეოფილეს მომხრეები ძმებს ორიგენისტებს და უღმერთოებს უწოდებდნენ. ისინი კი თეოფილეს მიერ გადაბირებულთ „ანთროპომორფისტებს“ უწოდებდნენ. ამის გამო არამცირედი ქიშპი ჩამოვარდა და დაუნდობელი ომი დაიწყო მონაზვნებს შორის. როდესაც თეოფილე მიხვდა, რომ მიაღწია საწადელს, უამრავი ბრბოს თანხლებით გაემართა ნიტრიაში, სადაც მდებარეობდა სამოღვაწეო სახლები და აღჭურვა მონაზვნები დიოსკორეს და მისი ძმების წინააღმდეგ. მათ კი ძლივს დააღწიეს თავი სიკვდილის საფრთხეს[441].

ამ მოვლენების უმეცარი არ დარჩენილა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი იოანე, რომელიც იმხანად ყვაოდა და სახელგანთქმული იყო მისი სწავლებებით. პირველ რიგში მან გაზარდა ლოცვები ღამის თევის საგალობლებში შემდეგი მიზეზით.

VIII თავი

თუ როგორ მართავდნენ ღამისთევის საღვთისმსახურო შეკრებებს არიანელები და „თანაარსის“ მომხრეები და გალობდნენ ანტიფონურ საგალობლებს, რომლებსაც მიაწერენ ეგნატეს „ღმერთშემოსილად“ წოდებულს. ორ დაჯგუფებას შორის დაპირისპირების შესახებ

როგორც ვთქვი, არიანელები ქალაქის გარეთ მართავდნენ შეკრებებს[442]. როდესაც თითოეული მათგანი შვიდეულის დღესასწაულს ზეიმობდა, ვგულისხმობ შაბათს და კვირა დღეს, როცა ჩვეულებისამებრ ეკლესიებში იმართება შეკრებები, ისინი ქალაქის კარიბჭის შიგნით სტოების მახლობლად იყრიდნენ თავს და არიანულ შეხედულებებს ურთავდნენ ანტიფონურ ოდებს და გალობდნენ. ასე ატარებდნენ ღამის დიდ ნაწილს, ცისკარს კი ასეთი ანტიფონების გალობით შუა ქალაქის გავლით გადიოდნენ კარიბჭიდან და მიემართებოდნენ იმ ადგილას, სადაც იკრიბებოდნენ. ვინაიდან ისინი არ წყვეტდნენ „თანაარსის“ აღმსარებელთა გასაღიზიანებელი სიტყვების წარმოთქმას (ისინი წარმოთქვამდნენ ასეთ საგალობელს: „სად არიან, რომლებიც ამბობენ, რომ სამი არის ერთი ძალა?“), მაშინ იოანე შეშინდა, ასეთი საგალობლებით ვინმე ლიტონი არ წარეტაცათ ეკლესიიდან და მათ დაუპირისპირა მისი ხალხი, რათა მათაც მოეცალათ ღამისთევის გალობისთვის და გადაეფარათ მათი ასეთი მოშურნეობა, თავისიანები კი კიდევ უფრო განემტკიცებინა მათსავე რწმენაში. იოანეს მიზანი მშვიდი ჩანდა, მაგრამ შფოთით

და საფრთხით დასრულდა. რადგან როდესაც „თანაარსის“ მომხრეთა უბრწყინვალესი ჰიმნები ღამისთევის საგალობლებში წარმოითქმებოდა (განზრახული იყო ვერცხლის ჯვრები და ანთებული კერეონები ეტარებინათ, დედოფალმა ევდოქსიამ გაიღო ამისთვის ხარჯები), უამრავი არიანელი შურით აღივსო, თავს დაესხა და შეტაკება მოაწყო. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ძალაუფლების ქონებისგან გულმოცემულები ჩაებნენ ბრძოლაში და არაფრად აგდებდნენ მათ. ამრიგად, მოულოდნელად ერთ ღამეს თავს დაესხნენ და ქვა ესროლეს შუბლში დედოფლის საჭურისს ბრისონს, ცემეს მგალობლები, ზოგიერთი მოსახლეობიდან დაიღუპა ორივე მხარეს. ამიტომ, იმპერატორმა აკრძალა არიანული საგალობლების გალობა საჯაროდ.

ეს მოხდა მაშინ. მაგრამ უნდა ითქვას, თუ საიდან წარმოიშვა ანტიფონების გალობის ჩვეულება ეკლესიაში. სირიის ანტიოქიაში პეტრე მოციქულიდან მესამე ეპისკოპოს ეგნატეს, რომელიც თვით მოციქულებს იცნობდა, ანგელოზთა ხილვა ჰქონდა, რომლებიც ანტიფონებით უგალობდნენ წმინდა სამებას და ხილვით გაცხადებული ეს წესი გადასცა ანტიოქიის ეკლესიას[443]. აქედან გავრცელდა და დაცულ იქნა ეს გადმოცემა ყველა ეკლესიაში.

IX თავი
თეოფილეს და პეტრეს შორის გამართული დავის შესახებ, როდესაც პირველი ცდილობდა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის, იოანეს განყენებას

ასეთია გადმოცემა ანტიფონური საგალობლების შესახებ. არცთუ დიდი ხნის შემდეგ უდაბნოს მონაზვნები წავიდნენ კონსტანტინოპოლში დიოსკორესთან და მის ძმებთან ერთად[444]. მათთან ერთად იქ იმყოფებოდა ისიდორე, რომელიც ადრე ეპისკო-

პოს თეოფილესთვის იყო მეტად ძვირფასი, მაგრამ მაშინ მან ის მოიძულა შემდეგი მიზეზით.

ვინმე პეტრე იყო ალექსანდრიაში ეკლესიის პროტოპრესვიტერი[445]. მას გადაემტერა თეოფილე და განიზრახა მისი ეკლესიიდან განდევნა, და გაკიცხა იგი, რომ თითქოს მან ერთი მანიქეველი სარწმუნოების მიმდევარი ქალი მიიღო წმინდა საიდუმლოების თანაზიარებაში, ისე რომ მანამდე იგი არ განდგომია მანიქეურ მწვალებლობას. მაგრამ, როდესაც პეტრემ უთხრა, რომ ეს ქალი გადასული იყო ამ სარწმუნოებიდან და არც თეოფილეს ნების გარეშე არ მიუღია იგი, თეოფილე აღშფოთდა, თითქოს მას ცილს სწამებდნენ: ამბობდა, რომ არ იცოდა ამის შესახებ. მაშინ პეტრემ ისიდორეს მოუხმო მოწმედ, რომ ეპისკოპოსმა იცოდა ამ ქალის შესახებ. მოხდა ისე, რომ იმ დროს ისიდორე იმყოფებოდა სამეუფო ქალაქ რომში, რადგან გაგზავნილი იყო თეოფილეს მიერ რომის ეპისკოპოს დამასსთან ფლაბიანეს ანტიოქიის ეპისკოპოსობიდან გასათავისუფლებად[446]. რადგან მელეტის მომხრეები გამოეყვნენ ფლაბიანეს ფიცის გამო, როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნე[447]. ასე რომ, რომიდან უკან დაბრუნებულმა ისიდორემ, პეტრეს მიერ მოწმედ როცა იქნა მოხმობილი, თქვა, რომ მანიქეველი მიღებული იქნა და ეზიარა საიდუმლოებებს ეპისკოპოსის ნების თანახმად. რისხვით აენთო თეოფილე და ორივე განდევნა ეკლესიიდან[448]. ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ისიდორე დიოსკორეს მომხრეებთან ერთად ჩავიდა კონსტანტინოპოლში, რათა იმპერატორთან და ეპისკოპოს იოანესთან ემხილებინა მათ წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულებები. როდესაც ეს შეიტყო იოანემ, ეს ადამიანები პატივით მიიღო და ხელი არ შეუშალა,რომ ეკლესიაში ლოცვებში მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ ზიარებაში არ დაუშვა საქმის გარკვევამდე[449].

საქმის ასეთი ვითარება იყო, როცა თეოფილეს ყურამდე მიაღწია ცრუ ცნობამ, თითქოს იოანემ საიდუმლოში მიიღო ისინი და მზად იყო, ისინი დაეცვა. ამიტომ, იგი ყველა გზას

მიმართავდა, რომ არა მხოლოდ დიოსკორეს და ისიდორეს მომხრეებისთვის შეეტია, არამედ იოანეც განეყენებინა საყდრიდან. ამრიგად, მან ქალაქებში ეპისკოპოსებს გაუგზავნა ეპისტოლეები, დაფარა თავისი განზრახვა, მხოლოდ ორიგენეს წიგნებს კიცხავდა, რომლებსაც მის უწინ ათანასე მრავალგზის იყენებდა მისი მრწამსის დასამოწმებლად „არიანელთა წინააღმდეგ“ ნაშრომებში[450].

X თავი
თუ როგორ მოიწვია კვიპროსის ეპისკოპოსმა ეპიფანემ კრება და დაგმო ორიგენეს წიგნები

[თეოფილე] დაუმეგობრდა კვიპროსის კონსტანციის ეპისკოპოს ეპიფანეს, რომელსაც მანამდე მასთან უთანხმოება ჰქონდა. რადგან თეოფილემ გაიცხა ეპიფანე, რომ ის ღმერთის შესახებ დაკნინებულად ფიქრობდა, როცა მას კაცის სახის მქონედ მიიჩნევდა[451]. ასეთი შეხედულება ჰქონდა თეოფილეს ღმერთის შესახებ და კიცხავდა მათ, ვინც ღმერთს ადამიანის სახის მქონედ მიიჩნევდა და სხვებისადმი მტრობის გამო უარი თქვა ღიად იმაზე, რასაც ფიქრობდა და დაუმეგობრდა ეპიფანეს, რომელთანაც მაშინ უთანხმოებაში იყო, ვითომ შეინანა და ღმერთის შესახებ მისეული შეხედულების თანამოაზრე გახდა. მან კვიპროსელი ეპისკოპოსების კრება გამართა, რათა ცილი დაეწამა ორიგენეს წიგნებისთვის. ეპიფანე ზეაღმატებული კეთილკრძალულების გამო ლიტონი კაცი იყო და სწრაფად გამოეხმაურა თეოფილეს წერილებს[452]. მან გამართა კუნძულის ეპისკოპოსთა სხდომა და აკრძალა ორიგენეს წიგნების კითხვა, ეპისტოლეები გაუგზავნა იოანეს და ურჩევდა თავი შეეკავებინა ორიგენეს წიგნების კითხვისგან, მასაც გაემართა კრება და იგივე განჩინება გამოეტანა. ასე წარიტაცა თეოფილემ კეთილკრძალულებით სახელგანთქმული ეპიფანე[453], და, როცა ნახა, რომ წარმატებით აღსრულდებოდა

მისი მიზანი, გაბედა და მანაც შეკრიბა მრავალი ეპისკოპოსი, ორიგენეს წიგნების წინააღმდეგ, რომელიც დაახლოებით ორასი წლის გარდაცვლილი იყო[454] ეპიფანეს მსგავსი ცილისწამება აღძრა. მაგრამ ძირითადად მას არ ამოძრავებდა ეს მიზანი, არამედ ესწრაფოდა შური ეძია დიოსკორეს მომხრეებზე.

მაგრამ იოანე არად აგდებდა იმას, რაც შეატყობინეს მას ეპიფანემ და თეოფილემ, არამედ მთელი ყურადღება გადატანილი ჰქონდა ეკლესიათა დამოძღვრისაკენ. იგი სახელგანთქმული ამ მოღვაწეობით და სიტყვას არ ძრავდა მის წინააღმდეგ წარმოებული შეთქმულების შესახებ. მაგრამ მას შემდეგ, რაც მრავალთათვის გაცხადდა, რომ თეოფილე ესწრაფოდა იოანეს ეპისკოპოსობიდან განყენებას, მაშინ მათაც აღძრეს მის წინააღმდეგ შეთქმულება, რომლებსაც შუღლი ჰქონდათ იოანესადმი. მრავალი მათგანი იყო სასულიერო პირი, მრავალი კი საიმპერიო კარზე უდიდესი ძალაუფლების მქონე თანამდებობის პირები. მათ ისაზრეს, რომ ხელსაყრელი დრო იყო მათთვის, როდესაც იოანესთვის უნდა შეეტიათ და კონსტანტინოპოლში უდიდესი კრების გამართვა მოაწყვეს. ეს გადაწყვეტილება მათ ზოგი ეპისტოლეებით, ზოგი დაუწერლად გაავრცელეს.

XI თავი
სევერიანეს და ანტიოქოსის შესახებ, იოანესთან მათი უთანხმოების შესახებ[455]

იოანესადმი სიძულვილი გაზარდა ამ სხვა მოვლენამაც. იმავე დროს სახელი გაითქვეს ორმა ეპისკოპოსმა, სევერიანემ და ანტიოქოსმა[456], რომლებიც წარმომავლობით სირიელები იყვნენ. სევერიანე გაბალოვნელი იყო (ეს არის ქალაქი სირიაში), ანტიოქოსი კი ფინიკიაში პტოლემაიდის ეკლესიას წინამდგომლობდა. ორივე მათგანი განთქმული იყო რიტორიკული სიტყვებით,

მაგრამ თუმც სევერიანე ჩანდა, რომ განათლებული იყო, სრულად ვერ განმარტავდა ბერძნულ ენაზე, არამედ მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულად მეტყველებდა, სირიული გამოთქმა ჰქონდა. ანტიოქოსი პირველად პტოლემაიდელი იყო და შემდეგ ჩავიდა კონსტანტინოპოლში, ერთხანს ეკლესიებში გულმოდგინედ მოძღვრავდა, ამით დიდი ქონება მოიხვეჭა და თავისთან დაბრუნდა. სევერიანემ შეიტყო, რომ ამის შემდეგ ანტიოქოსმა კონსტანტინოპოლიდან ქონება მოაგროვა, შური აღეძრა და მანაც მოინდომა ასე მოქცევა. ამრიგად, იგი განისწავლა, შეადგინა ვრცელი თხზულებები და ისიც წავიდა კონსტანტინოპოლში. იგი სიხარულით მიიღო იოანემ. გარკვეული დრო იგი ეპირფერებოდა იოანეს და მლიქვნელობდა, მასაც არანაკლებ უყვარდა და პატივს სცემდა. მან გამოიჩინა თავი სასწავლებლებში, მრავალი მაღალი თანამდებობის პირისთვის და თვით იმპერატორისთვის ცნობილი გახდა. ამ დროს მოხდა ისე, რომ აღესრულა ეფესოს ეპისკოპოსი, აუცილებლად მიიჩნია იოანემ ეფესოში გამგზავრება ეპისკოპოსის ხელდასასხმელად[457].

(ვერსია A)[458]

როდესაც ის იქ ჩავიდა, სხვადასხვა დაჯგუფებები ცდილობდნენ თავიანთი კანდიდატის წამოყენებას, თვითონ თავისი ერთ-ერთი დიაკონი, ვინმე ჰერაკლიდე, წარმოშობით კვიპროსელი, წამოაყენა ეპისკოპოსად. ამის გამო წარმოიშვა ამბოხი ეფესოში, რადგან ჰერაკლიდეს ეპისკოპოსობის ღირსად არ მიიჩნევდნენ[459]. ამიტომ, იოანე შეყოვნდა ეფესოში. სევერიანემ გააგრძელა კონსტანტინოპოლში ცხოვრება და ხალხისთვის საამური გახდა მისი მოსმენა. ეს არ დაეფარა იოანეს, რადგან სერაპიონისგან შეიტყო მისი საქციელების შესახებ, რომელიც ძალიან უყვარდა იოანეს და ყველა საეპისკოპოსო საქმე მას მიანდო მისი კეთილკრძალულების, ყველაფერში სანდოობის, ყველაფერში სიფხიზლისა და ეპისკოპოსის საამებლად გულმოდგინების გამო.

მალე იოანე ჩამოვიდა კონსტანტინოპოლში. კვლავ შეუდგა ეკლესიათა სათანადო გამგებლობას. დიაკონ სერაპიონსა და სევერიანეს შორის დიდი სულმდაბლური ურთიერთობები გაჩნდა. სერაპიონი სევერიანეს უპირისპირდებოდა, რადგან მას სურდა იოანეს აღმატებოდა დიდებით, სევერიანეს კი შურდა სერაპიონის იმის გამო, რომ ეპისკოპოსი იოანე მასთან ახლოს იყო და მას ჩააბარა მთელი საეპისკოპოსო საქმეები. როდესაც ასე იყვნენ ერთმანეთის მიმართ განწყობილი, სიძულვილის ბოროტება უფრო მეტად განივრცო შემდეგი მიზეზით. ერთხელ, როდესაც სევერიანემ გვერდით ჩაიარა, სერაპიონმა მას არ მიაგო ეპისკოპოსისათვის შესაფერისი პატივი და არ წამოდგა ფეხზე, ან იმიტომ, რომ ვერ დაინახა, როგორც შემდგომში კრების წინაშე ფიცით დაადასტურა, ანდა არაფრად ჩააგდო ეპისკოპოსის წინაშე ყოფნა, როგორც ამბობდა სევერიანე, მე არ შემიძლია რაიმეს თქმა, მხოლოდ ღმერთმა უწყის. მაგრამ მაშინ სევერიანემ ვერ აიტანა სერაპიონის მიერ მისი უგულებელყოფა და ამის შემდეგ კრების ერთობლივ განხილვამდე[460] მან ფიცით განსაჯა სერაპიონი და არა მხოლოდ დიაკვნის ხარისხიდან განკვეთა, არამედ თვით ეკლესიიდანაც. როდესაც ეს შეიტყო იოანემ, ძალიან ეწყინა. ამის შემდეგ[461] საქმე გამოძიებულ იქნა კრების წინაშე, სერაპიონმა თავი იმართლა და დაამტკიცა, რომ ვერ დაინახა და მოწმეებიც მოიყვანა. მაშინ ერთად შეკრებილმა ეპისკოპოსებმა მას მიუტევეს და მოუწოდეს სევერიანეს, რომ მიეღო სერაპიონის თავის მართლება. ეპისკოპოსმა იოანემ კი სევერიანეს დასაკმაყოფილებლად განაშორა სერაპიონი, ერთი კვირით განაყენა დიაკვნის პატივისგან, თუმცა ყველა საქმეში ის ჰყავდა როგორც მარჯვენა ხელი და საეკლესიო საკითხებში მეტად გამჭრიახი და გულმოდგინე კაცი იყო. მაგრამ სევერიანე ამას არ დასჯერდა, არამედ ყველაფერს იქმოდა, სრულებით რომ განეკვეთა სერაპიონი დიაკვნობიდან და ზიარებიდან. ამის გამო ძლიერ დამწუხრდა იოანე, ადგა კრებიდან და განაჩენის გამოტანა დაუტო-

ვა იქ დამსწრე ეპისკოპოსებს, მათ უთხრა: „თქვენ ხართ ღირსქმნილი, თავად გამოიკვლიოთ და გადაწყვიტოთ, თუ რა განაჩენი უნდა გამოიტანოთ. რადგან მე უარს ვაცხადებ მათ შორის საქმის გარჩევას“. როდესაც ეს თქვა იოანემ და ადგა, მსგავსადვე ადგა ერთობლივი კრება და დატოვა განჩინება ასე, უფრო მეტად გაკიცხეს სევერიანე, რომ არ შეისმინა ეპისკოპოს იოანეს სიტყვები. ამის შემდეგ იოანემ აღარ მიიღო სევერიანე თავისი ბედის გამზიარებლად[462], არამედ ურჩევდა თავის სამშობლოში დაბრუნებულიყო და განუცხადა: „სევერიანე, სასარგებლო არ არის ამდენ ხანს შენთვის ჩაბარებული მრევლი მზრუნველობის და ეპისკოპოსის გარეშე იყოს, ამიტომ იჩქარე და ჩადი შენს ეკლესიაში, უქმად ნუ არის მადლი შენში“. მაგრამ ის უკვე მომზადებული იყო სამგზავროდ

(ვერსია B)

როდესაც იოანე ჩავიდა იქ, ყველა ესწრაფოდა თავ-თავიანთი კანდიდატის წამოყენებას და ძლიერ უპირისპირდებოდა ერთმანეთს იმ განჩინებების გამო, რაც გამოჰქონდა თითოეულ მათგანს. როდესაც იოანემ დაინახა, რომ ორივე მხარე ერთმანეთს ემეტოქებოდა და არაფერში არ სურდა დამორჩილებოდა მის შეგონებებს, დაუცხრომლად ესწრაფოდა მათ შორის ქიშპის განქარვებას. ასე მან თვითონ ეპისკოპოსად წამოაყენა დიაკონი, ვინმე ჰერაკლიდე, წარმოშობით კვიპროსელი[463]. ამგვარად დაწყნარდა ორივე მხარე და შეწყვიტეს თავიანთი დავები. აუცილებელი იყო, რომ იოანე გარკვეული დროით შეყოვნებულიყო ეფესოში[464]. მის იქ არ ყოფნის დროს სევერიანემ კონსტანტინოპოლში უფრო მეტად მოიგო მსმენელთა გული. მაგრამ ეს არ დაემალა იოანეს (რადგან მალე აუწყეს მას, რაც ხდებოდა), სერაპიონმა კი, რომლის შესახებაც წინათ ვახსენეთ, ასმენდა მას და ამბობდა, რომ შფოთს აღძრავდა ეკლესიაში. მაშინ იოანეს შური გაუჩნდა მის მიმართ. გზად გაიარა მრავა-

ლი ეკლესიიდან განაყენა ნოვაციანელები და მეთოთხმეტელე-ბი და ჩავიდა კონსტანტინოპოლში, კვლავ ხელში აიღო ეკ-ლესიებზე სათანადო გამგებლობა. მაგრამ არავის შეეძლო სერა-პიონის მზვაობრობისა და ქადილის ატანა. მას შემდეგ, რაც მან ეპისკოპოს იოანეს წინაშე მოიხვეჭა კადნიერება, ცდილობდა ყველას ისე მოპყრობოდა, როგორც საჭიროდ მიიჩნევდა. ამიტომ, ეპისკოპოსის მიმართ სიძულვილი უფრო მეტად გააძლიერა. ერთხელ, როდესაც სევერიანემ გვერდით ჩაიარა, მან არ მიაგო მას ეპისკოპოსისთვის შესაფერისი პატივი, ფეხზე არ წამოდგა, აჩვენა, რომ არაფრად აგდებდა სევერიანეს იქ ყოფნას. სევერი-ანემ ვერ აიტანა სერაპიონის მიერ მისი უგულებელყოფა და იქ დამსწრეთა წინაშე ხმამაღლა დაიძახა: „თუ სერაპიონი ქრისტი-ანად მოკვდება, ქრისტე არ განკაცებულა.“ ამ საბაბით სერაპი-ონმა აშკარად გადაამტერა სევერიანე იოანეს, დაფარა დაზუსტება – „თუ სერაპიონი ქრისტიანად მოკვდება“ და განაცხადა, რომ სევერიანემ მხოლოდ თქვა: „სწორედ რომ ქრისტე არ განკაცე-ბულა“; და ამ სიტყვების მოწმედ თავისი თანამებრძოლები მოი-ყვანა. ასე რომ, იოანემ დაუყოვნებლივ გააძევა იგი ქალაქიდან.

(ერთადერთ ხელნაწერში შემონახული ვერსია)

როდესაც ეს შეიტყო დედოფალმა ევდოქსიამ, გაკიცხა იოანე და განკარგულება გასცა, რომ სასწრაფოდ უკან მოეხმოთ სევერ-იანესთვის ბითვინიის ქალკედონიდან. იგი მაშინათვე ჩამოვიდა. მაგრამ იოანემ თავი აარიდა მასთან მეგობრობას და არც ერთ რჩევას არ დაჰყვა, სანამ ევდოქსიამ მოციქულთა სახელობის ეკლესიაში თავისი ვაჟიშვილი თეოდოსი, აწ სვე-ბედნიერად გამგებელი, მაშინ კი სრულებით ყრმა იოანეს მუხლებთან დააწვინა, მრავალჯერ დააფიცა და ძლივს დაარწმუნა, მიეღო სევერი-ანესთან მეგობრობა[465]. ასე დამეგობრდნენ საჯაროდ, მაგრამ არანაკლებ მტრულ ზრახვაზე დარჩნენ ერთმანეთის მიმართ[466].

XII თავი
თუ როგორ აღასრულა ეპიფანემ თეოფილეს საამებლად ხელდასხმები კონსტანტინოპოლში იოანეს ნებართვის გარეშე[467]

სევერიანეს მიმართ [იოანეს] განაწყენების საფუძველი ეს იყო. მაგრამ არცთუ დიდი ხნის შემდეგ კვიპროსის ეპისკოპოსი ეპიფანე თეოფილეს რჩევით ჩამოვიდა კონსტანტინოპოლში, თან ჩამოიტანა ორიგენეს წიგნების დაგმობა, რომელთა მეშვეობით განკვეთილად აცხადებდა არათუ ორიგენეს, არამედ მხოლოდ მის წიგნებს გმობდა[468]. იგი მიადგა იოანეს სამარტვილეს (ქალაქიდან დაშორებულია შვიდი ნიშნულით[469]), გადმოვიდა ხომალდიდან, საღვთისმსახურო შეკრება აღასრულა, დიაკონს ხელნი დაასხა[470] და მაშინათვე ქალაქში შევიდა. მან უარი თქვა იოანეს მოწვევაზე თეოფილეს საამებლად და თავისთვის მარტო ცხოვრობდა. მან მოიწვია იქ მკვიდრი ეპისკოპოსები და წაუკითხა მათ ორიგენეს წიგნების მგმობელი განჩინებები, მას არ ძალუძდა რაიმეს თქმა მათ წინააღმდეგ, გარდა იმისა, რომ მისთვისაც და თეოფილესთვისაც მოსაწონი იყო მათი უკუგდება[471]. ზოგიერთები პატივს სცემდნენ ეპიფანეს და ამიტომ ხელი მოაწერეს, მაგრამ ბევრმა უარი განაცხადა ამის გაკეთებაზე, რომელთა შორის იყო სკვითიის ეპისკოპოსი თეოტიმე, რომელმაც ასე მიუგო ეპიფანეს: „ეპიფანე, მე არც ადრე კეთილად შესვენებულის შეურაცხყოფას ვირჩევ, არც გავბედავ ხელი მოვკიდო მკრეხელურ საქმეს და დავგმო, რაც ჩვენს უწინარეს არ უარყვეს, სხვა მხრივაც არანაირი უკეთურება ვერ აღმოვაჩინე ორიგენეს წიგნებში.“ მან მოიტანა ორიგენეს ერთი წიგნი, წაიკითხა და წარმოაჩინა, რომ ისინი იყო საეკლესიო განმარტებები[472]. ამის შემდეგ თქვა: „ვინც ამას კიცხავს, საკუთარ თავს უმალავს, რომ კიცხავს მას, ვის შესახებაც არის ეს სიტყვები.“

ეს უთხრა კეთილკრძალულებით და ცხოვრების სიმართლით სახელგანთქმულმა თეოტიმემ ეპიფანეს[473].

XIII თავი
ორიგენეს გამართლება

ვინაიდან ლაყბობის მოყვარეებმა მრავალი წარიტაცეს,რომ არ დაინტერესებულიყვნენ ორიგენეს „მკრეხელობით“, ვფიქრობ, უჯერო არ იქნება ცოტათი ვისაუბროთ მათ შესახებ. უმნიშვნელო ადამიანები, რომლებსაც არ ძალუძთ თავიანთი ნაწარმოებებით თავის გამოჩენა, სურთ მათი გაკიცხვით წარმოაჩინონ, რომ თავიანთი უკეთესი არის. პირველად ეს დაემართა პამფილიის ქალაქის ოლიმპოდ[474] წოდებულის ეპისკოპოსს, მეთოდეს, შემდეგ ანტიოქიაში ევსტათის[475], რომელიც ცოტა ხნით მართავდა ეკლესიას, ამის შემდეგ აპოლინარის[476] და, ბოლოს, თეოფილეს. ბოროტადმეტყველთა ეს ოთხეული უტევდა ამ კაცს, მაგრამ არა ერთსა და იმავე სწავლებას, რადგან თითოეული მათგანი სხვადასხვა მიზეზით აღძრავდა ბრალდებას მის წინააღმდეგ, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ, რასაც არ უკუაგდებდნენ, იმას იწყნარებდნენ. მას შემდეგ, რაც თითოეულმა მათგანმა სხვადასხვა მოძღვრებები შეიწყნარა, ცხადია, რომ რაც მათ არ განაგდეს, როგორც სრულებით ჭეშმარიტი მიიღეს, დუმილით მოიწონეს ის, რაც არ დაგმეს. მეთოდემ, რომელმაც მრავალგზის დაარბია ორიგენეს წიგნები, მოგვიანებით თითქოს უარყო ეს და აღფრთოვანებას გამოხატავს ამ კაცისადმი მის დიალოგში, რომელსაც ეწოდება „ქსენონა“[477]. მე კი ვამბობ, რომ მათი ბრალდებებიდან უფრო მეტად გამართლდება ორიგენე. ვინც აღიძრა იმის წინააღმდეგ, რაც გაკიცხვის ღირსად მიიჩნეოდა, რომლებშიც თითქოს არამართებულად მსჯელობდა წმინდა სამების შესახებ, სრულად არ გაკიცხეს, რითაც აშკარად წარმოაჩინეს, რომ ისინი მოწმობდნენ მის მართებულ ღვთისმოსაობას.

ისინი იმის მეშვეობით, რასაც არ კიცხავენ, მოწმობენ მის სასარგებლოდ. „თანაარსის“ მრწამსის დამცველი ათანასე კი „არიანელთა წინააღმდეგ“ მის თხზულებებში დიდი ხმით უწოდებს ამ

კაცს თავისი სარწმუნოების მოწმეს, მის სიტყვებს დაურთავს თავისას და ამბობს: „საოცარი და ყველაზე შრომისმოყვარე ორიგენე ღვთის ძის შესახებ ამას დაამოწმებს ჩვენი შეხედულების სასარგებლოდ, როდესაც ამბობს, რომ იგი არის მამის თანამარადიული[478].“ მათ, ვინც გმობს ორიგენეს და მკრეხელობას ჩადის, ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ ათანასე არის მისი მაქებარი. ეს ითქვა ორიგენეს შესახებ, დავუბრუნდებით ისტორიის შემდგომ ამბებს.

XIV თავი
თუ როგორ განაცხადა უარი ეპიფანემ იოანეს მოწვევაზე, რის გამოც მიუთითეს მის არაკანონიკურ ქმედებებზე. ამ [ბრალდებებით] აღშფოთებულმა თუ როგორ დატოვა კონსტანტინოპოლი

იოანე არ აღშფოთებულა იმის გამო, რომ ეპიფანემ კანონის დარღვევით მისი მმართველობის ქვეშ მყოფ ეკლესიაში აღასრულა ხელდასხმა, არამედ მოიწვია საეპისკოპოსო სახლში მასთან ერთად საცხოვრებლად. მაგრამ მან განაცხადა, რომ არ დარჩებოდა მასთან, არც ილოცებდა მასთან ერთად, თუ ის ქალაქიდან არ განდევნიდა დიოსკორეს გარშემო მყოფთ, თავად კი ხელს არ მოაწერდა ორიგენეს წიგნების დაგმობას[479]. იოანემ უარი განაცხადა ამის გაკეთებაზე და თქვა, რომ არ უნდა ეჩქარა ამის გაკეთება საყოველთაო განხილვამდე[480]. მაშინ იოანეს მტრები გადავიდნენ საწინააღმდეგო აზრზე და მიემხრნენ ეპიფანეს. როდესაც მოციქულთა სახელობის ეკლესიაში[481] კრების მოლოდინში, მათ შეამზადეს ეპიფანე, რომ მთელი ერის წინაშე დაეგმო ორიგენეს წიგნები, განეკვეთა დიოსკორეს მომხრეები და დაეცინათ იოანესთვის, როგორც მათთან ერთად აღრაცხულისთვის. ეს აცნობეს იოანეს. მან მეორე დღეს უკვე ეკლესიაში შესულ ეპიფანეს სერაპიონის პირით განუცხადა: „ეპიფანე, მრავალი რამ ჩაიდინე კანონების დარღვევით: პირველად ჩემზე დაქვემდებარე-

ბულ ეკლესიაში დაასხი ხელნი, შემდეგ ჩემი ნებართვის გარეშე აღასრულე იქ ლიტურგია და მოქმედებდი საკუთარი ძალაუფლებით. ადრე მოწვევაზე უარი თქვი და ახლაც კიდევ ერთხელ გიხმობ[482]. ასე რომ, ფრთხილად იყავი, ხალხში შფოთი არ აღძრა და ამით საკუთარი თავი არ ჩაიგდო საფრთხეში." როდესაც ეს მოისმინა ეპიფანემ, შეეშინდა და დატოვა ეკლესია. ფრიად გაიცხა იოანე და გადაწყვიტა კვიპროსზე გამგზავრება.

ზოგიერთები ამბობდნენ, რომ წასვლისას ეს უთხრა იოანეს: „იმედი მაქვს, ეპისკოპოსად არ მოკვდები", მან კი მიუგო: „იმედი მაქვს, ვერ ჩააღწევ შენს სამშობლოში." არ შემიძლია იმის თქმა, სიმართლე თუ თქვა მან, ვინც ეს ცნობა მომაწოდა, თუმცა, ორივეს ასეთი დასასრული ჰქონდა. რადგან არც ეპიფანე ჩავიდა კვიპროსში (ხომალდით მგზავრობისას აღესრულა[483]), იოანე ცოტა მოგვიანებით განყენებულ იქნა საყდრიდან, როგორც ამას წარმოვაჩენთ შემდგომში.

XV თავი
თუ როგორ ჩავა ქალკედონში კრების მიერ ქალებში უკმაყოფილობის გამოწვევის გამო მისი ეკლესიიდან განდევნილი იოანე

მას შემდეგ, რაც ეპიფანე გაემგზავრა, იოანემ ზოგიერთებისგან შეიტყო, რომ დედოფალმა ევდოქსიამ აამხედრა ეპიფანე მის წინააღმდეგ[484]. იოანე ხასიათით ფიცხი იყო და ძლიერი მჭევრმეტყველი, ასე რომ მან დაუყოვნებლივ გაიცხა ყველა ქალი საჯაროდ ხალხის წინაშე. ხალხმა აიტაცა ეს სიტყვა, როგორც მინიშნებითად დედოფლის წინააღმდეგ წარმოთქმული, უკეთურმა ადამიანებმა ეს სიტყვა მიიტანეს ხელისუფალთა ყურამდე. როდესაც ეს შეიტყო ავგუსტამ, იმპერატორთან დაიჩივლა მისი შეურაცხყოფა და უთხრა, რომ ეს იგივე მისი შეურაცხყოფაც იყო[485]. თეოფილემ სასწრაფოდ მოამზადა კრების გამართვა მის

წინააღმდეგ. მასთან ერთად მას ამზადებდა სევერიანეც, რადგან ის ჯერ კიდევ იყო განაწყენებული. არცთუ დიდი დრო დასჭირდა, რომ ჩამოსულ თეოფილეს სხვადასხვა ქალაქებიდან მრავალი ეპისკოპოსი აღეძრა. ეს იმპერატორის განკარგულებითაც იყო ნაბრძანები[486]. განსაკუთრებით თავი მოიყარეს მათ, ვინც სხვადასხვა მიზეზით იქნენ განაწყენებული იოანეს მიერ, ასევე ესწრებოდნენ ისინიც, ვინც ეპისკოპოსობისგან იყვნენ განყენებული. რადგან მრავალი ეპისკოპოსი განაყენა იოანემ აზიაში, როდესაც ჰერაკლიდეს ხელდასხმისთვის ჩავიდა ეფესოში.

ამრიგად, ყველა თანამოაზრე შეიკრიბა ბითვინიის ქალკედონში. მაშინ ქალკედონის ეპისკოპოსი იყო კაცი სახელად კირინოსი, წარმოშობით ეგვიპტელი, რომელიც მრავალ რამეს ეუბნებოდა ეპისკოპოსებს იოანეს წინააღმდეგ, მას უწოდებდა ურჯულოს, მზვაობარს და შეუვალს. ასე რომ, ეამათ ეპისკოპოსებს მისი სიტყვები. მესოპოტამიის ეპისკოპოსმა მარუთამ უნებურად ფეხი დააბიჯა კირინოსს. მას ძალიან ეტკინა და ვერ შეძლო ეპისკოპოსებთან ერთად კონსტანტინოპოლში გამგზავრება, არამედ დარჩა ქალკედონში, სხვები კი წავიდნენ. თეოფილეს ეკლესიის [სასულიერო პირთაგან] არავინ შეეგება, არც ჩვეულებისამებრ პატივი მიაგო (რადგან შემდგომში ღიად მტრად იქნა აღიარებული), ალექსანდრიელი მეზღვაურები შეხვდნენ მას ქება-დიდებით (მაშინ მოხდა ისე, რომ იქ ჩამოსული იყო პურის მზიდავი ხომალდები[487]). მან უარი თქვა სამლოცველოში შესვლაზე და ერთ საიმპერიო სასახლეში დარჩა, რომლის სახელი იყო „პლაკიდიანაი“[488]. მაშინ იოანეს წინააღმდეგ აღიძრა მრავალი ბრალდება, არავის უხსენებია ორიგენეს წიგნები, არამედ სხვა უჯერო ბრალდებებზე გადავიდნენ[489].

როდესაც წინდაწინ ასე მოემზადნენ, ეპისკოპოსებმა თავი მოიყარეს ქალკედონის გარეუბანში, რომელსაც ეწოდებოდა „მუხა“; მათ მაშინათვე მოუხმეს იოანეს ბრალდებებისგან თავის მართლებისათვის. უბრძანეს, მასთან ერთად მოსულიყო სერაპი-

ონი, საჭურისი ხუცესი ტიგრიოსი და წიგნისმკითხველი პავლე, და ისინი, რომლებიც მასთან ერთად იყვნენ დადანაშაულებული. როდესაც იოანემ მათ, ვინც მას მოუხმო, მისი მტრობა დასდო ბრალად, და მსოფლიო კრებაზე მოახდინა აპელირება[490], მათ დაუყოვნებლივ მეოთხეგზის მოუხმეს მას[491]. მაგრამ მან ისურვა მათთან შეხვედრა და ეს პასუხი გასცა, მათ ის განსაჯეს და განაყენეს, სხვა არაფერში დაადანაშაულეს, არამედ მხოლოდ იმაში, რომ არ დაემორჩილა მათ[492]. როდესაც სადამოს ეს ცნობა გავრცელდა, უდიდესი ამბოხი აღიძრა მოსახლეობაში. მთელი ღამე დარაჯობდნენ და საშუალებას არ აძლევდნენ ეკლესიიდან გამოეყვანათ იგი, არამედ გაჰყვიროდნენ, რომ მისი საქმე უფრო დიდ კრებას უნდა განესაჯა. იმპერატორის ბრძანებით იგი სასწრაფოდ უნდა გამოეგდოთ და წაეყვანათ გადასახლებაში. როდესაც ეს შეიტყო იოანემ, მისი განყენებიდან მესამე დღეს, შუადღისას თვითონ ჩაბარდა ხალხისგან მალულად, რადგან ფრთხილობდა, რაიმე შფოთი არ ამტყდარიყო მისი გულისთვის[493]. მისი წასვლის შემდეგ ხალხი არნახული ძლიერებით აჯანყდა.

XVI თავი
იოანე ოქროპირის დასჯით გამოწვეული ამბოხის შესახებ. თუ როგორ იქნა იგი უკან გამოხმობილი

როგორც ხდება ხოლმე, მრავალი მისდამი მტრულად განწყობილი ადამიანი სინანულში ჩავარდა და ისინი, ვინც ცოტა ხნის წინ მისი განყენების ხილვის მოწადინე იყო, ამბობდნენ, რომ ცილი დასწამეს მას. მრავალი მათგანი ხმამაღლა ადანაშაულებდა იმპერატორსაც და ეპისკოპოსთა კრებასაც. ამ შეთქმულების მოწყობას განსაკუთრებით აბრალებდნენ თეოფილეს, რადგან ვერ დაიმალა, თუ რა ხრიკებს აწყობდა ის იოანეს წინააღმდეგ, მრავალი მტკიცებულებით, განსაკუთრებით კი იმით,

რომ იოანეს განყენების შემდეგ მყისვე მიიღო თანაზიარებაში დიოსკორეს ძმები, რომლებსაც ეწოდებოდათ „გრძელები“[494]. მაშინ სევერიანემაც ხელსაყრელად მიიჩნია იოანეს დაცინვა და ამბობდა: „თუმცა სხვა ვერაფრის გამო ვერ განისაჯა იოანე, მაგრამ განყენებისათვის საკმარისი ბრალდება იყო მისი მზვაობარი ხასიათი, რამეთუ ყველა ცოდვა მიეტევება ადამიანს, მაგრამ „ამპარტავანთ ღმერთი წინ აღუდგება“[495], როგორც გვასწავლის საღვთო წერილი.“ ამ სიტყვებით კიდევ უფრო დიდი დაპირისპირება ჩამოაგდო ხალხში[496], რის გამოც იმპერატორმა ბრძანა, რომ სასწრაფოდ უკან გამოეხმოთ იოანე[497]. ასე რომ, დედოფლის საჭურისი ბრისონი ჩავიდა მასთან პრენეტოში (ეს არის სავაჭრო ქალაქი ნიკომიდიის მოპირდაპირე მხარეს) და უკან წამოიყვანა ის კონსტანტინოპოლში[498]. მაგრამ მას შემდეგ, რაც იოანე უკან დაბრუნდა, მან არ მოისურვა ქალაქში შესვლა, ვიდრე უფრო დიდი სამსჯავრო არ ცნობდა უდანაშაულოდ, მანამდე იმყოფებოდა ქალაქის გარეუბანში, რომელსაც ეწოდება მარიანაი[499]. როდესაც მას მოშორებით რჩებოდა და არ სურდა ქალაქში შესვლა, ხალხი აღშფოთდა და მალე დაიწყეს ხელისუფალთა ყვედრება. ამიტომ, იძულებული გახდა დაბრუნებულიყო. ხალხი მას დიდი კრძალვით და პატივით შეეგება ეკლესიაში, მაშინათვე მიიყვანეს და თხოვეს, რომ დამჯდარიყო საეპისკოპოსო საყდარზე და ჩვეულებისამებრ ელოცა ხალხის მშვიდობისთვის[500]. მაგრამ, როდესაც მან უარი განაცხადა და თქვა, რომ საჭირო იყო სამსჯავროს მოწყობა და საბრალდებო დასკვნის გაუქმება, ხალხი აენთო, ეწადა რა მისი საყდარზე ხილვა და კვლავ მისი მოძღვრების მოსმენა. მაშინ ხალხმა იმძლავრა და იოანე დაჯდა საეპისკოპოსო საყდარზე და ჩვეულებისამებრ ილოცა ხალხის მშვიდობისთვის, ასევე აიძულეს, რომ დაემოძღვრა[501]. როდესაც მან ეს გააკეთა, მისმა მტრებმა მის წინააღმდეგ სივერაგის მოწყობისთვის ახალი საბაბი აიღეს.

XVII თავი
კონსტანტინოპოლელებსა და ალექსანდრიელებს შორის ჰერაკლიდეს გამო აღძრული დაპირისპირების შესახებ. ასევე თეოფილეს და მისი დაჯგუფების გაქცევის შესახებ[502]

მაგრამ აქამდე ჩუმად მყოფმა თეოფილემ ჯერ ჰერაკლიდეს ხელდასხმასთან დაკავშირებული ამბის გამოძიება დაიწყო, რათა, თუ შესაძლებელი იყო, აქედან საბაბი აეღო იოანეს განყენებისათვის. ჰერაკლიდე იქ არ იმყოფებოდა, მაგრამ ის განსაჯეს დაუსწრებლად, იმ საბაბით, რომ მან უსამართლოდ ცემა ზოგიერთები, ბორკილები დაადო და შუა ქალაქ ეფესოში გაატარა. იოანეს გარშემო მყოფნი ამბობდნენ, რომ არ უნდა გამოეტანათ განაჩენი ადამიანისთვის მის დაუსწრებლად, ალექსანდრიელები კი ედავებოდნენ, რომ უნდა მიეღოთ ჰერაკლიდეს ბრალმდებლები, თუნდაც მათ მიერ ბრალდებული იქ არ ესწრებოდა. ამის გამო ძლიერი ამბოხი და შეტაკება მოხდა კონსტანტინოპოლის მოსახლეობასა და ალექსანდრიელებს შორის, შეჯახების დროს მრავალი დაიჭრა, რამდენიმე მათგანი დაიღუპა კიდეც. როდესაც ეს დაინახა თეოფილემ, მყისვე ალექსანდრიაში გაიქცა[503]. ასევე მოიქცნენ სხვა ეპისკოპოსებიც, მცირედი მათგანის გარდა, რომლებიც მიესალმნენ იოანეს დაბრუნებას[504], ყველანი სასწრაფოდ დაბრუნდნენ თავი-თავიანთ პროვინციებში. ასე ვითარდებოდა მოვლენები, ყველა გმობდა თეოფილეს და გაიზარდა მის მიმართ სიძულვილი, რომელმაც უარი არ თქვა ორიგენეს წიგნების შესწავლაზე. როდესაც ზოგიერთებმა ჰკითხეს, თუ როგორ იწყნარებდა წიგნებს, რომლებიც მან განკვეთა, მიუგო შემდეგი: „ორიგენეს წიგნები ჰგავს ყვავილებით სავსე მინდორს. ასე რომ, თუ რამ მშვენიერს აღმოვაჩენ მათში, მოვწყვეტ, ეკლიანს კი თავს ვარიდებ როგორც მჩხვლეტავს.“ ეს უპასუხა თეოფილემ ისე, რომ არ გაიაზრა ბრძენი სოლომონის

სიტყვები: „ბრძენის სიტყვები არის რქების წვეტების მსგავსი“, და რომ ფეხებით არ უნდა ქელო, ვისი აზრებიც ირქინება.

ამის გამო ყველა კიცხავდა თეოფილეს. ერთ-ერთი „გრძელი ძმა“, დიოსკორე, ჰერმოპოლისის ეკლესიის ეპისკოპოსი, თეოფილეს გაქცევიდან ცოტა ხნის შემდეგ აღესრულა. იგი ბრწყინვალე საფლავის ღირსი შეიქმნა, დაიმარხა [გარეუბან] „მუხაში“ მდებარე სამარტვილეში, სადაც გაიმართა კრება იოანეს გამო[505]. იოანე კი შეუდგა ხალხის დამოძღვრას, სერაპიონს ხელნი დაასხა ეპისკოპოსად ჰერაკლიის თრაკიაში, რის გამოც მის წინააღმდეგ გაჩნდა სიძულვილი, არცთუ დიდი ხნის შემდეგ კი მოხდა შემდეგი რამ.

XVIII თავი
ევდოქსიას ვერცხლის ქანდაკების შესახებ. აგრეთვე იოანეს მეორედ გადასახლების შესახებ

აღმართეს ავგუსტა ევდოქსიას ქლამიდით მოსილი ვერცხლის ქანდაკება ძოწის სვეტზე. ეს იდგა ერთ მაღალ კვარცხლბეკზე, არც ძალიან ახლოს, არც ძალიან შორს ეკლესიიდან, რომელსაც ეწოდება „სიბრძნე“, არამედ შუაზე ჰყოფდა პროსპექტს „მეზეს“. მასზე ჩვეულებრივ იმართებოდა სახალხო თამაშობები[506]. იოანემ ეს ეკლესიის შეურაცხყოფად მიიჩნია და მისთვის დამახასიათებელი კადნიერება გამოიჩინა, კვლავ აღჭურვა მისი ენა ამის გამკეთებელთა წინააღმდეგ. საჭირო იყო ძალაუფლების მპყრობელთა დამრიგებლური სიტყვით დარწმუნება, რომ შეეწყვიტათ თამაშობები, რაც მან არ გააკეთა, არამედ შემტევი სიტყვით დასცინა მათ, ვინც ბრძანა ამის გაკეთება. დედოფალმა კვლავ თავის თავზე მიიღო მის მიერ ნათქვამი და საკუთარ შეურაცხყოფად მიიჩნია მისი სიტყვები. მან კვლავ შეამზადა კრება და შეკრიბა ეპისკოპოსები მის წინააღმდეგ. როდესაც ეს შეიტყო იოანემ, ეკლესიაში ეს სახელგანთქმული ქადაგება წარმოთქვა, რომელიც ასე იწყება: „კვლავ შლეგობს

ჰეროდია [კვლავ შფოთავს], კვლავ როკავს, კვლავ ითხოვს იოანეს თავის ხონჩით მორთმევას[507].“ ამან კიდევ უფრო მეტი რისხვით აღაგზნო იმპერატორის მეუღლე. მალე ეპისკოპოსებიც ჩამოვიდნენ: ლეონტი, მცირე გალატიის ანკვირიის ეპისკოპოსი, პისიდიის ლაოდიკიის ეპისკოპოსი ამონიოსი, თრაკიის ფილიპედან ბრისონი, აკაკი სირიის ბეროადან და სხვები[508]. როდესაც ისინი ჩამოვიდნენ, ამოქმედდა ადრინდელი ბრალდებები. იოანე თამამად წარსდგა მათ წინაშე და მოითხოვა ბრალდებების გამოძიება[509]. მაცხოვრის შობის დღესასწაულის მოახლოებისას იმპერატორი მას ჩვეულებისამებრ არ შეხვდა ეკლესიაში, არამედ განუცხადა იოანეს, რომ მანამდე არ ეზიარებოდა მასთან, ვიდრე არ ჩამოირეცხავდა ბრალდებებს. მაგრამ, როდესაც იოანე მტკიცედ დადგა, ბრალმდებლებმა უფრო მეტი სიმხდალე გამოიჩინეს, იქ დამსწრე ეპისკოპოსები სხვა არაფერს ეძიებდნენ, მხოლოდ იმის განსასჯელად გამოტანაზე საუბრობდნენ, რომ წინა კრებამ მას განყენების განჩინება გამოუტანა, ის კი დაბრუნებისას ავიდა საყდარზე. როდესაც მან განაცხადა, რომ სამოცდახუთი ეპისკოპოსი შეთანხმდა მისთვის გადაეწყვიტათ, რომ მიეღო საყდარი, ლეონტის გარშემო მყოფებმა მიუგეს: „მაგრამ, იოანე, უფრო ბევრმა გამოგიტანა საბრალდებო დასკვნა კრებაზე.“ მაგრამ მას შემდეგ, რაც იოანემ თქვა, რომ ეს კანონი არათუ მათი ეკლესიის, არამედ არიანელთა ეკლესიის იყო (რადგან ანტიოქიაში შეკრებილებმა „თანაარსის“ მრწამსისადმი მტრობის გამო ათანასეს წინააღმდეგ გამოსცეს ეს კანონი)[510], მათ არ მიიღეს თავის მართლება და გამოუტანეს გამამტყუნებელი განაჩენი; არ ისაზრეს, რომ ამავე კანონის გამოყენებით განყენებულ იქნა ათანასე.

ეს გააკეთეს პასექის დღესასწაულის მოახლოებისას[511]. ამგვარად, იმპერატორმა განუცხადა იოანეს, რომ მას არ შეეძლო ეკლესიაში, რადგან ორი კრების მიერ იქნა განსჯილი. ამის შემდეგ იოანე აღარაფერს აკეთებდა და არ დადიოდა ეკლესიაში[512]. მაშინვე ყველა, ვინც მას ემხრობოდა, გამოვიდა ეკლესი-

იდან და პასექის დღესასწაული კონსტანტინაიში[513] მდებარე აბანოში აღასრულეს, მათთან ერთად იყო მრავალი ეპისკოპოსი, ხუცესი და სხვა სამღვდელო ხარისხის მქონე პირები. აქდან მოყოლებული სხვადასხვა ადგილებზე ცალკე შეკრებებს მართავდნენ და იოანიტებად იწოდებოდნენ. ორი თვის განმავლობაში იოანე არსად არ გასულა, ვიდრე იმპერატორის განკარგულებით არ იქნა ნაბრძანები მისი გაგზავნა გადასახლებაში. ის წაიყვანეს ეკლესიიდან ძალით გამოძევებული. ზოგიერთმა იოანიტმა იმ დღეს ეკლესიას წაუკიდეს ცეცხლი[514]. ცეცხლის აღგზნებისას დაბერა ძლიერმა აღმოსავლეთის ქარმა. ეს მოხდა ივნისის თვის ოცს, ჰონორიუსის მეექვსე კონსულობისას, რომელსაც იგი აღასრულებდა არისტენეტოსთან ერთად[515].

ვფიქრობ, გვერდი უნდა ავუარო [იმის მოყოლას], თუ რამდენი რამ მოიმოქმედა იოანეს მეგობრების წინააღმდეგ და რამდენი მათგანი დასაჯა [სიკვდილით] კონსტანტინოპოლის პრეფექტმა, სახელად ოპტატუსმა, რომელიც სარწმუნოებით წარმართი იყო და ამიტომ სძულდა ქრისტიანები.

XIX თავი
იოანეს მონაცვლედ არსაკიოსის ხელდასხმის შესახებ. ქალკედონის ეპისკოპოს კვირინოსის თავს დატეხილი განსაცდელის შესახებ

რამდენიმე დღის შემდეგ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსად ხელნი დაასხეს არსაკიოსს[516], რომელიც იყო ნექტარიოსის ძმა, რომელიც იოანეს უწინ მშვენივრად განაგებდა [ეკლესიას]. იგი ძლიერ მოხუცი იყო, ოთხმოც წელზე მეტი ხნოვანების, როდესაც მისი უაღრესი თვინიერების გამო მშვიდად აღასრულებდა საეპისკოპოსო მსახურებას, ქალკედონის ეპისკოპოსი კვირინოსი, რომელსაც ფეხზე უნებურად დააბიჯა მესოპოტამიის ეპისკოპოსმა მარუთამ, ცუდად შეიქმნა, განგრენა გაუჩნდა და აუცილებელი გახდა ფეხის

მოხერხვა. მაგრამ ეს ერთგზის არ მომხდარა, არამედ მრავალგზის მოახერხეს, რადგან სენი მთელ სხეულს მოედო, ისე რომ, მეორე ფეხზეც გადავიდა ბოროტება და ისიც დასნეულდა.

რატომ ვახსენე ეს ამბავი? რადგან მრავალი ამბობდა, რომ ეს იოანეს გმობის გამო დაემართა კვირინოსს, რადგან იგი გამუდმებით უწოდებდა იოანეს მზვაობარს, როგორც ეს ზემოთაც ვთქვი[517]. როდესაც მოვიდა ძალიან დიდი სეტყვა კონსტანტინოპოლში და მის გარეუბნებში (ეს მოხდა იმავე კონსულობის პერიოდში, სექტემბრის თვის ოცდაათს), ამაზეც ამბობდნენ, რომ ღვთის რისხვა ეწია იოანეს განუკითხავად განყენების გამო. ეს მითქმა-მოთქმები კიდევ უფრო გამრავლდა მას შემდეგ, რაც დედოფალი ევდოქსია აღესრულა, რადგან იგი გარდაიცვალა სეტყვის მოსვლიდან მეოთხე დღეს[518]. მაგრამ სხვები ამბობდნენ, რომ სამართლიანად ეწია ეს განყენება იოანეს, რადგან ნოვაციანელთა, „მეთოთხმეტელთა“ და ზოგი სხვათა მრავალი ეკლესია დაისაკუთრა აზიასა და ლიდიაში ყოფნისას, როდესაც ჰერაკლიდეს ხელდასხმის გამო გაემგზავრა ეფესოში. მაგრამ თუ რამდენად სამართლიანი იყო იოანეს განყენება მის მიერ შეწუხებულთა სიტყვისამებრ, ან თუ კვირინოსს სამართლიანად მიეზღო მისი გმობის გამო, ან თუ იოანეს გამო დაუშვა სეტყვამ და დედოფალი აღესრულა, ან თუ ეს ყველაფერი სხვა რამ მიზეზის გამო მოხდა, ან ორივესი ერთად, ეს ღმერთმა უწყის, დაფარულის მცოდნემ, რომელიც არის ჭეშმარიტების სამართლიანი მსაჯული, მე კი ის გიამბეთ, რა ჭორებიც იყო მაშინ გავრცელებული.

XX თავი
არსაკიოსის გარდაცვალებისა და ატიკოსის ხელდასხმის შესახებ

არსაკიოსს ეპისკოპოსობისას დიდხანს არ უცოცხლია. იგი აღესრულა მომდევნო კონსულობის დროს, რომელიც იყო სტელ-

ეხონის მეორე და ანთემიოსის, ნოემბრის თვის დაახლოებით თერთმეტს[519]. მრავალთათვის საწადელი გახდა საეპისკოპოსო [საყდარი] და ამიტომ ოთხთვიანი პერიოდის გავლის შემდეგ, მომდევნო კონსულობის დროს, რომელიც იყო არკადიოსის მეექვსეგზის და პრობუსის[520], ეპისკოპოსად წამოყენებულ იქნა კეთილკრძალული კაცი, რომლის სახელი იყო ატიკოსი, წარმოშობით სომხეთის სებასტიიდან, სიყმაწვილის ასაკიდან მოყოლებული მისდევდა ასკეტურ ცხოვრებას, სხვა მხრივაც ზომიერად განათლებული და უფრო მეტად კი ბუნებრივად გონიერი კაცი იყო.

XXI თავი
იოანეს გადასახლებაში გარდაცვალების შესახებ

მაგრამ მის შესახებ ცოტა მოგვიანებით ვიტყვი. იოანე წაიყვანეს გადასახლებაში და ის აღესრულა შავი ზღვის კომანში, სექტემბრის თვის თოთხმეტს, მომდევნო, ჰონორიუსის მეშვიდეგზის და თეოდოსის მეორეგზის, კონსულობის პერიოდში[521]. ეს კაცი, როგორც წინათაც ითქვა, სიწმინდისადმი მოშურნეობის გამო უფრო რისხვით, ვიდრე თანაგრძნობით ეპყრობოდა ადამიანებს და ამავე სიწმინდის გამო ცხოვრებაში უფრო კადნიერი ენით მეტყველებდა[522].

მიკვირს, რომ სიწმინდისთვის ესოდენ მოშურნე ასკეტი მის ქადაგებებში თავშეკავების უგულებელყოფას ასწავლიდა. მაშინ, როცა ეპისკოპოსთა კრებამ დაცემულთ ნათლისღების შემდეგ ერთგზის სინანულის ნება მისცა, მან გაბედა და თქვა: „თუნდაც ათასგზის მოინანიე, მაინც შემოდი[523]“. ამ მოძღვრების გამო ის მრავალმა მისმა მეგობარმა გაკიცხა, განსაკუთრებით კი ნოვაციანელთა ეპისკოპოსმა სისინიოსმა, რომელმაც მისი ამ სიტყვების წინააღმდეგ თხზულება დაწერა და ამის გამო მას ძლიერ შეუტია.

XXII თავი
ნოვაციანელ ეპისკოპოს სისინიოსის შესახებ. ასევე მისი გონებამახვილური პასუხის გაცემის უნარის შესახებ

მაგრამ ეს ადრე მოხდა. ვფიქრობ, უადგილო არ იქნება სისინიოსის შესახებაც გიამბოთ მოკლედ. როგორც მრავალგზის ითქვა, იგი იყო კაცი განათლებული და ფილოსოფიის მწვერვალებში განსწავლული. ძლიერ იყო გაწვრთნილი დიალექტიკაში და იცოდა წმინდა წერილის ზედმიწევნითი განმარტება, ისე რომ მწვალებელი ევნომიოსი მრავალგზის გაექცა მისი მსჯელობის სიძლიერეს. მისი ცხოვრების წესი კი იყო არათუ უბრალო, არამედ უმწვერვალეს თავშეკავებაში ძვირფას კერძებით კვება შეეძლო, მდიდრული თეთრი სამოსი ემოსა და დღეში ორგზის საჯარო აბანოში იბანდა. როდესაც ერთმა ჰკითხა, რატომ იბანდა ეპისკოპოსი დღეში ორჯერ, მან მიუგო: „რადგან სამჯერ ვერ ვასწრებ.“ სხვა დროს პატივისცემის გამო ეწვია ეპისკოპოს არკადიუსს, რომლის გარშემო მყოფთაგან ერთმა ჰკითხა, თუ რატომ ატარებდა ეპისკოპოსისთვის უჩვეულო სამოსს და სად ეწერა, რომ მღვდელს თეთრი სამოსი უნდა ემოსა. მან კი მიუგო: „ჯერ შენ მითხარი, სად წერია, რომ ეპისკოპოსმა შავი სამოსი უნდა ატაროს.“ როდესაც შემკითხველმა პასუხი ვერ მოძებნა, სისინიოსმა დასძინა: „შენ, ალბათ, ვერ შეძლებ მიჩვენო, თუ რატომ უნდა ატაროს მღვდელმა შავი სამოსი, მე კი სოლომონი მირჩევს, როდესაც ამბობს: „იყოს შენი სამოსი მუდამ სპეტაკი[524]“, მაცხოვარიც სახარებებში თეთრი სამოსით შემოსილი ჩანს[525]; და არა მხოლოდ ის, არამედ მოსეც და ილიაც სპეტაკით მოსილნი ეჩვენენ მოციქულებს.“ ეს და მრავალი ასეთი რამ მიუგო პასუხად და დიდად გააკვირვა იქ მყოფნი. როდესაც მცირე გალატიის ანკვირიის ეპისკოპოსმა ლეონტიმ ნოვაციანელებს ეკლესია წაართვა და კონსტანტინოპოლში ჩამო-

სულს შეხვდა სისინიოსი და სთხოვა ეკლესიის უკან დაბრუნება. ის ფიცხად დახვდა და უთხრა: „თქვენ, ნოვაციანელებს არ გაქვთ უფლება ეკლესია გქონდეთ, სინანულს უარყოფთ და ღვთის კაცთმოყვარეობას ხშავთ.“ ეს და ბევრი ასეთი შეურაცხყოფა უთხრა ლეონტიმ სისინიოსს. სისინიოსმა მიუგო: „მაგრამ ისე არავინ ნანობს, როგორც მე.“ მან ჰკითხა: „კი მაგრამ, როგორ ნანობ?“ სისინიოსმა უპასუხა: „როცა შენ გხედავ.“

ერთხელ ეპისკოპოსმა იოანემ გაიცხა იგი და უთხრა, რომ ერთ ქალაქს არ შეიძლებოდა ჰყოლოდა ორი ეპისკოპოსი. სისინიოსმა მიუგო: „და არც ჰყავს.“ იოანე განრისხდა და უთხრა: „ვხედავ, რომ მარტოს გსურს ეპისკოპოსად ყოფნა.“ სისინიოსმა მიუგო: „ამას არ ვამბობ, მხოლოდ შენთვის არ ვარ ეპისკოპოსი, როცა სხვა დანარჩენებისთვის ვარ.“ იოანე ამ სიტყვებზე აღშფოთდა: „მე შენ აგიკრძალავ ქადაგებას, რადგან მწვალებელი ხარ.“ ამაზე სისინოსმა ხალისით მიუგო: „მე კი საფასურსაც გადაგიხდი, თუ ამ შრომისგან გამათავისუფლებ.“ ამ პასუხით გული მოულბა იოანეს და უთხრა: „არ აგიკრძალავ ქადაგებას, თუ საერთოდ ასე გაწუხებს საუბარი.“

ასეთი ენამახვილი და ხალისიანი კაცი იყო სისინიოსი. მის მიერ ნათქვამი ყველა სიტყვის გახსენება და დაწერა ვრცელი იქნებოდა, ამიტომ მცირედის მეშვეობით წარმოვაჩინე როგორი იყო და ეს ვიკმარე მოსაყოლად. იგი იმის გამო, რომ განათლებით სახელგანთქმული იყო, ყველა ეპისკოპოსს უკლებლივ უყვარდა და პატივს სცემდა მას, არამხოლოდ ისინი, არამედ სენატის ყველა წარჩინებულ წევრს უყვარდა ის და აღფრთოვანებული იყო მისით. მან მრავალი წიგნი დაწერა, რომლებშიც ის იშვიათ სიტყვებს შეურევს პოეტურ სიტყვებს. ამიტომ, ის უფრო, როგორც მოსაუბრე მოწონდათ, ვიდრე როგორც მწერალი. იგი ნიჭით იყო დაჯილდოებული სახით, ხმით, გარეგნობით, გამოხედვით და მიხრა-მოხრით. ამის გამო ის უყვარდა ყველა აღმსარებლობის ხალხს, განსაკუთრებით კი ეპისკოპოს ატიკოსს.

XXII თავი
იმპერატორ არკადიუსის გარდაცვალების შესახებ

ვფიქრობ, უნდა ვიკმაროთ სისინიოსის შესახებ ამბების თხრობა. იოანეს აღსასრულიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ აღესრულა იმპერატორი არკადიუსიც, კაცი მშვიდი, წყნარი და ბოლოს ღვთივსათნო ადამიანის სახელიც მოიხვეჭა შემდეგი მიზეზით. კონსტანტინოპოლში არის უდიდესი სახლი, რომელსაც ეწოდება „კარია[526]“. რადგან ამ სახლის ეზოში არის თხილის ხე, რომელზეც გადმოცემით ჩამოკიდეს მოწამე აკაკი და დაიღუპა. ამ მიზეზით ხის გვერდით მცირე სამლოცველო სახლი იქნა აშენებული. იმპერატორმა არკადიოსმა მოისურვა მის მოსანახულებლად იქ წასვლა, ილოცა და უკან გამოვიდა. ყველა გარშემო მაცხოვრებელებმა თავი მოიყარეს იმპერატორის სანახავად. სახლის გარეთ მყოფნი წინ გამორბოდნენ გზასთან, საიდანაც, ფიქრობდნენ, უფრო კარგად დაინახავდნენ იმპერატორის სახეს და მის გარშემო შუბოსნებს, სხვები კი თან მიჰყვნენ მათ, სანამ ყველა ქალებთან და ბავშვებთან ერთად სახლის გარეთ გამოვიდნენ. ამის შემდეგ მყისვე სამლოცველოს გვერდით მდებარე სახლი ერთბაშად ჩამოიქცა. ამას აღფრთოვანების ყვირილი მოჰყვა, თითქოს იმპერატორის ლოცვამ ააცილა ხალხი ასეთ სიკვდილს.

ასე მოხდა ეს ამბავი. მან დატოვა ძე თეოდოსი რვა წლის ასაკში და აღესრულა ბასოსის და ფილიპეს კონსულობის დროს, მაისის პირველში (იყო ორას ოთხმოცდამეჩვიდმეტე ოლიმპიადის მეორე წელი[527]). თეოდოსი მამასთან ერთად მეფობდა ცამეტი წელი, მამის გარდაცვალების შემდეგ კი – თოთხმეტი წელი. მან იცოცხლა ოცდათერთმეტი წელი. ეს წიგნი მოიცავს ოც წელს და ექვს თვეს[528].

მ ე შ ვ ი დ ე წ ი გ ნ ი

I თავი
თუ როგორ განაგებდა პრეტორიის პრეფექტი ანთიმოზი აღმოსავლეთს ყმაწვილი თეოდოსის ნაცვლად

როდესაც აღესრულა იმპერატორი არკადიუსი, მაისის თვის პირველში, ბასოსის და ფილიპეს კონსულობისას, მისი ძმა ჰონორიუსი დასავლეთ მხარეს განაგებდა, მისი ვაჟის რვა წლის ყრმა თეოდოსის ქვეშ განწესებულ იქნა აღმოსავლეთი[529], პრეფექტი ანთიმოზი, რომელიც წარმოშობით ფილიპედან იყო, წარმართავდა ყველა საქმეებს[530], მან განდევნა ეპისკოპოსი პავლე ეკლესიიდან კონსტანციუსის დროს და მის ნაცვლად შემოიყვანა მაკედონიოსი[531]. მან კონსტანტინოპოლს შემოავლო დიდი კედელი. იგი იმდროინდელ ადამიანთა შორის უგონიერეს კაცად ითვლებოდა და იყო კიდეც. იგი არაფერს აკეთებდა დაუფიქრებლად, არამედ ეთათბირებოდა მის მრავალ მეგობარს საქმეების შესახებ, განსაკუთრებით კი სოფისტ ტროილოსს, რომელიც სიბრძნითა და პოლიტიკური გამჭრიახობით მისი სწორი იყო. ამიტომ, თითქმის ყველაფერს ტროილოსის რჩევით აკეთებდა[532].

II თავი
კონსტანტინოპოლის ეპისკოპოს ატიკოსის ხასიათისა და ქცევის შესახებ

როდესაც იმპერატორს რვა წელი უსრულდებოდა, ატიკოსმა მისი ეპისკოპოსობის მესამე წელს გამოიჩინა თავი, კაცმა, რომელიც, როგორც წინათაც ვთქვით, კეთილკრძალულებით იყო

აღზრდილი და ამასთან იყო ბრძენიც. ამიტომ, ეკლესია მის დროს მეტად გაიზარდა. მან არა მხოლოდ მისი სარწმუნოების მახლობლები შემოკრიბა[533], არამედ სხვა სარწმუნოებრივი დაჯგუფების მიმდევრებსაც[534] აღაფრთოვანებდა გონიერებით და მათ ტანჯვა-წამებას არასოდეს არ განიზრახავდა, მაგრამ, როგორც კი დაიწყებდა მათ დაშინებას, მაშინვე სიმშვიდეს გამოიჩენდა მათ მიმართ[535]. არც მწერლობის მიმართ იყო უზრუნველი, არამედ ძველთა ნაშრომებზე ათენებდა ღამეებს, ამიტომ მისთვის უცხო არ იყო ფილოსოფოსთა და სოფისტთა აზრები. ვისაც კი უწევდა მასთან ურთიერთობა, მასთან თავაზიანი და მომხიბვლელი იყო, დამწუხრებულთან წუხილს გამოხატავდა, და მარტივად, მოციქულივით ყველასთვის ყველას სახეს იღებდა[536]. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ხუცესის ხარისხში იყო, ზეპირად სწავლობდა იმ სიტყვებს, რომელსაც წერდა და შემდეგ ასწავლიდა ეკლესიაში; ამის შემდეგ შრომისმოყვარეობით და კადნიერების მოხვეჭით ექსპრომტად წარმოთქვამდა პანეგირიკულ სიტყვას. თუმცა, მისი სიტყვები არ ყოფილა ისეთი, რომ მსმენელებს გასჩენოდა მისი ჩაწერის სურვილი.

მისი ზნის, ქცევისა და განათლების შესახებ საკმარისად ითქვა. აწ გიამბობთ იმ ღირსახსოვარი მოვლენების შესახებ, რომლებიც მის დროს მოხდა.

III თავი
სინადას ეპისკოპოსების, თეოდოსეს და აგაპეტოსის შესახებ

სინადაში, პაკატიანას ფრიგიის ქალაქში, ეპისკოპოსი იყო თეოდოსი, რომელიც მწვალებლებს (ქალაქში ბევრი იყვნენ მაკედონიანელთა აღმსარებლობის მიმდევარნი) ძლიერ დევნიდა, ისინი გაყარა არა მხოლოდ ქალაქიდან, არამედ სოფლებიდან-

აც. ეს მან გააკეთა არა როგორც ეს ჩვეოდა მართლმადიდებელ ეკლესიას, არც მართებული მრწამსის მოშურნეობის გამო, არამედ ვერცხლისმოყვარეობის ვნებას დამონებულმა, ესწრაფოდა, რომ სხვა სარწმუნოებრივი დაჯგუფებების ქონება მოეხვეჭა. ამიტომ, მან ყველა დარაზმა მაკედონიოსის შეხედულებების მიმდევართა წინააღმდეგ, შეაიარაღა მასზე დაქვემდებარებული კლერიკოსების ხელები და სხვა ათას ხრიკს მიმართა მათ წინააღმდეგ, არც სამსჯავროში მათი ბორკილდადებულთა მიყვანას ერიდებოდა[537]. სხვადასხვა გზებით განსაკუთრებით აშფოთებდა მათ ეპისკოპოსს, რომელსაც ერქვა აგაპეტიოსი. მაგრამ ვინაიდან პროვინციის ხელისუფლება მას საკმარისად არ მიაჩნდა მათ დასასჯელად, გაიქცა კონსტანტინოპოლში და ითხოვა პრეტორიის პრეფექტის ნებართვები. როდესაც თეოდოსი ამ საქმის გამო არ იმყოფებოდა კონსტანტინოპოლში, აგაპეტოსი, რომელიც, როგორც ითქვა, წინამდგომელობდა მაკედონიანელთა სარწმუნოებას, სასოწარკვეთისგან მივიდა მშვენიერ გადაწყვეტილებამდე. მან განიზრახა, რომ მთელ მის კლიროსთან ერთად მოეწოდებინა და დაერწმუნებინა ხალხი, რომ მიეღოთ „თანაარსის“ მრწამსი. როდესაც მან ეს გადაწყვიტა, მყისვე მრავალრიცხოვანი ხალხით, უფრო კი მთელი ერით დაიძრა ეკლესიისკენ, ლოცვები აღასრულა და დაჯდა საყდარზე, რომელზეც თეოდოსის სჩვეოდა ჯდომა. მან გააერთიანა რა ხალხი და ამიერიდან ასწავლიდა „თანაარსის“ მრწამსს, სინადას დაქვემდებარებული ეკლესიების მმართველი გახდა. როდესაც მოვლენები ასე ვითარდებოდა, არცთუ დიდი ხნის შემდეგ პროვინციაში საქმეების მოსაგვარებლად წასული თეოდოსი დაბრუნდა. მან არ იცოდა არაფერი და ისე გაემართა ეკლესიისკენ. ყველამ გამოაგდო იგი ეკლესიიდან და ის კვლავ კონსტანტინოპოლში გაემგზავრა. იქ ის შეხვდა ეპისკოპოს ატიკოსს და მის წინაშე დაიჩივლა, თუ როგორ უწესოდ განაგდეს ეპისკოპოსობიდან. ატიკოსმა შეიტყო მომხდარი ამბავი და ადვილად გადაწყვიტა საქმე ეკ-

ლესიის სასარგებლოდ, თეოდოსის ნუგეში სცა და დაარწმუნა, რომ მოთმინებით შესდგომოდა წყნარ ცხოვრებას, არიგებდა, რომ საზოგადო კეთილდღეობა პირადზე მაღლა დაეყენებინა. აგაპეტოსს მიწერა, რომ ეპყრა ეპისკოპოსობა და ეჭვი არ ჰქონოდა, რომ თეოდოსის განაწყენების გამო წაართმევდა.

IV თავი
ატიკოსის მიერ ნათლობისას იუდეველის განკურნების შესახებ

ეს ერთი კარგი ამბავი მოხდა ატიკოსის დროს ეკლესიაში. ამ დროში არც სასწაულებრივ კურნებათა ნაკლებობა ყოფილა. იყო ერთი იუდეველი პარალიჩით დასნეულებული, მრავალი წლის განმავლობაში ფეხზე ვერ დგებოდა და სარეცელზე იწვა. ვერანაირი სახის სამკურნალო ხელოვნება და იუდაური ლოცვები ვერაფერს გახდა. ბოლოს, საშველად მიმართა ქრისტიანულ ნათლისღებას, იწამა, რომ მხოლოდ ეს იყო ჭეშმარიტი წამალი. ეს მალე ცნობილი გახდა ეპისკოპოს ატიკოსისთვის. მან განსწავლა ქრისტიანულ საფუძვლებში[538], ახარა ქრისტეს სასოება და ბრძანა მისი მოყვანა საკაცით სანათლავთან. პარალიზებულმა იუდეველმა მიიღო რა ნათლობა სპეტაკი რწმენით, სანათლავი ემბაზიდან ამოსვლისთანავე გათავისუფლდა სნეულებისგან და ამის შემდეგ ჯანმრთელი იყო. ამ კურნების ჩვენება ადამიანთათვის ქრისტეს ძალამ ჩვენს დროშიც ინება, რის გამოც მრავალმა წარმართმა ირწმუნა და მოინათლა, მაგრამ იუდეველები, თუმც ნიშანს ეძიებდნენ, არც ამ მომხდარმა ნიშანმა მიიყვანა [რწმენამდე].

ასეთი წყალობა მიანიჭა ადამიანებს ქრისტემ.

V თავი
თუ როგორ გამოეყო ნოვაციანელებს ყოფილი იუდეველი, ხუცესი საბატიოსი[539]

მაგრამ ბევრმა არაფრად ჩააგდო ეს და დარჩა თავის მანკიერებაში. რადგან არა მხოლოდ იუდეველებმა არ ირწმუნეს ამ სასწაულების შემდეგ, არამედ მათაც, რომლებსაც მათ მისდევდნენ, გამოააშკარავეს, რომ მათზე ნაკლები შეხედულებები არ ჰქონდათ. საბატიოსს, რომელიც ცოტა ხნის წინ ვახსენეთ, არ სურდა ხუცესის ხარისხში დარჩენა და ეწადა რა ეპისკოპოსობა, გამოეყო მისი დროის ნოვაციანელთა ეკლესიას, საბაბად კი გამოიყენა პასექის იუდაური წესი. მან გამართა ცალკე საღვთისმსახურო შეკრება[540] მისი ეპისკოპოს სისინიოსის გარეშე ქალაქის ერთ ადგილას, რომელსაც ეწოდება ქსეროლოფოსი, ახლა რომ არკადიოსის ფორუმი ეწოდება. მან გაბედა მეტად საშიში საქმის გაკეთება. შეკრების დღეს ამოიკითხა სახარებიდან ადგილი, სადაც წერია, რომ „იყო უფუართა დღესასწაული, რომელსაც ეწოდება იუდეველთა პასექი[541]“. როდესაც ეს მოისმინეს და გავრცელდა, ნოვაციანელთა შორის გამოუცდელი საერონი წარიტაცა [ამ სიტყვებმა] და შეუერთდნენ მას. მაგრამ სარგებელი ვერ მიიღო ამ სოფისტობიდან, რადგან საბოლოოდ მის წინააღმდეგ ცუდად შეტრიალდა ეს სიყალბე. ცოტა ხნის შემდეგ მან წინდაწინ აღასრულა ეს დღესასწაული და მასთან თავი მოიყარა ძალიან ბევრმა მორწმუნემ. როდესაც ჩვეულებისამებრ ღამისთევას ასრულებდა[542], შფოთის დემონი დაეცა მათ თავზე, თითქოს მათი ეპისკოპოსი სისინიოსი მრავალრიცხოვანი ხალხით მოდიოდა მათ წინააღმდეგ. ატყდა შფოთი, როგორც ხდება ხოლმე, ღამით და ვიწრო ადგილას და ერთმანეთი გადათელეს, ისე რომ მათგან დაიღუპა ოთხმოც კაცზე მეტი. ამის შემდეგ მრავალი განუდგა საბატიოსს, მაგრამ ზოგიერთი დარჩა მასთან სოფლური ცრურწმენით შეპყრობილი.

მაგრამ თუ როგორ მივიდა საბატიოსი ეპისკოპოსობამდე ფიცის მეშვეობით, ამას მოგვიანებით ვიტყვით.

VI თავი
იმ დროის არიანელ წინამძღვართა შესახებ

არიანული სარწმუნოების წინამდგომელი დოროთე, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, არიანელებმა ანტიოქიიდან კონსტანტინოპოლში გადმოიყვანეს, ასცხრამეტი წელი იცხოვრა და აღესრულა ჰონორიუსის მეშვიდეგზის და ავგუსტუს თეოდოსის მეორეგზის კონსულობის დროს, ნოემბრის თვის ექვსს[543]. მის შემდეგ არიანული სარწმუნოების წინამდგომელი გახდა ბარბასი. ამ ბარბასის დროს ორი განათლებული კაცით იყო ბედნიერი არიანული სარწმუნოება, რომლებსაც ჰქონდათ ხუცესის ხარისხი. ერთის სახელი იყო ტიმოთე, მეორეს კი – გიორგი. გიორგი უფრო ელინური განათლებით გამოირჩეოდა, ტიმოთე კი წმინდა წერილში განისწავლებოდა. გიორგის მუდამ ხელში ეჭირა არისტოტელეს და პლატონის წიგნები, ტიმოთე კი ორიგენეთი იყო შთაგონებული, საჯაროდ განმარტავდა წმინდა წერილს და იცოდა ებრაული ენაც[544]. ტიმოთე პირველად ფსათირიანელთა[545] სარწმუნოების მიმდევარი იყო, გიორგის კი ბარბასმა დაასხა ხელნი. ტიმოთეს მე თვითონ ვიცნობდი და ვიცი, თუ როგორ ძლიერი იყო სიტყვისგებაში და ხსნიდა რაც კი ბუნდოვანი იპოვებოდა საღვთო სიტყვაში. ყოველთვის ორიგენეს მოიხმობდა, როგორც მის მიერ ნათქვამის ჭეშმარიტების მოწმედ.

მაკვირვებს, როგორ დარჩნენ ეს ადამიანები არიანულ სარწმუნოებაში, რომელთაგან ერთს ხელში მუდამ პლატონი ეჭირა, მეორე კი ორიგენეთი იყო შთაგონებული. რადგან, არც პლატონი უარყოფდა მეორე და მესამე მიზეზების, როგორც თვითონ უწოდებდა, დასაბამიდან არსებობას[546] და ორიგენეც ყველგან

მამის თანამარადიულად აღიარებს ძეს[547]. მიუხედავად იმისა, რომ ისინი დარჩნენ თავიანთ ეკლესიაში, მათ დაივიწყეს არიანული სარწმუნოება და უკეთესზე გადავიდნენ, რადგან მრავალი არიანული მკრეხელობა განაგდეს მათი სწავლებებიდან[548].

ეს ითქვა მათ შესახებ. მალე აღესრულა ნოვაციანელთა ეკლესიის ეპისკოპოსი სისინიოსი და იმავე კონსულობის პერიოდში[549] ხელნი დაასხეს ქრიზანთოსს, რომლის შესახებაც მოგვიანებით ვისაუბრებთ.

VII თავი
ალექსანდრიის ეპისკოპოს თეოფილეს კირილეთი შეცვლის შესახებ[550]

არცთუ დიდი ხნის შემდეგ ალექსანდრიის ეპისკოპოსი თეოფილეც აღესრულა კენჭის სნეულებით ჰონორიუსის მეცხრეგზის და თეოდოსის მეხუთეგზის კონსულობისას, ოქტომბრის თვის თხუთმეტში. მაშინ ეპისკოპოსობა გახდა ბრძოლის საგანი: ზოგი ცდილობდა არქიდიაკონ ტიმოთეს აღსაყდრებას, სხვები კი – კირილეს, რომელიც იყო თეოფილეს ძმისშვილი. ამის გამო ატყდა ჯანყი ხალხში, კირილეს დაჯგუფებას ემხრობოდა სამხედრო ძალების მეთაური აბუნდანტიოსი[551]. თეოფილეს აღსრულებიდან მესამე დღეს კირილე იქნა აღსაყდრებული ეპისკოპოსად და ძალაუფლებაში თეოფილესაც აღემატა. აქედან მოყოლებული ალექსანდრიის საეპისკოპოსომ სათავე დაუდო სამღვდელო იერარქიის საქმეებზე ძალაუფლების მოხვეჭას. კირილემ მყისვე დახურა ნოვაციანელთა ეკლესია ალექსანდრიაში და მიითვისა მისი მთელი საეკლესიო საგანძური, მათ ეპისკოპოს თეოპომპეს კი ყველაფერი ჩამოართვა, რაც გააჩნდა[552].

VIII თავი
მესოპოტამიის ეპისკოპოს მარუთას მიერ ქრისტიანობის სპარსეთში გავრცელების შესახებ[553]

დაახლოებით იმავე დროს დაიწყო სპარსეთში ქრისტიანობის გავრცელება შემდეგი მიზეზით. რომაელებსა და სპარსელებს შორის განუწყვეტლივ ხდებოდა ელჩების გაცვლა სხვდასხვა მიზეზებით, რის გამოც შუამავლობას ეწეოდნენ ერთმანეთთან. მაშინაც საჭიროებამ მოიტანა, როცა მესოპოტამიის ეპისკოპოსი მარუთა, რომელიც ცოტა ზემოთ ვახსენეთ, რომის იმპერატორმა გაგზავნა სპარსეთის მეფესთან. სპარსთა მეფემ ამ კაცში დაინახა დიდი ღვთისმოსაობა, პატივით მიიღო და როგორც ღვთივსათნო კაცს, ისე ეპყრობოდა. ამან გააღიზიანა მოგვები, რომლებსაც დიდი ძალაუფლება ჰქონდათ სპარსელთა მეფის წინაშე. ისინი ფიქრობდნენ, რომ მეფე არ გადაეყვანა ქრისტიანობაზე. რადგან მისი ქრონიკული თავის ტკივილი, რომლის განკურნებაც ვერ შეძლეს მოგვებმა, მარუთამ ლოცვებით განკურნა. ასე რომ, მოგვებმა განიზრახეს ამ ხრიკის მოწყობა. ვინაიდან სპარსელები ცეცხლს ემსახურებოდნენ, მეფეს წესად ჰქონდა ერთ-ერთ შენობაში მუდამ მგზნებარე ცეცხლისთვის ეცა თაყვანი. მოგვებმა მიწაში დამალეს ადამიანი და იმ დროს, როცა მეფეს უნდა ელოცა, იგი დაარიგეს, რომ დაეწყო ლაპარაკი, რომ მას წაერთმეოდა მეფობა, რადგან უღმერთო იყო, ქრისტიანთა მღვდელს რომ მიიჩნევდა ღვთივსათნო კაცად. როდესაც ეს მოისმინა ისდიგერდესმა (ეს იყო სპარსთა მეფის სახელი), თუმცა ის დიდ პატივს მიაგებდა მარუთას, განიზრახა მისი უკან დაბრუნება. მაგრამ მარუთამ, როგორც ჭეშმარიტად ღვთივსათნო ადამიანმა ილოცა და ამის მეშვეობით აღმოაჩინა მოგვების მიერ მოწყობილი სივერაგე. მან უთხრა მეფეს: „მეფეო, ნუ დაუშვებ, რომ შენით ითამაშონ, არამედ შედი, როდესაც ხმას მოისმენ, ამოთხარე მიწა და აღმოაჩენ ცბიერებას. რამეთუ არათუ ცეცხ-

ლი მეტყველებს, არამედ ადამიანთაგან არის მოწყობილი ეს საქმე“. სპარსთა მეფემ დაუჯერა მარუთას და კვლავ შევიდა შენობაში, სადაც იყო ჩაუქრობელი ცეცხლი. როდესაც კვლავ მოისმინა იგივე ხმა, ბრძანა ადგილის ამოთხრა და მის მიერ გაგზავნილმა კაცმა გამოააშკარავა თუ რა იყო, რაც ღვთის ხმა ეგონათ. განრისხებულმა მეფემ მოგვთა წოდების დეციმაცია მოაწყო[554]. როდესაც ეს მოხდა, ისდიგერდესმა კიდევ უფრო შეიყვარა მარუთა და უთხრა მარუთას, რომ დაეარსებინა ეკლესია, სადაც ინებებდა. აქედან მოყოლებული გავრცელდა სპარსელებში ქრისტიანობა.

მაშინ წავიდა მარუთა სპარსეთიდან და კვლავ კონსტანტინოპოლში ჩავიდა, არცთუ დიდი ხნის შემდეგ კი კვლავ ელჩად იქნა გაგზავნილი. კვლავ განიზრახეს მოგვებმა შეთქმულების მოწყობა, რათა არავითარ შემთხვევაში მეფეს გულთბილად არ მიეღო ეს კაცი. მათ მოამზადეს რაღაც სიმყრალე იმ ადგილზე, სადაც მეფეს სჩვეოდა სიარული და ცილი დასწამეს ქრისტიანებს, რომ ეს მათი გაკეთებული იყო. მაგრამ მეფეს უკვე წინათ ეჭვი ჰქონდა აღებული მოგვებზე და უფრო გულმოდგინედ გამოიძია ამის გამკეთებელთა ვინაობა და კვლავ აღმოაჩინა, რომ მათი ნამოქმედარი იყო ეს ცუდი სუნი. ამიტომ, კვლავ დასაჯა მრავალი მათგანი, მარუთა კი მიიღო დიდი პატივით. მან შეიყვარა რომაელები და მიიღო მათთან მეგობრობა[555], ცოტა აკლდა და გაქრისტიანდებოდა, როდესაც მარუთამ სპარსი ეპისკოპოსის აბლაბასთან ერთად ახალი საფუძველი მისცა სასწაულების მეშვეობით. ორივე მათგანმა მარხვებით და ლოცვებით განდევნეს დემონი, რომელიც აწუხებდა მეფის ვაჟიშვილს. მაგრამ ისდიგერდესი უფრო მალე აღესრულა, ვიდრე სრულად გაქრისტიანდებოდა, და მისი ვაჟიშვილი ბარაბანესი გახდა მეფე. მის დროს დაირღვა ზავი რომაელებსა და სპარსელებს შორის, რასაც ცოტა მოგვიანებით ვიტყვით.

IX თავი
ანტიოქიის და რომის ეპისკოპოსების შესახებ

დაახლოებით იმავე დროს აღესრულა ფლაბიანე ანტიოქიაში და ის ეპისკოპოსობაზე შეცვალა პორფირიმ, პორფირის შემდეგ კი კვლავ ალექსანდრე გახდა იქაური ეკლესიის წინამდგომელი[556]. რომაელთა ეკლესიაში ეპისკოპოსობა დამასს ეპყრა თვრამეტი წლის განმავლობაში, რომელიც შეცვალა სირიკიუსმა. სირიკიუსი თხუთმეტი წელი განაგებდა, რის შემდეგაც ანასტასი მართავდა სამი წელი, ანასტასის შემდეგ – ინოკენტი. მან პირველმა დაიწყო რომში ნოვაციანელების განდევნა და მათ წაართვა მრავალი ეკლესია[557].

X თავი
ალარიხის მიერ რომის აღებისა და დაპყრობის შესახებ[558]

ამ დროს მოხდა ბარბაროსების მიერ რომის დაპყრობა. ალარიხი იყო ბარბაროსი, იმყოფებოდა რომაელებთან საზავო შეთანხმების ქვეშ და თეოდოსის მოკავშირედ იბრძოდა ტირან ევგენის წინააღმდეგ, რის გამოც რომაული ღირსებით მიეგო პატივი. მაგრამ ვერ აიტანა ბედნერება. მან არ ირჩია იმპერატორობა, არამედ წავიდა კონსტანტინოპოლიდან დასავლეთ იმპერიაში. როდესაც ჩავიდა იქ მოაოხრა ილირიელთა მთელი მოსახლეობა. როდესაც ის გადადიოდა თესალიაში, თესალიელები წინ აღუდგნენ მას მდინარე პენეიოსის ნაპირებთან, საიდანაც არის გასასვლელი პინდოსის მთიდან ჰეპეიროსის ნიკოპოლში. შეტაკებისას სამი ათასი თესალიელი დაიღუპა. ამის შემდეგ ისინი ანადგურებდნენ ყველაფერს, რასაც კი წააწყდებოდნენ ის და მისი თანმხლებნი, და ასე ჩავიდნენ რომში. მათ ის

მოაოხრეს და მრავალი საოცარი სანახაობა იქ დაწვეს, სიმდიდრე კი გაიტაცეს, სენატის სათათბიროს მრავალი წევრი სხვადასხვა სახის სასჯელით მოკლეს[559]. მათ იმპერიის დასაცინად იმპერატორად ვიღაც ატალა დაადგინეს. ერთ დღეს ალარიხმა მას უბრძანა დაცვასთან ერთად გამოსულიყო, მაგრამ მეორე დღეს მონის სამოსელში მოაწყო მისი გამოსვლა. როდესაც ეს გააკეთა, გაიქცა, გავრცელებული ხმის გამო შიშში ჩავარდა, რომ თითქოს იმპერატორმა თეოდოსიმ ჯარი გამოგზავნა მასთან საომრად. ეს ხმა არ იყო შეთხზული (რადგან მართლა მოდიოდა ჯარი), და მანაც ვერ გაუძლო ამას, და, როგორც ვთქვი, გაიქცა. ამბობენ, რომ როდესაც ის შემოვიდა რომში, ერთი ღვთისმოსავი კაცი შეხვდა, ცხოვრებით მონაზონი, და შეაგონებდა, რომ არ ჩაედინა ეს ბოროტი საქმეები, არც ხოცვა-ულეტა და სისხლისღვრა. მაგრამ მან მიუგო: „მე არ მსურდა იქ გამგზავრება, მაგრამ რაღაცა ყოველდღე მაწუხებს, მაიძულებს და მეუბნება: „წადი, დაარბიე რომაელთა ქალაქი“[560]. ეს ითქვა ამ ამბის შესახებ. ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს თემას.

XI თავი
რომის ეპისკოპოსების შესახებ

ინოკენტის შემდეგ რომში ეკლესიას ორი წლის განმავლობაში განაგებდა ზოსიმე, მის შემდეგ ბონიფაციუსი წინამდგომელობდა ეკლესიას სამი წელი, რომელიც ცელესტინუსმა შეცვალა[561]. ამ ცელესტინუსმა რომში მყოფ ნოვაციანელებს წაართვა ეკლესიები და მათ ეპისკოპოსი რუსტიკულა აიძულა მალულად სახლებში გაემართა საღვთისმსახურო შეკრებები. აქამდე ნოვაციანელები ძლიერ იყვნენ გავრცელებული რომში, უამრავი ეკლესია ჰქონდათ და ბევრ ხალხს შემოკრებდნენ. მაგრამ ამის გამო გაჩნდა შური, რომაელთა საეპისკოპოსომ ალექსანდრიელთა მსგავსად უკვე დიდი ხნის წინ გადააჭარბეს სამღვდე-

ლო ძალაუფლებას[562]. ამიტომ, ეპისკოპოსები მათ თანამორწმუნეებს არ რთავდნენ თავისუფლად შეკრების ნებას, არამედ ყველაფერს იღებდნენ მათგან და მხოლოდ მათი თანამორწმუნოებისათვის აქებდნენ მათ. მაგრამ კონსტანტინოპოლელებს ასე არ ევნებოდათ, არამედ უყვარდათ ისინი და ქალაქის შიგნით ღვთისმსახურების გამართვის საშუალებას აძლევდნენ, როგორც ეს წინათაც ვთქვი.

XII თავი
კონსტანტინოპოლში ნოვაციანელთა ეპისკოპოს ქრიზანთოსის შესახებ

სისინიოსის გარდაცვალებისთანავე, როგორც ვთქვი, ქრიზანთოსი აიყვანეს ეპისკოპოსად, რომელიც იყო სისინიოსის წინ ნოვაციანელთა ეპისკოპოს მარკიანოსის ვაჟიშვილი. იგი ახალგაზრდობაში სასახლეში მსახურობდა, მოგვიანებით, იმპერატორ თეოდოსი დიდის დროს კონსული გახდა იტალიაში, რის შემდეგაც ბრიტანეთის კუნძულების ვიკარიუსად დანიშნული ბრწყინვალედ განაგებდა საქმეებს. ასაკში შესვლისას ჩავიდა კონსტანტინოპოლში და ესწრაფოდა ქალაქის პრეფექტად გახდომას, მაგრამ მისი ნების საწინააღმდეგოდ ეპისკოპოსად გახადეს. რადგან სისინიოსმა მისი აღსასრულის ჟამს ახსენა იგი, როგორც ეპისკოპოსობისთვის შესაფერისი კაცი. ნოვაციანელმა ერმა მისი სიტყვები კანონად მიიღო და სცადეს მისი ძალით მოყვანა. როდესაც ქრიზანთოსი გაიქცა, საბატიოსმა დრო იხელთა და იქ, სადაც მართავდა ეკლესიებს, მოაწყო ვიღაც უცნობი ადამიანების ხელდასხმა, არაფრად ჩააგდო მის მიერ დადებული ფიცი. მის მიერ ხელდასხმულთა შორის იყო ჰერმოგენეც, რომელიც მან შეჩვენებით განკვეთა მის მიერ დაწერილი მკრეხელური თხზულებების გამო. თუმცა, მან ვერ მიაღწია თავის მიზანს. რადგან ხალხს სძულდა მისი თავნებობა, რადგან

ყველაფერს იქმოდა ეპისკოპოსად გაძვრომისათვის, და ყველა გზას მიმართავდნენ ქრიზანთოსის აღმოსაჩენად. ის იპოვეს ბითვინიის მახლობლად დამალული და ეპისკოპოსად დასადგენად ძალით წაიყვანეს. იგი იყო გონიერი და ბრძენი კაცი, სხვა საქმეებთან ერთად მან განამტკიცა და განავრცო ნოვაციანელთა ეკლესიები კონსტანტინოპოლში. ის იყო პირველი, ვინც საკუთარი ქონებიდან გაიღო ოქრო ღარიბებისთვის და არაფერს ღებულობდა ეკლესიებიდან, გარდა იმისა, რომ კვირა დღეს ორ პურს ღებულობდა საწირად[563]. იგი ისე იყო მისი ეკლესიისათვის მოშურნე, რომ თავისთან მიიღო უნიჭიერესი რიტორი, სოფისტ ტრიოლოსის [მოწაფე], აბლაბიოსი და ხუცესად დაასხა ხელნი, ვისგანაც ისმენდა დახვეწილ და ძლიერ ქადაგებებს[564]. აბლაბიოსი მოგვიანებით ნიკეაში ნოვაციანელთა ეკლესიის ეპისკოპოსად იქნა დადგენილი და იმხანად იქ ეწეოდა მის სოფისტურ მოღვაწეობას.

XIII თავი
ალექსანდრიაში იუდეველებსა და ქრისტიანებს შორის ჩამოვარდნილი დაპირისპირების შესახებ. ასევე ეპისკოპოს ალექსანდრესა და პრეფექტ ორესტეს შორის წარმოქმნილი უთანხმოების შესახებ

იმავე დროს მოხდა იუდეველთა მოსახლეობის ალექსანდრიიდან გამოდევნა ეპისკოპოს კირილეს მიერ შემდეგი მიზეზით. ალექსანდრიელი ხალხი სხვა ხალხებზე მეტად არის განწყობილი ამბოხისკენ. როგორც კი მიეცემა საბაბი, მას ის გადააქცევს აუტანელ ბოროტებად, რადგან სისხლის გარეშე არ ცხრება ჯანყი. მაშინ იქ მოხდა ხალხის ამბოხი ერთმანეთის წინააღმდეგ რაიმე აუცილებელი მიზეზის გარეშე, არამედ ყველა ქალაქში გავრცელებული უკეთურების გამო, ვგულისხმობ საცეკვაო წარ-

მოდგენებისადმი ლტოლვას[565]. ერთ შაბათ დღეს ერთმა მოცეკვავემ უამრავ ბრბოს მოუყარა თავი, რადგან იმ დღეს იუდეველები უქმად არიან არათუ რჯულის დაცვის გამო, არამედ თეატრისთვის მოსაცლელად. ამიტომ ეს დღე ხალხის დაჯგუფებებისთვის ბრძოლის დღედ იქცა. როდესაც ალექსანდრიის პრეფექტმა გარკვეული წესრიგი დაამყარა, იუდეველები არანაირად არ დაწყნარდნენ მოწინააღმდეგე მხარეს უპირისპირდებოდნენ, ყველგან განუწყვეტლივ ებრძოდნენ ქრისტიანებს, უფრო მეტად კი მოცეკვავეების გამო ემტერებოდნენ. ერთხელ, როდესაც ალექსანდრიის პრეფექტი ორესტე თეატრში „პოლიტეიას“ აკეთებდა (ჩვევად აქვთ ასე უწოდონ საჯაროდ განცხადებების გაკეთებას)[566], იქ ესწრებოდნენ ეპისკოპოს კირილეს მომხრეები, სურდათ შეეტყოთ პრეფექტის განცხადება. მათ შორის იყო ერთი კაცი სახელად ჰიერაქსი, რომელიც ბავშვების წერა-კითხვის მასწავლებელი იყო. იგი ეპისკოპოს კირილეს [ქადაგებების] მგზნებარე მსმენელი იყო და მის სწავლებებზე ტაშისკვრას ვერავინ დაასწრებდა[567]. მაშინ ამ ჰიერაქსმა თეატრში მყოფ იუდეველებს მყისვე დაუყვირა, რომ ისინი სხვა არაფრისთვის შემოდიოდნენ თეატრში, თუ არა ხალხში ამბოხის ჩამოსაგდებად. ორესტეს წინათაც სძაგდა ალექსანდრიელი ეპისკოპოსების ძალაუფლება, რადგან ისინი დიდ ბევრ უფლებებს ართმევდნენ იმპერატორისგან სამართავად განწესებულ პირებს, განსაკუთრებით იმის გამო, რომ კირილეს ეწადა მისი გადაწყვეტილებების ზედამხედველობა. მან საჯაროდ შეიპყრო ჰიერაქსი და თეატრში საშინელი ტანჯვა-წამებით დასაჯა. როდესაც ეს შეიტყო კირილემ, გააგზავნა იუდეველთა პირველ კაცებთან და, როგორც სჩვეოდა, დაემუქრა, თუ არ შეწყვეტდნენ ქრისტიანების წინააღმდეგ ამბოხს. მაგრამ იდეველთა მოსახლეობამ როდესაც ეს მუქარა შეიტყო, უფრო მეტად გაცხარდა და ხრიკებს იგონებდნენ ქრისტიანების საზიანოდ. გიამბობთ, თუ რა გახდა ამათთაგან მათი ალექსანდრიიდან გაძევების უმთავრესი მიზეზი.

ისინი ნიშანს აძლევდნენ ერთმანეთს თითზე ფინიკის ნორჩი ტოტის ქერქისგან დამზადებული ბეჭდით და განიზრახავდნენ ღამისეულ ბრძოლას ქრისტიანების წინააღმდეგ. ერთ ღამეს ქალაქის ერთ უბანში ვიღაცეები მოამზადეს დასაყვირად, რათა ალექსანდრეს სახელობის ეკლესია მთლიანად ცეცხლში დაეწვათ. როდესაც ეს შეიტყვეს ქრისტიანებმა, მოცვივდნენ ყველა მხრიდან ეკლესიის გადასარჩენად. მაგრამ იუდეველები მყისვე თავს დაესხნენ და დაიწყეს მათ ხოცვა-ჟლეტა. ერთმანეთს ერიდებოდნენ, როცა ნიშანს აჩვენებდნენ, ქრისტიანებს კი, ვისაც შეხვდებოდნენ, ხოცავდნენ. დამდეგ დღეს მათ ვერ დამალეს, რომ მათი ჩადენილი იყო ეს დანაშაული. ამის გამო აღიძრა კირილე და მრავალრიცხოვან ბრბოსთან ერთად მივიდა იუდეველთა სინაგოგებში (ასე ეწოდება მათ სამლოცველო შენობებს), ზოგი წაართვა მათ, ზოგიც განდევნა ქალაქიდან, ხალხს ნება მისცა დაეტაცებინა მათი ქონება[568].

ასე რომ, იუდეველებმა, რომლებიც ალექსანდრე მაკედონელის დროიდან მოყოლებული ცხოვრობდნენ ამ ქალაქში, მაშინ ყველაფრიდან განძარცვულებმა დატოვეს ის და გაიფანტნენ სხვადასხვა ადგილებში. ერთი მათგანი სოფისტი და სამედიცინო ნაწარმოებების ავტორი ადამანტიოსი[569] გაემართა კონსტანტინოპოლისკენ და თავშესაფარი სთხოვა ეპისკოპოს ატიკოსს, აღუთქვა მას, რომ გაქრისტიანდებოდა, და მოგვიანებით კვლავ დაბრუნდა ალექსანდრიაში.[570] ალექსანდრიის პრეფექტი ორესტე ძალიან განრისხდა მომხდარ ამბავზე და დიდად შეწუხდა, რომ ესოდენ დიდი ქალაქი დაცარიელდა ასეთი ადამიანებისგან. ამიტომ, ეს აცნობა იმპერატორს. თვითონ კირილემაც შეატყობინა იმპერატორს იუდეველთა დანაშაულები და არცთუ ცოტა შუამავლები გაგზავნა ორესტესთან შესარიგებლად; რადგან ამის გაკეთებას მას აიძულებდა ხალხი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ორესტემ არ მიიღო მისი მეგობრობის სიტყვები, კირილემ წინ დაუდო სახარებათა წიგნი და ამის მეშვეობით ფიქრობდა მის

დანამუსებას. მაგრამ არც ამ გზით მოულბა გული ორესტეს და გაგრძელდა მათ შორის დაუზავებელი ომი. მაშინ მოხდა შემდეგი ამბავი.

XIV თავი
თუ როგორ ჩამოვიდნენ მონაზვნები ნიტრიიდან და აღძრეს ამბოხი ალექსანდრიის პრეფექტის წინააღმდეგ

ნიტრიის მთებში მცხოვრებ მონაზვნებს შორის ზოგიერთებს ჰქონდათ ცხელი თავი მოყოლებული თეოფილეს დროიდან, როდესაც მან ისინი დიოსკორეს მომხრეების წინააღმდეგ უსამართლოდ აამხედრა[571]. მაშინ წადიერად აიღეს შური და კირილეს გამო ბრძოლა ირჩიეს. დაახლოებით ორმოცდაათმა კაცმა დატოვა მონასტრები, ჩავიდნენ ქალაქში და ჩაუსაფრდნენ ეტლით მიმავალ პრეფექტს. მიუახლოვდნენ მას და კერპების მზორველი და წარმართი უძახეს, და სხვა მრავალი სიტყვითაც მიაყენეს შეურაცხყოფა. მან იეჭვა, რომ ეს კირილემ მოუწყო მას, დაიყვირა, რომ ქრისტიანი იყო და ეპისკოპოს ატიკოსის მიერ იყო მონათლული კონსტანტინოპოლში. მაგრამ მონაზვნებმა ყურად არ იღეს ეს სიტყვები და ერთ-ერთმა მათგანმა, სახელად ამონიოსმა, აიღო ქვა და თავში ესროლა ორესტეს. როდესაც იგი ჭრილობიდან მომდინარე სისხლით აივსო, მცველების უმეტესობამ მიატოვა და ხალხში შეერივნენ, ქვების ცვენიდან თავი რომ დაეცვათ. ამ დროს თავი მოიყარა ალექსანდრიის მოსახლეობამ, ცდილობდნენ პრეფექტის დასაცავად გამკლავებოდნენ მონაზვნებს. სხვა ყველა გაიქცა, ამონიოსი კი შეიპყრეს და პრეფექტთან მიიყვანეს, რომელმაც საჯაროდ გამოიძია საქმე კანონების თანახმად და ისე ტანჯა, რომ ის მოკვდა. მალე ეს ცნობილი გახდა სახელმწიფოს მმართველებისთვის. კირილემ ეს კი არა, ამის საპირისპირო ცნობები მიაწოდა იმპერატორს,

ამონიოსის ნეშტი კი აიღო და ეკლესიაში დაასვენა, მას სახელი შეუცვალა, უწოდა თავმასი და ბრძანა მისი მოწამედ შერაცხვა, ხოტბა შეასხა მის სიმამაცეს, თითქოს ღვთისმოსავობის გამო იბრძოდა. მაგრამ კეთილგონიერმა ხალხმა, თუმცა ქრისტიანები იყვნენ, არ მოიწონეს კირილეს ასეთი მოწადინება. რადგან იცოდნენ, რომ უგუნურების გამო მიეზღო ამონიოსს და არა ქრისტეს უარყოფის გამო ტანჯეს. ამიტომ, კირილე ცოტა ხნით წყნარად იყო და მომხდარი დავიწყებას მისცა.

მაგრამ აქამდე გრძელდებოდა მწვავე შუღლი კირილეს და ორესტეს შორის, რადგან ხელახლა აღაგზნო ის წინარეს მსგავსმა ახალმა ამბავმა.

XV თავი
ფილოსოფოსი ქალის, ჰიპატიას შესახებ[572]

ალექსანდრიაში იყო ქალი სახელად ჰიპატია. იგი იყო ფილოსოფოს თეონის ასული. იგი ისე წარემატა განათლებაში, რომ აღემატა მისი დროის ფილოსოფოსებს, პლოტინის[573] მიერ დაარსებული პლატონური სასწავლებლის მონაცვლე გახდა და ყველა ფილოსოფიურ სწავლებებს გადაცემდა მსურველთ. ამიტომ, ყველა მხრიდან მორბოდნენ მასთან, ვისაც ეწადა ფილოსოფოსობა. განათლების გამო მას ახასიათებდა პატივსაცემი კადნიერება და პირადად იცნობდა ხელისუფლებაში მყოფ პირებს. არაფერი სასირცხვილო არ იყო იმაში, რომ ის მამაკაცების გარემოცვაში იმყოფებოდა. რადგან ყველა მისი ზეაღმატებული კეთილგონიერების გამო მეტად მიაგებდა მას პატივს და აღფრთოვანებული იყო მისით. და აი, მაშინ შური ამხედრდა მის წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც მან ორესტესთან მოუხშირა შეხვედრებს, ეკლესიის ერში ცილისწამება აღიძრა მის წინააღმდეგ,

თითქოს იგი უშლიდა ხელს ორესტეს დამეგობრებას ეპისკოპოსთან. ასე რომ, შეითქვნენ ცხელი თავის მქონე ადამიანები, რომლებსაც მოთავეობდა ვინმე პეტრე წიგნისმკითხველი, ჩაუსაფრდნენ ამ ადამიანს, როდესაც საიდანღაც ბრუნდებოდა სახლში, სავარძლიდან გადმოათრიეს, შეიყვანეს ეკლესიაში, რომელსაც ეწოდება „კესარიონი“, შემოიკრიბნენ, გააშიშვლეს და მოკლეს თიხის ნატეხებით; შემდეგ ასო-ასო აკუწეს, მისი კიდურები კი წაიღეს ეგრეთ წოდებულ „კინარონში“ და დაწვეს. ამან არამცირედი ყვედრება აღძრა კირილესა და ალექსანდრიის ეკლესიაზე, რამეთუ ქრისტეს მიმდევრების სრულიად საწინააღმდეგო რამეს იქმოდნენ, მკვლელობებს, ბრძოლებს და სხვა მსგავს საქმეებს. ეს საქმეები იქნა ჩადენილი კირილეს ეპისკოპოსობის მეოთხე წელს, ჰონორიუსის მეათეგზის და თეოდოსის მეექვსეგზის კონსულობის დროს, მარტის თვეში მარხვის დროს.

XVI თავი
იუდეველების მიერ ქრისტიანების წინააღმდეგ მოწყობილი ახალი ამბოხისა და მათი დასჯის შესახებ

ამავე დროს, ცოტა ხნის შემდეგ იუდეველებმა კვლავ უჯერო საქმეები ჩაიდინეს ქრისტიანების წინააღმდეგ, რის გამოც სამართლიანად მიეზღოთ. იმონმესტარში (ასე ეწოდება ადგილს, რომელიც მდებარეობს ქალკისსა და სირიის ანტიოქიას შორის) იუდეველები ჩვეულებისამებრ მართავდნენ რაღაც თამაშობას. თამაშის დროს ბევრ უგუნურებას სჩადიოდნენ, მთვრალები თამაშით ამასხარავებდნენ ქრისტიანებს და თვითონ ქრისტესაც, დასცინოდნენ ჯვარს[574] და მათ, ვისაც ჯვარცმულის იმედი ჰქონდა, და მოიფიქრეს შემდეგი რამ. დაიჭირეს ქრისტიანი ბავშვი, ჯვარზე მიაკრეს და ჩამოკიდეს. ჯერ დასცინოდნენ და ამასხარავებდნენ,

მაგრამ შემდეგ გონება დაკარგეს და ბავშვი აწამეს ისე, რომ მოკლეს. ამაზე სასტიკი შეტაკებები მოხდა მათსა და ქრისტიანებს შორის. ეს ამბავი ცნობილი გახდა ხელისუფალთათვის და მიწერეს პროვინციის მმართველებს, რომ მოეძებნათ ამ საქმეში დამნაშავეები და დაესაჯათ. და ასე მიეგოთ სასჯელი იქაურ იუდეველებს, რომლებმაც თამაშით ჩაიდინეს ბოროტმოქმედება.

XVII თავი
ნოვაციანელი ეპისკოპოსის პავლეს მიერ მოხდენილი სასწაულისა და იუდეველი თაღლითის მონათვლის შესახებ

იმხანად აღესრულა ნოვაციანელთა ეპისკოპოსი ქრიზანთოსი მისი მმართველობის ქვეშ მყოფი ეკლესიების ხუთი წლის განმავლობაში წინამძღვრობის შემდეგ, მონაქსიოსის და პლინთას კონსულობის პერიოდში, აგვისტოს თვის ოცდაექვსში[575]. იგი შეცვალა ეპისკოპოსობაზე პავლემ, რომელიც ადრე იყო ლათინური მჭევრმეტყველების მასწავლებელი, მაგრამ ამის შემდეგ იგი დაემშვიდობა გრამატიკას და მიუბრუნდა ასკეტურ ცხოვრებას, მოღვაწე ადამიანების მეშვეობით დააფუძნა მონასტერი, რომელიც არ განსხვავდებოდა უდაბნოს მონაზვნების ცხოვრების წესისგან[576]. მე ისეთი ვნახე ის, როგორც ევაგრი ამბობდა, რომ უნდა ყოფილიყვნენ უდაბნოში მცხოვრები მონაზვნები. ყველაფერს მათი მიბაძვით ასრულებდნენ: განუწყვეტლივ მარხულობდნენ, ცოტას საუბრობდნენ, თავს იკავებდნენ სულიერი საკვებისგან[577], ხშირად კი ღვინისგან და ზეთისგანაც კი იკავებდნენ თავს. არა მხოლოდ ეს, არამედ ღარიბებზე ყველაზე მეტი გულმოდგინებით ზრუნავდნენ, დაუყოვნებლივ მოინახულებდნენ ხოლმე ციხეში მყოფ ტუსაღებს, ბევრი მათგანის გამო ხელისუფალთაც სთხოვდნენ, რომლებიც მზად იყვნენ

მოესმინათ მათთვის ამ ადამიანთათვის დამახასიათებელი კეთილ-კრძალულების გამო. რაღა გავაგრძელო სიტყვა მათ შესახებ? გადავდივარ იმ ამბის თხრობაზე, რომელიც მისი ხელებით იქნა გაკეთებული და ღირსი არის წერილობით გადმოიცეს, რომ არ მიეცეს დავიწყებას.

ერთი იუდეველი თაღლითურად ქრისტიანად აჩვენებდა თავს, ხშირად ინათლებოდა და ამ ხრიკის მეშვეობით დააგროვა ქონება. როდესაც მან მრავალი აღმსარებლობა მოატყუა ამ ხრიკით (რადგან არიანელთაგანაც და მაკედონელთაგანაც მიიღო ნათლობა), ბოლოს აღარავინ დარჩა მოსატყუებელი და მივიდა ნოვაციანელთა ეპისკოპოს პავლესთან. უთხრა, რომ ეწადა ნათლისღება და სთხოვდა, რომ მისი ხელით მიეღო ის. მან მიიღო მისი წინადადება, მაგრამ უთხრა, რომ მანამდე არ მისცემდა ნათლობას, თუ არ განისწავლებოდა სარწმუნოების მოძღვრებაში მრავალი დღის განმავლობაში მარხვის დაცვის შემდეგ. ამ იუდეველმა იძულებულმა, რომ მარხვა დაეცვა, უფრო მეტი მოწადინებით სთხოვა მონათვლა. პავლეც შეუდგა ნათლობას, ვინაიდან არ სურდა მისი განაწყენება გაჭიანურებით. სპეტაკი სამოსი უყიდა მას, ბრძანა სანათლავის ავსება და მიიყვანა იუდეველი მოსანათლად. მაგრამ ღმერთის უხილავმა ძალამ წყალი გააქრო. ეპისკოპოსმა და იქ დამსწრეებმა ვერაფერი ისაზრეს, იფიქრეს, რომ წყალი გაედინა ქვედა გასასვლელიდან, საიდანაც ჩვეულებრივ უშვებდნენ ხოლმე. კვლავ აავსეს და გულდასმით დაუცეს ყველა მხრიდან გასასვლელები. მაგრამ, როცა კვლავ მიიყვანეს მასთან იუდეველი, წყალი კვლავ გაუჩინარდა. მაშინ პავლემ უთხრა: „ადამიანო, ან ბოროტმოქმედებას სჩადიხარ ანდა არ იცი, რომ მონათლული ხარ“. როდესაც ხალხმა თავი მოიყარა სასწაულის სახილველად, ერთმა იცნო იუდეველი, რომელიც იცოდა, რომ მონათლული იყო ეპისკოპოს ატიკოსის მიერ.

ამრიგად, ეს სასწაული მოხდა ნოვაციანელ ეპისკოპოს პავლეს ხელით.

XVIII თავი
თუ როგორ განახლდა მტრობა რომაელებსა და სპარსელებს შორის[578] სპარსთა მეფის ისდიგერდესის გარდაცვალების შემდეგ

როდესაც გარდაიცვალა სპარსთა მეფე ისდიგერდესი, რომელიც იქაურ ქრისტიანებს არასოდეს დევნიდა, მეფობა ჩაიბარა მისმა ვაჟმა ბარაბანესმა. იგი მოგვებმა დაარწმუნეს და დაიწყო ქრისტიანების სასტიკი დევნა, სხვადასხვა სპარსულ სატანჯველებსა და გვემას თავს ატეხდა მათ[579]. აუცილებლობით იძულებული სპარსეთში მცხოვრებმა ქრისტიანებმა დახმარება სთხოვეს რომაელებს, არ უგულებელეყოთ მათი განადგურება. ეპისკოპოსმა ატიკოსმა გულით მიიღო მავედრებელნი, ყველაფერი იღონა მათთვის მფარველობის გასაწევად, რაც კი ძალუძდა, იმპერატორი თეოდოსიც საქმის კურსში ჩააყენა. ამავე დროს მოხდა ისე, რომ სხვა მიზეზით განაწყენდნენ რომაელები სპარსელებზე, ვინაიდან სპარსებს, რომლებმაც რომაელებიდან მიიღეს ოქროს მადაროს მთხრელები გარკვეულ საფასურად, აღარ სურდათ მათი უკან დაბრუნება, ასევე მათ მიიტაცეს რომაელი ვაჭრების ტვირთი. ასე რომ, ამ მწუხარებას დაერთო იქაური ქრისტიანების გამოქცევა რომაელებთან. რადგან მაშინათვე ელჩები გამოგზავნეს სპარსებმა და ითხოვდნენ ლტოლვილების უკან დაბრუნებას, მაგრამ რომაელებმა არავითარ შემთხვევაში არ გადასცეს ისინი მათ. მათ არა მხოლოდ შემოვრდომილთა გადარჩენა ეწადათ, არამედ სურდათ ყველაფრის გაკეთება ქრისტიანობის გულისთვის. ამიტომ, ომის დაწყება არჩიეს სპარსელებთან ქრისტიანთა დახოცვის არად ჩაგდებას. ამგვარად, ამ მიზეზით დაირღვა ზავი და გაჩაღდა საშინელი ომი, რომლის შესახებ, ვფიქრობ, ცოტა გადარბენით საუბარი არ იქნება უჯერო[580].

რომაელთა იმპერატორმა წინდაწინ გაგზავნა მისი ჯარის

ნაწილი სარდალ არდაბურიოსის მეთაურობით. იგი სომხეთის მიწების გავლით შეიჭრა სპარსეთში და დაარბია მისი ერთ-ერთი პროვინცია აზაზენე[581]. მას დახვდა სპარსთა მეფის სარდალი ნარსაიოსი სპარსული ჯარით, მაგრამ შეტაკებისას დამარცხდა და გაიქცა. მან შეიტყო, რომ შეეძლო ესარგებლა მესოპოტამიის გავლით რომაელთა იმ მიწებზე მოულოდნელი შეჭრით, რომლებიც დაუცველი იყო[582], და ამ გზით რომაელებზე შურის ძიება. მაგრამ რომაელთა სარდალს არ გამოეპარა ნარსაიოსის განზრახვა. სწრაფად გაძარცვა აზაზენე და ისიც მესოპოტამიაში გაემგზავრა. ამიტომ ნარსაიოსმაც დიდი ჯარი გაამზადა, თუმცა ვერ შეძლო რომაელთა მიწაზე შეჭრა. იგი თავს დაესხა ნისიბისს (ეს ქალაქი მიკრული იყო სპარსეთის საზღვარზე), საიდანაც აცნობა არდაბურიოსს, რომ შეთანხმებულად ეწარმოებიათ ომი, განესაზღვრათ შეტაკების ადგილი და დღე. მან მიუგო მასთან მოსულებს: „აუწყეთ ნარსაიოსს, რომ, როცა შენ გსურს, მაშინ არ ომობენ რომაელები, არამედ, როცა მათთვის ხელსაყრელად ჩათვლიან.“ როდესაც [იმპერატორი] მიხვდა, რომ მთელი ძალებით იყვნენ გამზადებული სპარსეთი, ომის მთელი იმედი მიანდო ღმერთს და გაგზავნა უდიდესი არმია. ვინაიდან იმპერატორი მიენდო ღმერთს, კვლავ მოიპოვა მისგან ქველმოქმედება, რაც ცხადი შეიქმნა შემდეგი მოვლენებიდან. როდესაც კონსტანტინოპოლში შფოთსა და საგონებელში იყვნენ ჩავარდნილი, კონსტანტინოპოლში საკუთარი საჭიროების გამო მიმავალმა მგზავრებმა იხილეს ღვთის ანგელოზები, რომლებიც უბრძანებდნენ, რომ თამამად ექადაგათ, ელოცათ და მინდობოდნენ ღმერთს, რომ რომაელები გაიმარჯვებდნენ; ისინი ამბობდნენ, რომ ღვთისგან იყვნენ წარგზავნილი ომის მოსაგებად. ამის მოსმენამ არა მხოლოდ ქალაქი გაამხნევა, არამედ ჯარისკაცებიც უფრო მამაცი გახადა[583].

მას შემდეგ, რაც, როგორც ითქვა, ომმა სომხეთის მიწებიდან მესოპოტამიაში გადაინაცვლა, რომაელებმა ალყა შემოარტყეს

ნისიბისელთა ქალაქში ჩაკეტილ სპარსელებს. მათ ააგეს ხის კოშკები, რაღაც მანქანებით მიაგორეს და მიადგეს კედლებს და დახოცეს მრავალი კედლებზე მებრძოლი, ვინც ცდილობდა თავის დაცვას. როდესაც სპარსელთა მეფემ ბარაბანესმა შეიტყო მისი მმართველობის ქვეშ არსებული აზაზენეს დარბევა და ნისიბისში გამაგრებულთა ალყით მოცვა, დაიწყო თვითონ მთელი ჯარით დახვედრის მზადება. შეშინებულმა რომაელთა ჯარმა დასახმარებლად სარკინოზებს უხმო, რომელთაც მეთაურობდა ალამუნდაროსი, კაცი მამაცი და მეომარი, რომელმაც წამოიყვანა მრავალი ათასი სარკინოზი და სპარსელთა მეფეს შეუთვალა მხნედ ყოფილიყო, რადგან დაპირდა, რომ მალე დაიმორჩილებდა რომაელებს და სირიის ანტიოქიას მას გადასცემდა[584]. თუმცა, დანაპირები არ შესრულდა, რადგან ღმერთმა სარკინოზებს უსაფუძვლო შიში ჩაუნერგა, და იფიქრეს, რომ რომაელთა ჯარი მოსდევდა მათ, ხმაური ატეხეს და არ შეეძლოთ რა გაქცევა, საჭურვლიანი გადახტნენ მდინარე ევფრატში, რომელშიც დაახლოებით ათი ათასი კაცი დაიხრჩო.

ამრიგად, ასე იყო ეს ამბავი. რომაელებმა, რომლებმაც ნისიბისი ალყით მოიცვეს, შეიტყვეს, რომ სპარსთა მეფეს უამრავი სპილო მოჰყავდა საბრძოლველად. მათ დაყარეს მთელი მათი საალყო მანქანები და ცეცხლი წაუკიდეს იმავე ადგილებზე, სადაც იდგნენ[585].

ვფიქრობ, თითოეული მოვლენის დაწვრილებითი აღწერით წინამდებარე თემას დიდად რომ არ დავშორდე, უნდა გამოვტოვო ის ამბები, თუ რამდენი შეტაკება მოხდა ამის შემდეგ და როგორ მეტად ახოვნად მარტო ებრძოდა და ხოცავდა სპარსელებს რომაელთა მეორე სარდალი არეობინდასი, ან არდაბურიოსი როგორ ჩაუსაფრდა და დახოცა შვიდი წარჩინებული სპარსელი სარდალი, ან რა ბრძოლა გაუმართა სხვა რომაელმა სარდალმა ვიტიანოსმა[586] გადარჩენილ სარკინოზებს.

XIX თავი
მაცნე პალადიოსის შესახებ

ეს ამბავი სწრაფად გახდა ცნობილი იმპერატორ თეოდოსისთვის. მოგითხრობთ, თუ როგორ შეიტყო იმპერატორმა მისგან შორს მომხდარი ამბავი.

ბედად იყო ახოვანი სულისა და სხეულის კაცი, რომლის სახელი იყო პალადიოსი. მან ისე აჭენა ცხენი, რომ სამ დღეში ჩავიდა იმ ადგილებში, რომლებიც ყოფდნენ სპარსთა და რომაელთა ქვეყნებს, და იგი ამდენსავე ხანში ჩავიდა კონსტანტინოპოლში. ამ კაცმა უსწრაფესად მოიარა მსოფლიოს ყველა მხარე, სადაც იგი გაგზავნა იმპერატორმა. ერთხელ ერთმა განათლებულმა კაცმა მის შესახებ ასეთი რამ თქვა: „ამ კაცმა რომის უდიდესი იმპერია მცირედ წარმოაჩინა მისი სისწრაფით.“ სპარსთა მეფეც შეძრწუნდა, როდესაც შეიტყო ამ კაცის შესახებ[587]. მაგრამ ეს ვიკმაროთ პალადიოსის შესახებ.

XX თავი
რომაელების მიერ სპარსელების მეორედ განდევნის შესახებ[588]

რომაელთა იმპერატორი იმყოფებოდა კონსტანტინოპოლში, როდესაც შეიტყო ღვთისგან აშკარად მონიჭებული გამარჯვების შესახებ, რომელიც ასე კეთილი იყო, რომ ეთნა მისი მმართველობის ქვეშ წარმატებით მოქმედთა მშვიდობა[589]. ასე რომ, მან გაგზავნა ჰელიონი, კაცი, რომელსაც დიდ პატივს სცემდა, და დააბარა, რომ სპარსელებთან მშვიდობისთვის მიეღწია[590]. როდესაც ჰელიონი ჩავიდა მესოპოტამიაში, სადაც რომაელებს თავიანთი უსაფრთხოებისათვის ორმო ჰქონდათ ამოთხრილი, მშვიდობისთვის შუამავლად გაგზავნა მაქსიმონი, მეტად განათლე-

ბული კაცი, რომელიც იყო სარდალ არდაბურიოსის თანაშემწე. იგი წავიდა სპარსთა მეფესთან და უთხრა მას, რომ მშვიდობისთვის არათუ რომაელთა იმპერატორის მიერ იყო წარმოგზავნილი, არამედ მისი სარდლების მიერ, რადგან უთხრეს, რომ იმპერატორმა არც იცოდა ამ ომის შესახებ, რადგან რომც ცოდნოდა, არც არაფრად ჩააგდებდა ამას. სპარსს სურდა ხალისით მიეღო ელჩი (რადგან მისი ჯარი იტანჯებოდა შიმშილით), მაგრამ მოვიდნენ ეგრეთ წოდებული „უკვდავები“ (ის შედგებოდა ათი ათასი მამაცი კაცისგან) და უთხრეს, რომ მანამდე არ მიეღო მშვიდობა, სანამ ისინი არ დაესხმოდნენ იმ დროს დაუცველად დარჩენილ რომაელებს. მეფემ დაუჯერა მათ და ელჩი დაცვის ქვეშ დაამწყვდია, „უკვდავები“ კი გაგზავნა რომაელებზე თავდასასხმელად. როდესაც ისინი ადგილზე მივიდნენ, ორ ნაწილად გაიყვნენ რომაელთა შუაში მოსაქცევად. რომაელებმა ერთი დანაყოფი შენიშნეს და მის წინააღმდეგ დასაძვრელად გაემზადნენ, მაგრამ მეორე ვერ დაინახეს, რადგან მყისიერად დაესხნენ თავს. მოსალოდნელი თავდასხმა ღვთის რამ წინაგანგებით ეჩვენა ერთ-ერთ ბორცვზე მდგომ ჯარისკაცს, რომელიც იმყოფებოდა სარდალ პროკოპის[591] მეთაურობის ქვეშ. იგი მიხვდა მის თანამემამულეებზე მოსალოდნელ საფრთხეს და სპარსელებს ზურგიდან შეუტია და გარს შემოერტყნენ მათ, სანამ ისინი მოიქცევდნენ შუაში რომაელებს. ასე რომ, რომაელებმა ისინი ყველა მოკლე დროში გაანადგურეს და საფარიდან გამოსულებს მიუბრუნდნენ, მსგავსადვე ისინიც ყველა დახოცეს. ასე სპარსების მიერ უკვდავებად წოდებულნი ყველა მოკვდავები აღმოჩნდა, ერთ დღეში დაეცნენ, სასჯელი მიეზღო სპარსელებს ქრისტესგან მათ მიერ დახოცილი მისი მრავალი მსახურის გამო. სპარსთა მეფემ, როცა შეიტყო ეს უბედურება, თავი ისე მოაჩვენა, თითქოს არ იცოდა რა მოხდა, ელჩობა მიიღო და ელჩს უთხრა: „არათუ რომაელებისადმი დათმობის გამო ვიღებ მშვიდობას, არამედ შენ განიჭებ მადლს, რომ ყველა

რომაელზე გონიერი აღმოჩნდი.“ ასე დაცხრა სპარსეთში მცხოვრები ქრისტიანების გამო წამოწყებული ომი, რომელიც მოხდა ორი ავგუსტუსის კონსულობის დროს, ჰონორიუსის – მეცამეტეგზის, თეოდოსის – მეათეგზის, მესამასე ოლიმპიადის მეოთხე წელს[592]. ასევე შეწყდა ქრისტიანთა დევნულება სპარსეთში.

XXI თავი
სპარსელი ტყვეებისადმი ამიდის ეპისკოპოს აკაკის კეთილი მოპყრობის შესახებ

იმხანად ამიდის ეპისკოპოსმა აკაკიმ კეთილი საქმე გააკეთა ყველას თვალნათლივ დასანახად. რომაელ სარდლებს არაფრის დიდებით არ სურდათ აზაზენის დარბევისას აყვანილი სპარსელი ტყვეების სპარსელთა მეფისათვის გადაცემა, ტყვეები კი შიმშილით იხოცებოდნენ[593]. მათი რაოდენობა დაახლოებით ხუთი ათასი იყო და ეს ძალიან აწუხებდა სპარსელთა მეფეს. აკაკიმ გულთან მიიტანა ეს ამბავი. მან შემოკრიბა მისი სასულიერო პირები და უთხრა: „კაცნო, ჩვენს ღმერთს არც ფეშხუმი და არც ბარძიმი არ სჭირდება, რადგან არც ჭამს და არც სვამს, არც არაფერი აკლია. ამ დროს კი ეკლესიას უამრავი ოქროს და ვერცხლის ჭურჭელი აქვს დაგროვილი მის კეთილმოსურნეთა შემოწირულობით. ჩვენ გვმართებს, რომ მათი მეშვეობით გამოვისყიდოთ ეს ტყვეები ჯარისკაცებისგან და დავაპუროთ.“ ეს და სხვა ბევრი რამ ამის მსგავსი თქვა, შემდეგ გადაადნო ჭურჭლები[594], ტყვეთათვის გამოსასყიდი მისცა ჯარისკაცებს, დააპურა ისინი, შემდეგ მისცა საგზალი და გაუშვა თავიანთ მეფესთან.

აკაკის ამ საოცარმა საქციელმა აღფრთოვანებაში მოიყვანა სპარსელთა მეფე,რომ რომაელებმა გამარჯვება მოიპოვეს,როგორც ომით, ასევე ქველმოქმედებით. ამბობენ, რომ სპარსელთა მეფეს

ეწადა მისი მოწვევა, ამ კაცის ნახვით რომ დამტკბარიყო, რაც შესრულდა კიდეც იმპერატორ თეოდოსის ბრძანებით.

როდესაც ღმერთმა ასეთი გამარჯვება მიანიჭა რომაელებს, მრავალმა მჭევრმეტყველებით განთქმულმა კაცმა იმპერატორს სამეფო სიტყვები დაუწერეს და სახალხოდ წარმოთქვეს ისინი[595]. აგრეთვე იმპერატორის მეუღლემ ჰეროიკული საზომით ლექსები შეთხზა. რადგან ის იყო მეტად განათლებული, ასული ათენელი სოფისტი ლეონტისა. მამამისმა განსწავლა და მან გაიარა ყველა სახის განათლება. როდესაც იმპერატორი აპირებდა მის შერთვას, ეპისკოპოსმა ატიკოსმა ქრისტიანად მონათლა და ათენაიდოსის ნაცვლად ევდოკია უწოდა[596].

როგორც ითქვა, მრავალმა დაწერა სამეფო სიტყვები, ზოგმა იმიტომ, რომ ეწადა იმპერატორისთვის ცნობილი გამხდარიყო, ზოგი კი ეშურებოდა, რომ მისი მჭევრმეტყველების ძალა მრავალთათვის მიეწვდინა, რადგან არანაირად არ სურდათ, უცნობი დარჩენილიყო ის განათლება, რაც მათ დიდი შრომით მოიპოვეს.

XXII თავი
იმპერატორ თეოდოსი უმცროსის ღირსებების შესახებ[597]

მე კი, არც იმპერატორის ნაცნობობას ვეშურები, არც მჭევრმეტყველების წარმოჩენა მსურს, არამედ ვირჩევ გავიხსენო იმპერატორისთვის დამახასიათებელი უბრალო სიკეთეები, რადგან ვფიქრობ, ზიანს მოუტანს მომავალ თაობებს, რომ დავდუმდე მის ასეთ ღირსებებზე და მათ შესახებ არ იცოდნენ[598].

პირველ რიგში სასახლეში დაბადებული და გაზრდილი ფუფუნებისგან არ ყოფილა დაჩლუნგებული, არამედ ისეთი გონიერი იყო, რომ რასაც წააწყდებოდა, ფიქრობდა, რომ მრავალი საქმეების გამოცდილება უნდა შეეძინა. ისეთი თავშეკავე-

ბული იყო, რომ ყინვასაც და მწველ სიცხესაც ვაჟკაცურად იტანდა, ბევრს მარხულობდა, განსაკუთრებით ეგრეთ წოდებულ ოთხშაბათ და პარასკევ დღეებს[599] და ამას იქმოდა უმწვერვალესი ქრისტიანული ღვაწლის მოშურნეობით. სასახლე ისე შეცვალა, რომ მონასტრისგან არ განსხვავდებოდა. ის თვითონ მის დებთან ერთად[600] ცისკარზე ანტიფონურ საგალობლებს წარმოთქვამდა ღვთის წინაშე[601]. ამიტომ, მთელი გულით წარმოთქვამდა წმინდა წერილს. როდესაც ხვდებოდა მღვდლებს, როგორც მღვდელი, ისე ესაუბრებოდა წმინდა წერილიდან[602]. მან შემოკრიბა წმინდა წიგნები და, რაც კი განმარტებები არსებობდა, უფრო მეტი, ვიდრე ეს გააკეთა ძველად პტოლემეოს ფილადელფოსმა[603].

მოთმინებით და კაცთმოყვარეობით ის აღემატა ყველა ადამიანს. რადგან იმპერატორმა იულიანემ, თუმც ფილოსოფოსად აცხადებდა თავს, მაინც ვერ შეიკავა რისხვა ანტიოქიელების წინააღმდეგ, რომლებმაც დასცინეს მას, არამედ უდიდესი ტანჯვა მიაყენა თეოდორეს[604]. თეოდოსი კი დაემშვიდობა არისტოტელეს სილოგიზმებს და საქმეებით ეწეოდა ფილოსოფიას, უფლებდა რისხვაზე, მოწყენილობაზე და სიამოვნებაზე, და შურს არ იძიებდა არავიზე, ვინც მის წინააღმდეგ იყო დამნაშავე[605], არამედ არც კი უნახავს ვინმეს ის განრისხებული. ერთხელ, ერთმა მისმა მეგობარმა ჰკითხა: „რატომ არასოდეს სჯი სიკვდილით არც ერთ დამნაშავეს?“ მან მიუგო: „ნუთუ შესაძლებელია გარდაცვლილის გაცოცხლება!“ სხვას კი, ვინც იგივე კითხვა დაუსვა, უპასუხა: „დიდი საქმე არ არის, არც ძნელია მოკვდავის მოკვლა, მაგრამ შეუძლებელია თუ არა მხოლოდ ღვთისთვის, რომ ერთგზის მკვდრის სინანულით უკან გამოხმობა [სიცოცხლეში]“. ასე მტკიცე იყო მისი განწყობა, რომ თუკი ოდესმე ვინმე თავის მოკვეთის სასჯელის ღირს დანაშაულს ჩაიდენდა, ჯერ ქალაქის კარიბჭემდე არ იყო მიყვანილი მოსაკლავად[606], რომ კაცთმოყვარეობის გამო მყისვე ითქმოდა მისი უკან გამოხმობა.

ერთხელ კონსტანტინოპოლის ამფითეატრში გაიმართა ნადიროობის სანახაობა, ხალხმა დაიყვირა, რომ საშინელ მხეცს შერკინებოდა ერთი ძლიერი ცხოველი. მაგრამ მან უთხრა მათ: „ნუთუ არ იცით, რომ ჩვენ გვჩვევია კაცთმოყვარულად უყუროთ სანახაობებს?!“ ამის თქმით ხალხი განსწავლა, რომ ამიერიდან კაცთმოყვარული სანახაობებისთვის ეყურებინათ.

ასეთი ღვთისმოსავი იყო, რომ ყველა ღვთის მღვდელს პატივს მიაგებდა, გამორჩეულად კი მათ, რომელთა შესახებაც იცოდა, რომ კეთილკრძალულებით იყვნენ განთქმული. ამბობენ, როდესაც ქებრონის ეპისკოპოსი აღესრულა კონსტანტინოპოლში, მან მოიძია მისი მოსასხამი, რომელიც ძალიან ჭუჭყიანი იყო, და შეიმოსა; სწამდა, რომ ასე ეზიარებოდა გარდაცვლილის სიწმინდის რაღაც ნაწილს. ერთ წელს მძიმე ზამთარი მოვიდა და იძულებული იყო ხალხის გულისთვის მათი მოთხოვნით გაემართა ჩვეული და განსაზღვრული სანახაობები იპოდრომზე. როდესაც ხალხით აივსო იპოდრომი, ზამთარი დამძიმდა, რადგან დიდი თოვლი მოვიდა. მაშინ იმპერატორმა გამოააშკარავა ის განზრახვა, რაც მას ჰქონდა ღვთის მიმართ, და ჰეროლდების მეშვეობით მიმართა ხალხს: „არამედ გაცილებით უმჯობესია, დავანებოთ თავი ამ სანახაობას და ყველამ ერთად ვილოცოთ ღვთის მიმართ, რათა ამ ზამთარში უვნებლად დაგვიცვას.“ ჯერ კიდევ არ ჰქონდა სიტყვა დამთავრებული, რომ იპოდრომზე დამსწრეებმა უდიდესი სიხარულით ლოცვის საგალობლებით ერთხმად მიმართეს ღმერთს და მთელი ქალაქი ერთ ეკლესიად იქცა, იმპერატორი კი გამოვიდა მგალობლების შუაში და დადიოდა უბრალო სახით. იმედიც არ გაუცრუვდათ. ამინდი გამოკეთდა და ღვთის კაცთმოყვარეობამ საკვების უკმარისობის ნაცვლად უხვმოსავლიანი წელი მიანიჭა ყველას. ხოლო, როცა კი ომი აღიძვრებოდა, დავითის მსგავსად ღმერთს მოუხმობდა შემწედ, იცოდა, რომ იგი განაგებდა ომებს და მათ ლოცვით წარმართავდა.

უნდა გიამბოთ, თუ როგორ დაამარცხა ღმერთზე მინდობით ტირანი იოანე მას შემდეგ, რაც სპარსელებთან ომის შემდეგ მალე მოულოდნელად აღესრულა იმპერატორი ჰონორიუსი ასკლეპიოდოტოსის და მარინიანოსის[607] კონსულობის ჟამს, აგვისტოს თვის თხუთმეტს. რადგან ღირსსახსოვრად მიმაჩნია იმ დროინდელი მოვლენები, რადგან, როგორც მოსეს დროს ებრაელებისთვის მოხდა მეწამული ზღვაზე გადასვლა, ასევე მოხდა მისი სარდლებისთვის, როდესაც ისინი გაგზავნა ტირანის წინააღმდეგ. ამას მოკლედ გადმოვცემ და სხვებს დავუტოვებ მათი მნიშვნელობის შეფასებას, რაც ითხოვს დაწვრილებით კვლევას.

XXIII თავი

თუ როგორ ჩაიგდო ხელში ტირანმა იოანემ ხელისუფლება იმპერატორ ჰონორიუსის გარდაცვალების შემდეგ. აგრეთვე თეოდოსი უმცროსის ლოცვებით მისი დამარცხების შესახებ

როდესაც გარდაიცვალა იმპერატორი ჰონორიუსი, შეიტყო რა ეს თვითმპყრობელმა[608] თეოდოსიმ, დამალა ამბავი და ხან ერთ ხან მეორე რაღაცას თხზავდა ხალხისთვის. მან მალულად გაგზავნა ერთი ჯარისკაცი ქალაქ სალონში (ეს არის დალმაციის ქალაქი), რათა, თუ მოხდებოდა გადატრიალება დასავლეთში, შორს არ ყოფილიყვნენ შურისმაძიებლები. როდესაც ეს საქმე ასე მოაგვარა, მაშინ გააცხადა მისი ბიძის სიკვდილი. ამ დროს საიმპერიო ნოტარიუსების უფროსმა იოანემ ვერ იკმარა მისი ღირსება, მიიტაცა საიმპერიო ძალაუფლება და ელჩი გაუგზავნა თვითმპყრობელ თეოდოსის, ითხოვდა სასახლეში მიღებას[609]. მაგრამ მან ელჩები საპყრობილეში ჩაამწყვდია და გაგზავნა სარდალი არდაბურიონი, რომელიც ძლიერ იბრძოდა სპარსეთის ომში. იგი ჯერ ჩავიდა სალონაში, შემდეგ აქედან

გაცურა აკვილეისკენ, როგორც ფიქრობდა, ცუდ ბედში ჩავარდა, მაგრამ ბედმა გაუმართლა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა. რადგან არცთუ კეთილი ქარი ქროდა და ის ტირანის ხელში ჩააგდო, რომელმაც ის შეიპყრო და იმედოვნებდა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდებდა თვითმპყრობელს, ისე რომ უნდა დათანხმებოდა და ეცნო იმპერატორად, თუ სურდა სარდლის გამოხსნა. მართლაც, როდესაც ეს შეიტყო, იმპერატორი საგონებელში ჩავარდა, ტირანთან გაგზავნა ჯარი, რომ რაიმე არ ვვნებოდა არდაბურიოსს ტირანისგან. მაგრამ როდესაც არდაბურიოსის ვაჟიშვილმა ასპარმა შეიტყო, რომ მამამისი ტირანის მიერ იყო შეპყრობილი და იცოდა, რომ მრავალი ათასი ბარბაროსი იყო ტირანთან მის მოკავშირედ და არ ძალუძდა რაიმეს გაკეთება. მაშინ კვლავ ღვთივსათნო იმპერატორის ლოცვამ მიანიჭა ძალა. რადგან მწყემსის გარეგნობის მქონე ღვთის ანგელოზმა უმეგზურა ასპარს და მის თანმხლებთ და ატარა რავენას მახლობლად მდებარე ტბის გავლით (რადგან ამ ქალაქში ჰყავდა ტირანს სარდალი), რომლის გავლაც არავის არასოდეს უამბნია. მაგრამ მაშინ ღმერთმა გაუვალი ადგილი გზიანი გახადა. მათ ტბის წყალზე ისე გამოიარეს, როგორც ხმელეთზე, ნახეს ქალაქი, გააღეს კარიბჭე და სძლიეს ტირანს[610].

მაშინ უაღრესად ღვთისმოსავმა იმპერატორმა წარმოაჩინა ის კეთილკრძალულება, რაც მას ჰქონდა ღვთის მიმართ. მან ცხენთა სრბოლის გამართვისას გამოაცხადა, რომ მოკლულ იქნა ტირანი. მან მიმართა ხალხს და უთხრა: „თუ გსურთ, აწ უფრო მეტად მივატოვოთ სიამენი, წავიდეთ სამლოცველოში და სამადლობელო ლოცვები აღვავლინოთ ღვთის მიმართ იმის გამო, რომ მისი ხელით დაემხო ტირანი.“ ეს რომ ითქვა, შეწყდა სანახაობა და დავიწყებულ იქნა, ხოლო შუა იპოდრომიდან ყველამ მასთან ერთად ერთხმად იგალობა სამადლობელო ლოცვა და ასე გაემართნენ ღვთის ეკლესიისაკენ; მთელი ქალაქი იქცა ერთ ეკლესიად. როდესაც მივიდნენ სამლოცველო ადგილას, იქ გაატარეს მთელი დღე.

XXIV თავი
თუ როგორ იქნა იმპერატორად გამოცხადებული კონსტანციუსის და თეოდოსის დეიდის, პლაკიდიას ვაჟიშვილი ვალენტინიანე

ტირანის დაღუპვის შემდეგ თვითმპყრობელი საგონებელში იყო, თუ ვინ გამოეცხადებინა დასავლეთის იმპერატორად. მას ჰყავდა დეიდაშვილი სრულიად ყრმა, სახელად ვალენტინიანე; ის იყო მისი ბიძა პლაკიდიას მხრიდან, რომელიც იყო იმპერატორ თეოდოსი დიდის ასული, ორი ავგუსტუსის, ჰონორიუსის და არკადიუსის და. ვალენტინიანეს მამა იყო კონსტანციუსი, რომელიც ჰონორიუსმა იმპერატორად გამოაცხადა და მცირე დროით მასთან ერთად მეფობის შემდეგ გარდაიცვალა. მან ეს დეიდაშვილი დაადგინა კეისრად და გაგზავნა დასავლეთ მხარეში, სახელმწიფო საქმეებზე ზრუნვა კი მის დედას, პლაკიდიას ჩააბარა[611]. ის სწრაფად გაეშურა იტალიაში, რათა დეიდაშვილი გამოეცხადებინა იმპერატორად. როდესაც ჩავიდა, თავისი გონიერებით განსწავლა ისინი, რომ ადვილად არ მიდრეკილიყვნენ ტირანის მხარეზე. თესალონიკში მის ჩასვლას ხელი შეუშალა სენმა. ამრიგად, მან საიმპერიო გვირგვინი გაუგზავნა დეიდაშვილს პატრიკიუს ჰელიონის ხელით, თვითონ კი კონსტანტინოპოლში დაბრუნდა.

XXV თავი
კონსტანტინოპოლის ეპისკოპოს ატიკოსის ქრისტიანული გულმოწყალების შესახებ. თუ როგორ შეიტანა დიპტიქში იოანეს სახელი. ასევე მის მიერ საკუთარი სიკვდილის წინასწარი ცოდნის შესახებ

ვფიქრობ, უნდა ვიკმაროთ ამ ამბების თხრობა. ეპისკოპოსმა ატიკოსმა როგორღაც საოცრად წარმატებულად წარმართა საეკლესიო საქმეები, რადგან მათ გონივრულად განაგებდა და ხალხს თავისი დამოძღვრით სათნოებისკენ შეაგონებდა. მან ისაზრა, რომ იოანიტები ეკლესიის გარეთ მართავდნენ საღვთისმსახურო შეკრებებს და ეკლესია გაყოფილი იყო, ამიტომ ბრძანა, რომ იოანეს ხსენება შეეტანათ ლოცვებში,როგორც წესად იყო სხვა შესვენებული ეპისკოპოსებისთვის. ამის გაკეთებით ის იმედოვნებდა, რომ მრავალი დაბრუნდებოდა ეკლესიაში[612]. ასე გულუხვად ის არა მხოლოდ მისი საკრებულოს უპოვრებზე ზრუნავდა, არამედ მეზობელი ქალაქების მრევლსაც უგზავნიდა ვერცხლს გაჭირვებაში მყოფთა ნუგეშის საცემად. მან ნიკეის ეკლესიის ხუცეს კალიოპოსს გაუგზავნა სამასი ოქრო და მისწერა:

„ატიკოსი კალიოპოსს მოკითხვა უფალში.

შევიტყვე, რომ ქალაქის უპოვართ სჭირდებათ ღვთისმოსავთაგან მოწყალების გაღება, ვგულისხმობ ათასობით ადამიანს, რომელთა ზუსტი რაოდენობა უცნობია. ვინაიდან მე თვითონ მაქვს მიღებული უხვი ხელის მიერ მოცემული კეთილი განგებულებისთვის, და ხდება ისე, რომ ზოგიერთი არის გასაჭირში მათ გამოსაცდელად, ვისაც აქვს რამ გასაცემი, მაგრამ არ გასცემენ; ამიტომ, მიიღე, ძვირფასო მეგობარო, ეს სამასი ოქრო და დახარჯე ისე, როგორც გენებოს. ალბათ, ამას ისურვებ მათ-

თვის, ვისაც რცხვენია თხოვნა და არა მათთვის, ვინც ეს ცხოვრებაში კუჭის ვაჭრობად აქცია. ამრიგად, მიეცი ისე, რომ ნუ მიიღებ მხედველობაში ვინმეს სარწმუნოებას ამ საქმეში, მხოლოდ ეს ერთი რამ აკეთე, რომ გამოკვებო უპოვარნი, არამედ ნუ გაუწევ ზედამხედველობას მათ, ვინც არ ფიქრობენ ჩვენებურად[613].“

ასე ზრუნავდა გაჭირვებულებზე და შორს მცხოვრებზეც კი. არა მხოლოდ მათზე, არამედ ცდილობდა ზოგიერთი ცრურწმენის ამოძირკვას. ერთხელ შეიტყო, რომ იუდაური პასექის გამო გამოყოფილმა ნოვაციანელებმა საბატიოსის ნეშტი როდესიდან გადმოასვენეს (ეს არის იმ კუნძულის სახელი, სადაც ის გარდაიცვალა გადასახლებაში ყოფნისას), დამარხეს და საფლავზე ლოცულობდნენ. მან გაგზავნა [ხალხი] და უბრძანა, ღამით სხვა საფლავზე დაემალათ საბატიოსის ნეშტი. როდესაც ჩვეულებისამებრ მოვიდნენ და ნახეს ამოთხრილი საფლავი, ამის შემდეგ შეწყვიტეს საფლავის თაყვანისცემა[614].

მას ასევე ჰქონდა მშვენიერების გრძნობა სახელების დარქმევაში. შავი ზღვის პირას მდებარეობდა ნავსაყუდელი, რომელსაც უძველესი დროიდან ეწოდებოდა „ფარმაკეა“ (მწამვლელი), დაარქვა „თერაპეია“ (მკურნალობა), რათა საღვთისმსახურო შეკრების გამართვისას უჯერო სახელით არ მიემართა ადგილისთვის. მან ასევე კონსტანტინოპოლის ერთ-ერთ გარეუბანს „არგიროპოლისი“ უწოდა შემდეგი მიზეზით. არის უძველესი ნავსაყუდელი, რომელიც მდებარეობს ბოსფორის სათავეში, მას ახსენებს ბევრი ძველი დროის მწერალი, გამორჩეულად განათლებული სტრაბონი და ნიკოლოზ დამასკელი, ასევე დიდებული ქსენოფონე კვიროსის „ანაბაზისის“ მეექვსე წიგნში; „ჰელენიკების“ პირველ წიგნში კი ამბობს მის შესახებ, რომ ალკიბიადემ შემოავლო კედელი მას და მასში დააფუძნა საბაჟო და პონტოდან ზღვით წამოსულები მეათედს იხდიდნენ მასში[615]. ატიკოსმა დაინახა რა, რომ ამ ადგილს ქრიზოპოლისის მოპირდაპირე

მხარეს შესანიშნავი მდებარეობა ჰქონდა, თქვა, რომ შესაფერისი იქნებოდა მას რქმეოდა „არგიროპოლისი“[616], და ეს სიტყვა მყისვე სახელწოდებად დაამტკიცა.

ზოგიერთები ეუბნებოდნენ მას, რომ არ უნდა გაემართათ შეკრებები ნოვაციანელებს ქალაქის შიგნით. მაგრამ მან მიუგო: „ნუთუ არ იცით, რამდენი მათგანი დაიტანჯა ჩვენთან ერთად კონსტანციუსის და ვალენტის დევნულების დროს? გარდა ამისა, ისინი არიან ჩვენი მრწამსის მოწმეები, რადგან ადრე გამოეყვნენ ჩვენს ეკლესიას და სარწმუნოებაში არავითარი სიახლე არ შეუტანიათ.“ ერთხელ, როდესაც ის იმყოფებოდა ნიკეაში ეპისკოპოსის ხელდასხმის გამო, მან მოინახულა ნოვაციანელთა ადგილობრივი მოხუცი ეპისკოპოსი ასკლეპიადე და ჰკითხა: „რამდენი წელია, რაც ეპისკოპოსი ხარ?“ როცა მან უთხრა – „ორმოცდაათი“, ატიკოსმა მიუგო: „ბედნიერი ხარ, კაცო, ესოდენი ხანი რომ სიკეთეს იქმ.“ მაგრამ იმავე ასკლეპიადეს უთხრა: „მე ვაქებ ნოვაციუსს, მაგრამ ნოვაციანელებს არ ვიწონებ.“ ეს სიტყვები ეუცნაურა ასკლეპიადეს და უთხრა: „ეპისკოპოსო, ამას როგორ ამბობ.“ ატიკოსმა მიუგო: „მას ვაქებ იმიტომ, რომ მას არ სურდა კერპების მსხვერპლის შემწირველებთან თანაზიარებაში შესვლა, რადგან მეც ასე მოვიქცეოდი. მაგრამ ნოვაციანელებს არ ვიწონებ, რადგან უმნიშვნელო დაცემების გამო ერისკაცებს ზიარებისგან კვეთავენ.“ ამაზე ასკლეპიადემ უპასუხა: „ზორვის გარდა წმინდა წერილის მიხედვით კიდევ სხვა მრავალი ცოდვა არის სასიკვდილო, რომელთა გამო თქვენ მხოლოდ სასულიერო პირებს, ჩვენ კი საერო პირებსაც ვკვეთავთ და მხოლოდ ღმერთს მივანდობთ მათ შენდობას[617].“

ატიკოსმა წინასწარ განჭვრიტა საკუთარი აღსასრული. ნიკეადან წასვლისას მან უთხრა იქაურ ხუცეს კალიოპიოსს: „იჩქარე კონსტანტინოპოლში ჩამოსვლა შემოდგომის დასასრულამდე, თუ გსურს ცოცხალი მიხილო, რადგან თუ დაიგვიანებ, ვეღარ მნახავ.“ ეს თქვა და არც შემცდარა. იგი აღესრულა მისი

ეპისკოპოსობის ოცდამეერთე წელს, ოქტომბრის თვის ათში, თეოდოსის მეთერთმეტეგზის და კეისარ ვალენტინიანეს პირველი კონსულობისას. თესალონიკიდან დაბრუნებული იმპერატორი თეოდოსი არ დასწრებია მის დასაფლავებას, რადგან თვითმპყრობელის შემოსვლამდე ერთი დღით ადრე გადასცეს მისი ნეშტი საფლავს[618]. არცთუ დიდი ხნის შემდეგ, იმავე თვის ოქტომბრის ოცდასამს, მოხდა ყმაწვილი ვალენტინიანეს გამოცხადება.

XXVI თავი
თუ როგორ იქნა არჩეული სისინიოსი ატიკოსის მონაცვლედ[619]

ატიკოსის გარდაცვალების შემდეგ ჩამოვარდა დიდი დაპირისპირება ეპისკოპოსის ხელდასხმის გამო, ყველა თავ-თავისი კანდიდატის გაყვანას ცდილობდა. ზოგიერთებს სურდათ პრესვიტერი ფილიპე, ზოგიერთებს – პროკლე, ისიც ხუცესი იყო[620]. მაგრამ ხალხმა ერთსულოვნად ისურვა სისინიოსის დადგენა, რომელიც ასევე იყო ხუცესი, მაგრამ ქალაქის შიგნით მდებარე არც ერთ ეკლესიაში არ მსახურობდა, არამედ კონსტანტინოპოლის გარეუბანში, რომელსაც ეწოდება „ელაია“, არჩეულ იქნა მღვდლად. ის მდებარეობს ქალაქის შემოსასვლელის მოპირდაპირე მხარეს და მასში ჩვეულებისამებრ აღინიშნება მაცხოვრის ამაღლების სახალხო დღესასწაული. ეს კაცი უნდოდა ყველა ერისკაცს, რადგან ის განთქმული იყო კეთილკრძალულებით და განსაკუთრებით იმიტომ, რომ ის მის შესაძლებლობებზე მეტად ეშურებოდა ღარიბებზე ზრუნვას. გაიმარჯვა ერისკაცთა სურვილმა და ხელნი დაასხეს სისინიოსს თებერვლის თვის ოცდაექვსს, მომდევნო კონსულობის დროს, რომელიც იყო თეოდოსის მეოცეგზის და ყმაწვილი ავგუსტუსის ვალენტინიანეს მეორეგზის. ამის გამო ხუცესმა ფილიპემ,

ვინაიდან მას სხვა ამჯობინეს, ძალიან გაკიცხა ეს ხელდასხმა მის მიერ დაწერილ „ქრისტიანულ ისტორიაში“, ცილი დასწამა ხელდასხმულსაც და ხელდამსხმელთაც, განსაკუთრებით მეტად კი ერისკაცებს. მან ისეთი რამ ილაპარაკა, რისი წერილობით გადმოცემასაც არ ვისურვებდი, რადგან არ ვიწონებ მის ამ დაუფიქრებელ საქციელს, რომ გაბედა ასეთი რამის დაწერა. მაგრამ ვფიქრობ, უჯერო არ იქნება, ცოტა რამ ვთქვა მის შესახებ.

XXVII თავი
სიდეს ხუცესის, ფილიპეს ვრცელი ნაწარმოებების შესახებ

ფილიპე წარმოშობით იყო სიდედან (სიდე არის პამფილიის ქალაქი, საიდანაც ასევე წამოვიდა სოფისტი ტროილოსი, ვის ნათესაობასაც იქადოდა ფილიპე). ის იყო დიაკონი და ხშირად იმყოფებოდა ეპისკოპოს იოანესთან ერთად. მან მრავალი ნაშრომი დაწერა და ყველა ჟანრის წიგნი შეადგინა. მას მოწონდა აზიური მჭევრმეტყველების მიბაძვა და მრავალი თხზულება დაწერა: განაქიქა ქრისტიანთა წინააღმდეგ იმპერატორ იულიანეს წიგნები, შეადგინა ქრისტიანული ისტორია, რომელიც ოცდათექვსმეტ წიგნად არის დაყოფილი, თითოეული წიგნი კი მრავალი ტომისგან შედგება, ისე რომ, ყველა ერთად არის თითქმის ათასი, თითოეული ტომის თემა შეესაბამება მთელ ტომს. ამ ნაშრომს მან უწოდა არა „საეკლესიო ისტორია“ არამედ „ქრისტიანობის ისტორია“. უამრავი მასალა აქვს შეტანილი მასში, სურს წარმოაჩინოს, რომ გამოუცდელი არ იყო საფილოსოფოსო მეცნიერებებში. ამიტომ, გამუდმებით ახსენებს გეომეტრიულ, ასტრონომიულ, არითმეტიკულ და სამუსიკო თეორიებს, აღწერს კუნძულებს, მთებს, ხეებს და სხვა უმნიშვნელო საგნებს, რითაც უშინაარსოს ხდის ნაშრომს[621]. ამიტომ, ვფიქრობ, ის უსარ-

გებლოა უსწავლელთათვისაც და განათლებულთათვისაც, რადგან უსწავლელები ვერ შეძლებენ ჩაწვდნენ სტილის ამაღლებულებას, განათლებულები კი არ იწონებენ ერთსა და იმავეს გამეორებას. მაგრამ ყველამ ამ წიგნების შესახებ თავისი აზრის მიხედვით განსაჯოს. მე კი იმას ვამბობ, რომ მან აურია ისტორიის დროები. რადგან, როდესაც ახსენა თვითმპყრობელ თეოდოსის პერიოდი, მაშინათვე გაიქცა ეპისკოპოს ათანასეს დროისკენ, და ამას უამრავჯერ აკეთებს. ეს ითქვა ფილიპეს შესახებ,ხოლო აუცილებელია ითქვას, რაც მოხდა სისინიოსის დროს.

XXVIII თავი
სისინიოსის მიერ კიზიკიის ეპისკოპოსად პროკლეს ხელდასხმისა და ხალხის მიერ მისი არ მიღების შესახებ

როდესაც აღესრულა კიზიკიელთა ეპისკოპოსი, სისინიოსმა კიზიკიის ეპისკოპოსად დაადგინა პროკლე, რომელიც ახლახანს ვახსენეთ. ის იყო უნდა გამგზავრებულიყი იქ, რომ კიზიკიელებმა დაასწრეს და ხელნი დაასხეს ერთ ასკეტ კაცს, სახელად დალმაციოსს. ეს გააკეთეს კანონის არად ჩაგდებით, რომელიც ბრძანებს, რომ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის ნების გარეშე არ უნდა მომხდარიყო ეპისკოპოსის ხელდასხმა. მათ ეს კანონი უგულებელყვეს, რადგან ფიქრობდნენ, რომ ის პირადად ატიკოსის მიერ იყო შემოღებული[622]. ასე რომ, პროკლე დარჩა თავის ეკლესიის წინამდგომლობის გარეშე, მაგრამ კონსტანტინოპოლის ეკლესიებში სახელი განითქვა თავისი სწავლებებით. მაგრამ ამის შესახებ თავის ადგილას ვიტყვით. სისინიოსს ორი სრული წელი არ უცოცხლია ეპისკოპოსად რომ გარდაიცვალა ჰიერიოსის და არდაბურიოსის კონსულობისას, დეკემბრის თვის ოცდაოთხს[623]. იგი იყო კაცი სიბრძნით, მართალი ცხოვრებით და გლახაკთმოყ-

ვარეობით განთქმული, ზნით ადვილად საურთიერთობო, უზაკველი და ამის გამო უფრო მეტად მშვიდი. ამიტომ, შფოთისმოყვარეთათვის მოსაწყენი იყო და სუსტად მიიჩნევდნენ[624].

XXIX თავი
თუ როგორ დაადგინეს კონსტანტინოპოლის საყდარზე ნესტორი ანტიოქიიდან[625]. ასევე მის მიერ მწვალებელთა დევნის შესახებ

სისინიოსის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფალთ გადაწყვიტეს, ამაო მოშურნეობის გამო [კონსტანტინოპოლის] ეკლესიიდან არ წამოეყენებინათ ეპისკოპოსი, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ესწრაფოდა ზოგი ფილიპეს, ზოგი კი პროკლეს ხელდასხმას და განიზრახეს უცხოელის მოხმობა ანტიოქიიდან. იქ იყო ერთი კაცი სახელად ნესტორი, წარმომავლობით გერმანიკელი, კარგი ხმის მქონე და კარგი მჭევრმეტყველი. ამიტომ, ის მიჩნეულ იქნა დასამოძღვრად შესაფერის კაცად და ამის გამო ისურვეს მისი გადმოყვანა. სამი თვის დაყოვნებით ნესტორი ჩამოვიდა ანტიოქიიდან. მას სახელი ჰქონდა განთქმული თავისი კეთილგონიერებით მრავალთა შორის, მაგრამ თუ როგორი ზნე ჰქონდა სხვა მხრივ, ეს მისი პირველივე სწავლებიდან არ გამოპარვია გონიერ ხალხს. ხელნი დაასხეს აპრილის თვის ათს, ფელიქსის და ტავროსის კონსულობისას და მან მაშინათვე აღმოუტევა მისი ეს სახელგანთქმული ხმა და მთელი ხალხის წინაშე ასე მიმართა იმპერატორს: „იმპერატორო, მომეცი მწვალებლებისგან განწმენდილი მიწა და მეც სანაცვლოდ მოგაგებ ზეცას; შემეწიე დავამხო მწვალებლები და მე შეგეწევი დაამხო სპარსელები.“ როდესაც მან ეს სიტყვები წარმოთქვა, თუ ბევრი ვინმე მტრულად იყო განწყობილი მწვალებლებისადმი, სიამოვნებით მიიღეს ეს, მაგრამ, როგორც ვთქვი, მათ, ვინც იცოდა ამ

სიტყვის მნიშვნელობა, არ დაემალა არც გონების ქადილი, არც სიფიცხე და ამაოება, რადგან ვერ მოითმინა მცირე დროითაც დალოდება და ასეთ სიტყვებზე გადავიდა, არამედ, იგავურად რომ ვთქვა, ჯერ კიდევ არა ეგემა ქალაქის წყალი რომ დევნულებ-ის წამოწყების ვნება გამოაჩინა. ხელდასხმიდან მეხუთე დღეს განუზრახა არიანელთა სამლოცველოს დანგრევა, რომელშიც ისინი ფარულად ლოცულობდნენ, და ისინი სასოწარკვეთამდე მიიყვანა. რადგან, როდესაც ხედავდნენ, როგორ ანგრევდნენ მას, ცეცხლი წაუკიდეს და დაწვეს ის. ცეცხლი გადავიდა მეზობლად მდებარე შენობებზე და ისინიც დაანგრია. ამის გამო ქალაქში ჩამოვარდა შფოთი და არიანელები მოემზადნენ შურის საძიებლად. მაგრამ ქალაქის მუდამ დამცველმა ღმერთმა არ დაუშვა ამ ბოროტების საქმით აღსრულება. ამის შემდეგ „ხანძარს“ უწოდებდნენ ნესტორის არა მხოლოდ მწვალებელთა მიმდევრები, არამედ ჩვენი სარწმუნოებისანიც. იგი არ გაჩერებულა მაშინ, არამედ გამუდმებით რაღაც ხრიკებს იგონებდა მწვალებლობების წინააღმდეგ და მის დროს ქალაქი სრულიად გადატრიალებული იყო. მან სცადა ნოვაციანელების შევიწროება, რაზეც აღშფოთდა ნოვაციანელთა ეპისკოპოსი პავლე, რომელიც სახელგანთქმული იყო მისი კეთილკრძალულებით. მაგრამ ხელისუფლებამ ურჩია დაეცხრო მისი მღელვარება[626]. ხოლო თუ რამდენი ბოროტება გაუკეთა აზიაში, ლიდიასა და კარიაში მცხოვრებ „მეთოთხმეტელებს“, და თუ როგორ მის გამო ატეხილ ჯანყში დაიღუპა მრავალი ადამიანი სარდესა და მილეთში, ვფიქრობ, ამას გვერდი უნდა ავუარო[627].

ცოტა ხანში კი ვიტყვი, თუ როგორი სასჯელი მიეგო მისი ამ საქმეების და აღვირახსნილი ენის გამო.

XXX თავი
თეოდოსი უმცროსის დროს ბურგუნდიელთა გაქრისტიანების შესახებ[628]

მოგითხრობთ ერთ იმ დროს მომხდარ ამბავს, რომელიც არის მოხსენიების ღირსი. მდინარე რაინის ნაპირას სახლობს ბარბაროსთა ტომი, რომლებსაც ეწოდებათ ბურგუნდიელები. ისინი ყოველთვის მშვიდად ცხოვრობდნენ, რადგან თითქმის ყველა მათგანი არის ხურო და ამისგან გასამრჯელოს მიღებით ირჩენენ თავს. მათ გამუდმებით თავს ესხმოდნენ ჰუნთ ტომი და ძარცვავდა მათ მიწა-წყალს, მრავალგზის მრავალ მათგანს ხოცავდნენ. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფნი ადამიანთან არ ეძიებდნენ თავშესაფარს, არამედ გადაწყვეტილი ჰქონდათ რომელიმე ღმერთს მინდობოდნენ. მათ აზრად მოუვიდათ, რომ რომაელთა ღმერთი მის მოშიშთ ძლიერ შეეწეოდა და საერთო აზრით ყველა მივიდა ქრისტეს რწმენამდე. ისინი ჩავიდნენ გალიის ერთ ქალაქში და ადგილობრივ ეპისკოპოსს სთხოვეს, რომ ქრისტიანულად მოენათლა ისინი. მან ისინი მოამზადა შვიდი დღის განმავლობაში სამარხულოდ, სარწმუნოების საფუძვლებში განსწავლა და მერვე დღეს აღასრულა ნათლობა. ასე გამხნევებულები გაემართნენ ჰუნების წინააღმდეგ და იმედიც არ გაუცრუვდათ. რადგან ღამით ჰუნების მეფე, სახელად უპტაროსი[629], გაუმაძღრობით გასკდა, მცირერიცხოვანი ბურგუნდიელები კი თავს დაესხნენ სარდლის გარეშე დარჩენილ მეტად მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეს და სძლიეს მათ. მხოლოდ სამმა ათასმა დახოცა ათობით ათასი. ამის შემდეგ ისინი მთელი მგზნებარებით გაქრისტიანდნენ.

დაახლოებით იმ დროს აღესრულა არიანელთა ეპისკოპოსი ბარბა, თეოდოსის მეცამეტეგზის და ვალენტინიანეს მესამეგზის კონსულობისას, ივნისის თვის ოცდაოთხს. მის ადგილას დადგინებულ იქნა საბატიოსი[630].

XXXI თავი
ნესტორის მიერ მაკედონიანელთა დევნის შესახებ

ეს ვიკმაროთ ამ ამბების შესახებ. ამ დროს ნესტორი მოქმედებდა საეკლესიო წესების წინააღმდეგ და სხვებსაც ხდიდა ამ საქმეებში მის მიმბაძველს, როგორც ამაზე მეტყველებს მის დროს მომხდარი ამბები. ჰელესპონტის ქალაქ გერმეში იყო ეპისკოპოსი ანტონინოსი, რომელმაც შეიტყო ნესტორის შეტევა მწვალებლებზე და მანაც სცადა გერმეში მაკედონიანელთა დევნა, თავის მართლების საფუძვლად იღებდა პატრიარქის[631] ქმედებებს. მაკედონიანელები რაღაც დრომდე ითმენდნენ შევიწროებას, მაგრამ მას შემდეგ, რაც ანტონინოსმა უფრო ძლიერად დევნა ისინი, მეტად ვეღარ აიტანეს და მრისხანებისგან სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ: ჩუმად გაგზავნეს კაცები მის მოსაკლავად, რომლებიც სიკეთეს სიამოვნების შემდეგ მეორე ადგილზე აყენებდნენ[632]. როდესაც მაკედონიანელებმა სისრულეში მოიყვანეს თავინთი სიძულვილი, ნესტორმა ეს მოვლენა მისი დევნულების საბაბად აიღო, დაარწმუნა ხელისუფლება, ჩამოერთვათ მათთვის ეკლესია. ასე ჩამოართვეს ეკლესია, რომელიც მდებარეობდა კონსტანტინოპოლში ქალაქის ძველი კედლის წინ, კიზიკიაში და სხვა მრავალი, რომლებიც მათ ჰქონდათ ჰელესპონტის სოფლებში[633]. ზოგიერთი მათგანი მივიდა ეკლესიაში და მიიღო „თანაარსის“ მრწამსი. მაგრამ ღვინისმოყვარულები, როგორც ამბობს ანდაზა, არც ღვინოს ანებებენ თავს, არც მათთვის საყვარელ ჩხუბს. ასე რომ, ნესტორიმ, ვინც დაპირისპირებისადმი სიყვარულით დევნიდა სხვებს, თვითონ მას შეემთხვა ეკლესიიდან განდევნა შემდეგი მიზეზით.

XXXII თავი
ხუცესი ანასტასის შესახებ, ვინც შერყვნა ნესტორის მრწამსი

მასთან ერთად იყო ერთი ხუცესი სახელად ანასტასი, ვინც მას ანტიოქიიდან თან ახლდა. იგი მას დიდ პატივში ჰყავდა და თავის საქმეებში მას ეთათბირებოდა. ერთხელ ანასტასიმ ეკლესიაში დამოძღვრისას თქვა: „ნურავინ ნუ უწოდებს მარიამს ღვთისმშობელს. რამეთუ მარიამი ადამიანი იყო და ღმერთის შობა ადამიანისგან შეუძლებელია.“ როდესაც ეს მოისმინა მრავალმა სასულიერო და საერო პირმა, ყველა აღშფოთდა. რადგან ძველები ასწავლიდნენ ქრისტეს საღვთო ბუნების აღიარებას და არანაირად არ უნდა გამოგვეყო მისი განგებულების ადამიანი ღმრთეებისგან, რაშიც მათ არწმუნებდა მოციქულის სიტყვები: „თუმც ვიცოდით ქრისტე ხორცით, მეტად აღარ ვიცით“[634], ასევე: „ამიტომ, მივატოვოთ ქრისტეს შესახებ სწავლება და ავიდეთ სრულყოფილებამდე[635].“ როგორც ითქვა, ეკლესიაში ჩამოვარდა შფოთი და ნესტორი დაეშურა ანასტასის სიტყვის დამტკიცებას (რადგან არ სურდა მის მიერ პატივცემული კაცის მხილება, როგორც ღვთისმგმობელის), განუწყვეტლივ ასწავლიდა ამის შესახებ ეკლესიაში და კიდევ უფრო სადავო გახადა ამ საკითხის შესახებ გამოძიება და სრულიად ამოაგდო სიტყვა „ღვთისმშობელი“.

ამიტომ, როცა ამ საკითხის შესახებ ყველას სხვადასხვა შეხედულებები ჰქონდა, ეკლესიაში მოხდა გაყოფა და ღამის ბრძოლაში ჩართულები ზოგი ერთს და ზოგი მეორეს ამბობდა, ერთსა და იმავე დროს ეთანხმებოდნენ რაღაცას და უარყოფდნენ კიდეც. ნესტორის მოსაზრების შესახებ ისეთი ხმა იყო გავრცელებული მრავალთან, რომ ის უფალს უწოდებდა უბრალო ადამიანს და რომ პავლე სამოსატელის და ფოტინოსის მოძღვრება შემოჰქონდა ეკლესიაში. მაგრამ ამ საკითხის შესახ-

ებ ისეთი ძიება და შფოთი აღიძრა, რომ მსოფლიო კრების მოწვევა მოითხოვეს. მე, როდესაც წავიკითხე ნესტორის მიერ გადმოცემული სწავლებები, აღმოვაჩინე, რომ ეს კაცი უმეცარი იყო. ჭეშმარიტად ვიტყვი, რომ არც მტრულად ვარ მისდამი განწყობილი, რომ ვიხსენიებ მის შეცდომებს, არც მოწონებით გადმოვცემ იმას, რაშიც აღმოჩნდა, რომ ცდებოდა.

არ მიმაჩნია, რომ ნესტორი პავლე სამოსატელს ბაძავდა ან ფოტინოსს, ან საერთოდ უწოდებდა უფალს უბრალო ადამიანს, არამედ მხოლოდ სიტყვით[636], როგორც საფრთხობელით იყო დაშინებული. ეს მოწმობდა მის დიდ უსწავლელობაზე. რადგან იგი ბუნებით კარგად მეტყველი იყო და ითვლებოდა, რომ განათლებული იყო, მაგრამ სინამდვილეში უსწავლელი იყო და ადრინდელი განმმარტებლების წიგნებს სწავლის ღირსად არ მიიჩნევდა. მისი მჭევრმეტყველებით დაბრმავებული არ მისდევდა ზედმიწევნით ძველებს, არამედ საკუთარ თავს თვლიდა ყველაზე უკეთესად. ასე მან არ იცოდა, რომ იოანეს კათოლიკე ეპისტოლის ძველ ასლებში ეწერა, რომ „ყველა სული, ვინც განაცალკევებს იესოს ღვთისგან, არ არის ღვთისგან“[637]. ეს მოსაზრება ამოშალეს ძველი ასლებიდან მათ, ვისაც ეწადა ღმრთეების განშორება ადამიანის განგებულებისაგან[638]. ამიტომ, ძველმა განმმარტებლებმა შენიშნეს ის, რომ ზოგიერთმა შერყვნეს ეპისტოლე, რომლებსაც სურდათ ადამიანის ღვთისგან განცალკევება. მათ შეაერთეს ადამიანურობა ღმრთეებას და მეტად აღარ არიან ორი, არამედ ერთი. ამით განმტკიცებულ ძველებს არ უყოყმანიათ მარიამისთვის ეწოდებინათ ღვთისმშობელი. რადგან ევსები პამფილელი კონსტანტინეს ცხოვრებისადმი მიძღვნილი თხზულების მესამე წიგნში სიტყვასიტყვით წერს შემდეგს:

„ღმერთმა ჩვენ გამო ჩვენთან ერთად შობაც დაითმინა და მისი ხორციელი შობის ადგილი ებრაული სახელით, ბეთლემით გავრცელდა. ამიტომ, უღვთივსათნოესმა დედოფალმა ელენემაც ღვთისმშობლის მშობიარობის ძეგლები საოცრად შეამ-

კო, მრავალფრად გაამშვენა იქაური გამოქვაბული[639].“

ორიგენეც, მოციქულ პავლეს რომაელთა მიმართ ეპისტოლეს განმარტებების პირველ ტომში, ვრცლად იკვლევს, თუ როგორ ითქმის ღვთისმშობელი[640]. ასე რომ, აშკარაა ნესტორი არ იცნობდა ძველი განმმარტებლების ნაშრომებს. ამიტომ, როგორც ითქვა, მხოლოდ სიტყვის წინააღმდეგ იყო ამხედრებული[641]. რადგან ის არ უწოდებდა ქრისტეს უბრალო ადამიანს, როგორც ფოტინოსი ან პავლე სამოსატელი, ასევე მის მიერ გადმოცემული ქადაგებებიც ასწავლიან, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ აუქმებდა ღვთის სიტყვის ჰიპოსტასს, არამედ ყველგან აღიარებს მას ჰიპოსტასის და არსის მქონედ. ის არ უარყოფს მის ყოფიერებას ფოტინუსის და სამოსატელის მსგავსად, რადგან ამის მოძღვრებად განჩინება გაბედეს მანიქეველებმა და მონტანის მიმდევრებმა. ასე მოაზროვნედ აღმოვაჩინე მე ნესტორი მისი ნაშრომების წაკითხვისას, საიდანაც კითხულობდნენ მისი მოყვარულნი. მაგრამ არამცირედი შფოთი ჩამოაგდო მსოფლიოში ნესტორის ამ ფუჭსიტყვაობამ.

XXXIII თავი
დიდი ეკლესიის საკურთხევლის წაბილწვა გაქცეული მონების მიერ

როდესაც მოვლენები ასე ვითარდებოდა, მოხდა ბილწი რამ საქმე ეკლესიაში. ერთი დიდი თანამდებობის მქონე პირის მონებმა, წარმომავლობით ბარბაროსებმა, რომლებსაც მათი ბატონი სასტიკად ეპყრობოდა, თავი შეაფარეს ეკლესიას და მახვილით შეჭურვილები შევარდნენ საკურთხეველში. როდესაც მოუწოდებდნენ გამოსულიყვნენ, არაფრით არ უჯერებდნენ, არამედ ხელს უშლიდნენ წირვის აღსრულებას. მრავალი დღის განმავლობაში ეპყრათ გაშიშვლებული მახვილი და მზად იყვნენ

თავი დაეცვათ ყველა მასთან მომავლისაგან, ერთი სასულიერო პირი მოკლეს, სხვა დაჭრეს და ბოლოს თავი მოიკლეს. ერთმა იქ დამსწრემ თქვა, რომ კარგს არ უნდა ნიშნავდეს ტაძრის წაბილწვა და დაურთო ერთ ძველი პოეტის ორი სტრიქონი:

„ჩვეულებრივ ასეთია ნიშანი, როცა კი
ტაძრებში შემოვარდება სისაძაგლე.“

ამ აზრის მთქმელი არც შემცდარა, რადგან ჩანს ამან მოასწავა ხალხის გაყოფა და გაყოფის გამომწვევის განყენება.

XXXIV თავი
ნესტორის წინააღმდეგ გამართული ეფესოს კრების შესახებ. ასევე მისი განყენების შესახებ[642]

არცთუ დიდი ხნის შემდეგ საიმპერიო ედიქტით ნაბრძანები იქნა ყველა მხრიდან ეპისკოსპოსების შეკრება ეფესოში[643]. პასექის დღესასწაულის შემდეგ ნესტორი მაშინათვე ჩავიდა ეფესოში მრავალრიცხოვანი ბრბოს თანხლებით და ნახა, რომ მრავალი ეპისკოპოსი იყო იქ შეკრებილი. კირილემ ალექსანდრიიდან ცოტათი დაიგვიანა და ჩამოვიდა დაახლოებით სულთმოფენობისას, სულთმოფენობიდან მეხუთე დღეს ჩამოვიდა იერუსალიმელი იუბენალი. კირილე ალექსანდრიელმა გამართა სიტყვებით ბრძოლა, ეწადა ნესტორის აღშფოთება, რადგან მის მიმართ მტრულად იყო განწყობილი. როდესაც მრავალი აღიარებდა იესოს ღვთიურობას[644], ნესტორმა თქვა: „მე ღმერთს ვერ ვუწოდებ ორ და სამთვიანს და ამიტომ სუფთა ვარ თქვენი სისხლისგან და ამიერიდან აღარ მოვალ თქვენთან[645].“ ეს რომ თქვა, შეუერთდა დანარჩენ ეპისკოპოსებს, რომლებიც მისდევდნენ მის შეხედულებას. იქ დამსწრენი გაიყვნენ ორ ნაწილად. კირილეს გარშემო შეკრებილებმა მოიწვიეს ნესტორი. მაგრამ ის არ დაემორჩილა და ეს გადადო

იოანე ანტიოქიელის ჩამოსვლამდე. კირილეს მომხრეები მრავალგზის კითხულობდნენ ნესტორის ქადაგებებს, რომლებიც მას წარმოთქმული ჰქონდა საძიებელი საკითხის შესახებ. აქედან გამოიტანეს განაჩენი მასზე, რომ ის მკრეხელობას ამბობდა ღვთის ძეზე და განაყენეს[646]. როდესაც ეს მოხდა, ნესტორის მომხრეებმა თავისთვის სხვა კრება გამართეს და განაყენეს კირილე, მასთან ერთად კი ეფესოს ეპისკოპოსი მემნონი[647]. ამის შემდეგ მალე ჩამოვიდა ანტიოქიის ეპისკოპოსი იოანე და, როცა შეიტყო მომხდარი ამბის შესახებ, მტრულად განეწყო კირილეს მიმართ რომ ნესტორის ნაჩქარევი განყენებით შფოთის ჩამოვარდნის მიზეზი შეიქნა. კირილემ იუბენალთან ერთად სამაგიერო მიუზღო იოანეს და ისიც განაყენა[648]. როდესაც ასეთ არეული იყო საქმის ვითარება, ნესტორი მიხვდა, რომ ზიარების გაწყვეტამდე მიიყვანდა დავა, შეინანა და მარიამს უწოდა ღვთისმშობელი, და თქვა: „ითქვას, რომ მარიამი არის ღვთისმშობელი და შეწყდეს ეს სამწუხარო [დავა][649].“ მაგრამ არავინ მიიღო მისი სინანული. ამიტომ, დღემდე განყენებულია და გადასახლებაში გაგზავნილი ოაზისში ცხოვრობს[650].

ასე დასრულდა მაშინ გამართული კრება. ეს მოვლენები განვითარდა ბასოსის და ანტიოქოსის კონსულობისას, ივნისის თვის ოცდაორს[651]. იოანე დაბრუნდა ანტიოქიაში და შეკრიბა მრავალი ეპისკოპოსი და განაყენა კირილე, რომელიც უკვე ალექსანდრიაში იყო დაბრუნებული[652]. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მტრობა დაირღვა მათ შორის, დამეგობრდნენ და ერთმანეთს უკან დაუბრუნეს საყდრები[653]. ნესტორის განყენების შემდეგ კონსტანტინოპოლის ეკლესიებში საშინელი არეულობა ატყდა. როგორც ადრე ვთქვი, ხალხი ორად გაიყო მისი ფუჭსიტყვაობის გულისთვის[654]. რადგან ერთობლივი გადაწყვეტილებით სასულიერო პირებმა ის ანათემაზე გადასცეს – ჩვეულებრივ ქრისტიანები ასე ვუწოდებთ მკრეხელობის წინააღმდეგ გამოტანილ განჩინებას, როდესაც კი მას სვეტზე გამოვაქვეყნებთ და ყველას წინაშე გამოვააშკარავებთ.

XXXV თავი
თუ როგორ აირჩიეს მაქსიმიანე კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსად, თუმცა ზოგიერთებს სურდათ პროკლე[655]

კვლავ ძიება დაიწყო ეპისკოპოსის არჩევნებზე. მრავალი ფილიპეს ირჩევდა, რომელიც უკვე ვახსენეთ, მრავალი კი – პროკლეს. პროკლეს შესახებ აზრი გაიმარჯვებდა, ხელისუფალთ რომ არ შეეშალათ ხელი: ისინი ამბობდნენ, რომ საეკლესიო კანონები კრძალავდა რომელიმე ქალაქის ეპისკოპოსად სახელდებული ეპისკოპოსის გადაყვანას სხვა ქალაქში. ეს ითქვა, დაარწმუნეს ხალხი და აიძულეს დაწყნარებულიყო. ნესტორის განყენებიდან მეოთხე თვე იყო, როცა ეპისკოპოსად წამოაყენეს კაცი სახელად მაქსიმიანე, რომელიც ეწეოდა ასკეტურ ცხოვრებას, ისიც ხუცესის ხარისხში იყო განწესებული. მას ღვთისმოსავის სახელი ჰქონდა გავარდნილი ადრიდანვე, რადგან საკუთარი ხარჯით ააშენა საფლავები, ისე რომ პატრონობდა მაშ შორის ღვთისმოსავობაში სრულქმნილებზე. მაგრამ მეტყველება ჰქონდა მეტად უბრალო და ეწეოდა ზედმეტი ზრუნვისაგან თავისუფალ ცხოვრებას.

XXXVI თავი
ეპისკოპოსის ერთი საყდრიდან მეორეზე გადაყვანის კანონიერების შესახებ

ვინაიდან ზოგიერთებმა განაცხადეს, რომ საეკლესიო კანონი კრძალავდა პროკლეს აღსაყდრებას, რომელიც უკვე კიზიკის ეპისკოპოსად იყო დასახელებული, მსურს მოკლედ ვთქვა ამის შესახებ. არა მგონია, რომ სიმართლეა, რასაც ამტკიცებდ-

ნენ, როცა ამბობდნენ ამას, არამედ პროკლესადმი შურით ცრუობდნენ ან უმეცარი იყვნენ კანონების და იმის, რაც ხშირად ხდებოდა ეკლესიის საჭიროების გამო.

ევსები პამფილელი „საეკლესიო ისტორიის“ მეექვსე წიგნში მოგვითხრობს, რომ კაბადოკიის ერთ-ერთი ქალაქის ეპისკოპოსი ალექსანდრე, რომელიც სალოცავად იყო ჩასული იერუსალიმში, შეიპყრეს იერუსალიმელებმა და ეპისკოპოს ნარკისოსის საყდარზე დასვეს და მთელი ცხოვრება იმ ეკლესიაში გაატარა[656]. ასე ჩვენ წინაპრებში არაფრად ითვლებოდა ქალაქიდან ქალაქში ეპისკოპოსის გადაყვანა, როცა კი საჭიროება მოუხმობდა ეკლესიის სასარგებლოდ[657]. მაგრამ თუ აუცილებელია ამ საკითხის შესახებ კანონის ჩართვა ამ ნაშრომში, რათა წარმოვაჩინოთ, თუ როგორ ცრუობდნენ მაშინ პროკლეს აღსაყდრების მოწინააღმდეგეები. კანონი არის შემდეგი სახის:

„თუ რომელიმე ეპისკოპოსი ხელდასხმული მისი სამრევლოსთვის არ წავა, რომლისთვისაც არის ხელდასხმული, არა მისი დანაშაულის გამო, არამედ ხალხის მიერ უარის თქმის გამო ან სხვა აუცილებლობით გამოწვეული მიზეზით, მაშინ მან მხოლოდ ლიტურგიაში და პატივში უნდა მიიღოს მონაწილეობა და არ შემოიტანოს არეულობა საეკლესიო საქმეებში იქ, სადაც არის დანიშნული. მან უნდა მიიღოს, რა განჩინებაც ეპარქიის კრებამ გამოტანა არსებული ვითარების განხილვისას[658]“.

ამრიგად, ასეთი არის კანონი. ის, რომ მრავალი ეპისკოპოსი გადასულა ერთი ქალაქიდან მეორეში სხვადასხვა დროში ეკლესიის საჭიროების გამო, ამაზე თვით გადასულთა სახელებით გადმოვცემ. პერიგენე პეტრაში იქნა ხელდასხმული ეპისკოპოსად, და ვინაიდან ქალაქის მოსახლეობამ ის არ მიიღო, რომის ეპისკოპოსმა ბრძანა მისი აღსაყდრება კორინთოს მიტროპოლიტად, როდესაც ადგილობრივი ეპისკოპოსი გარდაცვლილი იყო და იქაურ ეკლესიაში გაატარა ცხოვრება[659]. გრიგოლ ნა-

ზიანზელი პირველად კაბადოკიის ერთ-ერთი ქალაქის სასიმის ეპისკოპოსი იყო და მოგვიანებით გახდა ნაზიანზელი[660]. მელეტი პირველად სებასტიის ეკლესიის წინამდგომელი იყო და შემდეგ გადავიდა ანტიოქიის ეკლესიაში[661]. ანტიოქიის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ სელევკიის ეპისკოპოსი დოსითე გადაიყვანა კილიკიის ტარსუსში. რევერენტიუსი ფინიკიის არკოდან გადაიყვანეს ტვიროსში. იოანე ლიდიის გორდოდან გადაყვანილ იქნა პროკონესოში და წინამძღვრობდა იქაურ ეკლესიას[662]. პალადი ჰელენოპოლელი გადაიყვანეს ასპონაში[663]. ალექსანდრე გადაყვანილ იქნა ბითვინიის ბასილოპულიდან ფრიგიის ადრიანში. თეოსებიოსი აზიის ქალაქ აპამეადან გადაიყვანეს ტრაკიის ევდოქსიოპოლისში, რომელსაც ძველად ეწოდებოდა სელიმბრია[664]. პოლიკარპე გადაიყვანეს მიზიის სექსანტაპრისტონიდან თრაკიის ნიკოპოლში. ჰიეროფილე გადაიყვანეს ფრიგიის ტრაპეზუპოლიდან თრაკიის პლოტინოპოლში. ოპტიმუსი გადაიყვანეს ფრიგიის აგდამეადან პისიდიის ანტიოქიაში[665]. სილვანუსი გადაყვანილ იქნა თრაკიის ფილიპოპოლიდან ტრადაში.

საკმარისად ვახსენეთ ესოდენი ადამიანის გადაყვანა თავიანთი ქალაქებიდან სხვაში. ვფიქრობ, საჭიროა მოკლედ ვახსენოთ სილვანუსის თრაკიის ფილიპოპოლიდან ტროადაში გადაყვანის შესახებ.

XXXVII თავი
თავდაპირველად ფილიპოპოლის, შემდეგ კი ტროადის ეპისკოპოს სილუანეს მიერ აღსრულებული სასწაულის შესახებ

სილვანუსი პირველად იყო სოფისტ ტროილოსის სკოლის რიტორი. მაგრამ ქრისტიანად გახდომის და ასკეტური ცხოვრების ძლიერი მოშურნეობით მან არ ისურვა რიტორის მოსახ-

ამის ტარება[666]. ამის შემდეგ ის შეიპყრო ეპისკოპოსმა ატიკოსმა და ფილიპოპოლის ეპისკოპოსად დაადგინა[667]. მან სამი წელი დაჰყო თრაკიაში, მაგრამ ვერ გაუძლო ყინვებს (რადგან სხეულით მეტად გამხდარი და სუსტი იყო) და სთხოვა ატიკოსს, რომ მისი ადგილისთვის სხვისთვის დაესხა ხელნი, ეუბნებოდა, რომ ყინვის გარდა სხვა არაფრის გამო არ ამბობდა უარს თრაკიაში ცხოვრებაზე. როდესაც ამის გამო მის ნაცვლად სხვა დაადგინეს, სილვანუსი დარჩა კონსტანტინოპოლში და უმწვერვალეს ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა. იგი ესოდენ შორს იყო მოქადულობისაგან, რომ ხშირად ამხელა ქალაქში და ამდენ ხალხში ჩალის სანდლებით გამოდიოდა. გარკვეული დროის განმავლობაში ტროადის ეკლესიის წინამძღვრობის შემდეგ ის აღესრულა. ამიტომ, ტროას მოსახლეობამ მოითხოვა ეპისკოპოსი[668]. როდესაც ატიკოსი ფიქრობდა იმაზე, თუ ვისთვის დაესხა ხელნი, მოხდა ისე, რომ მის სანახავად მოვიდა სილვანუსი. როგორც კი ის იხილა, მყისვე გათავისუფლდა საზრუნავისგან და უთხრა სილვანუსს: „მეტად აღარ გაქვს საბაბი, რომ გაექცე ეკლესიაზე ზრუნვას. რადგან ტროაში არ არის ყინვა, მაგრამ, აჰა, შენთვის ღმერთმა გაამზადა ხელსაყრელი ადგილი შენი სხეულის სიძაბუნის გამო. ასე რომ, ნუ აყოვნებ, ძმაო, გაემგზავრე ტროაში.“ ამგვარად, იქ გადავიდა სილვანუსი და აწ გიამბობთ მისი ხელით მომხდარ სასწაულს.

ერთი დიდი სატვირთო ხომალდი, რომელსაც მოჰქონდა დიდი სვეტები (მას უწოდებენ „პლატეს“), ახალი გამზადებული იყო ტროადას სანაპიროზე და ის უნდა ჩაეშვათ ზღვაში. მრავალი თოკით ურიცხვი ადამიანი ეწეოდა მას, მაგრამ ვერაფრით დაძრეს ხომალდი. როდესაც ამას ამაოდ ცდილობდნენ მრავალი დღის განმავლობაში. შემდეგ ისინი მივიდნენ ეპისკოპოს სილვანუსთან და სთხოვდნენ მას, ელოცა ამ ადგილზე, რადგან სწამდათ, რომ მხოლოდ ასე ჩაათრევდნენ ხომალდს. მან თავმდაბლობით ცოდვილი უწოდა თავის თავს და თქვა, რომ ეს იყო

მართალი კაცის საქმე და არა მისი. მაგრამ, ვინაიდან დაჟინებით თხოვდნენ, ის წავიდა სანაპიროზე. ლოცვის აღსრულებისას შეეხო ერთ-ერთ თოკს და სთხოვა საქმეს შედგომოდნენ. ცოტა ხანი ექაჩებოდნენ და ხომალდი სწრაფად წავიდა ზღვისკენ[669].

სილვანუსის ხელით აღსრულებულმა ამ სასწაულმა პროვინციაში ყველა მიიყვანა ღვთისმოსაობამდე. სილუანე სხვა მხრივაც კეთილი კაცი იყო. როდესაც შეამჩნია, რომ სასულიერო პირები სავაჭროდ აქცევდნენ სასამართლო დავებს, არასოდეს არც ერთ მღვდელს არ მიანდობდა მსაჯულობას, არამედ, როცა ღებულობდა სარჩელებს, მოუხმობდა რომელიმე სანდო ერისკაცს, რომელსაც იცნობდა, რომ უყვარდა სამართლიანობა და მას ჩააბარებდა მოდავე მხარეების მოსმენას და დავის გადაწყვეტას[670]. ამის გამო მან უდიდესი სახელი მოიხვეჭა ყველასთან. თუმც სილუანეს შესახებ ამბები თემიდან გადახვევით ითქვა, მაგრამ, ვფიქრობ, უსარგებლო არ ყოფილა მისი ხსენება. დავუბრუნდეთ იმას, საიდანაც გადავედით.

ასე ეპისკოპოსად წამოყენებულ იქნა მაქსიმიანე ბასოსის და ანტიოქოსის კონსულობისას, ოქტომბრის თვის ოცდახუთში და მოწესრიგდა საეკლესიო საქმეები.

XXXVIII თავი
თუ როგორ მიიღო მრავალმა იუდეველმა ქრისტიანული სარწმუნოება კრეტაზე

დაახლოებით იმ დროს მრავალი იუდეველი გაქრისტიანდა კრეტაზე მომხდარი შემდეგი განსაცდელის გამო. ერთ ცრუ იუდეველს თავი მოსედ მოჰქონდა, ამბობდა, რომ ზეცისგან წარმოგზავნილი იყო, რათა კუნძულზე მცხოვრები იუდეველები წაეყვანა ზღვის გადაღმა საცხოვრებლად. იგი ამბობდა, რომ

თვითონ ის იყო, ვინც ძველად ისრაელი გადაარჩინა მეწამული ზღვის გავლით. მთელი წლის განმავლობაში დადიოდა კუნძულის ქალაქებში და არწმუნებდა იქ მცხოვრებ იუდეველებს ამის სიმართლეში. შეაგონებდა, დაეტოვებინათ მთელი ფული და ქონება, რადგან ჰპირდებოდა, რომ მათ წარუძღვებოდა დამშრალი ზღვის გავლით აღთქმული მიწისაკენ. ისინი მოტყუვდნენ ასეთი იმედით, ყველა საქმეები მიატოვეს, არად ჩააგდეს ქონება, რაც მოეპოვებინათ, პირველ შემხვედრს დაუთმეს ის. როდესაც დადგა დღე, რომელიც დათქვა ამ ცრუპენტელა იუდეველმა, თავად წარუძღვა, ისინი კი ყველა, ქალებთან და მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად გაჰყვა მას. ამრიგად, მან წაიყვანა ისინი ზღვიდან ამოშვერილ წვერზე და უბრძანა მათ თავით გადაშვებულიყვნენ ზღვაში. ასეც მოიქცნენ, ვინც პირველი მივიდა მწვერვალზე და მყისვე დაიღუპა, ზოგი კლდეებზე დაეხეთქა, ზოგი კი წყალში დაიხრჩო. ასე მრავალი დაიხოცებოდა, რომ არა ღვთის განგებით იქ არ ყოფილიყვნენ ქრისტიანები, მებადურები და ვაჭრები. ზოგმა წყალში ჩაძირულები ამოიყვანა და გადაარჩინა, მაშინ უგუნურებისგან საშინლად დაზიანებულები, სხვები კი დააკავეს გადახტომისგან. ასე გონს მოეგნენ და გაკიცხეს მათი დაუფიქრებელი მინდობა, სცადეს ცრუ მოსეს მოკვლა, მაგრამ ვერ შეძლეს მისი შეპყრობა. რადგან ის გაუჩინარდა და ბევრს ეჭვი გაუჩნდა დამღუპველი დემონი[671] ხომ არ იყო, რომელსაც ადამიანის გარეგნობა მიეღო იქ მცხოვრები მათი ერის გასანადგურებლად. ამ განსაცდელის შემდეგ მაშინ ბევრი კრეტელი იუდეველი დაემშვიდობა იუდაიზმს და ქრისტიანულ სარწმუნოებაზე გადავიდა.

XXXIX თავი
ნოვაციანელთა ეკლესიის ხანძრისგან გადარჩენის შესახებ

ამის შემდეგ მალე ნოვაციანელთა ეპისკოპოსმა პავლემ ღვთივსათნო კაცის სახელი მოიხვეჭა, წინებზე გაცილებით მეტად. რადგან მოხდა ისე, რომ გაჩნდა დიდი ხანძარი, როგორიც არასოდეს არ ყოფილა მანამდე: ცეცხლმა მოიცვა ქალაქის დიდი ნაწილი, ისე რომ უდიდესი ხორბლის საცავები და საჯარო აბანო განადგურდა, რომელსაც ეწოდებოდა აქილევსი[672]. ბოლოს ცეცხლი მოედო ნოვაციანელთა ეკლესიასაც, რომელიც მდებარეობდა პელარგოსის მეზობლად[673]. როდესაც ეპისკოპოსმა პავლემ დაინახა, რომ ეკლესიას საფრთხე ემუქრებოდა, შევარდა საკურთხეველში და ღმერთს შეავედრა ეკლესიის გადარჩენა, და ის განუწყვეტლივ ლოცულობდა ქალაქის და ამ სამლოცველოს გამო. ღმერთმა შეისმინა ამ კაცის და ეს საქმით გააცხადა. რადგან, თუმც ცეცხლი სამლოცველოში ყველა კარიდან და სარკმლიდან შევარდა, არაფერი გაუნადგურებია. მრავალი მეზობლად მდებარე შენობა გაუჩინარდა, ის კი მოჩანდა შუა ცეცხლში, სძლია რა მისი ზეაღმატებულ მხურვალებას. ეს ხანძარი გაგრძელდა ორი დღე-ღამე და დაცხრა, ქალაქის დიდი ნაწილი გაანადგურა, ეკლესია კი იდგა დაუზიანებელი. საოცარი იყო, რომ არც მურის კვალი ეტყობოდა მის ხის ძელებს და კედლებს. ეს მოხდა დაახლოებით აგვისტოს თვის ჩვიდმეტს, თეოდოსის მეორმოცეგზის და მაქსიმეს პირველი კონსულობისას. ნოვაციანელები ეკლესიის გადარჩენას აქედან მოყოლებული ყოველ წელს აღნიშნავენ ჩვიდმეტ აგვისტოს, სამადლობელო ლოცვებს აღავლენენ ღვთის მიმართ. თითქმის ყველა ამ დღეს მომხდარი სასწაულის გამო პატივს მიაგებს ამ ადგილს და როგორც ჭეშმარიტად წმინდანს თაყვანს სცემენ არა მხოლოდ ქრისტიანები, არამედ ასევე მრავალი წარმართი.

XL თავი
თუ როგორ შეცვალა მაქსიმიანე პროკლემ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსად

ეს ითქვა ამ მოვლენების შესახებ. მაქსიმიანე კი ორი წლის განმავლობაში მშვიდად წინამძღვრობდა ეკლესიას და აღესრულა არეობინდუსის და ასპაროსის კონსულობისას, აპრილის თვის ოცს[674]. ამას დაემთხვა მარხვის შვიდეულში, რომელიც ახლოს იყო პასექის დღესასწაულთან, იმ დღეს, რომელსაც ეწოდება მეხუთე. მაშინ იმპერატორმა თეოდოსიმ ბრძნულად იზრუნა საქმეზე. ეპისკოპოსის არჩევის გამო ძიებას კვლავ რომ არ გამოეწვია შფოთი ეკლესიაში, მან დაუყოვნებლივ მაქსიმიანეს დასვენებულ ნეშტთან მყოფ ეპისკოპოსებს დაავალა, საყდარზე დაესვათ პროკლე. ამას ასევე დასტური დაურთო რომაელთა ეპისკოპოს ცელესტინის ეპისტოლეებმა[675], რომლებიც მიწერა კირილე ალექსანდრიელს, იოანე ანტიოქიელს და რუფუს თესალონიკელს. იგი იუწყებოდა, რომ არაფერი აბრკოლებდა სხვა ქალაქის ეპისკოპოსად სახელდებულის და ასეთად მყოფის სხვა ქალაქში გადაყვანას[676]. ამგვარად, აღსაყდრებულმა პროკლემ დაასაფლავა მაქსიმიანეს ნეშტი. დროა მის შესახებაც მოკლედ ითქვას.

XLI თავი
პროკლეს ღირსებები[677]

პროკლე სიყმაწვილეში იყო წიგნისმკითხველი, დადიოდა სასწავლებელში და ძლიერ იყო რიტორიკით დაინტერესებული. სრულწლოვანი რომ გახდა, ხშირად თან ახლდა ეპისკოპოს ატიკოსს და მისი მდივანი გახდა. როდესაც მან წარმატებას მიაღწია თავის საქმეში, ატიკოსმა დიაკვნის ხარისხში აიყვანა. ბოლოს, ხუცესობის ღირსიც შეიქნა და სისინიოსის მიერ კიზიკიის ეპისკოპოსად იქნა დადგენილი, როგორც ეს წინათაც ითქვა[678]. ეს ადრე

მოხდა, მაშინ კი კონსტანტინოპოლის ეკლესიის საყდარი ჩაიბარა. იგი ძალიან კეთილი ზნის კაცი იყო. ატიკოსის მიერ აღზრდილი, ბაძავდა ყველა მის ღირსებებს და მასზე მეტი მოთმინებით[679] იღვწოდა. რადგან ის მწვალებლებისთვის თავის დროს საშიში კაცი იყო, ეს კი ყველასთან სასიამოვნო ურთიერთობაში იყო. ის ფიქრობდა, რომ ამით უფრო მოიყვანდა მათ [ეკლესიაში], ვიდრე ძალადობით. არჩევდა რა მწვალებლობის დევნაზე უარის თქმას, სიმშვიდეს ანიჭებდა ეკლესიას და ასე იცავდა მას, ამ მხრივ ის ბაძავდა იმპერატორ თეოდოსის. რადგან მან გადაწყვიტა არ გამოეყენებინა საიმპერიო ძალაუფლება ბრალდებულთა წინააღმდეგ და ამით ყურადღებას არ აქცევდა იმას, რომ ისინი ღმერთის შესახებ ისე არ ფიქრობდნენ, როგორც ის თავად.

XLII თავი
იმპერატორ თეოდოსი უმცროსის შესხმა

ამიტომ იმპერატორი მას პატივს სცემდა. რადგან თავადაც ეჯიბრებოდა ჭეშმარიტ მღვდლებს და პატივს სცემდა მათ, ვისაც არ სურდა დევნულების წამოწყება[680]. ვამბობ, ბედავდა, რადგან სიმშვიდით ის აღემატა ყველა ჭეშმარიტ მღვდელს[681]. არამედ, როგორც „რიცხვთა“ წიგნი ამბობს მოსეს შესახებ: „მოსე არის მეტად მშვიდი კაცი ყველა დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანთან შედარებით“[682], ამის თქმა ახლაც შეიძლება, რომ იმპერატორი თეოდოსი ყველა დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანზე მეტად მშვიდია. მისი ამ სიმშვიდის გამო ღმერთმა დაუმარცხა მტრები საომარი შეტაკებების გარეშე, როგორც ეს აჩვენა ტირან იოანეს წინააღმდეგ გამარჯვებამ და ამის შემდეგ შემოჭრილი ბარბაროსების დაღუპვამ. რადგან, რაც ძველად მართალთ მიემადლა ღვთისგან, ეს იმ დროშიც მიანიჭა ყოვლიერების ღმერთმა უღვთივსათნოეს იმპერატორს. ამას არათუ ლიქნით ვწერ,არამედ ვიცი ყველაფერი, რაც მოხდა და სიმართლეს გადმოვცემ.

XLIII თავი
ტირან იოანეს მოკავშირე ბარბაროსების თავზე მოწევნული უბედურებების შესახებ[683]

ტირანის სიკვდილის შემდეგ ბარბაროსები, რომლებსაც მან რომაელების წინააღმდეგ ომში დასახმარებლად მოუხმო, დაირაზმნენ რომაელთა სახელმწიფოში შეჭრისთვის. როდესაც ეს შეიტყო იმპერატორმა, ჩვეულებისამებრ ამ საქმეზე საზრუნავი მიანდო ღმერთს. ლოცვებს მიუძღვნა რა თავი, არცთუ დიდი ხნის შემდეგ აუსრულდა, რის მიღებაც ეწადა. ხოლო, რაც ბარბაროსებს დაემართათ, ღირს ამის მოსმენა. მათი ბელადი, რომელსაც ერქვა რუგასი, დაიღუპა მეხის დაცემის შედეგად, შემდეგ გავრცელდა ჭირი და ბევრი მისი მეთაურობის ქვეშ მყოფი ადამიანი დაიხოცა. ესეც არ იკმარა და ციდან ჩამოვარდა ცეცხლი და მრავალი მათგანი, ვინც გადარჩა დაიღუპა. ამან დიდი შიში აღძრა ბარბაროსებს შორის, არა იმიტომ, რომ მათ გაბედეს რომაელთა მებრძოლი ერის წინააღმდეგ ამხედრება, არამედ იმიტომ, რომ ნახეს, თუ როგორ შეეწეოდა ღმერთის ძლიერება მათ. მაშინ ეპისკოპოსი პროკლეც იეზეკიელის წინასწარმეტყველება იქადაგა ეკლესიაში და ღვთისგან მოვლენილ ხსნას შეუფერა, რამაც აღფრთოვანება გამოიწვია ხალხში. წინასწარმეტყველება კი არის შემდეგი:

„და შენ, ძეო კაცისავ, უწინასწარმეტყველე გოგის ხელმწიფეს, როსს, მოსოხს და თობელს. რამეთუ განვსჯი მას სიკვდილით, სისხლით და წვიმის ნიაღვრით და ქვის სეტყვით. ცეცხლს და გოგირდს ვაწვიმებ მას და ყველას, ვინც არის მასთან ერთან, მრავალ ერს, ვინც არის მასთან ერთად. და აღვზევდები, აღიარებს ჩემს სიწმინდეს, განმადიდებს და შემიცნობს მრავალი ერი და ეცოდინებათ, რომ მე ვარ უფალი[684]“.

როგორც ვთქვი, ამ სიტყვების გამო დიდი მოწონება დაიმსახურა პროკლემ. ღვთის წინაგანგებამ კი ესეც მიმადლა იმპერატორს მისი სიმშვიდის და სხვა უამრავი სათნოების გამო.

XLIV თავი
იმპერატორ ვალენტინიანეს თეოდოსის ასულ ევდოქსიაზე დაქორწინების შესახებ[685]

მას მეუღლე ევდოკიასგან ჰყავდა ასული სახელად ევდოქსია. მისი ხელი ითხოვა თეოდოსის მიერ დასავლეთი ნაწილის იმპერატორად დადგენილმა მისმა ძმისშვილმა ვალენტინიანემ. იმპერატორი თეოდოსი დათანხმდა და მოისურვა სადმე შუაში საზღვარზე გადაეხადათ ქორწილი და გადაწყდა ნახევარ გზაზე, თესალონიკში აღენიშნათ. ვალენტინიანემ აცნობა, რომ არ შეწუხებულიყო, რადგან თავად ჩავიდოდა კონსტანტინოპოლში. ასე რომ, მიიღო რა უსაფრთხოების ზომები დასავლეთში მისი არყოფნისას, გაემართა კონსტანტინოპოლში დასაქორწინებლად. ამის შემდეგ, ისიდორეს და სინატორის კონსულობისას, მან წაიყვანა თავისი მეუღლე და კვლავ დაბრუნდა დასავლეთში[686].

XLV თავი
თუ როგორ გადმოასვენა იმპერატორმა იოანე ოქროპირის ნეშტი კონსტანტინოპოლში და დაასაფლავა მოციქულთა სახელობის ტაძარში ეპისკოპოს პროკლეს რჩევით[687]

ასეთი ბედნიერება ეწვია მაშინ იმპერატორს. არცთუ დიდი ხნის შემდეგ ეპისკოპოსმა პროკლემაც ეპისკოპოს იოანეს განყენების გამო გამოყოფილი მრევლი უკან დააბრუნა ეკლესიაში, გონივრულად განაქარვა რა მათი წყენა. უნდა ითქვას ის, რაც მოხდა.

იოანეს ნეშტი დასაფლავებული იყო „ევქსინოს პონტოს“ კომანში. პროკლემ დაარწმუნა იმპერატორი, რომ მისი განყენებიდან ოცდამეთხუთმეტე წელს ის გადმოესვენებინა კონსტან-

ტინოპოლში. ის მრავალი პატივით მოაცილეს და დაასვენეს მოციქულთა სახელობის ეკლესიაში. ეს გაუხარდათ იოანეს გულისთვის გამოყოფილთ და შეურთდნენ ეკლესიას. ეს მოხდა იმპერატორ თეოდოსის მეთექვსმეტეგზის კონსულობისას, დაახლოებით იანვრის თვის ოცდაშვიდში[688].

საოცარია, თუ როგორი შური ჰქონდა ორიგენეს მიმართ, იოანე კი შეიწყნარა. რადგან პირველი მათგანი მისი აღსრულებიდან დაახლოებით ოცი წლის შემდეგ განკვეთილ იქნა თეოფილეს მიერ, იოანე კი მისი გარდაცვალებიდან ოცდამეთხუთმეტე წელს მიღებულ იქნა საეკლესიო ერთობაში პროკლეს მიერ. თეოფილესგან ასე განსხვავებული ხასიათი ჰქონდა პროკლეს!

მაგრამ, თუ როგორ მოხდა ეს და ყოველთვის ასეც ხდება, არ გამოეპარება გონიერ კაცს.

XLVI თავი
ნოვაციანელთა ეპისკოპოს პავლეს გარდაცვალებისა და მის მონაცვლედ მარკიანეს დადგინების შესახებ

იოანეს ნეშტის გადმოსვენებიდან ცოტა ხნის შემდეგ აღესრულა ნოვაციანელთა ეკლესიის ეპისკოპოსი პავლე იმავე კონსულობის პერიოდში, დაახლოებით ივლისის ოცდაერთში. მან რაღაც გზებით დააბრუნა ყველა დაპირისპირებული მწვალებლობები და განამტკიცა ერთი ეკლესია. ყველამ ფსალმუნების გალობით მოაცილა მისი ნეშტი საფლავამდე, რადგანაც სიცოცხლეში მისი ცხოვრების სიმართლით ყველას ხიბლავდა. ვფიქრობ, საჭიროა ამ ისტორიაში მკითხველთა სასარგებლოდ გადმოიცეს, თუ რა ღირსსახსოვარი საქმე მოიმოქმედა პავლემ სიკვდილის წინ. ვფიქრობ, უნდა გამოვტოვო, თუ როგორ ავადმყოფობისას მისთვის ჩვეულ ღვაწლში იყო, ყველაფერს ზედმი-

წევნით ასრულებდა და როგორ დაუღალავად აღავლენდა ლოცვებს, რათა არ დაიჩრდილოს მისი ღირსსახოვარი საქმე, როგორც ვთქვი, და მისი მეტად სასარგებლო ღვაწლი. უნდა ითქვას, თუ რა იყო ეს.

სიკვდილის წინ მან მოიწვია ყველა მისი მწყემსობის ქვეშ არსებული ეკლესიების მღვდლები და უთხრა: „იზრუნეთ იმაზე, რომ აირჩიოთ ეპისკოპოსი, სანამ ჯერ კიდევ სული მიდგას პირში, რათა ამის შემდეგ ჩვენს ეკლესიებში შფოთი არ ჩამოვარდეს“. როდესაც მათ მიუგეს, რომ მათ არ ძალუძდათ ამ გადაწყვეტილების მიღება – „რადგან ყველას სხვადასხვა აზრი გვაქვს და ვერაფრით ვერ ვასახელებთ მის პიროვნებას. ამიტომ შენ აირჩიე, ვინც გსურს“. პავლემ თქვა: „წერილობითი თანხმობა მომეცით, რომ მას ირჩევთ, ვისზეც მე მივიღებ გადაწყვეტილებას“. როდესაც ასეც მოიქცნენ და ხელი მოაწერეს, იგი წამოდგა სარეცელიდან, აიღო ქარტია, იქ დამსწრეთაგან ფარულად ჩაწერა მარკიანეს სახელი, რომელიც ხუცესის ხარისხში იყო და მან განსწავლა ასკეტურ ცხოვრებაში, მაგრამ მაშინ წასული იყო ფრიგიის ტიბერიადაში. ამის შემდეგ დაბეჭდა, მათაც დააბეჭდინა, რომლებიც იყვნენ უპირველესი ხუცესები და ჩააბარა ეს წერილი მარკოზს, რომელიც იყო სკვითიის ნოვაციანელთა ეპისკოპოსი და იმ დროს ქალაქში იმყოფებოდა. მას პავლემ ასე მიმართა: „თუ ღმერთს სურს ჩემი დარჩენა ამ ცხოვრებაში, ეს ჩემი ანდერძი შეინახე და მერე უკან დამიბრუნე. მაგრამ თუ ის ინებებს ჩემს გადაყვანას, მაშინ გამოაჩინეთ ჩემ მიერ ჩემ შემდეგ განჩინებული ეპისკოპოსი“. როგორც კი ეს თქვა, აღესრულა კიდეც. მისი გარდაცვალებიდან მესამე დღეს მრავალრიცხოვანი ხალხის წინაშე გახსნეს წერილი და როდესაც ნახეს მარკიანეს სახელი, ყველამ შესძახა: „ღირს არს“. დაუყოვნებლივ გაგზავნეს ხალხი მის შესაპყრობად[689]. მათ კეთილი ცბიერებით შეიპყრეს ფრიგიის ტიბერიადაში მცხოვრები,მოიყვანეს და იმავე თვის ოცდათერთმეტს ხელნი დაასხეს და საყდარზე დასვეს[690].

XLVII თავი
იმპერატორ თეოდოსის მიერ დედოფალ ევდოკიას იერუსალიმში გაგზავნის შესახებ[691]

ეს ითქვა ამ კაცის შესახებ. იმპერატორმა თეოდოსიმ სამადლობელო ლოცვები აღავლინა ღვთის წინაშე მის მიერ მომადლებულ სიკეთეთა სანაცვლოდ და განსაკუთრებული პატივი მიაგო ქრისტეს. მან მისი მეუღლე ევდოკიაც გაგზავნა იერუსალიმში, რადგან მანაც აღთქმა დადო, რომ ილოცებდა, თუ იხილავდა მის ასულს დაქორწინებულს.

მან იერუსალიმის შემოგარენში და აღმოსავლეთის ქალაქებში მდებარე ყველა ეკლესიები შეამკო სხვადასხვა შენობა-ნაგებობებით, როგორც იქ ჩასვლისას, ასევე უკანა გზაზეც[692].

XLVIII თავი
კაბადოკიის კესარიის ეპისკოპოსად თალასის ხელდასხმის შესახებ

იმავე დროს, იმპერატორ თეოდოსის დაახლოებით მეჩვიდმეტე გზის კონსულობისას ეპისკოპოსმა პროკლემ საოცარ საქმეს მოკიდა ხელი, რაც წინათ არც ერთ ეპისკოპოსს არ გაუკეთებია. როდესაც აღესრულა კაბადოკიის კესარიის ეპისკოპოსი ფირმუსი[693], კესარიელებმა დაიწყეს ეპისკოპოსის ძებნა. როდესაც მსჯელობდნენ იმაზე, თუ ვინ უნდა აერჩიათ ეპისკოპოსად, ეს დაემთხვა შაბათ დღეს და ყველა სენატორი ეკლესიაში იმყოფებოდა. მათ შორის იყო თალასიც, ვისაც ჩაბარებული ჰქონდა ილირიკიის მოსახლეობისა და ქალაქების პრეფექტის თანამდებობა. როგორც ამბობენ, იმპერატორი აპირებდა მისთვის ჩაებარებინა აღმოსავლეთის პროვინციების მართვა, მაგრამ პროკლემ დაასხა

ხელნი და პრეფექტის ნაცვლად კესარიის ეპისკოპოსი გახადა[694].

ასე წარმატებულად მიდიოდა მაშინ საეკლესიო საქმეები. ჩვენ კი აქ შევწყვეტთ ჩვენი ისტორიის თხრობას და ვილოცებთ, რომ ყველგან მშვიდობა იყოს ეკლესიებში, ქალაქებსა და ხალხებში. რადგან, როდესაც მშვიდობა სუფევს, ისტორიის აღწერის მოსურნეთ არ აქვთ არავითარი საბაბი. ამიტომ ჩვენც, წმინდაო ღვთის კაცო თეოდორე, შენი დავალება შევასრულეთ და შევადგინეთ შვიდი წიგნი; ამ დაპირებას ვერ გავართმევდით თავს, ამბოხის მოყვარულთ, რომ არ ერჩიათ დამშვიდება.

ისტორიის მეშვიდე წიგნი მოიცავს ოცდათორმეტ წელიწადს, მთელი შვიდტომეულის თემა კი მოიცავს ას ორმოც წელს, დაწყებული ორას სამოცდამეთერთმეტე ოლიმპიადის პირველი წლიდან, როდესაც იმპერატორად იქნა გამოცხადებული კონსტანტინე და დასრულდა სამას მეხუთე ოლიმპიადის მეორე წელს, როდესაც იდგა იმპერატორ თეოდოსის მეჩვიდმეტეგზის კონსულობის პერიოდი[695].

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

* 306 წ.

** **φαντασία.** ლათ. visione.

*** **τρόπαιον.** ლათ. tropaeum.

[1] კონსტანტინემ მაქსენტიუსზე გამარჯვება მოიპოვა ქ.შ.-დან 312 წელს, როდესაც იგი და ლიკინიუსი მეორედ იყვნენ კონსულად არჩეული. ეს იყო კონსტანტინეს ზეობის მეექვსე წელი...

[2] **ἐξ οὐκ ὄντων ἐχειν αὐτὸν ὑπόστασιν,** ლათ. eumdem ex nihilo subsistere.

[3] ეფეს. 4, 3.

[4] **κακόνοιαν,** ლათ. malevolentiam.

[5] **καταχρηστικῶς,** ლათ. abusive.

[6] **χορείας,** ლათ. choro. სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ცეკვას,როკვას სიმღერის თანხლებით.

[7] იგულისხმება ჰოსიუს კორდუბიელი.

[8] ე.ი. ნათლობა.

[9] **πρωτότοκον,** ლათ. primogenitum.

[10] **ὑφίστασθαι,** ლათ. recipiat.

[11] იგულისხმება წმინდა წერილი.

[12] ნიკეის კრებამ დაადგინა, რომ მელიტიოსის მიერ დადგინებული ეპისკოპოსები და სასულიერო პირები წმინდა ხელდასხმით უნდა დამტკიცებუ-

ლიყვნენ, რაც გულისხმობდა ეპისკოპოს ალექსანდრეს მიერ ხელის დადებას სასულიერო პირზე.

[13] აქ აშკარად ჩანს, რომ ნიკეის მსოფლიო კრება აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევდა ერისკაცების მიერ თანხმობის და მოწონების გამოცხადებას საეპისკოპოსო კანდიდატზე

[14] კონსტანტინოპოლი დაარსდა 330 წ. ძველი ბიზანტიუმის ადგილას.

[15] იგივე „Comes fisci", მოხელე, რომელიც განაგებდა პროვინციის შემოსავლებს. დიოცეზი აქ გამოიყენება საერო მნიშვნელობით.

[16] **τῆς τῶν Ναυατιανῶν θρησκείας,** ლათ. Novatianorum.

[17] **Οὺς οἰκείους καλεῖ ὁ βασιλεύς.** იგულისხმება domesticos protectores, რომელთა შესახებ „რომის ისტორიის" XIV წიგნის ანოტაციებში წერს ამიანე მარცელიუსი.

[18] იხ. ფს. 78, 1.

[19] იხ. გამ. 35 – 40.

[20] **ὁμίχλη, σκότος τε πολύ** , ლათ. nebula et profunda caligine.

[21] მანიქეველები რომ მზეს სცემდნენ თაყვანს, ამას ნეტარი ავგუსტინეც აღნიშნავს. ამავეს წერს პალესტინაში მცხოვრები მანიქეველების შესახებ ლიბანიოსიც მის 140-ე ეპისტოლეში: „ისინი მზეს სცემენ თაყვანს სისხლის გარეშე, ღმერთს მეორე სახელით მიაგებენ პატივს; მუცელს ზღუდავენ, აღსასრულის დღეს სარგებლის მომტანად თვლიან. ამ მიწაზე ბევრგან არიან, მაგრამ ყველგან ცოტანი არიან. არანაირ დანაშაულს ისინი არ სჩადიან, მაგრამ შეწუხებული არიან ზოგიერთების მხრიდან."

[22] **μετενσωμάτωσιν,** ლათ. corpora ex aliis in alii transmutari.

[23] **φάντασμα αὐτὸν εἶναι,** ლათ. phantasma illum fuise.

[24] **τύπους αὐτῆς,** ლათ. res in illa synodo judicatae.

[25] **μαθηματικὴν ἀσκούμενος,** ლათ. mathematicarum artium studiosus. აქ იგულისხმება არა მათემატიკა, როგორც მეცნიერება, არამედ ასტროლოგია, რომელიც მათემატიკურ გამოთვლებს იყენებს და ამიტომ ზოგჯერ მის აღსანიშნავად იყენებდნენ ტერმინ მათემატიკას. იხ. Liddel-Scot, 1072 p.

[26] **αἱρετικὴν κακοδοξίαν,** ლათ. haereticorum dogmatum.

[27] წმ. ათანასე დიდი თავის „გაქცევის გამო აპოლოგიაში“ წერს: „უკვე ღამე, ერიდან ზოგიერთი ღამისთევაზე იდგა და საღვთისმსახურო შეკრება უნდა დაწყებულიყო“. როგორც ვხედავთ, ათანასეს მონაცემებით ღამე იყო და არა მწუხრი.

[28] ევსები ნიკომიდიელი გარდაიცვალა 342 წელს.

[29] აქ კარგად ჩანს ადრეულ ეკლესიაში ხალხის გადამწყვეტი როლი ეპისკოპოსის დადგინებაში.

[30] **ἐξ ἑτέρας ὑποστάσεως παρὰ τὸν Πατέρα προυποκειμένης,** ლათ. ex alia praeter Patrem prius exsistente hypostasi.

[31] როგორც ჩანს, აქ აღმოსავლელები ეპაექრებიან წმ. ათანასე დიდის სწავლებას მამისაგან ძის არათუ „ნებელობით“, არამედ „ბუნებით“ შობის შესახებ. წმინდა მამა, იმ განზრახვით, რომ დაეცვა ძის მამასთან თანასწორობის და თანაარსობის იდეა, ერთმანეთს უპირისპირებს ღვთის „ბუნებით“ და „ნებელობით“ საქმეებს. იგი ამ სახის ტერმინოლოგიის მართებულებას ასაბუთებს შემდეგნაირად: „ადამიანი ზრახვით აგებს სახლს, მაგრამ ბუნებით იგი შობს შვილს; და იმას, რაც არის ნებელობით აშენებული, აქვს არსებობის დასაბამი და ის შემქმნელი გარეთ იმყოფება; მაგრამ შვილი არის მამის არსის უშუალო ნაყოფი და ის არ არის მის გარეთ“. შემდეგ ციტატაში იგი ამ სქემას უსადაგებს ღმერთის შესახებ მსჯელობას: „როგორც ითქვა, შექმნილი საგანი არის შემოქმედის გარეთ, ძე კი არის არსის უშუალო ნაყოფი. შესაბამისად შექმნილი საგანი ყოველთვის არ არსებობდა, რადგან შემოქმედი მას ქმნის თავისი ნებელობით. თუმცა, ნაყოფი არის არათუ ნებელობას დაქვემდებარებული, არამედ – არსის შესატყვისი“ (ციტ. H. Wolfson, The Philosophy of Church Fathers, 228 p.). მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეკლესიის მამები ყოველთვის ითვალისწინებდნენ მოწინააღმდეგეთა გონივრულ არგუმენტებს და შესწორებებიც კი შეჰქონდათ თავიანთ ტერმინოლოგიაში. ამიტომ, შეიძლე-

ბა აღმოვაჩინოთ ერთი შეხედვით უცნაური მოვლენა, რომ ათანასეს ერთგულ მომხრეებს შორის იყვნენ სახელოვანი ღვთისმეტყველები, რომლებიც ბოლომდე არ იზიარებდნენ ათანასეს „ბუნებით“ შობას. მაგალითად, წმინდა გრიგოლ ნოსელი ნიკეის მრწამსის ოპონენტებს პასუხობს: „ჩვენ არ გამოვრიცხავთ ჩვენი სიტყვათხმარებიდან მშობლის „ნებელობას“ ძესთან მიმართებაში, თითქოს, ასე ვთქვათ, ის იძულებულია ძის მამასთან კავშირით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არც წყვეტს განუცალკევებელ კავშირს, როდესაც „ნებელობა“ შემოდის შობაში“ (ციტ. დასახ. ნაშრ. 231 გვ.).

[32] **ὅλον μὲν τοῦ Πατρὸς ἐνεστερνισμένου τὸν Υἱον· ὅλου δὲ τοῦ Υἱοῦ ἐξηρτημένου καὶ προσπεφυκότος τῷ Πατρι, καὶ μόνον τοῖς πατρῴοις κόλποις ἀναπαυόμενον διηνεκῶς.**

[33] იგულისხმება, რომ დიდებისმეტყველებაში ევსები წარმოთქვამდა: „დიდება ერთ უშობელ მამას ერთი მხოლოდშობილი ღვთის, ღვთის ძის მეშვეობით ერთ სულიწმინდაში, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.

[34] **τὰ θεῖα λογία,** ლათ. divina oracula.

[35] **Κομιτάτον.** არის ლათინური comitatus-ის კალკი.

[36] თავად ათანასეს გადმოცემის მიხედვით ეს ადგილი არის შემდეგი სახის: **μετα τουτου καὶ οιτινες αυτῳ καὶ τῶν τοσουτων καματων κοινωνοι γεγονασι** – მასთან ერთად კი ისინიც, რომლებიც მისი და ესოდენი ტანჯვების თანაზიარი გახდნენ.

[37] იგულისხმება პასექის მარხვა, ანუ დიდმარხვა.

[38] **ἐν αὐτῇ τῇ Κυριακῇ,** ლათ. die ipsa Dominica. იგულისხმება კვირა დღე. ქართული სახელწოდებაც, რომელიც ბერძნული სიტყვა „კვირიოს“- იდან (უფალი) მომდინარეობს, გვიჩვენებს მის კავშირს უფლის აღდგომისა და შესაბამისად ევქარისტიის აღსრულების დღესთან.

[39] ერთი ამონიოსი ხელდასხმულ იქნა ალექსანდრეს მიერ და გახდა პაკენმუნისის ეპისკოპოსი (იხ. ათანასე დიდი, „არიანელობის ისტორია მონაზვნების მიმართ“, 72). მეორე ხელდასხმულ იქნა ათანასეს მიერ თმუისის ეპისკოპოსად. ფილონი განდევნილ იქნა ბაბილონში (იხ. ათა-

ნასე დიდი, დასახ. ნაშრ., 72). მუიოსი, ფსინოსირისი, ნილამონი, მარკოზი გაუშვეს ლიბიის ამონის მხარეებში,რომელსაც ალექსანდრიას აშორებდა ცხრა დღის სავალი გზა, რათა გზაზე დაღუპულიყვნენ. ადელფოსი იყო დელტაზე ონუფისის ეპისკოპოსი და გაგზავნილ იქნა თებაიდაში. დრაკონტიოსი, ვისი მისამართითაც არის დაწერილი ათანასეს წერილი, წავიდა კლისმას მახლობლად უდაბნოში, ჰიერაქსი და დიოსკორე – სიენეში (ასუანში).

[40] აქ შესაძლოა ასევე არის ერთგვარი სიტყვათა თამაშიც; ბერძნულ ენაზე „აეციოს“ – „ათეოს“.

[41] მაისის თვის ოცდასამ რიცხვში.

[42] **πρὸ παντὸς ἐπινοουμένου χρόνου,** ლათ. ante . . . omne tempus quod intiligentia percipi potest.

[43] **πρὸ πάσης καταληπτῆς ἐπινοίας, γεγεννημένον ἀπαθῶς ἐκ τοῦ Θεοῦ,** ლათ. ante omnem denique comprehensibilem notionem, sine passione genitus est ex Deo. წმ. ათანასე დიდი თავის ნაშრომში „კრებების შესახებ“ **καταληπτῆς ἐπινοίας** -ის ნაცვლად წერს: **καταληπτῆς οὐσίας** – „წვდომადი არსის“.

[44] სირმიის მრწამსის გადმოცემაში იმპერატორის ტიტული სრული სახით ასე იყო მოხსენიებული: **Ἐξετέθη ἡ πίστις ἡ καθολικὴ ἐπὶ παρουσίᾳ τοῦ δεσπότου ἡμῶν τοῦ εὐσεβεστάτου καὶ καλλινίκου βασιλέως Κωνσταντίου Αὐγούστου τοῦ αἰωνίου σεβαστοῦ . . .** – გადმოიცა საყოველთაო მრწამსი ჩვენი მეუფის, უკეთილმსახურესი და სახელოვანი მძლე იმპერატორის კონსტანციუს ავგუსტუსის, საუკუნო ღვთისმოსავის თანდასწრებით.

[45] ათანასესთან არის **ἀμαθίαν** – უსწავლელობა.

[46] ათანასესთან – **ἔδειξαν** – წარმოაჩინეს.

[47] ათანასესთან იკითხება **εἰς τὴν παράνοιαν τῶν ἀπὸ Φρυγίας** – ფრიგიელების სიშლეგეში. იგულისხმება მონტანისტების მწვალებლობა, რომელიც II საუკუნეში წარმოიშვა ფრიგიაში, კერძოდ ქალაქ პეპუზაში.

[48] გერმინიუსი (ჰილარიუს პიქტავიელის მიხედვით) იყო კიზიკიის ეპისკოპოსი, გადაყვანილ იქნა სირმიაში 356 წ. გერმინიუსის, ვალენსისა და

სხვების დახმარებით; მარკოზ არეთუსელის მიერ შედგენილი მრწამსი ცნობილი არის „დათარიღებული მრწამსის“ სახელით, ათანასეს მიერ გაქილიკებული დოკუმენტიდან (ათანასე დიდი, კრებების შესახებ, პ.8).

[49] ავქსენტი უფროსმა მედიოლანის საყდარზე შეცვალა დიონისე 355 წ. და საყდარი ეკავა მის გარდაცვალებამდე, 374 წ.-მდე, როდესაც მის ადგილას არჩეულ იქნა წმ. ამბროსი. ავქსენტი უმცროსი, ასევე ცნობილი როგორც მერკურინუსი, არიანული საიმპერიო კარის მიერ წამოყენებულ იქნა ამბროსის მეტოქე ეპისკოპოსად. მესამე ავქსენტი, მწვალებელი იოვინიანუსის მხარდამჭერი, ნახსენებია პაპი სირიკიუსის ეპისტოლეში. მოფსუესტიის არიანელ ეპისკოპოს ავქსენტის მოიხსენიებს არიანელი ისტორიკოსი ფილოსტორგე.

[50] პანონიის ეპისკოპოსი (იხ. ათანასე დიდის „ეპიქტეტუსის მიმართ“).

[51] **ὁρμωμένους,** მაგრამ სქოლიოში მითითებულია სხვა წაკითხვაც **δικαίως ὡρισμένων,** რაც უფრო მართებულად მიგვაჩნია.

[52] იგულისხმება კესარიის საყდარზე ევსები პამფილელის მონაცვლე.

[53] ბერძ. აღდგომა.

[54] ტექსტში: ოქტომბრის კალენდების ხუთამდე.

[55] მან პირველმა დაარღვია საეკლესიო კანონი საერო სასამართლოზე მიმართვით, ვინაიდან აკრძალული იყო საეკლესიო სასამართლოდან საეროში აპელაცია. ეს აისახა მოგვიანებით კონსტანტინოპოლის მსოფლიო კრების (381 წ.) მე-6 კანონში: „თუ ვინმე უგულებელყოფს განჩინებას ამ საკითხთან დაკავშირებით და განიზრახავს შეაწუხოს იმპერატორის სასმენელი ან დროებითი მსაჯულების სასამართლოები, ან ეპარქიის ყველა ეპისკოპოსის უპატივცემულობით მიმართავს მსოფლიო კრებას, ასეთი ვინმე არ მიიჩნევა ბრალმდებლად.“

[56] **τάχεων** – სიტყვ. წესების, თანამდებობების. აქ ეს აღნიშნავს სამხედრო კანონით დანიშნული თანამდებობების ტიპს,რომელთაც ევალებოდათ გარკვეული დროის მანძილზე პროვინციებში მმართველის თანამდებობის მოვალეობების შესრულება.

[57] ალექსანდრიული ქრონიკის მიხედვით მათი რიცხვი კონსტანტინოპოლის კრებაზე შეადგენდა სამოცდათორმეტს. კრება გაიმართა 360 წელს.

[58] იხ. მოციქულთა 25-ე კანონი.

[59] **παρὰ τοὺς ἐκκλησιαστικοὺς τύπους,** ლათ. leges ecclesiasticas.

[60] პაფლაგონიის ქალაქ განგრაში ადგილობრივი კრება გაიმართა 340 წელს. განგრის კრების თითქმის ყველა კანონი მიმართულია ევსტათი სებასტიელის სწავლებების წინააღმდეგ. მათში დაგმობილია ხორცის მიღების აკრძალვა და ქორწინების უარყოფა; ანათემაზეა გადაცემული ის, ვინც არ ეზიარება დაქორწინებული მღვდლის მიერ აღსრულებულ ევქარისტიაში. ეს კანონები შეტანილია „დიდი სჯულის კანონში“ (იხ. განგრის კანონები).

[61] სავარაუდოდ, წმინდა სოფიის ტაძრის მეორედ კურთხევა იგულისხმება. პირველად ის იკურთხა 326 წელს, მაგრამ შემდეგ სახალხო აჯანყების დროს ხანძარმა დაანგრია.

[62] **παρασήμῳ ὀνόματι,** ლათ. adulterino vocabulo. სოკრატე გულისხმობს, რომ მაკედონიოსი ნიკეის მრწამსის ტერმინ „თანაარსთან“ სიტყვა „მსგავსარსის“ სიახლოვით შეცდომაში შეიყვანდა ხალხს.

[63] ე.ი. „არამსგავსიანელები“.

[64] **ἐξουκόντιοι** – ე.ი. რომლებიც მიიჩნევდნენ ძის „არარსებულიდან“ წამოშობას. ათანასე დიდი მის ნაშრომში „არიმინის და სელევკიის კრებების შესახებ“ წერს: „მათი მრავალი თავხედობისა და მკრეხელობის გამო ყველგან „ანომიელები“ ეწოდათ, და ასევე „ექსუკონტიელებიც“ შეარქვეს.“

[65] აპოლინარის სწავლებას თავიდანვე დაუპირისპირდა წმ. გრიგოლი ღვთისმეტყველი, რომელსაც დაუშვებლად მიაჩნდა ის აზრი, რომ ქრისტემ არ მიიღო ადამიანური გონება, რომელიც არის ადამიანში ყველაზე მთავარი ნაწილი და დაცემულ ადამიანში სწორედ ის არის ცოდვის სათავე, ამპარტავნების სახით. ამიტომ, გრიგოლმა მეტად მნიშვნელოვანი ქრისტოლოგიურ-სოტერიოლოგიური მოძღვრება გამოთქვა სხარტი ფორმულით: „რაც არ მიუღია [ქრისტეს], არც განუკურნავს.“

[66] იულიანეს ქრისტიანთა მიერ ეწოდა აპოსტატი – განდგომილი, ასევე „პარაბატესი“ – „რჯულის დამრღვევი“, რადგან იგი განუდგა ქრისტიანობას და ცდილობდა წარმართობის აღდგენას. იგი იყო იულიუს კონსტანციუსის ძე ბასილინასგან. დაიბადა 331 წელს, 6 ნოემბერს.

[67] **ἀρχιερεα,** ლათ. pontificem maximum. ეს წოდება ჰქონდათ რომის იმპერატორებს ოქტავიანე ავგუსტუსიდან მოყოლებული, რაც ნიშნავდა იმას, რომ ისინი საერო ხელისუფლების გარდა სასულიერო (ამ შემთხვევაში რომაული წარმართული სარწმუნოების) ხელისუფლების თავსაც წარმოადგენდნენ.

[68] იულიანეს 10-ე ეპისტოლე.

[69] **εἰκόνας,** ლათ. imagines. აქ იგულისხმება კერპები.

[70] კრება გაიმართა 361 წელს ათანასე დიდის ინიციატივით (Hefele, History of the Councils of the Church, v.II, 221 p.).

[71] **ἔμψυχον τὸν ἐνανθρωπήσαντα,** ლათ. Christum qui homo factus est, anima praeditum fuisse.

[72] ევსები კესარიელი გადმოგვცემს ბერიოლიოსის შეხედულების შესახებ, რომ იგი უარყოფდა ქრისტეს ღმერთად არსებობას განკაცებამდე. ევსების ცნობით ბერილიოსი იყო არა ფილადელფიის არამედ ბოსტრას ეპისკოპოსი (იხ. ევსები კესარიელი, საეკლესიო ისტორია, VI)

[73] იხ. ებრ. 1, 3.

[74] ირინეოს გრამატიკოსი იყო ალექსანდრიელი ფილოლოგი, ჰელიოდორე მეტრიკოსის მოწაფე. მან მრავალი წიგნი შეადგინა ატიკური ენის შესახებ (იხ. სვიდას ლექსიკონი).

[75] **ἴδιον,** ლათ. proprium.

[76] **συμβεβηκὸς,** ლათ. accidens.

[77] **πρὸ τῆς ἐνσάρκου παρουσίας ἐν τοῖς ἁγίοις ἐλάλει,** ლათ. ante corporalem praesentiam suam jam locutus fuerat in sanctis.

[78] ათანასე დიდთან არის: **μᾶλλον δὲ κἂν ἀκούντες** - უფრო კი ისმენენ.

[79] **ἀτάκτως τὰς Ἰδιαζούσας ὑποστάσεις Πατρὸς καὶ Υἱοῦ συνέπλεκον εἰς ἑνότητα.** ლათ. distinctas Patris ac Filii personas in unam temere cogebant.

[80] **σφοδρα της του Υιου προς Πατερα φυσεως διιστα την οικειτητα, τῳ του ανομοιου κατ ᾽ουσιαν ονοματι,** ლათ. naturae Filii cum natura Patris conjunctionem penitus divellebat, inducto dissimilis substantiae vocabulo.

[81] აქ ეს დასკვნა გამოტანილია სოფრონის აღიარებიდან - „ჩვენ საკმარისად ნათლად წარმოგვიჩნდება, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოების პყრობა არის ორივეს შუა გამავალი გზა:“ - ე.ი. მათი შეხედულება ეყრდნობა არა იმდენად ამ ორი „უკიდურესობის“ სარწმუნოების შინაარსის განხილვას, რამდენადაც მხოლოდ ფორმალურ დაკვირვებაზე დაყრდობით განვითარებულ მსჯელობას, რომ ჭეშმარიტება უნდა ვეძებოთ ორ ფორმალურად განსხვავებულ უკიდურესობას შორის, იმის მიუხედავად, თუ რა შინაარსია ჩადებული ამ ფორმებში. ვფიქრობთ, მეტად საყურადღებოა სოკრატეს შენიშვნა და ის გვავალდებულებს, რომ ფორმის მიღმა გავიდეთ და ჩავწვდეთ შინაარსს, თუნდაც, ტერმინოლოგიურად და ენის თვალსაზრისით საპირისპიროს ამბობდეს ვინმე. აქ ხაზგასმულია, რომ ქრისტიანული სარწმუნოებისთვის მეორეხარისხოვანია დოგმატის გამოთქმის და ღვთისმსახურების აღსრულების ფორმა და ჩვეულება, მთავარი მხოლოდ სარწმუნოების შინაარსია.

[82] შდრ. კოლ. 1, 26.

[83] წმინდა წერილში არსად გვხვდება ეს გამონათქვამი, მაგრამ არსებობს ხანგრძლივი ტრადიცია, მოყოლებული კლიმენტი ალექსანდრიელიდან, რომელიც ამას მიაწერს მაცხოვარს და განმარტავს ზუსტად იმ კონტექსტში, რომელსაც ამჟამად განიხილავს სოკრატე.

[84] შდრ. კოლ. 1, 26.

[85] იხ. თეოფრასტე VII, X, ასევე დიოგენე ლაერტელი I, X. დიოგენე ჩამოთვლის ეპიმენიდეს ნაშრომებს, მაგრამ მათ შორის არ მოიხსენიება „ორაკულები“. მაგრამ სვიდას ლექსიკონში ვკითხულობთ: „[მან] დაწერა ეპიური სტილით საიდუმლოებები და განსაწმენდელები (**καθάρματα**), და სხვა იგავური გამონათქვამები (**αἰνιγματώδη**).“

[86] ამ გამონათქვამს ვერ ვხვდებით ევრიპიდესთან,მაგრამ ის მოიპოვება მენანდრესთან.

[87] კურო იყო იმის სიმბოლო, რომ იულიანე ძველი წარმართული სარწმუნოების კვალობაზე მსხვერპლს სწირავდა ღმერთებს. მაგრამ ანტიოქიელები ამაში ქვეყნიერების დაქცევის ნიშანს ხედავდნენ.

[88] მოწამე ბაბილას შესახებ უადრესი ცნობები გვხვდება ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორიის“ VI წიგნის 20-ე და 39-ე თავებში, აგრეთვე მის ცხოვრებას აღწერს წმ. იოანე ოქროპირი. ამ ცნობების მიხედვით, ბაბილა იყო ანტიოქიის ეპისკოპოსი, საბინოსის მონაცვლე; მას თავი მოკვეთეს დეკიუსის დევნულების ჟამს. მისი ნეშტი დასვენებულ იქნა დაფნაში, აპოლოს ტაძრის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ეკლესიაში, რომელიც ააგო იულიანეს ძმამ გალუსმა.

[89] იხ. ფს. 96, 7.

[90] **φιλοθύτης,** ლათ. deditus esset sacrificiis.

[91] **ἐκ μετενσωματώσεως τὴν Αλεξάνδρου ἔχειν ψυχήν,** ლათ. per animarum ex aliis corporibus in alia transmigrationem, Alexandri animam se habere.

[92] ლიბანიოსის XVIII სიტყვა.

[93] იხ. პლატონის დიალოგები: „კრიტია“, „ფედონი“, „ფედროსი“, „სოკრატეს აპოლოგია“.

[94] იგულისხმება იმპერატორი მარკუს ავრელიუსი.

[95] გრიგოლ ღვთისმეტყველის V სიტყვა.

[96] **μόρφωσιν τῆς ἀληθείας ἔχοντας,** ლათ. ex sacris Litteris expressam veritatis gerunt imaginem.

[97] ეს ნაშრომი იულიანემ შეადგინა ჰერაკლე ცინიკოსის წინააღმდეგ.

[98] სხვა ხელნაწერებში გვხვდება: **ἀρρητοισι γοναῖς.**

[99] **τριβωνοφόροι,** ლათ. philosophi pallium deponebant.

[100] **οἱ γὰρ προεστωτες τῶν θρησκειῶν,** ლათ. sectae principes. რა თქმა უნდა, აქ „სექტა“ არ გამოიყენება თანამედროვე ნეგატიური მნიშვნელობით, არამედ აღნიშნავს, უბრალოდ, „რელიგიურ დაჯგუფებას“, რაც კიდევ ერთმნიშვნელოვნად ჩანს ბერძნული დედნიდან: **θρησκεια** ნიშნავს სარწმუნოებას, ღვთისმსახურებას.

[101] **τοὺς τὸ ἀνόμοιον δογματίζοντες ,** ლათ. qui dissimilitem Patri Filium asserebant. აქ იგულისხმებიან ეგრეთ წოდებული „ანომიელები“, რომელთა დოგმატური სწავლების მიხედვით, წმ. სამებაში მამა და ძე არ იყვნენ ერთმანეთის მსგავსი, არამედ იყვნენ განსხვავებული, არამსგავსი არსის და ბუნების მქონე არსებები. ეს მოძღვრება ჩამოყალიბდა იმპერატორ კონსტანციუსის ძალისხმევით, რომელიც მიზნად ისახავდა რომის იმპერიისათვის ქრისტიანული სარწმუნოებისგან ერთიანი სახელმწიფო რელიგიური იდეოლოგიის შექმნას, რომლის საფუძველზეც მთელ იმპერიაში დაისადგურებდა ერთსულოვნება, საყოველთაო „მშვიდობა“ და წესრიგი. მან სცადა ზოგიერთი ღვთისმეტყველი ეპისკოპოსის მეშვეობით არიმინის და სელევკიის კრებების მოწვევის შემდეგ კონსტანტინოპოლში ხელოვნურად მოეხდინა იმ დროის სხვადასხვა ურთიერთდაპირისპირებული ქრისტიანული დოგმატური სწავლებების – დასავლეთში გაზიარებული ნიკეის მრწამსის, აღმოსავლეთის „მსგავსარსის“ და რადიკალი ევნომიანელების მოძღვრებების – სინთეზირება (იხ. Dunzl, F., Brief History of Arianism). შედეგად მიღებული „ანომოიზმის“ დოგმატს ჰქონდა იმპერიული ხელისუფლებისგან ოფიციალური მხარდაჭერა, შეიძლება ითქვას, ის იყო იმპერიის სახელმწიფო იდეოლოგია, და ვინც მას არ ეთანხმებოდა, ემუქრებოდა გადასახლება, ზოგჯერ სიკვდილიც. გადასახლებულთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ წმ. ათანასე დიდი.

[102] ტექსტში არის „ზენონელი“, მაგრამ შეცდომა უნდა იყოს. ასეთი ქალაქი არ არსებობს, მაშინ, როცა იყო ქალაქი ზელე კაბადოკიაში, როგორც მოწმობს პლინიუსი. ასევე ბასილი დიდი 72-ე და 73-ე ეპისტოლეებში ახსენებს ამ ქალაქს.

[103] **τὸν χαρακτῆρα,** ლათ. formam.

[104] იხ. თემისტიოსის V სიტყვა.

[105] წყლის ვიწრო სრუტე კუნძულ ევბოასა და ხმელეთს შორის.

[106] იმ პერიოდის წარმართი ისტორიკოსის ამიანე მარცელიუსის ცნობით, „ათი დღის განმავლობაში არავინ განაგებდა იმპერიას“ (ამიანე, რომის ისტორია, XXVI, I, 5). ვალენტინიანე მეთაურობდა კავალერიის (სკუტაირეს) მეორე დანაყოფს. იმჟამად იგი არ იმყოფებოდა ნიკეაში, ვინაიდან გაგზავნილი იყო ანკვირიაში. როდესაც იგი დაბრუნდა გამოცხადებულ იქნა ავგუსტუსად.

[107] კიბალისი ანუ კიბალე ამჟამინდელი ვინკოვცი ხორვატიაში.

[108] **ἔσεβεν.**

[109] ამიანე მარცელიუსის ცნობით (ამიანე, ისტორია, XXVII, XII, 1) საპორი „გარკვეული დროით გახდა ჩვენი მეგობარი“.

[110] ამ ამბოხს ადგილი ჰქონდა 365 წლის 28 სექტემბერს.

[111] ამ ცუნამის შესახებ ცნობებს გვაწვდის ამიანე, იხ. ისტორია, XXVI, X, 15-19.

[112] არიანელი ისტორიკოსის ფილოსტროგეს და ამიანე მარცელიუსის ცნობით, პროკოპი თავის მოკვეთით დაისაჯა, ისევე, როგორც მასთან ერთად შეპყრობილი ორი სარდალი, ფლორენციუსი და ბარხალბა. აგილიოსი და გომარიოსი შეწყალებულ იქნენ. „პასქალური ქრონიკა“ ომის დასასრულის თარიღად მიიჩნევს 366 წლის ივნისს, მაშინ როცა სოკრატესთვის ომი დასრულდა მაისში.

[113] აგელიოსმა ნოვაციანელთა კონსტანტინოპოლის საეპისკოპო საყდარზე შეცვალა აკესიოსი (იხ. წინამდებარე „ისტორიის“ V წიგნი, XXI თავი), რომელიც ესწრებოდა ნიკეის კრებას, როგორც ნოვაციანელთა ეპისკოპოსი (იხ. I წიგნი, X თავი).

[114] შდრ. მათ. 10,10. აგელიოსი, როგორც ნოვაციანელი და ტრადიციის მეტად მკაცრი მიმდევარი, იცავდა მოციქულთა ცხოვრების წესს, რომელიც ნიმუში იყო პირველი საუკუნეებისათვის.

[115] მარკიანოსი გახდა კონსტანტინოპოლში ნოვაციანელთა ეპისკოპოსი მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა აგელიოსი (იხ. წიგნი V, თავი XXI).

[116] აქ სოკრატე ცდება, რადგან ეს ვალენტინიანე არის ვალენტის ვაჟიშვილი, რომელიც დაიბადა 18 იანვარს, და არა ვალენტინიანე II, რომელიც დაიბადა 371 წელს.

[117] დასავლეთის მომავალი იმპერატორი გრაციანე დაიბადა 359 წელს ქალაქ სირმიაში.

[118] საბელიოზი იყო III საუკუნის ე.წ. მოდალისტური მონარქიანიზმის მიმდევარი, რომელიც არ აღიარებდა წმინდა სამების პირთა ერთმანეთისაგან განყოფილ მარადიულ არსებობას, არამედ მიიჩნევდა, რომ მამა, ძე და სულიწმინდა იყო ერთი ღმერთის სამი სხვადასხვა სახე და ისტორიის სხვადასხვა პერიოდში გვეცხადებოდა ხან ერთი, ხან მეორე სახით.

[119] სახელწოდება პატრიპასიანიზმი არის ლათინური წარმომავლობის კომპოზიტი და შედგება ორი ნაწილისგან pater – მამა და passion – ვნება. ამ მოძღვრების შესახებ ცნობებს გვაწვდის II-III საუკუნის გამოჩენილი ღვთისმეტყველი ტერტულიანე. ესეც იმ პერიოდში დასავლეთში გავრცელებული მონარქიანისტული მწვალებლობის სახესხვაობას წარმოადგენს. ამ სწავლების მიხედვით, არსებობს მხოლოდ ერთი პირი, მამა ღმერთი, რომელიც გვეცხადება ძის და სულიწმინდის სახით. აქედან გამოჰყავდათ მოსაზრება, რომ ჯვარზე ევნო მამა ღმერთი.

[120] მარკიონი იყო II საუკუნის მწვალებელი, რომელსაც წინათ გნოსტიკოსებს მიაკუთვნებდნენ, მაგრამ მის მოძღვრებას გნოსტიკოსებთან საერთო მხოლოდ ის აქვს, რომ იგიც მათ მსგავსად უარყოფდა ძველ აღთქმას და ძველი აღთქმის შემოქმედ ღმერთს უპირისპირებდა ახალი აღთქმის სიყვარულის და გამოხსნის მომნიჭებელ ღმერთს. იგი ცდილობდა მთელი ახალი აღთქმის ნაწერები პავლე მოციქულის სწავლების შუქზე წაეკითხა. მაგრამ სინამდვილეში თვითონ პავლე მოციქულის სწავლებას მეტად ცალმხრივად და დამახინჯებულად გებულობდა. არსებობს ადრინდელი გადმოცემა, რომ მას ერთხელ შემთხვევით გზაში შეხვდა იოანე მახარებლის უშუალო მოწაფე პოლიკარპე სმირნელი, რომელმაც მას „ეშმაკის ნაშიერი“ უწოდა.

[121] ფოტინოსი იყო წმ. ათანასე დიდის მეგობრის მარკელოს ანკვირელის მოწაფე (ეს უკანასკნელი აქვე მოხსენიებული „მარკელიანელების“ მწვალებლობის მოთავედ უნდა ვიგულისხმოთ). მან უკიდურესობამდე მიიყვანა მისი მოძღვრის სწავლება, რომლის მიხედვით ქრისტეს სამეფო იყო

დროებითი და მეორედ მოსვლის შემდეგ, როდესაც ქრისტე ყველაფერს გადასცემს მამას, მისი სამეფოც დასრულდება, შესაბამისად, მის მიერ მიღებული ადამიანური ბუნება მნიშვნელობას დაკარგავს და ქრისტე კვლავ უსხეულო მდგომარეობას დაუბრუნდება. ამ სწავლების საწინააღმდეგოდ მოგვიანებით კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრებაზე ნიკეის მრწამსში ჩამატებული იქნა გამონათქვამი ქრისტეს შესახებ: „რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ“.

[122] სამოსატის ეპისკოპოსი პავლე მოღვაწეობდა III საუკუნეში. დაახ. 264-65 წ.წ. ანტიოქიის კრებაზე მხილებულ იქნა მისი მწვალობლობა და იგი განკვეთილ იქნა. მისი მოძღვრება შეიძლება შეირაცხოს ადოპციანისტურ სწავლებად, რომლის მიხედვით იესო ქრისტე იყო მხოლოდ ადამიანი, რომელიც შემდგომში განიღმრთო.

[123] იხ. შესაქ. 14, 14.

[124] **διὰ . . . κοσμικῆς δυναστείας.**

[125] **ἀκοινωνήτους τῶν ἐκκλησιαστικῶν συνάξεων.**

[126] სოკრატეს გამორჩა, ეხსენებინა ის ფაქტი, რომ 367 წელს, იოვიანუსის ზეობისას, ტიანში გაიმართა კრება, რომელმაც გააერთიანა ეპისკოპოსები „თანაარსის“ მრწამსის გარშემო და რომლებმაც მიიღეს თანაზიარების წერილები დასავლელ ეპისკოპოსთაგან. წმ. ბასილი დიდი მრავალგზის ახსენებს ამ კრებას: ეპისტოლეები 226, 3; 244, 7; 263, 3. ამ ეპისკოპოსებმა გადაწყვიტეს გაემართათ კრება ტარსუსში, მაგრამ იმპერატორმა ევდოქსიოსის რჩევით ხელი შეუშალა ამ კრებას. მან ასევე ბრძანა, რომ გადასახლებაში გაეშვათ ისინი, რომლებიც თავის დროზე განაყენა იმპერატორმა კონსტანციუსმა, მაგრამ იოვიანუსმა დააბრუნა თავიანთ საყდრებზე (იხ. სოძომენე, „საეკლესიო ისტორია“, VI, 12). ამავე ადგილას სოძომენე აღნიშნავს, რომ ტიანის კრების შემდეგ კრება გაიმართა კარიაში, სადაც 304 აზიელმა ეპისკოპოსმა არ მიიღო „თანაარსის“ მრწამსი და განაცხადა, რომ აღიარებდა ანტიოქიის მრწამსის მეორე ფორმულას. ეს კრება თარიღდება 376 წლით.

[127] ბასილი დიდი 244-ე ეპისტოლეში (თარიღდება 375 წლის შემოდგომით), იმ დროის შესახებ, როდესაც ელჩები დაბრუნდნენ ევსტათი სებასტიელთან ერთად, ამ უკანასკნელმა კვლავ უკან დაიხია, ბრალს დებს

მას, რომ სრულიად შეიცვალა აზრი; მას შემდეგ, რაც რომში დაადასტურა მისი შედგომა ნიკეის მრწამსისადმი და მოიტანა 367 წლის ტიანის კრების დოკუმენტის ასლი, მან თანხმობა განუცხადა ევდოქსიოსის მიერ ხელდასხმულ ეპისკოპოსებს.

[128] ამიანე მარცელიუსის ცნობით ვალენტი ანტიოქიაში ჩავიდა 370 წლის 30 აპრილში (იხ. „რომის ისტორია“, XXIX, I, 4).

[129] ევდოქსიოსი გარდაიცვალა და მის ადგილზე აირჩიეს დემოფილე 370 წლის აპრილში. დემოფილე ჰერაკლიის ეპისკოპოს თეოდორეს მიერ ხელდასხმული იქნა, რომლის მსვლელობის დროსაც პროტესტი გამოთქვეს ნიკეის მრწამსის მიმდევრებმა (იხ. ფილოსტორგე, „საეკლესიო ისტორია“, IX, 10). დემოფილე იყო ბეროას ეპისკოპოსი.

[130] ამ ევაგრის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. ევსტათი ანტიოქიელი გადასახლებაში იმყოფებოდა 327 წლიდან მოყოლებული და გარდაიცვალა სავარაუდოდ 362 წელს, გადასახლებაშივე, ქალაქ ტრაიანოპოლისში (იხ. ნეტარი იერონიმე სტრიდონელი, „გამოჩენილ კაცთა შესახებ“, 85). ასე რომ, ეს ხელდასხმა უნდა აღესრულებინა სხვა ევსტათის, რომელიც ბიზაში იყო გადასახლებული (იხ. XV, 3).

[131] მოდესტოსი პრეტორიის პრეფექტად მსახურობდა 370-377 წლებში

[132] სოკრატე იძლევა ზუსტ გეოგრაფიულ ცნობებს: ასტაკოსის ყურე არის ამჟამინდელი იზმიტის ყურე, დაკიდიძა კი მდებარეობდა გელვეს მახლობლად. ამავე ცნობებს გვაწვდის სოძომენეც („საეკლესიო ისტორია“, VI, 14) და მოკლედ ახსენებს ნეტარი თეოდორიტე კვირელიც („საეკლესიო ისტორია“, IV, 24). წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი თავის 43-ე და 46-ე სიტყვებში ახსენებს „მღვდლების დაწვას ზღვაში“, მაგრამ მის 25-ე სიტყვაში ახსენებს მხოლოდ ერთ მღვდელს. ერთ-ერთი სქოლიო მოიხსენიებს ორ სახელს, თუმცა სოკრატეს სახელთა ჩამონათვალისგან განსხვავებულებს: ჰელიოდორეს და თეოდულეს (იხ. Migne, Patrologia Graecae, 35, col. 1211). მაგრამ არ მოიპოვება ცნობები, რომ ამ აღმსარებლებს თაყვანს სცემდნენ კონსტანტინოპოლში. ამასთან დაკავშირებით ცნობილი ბიზანტიოლოგი დაგრონი აღნიშნავს: „თუ ამ ეპიზოდს, რომელიც სიმართლეს ჰგავს, აქვს ჭეშმარიტი საფუძველი, ის არ წარმოაჩენს ნიკეელი მართლმადიდებლების დაპირისპირებას დემოფილესთან და ვალენტთან, არამედ კიდევ ერთხელ კონსტანტინოპოლელებისა და მისი სამღვდე-

ლოებისას, რომლებიც მეტ-ნაკლებად მაკედონიანელებად რჩებოდნენ, – „უცხო სახის“ ქონების ჩამორთმევისადმი“ (Naissance d'une capitale, p. 447). ასე რომ, შესაძლოა ამ დელეგაციის მაკედონიანელებად მიჩნევა იძლეოდეს იმის ახსნის შესაძლებლობას, თუ რატომ იქნა დავიწყებული ეს მოვლენა მართლმადიდებლურ ტრადიციაში. ასევე გამოთქმულია ვარაუდი, რომ ცეცხლი შესაძლოა შემთხვევით წაეკიდა ხომალდს.

[133] ეს შიმშილობა გაგრძელდა 368-369 წლების მიჯნაზე ზამთარში. მის შესახებ ცნობებს იძლევიან წმ. ბასილი დიდი, იხ. 369 წელს შედგენილი 31-ე ეპისტოლე, გრიგოლ ნაზიანზელი – 43-ე სიტყვა.

[134] სოკრატე იმეორებს IV წიგნის XIV თავში გადმოცემულ ამბებს. ვალენტი ანტიოქიაში ჩავიდა 370 წლის 30 აპრილს, მაგრამ მალევე წავიდა ჰიეროპოლში. იგი ანტიოქიაში დაბრუნდა 30 ოქტომბერს. შემდეგ იგი გაბრუნდა კიზიკიაში 371 წლის ივნისში, ანკვირაში ჩავიდა იმავე წლის ივლისში. 371-372 წლის ზამთრიდან 378 წლის მარტ-აპრილამდე იგი იმყოფებოდა ხან ანტიოქიაში და ხან ჰიეროპოლში.

[135] ამ თავის წყარო არის რუფინუსი (იხ. „საეკლესიო ისტორია“, II, 5), რომლის მიხედვით ვალენტის ედესაში ჩასვლას მოყვა ნიკეის სარწმუნოების მქონე მოსახლეობის გამოსვლა ქალაქიდან. „ედესას ქრონიკა“ ახსენებს 373 წელს არიანელების მიერ მოწყობილ დევნულებას.

[136] ამ ტაძარს ასევე ახსენებს ეგერიაც.

[137] გაოცებას იწვევს აქ გადმოცემული პრეფექტ მოდესტოსის დამოკიდებულება, რომელიც ქრისტიანი მწერლების მიერ წარმოდგენილია, როგორც უმოწყალო მდევნელი, ხოლო წარმართი ავტორების მიერ – როგორც სამართლიანობაზე ნაკლებად მზრუნველი ადამიანი (იხ. ამიანე მარცელიუსი, „რომის ისტორია“, XXX, IV, 2).

[138] ეს ადგილი ვრცლად აქვს გადმოცემული ამიანეს, თავის „ისტორიაში“: XXIX, I, 23-35. მჩხიბაობის ამ სახეობას ეწოდებოდა „ალექტრომანტია“, რაც მომდინარეობს ბერძნული სიტყვებიდან „ალექტერ“ – მამალი და „მანტია“ – მჩხიბაობა. ამ რიტუალის დროს მიუშვებდნენ მამალს და აკენკინებდნენ მარცვლებს, რომლებსაც მინიჭებული ჰქონდა ანბანის სხვადასხვა ასოების მნიშვნელობა.

[139] ეს არის ერთ-ერთი იშვიათი ადგილი III წიგნის XXI თავთან და VII წიგნის XXXVIII თავთან ერთად, სადაც სოკრატეს შემოყავს დემონი მოვლენათა მსვლელობაში. ტერმინი „**ἀλάστωρ**“ (დამღუპველი), რომელიც კლასიკოს ბერძენ მწერლებთან ბოროტ გენიას აღნიშნავდა, ხშირად არის გამოყენებული ნეტარი თეოდორიტეს მიერ დემონის აღსანიშნავად (იხ. „ღვთისმოყვარეთა ისტორია“, IX, XXI, XXVII).

[140] სოკრატე ეყრდნობა რუფინუსს (იხ. „საეკლესიო ისტორია“, II, 3), როდესაც ახსენებს ათანასეს მსახურების ხანგრძლივობას, მაგრამ იგი შეცდომას უშვებს როდესაც მის აღსასრულს ათარიღებს 371-272 წლებით. ეს მოხდა ვალენტინიანეს და ვალენტის მეოთხე კონსულობის დროს, 373 წლის 2 მაისს.

[141] პეტრეს თვითონ ათანასემ დაასხა ხელნი მის გარდაცვალებამდე ხუთი დღით ადრე. ეგვიპტელების ამ ჩვეულებას ახსენებს ეპიფანე კვიპრელი თავის „პანარიონში“.

[142] ლუკიოსი ალექსანდრიის ეპისკოპოსად არჩეულ იქნა გიორგი კაბადოკიელის სიკვდილის შემდეგ მისი მომხრეების მიერ (იხ. III წიგნი, IV თავი), მაგრამ ათანსეს დაბრუნებამ ხელი შეუშალა ალექსანდრიის ეკლესიის დაპყრობაში. იგი მეთაურობდა დელეგაციას, რომელიც ჩავიდა ანტიოქიაში იმპერატორ იოვიანუსთან, რათა ეთხოვა ათანასეს განდევნა ალექსანდრიიდან, მაგრამ ამ დელეგაციას ცუდი მიღება დახვდა (იხ. III, XXV).

[143] პალადიოსი იყო წარმართი,იგი ეგვიპტის პრეფექტი იყო 371-374 წ.წ.

[144] იგი გაიქცა ციხიდან და წავიდა რომში.

[145] პეტრე ალექსანდრიელის ეს წერილები გადმოცემული აქვს ნეტარ თეოდორიტე კვირელს თავის „ისტორიაში“ (იხ. IV წ. XXII თ.), რომელიც ვრცლად მოგვითხრობს ლუკიოსის მიერ ჩადენილ დანაშაულებს მისი მოწინააღმდეგეების მიმართ. ეს ამბები ასევე გადმოცემული აქვს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველს (იხ. სიტყვა 25).

[146] შდრ. რუფინუსის „საეკლესიო ისტორია“, XI წ. IV თ. ვალენტის მიერ 373 წელს გამოცემული ედიქტი ბრძანებდა მონაზვნების ჩარიცხვას ჯარში ან სახელმწიფო მოვალეობების დაკისრებას.
[147] **ἀσκητήρια**, ფრ. les maisons d’ascetes.

[148] საინტერესოა, რომ სოკრატე თუმცა იცნობდა ათანასე დიდი „ანტონის ცხოვრებას“ (იხ. I, XXI), იგი არ აღრაცხავს მას მონაზვნებს შორის და მასზე წინ აყენებს ამუნს. აქ გადმოცემული თხრობა ამუღავნებს მსგავსებას პალადი ჰელენოპოლელის „ლავსაიკონთან“, რომელსაც ეყრდნობა სოკრატე ამ თავის ბოლომდე. ყველგან ჩანს გარკვეული განსხვავებები ამ თხრობასა და პალადიოსისას შორის, რაც გვავარაუდებინებს, რომ სოკრატე იყენებდა „ლავსაიკონის“ ერთ-ერთ რედაქციას, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია და რომელიც განსხვავდება ხელნაწერთა ტრადიციაში ცნობილი სამი რედაქციისაგან, ბერძნულის, სირიულის და კოპტურისგან.

[149] შდრ. 1 კორ. 7, 10-35.

[150] წმინდა ბიბლიური არგუმენტის გარდა, რომელიც გადმოცემულია 1 კორ. 7-ში, ამუნი იყენებს მისი ეპოქისათვის დამახასიათებელ არგუმენტებს ქორწინების პრობლემური მხარეების გადმოსაცემად, რაც გვხვდება მისი დროის ნაშრომებში ქალწულების შესახებ. მაგ.: იხ. გრიგოლ ნოსელის „ქალწულების შესახებ“.

[151] იხ. გალ. 3, 28. მეტად საყურადღებო ცნობა აქვს გადმოცემული სოკრატეს, ისევე როგორც საღვთისმეტყველო დასაბუთება ამ ცნობისა. აქ ჩანს, რომ ქალისა და მამაკაცის ერთად ცხოვრება სრულებით არ ეწინააღმდეგება ბერ-მონაზვნობის პრინციპს და არ წარმოადგენს ცთუნებას და დაბრკოლებას ასკეტური ღვაწლისთვის, არამედ, უმალ პირიქით, ისინი ერთად ქმნიან ქრისტეში ცხოვრების სისავსეს. მსგავსი ხედვა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჰქონდათ ე.წ. „სინიზაქტური“ ცხოვრების მიმდევრებსაც, როდესაც ერთ სახლში ცხოვრობდნენ და ერთად ეწეოდნენ ასკეტურ მოღვაწეობას ქალი და მამაკაცი (ხშირ შემთხვევაში ეს უკანასკნელი სასულიერო პირიც ყოფილა). მაგრამ მოგვიანებით იმის გამო, რომ ასეთი თანაცხოვრება ეჭვის და დაბრკოლების საბაბი ხდებოდა გარეშე პირებისთვის, ის აკრძალულ იქნა.

[152] იხ. ათანასეს „ანტონის ცხოვრება“ 60, 1-2 (SC 400, p. 294-295).

[153] აქ არის სიტყვების თამაში, რაც ქართულად ვერ გადმოიცემა: **ἔργῳ** (საქმით) – **παρέργῳ** (სახელდახელოდ, სხვათა შორის).

[154] იხ. „მამათა აპოფთეგმები, ანბანური კრებული“, 778, პიორი 2 (PG 65, 373 col.). კრებული, რომელსაც იყენებს სოკრატე, სავარაუდოდ, არის დღემდე

ცნობილი კრებულებისგან დამოუკიდებელი ვერსია.

[155] ibid., 359, ისიდორე 3 (220 col).

[156] ფსალ. 38, 1.

[157] შდრ. პალადის „ლავსაიკონი“, 10, 2-4.

[158] იხ. „მამათა აპოფთეგმები, ანბანური კრებული“, 765.

[159] შდრ. გამ. 34, 29-30.

[160] მთელი ეს ადგილი პამბოს შესახებ მხოლო სოკრატეს სომხურ რედაქციაშია შემონახული.

[161] **θεωρήματα φυσικὰ,** შეიძლება ასევე ითარგმნოს, როგორც „ბუნებითი ჭვრეტები“. აქ იგულისხმება ბუნების სულიერი ჭვრეტა, რაც, ევაგრე პონტოელის ასკეტური სწავლების მიხედვით, გულისხმობდა სულიერი ცხოვრების ერთ-ერთ საფეხურს, რომელსაც წინ უსწრებდა „პრაქტიკული ფილოსოფია“ და შემდეგ მოსდევდა, როგორც უმაღლესი საფეხური, „ღვთის-მეტყველება“. იგი თავის „გნოსტიკურ თავებში“ წერს: „ბუნებითის... საგანი არის ყველა არსებაში ჩადებული ჭეშმარიტების გაცხადება“ (49-ე მუხლი, SC 356, p. 191).

[162] იხ. პალადიოსი, ლავსაიკონი, 17, 2.

[163] იხ. „მამათა აპოფთეგმები, ანბანური კრებული“, 463 და 475 (ახსენებს ალექსანდრიელი მაკარის შესახებ).

[164] ევაგრი მართლა იქნა ხელდასხმული გრიგოლ ღვთისმეტყველის მიერ (შდრ. პალადიოსი, ლავსაიკონი,38,2),მაგრამ ეს უკანასკნელი არ ყოფილა ეგვიპტეში ევაგრისთან ერთად.

[165] ეს ნაშრომი შემორჩენილია სირიული და სომხური თარგმანების სახით.

[166] ევაგრიმ დაწერა „გნოსტიკური თავები“, რომელიც სინამდვილეში შედგება 540 თავისგან, მაგრამ თვითონ ევაგრი აღრიცხავს 600 მის წერილში „ანატოლის მიმართ, რომელიც შესავლის სახით წინ უძღვის

მის ნაშრომს „პრაქტიკის შესახებ“. „გნოსტიკური თავები“ შემონახულია მხოლოდ სირიულ თარგმანში.

[167] ამ ნაშრომს ეწოდება „საზომით დაწერილი მცნებები მონაზვნებისა და ქალწულების მიმართ“.

[168] **τὸ σκευος τῆς ἐκλογῆς,** შდრ. საქმე. 9, 15

[169] **γέρων.**

[170] მათ. 19, 21. ევაგრის ეს ტექსტი აღებულია მისი „პრაქტიკული თავებისგან“, 91-95 (Sources Chretiennes 171. p. 692-701).

[171] **εἰδοποιεῖσθαι ἐν ταῖς δυνάμεσιν τῆς ψυχῆς.**

[172] იქვე, 97-99 (გვ. 704-711).

[173] იხ. გამ. 26, 35.

[174] ევაგრე პონტოელი,გნოსტიკოსი,44-48. (Sources Chretiennes, v. 356, p. 172-189).

[175] რუფინუსი, „საეკლესიო ისტორია“, II, 3-4.

[176] ებრ. 11, 36-39.

[177] როგორც ჩანს, დიდიმემ გაიარა ანტიკური განათლების ყველა საფეხური. იხ. H.-I. Marrou, Histoire de l'education dans Antiquite, Paris, 1965, p. 218-322.

[178] ეს ნაშრომი ზოგჯერ იგივდება სამ წიგნად გადმოცემულ ნაშრომთან, რომელიც მოთავსებულია რომის ხელნაწერში Bibliotheca Angelica და გამოცემული მინეს „პატროლოგიის“ 39-ე ტომში 269-992 col.

[179] შდრ. „ანტონის ცხოვრება“, 69, 2 (SC 400, p. 317).

[180] ამ თქმულების უშუალო წყარო არის რუფინუსის „საეკლესიო ისტორია“, II, 7.

[181] გრიგოლ ნაზიანზელი თავის 43-ე სიტყვაში ამბობს, რომ მას არ სურდა ათენის დატოვება და გარკვეული პერიოდი აპირებდა ვექილობას

ამ ქალაქში. ორივე მათგანის ნაშრომები შეიძლება ჩაითვალოს იმ დროის მჭევრმეტყველების ნიმუშებად.

[182] არასწორ ცნობას იძლევა სოკრატე, არც ბასილს და არც გრიგოლს არ უსწავლიათ ანტიოქიაში. ათენიდან დაბრუნებისას, ვიდრე იმგზავრებდნენ სირიასა და ეგვიპტეში სამონაზვნო ცხოვრების გასაცნობად,ისინი შეუდგნენ განმარტოებულ ცხოვრებას პონტოში (იხ. გრიგოლ ღვთისმეტყველის I და II ეპისტოლეები). ჩანს, სოკრატე შეცდომაში შეიყვანა ბასილის I ეპისტოლემ, სადაც იგი ფილოსოფოსს უწოდებს, რომელიც ნახა სირიაში, მაგრამ აქ „ფილოსოფოსი“ ამ სიტყვის ქრისტიანული ასკეტური მნიშვნელობით გამოიყენა ბასილიმ და ასე მიმართავს ერთი პერიოდი მის მეგობარს, მეტად მკაცრ ასკეტს ევსტათი სებასტიელს.

[183] ბასილიმ და გრიგოლმა შექმნეს ორიგენეს ზოგიერთი ნაშრომისგან კრებული, რომელსაც უწოდეს „სათნოებათმოყვარეობა“ („ფილოკალია“).

[184] სინამდვილეში ბასილი ხელდასხმულ იქნა კესარიის ეპისკოპოს დიანიოსის მიერ, რომელმაც ხელი მოაწერა 360 წელს კონსტანტინოპოლში „ჰომიელთა“ მრწამსის სიმბოლოს (ეს სწავლება გულისხმობდა ძის მამასთან ოდენ მსგავსებას). ბასილი ამ კრებაზე წარმოადგენდა მის ეპისკოპოსს.

[185] ბასილი კესარიის ეპისკოპოსად არჩეულ იქნა 370 წლის სექტემბერს.

[186] სინამდვილეში გრიგოლი კონსტანტინოპოლში ჩავიდა იმპერატორ ვალენტის გარდაცვალების (378 წ. ივნისი) შემდეგ, ნიკეელთა მომცრო კრებულის წინამძღვრად. იგი კონსტანტინოპოლის 381 წლის მსოფლიო კრებაზე ოფიციალურად იწოდება კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსად, სანამ ცოტა მოგვიანებით იგივე კრება არ განაყენებს ეპისკოპოსობიდან.

[187] ბასილი აქ ადანაშაულებს პრეფექტ მოდესტოსს იმაში, რომ იულიანეს დროს იგი წარმართობაზე გადავიდა, მისი მონაცვლეების დროს კი ისევ ქრისტიანობას დაუბრუნდა. ლიბანიოსი მის შესახებ ამბობს: „ქრისტიანი იყო თუ წარმართი, იგი მიემხრო ოფიციალურ სარწმუნოებას იულიანეს დროს, მცირე ხნით, სანამ გახდებოდა კონსტანტინოპოლის პრეფექტი (ლიბანიოსი, 804-ე ეპისტოლე); 365 წლამდე იგი დაუბრუნდა ქრისტიანობას“ (Dagron, Naissance d’une capitale, p. 244).

[188] ეს არის ვალენტის ვაჟიშვილი, რომლსაც სოკრატე ახსენებს IV წიგნის IV თავში. მას უწოდეს გალატეს, რადგან გალატიაში დაიბადა.

[189] ეს ადგილი, მოდესტოსთან ბასილის საუბარი და ვალენტის ვაჟიშვილის სიკვდილი აღებულია რუფინუსისგან (შდრ. „საეკლესიო ისტორია“, XI, 9), მაგრამ ამ ამბის ისტორიული საფუძველი მეტად სარწმუნოა. ამ ამბის ზოგიერთ ელემენტს აღმოვაჩენთ გრიგოლ ნაზიანზელთან, 43-ე სიტყვაში, რომელშიც გადმოცემს ბასილის და პრეფექტ მოდესტოსს შორის კითხვა-მიგებას და ამ უკანასკნელის მუქარებს (თუმცა, მოვლენები ვითარდება არა ანტიოქიაში, არამედ კესარიაში და ბასილის დაპატიმრებაც არ არის ნახსენები). იგივე ტექსტი ასევე ახსენებს ვალენტის ვაჟიშვილის ავადმყოფობას. მაგრამ ბასილის და იმპერატორის საუბარი არ არის ნახსენები. გრიგოლ ნოსელი ბასილის სიტყვის კადნიერებას ვალენტის წინაშე ადარებს იოანე ნათლისმცემელისას ჰეროდეს წინაშე.

[190] ბასილის აქ ნახსენები ძმები იყვნენ სებასტიის ეპისკოპოსი პეტრე და ნისის ეპისკოპოსი გრიგოლი. სოკრატე ძალიან მოკლედ ახსენებს პეტრეს და საერთოდ არ ახსენებს, რომ ის იყო სებასტიის ეპისკოპოსი, გრიგოლის შესახებ კი მხოლოდ მისი სამწერლობო მოღვაწეობის შესახებ მცირე ცნობებით იფარგლება და ახსენებს მხოლოდ მის ორ ნაშრომს: „ექვთა დღეთაზე“, რაში უნდა ვიგულისხმოთ „ადამიანის შესაქმის შესახებ“, რომელიც გათვალისწინებული იყო ბასილის „ექვთა დღეთაზე“-ს დასასრულებლად; ასევე მოხსენიებულია მისი „სიტყვა მელეტის შესახებ“. ბასილის მესამე ძმაც ჰყავდა, ნავკრატიოსი, რომელიც მონაზვნურ ცხოვრებას ეწეოდა, მას სოკრატე საერთოდ არ ახსენებს.

[191] ევსების სახელი დამატებულია სომხურ და სირიულ თარგმანებში.

[192] ჰ. ვან ნუფელენი იკვლევს, თუ რომელ ვერსიას ეყრდნობოდა სოკრატე „აპოლოგიაზე“ საუბრისას, პამფილის ორიგინალურ ნაშრომს, თუ მოგვიანებით ერთ-ერთი ორიგენისტის მიერ გადაწერილ და ინტერპოლირებულ ვერსიას. იგი მიიჩნევს, რომ სოკრატე ხშირად იყენებს გვიანდელ ვერსიას, რომელიც ადაპტირებული იყო IV საუკუნის ორიგენისტულ დაპირისპირებებთან (იხ. P. Van Nuffelen, “Two Fragments from the Apology for Origen in the Church History of Socrates Scholasticus”, JTS 56, 2005, p. 103-114).

[193] გრიგოლის მოხსენიება არ ჩანს პამფილის და ევსების „ორიგენეს აპოლოგიის“ ბერძნულ დედანში შემორჩენილ ფრაგმენტებში (იხ. Sources

Chretiennes, 464-465); მეორე მხრივ,არცერთი ლათინური ხელნაწერი,რომელშიც გადმოცემულია ეს „აპოლოგია“, არ შეიცავს გრიგოლის „ორიგენესთან დამშვიდობების ანუ მადლიერების“ სიტყვას, რომელიც სრულად არის შემორჩენილი ბერძნულ დედანში (Sources Chretiennes, 148). სოკრატე იცნობდა ამ ტექსტს: მასში არის გადმოცემული, რომ გრიგოლი ჯერ სწავლობდა ბეირუთში, შემდეგ – კესარიაში (თუმცა, იგი არ ახსენებს ათენში სწავლას, არამედ ახსენებს მხოლოდ ნეოკესარიაში სწავლას). შესაძლოა იგი მოიპოვებს ცნობებს გრიგოლის ეპისკოპოსობაზე ევსების „საეკლესიო ისტორიიდან“ (იხ. VI წიგნი, XXX თავი), მაგრამ ჩანს, რომ იგი ყურადღებას არ აქცევს გრიგოლ ნოსელის „გრიგოლ საკვირველთმოქმედის შესხმას“, გარდა ამ ტექსტის ერთი ეპიზოდისა, სადაც მოთხრობილია აქ ნახსენები „დემონების განდევნა ეპისტოლეების მეშვეობით“. ნოსელის ტექსტში გადმოცემულია, რომ გრიგოლი მისი ტაძარში ყოფნისას არ უშვებს დემონს შიგნით, მისი წასვლის შემდეგ კი, იმ ტაძრის ქურუმის საკუთარ ძალაუფლებაში დასარწმუნებლად, ფურცელზე წერს: „გრიგოლი სატანას, შედი“. ამ ეპიზოდს ბევრჯერ ახსენებს რუფინუსი მის მიერ თარგმნილი ევსების „საეკლესიო ისტორიის“ დანართში. სოკრატეს სომხურ თარგმანებში ეს ადგილი განვრცობილია გრიგოლ ნოსელის „შესხმაზე“ დაყრდნობით.

[194] იხ. II წიგნი, X თავი.

[195] შდრ. 1 იოან. 5, 16.

[196] კორნელიუსის ორი ეპისტოლე არის ჩვენამდე მოღწეული (კვიპრიანე კართაგენელის 49-ე და 50-ე ეპისტოლეებში), სადაც მსგავსი არაფერი წერია,არამედ ის,რომ კორნელიუსის ეთანხმებოდა კვიპრიანეს დაცემულთა (lapsi) მიღებაში.

[197] აქ იგულისხმება ანტიკური ფსიქოლოგიური სწავლება, რომელიც სათავეს იღებს პლატონიდან და განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა სტოიციზმსა და ნეოპლატონიზმში. ამ სწავლების მიხედვით, ადამიანის სული შედგება მოაზროვნე ნაწილისგან, რომელსაც სტოიკოსები „წინამძღვარს“ (**ἡγεμονίκον**) უწოდებდნენ, და ვნებითი ნაწილისგან, რომელიც თავის მხრივ შედგებოდა ორი ფსიქიური ძალისგან, მრისხანებისა (**θύμος**) და წადილისაგან, გულისთქმისაგან (**ἐπιθυμία**).

[198] საინტერესო ეთნოგრაფიულ ცნობებს იძლევა სოკრატე. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ იგი მეტად მწირ ეთნოგრაფიულ ცნობებს გვაწვ-

დის, განსხვავებით ანტიკური ისტორიკოსებისგან. იგი ამას ზედმეტად მიიჩნევდა (იხ. VII, XXVII).

[199] **ὑπὸ τούτων γάρ ἡ Ναυατιανῶν θρησκεία μάλιστα κανονίζεται.**

[200] აქ სოკრატეს ძირითადი წყარო არის რუფინუსი ("საეკლესიო ისტორია", II, 10). ამიანე მარცელიუსის ცნობით, 137 ადამიანი დაიღუპა ამ ხოცვა-ჟლეტისას ("რომის ისტორია", XXVII, 3). მაგრამ, ამიანეს მიხედვით, რომის პრეფექტი იყო არა მაქსიმინუსი, არამედ ვივენტიუსი. მაქსიმინუსი იყო რომის ვიცე-პრეფექტი 370-371 წ.წ. ურსინუსი ხელდასხმულ იქნა 366 წლის 24 სექტემბერს Basilica Iulii -ში,იმავე დღეს,როცა აღესრულა ლიბერიუსი. მაშინ როცა დამასუსი მხოლოდ 1 ოქტომბერს წმ. ლორენცოს სახელობის ტაძარში, ლუცინაში, რამაც გამოიწვია თავდაპირველად შფოთი. ურსინუსის მომხრეების ხოცვა-ჟლეტა მოხდა ეკლესიაში Basilica Liberii , ან Basilica Sicinii-ში 26 ოქტომბერს.

[201] ამ მოვლენის ერთადერთი წყაროც ასევე არის რუფინუსი („საეკლესიო ისტორია", II, 11).

[202] სოკრატე, აქაც, ამ მოვლენების მოკლედ გადმოცემისას ეყრდნობა რუფინუსს (დასახ. ნაშრ. II, 12). სარმატებსა და კვადებზე ლაშქრობის შესახებ იხ. ამიანე მარცელიუსი, „რომის ისტორია", XXX, V. ამიანეს თხრობა, რომელშიც ვალენტინიანეს სიკვდილი დეტალურად არის გადმოცემული, განსხვავდება სოკრატესგან (იხ. იქვე, გვ. 79-81).

[203] ბრიგეტიო იყო ერთ-ერთი დაბა ქვემო პანონიაში,თანამედროვე Szony.

[204] ვალენტინიანე II ამ დროს იყო ოთხი წლის (ამიანე, „ისტორია", XXX, X). აკუინკუმი მდებარეობდა ამჟამინდელი ბუდაპეშტის ადგილას, მაშინდელ პანონიაში და არა იტალიაში.

[205] **εὐμορφία.**

[206] ზოსიმეს „ისტორიის" ცნობით, ვალენტინიანეზე დაქორწინებამდე იუსტინა ძალიან ახალგაზრდა დაქორწინებული იყო მაგნენციუსზე. ისიც ასევე ახსენებს მის სილამაზეს (IV, 43. 1). თუმცა, მთელი ეს თხრობა იუსტინაზე მეტად საეჭვოა, როგორც ეს აღნიშნა ვალეზიუსმა: იგი არ იცნობს კანონს, რომელიც ბიგამიის ნებას იძლეოდა, ეს ეწინააღმდეგებო-

და რომაულ ტრადიციას და მით უფრო დაუჯერებელია ამის გაკეთება ქრისტიანი იმპერატორის მიერ. მანფრედინი იუსტინაზე ქორწინებას ხსნის შვილების ყოლის სურვილით (Manfredini, "Valentiniano I e la bigamia", Studi in onore di Cesare Sanfilippo VII, Milan 1987, p. 361-386).

[207] თანამედროვე დუნაი.

[208] **δουλεύειν.**

[209] მხოლოდ სოკრატე და ამიანე მარცელიუსი ახსენებენ ვალენტის დროს ჯარის რეკრუტირებაში მომხდარ ცვლილებებს.

[210] ჩანს, სოკრატე მიეკუთვნებოდა მათ რიცხვს კონსტანტინოპოლში, რომელიც არ იწონებდა ჯარის ბარბარიზაციას, რაც გაკიცხული იყო მრავალი მწერლის მიერ.

[211] აქ სოკრატე მთლიანად ეყრდნობა რუფინუსს, რომელიც გვაცნობებს, რომ ვალენტი „გვიან აღიძრა სინანულად და ბრძანა უკან გამოეხმოთ გადასახლებიდან ეპისკოპოსები და მღვდლები, და გაეთავისუფლებინათ დატუსაღებული მონაზვნები." („საეკლესიო ისტორია", II, 13). მართლაც, ვალენტმა გამგზავრებამდე გადასახლებიდან გამოიხმო რამდენიმე ეპისკოპოსი, რომელიც უკვე გაგზავნილი ჰყავდა,ასევე ბარსეს ედესელი. მაგრამ T.D. Barnes ფიქრობს, რომ ეპისკოპოსთა უკან დაბრუნება არ მომხდარა გრაციანეს გამეფებამდე (იხ. "The Collapse of the Homoeans in the East", SP 29, p. 3-16).

[212] ვალენტის კონსტანტინოპოლში დაბრუნება არ მომხდარა 378 წლის გაზაფხულამდე (ამიანე, ისტორია, XXXI, XI, 1).

[213] დოროთე მანამდე იყო ჰერაკლეის ეპისკოპოსი (იხ. ფილოსტორგე, „საეკლესიო ისტორია", IX, 14).

[214] სოკრატეს წყარო არის რუფინუსი (დასახ. ნაშრ., II, 6).

[215] მაბიას შესახებ იხ. G.B. Bowersock, "Mavia, Queen of Saracens", in W. Eck u.a. Festschrift F. Vittinghoff, Studien zur antiken Sozialgeschichte, Cologne-Vienne, 1980, p. 477-495.

[216] შდრ. 2 ტიმ 2, 24.

[217] მეტად საყურადღებო სიტყვებია, რომლის მიხედვით სასულიერო პირის მართლმადიდებლობა განისაზღვრება არა ფორმალურად აღიარებული დოგმატებით, არამედ პირადი ზნეობით, განსაკუთრებით მოყვასისადმი სიყვარულით. იგივე სწავლება აქვს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველს, რომელიც ასე განსაზღვრავს მართლმადიდებლური დოგმატების სისწორეს: „როდესაც გკითხავენ, რა სარწმუნოებას აღიარებ, უნდა უპასუხო, სიყვარულის სარწმუნოებას.“

[218] ტიმოთემ პეტრე შეცვალა 380 წელს.

[219] სინამდვილეში ამ ოლიმპიადის მეორე წელს.

[220] ადრიანოპოლის ბრძოლის შესახებ იხ. ამიანე მარცელიუსი, „რომის ისტორია“, XXXI, XII-XIII. ისიც, მსგავსადვე, ვალენტის დაღუპვის ორ განსხვავებულ გადმოცემას გვაუწყებს. ერთის მიხედვით, იგი დაიღუპა ბრძოლაში; მეორე ვერსიის მიხედვით, იგი გარდაიცვალა ერთი გლეხის ფერმაში, როდესაც მას ცეცხლი წაეკიდა.

[221] სინამდვილეში თოთხმეტი წელი, 364-378 წ.წ.

[222] კლასიკურ ისტორიოგრაფიაში თხრობას ომების შესახებ პირველი ადგილი ეკავა. თუმცა, სოკრატე გადმოცემის ასეთ გზას სხვა მიზეზით აკეთებს. მისი მიზანია მკითხველს აჩვენოს სახელმწიფოსა და საეკლესიო საქმეებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი.

[223] 1 ტიმ. 5, 27.

[224] მხოლოდ სოკრატე იძლევა ასეთ ცნობას, რომელიც, სავარაუდოდ, იცნობდა კონსტანტინოპოლში მოარულ ზეპირ გადმოცემას.

[225] იხ. IV წიგნის XXXVI თავი. ზოსიმე ყურადღებას ამახვილებს ვალენტთან ერთად აღმოსავლეთიდან მოსული სარკინოზების დახმარების შედეგიანობაზე, როდესაც მათ შეუტიეს სკვითებს, ჯერ კიდევ ვალენტის გარდაცვალებამდე (იხ. „საეკლესიო ისტორია“ IV, 22). ამიანე საუბრობს მათ მონაწილეობაზე ვალენტის დაღუპვამდე, ადრიანოპოლის დაცვისას (იხ. ისტ. XXXI, XVI).

[226] გრაციანეს ეს ედიქტი, რომელიც თარიღდება 378 წლით, ჩვენამდე არ მოღწეულა.

[227] შდრ. ზოსიმე, ისტორია, IV, 24: „ვინაიდან თავად ამტკიცებდა, რომ მას მარტო არ შეეძლო ძალაუფლების პყრობა [ბარბაროსების შემოტევების გამო] . . . მან ძალაუფლების მოზიარედ აირჩია თეოდოსი“.

[228] თარიღი არ არის ზუსტი. ეს მოხდა 19 იანვარს. თეოდოსი წარმომავლობით გალიიდან იყო, ერთ-ერთი სარდლის შვილი, რომელიც მოკლულ იქნა გრაციანეს ბრძანებით 377 წელს. თეოდოსი პირველად დასახელებულ იქნა კავალერიის მეთაურად (magister equitum), შემდეგ კი ავგუსტუსად იქნა გამოცხადებული.

[229] სოკრატე არ ახსენებს ვიტალის, რომელიც იყო აპოლინარელთა დაჯგუფების ეპისკოპოსი.

[230] ასეთი ვითარება იმაზე მიანიშნებს, რომ ეპისკოპოსთა გადასახლებიდან დაბრუნებას შედეგი არ მოუტანია. იქ, სადაც „ჰომიები“ (ძის მამასთან მხოლოდ მსგავსების – ბერძ. ჰომოიოს – აღმსარებლები) ძლიერი იყვნენ, ეკლესიებს განაგებდნენ მათი ეპისკოპოსები (ანტიოქია, კონსტანტინოპოლი), მაგრამ სხვა დაჯგუფებებს ჰქონდათ თავისუფალი მსახურების უფლება. ხოლო იქ, სადაც ისინი სუსტი იყვნენ (ალექსანდრიაში), გადასახლებაში იქნა გაშვებული მათი ეპისკოპოსი.

[231] „ჰომიუსიანელთა“ („მსგავსარსის“ აღმსარებელთა) კრება შედგა 378/379 წ. სხვა კრება, რომელსაც სოკრატე არ ახსენებს, გაიმართა 376 წ. იმავე დაბაში. მას ესწრებოდა 304 აზიელი ეპისკოპოსი, რომელთაც უარყვეს „თანაარსის“ მრწამსი და აღიარეს 341 წ. ანტიოქიაში ტაძრის კურთხევისას გამართულ კრებაზე მიღებული მრწამსი (იხ. სოძომენე, „საეკლესიო ისტორია“ VI, 12). სოკრატეს წყარო მაკედონიანელთა შესახებ მთელი ამ თხრობისას მოპოვებულია საბინოს ჰერაკლიელისაგან.

[232] სოკრატეს ეს ცნობა არ დასტურდება სხვა ავტორებთან და ჩანს, რომ ეს მის მიერ არის გამოგონილი. ნეტარი თეოდორიტე კვირელი, რომელიც კარგად იცნობს ანტიოქიაში იმ დროს განვითარებულ მოვლენებს, გვაუწყებს: „მელეტიმ კი, ყველა ადამიანზე უფრო თვინიერმა, ერთსა და იმავე დროს გონივრულადაც და ალერსიანადაც მიმართა პავლინეს: „მას შემდეგ, რაც ცხვრების უფალმა ამ ცხვრებზე მზურუნველობა მე ჩამაბარა და შენ სხვებზე ზრუნვა გაქვს მიღებული, ხოლო ერთმანეთს აზიარებს კეთილმსახურების საზრდო, გავაერთიანოთ, მოყვასო, სამწყსოები და შევწყვიტოთ ძალაუფლების გამო ქიშპობა; ერთობლივად ვმწყემ-

სოთ ცხვარი და ერთობლივად ვუმკურნალოთ მათ. მაგრამ თუ მთავარი საყდარი[232] იწვევს დავას, მე ვეცდები ამ დავის განდევნას. რამეთუ მასზე დავდებ საღვთო სახარებას და გთხოვ, რომ მისი ორივე მხრიდან დავჯდეთ ჩვენ. და თუ პირველად მე მივიღებ ცხოვრების აღსასრულს, მხოლოდ შენ გექნება, მეგობარო, სამწყსოს მმართველობა. მაგრამ თუ პირველი შენ ევნები ამით, შეძლებისდაგვარად კვლავ მე ვიზრუნებ ცხვრებზე". ეს გონივრულად და თავაზიანად თქვა საღვთო მელეტიმ. მაგრამ პავლინემ არ მოიწონა. სარდალმა, რომელიც ნათქვამის მსაჯული იყო, დიდ მელეტის გადასცა ეკლესიები, ხოლო პავლინე დარჩა თავიდანვე განშორებული ცხვრების წინამძღვრად" („საეკლესიო ისტორია", V, III). წმ. გრიგოლ ნაზიანზელმა შესთავაზა კონსტანტინოპოლის მსოფლიო კრებაზე, რომ მელეტის გარდაცვალების შემდეგ პავლინე აერჩიათ მის მონაცვლედ, მაგრამ კრებამ არ მიიღო მისი წინადადება (იხ. გრიგოლის „ჩემი ცხოვრების შესახებ").

[233] ლუციფერუსის სქიზმა წარმოიშვა მელეტის გარდაცვალების შემდეგ, 370 წელს.

[234] ეს მოხდა 380 წელს.

[235] სოკრატე მრავალ მოვლენას მიმოიხილავს აქ, თუმცა, გარკვეულ შეცდომებსაც უშვებს. მელეტი კონსტანტინოპოლში არ წასულა 381 წლის მსოფლიო კრებაში მონაწილეობის მისაღებად, რომლის მსვლელობის დროსაც ის გარდაიცვალა. რაც შეეხება გრიგოლს, იგი არ ყოფილა ნაზიანზის ეპისკოპოსი, სადაც მან მცირე დროის განმავლობაში შეცვალა მისი მამა. 378 წლის პირველ თვეებში იგი გაემგზავრა კონსტანტინოპოლში, სადაც ადგილობრივი ნიკეელი ქრისტიანების მოთხოვნითა და ბასილი დიდის მხარდაჭერით ავიდა კონსტანტინოპოლის საყდარზე. იგი თავად აღნიშნავს თავისი ცხოვრების შესახებ თხრობაში, რომ იგი კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი გახდა „მწყემსებისა და მრავალრიცხოვანი ერის მოთხოვნით". აგაპიოს მენბიდიელის ცნობით, „მელეტიმ და მრავალმა ეპისკოპოსმა მოიწონა გრიგოლის გადაყვანა კონსტანტინოპოლში"(Agapius de Menbidj, "Kitab al-`Unvan", PO 8, 390-400). სოკრატეს სომხურ ადაპტაციაში გრიგოლის შესახებ ჩართულია დამატებითი თავი (Thomson, Armenian adaptation, p. 143-145).

[236] ეპისკოპოსი ასხოლიოს თესალონიკელი და მთელი ეს რეგიონი იყო ნიკეის მართლმადიდებლური მრწამსის დამცველი (იხ. ბასილი დიდის

154-ე და 164-ე ეპისტოლეები). თეოდოსი ნიკეური მრწამსის მიმდევარი იყო მის ნათლისღებამდე, რაზეც მოწმობს მისი 380 წ. 28 თებერვალს გამოცემული ედიქტი (თეოდოსის კოდექსი, XV, 1, 2).

[237] ეკლესია „ანასტასიის“ შესახებ, რომელსაც ეს სახელი თავად გრიგოლმა უწოდა, იხ. მისი ნაწარმოები „მისი ცხოვრების შესახებ“, აგრეთვე სიტყვა 42, 26.

[238] სოკრატე აქ ცდება, რადგან გრიგოლის გადადგომა არ მომხდარა 381 წლის მსოფლიო კრებამდე. სინამდვილეში, გრიგოლი დედაქალაქის ეპისკოპოსად დადგინებულ იქნა მოციქულთა სახელობის ეკლესიაში დემოფილეს განყენებიდან მეორე დღეს, მას შემდეგ, რაც იგი ესაუბრა იმპერატორს (იხ. გრიგოლ ნაზიანზელი, „მისი ცხოვრების შესახებ“).

[239] მათ. 10, 23.

[240] **τὴν θεωρίαν**, ამ ტერმინს სოკრატე ხშირად იყენებს ამ მნიშვნელობით (იხ. V, XXII; VI, III).

[241] საეკლესიო ისტორიკოსები და მწერლები ხშირად ადანაშაულებდნენ მწვალებელ ეპისკოპოსებს ამქვეყნიური ამბიციების მსახურებაში, თუმცა, ჩანს, რომ დემოფილემ აქ პატიოსნად უერთგულა მის მრწამსს. აქ ისიც ცხადად ჩანს, რომ მას გაჰყვა მნიშვნელოვანი რაოდენობის მრევლი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა დედაქალაქში.

[242] ეს პერიოდი იანგარიშება ევსები ნიკომიდიელის კონსტანტინოპოლის საყდარზე ასვლიდან, რომელიც დღეს-დღესობით თარიღდება 338 წლით.

[243] ამ კრების გამართვას რიტერი ათარიღებს 380 წლის 4 აპრილსა და 14 ივლისს შორის პერიოდით, მანამდე თეოდოსი იმყოფებოდა თესალონიკში (იხ. Ritter, Das Konzil von Konstantinopel, p. 34-35). სოკრატეს თხრობაში გვხვდება გარკვეული შეცდომები. აღსანიშნავია, რომ იგი არ იძლევა კრების ზუსტ თარიღს, როგორც ეს სხვა დროს ჩვევია.

[244] ალექსანდრიის ეპისკოპოსი სხვა მრავალ ეგვიპტელ ეპისკოპოსებთან ერთად პირველი დებატების დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოვიდა, ასევე ახოლიოს თესალონიკელიც.

[245] სოკრატე II წიგნის XL თავში კირილე იერუსალიმელს წარმოგვიდგენს აკაკი კესარიელის მომხრეთა დაჯგუფების წევრად, რომელიც ხელდასხმულ იქნა მათ მიერ ნიკეელი ეპისკოპოსი მაქსიმეს განყენების შემდეგ. სინამდვილეში კირილე კრებას ესწრებოდა, რათა კანონიკურად ეცნოთ მისი ეპისკოპოსად არჩევა და მისი მართლმადიდებლობა ეღიარებინათ: შდრ. კრების სინოდალური ეპისტოლე თეოდორიტე კვირელის „საეკლესიო ისტორიაში“, V, IX. კრების მიერ კირილეს კანონიკურობისა და მართლამდიდებლობის აღიარება წერილში გადმოცემულია შემდეგი სიტყვებით: „ვიცით, რომ ყველა ეკლესიის დედის, იერუსალიმში მყოფი ეკლესიის ეპისკოპოსი არის ღრმად პატივცემული და ღვთისსათნო კირილე, რომელიც ადრე ეპარქიის [ეპისკოპოსების] მიერ კანონიერად იქნა ხელდასხმული და არიანელების წინააღმდეგ ბევრს იბრძოდა სხვადასხვა ადგილას.“ კირილეს მოღვაწეობისა და სამების შესახებ ღვთისმეტყველების შესახებ იხ. Hanson, Search of Doctrine . . . p. 398-413.

[246] იხ. ზემოთ V წიგნი, VIII თავი. მელეტი და აღმოსავლელები უბრალოდ პირველები ჩამოვიდნენ, და არა იმ მიზნით, რომ ხელნი დაესხათ გრიგოლისთვის. გრიგოლ ღვთისმეტყველი მის ნაწარმოებში „მისი ცხოვრების შესახებ“ მოწმობს ეგვიპტელების გარდა ყველა ეპისკოპოსის ჩამოსვლას, რომელთა შორის იხსენიებს მელეტისაც.

[247] მოღწეულია კრების მონაწილეთა სია, რომელშიც აღრაცხულია 148 სახელი, რომელთა შორის არის შვიდი მღვდელი და ორი წიგნისმკითხველი (Mansi, Sacrorum conciliarum nova et amplissima collectio, III, col. 568-572).

[248] იმპერატორ თეოდოსის არ მიუღია მონაწილეობა კრების მსვლელობაში. მან მხოლოდ მოიწვია მამები საიმპერიო სასახლის სატახტო დარბაზში; შემდეგ სხდომები იმართებოდა ქალაქის სხვადასხვა ეკლესიებში.

[249] სოკრატე აქ ცდება მაკედონიანელებთან დაკავშირებით. იგი არ ამბობს, რომ ისინი კრებას არ ეთანხმებოდნენ არათუ ძის მამასთან „თანაარსობის“ უარყოფის გამო, არამედ იმიტომ, რომ უარყოფდნენ სულიწმინდის ღმერთად აღიარებას, განსხვავებით „ჰომიუსიანელებისგან“ (მსგავსარსის მიმდევრები). მსოფლიო კრების I კანონი როდესაც მათ შეაჩვენებს სხვა მწვალებლებთან ერთად, ის განასხვავებს მათ ევნომიანელებისა და არიანელებისგან (ეგრეთ წოდებული „ჰომეებისგან“), რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ „თანაარსის“ აღიარებას, მაშინ როცა მაკედონიანელები მოხსენიებული არიან როგორც „ნახევრად-არიანელები, იგივე პნევმატომახები“,

რითაც ზუსტად არის მინიშნებული მათი დაგმობის მიზეზი.

[250] სინამდვილეში კრებამ თავისი პირველი ოქმით აღიარა გრიგოლის კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსობის კანონიერება და მან შეცვალა მელეტი კრების თავმჯდომარედ მისი გარდაცვალების შემდეგ. საქმე გაართულა ეგვიპტელების ჩამოსვლამ, რომლებიც ეჭვის ქვეშ აყენებდნენ მის კანონიერებას და უარს აცხადებდნენ, რომ კრება დათანხმებოდა მის წინადადებას ანტიოქიის საყდარზე მელეტის შემცვლელად პავლინეს არჩევის შესახებ. მათ აიძულეს გრიგოლი, დაეტოვებინა როგორც კრების თავმჯდომარის, ასევე ეპისკოპოსის ადგილი. ასევე გამოთქმულია ვარაუდი, რომ მისი განყენება გამოწვეულიყო დოქტრინალური მოტივებით: სულიწმინდის შესახებ მისი შეხედულების გამო, რაც ეწინააღმდეგებოდა იმპერატორის სწრაფვას მაკედონიანელებთან კონსენსუსის მისაღწევად.

[251] ნექტარიოსი მაშინ ჯერ კიდევ კათაკმეველი იყო. სოკრატე აფასებს მის მშვიდ ხასიათს, რაც გამოიხატებოდა მის შემწყნარებლობაში განსხვავებულის სარწმუნოების მიმდევართა მიმართ.

[252] მე-3 კანონი.

[253] იგულისხმება, რომ ისინი ვერ განავრცობდნენ თავიანთ იურისდიქციას სხვა ეკლესიებზე.

[254] იხ. II წიგნი, XXV თავი.

[255] ეს ეკლესია მაკედონიოსის მიერ იყო დაპყრობილი. იგი იყო პავლეს მეტოქე კონსტანტინოპოლის საყდარზე. პავლეს სახელი თეოდოსიმდე დავიწყებას იყო მიცემული და მხოლოდ იმპერატორმა შეიტანა იგი კონსტანტინოპოლის ისტორიაში, როგორც ათანასეს მართლმადიდებლობის დამცველისა.

[256] სოკრატე უზუსტობას უშვებს. მელეტი გარდაიცვალა კრების დაწყებისას, მაისში. ამიტომ შესთავაზა კრებას გრიგოლ ნაზიანზელმა, რომ მისი მონაცვლე გაეხადათ პავლინე, რაც კრებამ არ მიიღო (იხ. „მისი ცხოვრების შესახებ“).

[257] ის დასვენებულ იქნა წმინდა ბაბილას სამარტვილეში, რომლის მშენებლობა მელეტის მიერ იყო წამოწყებული, მაგრამ ის არ დასრულე-

ბულა 387 წლამდე (იხ. იოანე ოქროპირის ქადაგება ბაბილას შესახებ).

[258] ფლაბიანე თან ახლდა მელეტის კონსტანტინოპოლში და ის შეტანილია კრების განჩინებებზე ხელმომწერთა სიაში, როგორც ხუცესი, და არა ეპისკოპოსი. რიტერი ფიქრობს, რომ ის ეპისკოპოსი გახდა ანტიოქიაში დაბრუნებისას (Ritter, Das Konzil von Konstantinopel, p. 102-103), რასაც ჰანსონი ნაკლებად სავარაუდოდ მიიჩნევს, იგი ფიქრობს, რომ იგი ეპისკოპოსად არჩეული და ხელდასხმულ იქნა კონსტანტინოპოლში, მალევე, კრების დასრულების შემდეგ (Hanson, Search for Christian Doctrine, p. 810).

[259] ეს კრება გაიმართა 383 წელს. სოკრატე არის პირველადი წყარო, რომელიც იძლევა ცნობებს მის შესახებ. ჩანს, ის მას უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევდა, ვიდრე 381 წლის, ასევე მომდევნო 382 წ. კრებებს, რომლებზეც ის არაფერს ამბობს, მაგრამ მანვე გამოსცა სინოდიკონი (ციტირებული აქვს ნეტარ თეოდორიტეს მის „საეკლესიო ისტორიაში“, V, IX, ეს არის ერთადერთი ძეგლი 381 წლის კრებიდან შემორჩენილი).

[260] აღსანიშნავია, რომ სოკრატე იყენებს ტერმინს **αἱρέσεις** (ხოლო XI აბზაცში მათი მოთავეების აღსანიშნავად **αἱρεσιάρχαι**), VI და XVII აბზაცში კი იყენებს ტერმინს **θρησκειαι** ზუსტად იმავე მნიშვნელობით. იგი უწოდებს სხვადასხვა ქრისტიანულ კონფესიურ დაჯგუფებებს და განაყოფებს დოქტრინალურ სკოლებს (სიტყვა „ერესის” სწორედ ამას ნიშნავს ანტიკური მნიშვნელობით).

[261] ათანარიხის კაპიტულაცია განპირობებული იყო მისი მტრების სიმრავლით, რამაც ის აიძულა თავშესაფარი ეთხოვა თეოდოსისთვის. მეორე წელს გოთების მთელი მოსახლეობა დამორჩილდა რომის იმპერატორს.

[262] სინამდვილეში ეს მოხდა 19 იანვარს.

[263] ამ ამბის წყარო უცნობია, მაგრამ აშკარაა, რომ ის ნოვაციანური წარმომავლობისაა. იგი, რა თქმა უნდა, ალამაზებს სინამდვილეს, როდესაც ამბობს, რომ სისინიოსი უბრალოდ საუბრობდა და სთავაზობდა ნექტარიოსს პრობლემის გადაჭრის გზებს, თუმცა ამ თხრობას საფუძვლად უნდა ედოს ისტორიული სინამდვილე, რამდენადაც ნექტარიოსი, ეჭვგარეშეა, არცთუ დიდი საღვთისმეტყველო განათლებით გამოირჩეოდა. სისინიოსი კონსტანტინოპოლელ ნოვაციანელთა ეპისკოპოსი გახდა 395 წელს (იხ. VI წიგნი, I თავი).

[264] ბერძნულ ხელნაწერში ვკითხულობთ მხოლოდ: „ძველების გადმოცემებს". დამატება „განმმარტებლები და მოძღვრები" გაკეთებულია ჰანსენის მიერ სომხურ თარგმანზე დაყრდნობით, რომელიც თავის მხრივ გადაკეთებულია, რადგან თავდაპირველად მასში ეწერა „განმმარტებლები და ეპისკოპოსები". თუმცა, არ ჩანს ამის ჩამატება აუცილებელი, რადგან 13, 19 და 21-ე აბზაცებში სოკრატე მარტივად საუბრობს "ძველებზე". ასეთი მიბრუნება ძველი თაობის გადმოცემებისაკენ იმ დროს მიღებული პრაქტიკა იყო.

[265] ალუზიაა ბაბილონის გოდლის მშენებლობის დროს ენების დაყოფასა და გაფანტვაზე, შდრ. შესაქ. 11, 7-8.

[266] **τὸν ὅρον πίστεως.**

[267] ევნომიოსი ადასტურებს მრწამსის აღსარებას, რომელიც მან დაწერა იმპერატორის ბრძანებით (იხ. მისი „მრწამსის აღსარება" გამოცემა,Vaggione, Eunomius: The Extant Works, p. 150).

[268] ასეთი კანონის არსებობა არ არის ცნობილი. სინამდვილეში სოკრატე ამგვარ ინტერპრეტირებას ახდენს 383 წლის 3 დეკემბერს გამოცემული კანონის დუმილისა, რომელიც უკრძალავს მრავალი განსხვავებული მრწამსის დაჯგუფებას (ევნომიანელებს, არიანელებს, მაკედონიანელებს, აპოლინარიანელებს) შეკრებების გამართვას და ეკლესიების ქონას (თეოდოსის კოდექსი, XVI, 5, 12), მაგრამ არ ახსენებს ნოვაციანელებს. სამაგიეროდ, ისინი ნახსნებია 428 წლის 30 მაისის კანონში და ისინი აღრაცხული არიან მწვალებლებს შორის, რომლებსაც ეკრძალებათ ეკლესიების შენება (თეოდოსის კოდექსი, XVI, 5, 65).

[269] მათ. 22, 14.

[270] მსგავსადვე, პავლინეს მხარს უჭერდნენ დასავლელები. ეპიფანე სალამინელი დიდი ხნის განმავლობაში იყო მისი მხურვალე დამცველი. მეორე მხრივ,კვიპროსის ეკლესია,ისევე როგორც არაბეთის,ესწრაფოდა ანტიოქიის იურისდიქციიდან გათავისუფლებას და სარგებლობდა ამ ეკლესიაში ჩამოვარდნილი უთანხმოებით. თუმცა სოკრატე ცდება, როდესაც ამბობს, რომ ამ პრობლემამ „გაჰყო კრებაზე დამსწრენი" (383 წელს), ვინაიდან ეს იყო 383 წლის კრება, რომელიც განიხილავდა ამ საკითხს.

[271] გრაციანემ 383 წ. დატოვა მილანი რეტიეში ალამანებთან საბრძოლველად. ამ დროს მაქსიმემ, რომელიც იყო ბრიტანეთის ჯარის სარდალი, თავი იმპერატორად გამოაცხადა და გადმოვიდა რაინის ნაპირებთან. გრაციანე მის წინააღმდეგ წამოვიდა პარიზისაკენ, მაგრამ მისმა ჯარმა უღალატა,ის დარჩა 300 მხედრის თანხლებით და მოკლულ იქნა ლიონში 25 აგვისტოს (იხ. ზოსიმე, „ახალი ისტორია“, IV, 35).

[272] კლავდიუს პეტრონიუს პრობუსი იყო ილირიკიის, იტალიის და აფრიკის პრეტორიების პრეფექტი 383 წელს.

[273] შდრ. რუფინუსი, “საეკლესიო ისტორია”, XI, 14. სოკრატე ერთადერთია, ვინც ახსენებს ამ შეპყრობას ანდრაგათიოსის მიერ, გარდა სოძომენესი (იხ. მისი „ისტორია“, VII, XIII), რომელიც ნაწილობრივ მისი გავლენით ახსენებს ამ ამბავს, მაგრამ იგი აცხადებს, რომ გრაციანე შეპყრობიდან ცოტა ხნის შემდეგ იქნა მოკლული. ზოსიმე („ახალი ისტორია“, IV, 35) ასევე გვაცნობებს, რომ გრაციანე შეპყრობილ იქნა, როდესაც ის გადადიოდა ხიდზე (მას შეცდომით უწერია „სინგიდუნუმი“ „ლუგდუნას“ ნაცვლად). ამბროსი, თავის მხრივ, ამბობს, რომ მას სმენია, რომ იგი მოკლულ იქნა ნადიმობის დროს ანდრაგათიოს-იუდას მიერ ღალატით („ფსალმუნების შესახებ“, 61, 24-26). პაშუდი ადარებს ყველა ამ ცნობას და ასკვნის, რომ იმპერატორ გრაციანეს (რომელსაც თან ახლდა 300 მხედარი) მახე დაუგო ანდრაგათიოსმა (აცნობა, რომ მისი მეუღლე იყო მოსული), ასე მოაცილა იგი მის დაცვას და მოკლა შუა ნადიმის დროს (F.Paschud, Cinq etudes sur Zosime, Paris 1976, p. 88-89).

[274] ეს მოხდა 387 წელს, როდესაც პრობუსი, რომელიც აღარ იყო პრეტორიის პრეფექტი, გაიქცა თესალონიკეში. იგი გარდაიცვალა ცოტა ხნის შემდეგ, სავარაუდოდ 388 წელს.

[275] სინამდვილეში, მას შემდეგ, რაც თეოდოსიმ 384 წლის ივლისში დატოვა კონსტანტინოპოლი და იტალიისკენ გაემართა, მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვით იმპერიას მართავდა სამი ავგუსტუსი, თეოდოსი, მაქსიმე და ვალენტინიანე II (ზოსიმე, „ახალი ისტორია“, IV, 37, 3). სავარაუდოდ ომი მოხდა 388 წელს.

[276] დეროთე იყო ოთხმოცდაათი წლის ასაკში. სოკრატე VII წიგნის VI თავში აცხადებს, რომ იგი გარდაიცვალა 119 წლის ასაკში 407 წელს.

[277] 387 წელს მაქსიმე შევიდა იტალიაში, ვალენტინიანე II კი დედასთან და დასთან, გალასთან, ერთად გაიქცა თესალონიკეში. მან გაგზავნა ელჩი თეოდოსისთან და მისგან ითხოვდა მაქსიმეს დასჯას, რომელთანაც მას სამშვიდობო მოლაპარაკება ჰქონდა გამართული (შდრ. ზოსიმე, ისტორია, V, 42-43). თეოდოსი თესალონიკეში ჩავიდა, სადაც ნახა გალა და მისი სილამაზით მოხიბლულმა ცოლად შეირთო 387 წლის შემოდგომაზე.

[278] სინამდვილეში თეოდოსი გაემართა აკვილეაში, სადაც დახვდა მაქსიმე, მას შემდეგ, რაც მან თესალონიკეში დაჰყო 388 წლის 30 აპრილამდე (ზოსიმე, ისტორია, V, 45-46).

[279] ე.ი. ეს მოხდა 388 წელს.

[280] უფრო ზუსტ თარიღად შეიძლება ჩაითვალოს 28 აგვისტო. სოკრატე ერთადერთია, ვინც ამბობს, რომ მაქსიმე მისმა ჯარისკაცებმა გასცეს. სინამდვილეში იგი თვითონ ჩაბარდა იმის იმედით, რომ სიცოცხლე შეუნარჩუნდებოდა.

[281] ზოსიმეს მიხედვით ანდრაგათიოსი გადახტა ზღვაში (იხ. ახალი ისტორია, IV, 47, 1).

[282] ეს ტრიუმფალური შესვლა რომში თეოდოსიმ გამართა 13 ივნისს.

[283] სიმახოსი 388 წლის დასაწყისში შეუერთდა მაქსიმეს მომხრეებს სხვა არისტოკრატ წარმართებთან ერთად. მან წარმოთქვა პანეგირიკი მაქსიმეს საპატივცემულოდ. ეჭვგარეშეა, ის სენატმა მიუძღვნა მაქსიმეს კონსულად დანიშვნას 388 წლის 1 იანვარს.

[284] იგი შევიდა ერთ-ერთ ნოვაციანელთა ეკლესიაში, როგორც ეს ჩანს მომდევნო ტექსტიდან.

[285] სამი ბერძნული ხელნაწერიდან ორი აღნიშნავს, რომ ნოვაციანელები იზიარებდნენ „თანაარსის“ მრწამსს – **οἱ τὸ ὁμοούσιον φρονοῦντες**.

[286] სიმახოსის ორი წერილი ადასტურებს ამ ამბის სიმართლეს, რომელთაგან ერთი არის იმპერატორისადმი მიძღვნილი ხოტბა, მეორე – საკუთარი თავის შესახებ.

[287] პავლინეს გარდაცვალება და ევაგრეს დადგინება თარიღდება 389 წლით, ამ უკანასკნელის გარდაცვალება კი – 394 წლით. სოკრატე ანტიპათიით არის განწყობილი ფლაბიანეს მიმართ, რის გამოც არ ახსენებს, რომ მის სამწყსოში შედიოდა მორწმუნეთა უმრავლესობა.

[288] ფლაბიანე და თეოფილე ერთად იღებდნენ მონაწილეობას კონსტანტინოპოლის კრებაზე 394 წელს. რომთან შერიგება მოხდა არა დამასის დროს, რომელიც გარდაიცვალა 384 წელს, არამედ მისი მემკვიდრის სირიკიუსის დროს (385-398 წწ.).

[289] სინამდვილეში ეს მოხდა არაუადრეს ფლაბიანეს მეორე მონაცვლის, ალექსანდრეს დადგინებამდე, 413 წლის შემდეგ, როდესაც პავლინელების დაჯგუფების უმრავლესობა შეუერთდა. მხოლოდ მცირე ნაწილი არ შეუერთდა 482 წლამდე.

[290] დღესდღეობით კირილეს გარდაცვალების თარიღად მიჩნეულია 387 წ.

[291] სინამდვილეში 391 წლის 16 ივნისს გამოცემული თეოდოსის ედიქტი მიუთითებდა პრეფექტ ევაგრის და ეგვიპტის კომიტ რომანუსს, რომ მხოლოდ დაეხურათ სამსხვერპლოები და ტაძრის შესასვლელები (Codex Theodosiana, XVI, 10, 11). თეოფილემ ისარგებლა ამ ვითარებით და მიითვისა ადგილი, სადაც, რუფინუსის ცნობით, მდებარეობდა ბაზილიკა, სოკრატეს ცნობით – მითრეუმი, სოძომენეს ცნობით კი – ბახუსის ტაძარი.

[292] რუფინუსი ფილოსოფოსთა შორის მოიხსენიებს ვინმე ოლიმპიოსს (საეკლესიო ისტორია, XI, 22).

[293] გრამატიკოსების სასწავლო საგანი მოიცავდა პოეტების და სხვა კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებებს. მათთან დაჰყავდათ ბავშვები დაწყებითი განათლების მისაღებად.

[294] ბაბუინი იყო ერთ-ერთი წმინდა ცხოველი ჰერმოპოლის ადგილობრივი ღვთაების თოთისა, რომელიც ითვლებოდა სიბრძნისა და მწერლობის ღმერთად.

[295] ეს მოხდა მეორეჯერ, როდესაც ძალადობის ჩასახშობად იმპერატორმა ბრძანება გასცა რესკრიპტით (რომელსაც ახსენებს რუფინუსი),დაენგრიათ კერპები. ამას მოყვა სერაპისის ქანდაკების განადგურება, რასაც

ვრცლად გადმოცემს რუფინუსი. ამ მოვლენებში თეოფილეს, პრეფექტის და ჯარის მეთაურის როლზე ასევე საუბრობს ევნაპიოსი მის „ფილოსოფოსთა ცხოვრებაში“.

[296] მას ამაზე საუბარი ასე თამამად შეეძლო იმიტომ, რომ თეოდოსიმ გამოსცა რესკრიპტი სერაპიუმის დამცველებთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა ამნისტია გამოეცხადებინა ამ დანაშაულების ჩამდენებზე, ვინაიდან „(მოწამეთა) დიდების საზომმა გადააჭარბა მათი სიკვდილის მწუხარებას“ (რუფინუსი, „საეკლესიო ისტორია“, XI, 22). ჰელადიოსის დანაშაულებრივ საქციელს ხელი არ შეუშლია იმპერატორისთვის, რომ 425 წლის 15 მარტს მისთვის მიენიჭებინა comes primi ordinis ტიტული ამ სასიქადულო ზნეობისთვის (თეოდორიტე კვირელი, „საეკლესიო ისტორია“, VI, 21). მან დაწერა თეოდოსი II-ისადმი მიძღვნილი პანეგირიკი.

[297] ეს თხრობა განსხვავდება რუფინუსისგან (საკლესიო ისტორია, XI, 29). მისი ცნობით, ქრისტიანებმა ჯვრის ნიშანი დადეს, სადაც წინათ მდებარეობდა სერაპისის კერპი, მაგრამ ეს ჯვრები წარმართებმა განმარტეს, როგორც სიმბოლური მნიშვნელობის მქონე – ჰიეროგლიფ „ანხ“-ად (T ფორმის ჯვარი). სოკრატესთვის, ეს ნიშნები იყო ტაძრის კედელზე და განმარტებულ იქნა ჯვრად, თუმცა ეს განმარტება სადაო გახდა. ორივე შემთხვევაში, ქურუმების მიერ მიცემული განმარტებით, ესენი აღიარებულ იქნენ ჰიეროგლიფებად (მხოლოდ მათ შეეძლოთ ამ ეპოქის ცნობა), რაც აღნიშნავდა „მომავალ ცხოვრებას“, და რაც ქრისტიანებმა მათ სასარგებლოდ გაიგეს. სხვა წარწერებმა გააცხადეს, რომ ამ ნიშნის გამოჩენა მიანიშნებდა წარმართობის დასასრულზე, რამაც გამოიწვია მათი მოქცევა. ტექსტის მეორე ნაწილში სოკრატე უარყოფს, რომ სანდო იყო ეს წინასწარმეტყველება, მათი ნების საწინააღმდეგოდ გაკეთებული წარმართი ქურუმების მიერ, და ამაში ვერ ხედავს ღვთის განგებას, რომელმაც ეს გააკეთა წარმართების მოსაქცევად.

[298] სოკრატე აქ აშკარად უპირატესობას ანიჭებს ზეპირ მოწმობებს, რომელიც ეჭვგარეშეა მოპოვებული ჰქონდა ჰელადიოსისგან და ამონიოსისგან, ვიდრე რუფინუსის მიერ მოწოდებულ ცნობებს.

[299] კოლ. 1, 26

[300] შდრ. 1 კორ. 2, 7-8.

[301] ასეთ შეფასებაში სოკრატეს ვერ დაეთანხმებოდა კლიმენტი ალექსანდრიელი, რომელიც არა მხოლოდ წარმართულ ფილოსოფიაში ჭვრეტდა კაცობრიობის შემზადებას ქრისტეს მოსვლისთვის, არამედ თვით წარმართულ მისტერიებსა და მათი მისნების წინასწარმეტყველებებსაც დაცემული ანგელოზების მიერ დაცემამდე მოპოვებული სულიერი ცოდნის გამოვლინებად მიიჩნევდა (იხ. საღვთისმეტყველო ალმანახი „გზა სამეუფო“, N2, 1994).

[302] შდრ. საქმე. 17, 23

[03] შდრ. რიცხვ. 23, 7-10.

[304] შდრ. იოან. 11, 50-51.

[305] Codex Theodosiana, XIV, 3, 18.

[306] არცერთი წყარო არ ადასტურებს სოკრატეს ამ ცნობებს.

[307] სინამდვილეში მრუშობაზე დაჭერილი ქალი ისჯებოდა სიკვდილით, როგორც ეს არის განჩინებული სეპტიმუს სევერუსის და დიოკლეტიანეს კანონმდებლობით (იუსტინიანეს კოდექსი, 9, 9, 9; 2, 4, 18); ასევე 339 წელს კონსტანტის მიერ გამოცემული კანონით (თეოდოსის კოდექსი, XI, 36, 4). „სეისტრა“ ანუ ზანზალაკები გამოიყენებოდა ისიდას კულტმსახურებისთვისაც, ისევე, როგორც მას იყენებდნენ მეძავები, რომლითაც მათ შეეძლოთ ეცნობებინათ მათი მოახლოება (იხ. დიონ კასიუსი, რომის ისტორია, 79,13). სოკრატეს ერთმანეთში აერია „სეისტრები“ და საროსკიპოები.

[308] თეოდოსიმ რომი დატოვა 1 სექტემბერს.

[309] სოკრატეს ამ თავმა წამოჭრა ბევრი კითხვები სინანულის საიდუმლოს ისტორიასთან დაკავშირებით და მრავალი განმარტება იქნა მასზე გაკეთებული, მაგრამ გადაჭრით ძნელია რაიმეს მტკიცება. ერთ-ერთი შეხედულების შესახებ იხ. Wallraff, M., Der Kirchenhisorier Sokrates. Untersuchungen zu Geschichtsdarstellung, Methode und Person, Gottingen 1997.

[310] ბუნებრივია, აქ იგულისხმებიან ნიკეელები.

[311] ცხადია, ეს იყო სკანდალი, რადგან პირადმა აღიარებამ შედეგად მოიტანა სასულიერო პირის ცოდვის გამოაშკარავება და მისი განყენება, მაშინ

როცა სინანულის ხუცესის ინსტიტუტი უნდა ყოფილიყო საიდუმლოს შენახვის გარანტი.

[312] იხ. I წიგნი, I თავი; II წიგნი, I თავი.

[313] ეფეს. 5, 11. ნოვაციანელებისადმი სიმპათიით განწყობილი სოკრატეს პოზიცია გვაფიქრებინებს, რომ ნოვაციანელებს ჰქონდა არა პირადი სინანული პრაქტიკა, არამედ საჯარო სინანული, რომელიც აღსრულდებოდა კრებულის წინაშე. იგი არ ნანობს სინანულის ხუცესის ინსტიტუტის გაუქმებას, მაგრამ არაპირდაპირ აკრიტიკებს ევდემონის შემოთავაზებას: აღსარების გაუქმება და ზიარების დაშვება „სინდისის თანახმად“ გაურკვეველს ხდიდა ცოდვისადმი დამოკიდებულებას.

[314] ევნომიოსი გადასახლებულ იქნა ნაქსოსში, სადაც ის იმყოფებოდა 370 წლიდან მოყოლებული. მან გადასახლების ადგილი დატოვა 378 წლის სექტემბერში ან ოქტომბერში და სავარაუდოდ დაბრუნდა თავის სამშობლოში ქალკედონში. მან იქ დაიწყო მისი „აპოლოგიის აპოლოგიის“ გამოქვეყნება იმ წლის დასასრულამდე (იხ. Vaggione, Eunomius: Extant Works, p. 311). 389 წ. იგი დაპატიმრებულ იქნა ქალკედონში და გადაასახლეს დუნაის დელტაზე ციხე-სიმაგრე ჰალმირისში, მაგრამ ვინაიდან ის აიღეს ბარბაროსებმა, იგი გაგზავნილ იქნა კაბადოკიის კესარიაში. მან იქ გაატარა მისი დარჩენილი ცხოვრება, სოფელ დაკორაში, მთა „არგეს“ კალთებზე, სადაც მას ჰქონდა საკუთარი მამული (ფილოსტორგე, „საეკლესიო ისტორია“,X,VI; Vaggione, Eunomius: Extant Works, p. 356-357).

[315] სინამდვილეში თეოდოსის კანონები ძალიან მკაცრად ეპყრობოდა სხვა აღმსარებლობის მიმდევრებს. 381 წ. ერთი კანონი ყველა ეკლესიებს გადასცემს ნიკეელი ეპისკოპოსების ხელში (Codex Thodosius, XVI, 1, 4), 383 წ. სხვა კანონები იმეორებს ევნომიანელების, არიანელების, მაკედონიანელების, პნევმატომახების და სხვების შეკრებების აკრძალვას (Codex Thodosius, XVI, 5, 11, 12), იგივე ხასიათის კანონები გამოიცა მომდევნო წლებშიც (განსაკუთრებით მკაცრი იყო ეს კანონები ევნომიანელების მიმართ). თუმცა, 386 წ. გამოცემული კანონი შეკრებების გამართვის უფლებას აძლევდა „ჰომიელებს“, რომლებიც იზიარებდნენ რიმინის კრებაზე მიღებულ ფორმულას (Codex Thodosius, XVI, 1, 4). მაგრამ მიუხედავად ამ აკრძალვებისა, სხვა აღმსარებლობის მრავალ დაჯგუფებას ჰქონდა თავისი ეკლესიები, არიანელებს („ჰომიელებს“) ეკავათ „ექსაკიონონის“ ეკლესია, რომელიც მდებარეობდა კონსტანტინეს და თეოდოსის კედლებს შორის არსებულ უბანში.

[316] იხ. Wallraff, "Geschichte des Novatianismus seit dem vierten Jarhundert in Osten", ZAC 1, 1997, p. 251-279.

[317] 384 წ. იხ. IV წიგნი, IX თავი; V წიგნი, XII თავი. ხელნაწერშია **Κωνσταντίνου**, ჰუსეიმ ეს შეასწორა **Κωνσταντίου**

[318] სოკრატე იძლევა ასეთი პრაქტიკის რამდენიმე მაგალითს, რაც აიკრძალა 327-328 წ.წ. ანტიოქიაში გამართული კრების 23-ე კანონით.

[319] იხ. III წიგნი, I თავი.

[320] იხ. IV წიგნი, IX თავი.

[321] იხ. IV წიგნი, XXVIII თავი.

[322] **κενοδόξους.**

[323] სავარაუდოდ ეს არის ენგური, რომელიც მდებარეობს იზმიტის ყურის სამხრეთ მხარეს.

[324] **φιλοκαθεδρία** – სიტყვ. კათედრისმოყვარეობა.

[325] **καθολίκον κανόν.**

[326] აქ საუბარია დავაზე პასექის აღნიშვნის თარიღთან დაკავშირებით, რომელიც წარმოიშვა წმ. პოლიკარპე სმირნელსა და რომის პაპ ვიქტორს შორის დროს, რასაც არ გამოუწვევია განხეთქილება (იხ. ევსები კესარიელი, „საეკლესიო ისტორია", IV, XIV; V, XXIV.).

[327] აქ გამოყენებული აქვს სოკრატეს ტერმინი **παρασυναγειν**, რაც აღნიშნავდა განცალკევებით გამართულ შეკრებებს, ეს იყო პირველი ნაბიჯი განხეთქილებისაკენ (ამ ტერმინის შესახებ იხ. ბასილი დიდის 188-ე ეპისტოლე).

[328] იხ. VII წიგნი, XII თავი.

[329] გალ. 4, 21.

[330] გალ. 4, 25; 5, 13.

[331] გალ. 4, 10.

[332] კოლ. 2, 16-17.

[333] ებრ. 7, 12.

[334] მიუხედავად იმისა, რომ სოკრატეს უყვარს წმინდა წერილის სულიერი განმარტება (იხ. ზემოთ VII წიგნი, VIII თავი), აქ ის მას არ იყენებს და არ ცდილობს ტიპოლოგიური კავშირი დამყაროს ქრისტეს ვნებასა და იუდაურ პასექს შორის, როგორც განმარტავდნენ ეკლესიის მამები.

[335] ეს ტერმინი აღნიშნავს იმას, რომ ისინი პასექს იცავდნენ ახალი მთვარის ამოსვლიდან მეთოთხმეტე დღეს.

[336] სინამდვილეში ანტონინუს პიუსის დროს 155 ან 156 წელს.

[337] ევსები კესარიელი, „საეკლესიო ისტორია“, V წიგნი, VIII თავი.

[338] იხ. იოსებ ფლავიუსი, „იუდაური სიძველენი“, III წიგნი, X თავი.

[339] იგულისხმებიან „აუდიენელები“,რომლებიც ეპიფანე კვიპრელის მიხედვით (იხ. „პანარიონი“, 70, 9, 2-3) არ იყვნენ „თოთხმეტდღიანები“ (Quartodecimanes), რადგან კვირა დღეს აღნიშნავდნენ პასექს, მაგრამ მაინც მისდევდნენ დღესასწაულის იუდაურ ანგარიშს და ამიტომ უარყოფილ იქნენ ნიკეის კრების მიერ.

[340] სრული ეპისტოლე გადმოცემულია I წიგნის IX თავში.

[341] საინტერესოა, სოკრატე აქ ძველი პრაქტიკის შესახებ თუ იძლევა ცნობებს, რადგან მისი თანამედროვის პაპა ლეონის დროს რომი მარხულობდა ორმოცი დღის განმავლობაში (იხ. A. Chavasse, “La preparation de Paques a Rome avant le V-e siecle: jeune et organisation liturgique”, Memorial J. Chaine, p. 64.).

[342] აქ სოკრატე ცდება, რადგან რომაელები შაბათ დღეს მარხულობდნენ (იხ. პაპ ინოკენტ I-ის ეპისტოლე Ad Decentium 4 (PL 56, 516. A).

[343] ევსები კესარიელი თავის „პასქალური ჩვეულებების შესახებ“ ტრაქტატში (PG 24, 700BC) საუბრობს ექვსკვირიან საპასექო მარხვაზე. იმავეს ადას-

ტურებს ათანასე დიდი ეგვიპტეში თავის „სადღესასწაულო ეპიტოლეებში“ (იხ. V. Peri, “La cronologia delle Lettere Festali di Sant’Athanasio e la Quaresima”, Aevum 35, 1961, p. 18-26). მაგრამ,მიუხედავად ამისა,დიდი განსხავებები იყო სხვადასხვა ადგილების მიხედვით. 384 წელს ეგერია საუბრობს იერუსალიმში არსებულ რვაკვირიანი მარხვის წესზე, ვნების შვიდეულის ჩათვლით, მაგრამ V საუკუნის „სომხური ლექციონარი“ ანგარიშობს შვიდ კვირაზე მეტს.

[344] იხ. კირილე იერუსალიმელი, „კატეხიზმო“, 4, 27 (PG 33, 489 B).

[345] ასე იქცეოდნენ ანტიოქიელები. იხ. იოანე ოქროპირი, სიტყვა III „ანტიოქიელი ერის მიმართ“, 5 (PG 49, 53).

[346] ლაოდიკიის კრება, 50-ე კანონი რჩევას იძლევა, რომ მთელი მარხვის განმავლობაში დაიცვან ე.წ. „ქსეროფაგია“, მშრალი კვება.

[347] პურითა და წყლით მარხვის შესახებ იხ. იერონიმე სტრიდონელის 52-ე ეპისტოლე. „აპოტაქტიტები“, რომელთა შესახებაც საუბრობს ეგერია: „მხოლოდ წყალს და მცირეოდენ ხორბლის ფაფას იგემებენ“. იგივეს მოწმობს თეოდორიტე კვირელი, „ღვთისსათნო კაცთა ისტორია“, 3, 21 (SC 234, p. 287).

[348] იხ. III–IV ს.-ეების სირიული ძეგლი „მოციქულთა მოძღვრებები” 21; ასევე ეპიფანე კვიპრელი,„მრწამსის გადმოცემა“ 22,1 და 4.

[349] შდრ. რომ. 8, 3.

[350] იხ. ორიგენეს „იოანეს სახარების განმარტება“, X: „არ უნდა გვწამდეს, რომ ისტორიული მოვლენები იყო ისტორიული მოვლენების მომასწავებელი, ან მატერიალური საგნები – ასეთივე მატერიალური საგნების, არამედ მატერიალური საგნები არის სულიერი სინამდვილის წინასახეები და ისტორიული ამბები – გონისმიერი წესრიგის სინამდვილის“.

[351] იხ. იქვე, XX: „მხოლოდ იესომ, რომელმაც მხოლომ დაამხო მთავრობანი და ძალნი... მოინადავლა ძელზე და აღმართა ჯვარი, როგორც რამ ძლევის ძეგლი მტრის ძალის წინააღმდეგ” (SC 290, p. 319).

[352] **ὑποβολεύς**. ამ ხარისხის შესატყვისი დასავლეთში იყო monitor. იგი წარმოთქვამდა ლოცვის პირველ ფორმულას. მას დასავლეთში ასევე

ეწოდებოდა psalmi prononciator, ე.ი. რომელიც წარმოთქვამდა ფსალმუნის მუხლს, რომელსაც იმეორებდა გუნდი.

[353] შდრ. I, XI, 7, სადაც გვაცნობებს, რომ, აღმოსავლეთში დაცული წესის მიხედვით, დაქორწინებულ კლერიკოსებს ნება ეძლეოდათ თავისუფლად ესარგებლათ მათი მდგომარეობით, რაც არ შეცვლილა ნიკეის კრებაზე პაფნუტის ჩარევის შემდეგ. გრისონი აღნიშნავს, რომ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს თესალიაში გადაღებულ იქნა რომაული ჩვეულება, ვინაიდან ეს რეგიონი იყო ილირიკიის ნაწილი, სადაც მხოლოდ V საუკუნეში მიაღწია რომმა მისი პრიმატის დამყარება.

[354] „ეთიოპიკას“ ავტორის მოღვაწეობის პერიოდზე დღემდე არის დავა (III საუკუნეში იყო, თუ IV-ში), მაგრამ დასაშვებია, რომ სოკრატეს ცნობები ზუსტია. Maillon ფიქრობს, რომ ეს რომანი დაწერილი უნდა იყოს ახალგაზრდა ავტორის მიერ, რომელიც იყო ქრისტიანობაზე მოქცეული (იხ. intr. Heliodore, Les Ethiopiques, CUF, Paris 1960, p. XV). Hilhorst მრავალი მაგალითის მოხმობის შემდეგ აღნიშნავს, რომ „IV და V საუკუნეებში ვხვდებით წარმართული და ქრისტიანული ტრადიციების ისეთ სიმბიოზს, რის გამოც სრულიად მისაღებია სოკრატეს მტკიცება, რომლის მიხედვით ერთ-ერთ ეპისკოპოსს სახელად ჰელიოდორს შეეძლო დაეწერა რომანი მის ახალგაზრდობაში“ (“Was Philo read by pagans: the statement of Heliodorus in Socrates, Hist. Eccl. 5, 22” Studia Philonica 4, 1992, p. 97).

[355] თუმცა, სირიული წარმომავლობის „მოციქულთა განწესებანი“ უშვებს, რომ „გრძელი შენობა იყოს აღმოსავლეთისკენ მიმართული“ (II, 57, 3, SC 320, p. 312-313). ეკლესიების ორიენტაციას, რაც წერილობითი წყაროებით არ მოწმდება IV საუკუნის დასასრულამდე, არ უნდა ჰქონოდა ერთი წესი V საუკუნის მეორე ნახევრამდე.

[356] **τῇ κρατούσῃ ἐκκλησίᾳ.** ეს გამონათქვამი, რომელიც უნიკალურ ხასიათს ატარებს სოკრატეს ნაშრომში, აშკარაა, აღნიშნავს უმრავლესობის დომინანტ ეკლესიას, რომელიც სარგებლობს სახელმწიფოს მხრიდან აღიარებით.
[357] ეს მტკიცება არ დასტურდება სხვა წყაროებით. თუმცა სოძომენე გადმოცემს ამ ცნობას, მაგრამ აღნიშნავს, „როგორც ამბობენ“ (საეკლესიო ისტორია, VII წიგნი, IX თავი).

[358] ძველი ტრადიცია მერყეობდა შეეწყნარებინა მეორედ ქორწინება (ჰერმესი, კლიმენტი ალექსანდრიელი), თუ დაეგმო (ათენაგორა, ტერტულიანე).

სავარუდოდ, ფრიგიელ ნოვაციანელებზე გავლენა მოხდინეს მონტანისტებმა, რომლებიც იქ ყოველთვის ბევრნი იყვნენ. IV ს.-ში მეორედ ქორწინება ნებადართულია როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთში, თუმცა, გარკვეული პირობებით, განსაკუთრებით, აღმოსავლეთში (ბასილი კესარიელი სინანულის კანონს ადებს მეორედ დაქორწინებულებს: 188-ე ეპისტოლე).

[359] საქმე. 15, 23–29.

[360] შდრ. გალ. 4, 4.

[361] შდრ. მათ. 13, 2.

[362] მარკ. 14, 15; ლუკ. 22, 12.

[363] მათ. 21, 2.

[364] მარკ. 14, 13; ლუკ. 22, 10.

[365] ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ ანტისემიტიზმის გამოვლინებად სოკრატეს მხრიდან. სიტყვა „წყევლა" აქ სპეციფიურ საღვთისმეტყველო დატვირთვას ატარებს და, პავლე მოციქულის მიხედვით, მოსეს რჯულის წინაშე დამნაშავედ ყოფნას ნიშნავს, რაც ყველა ადამიანისთვის არის დამახასიათებელი, რამდენადაც ქრისტემდე და ქრისტეს გარეშე არავის არ შეუძლია რჯულის აღსრულება და შესაბამისად მის სასჯელს ექვემდებარება. იხ. გალ. 3, 10.

[366] იხ. V წიგნი, XXI თავი.

[367] უკვე ათანასე წამოჭრიდა ამ საკითხს არიანელებთან დავაში: „[ღმერთი] არ შეიძლება იწოდებოდეს მამად და ვერ იქნება, თუ ძე არ არსებობს" („სიტყვა არიანელების წინააღმდეგ", I, 29).

[368] ნეტარი თეოდორიტე კვირელიც ასევე საუბრობს ანტიოქიელი „ფსატირიელების" შესახებ, მაგრამ ის მათ მიაწერს განსხვავებულ სწავლებას: „ღმერთი არის მამა, მაგრამ ძე მარად იქმნება მამისაგან, რადგან ღვთისთვის ერთიდაიგივეა, შექმნა და შობა" („მწვალებლურ სწავლებათა კომპენდიუმი", IV, 4 – PG 83, 421C).

[369] სომხური ვერსია დასძენს, რომ ეს სასულიერო პირები „ეკლესიაში დადგენილი და ხელახლად იქნენ ხელდასხმული ნექტარიოსის მიერ" (თომსონი, სომხური ადაპტაცია, გვ. 158).

[370] 419 წელს წარმოშობით გუთ პლინთას თანმიმდევრულად ეკავა შემდეგი თანამდებობები: comes, consul, magister militum (praesentalis).

[371] იხ. ზემოთ IV წიგნი, XIII თავი.

[372] **παρασυνάξας.** ეს ტერმინი, ისევე როგორც **παρασυναγώγη** გამოიყენებოდა არაკანონიკური შეკრებების აღსანიშნავად.

[373] იხ. ფილოსტორგე, „საეკლესიო ისტორია“, X, 4; ასევე თოდორიტე კვირელი, „მწვალებლური სწავლებების კრებული“, IV, 3 (PG 83, 420C).

[374] ევგენიმ სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა 392 წლის აგვისტოს.

[375] თეოდოსიმ ის დაამარცხა 394 წლის სექტემბერს.

[376] ევგენის ეჭირა თანამდებობა magister scriniorum, რომელიც ექვემდებარებოდა magister officiorum-ს. ამ ფუნქციის შესახებ იხ. R. Delmaire, Les institutions du Bas-Empire romains de Constantin a Justinien. Les institutions civiles palatines, Paris 1995, p. 66-67.

[377] ვალენტინიანე II-ს მკვლელობის გარემოებები ბნელით არის მოცული, სხვადასხვა წყაროები ძალიან განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან. სოკრატე აქ არ მიყვება რუფინუსს („საეკლესიო ისტორია“, 31), რომელიც საუბრობს ბაწრით მოშთობაზე და ამბობს, რომ, ხალხის აზრით, არბოგასტი იყო ამ მკვლელობაზე პასუხისმგებელი. ზოსიმეს მიხედვით, თვითონ არბოგასტმა მიართვა იმპერატორს შხამით სავსე ფიალა („საეკლესიო ისტორია“, IV, 54).

[378] სინამდვილეში ევგენი იმპერატორის ტახტზე არ ასულა 392 წლის 22 აგვისტომდე, მაშინ როცა ვალენტინიანე მოკლეს 15 მაისს.

[379] შდრ. მარცელინუსი, ქრონიკები, 393, რომელიც არ იძლევა ცნობებს თარიღის შესახებ. სხვა ცნობებით ეს იყო 23 იანვარს, როდესაც ჰონორიუსი იქნა აყვანილი იმპერატორის ღირსებაში.

[380] თეოდოსი არ წასულა საომრად 394 წლის გაზაფხულამდე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი დიდი ხანი აყოვნებდა ომში ჩაბმას. სოკრატე არაფერს ამბობს ევგენის მცდელობებზე, რომ შერიგებოდა თეოდოსის: 392 წელს, შემოდგომაზე მან გაგზავნა ელჩები (იხ. ზოსიმე, დასახ. ნაშრ.

IV, 35). მისი ცნობით, თეოდოსიმ თან წაიყვანა მისი ვაჟიშვილი ჰონორიუსი, მაგრამ უფრო სარწმუნო ჩანს რუფინუსის მოწმობა (იხ. დასახ. ნაშრ. XI, 33), რომელსაც მისდევს სოკრატე, რომლის მიხედვით ჰონორიუსი არ ჩასულა იტალიაში მამის გამარჯვებამდე.

[381] წყაროები თანხმდებიან იმაზე, რომ ბრძოლის პირველ დღეს (5 სექტემბერი) თეოდოსის მდგომარეობა მეტად მძიმე იყო.

[382] სოკრატემ გამოტოვა ის ამბავი, რომ თეოდოსიმ რჩევისთვის მიმართა მონაზონ იოანე ლიკოპოლელს,რომელმაც აღუთქვა გამარჯვება (იხ. რუფინუსი,დასახ. ნაშრ. XI,33,აგრეთვე „ეგვიპტელი მონაზვნების ისტორია“,I).

[383] აქ სოკრატე მიყვება რუფინუსს (დასახ. ნაშრ. XI, 33). ბაკურიუსს სოკრატე ახსენებს მის პირველ წიგნში (XX თავი), როგორც იბერების მეფეს. იგი დაიღუპა ამ ბრძოლაში (იხ. ზოსიმე, ისტორია, IV, 58).

[384] იხ. ზოსიმე, ისტორია, IV, 58; მარცელინუსი, ქრონიკები, 394.

[385] 395 წლის 17 იანვარს.

[386] შდრ. რუფინუსი, ისტორია, XI, 34.

[387] ეჭვგარეშეა, რომ თეოდოსის განზრახული ჰქონდა, დაბრუნებულიყო აღმოსავლეთში, მაგრამ მის ნაცვლად მოეყვანა მისი ვაჟიშვილი, რომელიც ჩააბარა სტილიხიონს, და რომელიც იქნებოდა იმპერიის ძალაუფლების დამამყარებელი დასავლეთში.

[388] ზოსიმე, რომელსაც არ უყვარდა თეოდოსი, აკრიტიკებს მის ცხოველ ინტერესს ცხენთა სრბოლისადმი: იგი „მისდევდა ამაოებას და ხშირად დადიოდა თეატრებსა და ჰიპოდრომებზე“ (ისტორია,IV,50).

[389] შდრ. მარცელინუსი, ქრონიკა, 395, I.

[390] სინამდვილეში 293-ე ოლიმპიადის მესამე წელს.

[391] მას მოყავს მაგალითები მენანდრეს კომედიებიდან.

[392] აქ იგრძნობა, რომ სოკრატეზე გავლენა მოახდინა თუკიდიდემ (იხ.

„პელოპონესის ომი“, I, XXII).

[393] მოვლენები ვითარდება 395 წელს.

[394] სოკრატე ცდება: რომის ეპისკოპოსი 384 წლიდან მოყოლებულ იყო სირიკიუსი.

[395] იხ. V წიგნი, VIII თავი.

[396] რუფინუსი პრეტორიის პრეფექტი გახდა თეოდოსი I-ის დროს და ეს თანამდებობა ეკავა 388 წლიდან.

[397] ზოსიმეს (საეკლესიო ისტორია, V, 5) და მარცელინუსის (ქრონიკები, 395, 4) მიხედვით რუფინუსი იყო ალარიხის წინამძღოლობით გუთების შემოჭრაზე. კლაუდიენი ასევე დასძენს, რომ ჰუნების შემოჭრაზეც („პირველი წიგნი რუფინუსის წინააღმდეგ“, 320; „მეორე წიგნი რუფინუსის წინააღმდეგ“, 26-30).

[398] შდრ. ფილოსტორგე, „საეკლესიო ისტორია“, XI, 8; ნეტარი იერონიმე სტრიდონელი, 60-ე ეპისტოლე (დათარიღებული 396 წლით); 78-ე ეპისტოლეში (400 წლის) ვკითხულობთ: „ჰუნების მომთაბარე დაჯგუფებები შემოიჭრნენ სწრაფ ცხენებზე ამხედრებულნი ყველა მხარეში თან მიჰქონდათ ხოცვა-ჟლეტა და ძრწოლა.“

[399] იხ. V წიგნი, X თავი, სადაც სისინიოსი ჯერ კიდევ წიგნის მკითხველი არის. მარკიანოსი ეპისკოპოსი იყო 384 წლიდან (V წიგნი, XXI თავი).

[400] 397 წელს.

[401] პალადი ჰელინოპოლელი თავის „დიალოგში“ (იხ. თავი V), სადაც გადმოცემული აქვს იოანე ოქროპირის ცხოვრების უადრესი ვერსია, აღნიშნავს საჭურის ევტროპიოსის როლს იმპერატორის მიერ იოანეს არჩევაში. იგი ასევე აღნიშნავს იმპერატორის ამ არჩევანში სასულიერო პირების და ხალხის მონაწილეობას.

[402] ეს მტრობა, რომელიც თეოფილემ თავიდანვე გამოიჩინა იოანეს მიმართ ნახსენები აქვს პალადის (დიალოგი, V).

[403] ამასთან დაკავშირებით მკვლევარი ლეპინი აღნიშნავს, რომ ეს

წარმოაჩენდა აღმოსავლეთის „არამყარ ერთგულებას“ თეოდოსისადმი (Leppin, Theodosius, p. 150).

[404] Synaxarium Ecclesiae Constantinopolitanae (col. 312-313 Delehaye) მიხედვით იოანე ოქროპირი ხელდასხმულ იქნა 397 წლის 15 დეკემბერს. 398 წლის 26 თებერვალი სავარაუდოდ არის მისი აღსაყდრების თარიღი. 398 წელი სინამდვილეში მოდის ჰონორიუსის მეოთხე და არა მეექვსე კონსულობაზე.

[405] სოკრატე არის პირველი, ვინც ახსენებს იოანეს მშობლების სახელებს და ამბობს, რომ ლიბანიოსი იყო მისი მასწავლებელი. ამ უკანასკნელი ცნობის სიმართლე ასევე დასტურდება ოქროპირის ერთ-ერთი თხზულებიდან, სადაც ერთგან იგი ყვება მისი განათლების შესახებ და ახსენებს „ჩემს სოფისტს“ (Ad viduam iuniorem, PG 48, 304 AB). მაგრამ ეს ცნობა არ იძლევა იმის უეჭველი მტკიცების საშუალებას, რომ ეს სოფისტი იყო ლიბანიოსი, რომელსაც იოანე კიცხავს „ბაბილას შესახებ ქადაგებაში“ (SC 362, p. 224-251). ანდრაგათიოსის შესახებ არ მოგვეპოვება ცნობები.

[406] დიოდორე ტარსელი იყო ანტიოქიური ექსეგეტიკური სკოლის მიმდევარი, კიცხავდა „ალეგრიულ“ განმარტებებს (მან დაწერა თხზულება სახელწოდებით „ალეგორისტების წინააღმდეგ“) და წმინდა წერილის უფრო ისტორიულ-ფილოლოგიურ და ზნეობრივ განმარტებას ანიჭებდა უპირატესობას. თუმცა, სოკრატე ზედმეტად ცალმხრივად აფასებს მას: დიოდორე წმინდა წერილის სულიერ შინაარს სრულიად არ უგულებელყოფდა და მას სწორ „თეორიას“, „ხედვას“ უწოდებდა.

[407] სოკრატე შეცდომით აიგივებს იოანე ოქროპირის მეგობარ ბასილს კესარიის ეპისკოპოსთან, რომელიც არასოდეს შეხვედრია იოანეს და მთელი მისი საეკლესიო მოღვაწეობა გააატარა მის სამშობლოში კაბადოკიაში, სადაც ხელდასხმულ იქნა დიაკვნად კესარიის ეპისკოპოს ევსების მიერ (იხ. ზემოთ, IV წიგნი, XXVI თავი).

[408] პალადიოსის მიხედვით, მელეტიმ დაადგინა იგი წიგნისმკითხველად, ეჭვგარეშეა, 371 წელს, რის შემდეგაც იგი გვიამბობს იოანეს უდაბნოში მოღვაწეობის შესახებ („დიალოგი“, 9-33). ეპისკოპოსი ზენონი, რომელმაც დატოვა მისი საყდარი, მელეტისთან ერთად ჩანს ხელისმომწერად წერილზე იტალიელების და გალიელების მიმართ (იხ. ბასილის 92-ე ეპისტოლე, დათარიღებული 372 წლის გაზაფხულით).

[409] „რვა სიტყვა იუდეველთა წინააღმდეგ“ თარიღდება 386-387 წ.წ. ამ დროს იოანე უკვე ხუცესი იყო. Cf. Brandle,Jean Chrysostome, p. 49; R.L. Wilken, John Chrysostom and the Jews. Rhetoric and Reality in the late 4th Century, Berkeley, 1983.

[410] პალადიოსი ამ თხზულებებს ათარიღებს მისი ეპისკოპოსობის დასაწყისით.

[411] ცნობა არაზუსტია. ეს იყო ფლაბიანე ანტიოქიელი, რომელმაც 386 წელს ხელნი დაასხა იოანეს, რომელსაც არ დაუტოვებია არც მელეტიანელთა კრებული, არც მისი მონაცვლე, არამედ რამდენიმე წელი გაატარა მონაზვნებთან მთა სილპიუსზე.

[412] სოკრატე აქ იყენებს სიტყვას **ελευθεροστομια** – სიტყვ. თავისუფალი პირი. ამის გამო იოანემ მართლაც უამრავი გაიცხვა და განსაცდელი დაითმინა. სიტყვის თავისუფლება (კადნიერება, **παρρησία**) იოანე ოქროპირისთვის არის უაღრესად მნიშვნელოვანი ზნეობრივი ღირებულების მატარებელი კონცეპცია, რომელსაც ხშირად ახსენებს თავის თხზულებებში. ეს სათნოება ასევე მეტად აღმატებულ სათნოებად ითვლებოდა მრავალ ადრინდელ ფილოსოფოსში (A.J. Festugiere, Antioche paienne et chretienne, Paris 1959, p. 274-276).

[413] მუხის კრებამ ერთ-ერთ ბრალდებად იოანეს წაუყენა შემდეგი: „იგი სასულიერო პირებს ეპყრობოდა როგორც ღირსების არმქონეთ და გარყვნილებს, როგორც არარაობას, უწესოთ... იგი ქმნიდა მღვდლებზე სალანძღავ ნაშრომებს“ („მუხის კრების ოქმები“, 22-27). აღსანიშნავია, რომ სოკრატე არაფერს ამბობს კონსტანტინოპოლელი მონაზვნების შესახებ, რომლებიც იოანეს დაუპირისპირდნენ ვინმე ისააკის წაქეზებით, რაც გამოიწვია იოანეს მიერ მათი ცხოვრების წესის მისამართით გამოთქმულმა კრიტიკამ. ეს დაპირისპირება ჩანს სოძომენეს თხრობაში („საეკლესიო ისტორია“, VIII, IX).

[414] **εἴη εὐπαθὴς καὶ δυσφόρως τὰ σιτία προσφέροιτο.** სოკრატეს მიერ გამოყენებული ტერმინების განმარტება და თარგმნა არც ისე იოლია. **εὐπαθὴς** ნიშნავს „მგრძნობიარეს“, მაგრამ ასევე მას „ვინც ეძებს სიამეებს“ (ბრალდება გურმანობაში ?). ზოგიერთი ბერძნული ხელნაწერი გვთავაზობს წაკითხვას **ἐμπαθὴς** „დაავადებული, სნეული“, სომხური თარგმანი – „სნეული კუჭი“,სირიული – „დაავადებული“. **δυσφόρως** ლათინურად თარგმნილია Historia Tripartita-ში turpiter-ით (quod turpiter manducaret) (PL 69, 1166D).

იოანეს წინააღმდეგ აღძრულ ბრალდებათა შორის მუხის კრებაზე ნათქვამი იყო, რომ იგი იკვებებოდა „თავშეუკავებლად (ασωτως)“ (მუხის კრების ოქმები, 51) პალადიოსი იძლევა სხვადასხვა მიზეზებს იოანეს ჩვეულების გასამართლებლად, რომელთა შორის ახსენებს მის ცუდ მადას (დიალოგი XII).

[415] ევტროპიოსთან დაკავშირებული მოვლენები მოხდა 399 წ. ივლისს.

[416] შდრ. ფილოსტორგე, საეკლესიო ისტორია, XI, 4; მარცელინუსი, ქრონიკები, 399, 1: ეს უკანასკნელი აცხადებს, რომ ევტროპიოსი იყო პირველი და უკანასკნელი საჭურის, რომელსაც ეკავა ეს თანამდებობა.

[417] მართლაც, გამოიცა ორი კანონი, რომლებიც თარიღდება ევტროიოსის მოღვაწეობის პერიოდით, რომელიც ზღუდავს თავშესაფრის უფლებას, მაგრამ ის მაინც არ ყოფილა სრულად გაუქმებული (იხ. თეოდოსის კოდექსი, IX, 45, 2 და 3).

[418] იხ. იოანე ოქროპირის ქადაგებები, „ევტროპიოსის მიმართ“ და „ევტროპიოსის შეპყრობის შესახებ“ (PG 52, 391-395 da 395-414. მეორე ქადაგების მეორე ნაწილის ავთენტურობა საეჭვოა). იონემ ევტროპიოსის მხილების შემდეგ ჯარისკაცებს მოსთხოვა, რომ გამოეჩინათ გულმოწყალება (იხ. „ევტროპიოსის მიმართ“). ევტროპიოსმა დატოვა ეკლესია და დაპატიმრებულ იქნა (იხ. „ევტროპიოსის შეპყრობის შესახებ“), შემდეგ მან გარკვეული დრო იცოცხლა. პირველად იგი გაგზავნილ იქნა გადასახლებაში კვიპროსზე, მოგვიანებით გასამართლებულ იქნა და თავის მოკვეთით დასაჯეს (იხ. ფილოსტორგე, საეკლესიო ისტორია, XI, 6). მისი აღსასრულის შესახებ არსებობს მრავალი ვერსიები (შდრ. ზოსიმე, საეკლესიო ისტორია, V, 18).

[419] შდრ. თეოდორიტეს თხრობას, „საეკლესიო ისტორიაში“ V, სადაც გადმოცემულია განმარტება მიზეზისა, რის გამოც იოანემ უარი განუცხადა თხოვნაზე გაინას.

[420] ეს მოვლენები განვითარდა 399-400 წლებში. ზოსიმე დეტალურად, თუმცა არათანმიმდევრულად მოგვითხრობს გაინას შეთქმულების შესახებ, რაც დაიწყო ევტროპიოსის ჩამოშორების შემდეგ. მისი ცნობები დიდწილად თანხვდება სოკრატესას.

[421] ტრიბიგილდის ამბოხების შესახებ იხ. ზოსიმე, საეკლესიო ისტორია, V, 13.

[422] სატორნილოსი (სატურნინოსი), ეჭვგარეშეა, მეტად მოხუცი იყო იმ დროისთვის, რადგან იგი სახელმწიფო მოხელე იყო კონსტანტ II-ის დროს დაახლოებით 350 წელს. იგი ესწრებოდა 383 წლის საეკლესიო კრებას. ავრელიანე კი ახალი კაცი იყო, რომელიც აღზევდა ევტროპიოსის ჩამოშორების შემდეგ; იგი იყო კონსტანტინოპოლის პრეფექტი 393-394 წლებში და 399 წლის შემდეგ ის იყო აღმოსავლეთის პრეტორი. მათ ახლდნენ სხვა მძევლებიც. ზოსიმეს მიხედვით, ქალკედონში შესვლის შემდეგ გაათავისუფლა ისინი იმპერატორმა (საეკლესიო ისტორია, V, 18).

[423] იოანე ოქროპირი შუამავლობდა მათ გამო, იხ. „Homilia cum Saturninus et Aurelianus acti essent in exilium "*** (PG 52, 413-421).

[424] ეს სამარტვილე მეტად პატივცემული იყო და უყვარდათ ბიზანტიაში, აქ გაიმართა 451 წელს ქალკედონის კრება.

[425] იხ. ასევე ზოსიმე (საეკლესიო ისტორია, V, 18) და თეოდორიტე კვირელი (საეკლესიო ისტორია, V, 32). ეს მოლაპარაკება სინამდვილეში გაინას გამარჯვება იყო, რომელსაც უეჭველია ეკავა დიდი თანამდებობა (magister militium praesentalis), და იმპერატორს დაპირდა კონსულობას 401 წლისთვის და მისი მტრების ჩამოშორებას. გაინა ამის შემდეგ 35000 გუთით შევიდა კონსტანტინოპოლში, რის შემდეგაც განვითარდა მომდევნო პარაგრაფებში გადმოცემული მოვლენები.

[426] ეს კომეტა გამოჩნდა 19 მარტს, 400 წელს.

[427] ზოსიმეს ცნობების საწინააღმდეგოდ, აქ ჩანს, რომ გაინამ ვერ შეძლო საიმპერიო სასახლის დაცვის („სხოლაი"-ს) შეცვლა ბარბაროსებით, რადგან დაცვა უშუალოდ იმპერატორის ბრძანებებს ემორჩილებოდა. დაცვა შედგებოდა შვიდი რაზმისგან, თითოეული – 500 კაცისგან. ასე რომ, სასახლე არ დარჩენილა დაცვის გარეშე და ისინი იყვნენ ჯარისკაცები, რომლებმაც შემდეგ ამოხოცეს ქალაქში დარჩენილი გუთები. სინეზიოს კვირინელი თავის თხზულებაში „წინაგანგების შესახებ", არაფერს ახსენებს სასახლის დასაცავად ანგელოზების ამ ჩარევის შესახებ.

[428] ეს სამარტვილე უფრო ცნობილი იყო „ჰებდომონის" სახელით. ეს ეკლესია ააგო იმპერატორმა თეოდოსიმ იოანე ნათლისმცემელის თავის

იქ დასასვენებლად. იმ დროში ამ ეკლესიის მიკუთვნება მოციქულისადმი ცნობილი არ არის სხვა წყაროებიდან. სოკრატე იყო კონსტანტინოპოლის მკვიდრი და საფიქრებელია, რომ იგი იძლევა ზუსტ ცნობებს, მაგრამ ასევე შესაძლებელია, რომ ხელნაწერის შეცდომაა. სოძომენე საუბრობს იოანე ნათლისმცემლის სამარტვილეზე (საეკლესიო ისტორია, VIII, IV).

[429] ეს მოხდა გაინას მიერ განხორციელებული ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, როდესაც რამდენიმე დღის განმავლობაში მასთან უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ ის გამოცხადებულ იქნა სახელმწიფოს მტრად.

[430] მართლმადიდებელი გუთების ეს ეკლესია მდებარეობდა პავლე მოციქულის სახელობის ეკლესიის გვერდით და ის მათ გადასცა იოანე ოქროპირმა, რომელიც იქ მივიდა და წარმოთქვა ქადაგება (8-ე ქადაგება, PG 63, 499-515; შდრ. თეოდორიტე კვირელი, საეკლესიო ისტორია, V, 30). მაგრამ ოქროპირმა უარი განაცხადა გადაეცა ეკლესია „ჰომიანური“ აღმსარებლობის გუთებისთვის. ზოსიმეს ცნობით, 7000 მებრძოლი და მათი ოჯახის წევრი იქნა დახოცილი. შესაძლოა ეს ძირითადად გააკეთეს უიარაღო ქალაქის მაცხოვრებლებმა. ვინაიდან ეს მოხდა ეკლესიაში, ამან გამოიწვია პროტესტი „განსაკუთრებით ღვთისმოსავი ქრისტიანების მხრიდან“, რომელთაც ეხმაურება ზოსიმე (იხ. საეკლესიო ისტორია, V, 19).

[431] ზოსიმეს ცნობით (საეკლესიო ისტორია, V, 19), გაინამ დაიწყო თრაკიის დარბევა, მაგრამ იგი წააწყდა გამაგრებულ ქალაქებს, რის გამოც გადაწყვიტა აღმოსავლეთში წასვლა.

[432] იგი მოკლეს 23 დეკემბერს 400 წელს, ულდინის ჰუნებმა, რომლებმაც შემდგომში კავშირი შეკრეს არკადიოსთან (ზოსიმე, საეკლესიო ისტორია, V, 22). შუბზე ჩამოცმული მისი თავი გამოფენილ იქნა კონსტანტინოპოლში 401 წლის 3 იანვარს (პასქალური ქრონიკა, 401, PG 92, 780B; მარცელინუსი, ქრონიკები, 401, 1).

[433] ფრავიტოსი წარმართავდა ომს გაინას წინააღმდეგ. იგი სარწმუნოებით იყო წარმართი. იგი გახდა ორდინალური კონსული 401 წელს.

[434] შდრ. პასქალური ქრონიკა, 401, 1 (PG 92, 780 B); მარცელინუსი, ქრონიკები, 401, 3

[435] ამ მოვლენებს ადგილი ჰქონდა 400 წელს. IV საუკუნის ორიგენისტული დაპირისპირებების შესახებ იხ. A. Guillaumont, Les “Kephalaia gnositca”

d'Evagre le Pontique et l'histoire de l'origenisme chez les Grecs et les Syriens, Paris 1962, ასევე E.A. Clark, The Origenist Controversy. The Cultural Construction of an Early Christian Debate, Princeton 1972. ეს უკანასკნელი IV საუკუნეში წარმოშობილ ორიგენისტულ კრიზისს ძირითადად განიხილავს ლოცვის დროს ღვთის ხატის გააზრებასთან დაკავშირებით წარმოშობილი უთანხმოების კუთხით (მონაზონს შეეძლო თუ არა, რომ განშორებოდა ღვთის ყოველგვარ ხატებას თუ წარმოსახვას?).

[436] **σωματικὸν καὶ ἀνθροπόμορφον τὸν Θεὸν εἶναι ἐβούλοντο.**

[437] 399 წელს დაწერილი 14-ე სადღესასწაულო ეპისტოლე განაქიქებს „ანთროპომორფისტებს". შდრ. იოანე კასიანე რომაელი Conference: „იგი არ დაკმაყოფილდა პასექის უწყებით, არამედ მან (თეოფილემ) იმსჯელა „ანთროპომორფისტების" უგუნური მწვალებლობის წინააღმდეგ და ის განაქიქა უხვი არგუმენტების მოხმობით" (SC 54, p. 75). ამ ეპისტოლემ ჩვენამდე არ მოაღწია.

[438] პალადიოსი გვიამბობს, რომ კონფლიქტი „გრძელ ძმებსა" და თეოფილეს შორის მოხდა სხვა საბაბით: ხუცეს ისიდორეს დაცვის გამო (დიალოგი, VI, 118 – VII, 45 (SC 341, პ. 138-147)). ყოველ შემთხვევაში იგი გვაცნობებს, რომ თეოფილე მათ ძალას ატანდა, რომ განეკვეთათ ორიგენე (VI, 131-132) და საბაბად ასახელებს, მის შეტევას „დოქტრინალურ დამახინჯებისადმი" (VII, 6). ისიდორეს პიროვნებისა და მისი როლის შესახებ და ამ ცნობების შესახებ თეოფილეზე, იმ მოტივების შესახებ, რაც მას ამოძრავებდა ამ ორიგენისტულ დავაში იხ. Fatti, "'Eretico, condanna Origene': conflitti di potere ad Alessandria nella tarda antichita", Annali di Storia dell'Esegesi, 20, 2003, p. 383-435.

[439] ორიგენე ნათლად ასწავლიდა, რომ ღმერთი უსხეულო არის თავის ნაშრომში „საწყისების შესახებ", I, 1, 1-9 (SC 252, p. 91-111).

[440] 400 წლით დათარიღებულ წერილში იერონიმე აქებს თეოფილეს, რომ ის ბოლოსდაბოლოს ჩაერთო ორიგენეს წინააღმდეგ დაპირისპირებაში (86-ე ეპისტოლე).

[441] პალადიოსი დეტალურად გადმოცემს დიოსკორეს და მისი სამი მონაზონის უდაბნოდან გაძევების ამბავს, რომელსაც წარმართავდა თეოფილე (დიალოგი, VII). შდრ. ასევე თეოფილეს ეპისტოლე ნეტარი იერონიმე სტრიდონელისადმი ამ უკანასკნელის წერილებში (იერონიმე, 87-ე ეპისტოლე).

[442] შდრ. V წიგნი, VI თავი. არიანელებმა, უფრო სწორად, უმეტესწილად კონსტანტინოპოლელმა „ჰომოიანელებმა“, მოიპოვეს უფლება, გაემართათ მათი საღვთისმსახურო შეკრებები ერთ მათთვის გადაცემულ ადგილას, 386 წლის 23 იანვარს გამოცემული კანონის ძალით, რომელიც გულისხმობდა იმათ, რომლებიც ეთანხმებოდნენ რიმინში გამართულ კრებაზე გადმოცემულ მრწამსს (თეოდოსის კოდექსი, XVI, 1, 4). მათ შეკრებები უნდა გაემართათ ქალაქის კედლებს გარეთ.

[443] სოკრატე არის პირველი, ვინც ახსენებს ეგნატე ანტიოქიელის მიერ ანგელოზების ამ ხილვას. თვითონ ეგნატე არსად ახსენებს თავის ეპისტოლეებში ამის შესახებ და არც ადრეული წყაროები იტყობინებიან რაიმეს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს თქმულება მოგვიანებით იქნა შეთხზული და სოკრატეს შემდეგ ის გავრცელდა შუა საუკუნეებში. ანტიფონური გალობა გავრცელებული იყო ქრისტიანობამდე იუდაურ ღვთისმსახურებაში, საიდანაც ის, ისევე როგორც დიდი ნაწილი საღვთისმსახურო წესებისა, გადმოვიდა ქრისტიანობაში.

[444] ცნობა არაზუსტია: ეპისკოპოსი დიოსკორე გაძევებულ იქნა მისი საყდრიდან სხვა მონაზვნების კონსტანტინოპოლში ჩასვლის შემდეგ და ის იქ ჩავიდა მათ შემდეგ (პალადიოსი, დიალოგი VII).

[445] სოზომენე ამ პიროვნების მიმართ იყენებს წოდებას **ἀρχιπρεσβύτερος** (საეკლესიო ისტორია, VIII წიგნი, XII თავი). მას ეკავა ეპისკოპოსის ადგილი მის არყოფნისას.

[446] იხ. ზემოთ V წიგნი, XV თავი.

[447] იხ. V წიგნი, XV თავი. სინამდვილეში ისინი იყვნენ პავლინეს მომხრეები, რომლებიც გამოეყვნენ ფლაბიანეს, რადგან იგი იყო მელეტიანელი.

[448] პალადიოსი თეოფილეს და ისიდორეს შორის მომხდარი კონფლიქტის სხვა ახსნას გვთავაზობს: თეოფილემ გაკიცხა ისიდორე იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა ფული მისცა უპოვართ, რის დახარჯვაც ეპისკოპოსს სურდა ეკლესიების მშენებლობისთვის, რის შემდეგაც თეოფილემ მას ცილი დასწამა მამათმავლობაში, იგი ცდილობდა ცრუ მოწმობის მოპოვებას მისი დის მეშვეობით. ამის გამო ისიდორე გაიქცა ნიტრიის სხვა მონაზვნებთან ერთად. სოძომენეს მიხედვით, ისიდორემ თეოფილე გაკიცხა იმის გამო, რომ მას სურდა ფულის დახარჯვა ეკლესიათა მშენებლო-

ბისათვის და უარი განუცხადა მას, რომ მოწმედ გამოსულიყო მისი დის სასარგებლოდ, რომელსაც უსამართლო პრეტენზიები ჰქონდა მემკვიდრეობაზე (საკლესიო ისტორია, VIII წიგნი, XII თავი).

[449] პალადიოსიც ადასტურებს,რომ იოანემ მიიღო ეგვიპტიდან გამოქცეული ორმოცდაათი მონაზონი და დაიცვა ისინი, თუმცა „იოანემ ისინი არ მიიღო თანაზიარებაში“ (დიალოგი VII).

[450] „ნიკეის კრების განჩინებების შესახებ“ ნაშრომში ათანასე ციტირებას ახდენს ორიგენეს მთავარი ნაშრომიდან, „საწყისების შესახებ“ (IV, 4), რათა დაემტკიცებინა მოძღვრება ძის მამისაგან მარადიული შობის შესახებ და რომ არ უნდა გვეთქვა, რომ ის იყო მამისაგან „განსხვავებული არსის ან ჰიპოსტასის მქონე“ (კაბადოკიელებამდე პრო-ნიკეურ ღვთისმეტყველებაში ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული ზუსტი ტერმინოლოგია, რომლის მიხედვით ძე განსხვავებული ჰიპოსტასის იყო,თუმცა ერთი არსის).

[451] სოკრატე მხურვალედ უჭერდა მხარს ორიგენეს, რომლის მრავალი მოძღვრება საკამათო გახდა ამ ეპოქაში. ამიტომ, მან ეს დავა დაიყვანა ღმერთის ანთროპომორფიზმის პრობლემამდე და ბრალი დასდო ეპიფანეს, რომ თითქოს ის იზიარებდა ამ სწავლებას. თუმცა, ამ უკანასკნელმა იოანე იერუსალიმელთან გამართულ დებატებში 393 წლის სექტემბერს დაამტკიცა, რომ უპირისპირდებოდა ანთროპომორფისტებს, მაგრამ მისგან ითხოვდა, რომ დაეგმო „ორიგენეს გარყვნილი მოძღვრებები“ (შდრ. იერონიმე,იოანე იერუსალიმელის წინააღმდეგ,11,CCL 79 A, p. 19-21).

[452] ეპიფანემ 374 წლიდან მოყოლებული დაიწყო ორიგენეს „მწვალებლობების“ დაგმობა მის „ანკორატოსში“, 82 და „პანარიონში“, 64, და წარმართა კამპანია პალესტინაში მისი მომხრეების წინააღმდეგ 393 წლის სექტემბერს. თეოფილემ, რომელიც ამ საქმეში მისი მრჩეველი, მას სთხოვა,შეეკრიბა კვიპროსელი ეპისკოპოსები კრებაზე და ხელი მოეწერებინა მათთვის ორიგენეს დაგმობაზე და ეს გაეგზავნა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსისთვის (ეს ეპისტოლე არის იერონიმეს წერილებს შორის,90-ე ეპისტოლე. კვიპროსის ეს კრება გაიმართა 402 წელს.

[453] ეპიფანემ დააგზავნა თეოფილეს ეპისტოლე, რომელიც გმობდა ორიგენისტებს. მისი ეპისტოლე მიწერილი იერონიმესადმი და თეოფილეს ეპისტოლეც იერონიმეს მიერ ითარგმნა ლათინურად,91-ე და 92-ე ეპისტოლეები.

[454] ორიგენეს სიკვდილი თარიღდება 253/254 წლით. სოკრატემ ეს გამოთვალა იმ დროიდან, როცა ის წერდა.

[455] ეს მოვლენები ეხება იოანეს მიმოსვლას ეფესოში, რომელსაც ადგილი ჰქონდა 400-402 წლებში. მკვლევართა აზრით, იოანეს ეფესოში გამგზავრება ვერ იქნებოდა 401 წლის დეკემბრამდე (ჩვეულებრივ მიღებულია 400 წლის ნოემბრის შუა რიცხვები), რადგან ის ვერ შეძლებდა იქ გამგზავრებას გაინას წინააღმდეგ ომის დასრულებამდე.

[456] სევერიანე გაბალოვნელის ცხოვრებასა და შრომებზე იხ. M. Aubineau, Un traite inedit de Severien de Gabala In Centurionem et contra Manichaeos et Apollinaristas, Geneve 1988, p. 11-24. მისი „განმარტებების ექვსთა დღეთაზე“ ქართული თარგმანისა და ტერმინოლოგიის შესახებ ამომწურავი კვლევისათვის იხ. ედიშერ ჭელიძე, „ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია“.

[457] პალადიოსი ვრცლად საუბრობს ამ მოგზაურობის მოტივებზე, სადაც იოანე ჩავიდა ანტონინოსის მონაცვლეობის დასამტკიცებლად, რომელიც დადანაშაულებული იყო სხვადასხვა ქმედებებში; მან განაყენა ექვსი ეპისკოპოსი, რომლებმაც მიაღწიეს მის ხელდასხმას. ამ ვითარებაში იოანე დადანაშაულებული იქნა თეოფილეს მიერ, როგორც „ძალაუფლებისმოყვარეობით შეპყრობილი“ (პალადიოსი, დიალოგი XIII). მუხის კრებაზე იგი გაკიცხულ იქნა იმაში, რომ მან „იურისდიქციის კანონის შეცვლის გამო, რაც გულისხმობდა კონსტანტინოპოლის საყდრისადმი დაქვემდებარებისთვის შესაძლებლობის შექმნას“ (Dagron, Naissance d'une capitale, p. 469).

[458] კონფლიქტი იოანესა და სევერიანეს შორის, რაც დამძიმდა სერაპიონსა და სევერიანეს შორის წარმოშობილი კონფლიქტით, სოკრატეს ხელნაწერებში გვხვდება ორი სხვადასხვა ვერსიის სახით.

[459] მუხის კრებამ იოანეს ამ საქციელის გამო თავნებობაში დასდო ბრალი (მუხის კრების ოქმები, 74).

[460] **πρὸ κοινῆς διαγνώσεως συνεδρίου.** უჩვეულო გამონათქვამია (მეორდება რამდენიმე სტრიქონის შემდეგ) ეპისკოპოსთა კრების აღსანიშნავად, რაც ჩანს გაჩნდა იმის აღსანიშნავად, რასაც მოგვიანებით ეწოდა **συνόδος ἐνδημοῦσα** (მკვიდრ, ჩამოსულ ეპისკოპოსთა სინოდი, შემდეგში მუდმივმოქმედი სინოდი). იხ. VI წიგნი, XII თავი, სადაც ეპიფანე აერთიანებს „ეპისკოპოსებს, რომლებიც იქ ადგილზე აღმოჩნდნენ“. ამ ინსტიტუციის

შესახებ იხ. B. Flusin კრებულში Histoire du christianisme des origines a nos jours, III, Les Eglises d'Orient et d'Occident, Paris 1998, p. 522.

[461] ჩანს, სერაპიონი დაგმობილ იქნა წინა კრებაზე, რომელსაც არ ესწრებოდა იოანე, მაგრამ ის უკვე იმყოფება მეორე კრებაზე და მიუხედავად სევერიანეს წინააღმდეგობისა იმ ზომისადმი, რაც მან შესთავაზა (სერაპიონის დიაკვნობის ერთი კვირით შეჩერება), გადაწყვიტა კრებაზე დასწრება, რომელმაც უარყო ეს განჩინება.

[462] **οὐκέτι εἰς συντυχίαν . . . ἐδέξατο.**

[463] პალადიოსი ამბობს, რომ ჰერაკლიდე აღსაყდრებულ იქნა 70 ეპისკოპოსის მიერ (დიალოგი XV).

[464] იოანე ას დღეზე მეტ ხანს დარჩა ეფესოში და უკან დაბრუნდა 402 წ. პასექამდე (შდრ. „ქადაგება აზიიდან დაბრუნების შესახებ", PG 52, 421-424).

[465] ძველი წეს-ჩვეულების მიხედვით დაიფიცა ყველაზე ძვირფასით. ევდოქსიას (ელია ევდოქსია ავგუსტა), მისი პოლიტიკური როლის და იოანეს შესახებ ამ ცნობებზე შესახებ იხ. K.G. Holum, Theodosian Empresses. Woman and Imperial Dominion in Late Antiquity, Berkeley 1982, p. 48-78. ამ ამბების შემდეგ სევერიანე იმპერატრიცასთან დაახლოებული პირად დარჩა. ჩვილი თეოდოსის ნათლობისას, რომელსაც აღასრულებდა იოანე, იგი იყო მისი მიმრქმელი.

[466] ორი ეპისკოპოსის ქადაგება, წარმოთქმული მათი შერიგების დროს, თარიღდება 402 წლის შემოდგომით. იოანე ოქროპირის ქადაგება დასათაურებულია „სევერიანეს მიღების შესახებ" (PG 52, 423-426), სევერიანეს კი – „ქადაგება მშვიდობის შესახებ" (ბერძნული ტექსტი გამოცემული პაპადოპულო-კრამევსის მიერ **Αναλεκτα Ιεροσολυμιτικης Σταχιολογια**, I, Saint-Petersburg 1891, p. 15-26). სევერიანე ასკვნის: „თუკი ბარნაბას და პავლეს შორის იყო სულის გაფიცხება, რა გასაკვირია, ჩვენ შორის რომ ყოფილიყო?" მაგრამ „მუხის კრება" იოანეს წინააღმდეგ ბრალდებებს შორის ახსენებს „შეთქმულების მოწყობას სევერიანეს წინააღმდეგ" (Actes du Chene, p. 102-103). მათი შერიგებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, მოწამეთა დღესასწაულზე, იოანემ იმპერატრიცას თანდასწრებით წარმოთქვა მეტად შეურაცხმყოფელი ქადაგება „ჰეტრესა და ელიას შესახებ" (PG 63, 467-492). ამ ქადაგების შესახებ იხ. XV თავი.

[467] გასაკვირია, რომ პალადიოსი არაფერს ახსენებს ეპიფანეს როლზე იოანესთვის პრობლემების შექმნაში. იგი მის სახელს მხოლოდ ორჯერ ახსენებს (დიალოგი XVIII), მაგრამ მეტად საქებარი სიტყვებით.

[468] კვიპროსელ ეპისკოპოსთა კრება შედგა 402 წელს. 403 წლის გაზაფხულზე ეპიფანე ჩავიდა კონსტანტინოპოლში.

[469] იგი საუბრობს იოანე ნათლისმცემლის სამარტვილეზე „ჰებდომონთან“.

[470] არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია ეჭვი შევიტანოთ სოკრატეს მოწმობაში ეპიფანეს შესახებ, რომლის საქციელი კონსტანტინოპოლში დიდად არ განსხვავდებოდა იერუსალიმში მისი ქმედებებისაგან 393 წელს (იერონიმეს ძმის უკანონო ხელდასხმა, ეპისკოპოს იოანეს სტუმართმოყვარეობაზე უარის თქმა). შდრ. იერონიმეს მიერ თარგმნილი ეპიფანეს წერილი, 51-ე ეპისტოლე.

[471] სოკრატეს ეს შენიშვნა მეტყველებს იმაზე, რომ იგი ჩვეულებრივ საღვთისმეტყველო დავებს განიხილავდა ეპისკოპოსთა პირად დაპირისპირებებით გამოწვეულად.

[472] ორიგენეს ყოველთვის სურდა, რომ ყოფილიყო „საეკლესიო კაცი“ (**ἀνὴρ ἐκκλησιαστικός**). იხ. H. de Lubac, Histoire et Esprit. L'intelligence de l'Ecriture chez Origene, Paris 1950, p. 47-91.

[473] სოკრატეს ნაშრომის სომხური ადაპტაცია მცირედით ცვლის თეოტიმეს პასუხს, რომელიც აცხადებს, რომ არ სურს დაგმობა ძველი მამების წიგნების, „გრიგოლ საკვირველმოქმედის, ათანასეს და სხვების“, არც ორიგენეს წიგნების უარყოფა. ორიგენეს წიგნების წაკითხვამ მხოლოდ აღფრთოვანება გამოიწვია მსმენელებში, მაგრამ თეოფილემ თავისას მიაღწია ეპიფანეს ლიტონი სულის წყალობით (Thomson, Armenian Adaptation, p. 179).

[474] ოლიმპო არის ლიკიის ქალაქი,როგორც არის გადმოცემული ბერძნული ხელნაწერებით და არა პამფილიის. იერონიმეც გვაუწყებს, რომ მეთოდე პირველად იყო ლიკიის ქალაქ ოლიმპოს ეპისკოპოსი,შემდეგ – ტვიროსის („გამოჩენილ კაცთა შესახებ“, 83).

[475] ევსტათე ანტიოქიელი არის ავტორი ნაწარმოებისა „აენდორელი გრძნეულის შესახებ“, სადაც ის უპირისპირდება ორიგენეს განმარტებას.

[476] არაფერია შემორჩენილი აპოლინარის ნაწერებიდან, რომლებშიც ის უპირისპირდება ორიგენეს.

[477] სოკრატეზე გავლენა მოახდინა ევსები კესარიელმა, რომელიც თავის „ორიგენეს აპოლოგიაში“ წერს: „როგორ შეუძლია ახლა მეთოდეს წეროს ორიგენეს წინააღმდეგ, მას შემდეგ, რაც ასეთი რამეები ილაპარაკა ორიგენეს სწავლებების შესახებ?“ (ციტირებული იერონიმეს მიერ მის „რუფინუსის წინააღმდეგ“, I). ეს ნაშრომი, რომელსაც სოკრატე მოიხსენიებს „ქსენონად“ არის იგივე „ქმნილებების შესახებ“, რომელიც ცნობილია მხოლოდ ფოტიოსის რეზიუმეს სახით მის „ბიბლიოთეკაში“ 235. მეთოდე მასში უპირისპირდება ორიგენეს მიერ შესაქმეს ალეგორიულ განმარტებას. იგი მას განსაკუთრებით უპირისპირდება მის ნაშრომში „აღდგომის შესახებ“, რომელიც ბერძნულ დედანში მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი, ხოლო სრულად - სლავურ თარგმანში. მეთოდეს ნაშრომების მიმოხილვა და მისი ღვთისმეტყველების ბრწყინვალე გამოკვლევა იხ. L. Paterson, Methodius of Olympus...

[478] ციტატა არ არის ზუსტი, თუმცა ეს ფრაზა გვხვდება „ნიკეის კრების განჩინებების შესახებ“ 27-ე თავში, სადაც ათანასე ახდენს ორიგენეს ორი ტექსტის ციტირებას.

[479] სოკრატე არ ახსენებს „მუხის კრებას“. ეპიფანეს არ სურდა იოანესთან თანაზიარებაში შესვლა მის მიერ ორიგენისტების დაცვის გამო. ორიგენესადმი იოანე ოქროპირის დამოკიდებულებაზე იხ. J.-M. Leroux, “Chrysostome et la querelle origenste”, in Epektasis, Paris 1972, p. 335-341.

[480] **πρὸ καθολικῆς διαγνώσεως** – აქ „კათოლიკე“ გულისხმობს ამ სიტყვის ზოგადად მიღებულ მნიშვნელობას ან უფრო სპეციალურ ეკლესიოლოგიურ მნიშვნელობას – საერთო საეკლესიო განხილვას და გადაწყვეტილებას.

[481] მოციქულთა სახ. ეკლესია ააგო კონსტანტინემ თავისი საფლავისთვის.

[482] „მუხის კრებაზე“ იოანეს წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს შორის მოხსენიებულია ისიც, რომ იგი ეპიფანეს „სულელს და პატარა დემონს“ („მუხის კრების ოქმები“, 24).

[483] ეს მოხდა 402 წლის 12 მაისს. ეპიფანეს დღესასწაულისთვის ამ დღეზე „კონსტანტინოპოლის ეკლესიის სვინაქსარში“ ეს დიალოგი იოანესა და

ეპიფანეს შორის შერბილებულია. იოანე ეუბნება: „ძმაო ეპიფანე, მისმინე, შენ, რომელსაც გიხარია ჩემი განდევნა, შენც ვეღარ დაჯდები შენს საყდარზე.“ ეპიფანე პასუხობს: „მოღვაწეო იოანე, დაითმინე და გაიმარჯვებ“. სოკრატეს სომხური ადაპტაცია განავრცობს ამ დიალოგს და გადააკეთებს მას უფრო რჩევა-დარიგებითი ხასიათის წერილების ურთიერთგაცვლაში (იხ. Thomson, Armenian Adaptation, p. 180).

[484] ძნელია ამის მტკიცება, რადგანაც ეს იყო თეოფილე, რომელმაც აამხედრა ეპიფანე ორგენისტების წინააღმდეგ.

[485] „მუხის კრება“ მიმართავს იმპერატორს, რომლის დასკვნასაც გადმოსცემს პალადიოსი, რომ მისი უდიდებულესობის წინააღმდეგ იყო გამოთქმული ბრალდება (დიალოგი VIII; ამის კვალი შეიძლება ვნახოთ ფოტიოსის ცნობებშიც). იგი იყო შემდეგი სახის: „ამ დანაშაულმა... შეურაცხყოფა მიაყენა იმპერატრიცას, რომელსაც, როგორც [კრების] ოქმი ირწმუნება, იოანემ უწოდა იეზაბელი“ (VIII). სოკრატეს ეს ტექსტი სწორედ ამ ბრალდების გამოძახილია.

[486] იოანე „ინოკენტის მიმართ ეპისტოლეში“ ამბობს, რომ თეოფილე მარტო უნდა ჩამოსულიყო,მაგრამ მას მოჰყვა ეგვიპტელების სიმრავლე, არანაკლებ 29 სუფრაგანი და შვიდი მცირეაზიელი ეპისკოპოსი. სოკრატე არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ თეოფილე მოხმობილ იქნა განსასჯელად მას შემდეგ, რაც მის წინააღმდეგ იჩივლეს „გრძელმა ძმებმა“, მაგრამ მან თავი დააღწია სამსჯავროს მოქრთამვის წყალობით; როდესაც იგი ჩამოვიდა კონსტანტინოპოლში, სამი კვირა ამზადებდა პროცესს იოანეს წინააღმდეგ (შდრ. პალადიოსი, დიალოგი VIII).

[487] ყოველ წელს, სექტემბრის თვის დასაწყისში ალექსანდრიიდან ხომალდები ჩამოდიოდა დედაქალაქის ხორბლით მოსამარაგებლად.

[488] შდრ. პალადიოსი, დიალოგი VIII; იოანე ოქროპირის „ეპისტოლე ინოკენტის მიმართ“ ადასტურებს თეოფილეს ამ განწყობას და დაურთავს, რომ ყველაფერი მზად იყო მის მისაღებად. პლაკიდიას (თეოდოსი I-ის და მისი მეორე ცოლის გალას ქალიშვილი) სასახლე მდებარეობდა დიდი საიმპერიო სასახლის მახლობლად (იხ.Janin, Constantinople, Paris 1964, p. 304).

[489] სოკრატემ გამოტოვა მრავალი ეპიზოდი: იოანეს დაპირისპირება იმპერატორთან, რომელმაც უარი თქვა თეოფილეს განსჯაზე, იოანეს მიერ თეოფილესთან დელეგაციის გაგზავნა.

[490] იოანე ოქროპირი, „ეპისტოლე ინოკენტის მიმართ“; პალადიოსი, დიალოგი VIII.

[491] ამას ადასტურებს ფსევდო-მარტვირი (Van Ommeslaeghe, Le temoignage de Palladios, p. 407) და „მუხის კრების ოქმები“, 61-62.

[492] შდრ. პალადიოსი, დიალოგი VIII. ფსევდო-მარტვირი დასძენს, რომ ამ ბრალდებაზე დაყრდნობისას ოქმი ბუნდოვნად შეიცავდა იოანეს წინააღმდეგ აღძრულ ყველა სხვა ბრალდებასაც (იქვე), რამაც გამოიწვია ხალხის აღშფოთება, როგორც ამას გადმოგვცემს სოკრატე.

[493] მრავალგზის ირწმუნება იოანე ოქროპირი „ეპისტოლეში ინოკენტის მიმართ“ და აცხადებს, რომ მისი გამოძევება მოხდა იმავე დღეს: „ასე, გვიან იმ საღამოს, როდესაც მთელი ხალხი ჩვენთან იყო, ქალაქის პოლიციის თავმა დამაპატიმრა. ძალით წამიყვანა, ჩამაგდო ხომალდში და შუადამეს წამიყვანეს შორს, მაშინ როცა მე ვითხოვდი კრების გამართვას, რომელიც მომისმენდა“.

[494] სოძომენეს მიხედვით, შერიგება მოხდა „მუხის კრების“ დაწყების დასაწყისში, სადაც აღარ წამოჭრილა ორიგენიზმის საკითხი (საეკლესიო ისტორია, VIII წიგნი, XVII თავი).

[495] იგავ. 3, 34; 1 პეტ. 5, 5.

[496] სომხური ადაპტაცია დასძენს, რომ ღვთისმსახურებაზე შეკრებილმა ხალხმა სევერიანე გამოაძევა ეკლესიიდან (Thomson, Armenian Adaptation, p. 181).

[497] სოკრატე აქ იმსახურებს ნდობას, რადგან სწორედ ამ შფოთმა გამოიწვია იოანეს უკან გამოხმობა. ზოსიმე აზუსტებს, რომ ეს შფოთი გამოწვეული იყო მონაზვნების მიერ (საეკლესიო ისტორია, V, 23). ფსევდო-მარტვირი გვაძლევს საშუალებას ვარაუდისა, რომ ეს იყვნენ მონაზვნები, რომლებიც უპირისპირდებოდნენ იოანეს, იმყოფებოდნენ წმინდა სოფიას ტაძარში და დაკავებული იქნენ იოანეს მეგობრების მიერ. ჯარის დახმარებით, რომელიც მათ გამოსაყვანად იყო მოხმობილი, მათ იქ მრავალი ადამიანი დახოცეს. პალადიოსის მიხედვით, იოანეს დაბრუნების მიზეზი გახდა საიმპერიო პალატებში მომხდარი შემთხვევა (ეჭვგარეშეა, ევდოქსიას საძინებელში) (დიალოგი IX); თეოდორიტეს მიხედვით, მიწისძვრამ შეაშფოთა ევდოქსია და მან გამოიხმო იოანე (საეკლესიო ისტორია, V, XXXIV).

[498] პრენეტოსი ან პრეიეტოსი, თანამედროვე კარამურსელი მდებარეობდა ნიკომიდიასა და ჰელენოპოლს შორის ნიკეისკენ მიმავალი გზის თავში, რომელიც შემდგომ გრძელდებოდა მცირე აზიაში ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულებებით.

[499] სოძომენეს ცნობით, იგი დარჩა იმპერატრიცას გარეუბანში მდებარე რეზიდენციაში, ანაპლუსში. მას არ უცხოვრია მარინას სასახლეში (domus noblissimae Marinae), რომელიც მდებარეობდა კონსტანტინოპოლის პირველ კვარტალში.

[500] ლათინურ თარგმანში დაცულია მისი დაბრუნებისას წარმოთქმული ქადაგება De reditu suo, PG 52, 421-424.

[501] ის, რომ იოანეს ხალხმა აიძულა საყდარზე დაჯდომა, დასტურდება ფსევდო-მარტვირის ცნობითაც.

[502] ამ თავში გადმოცემული მოვლენები არ განვითარებულა წინა თავში მოთხრობილის შემდეგ. ეს იყო „მუხის კრების“ შედეგები, რომელმაც განიხილა ჰერაკლიდეს საქმე, მაგრამ ის არ განუყენებია მრავალი ეპისკოპოსის წინააღმდეგობის გამო („მუხის კრების ოქმები“ 9-11). შემდგომში რაც მოხდა, გადმოგვცემს პალადიოსი, რომ მის დროს ჰერაკლიდე საპყრობილეში იჯდა ნიკომიდიაში უკვე ოთხი წელი (დიალოგი XX).

[503] იოანე ოქროპირის („ეპისტოლე ინოკენტის მიმართ“) და პალადიოსის (დიალოგი IX) მიხედვით თეოფილე გაიქცა იოანეს დაბრუნების შემდეგ.

[504] პალადიოსის მიხედვით, ორმოცმა ეპისკოპოსმა მოსწერა რომის პაპ ინოკენტის იოანეს მხარდასაჭერად. ეს ის ორმოცი ეპისკოპოსი იყო, რომლებიც მივიდნენ მასთან მას შემდეგ, რაც მან უარი განაცხადა „მუხის“ კრების მოწვევაზე.

[505] პალადიოსის მიხედვით, იგი დამარხეს „სამარტვილეში, რომელიც მდებარეობს პორტას მახლობლად“ (დიალოგი XVII). სოძომენე აზუსტებს, რომ სამარტვილე იყო წმინდა მოკიოსის სახელობის (საეკლესიო ისტორია, VIII).

[506] შდრ. მარცელინუსი, ქრონიკები, 403, 1; თეოფანე, ქრონოგრაფია 79, 4-12 აზუსტებს, რომ ის მდებარეობდა წმინდა ირინეს გვერდით. ქანდაკებას ძირზე ორენოვანი წარწერა ჰქონდა: მარცხენა მხარეს ოთხი ჰექსამეტრი

ბერძნულად,მარჯვნივ – მისი მოკლე შინაარსი ლათინურ ენაზე. ქანდაკების მიძღვნას თან ახლდა, როგორი ჩვეულებაც იყო, მიმების სანახაობა და ცეკვები. იოანე ფიქრობდა, რომ ეს ხელს შეუშლიდა საკათედრო ტაძარში ლიტურგიის აღსრულებას,რომელსაც ჯერ კიდევ არ ეწოდებოდა „წმინდა სოფია“, არამედ უბრალოდ „სოფია“ (სიბრძნე). იოანეს მიერ პროტესტის გამოთქმას შეეძლო გაეღიზიანებინა არა მხოლოდ იმპერატორის მეუღლე, არამედ ქალაქის პრეფექტიც, ფლავიუს სიმპლიციუსი, რომელიც იყო ამ მიძღვნის ავტორი, და მისი ძმა ან ბიძაშვილი, პრეტორიის პრეფექტი, ანთემიოსი.

[507] იხ. In decollationem Baptista, PG. 59, 485-490. მიუხედავად იმისა,რომ უხვად არის ეს ქადაგება გადმოცემული უამრავი ისტორიკოსის მიერ, ეს ქადაგება მიეკუთვნება იოანეს საეჭვო ქადაგებათა რიცხვს, რომელიც შეთხზული იქნა მისი გარდაცვალების შემდეგ მისი მტრების მიერ (იხ. de Aldama, Repertorium pseudochrisostomicum, Paris, 1965, p. 138-139). უკვე პალადიოსი აღნიშნავს, რომ იოანეს მტრებმა „გააყალბეს ზოგიერთი მისი ქადაგება, რომ თითქოს უტევდა დედოფალს“ (დიალოგი IX). თუმცა, მკვლევარი Brandle კვლავ მიიჩნევს მას იოანეს ავთენტურ ქადაგებად (Jean Chrysostome, p. 92).

[508] პალადიოსი მათ (ბრისონის გამოკლებით) ასევე მოიხსენიებს, როგორც იოანესადმი მეტად მტრულად განწყობილ პირებს.

[509] იოანე მრავალგზის იმეორებს „ეპისტოლეში ინოკენტის მიმართ“, რომ ის მისი ჩამოსვლის დღიდან მოყოლებული ითხოვდა კრების მოწვევას და მის წინააღმდეგ აღძრული ბრალდებების გამოძიებას. იგი ასევე ჩივის, რომ იმპერატორის ბრძანების მიუხედავად, თეოფილე არ ჩამოვიდა კონსტანტინოპოლში; ის დაკმაყოფილდა სამი ეპისკოპოსის გამოგზავნით (იხ. პალადიოსი, დიალოგი IX).

[510] შდრ. პალადიოსი, დიალოგი IX. გულისხმობს 341 წელს ანტიოქიაში გამართული კრების (ე.წ. ტაძრის კურთხევის კრება) მე-4 კანონს, რომელიც უკრძალავს ეპისკოპოსს, განყენებულს ერთი კრების მიერ, უკან დაიბრუნოს საყდარი სხვა კრების გადაწყვეტილების თანახმად.

[511] 404 წლის 17 აპრილს.

[512] პალადიოსის მიხედვით, იმპერატორმა იოანესგან მოითხოვა, რომ დაეტოვებინა ეკლესია, მაგრამ მან მოითხოვა, რომ ძალით გამოეძევებინათ

ეკლესიიდან. იგი ცხოვრებას აგრძელებდა საეპისკოპოსო რეზიდენციაში (დიალოგი IX).

[513] იოანეს მომხრე მორწმუნეები კონსტანცის აბანოებში იკრიბებოდნენ, რადგან ჯარი ძალით დევნიდა მათ ეკლესიებიდან აღდგომის ღამეს (იხ. იოანეს „ეპისტოლე ინოკენტის მიმართ“). პალადიოსი მოგვითხრობს პასექის ღამის ამ მოვლენებს, რაც განვითარდა კონსტანტიანაიში. იოანეს მორწმუნე მრევლი გამოდევნილ იქნენ აბანოდანაც და ისინი შეიკრიბნენ ქალაქის გარეთ (დიალოგი IX).

[514] სოკრატე აქ ეყრდნობა იოანეს მოწინააღმდეგეთა ცნობებს. ზოსიმე თავის საეკლესიო ისტორიაში აღნიშნავს, რომ ცეცხლი წაუკიდეს იოანეს მეგობრებმა, და ზოგიერთი ეპისკოპოსის წერილი, გაგზავნილი პაპა ინოკენტისადმი, ბრალს დებდა იოანეს ეკლესიის გადაწვაში (შდრ. პალადიოსი, დიალოგი III). სოძომენე ამბობს, რომ იოანეს მომხრეები და მოწინააღმდეგეები ერთმანეთს აბრალებდნენ ხანძრის გაჩენას (საკლესიო ისტორია, VIII, XXII). პალადიოსი ვრცლად მოგვითხრობს ამ შემთხვევის შესახებ (დიალოგი X).

[515] შდრ. „პასქალური ქრონიკა“ (PG 92, 781 A).

[516] 404 წლის 26 ივნისს,პასქალური ქრონიკა (PG 92, 781 A).

[517] კვირინოსი იყო იოანეს ერთ-ერთი აშკარა მოწინააღმდეგე. იგი მონაწილეობდა დელეგაციაში, რომელიც იმპერატორისგან ითხოვდა მის გადასახლებას (შდრ. პალადიოსი, დიალოგი X).

[518] 405 წლის 3 ოქტომბერს.

[519] პალადიოსის მიხედვით, მისმა ეპისკოპოსობამ გასტანა ოთხ თვეს (დიალოგი XI), რაც გვაძლევს მისი გარდაცვალების თარიღად 405 წლის აგვისტოს თვეს და არა ნოემბერს, როგორც გვთავაზობს სოკრატე.

[520] ეს მოხდა 406 წლის მარტში.

[521] სომხური ადაპტაცია აქ ურთავს იოანეს ხოტბა-დიდებას და იმპერატორის მეუღლის სიკვდილში ხედავს ღვთის სასჯელს (Thomson, Armenian Adaptation, p. 184-185).

[522] ეს ბრალდება წამოყენებული იყო იოანეს წინააღმდეგ „მუხის კრებაზე“ (ოქმები, 97-99). ეს, შესაძლოა, საბაბად იღებს იოანე ოქროპირის ზოგიერთ ქადაგებას, რომლებშიც ის იწვევს მონანულთ განწყობის განახლებისკენ, მაგრამ ყველა ასეთი დამოკიდებულების გამოხატვისას მონანულისადმი ის ხაზს უსვამს იმაზე, რომ ისინი ცოდვილები არიან. შდრ. მაგალითად „ქადაგება V ღმერთის შეუცნობლობის შესახებ: „თუმცა შენი სინდისი დადანაშაულებულია ათასობით მძიმე ცოდვით, შენსავით ცოტა ვინმე თუ უნდა იყოს დარწმუნებული, რომ ყველა ადამიანზე დაბლა იმყოფება, მაინც შეძლებ მიმართო ღმერთს მთელი სიმტკიცით“ (SC 28, p. 312-313).

[523] სოკრატეს ეს შენიშვნა უეჭველად მოწმობს იმაზე, რომ ის იყო ნოვაციანელი.

[524] იგავ. 9, 8.

[525] იხ. მათ. 17, 2.

[526] ქართულად ალბათ უნდა ითარგმნოს „თხილნარად“.

[527] სოკრატე ამ ოლიმპიადის გამოთვლაშიც ცდება, ეს იყო ორას ოთხმოცდამეთექვსმეტე ოლიმპიადა.

[528] სინამდვილეში ცამეტ წელს და ექვს თვეს, რამდენ ხანსაც გაგრძელდა არკადიუსის მეფობა, რომელსაც მის ძესთან ერთად არ უმეფია თორმეტ წელზე მეტი.

[529] თეოდოსი II დაიბადა 401 წლის 10 აპრილს.

[530] ანთიმოზი იყო აღმოსავლეთის პრეტორიის პრეფექტი 405 წლის 10 ივლისიდან 414 წლის 18 აპრილამდე.

[531] იხ. ზემოთ II წიგნი, XVI თავი.

[532] პტოლემაიდის ეპისკოპოსი სინეზიოსი, რომელიც ელჩად იმყოფებოდა კონსტანტინოპოლში, ტროილოსს უწოდებს „სანაქებო მოქალაქეს და ფილოსოფოსს“ (49-ე ეპისტოლე) და მას აქებს სხვა მრავალ ეპიტოლეში.

[533] შდრ. გალ. 6, 10.

[534] **αἱρεσιώτας,** ძვ. ქართული თარგმანით იქნება "მწვალებლები", მაგრამ ამ ტერმინს სოკრატესთან ჯერ კიდევ არ აქვს ნეგატიური მნიშვნელობა, ის მხოლოდ რელიგიურ დაჯგუფებას ნიშნავს ნეიტრალური მნიშვნელობით.

[535] თუმცა ატიკოსი ხშირ შემთხვევაში შემწყნარებლობას იჩენდა განსხვავებული სარწმუნოების მქონეთა მიმართ, ეს ხელს არ უშლიდა მას, რომ განუწყვეტლივ ედევნა „იოანიტები". მეორე მხრივ, ფოტიოს პატრიარქის მიხედვით, მან მიწერა პამფილიის ეპისკოპოსებს, რომ „გამოედევნათ ყველ ადგილიდან მესალიანელები, როგორც უღმერთოები და უწმინდურები" („ბიბლიოთეკა, 52).

[536] შდრ. 1 კორ. 9, 22.

[537] მწვალებლების წინააღმდეგ გამოცემული კანონმდებლობა მას უფლებას აძლევდა, რომ აეკრძალა მათი შეკრებები, ეკლესიების დაარსება, კლირიკოსების ხელდასხმა ფულადი ჯარიმის ან განდევნის სასჯელის მუქარით (იხ. თეოდოსის კოდექსი, XVI; თეოდოსის მიერ გამოცემული და არკადიუსის მიერ დამტკიცებული 25-ე და სხვა კანონები). თუმცა ამ კანონების აღსრულება ევალებოდა არა ეპისკოპოსს არამედ მაგისტრატებს.

[538] **κατηχήσας.** ანუ ეპისკოპოსმა მოახდინა მისი კატეხიზაცია და სახარებაში განსწავლა. აქედან ჩანს, თუ რაოდენ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა მართლმადიდებელ ეკლესიაში ქრისტიანულ სარწმუნოებაში განათლებას და ის ნათლისღების აუცილებელ წინაპირობად იყო აღიარებული. თვით დავრდომილი ადამიანის ნათლობაც კი არ აღასრულა ატიკოსმა წინდაწინ მისი განათლების და რწმენის შეგნებულად მიღების გარეშე, სხვაგვარად ნათლისღებას მხოლოდ მაგიური რიტუალის მნიშვნელობა ექნებოდა, რომელიც ადამიანზე იმოქმედებდა მისი თავისუფალი ნებისა და ცნობიერების ჩართულობის გარეშე, მექანიკურად, რაც ქრისტიანული ნათლისღების სრულებით საპირისპირო სწავლებაა, პირდაპირ რომ ითქვას,წარმართობა. აქვე უნდა ითქვას,რომ მთელი ლიტურგიის და კერძოდ ნათლისღების საკითხავების სიუხვე სწორედ რომ განმარტებით და განმანათლებლურ მნიშვნელობას ატარებს, რაც კარგად ჩანს თვითონ ამ ტექსტების შინაარსიდან. ამდენად მათი შინაარსის სიცხადე მრევლისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებს, სხვაგვარად მათაც ემუქრება მაგიურ შელოცვებად და „მანტრამებად" ქცევა.

[539] ეს საბატიანელები არ უნდა ავურიოთ იმავე სახელის მატარებელ დაჯგუფებასთან, რომლის ედესაში არსებობასაც ახსენებს ეფრემი (მიუხედავად გარკვეული მსგავსებებისა).

[540] **παρασυνάγων**. ამ ტერმინს სოკრატე ყოველთვის იყენებს სქიზმატური გამოყოფის და ცალკე საღვთისმსახურო შეკრების აღსანიშნავად.

[541] მარკ. 14, 1; ლუკ. 22, 1; იოან. 2, 13.

[542] ე.ი. ასრულებდა აღდგომის ღამისთევის მსახურებას.

[543] 407 წელს. დოროთე ნახსენებია V წიგნის XII თავში.

[544] ხუცესი ტიმოთე გახდა ავტორი ნაწარმოებისა, რომელსაც ეწოდა Opus imperfectum in Matthaeum („დაუსრულებელი ნაშრომი მათეზე“).

[545] ფსათირიანელთა შესახებ იხ. V წიგნი, XXIII თავი.

[546] იხ. პლატონის მე-2 ეპისტოლე, რომლის ავთენტურობა საკამათოა. ამ სამი საწყისის შესახებ სწავლებას, რომლებსაც ის ახსენებს, წარმატებით იყენებდნენ ქრისტიანი აპოლოგეტები II საუკუნეში, განსაკუთრებით ე.წ. „შუა პლატონური“ განმარტებების შუქზე.

[547] იყვნენ იხ. ორიგენე, „საწყისების შესახებ“, IV, 4.

[548] სოკრატე, მის დროს გავრცელებული ტრადიციით, „არიანელებს“ უწოდებს მათაც, რომლებიც სინამდვილეში იყვნენ „ჰომიელები“ („მსგავსების“ აღმსარებლები, ე.ი. მამასა და ძეს შორის მსგავსების). მათ დიდი ხნის წინ უარყვეს არიოზის უკიდურესი შეხედულებები. „ჰომიელთა“ მრწამსის სიმბოლოში, რომელიც შედგა ნიკას კრებაზე (არ შეგვეშალოს ნიკეის კრებაში) და ხელი მოაწერეს კონსტანტინოპოლში, ძე გამოცხადებულია „მამისაგან შობილად უწინარეს ყოველთა საუკუნისა და დასაბამისა“ (შდრ. II წიგნი, XLI თავი).

[549] ეჭვგარეშეა, ის გულისხმობს VII წიგნის I თავში აღნიშნულ კონსულობის პერიოდს, 412 წელს, რადგან VII წიგნის XVII თავში ქრიზანთე გარდაიცვლება 419 წელს ეპისკოპოსად შვიდწლიანი მსახურების შემდეგ.

[550] ეს მოხდა 412 წელს.

[551] აბუდანტიოსის წოდება იყო magister militium. სოკრატეს ყველა ბერძნული ხელნაწერი ცდილობს კირილე ამ მოვლენებში უმწიკვლოდ წარმოაჩინოს და ტიმოთეს მიაწერს სამხედრო მხარდაჭერას, მაგრამ ამ შემთხვევაში სომხური თარგმანი უფრო მეტი სიზუსტით გამოირჩევა და ამას კირილეს მიაწერს. შესაძლოა, სამხედრო ძალა ჩაერია მხოლოდ ხალხს შორის ძალადობის შესაჩერებლად.

[552] პირველი კანონი, რომელიც ნოვაციანელებს მოიხსენიებს ერეტიკოსებს შორის, თარიღდება 423 წლით (თეოდოსის კოდექსი, XVI).

[553] ურთიერთობები სპარსელებსა და რომაელებს შორის თეოდოსი II-ის მეფობის დასაწყისში იყო მშვიდობიანი. არკადიუსმა ხელშეკრულების ძალით სპარსეთის შაჰი ისდიგერდესი (იაზდგარდ I, 399-420 წ.წ.) დაადგინა მისი ვაჟიშვილის თეოდოსის მფარველად. ისდიგერდესმა წერილი გაუგზავნა სენატს კონსტანტინოპოლში, რომელიც ომით იმუქრებოდა მის წინააღმდეგ, ვინც შეთქმულებას მოაწყობდა ყრმა იმპერატორის წინააღმდეგ (პროკოპი, „სპარსული ომის შესახებ“, I, 2, 7). მეორე მხრივ, ეპისკოპოს მარუთას მისიებს შედეგად მოყვა ის, რომ შაჰმა ბრძანება გასცა ეკლესიების აღდგენაზე და დაპატიმრებული ქრისტიანების გათავისუფლებაზე. მან ასევე ნება დართო მოეწვიათ სელევკია-კტეზიფონის საეკლესიო კრება 410 წელს, რომელმაც მიიღო განჩინებები სპარსეთში საეკლესიო მოწყობის თაობაზე. ამ მისიების შესახებ იხ. L. Sako, Le role de la hierarchie syriaque orientale dans les rapports diplomatiques entre la Perse et Bysance aux V-VII siecles, Paris 1986. მაგრამ თეოდოსის მეფობის დასასრულისკენ, 414 და 420 წლებს შორის, განახლდა ქრისტიანების დევნულება, რაც გამოიწვია ზოგიერთების მიერ რამდენიმე „პირეუმის“ (ცეცხლისთაყვანისცემის ტაძრის) დანგრევამ (იხ. თეოდორიტე კვირელი, საეკლესიო ისტორია, V წიგნი, XXXIX თავი).

[554] ე.ი. ყოველი მეათე სიკვდილით დასაჯა.

[555] ირანელი წარჩინებულები აკრიტიკებდნენ ისდიგერდესს, როდესაც მან მოკავშირედ გაიხადა ჰირას ლახმიდები,რომლებიც იყვნენ რომაელების მოკავშირეები. თუმცა იგი იჩენდა პოლიტიკურ შემწყნარებლობას, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა რეაგირება მოეხდინა ზოგიერთი ქრისტიანის პროვოკაციულ ქმედებებზე.

[556] ფლაბიანე გარდაიცვალა 403 წელს. პორფირი მისი მონაცვლე იყო 403-413 წწ. სოკრატე არაფერს ამბობს იმაზე, რომ ალექსანდრეს დროს დასრულდა ანტიოქიის ეკლესიის გაყოფა, რაზედაც ის ხშირად საუბრობს.

[557] დამასი გარდაიცვალა 384 წლის ბოლოს და ის შეცვალა სირიკიუსმა 385 წელს, რომელიც აღესრულა 398 წლის 26 ნოემბერს. ანასტასი მისი მონაცვლე იყო 402 წლის 14 ან 19 დეკემბრამდე.

[558] ეს მოხდა 410 წელს.

[559] ალარიხი თეოდოსის მოკავშირე იყო ევგენის წინააღმდეგ ომში, მაგრამ მას მაშინვე არ მიუღია ამის საზღაური. მაგრამ როდესაც ცოტა ხნის შემდეგ მან მოაოხრა საბერძნეთი, მას მიანიჭა არკადიოსმა წოდება magister militium per Illyricum. იგი ცოტა ხნით დარჩა ეპირაში და შემდეგ გადავიდა იტალიაში 401 წლის ნოემბერს, რომელიც მან ასევე დაარბია, შემდეგ დამარცხებულ იქნა სტილიხონის მიერ და დაბრუნდა ეპირაში. აქედან ის გაემართა 407 წ. ბოლოს ნორიკში. სტილიხონის გარდაცვალების შემდეგ მან მშვიდობა შესთავაზა ჰონორიუსს, მაგრამ მან უარი განაცხადა შეთავაზებაზე, რის შემდეგაც ალარიხი გადავიდა იტალიაში და ალყა შემოარტყა რომს პირველად 408 წლის ბოლოსთვის. იგი არ დათანხმდა ზავს, სანამ არ აიღო უზარმაზარი საზღაური ამისთვის. 409 წლის ნოემბერს მან კვლავ მოიცვა პორტუსი და ასე იკრებდა ძალებს ჯარისთვის ქალაქიდან. მაშინ მან იმპერატორად გამოაცხადა ქალაქის პრეფექტი პრისკუს ატალუსი, რომელიც თავიდანვე წინააღმდეგობას უწევდა ჰონორიუსს. მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ, 410 წლის აგვისტოში, ჰონორიუსთან შესარიგებლად, მან დაამხო ატალუსი რავენის კედლების ქვეშ. მაგრამ ვინაიდან იმპერატორი მუდამ უარს აცხადებდა მასთან მოლაპარაკებაზე, ალარიხი შეტრიალდა რომისკენ 410 წლის აგვისტოში, აიღო ქალაქი და ბრძანება გასცა, რომ სამი დღის განმავლობაში გაეპარტახებინათ ის, გამუდმებით ხოცავდა ხალხს, წვავდა და ანგრევდა ეკლესიებს. შემდეგ მან მოისურვა აფრიკაში გალაშქრება, მაგრამ ვერ იშოვა ხომალდები და დაიღუპა კოსენტიაში.

[560] კლაუდიუსი გვიამბობს მსგავს ამბავს. ერთმა ქალაქელმა მოუწოდა ალარიხს ზომიერების გამოჩენისკენ, რაზეც მან მიუგო, რომ რაღაც ხმამ მოუწოდა წმინდა ხიდან, რომ გამგზავრებულიყო რომში (De bello Gothico, vv. 485-547).

[561] ზოსიმე – 417-418 წწ.; ბონიფაციუსი – 418-422 წწ.; ცელესტინუსი – 422-432 წწ.

[562] სოკრატე აკრიტიკებს ამ ტენდენციას, როგორც ამას აკეთებს კირილე ალექსანდრიელის შემთხვევაშიც (იხ. VII წიგნი, IV-V თავები).

[563] **δύο ἄρτους τῶν εὐλογιῶν.**

[564] ტროილოსის წრიდან ამ მჭევრმეტყველის მოხსენიება სოკრატეს მიერ იმის დასტურია, რომ თვითონ სოკრატესაც ჰქონდა კავშირები ამ წრესთან.

[565] ცეკვა ყოველთვის პოპულარული იყო ბიზანტიაში, მიუხედავად იმისა, რომ რიტორები და ეპისკოპოსები პერიოდულად გმობდნენ მას (იხ. The Oxford Dictionary of Byzantium, I, 582).

[566] პრეფექტი თეატრში ან სხვა სახალხო თავყრილობის ადგილებზე აკეთებდა საჯარო განცხადებებს, აქვეყნებდა დეკრეტებს, მის გადაწყვეტილებებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც კარნახობდა მის მდივნებს და აღასრულებდნენ მის პოლიციელების მიერ (შდრ. ამიანე მარცელიუსი, რომის ისტორია, XV, 7, 3-4).

[567] აპლოდისმენტები ეკლესიაში მრავალი წყაროთი დასტურდება (იხ. ევსები კესარიელი, საეკლესიო ისტორია, VII წიგნი, XXX თავი, - პავლე სამოსატელზე; ეგერია, მომლოცველობა, 46, 4, – იერუსალიმის ეპისკოპოსზე; იოანე ოქროპირი, იუდეველების წინააღმდეგ, I, 1; და სხვა).

[568] კირილე აქ მოქმედებს კანონის წინააღმდეგ, რომელიც კრძალავდა სინაგოგების წართმევას: კანონი გამოცემული თეოდოსი I-ის და მისი შვილების მიერ 393 წლის 29 ნოემბერს, ასევე არკადიუსის და ჰონორიუსის მიერ 397 წლის 17 ივნისს, ჰონორიუსის და თეოდოსი II-ის მიერ 412 წლის 26 ივლისს (იხ. თეოდოსის კოდექსი, XVI, 8, 12, 20). ასევე არის მრავალი მსგავსი კანონი გამოცემული ამის შემდეგ (იხ. G. Stemberger, Juden und Christen im Heiligen Land. Palastina unter Konstantin und Theodosius, Munich 1987, p. 126-129; K.L. Noetlichs, Die Juden im christlichen Imperium Romanum (4.-6. Jahrundert), Berlin 2001).

[569] ვინმე ადამანტიოს, სოფისტი და ფიზიოგნომისტი, ზოგადად ცნობილია IV საუკუნის პირველ ნახევარში (Dictionaire des Philosophes Antiques, I, p.

51-53). არაფერი იძლევა იმის მტკიცების საშუალებას ამ ორი პიროვნების იდენტიფიკაციისათვის, თუმცა არც ამის გამოსარიცხად.

[570] შესაძლებელია, რომ ეს ადამანტიოსი იყო სოკრატეს ცნობების წყარო ამ მოვლენების შესახებ.

[571] იხ. VI წიგნი, VII თავი.

[572] სოკრატეს გარდა, სხვა წყაროები ჰიპატიას შესახებ არის შემდეგი: არიანელი ისტორიკოსი ფილოსტორგე (საეკლესიო ისტორია, VIII, 9), რომელიც ამ მკვლელობაში ადანაშაულებს „თანაარსის“ მრწამსის მიმდევრებს; ნეოპლატონიკოს ფილსოფოსის დამასკიოსის „ისიდორეს ცხოვრება“, რომელიც პასუხისმგებლობას აკისრებს კირილეს; იოანე ნიკეელის „ქრონიკა“.

[573] პლოტინს არ დაუარსებია ალექსანდრიის სკოლა, არამედ ის თერთმეტი წლის განმავლობაში სწავლობდა ფილოსოფიას ალექსანდრიაში ამონიოს საკასთან.

[574] 408 წელს გამოცემული კანონის თანახმად (ამ მოვლენებამდე, რომლებიც განვითარდა 415 წელს), იუდეველებს ეკრძალებოდათ ჯვრის დაწვა პურიმის დღესასწაულზე (იხ. თეოდოსის კოდექსი, XVI, 8), რომელიც აღნიშნავდა გამარჯვებას იუდეველთა ბაბილონში გადასახლების დროს დედოფალ ესთერის მეშვეობით მათ გამარჯვებას ირანელ წარჩინებულ ამანზე,რომელიც მათ გაულეტას ლამობდა (იხ. ესთ. 8. 9-10). მრავალი ტექსტი მოწმობს იმაზე, რომ „იმ პერიოდის ქრისტიანები დარწმუნებული იყვნენ, რომ იუდეველები დასცინოდნენ ქრისტიანობას როგორც ამის შემთხვევა ეძლეოდათ” (Van Nuffelen, Un heritage, p. 399. cit in Sources Chretiennes, Paris, vol 506, p. 61, note 3).

[575] 419 წელს.

[576] ეს არის ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევა, როდესაც მოხსენიებულია ნოვაციანელი მონაზვნები (იხ. ასევე წიგნი I, თავი XIII), რომელთა სულიერ იდეალს წარმოადგენს იგივე, რაც უდაბნოს მონაზვნების და არა კონსტანტინოპოლელი მონაზვნების, რომლებზეც სოკრატე სიტყვასაც არ ძრავს.

[577] ე.ი. ხორცისგან. აქ ჩანს, რომ ხორცის ჭამისგან თავის შეკავება იყო მოტივირებული ცოცხალი არსების ჭამისადმი ზნეობრივი შეხედულებებით.

[578] ომი დაიწყო 414 წელს.

[579] ვაჰრამ I გორი მეფობდა 425-439 წწ. მისი დრო აღინიშნება ქრისტიანების სასტიკი დევნულებით.

[580] ეს ომი სპარსელების წინააღმდეგ შეიძლება იწოდოს, როგორც „პულქერიას ჯვაროსნული ომი“,რომელმაც მოიპოვა გავლენა ანთემიოსის პრეფექტურაზე (მან მიიღო ავგუსტას წოდება 414 წ. 4 ივლისს) და დაარწმუნა თეოდოსი, რომ გაეტარებინა შეუწყნარებელი პოლიტიკა იუდეველების, წარმართების და სპარსელების წინააღმდეგ (იხ. K. Holum, “Pulcheria’s Crusade A.D. 421-422 and the Ideology of Imperial Victory”, GRBS 18, 1977, p. 172).

[581] ამ დროს ანატოლი, magister militium per Orientem (აღმოსავლეთის არმიის მეთაური), გაემართა ჩრდილოეთის მიმართულებით ციხე-სიმაგრე კარინისკენ,რომელსაც ეწოდებოდა თეოდოსიპოლისი.

[582] ომის დაწყებამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე საიმპერიო ედიქტი მოუწოდებდა საზღვართან ახლოს მცხოვრებ მიწის მესაკუთრეებს, გაემაგრებია მათი სამფლობელოები (იუსტინიანეს კოდექსი, VIII, 10, 10, გამოცემულია 420 წლის 5 მაისს).

[583] „პასქალური ქრონიკის“ მიხედვით (Patrologia Graeca, vol. 92, 797 A), სპარსელებზე გამარჯვების ამბავი კონსტანტინოპოლში ჩავიდა 421 წლის 6 სექტემბერს.

[584] ალ-მუნდჰირი (სოკრატეს მიხედვით ალამუნდაროსი) ანტიოქიას თავს დაესხა 421 წელს.

[585] სომხურ ადაპტაციაში სხვაგვარად არის გადმოცემული: ეს იყვნენ სპარსელები, რომლებმაც წაუკიდეს ცეცხლი საალყო მანქანებს (Thomson, Armenian Adaptation, p. 200).

[586] ვიტანიოსი მოხსენიებულია „თეკლას სასწაულებში“ როგორც სარდალი, „რომელმაც არცთუ მცირე ახოვნება გამოიჩინა სპარსელებზე გამარჯვების მოპოვებისას“.

[587] თუ სოკრატე ზუსტ ცნობებს გვაწვდის, ამ კურიერს უნდა შეესრულებინა თხუთმეტგზის მოგზაურობა, თითოეული დაახლოებით 500 კმ.

მანძილის, რაც მეტად ძნელი იყო. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სასწრაფო დეპეშის გადაცემისას იმ დროს კურიერი ფარავდა დღეში 100 კმ-ს; ხოლო ძალიან სასწრაფო დეპეშის შემთხვევაში რომალებთანაც და სპარსელებთანაც არსებული ესტაფეტების სამსახურს შეეძლო მიეღწია 240 კმ.-მდე (იხ. M. Giebel, Reisen in der Antike, Dusseldorf 1999, p. 142).

[588] ეს მოხდა 422 წელს.

[589] მშვიდობის ასეთი სურვილი სინამდვილეში გამოწვეული იყო მძიმე მდგომარეობით, რომელშიც აღმოჩნდნენ რომაელები 421 წელს თავ დასხმის და თრაკიაში ჰუნების შემოჭრის გამო, რასაც ადასტურებს მარცელინუსი „ქრონიკებში“, 422, 2.

[590] ჰელიონის თანამდებობა იყო comes et magister officiorum. ის ასევე მოხსენიებულია XXIV თავში.

[591] პროკოპის აქებს სპარსელებზე მოპოვებული ამ გამარჯვებების გამო სიდოინოს აპოლინარი, თავის ანთიმოზისადმი მიძღვნილ პანეგირიკში. იგი ატარებდა პატრიციის წოდებას და ასევე იყო magister militium per Orientem 422 წელს. ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს ეს ბრძოლა ნაკლები მნიშვნელობისა იყო, მაგრამ საიმპერიო დოკუმენტები და პოემები, რომლებიც მას აღწერენ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მას.

[592] ეს მოხდა 422 წელს, 300-ე ოლიმპიადის არა მეოთხე, არამედ მეორე წელს. ზავი არ მოყოლია ამ გამარჯვებას, არამედ უბრალოდ აღდგა statu quo ante საზღვრებთან, სარკინოზებთან მოკავშირებასა და რელიგიურ შემწყნარებლობასთან დაკავშირებით. რომაელები აგრძელებდნენ გადახდას სპარსელებისთვის კავკასიის დასაცავად, რომლის გავლითაც ჰუნების შემოჭრის საშიშროება იყო.

[593] ჩვეულებრივ, ასე ეპყრობოდნენ სამოქალაქო ტყვეებს, რომლებიც პირდებოდნენ რომაელ ჯარისკაცებს გამოსასყიდის გადახდას.

[594] ეპისკოპოსის ეს საქციელი არ იყო გამონაკლისი ეკლესიის ისტორიაში. წმ. კირილე იერუსალიმელი მწვალებელმა არიანელებმა გადააყენეს ეპისკოპოსობიდან იმ ბრალდებით, რომ მან გაყიდა საეკლესიო საღვთისმსახურო ჭურჭლები, სამღვდელო შესამოსლები და მასში აღებული საფასურით გაჭირვებულ ხალხს ეხმარებოდა. ასევე წმ. იოანე ოქროპირის წინააღმდეგ

„მუხის“ კრებაზე წაყენებული ერთ-ერთი ბრალდება იყო, რომ მან საღვთისმსახურო ბარძიმები გაყიდა და ღარიბებს დაურიგა, ამავე რჩევას გვაწვდის იგი „მათეს სახარების განმარტებების“ 50-ე თავში (PG 58, 508-509). მსგავსადვე გვარიგებს წმ. ამბროსი მედიოლანელიც (De officiis, II, XXVIII). აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ამიდის ეპისკოპოსი აკაკი საეკლესიო საჭურჭლის საფასურად ეხმარება არა მის ერთმორწმუნე ქრისტიანებს, არამედ სხვა სარწმუნოების ადამიანებს, ამ შემთხვევაში ცეცხლთაყვანისმცემლებს და თანაც მისი სამშობლოს, რომის იმპერიის დაუძინებელ მტრებს, სპარსელებს.

[595] არცერთი ეს ტექსტი არ შემონახულა ბერძნულად, მაგრამ, ეჭვგარეშეა, მათ იცნობდა სოკრატე. აღსანიშნავია, რომ სოკრატესთან, როდესაც საუბრობს ღმერთის ჩარევაზე და მის მიერ რომაელებისთვის გამარჯვების მინიჭებაზე (თავი XVIII; თავი XIX), არ ვხვდებით ალუზიას გამარჯვების ქრისტიანულ იდეოლოგიაზე, რომელიც ამ გამარჯვებას აიგივებდა გოლგოთაზე ქრისტეს გამარჯვებასთან. ამის საპირისპიროდ, პულქერიას ინიციატივით მოჭრილი იქნა მონეტები, რომლებზეც გამოსახულ იქნა გამარჯვება, რომელსაც უპყრია მაღალი ძვირფასი თვლებით შემკული ჯვარი, იმის მსგავსი, რაც მან და მისმა ძმამ წარგზავნეს იერუსალიმში გოლგოთაზე დასადგმელად. (იხ. თეოფანე, ქრონოგრაფი, გვ. 86-87).

[596] ევდოკია დაქორწინდა 421 წ. 7 ივნისს, ხოლო ავგუსტად გამოცხადებულ იქნა 423 წ. 2 იანვარს. ერთი პერიოდი მისმა გავლენამ გადააჭარბა პულქერიისას. მისი ბიძა პრეტორიის პრეფექტი იყო 423-425 წწ., თვითონ ის კი, შეიძლება ითქვას, რომ იმყოფებოდა გავლენიანი პოლიტიკური დაჯგუფების თავში. მაგრამ სასახლის ინტრიგების შედეგად ეჭვმიტანილ იქნა პრეტორიის პრეფექტ პავლინესთან ღალატში და გაემგზავრა იერუსალიმში 440-441 ან 443 წ., სადაც გარდაიცვალა 460 წლის 20 ოქტომბერს.

[597] სოკრატე ერთდერთია ბიზანტიელ ისტორიკოსებს შორის, რომელიც ერთ თავს უძღვნის იმპერატორის დახასიათებას და ზოგადად წარმოადგენს მას, როგორც არცთუ ისე დიდ პიროვნებას და საჭურისების გავლენის ქვეშ მყოფს, რომელსაც იმეორებდა მომდევნო თაობების ისტორიოგრაფია, როდესაც მას ახსენებდა.

[598] იმპერატორის შესხმა გადმოცემულია შესხმიდან და ბიოგრაფიის კლასიკური სქემით: წარმომავლობა, აღზრდა-განათლება, ცხოვრების წესი, პიროვნული ღირსებები, საზოგადოებრივი ღირსებები, როგორც ხელისუფლის ღირსებები.

[599] აქ სოკრატე ცდილობს გაამართლოს იმ ტერმინების გამოყენება, რომლებსაც არ იყენებდნენ ანტიკური ხანის ისტორიკოსები. იგი იყენებს ტერმინებს, რომლებიც დიდი ხნის წინ იყო ქრისტიანების მიერ შემოღებული (იხ. „დიდაქე", 8, 1). იგი ასევე განმარტავს ტერმინ „ანათემაზე გადაცემას" XXXIV თავში, თუმცა მრავალგზის აქვს ის გამოყენებული წინა წიგნებში, ისევე, როგორც განმარტავს ტერმინ „სინაგოგას" VII წიგნის XIII თავში.

[600] ეს დები იყვნენ: პულქერია, არკადია და მარინა. სოკრატე არ ახსენებს პულქერიას, რომელმაც 412 წლიდან გააძევა საჭურისი ანტიოქოსი, რომელიც იმ დროს დაკავებული იყო ყმაწვილი თეოდოსის აღზრდა-განათლებით, და ხელში აიღო ოჯახური საქმეების მართვა, სანამ შეუდგებოდა სახელმწიფო საქმეებს. მისი ხსენების გამოტოვება იმის მანიშნებელია, რომ სოკრატე მიეკუთვნებოდა იმ პარტიას, რომელიც არ იწონებდა ავგუსტას ამ ქმედებებს. აქვე აღსანიშნავია, რომ სოკრატე საუბრობს სასახლის მონასტრად გადაქცევაზე მას შემდეგ, რაც ახსენებს იმპერატორის ქორწინებას. ევდოკიამ მისი ქორწინების პირველ წლებში თეოდოსის აჩუქა ორი ქალიშვილი: ლიკინია ევდოქსია და ფლაკილა. ჩანს,რომ 431 წლის შემდეგ პულქერიას მაგალითმა და მისმა მონაზვნურმა გატაცებებმა გავლენა მოახდინეს თეოდოსიზე და მან გაიზიარა ცხოვრების ეს წესი, რომელსაც ის ეწეოდა ქორწინებამდე და შემდეგ საქორწინო კავშირები დაარღვევინა მეუღლესთან (Holum, Theodosian Empresses, p. 178).

[601] იხ. თეოდორიტე კვირელი, საეკლესიო ისტორია, წიგნი V, თავი XXXVI.

[602] თეოდოსის ღვთისმოსაობა თვალსაჩინოა იმ ტექსტებში, სადაც ის საუბრობს მის სახელმწიფო მოვალეობებზე, მაგალითად, ეფესოს კრების მოწვევის ეპისტოლეში, ან მის მიერ 438 წლის 31 იანვარს გამოცემული 3-ე ნოველის პირველი სტრიქონები.

[603] პტოლემეოს II (ჩვ.წ. აღ.-მდე 285-246 წ.წ.) დიდი სურვილი ჰქონდა გაემდიდრებინა ალექსანდრიის ბიბლიოთეკა, დაარსებული მისი მამის მიერ,და მასში შეიტანა 20 000 ტომი (იხ. A. Bernand, Alexandre la Grande, Paris 1966, p. 118).

[604] იხ. წიგნი III, თავი XIX.

[605] შდრ. სოძომენეს დახასიათება: „ოდესმე არსებულ საუკუნეთა შორის

მხოლოდ შენი ხელმწიფების მთელი ჟამი იქადის უსისხლობით და არის მკვლელობით შეუბღალავი“ (საეკლესიო ისტორია, სიტყვა იმპერატორ თეოდოსის მიმართ და საეკლესიო ისტორიის თემა). მიუხედავად ამისა, თუ დავიჯერებთ მარცელინუსს („ქრონიკები“, 440, 1), 440 წელს თეოდოსიმ სიკვდილით დასაჯა ერთ-ერთი მისი სიყმაწვილის მეგობარი, magister officiorum პავლინე, რომელიც ეჭვმიტანილ იქნა მის მეუღლესთან ევდოკიასთან ღალატში. ნებისმიერ შემთხვევაში ეს მოვლენა სცილდება სოკრატეს მიერ აღწერილ მოვლენების პერიოდს.

[606] განსხვავებით გვიანდელი პერიოდის ევროპული პრაქტიკისაგან, რომის (იგივე ბიზანტიის) იმპერიაში სიკვდილით დასჯა სრულდებოდა ქალაქის კედლებს გარეთ, როგორც ეს მოხდა ქრისტეს დასჯის შემთხვევაშიც.

[607] ჰონორიუსი გარდაიცვალა 423 წ. 15 აგვისტოს (შდრ. მარცელინუსი, ქრონიკები, 423, 5). ასკლეპიოდოტოსი იყო დედოფალ ევდოკიას ბიძა, პრეტორიის პრეფექტის თანამდებობა ეკავა 423-425 წწ. იგი გამოირჩეოდა ცოტა მეტი პოლიტიკური შემწყნარებლობით იუდეველებისა და წარმართების მიმართ. თუმცა მკაცრი კანონები იქნა გამოცემული მათ წინააღმდეგ, მან განაახლა აკრძალვა, მათი ქონების კონფისკაცია ან სინაგოგების დაწვა (თეოდოსის კოდექსი, XVI, 8; 423 წ. 15 თებერვლის და 9 აპრილის კანონები) და, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელს არ წამდა, რომ წარმართები კიდევ არსებობდნენ (423 წ. 9 აპრილის კანონი), ის ითხოვდა ქრისტიანებისგან: „არ გაბედონ მათი სარწმუნოების ავტორიტეტის შეურაცხყოფის მიზნით ხელი ახლონ იუდეველებს და წარმართებს, რომლებიც ცხოვრობენ მშვიდად და არაფერს ჩადიან ამბოხის წამოსაწყებად ან კანონის წინააღმდეგ“ (თეოდოსის კოდექსი, XVI, 10, 24; 423 წ. 8 ივნ. კანონი).

[608] ამ თავში უზურპატორზე გამარჯვების მოპოვებისა და მომდევნო ამბების თხრობისას სოკრატე ხშირად მოიხსენიებს თეოდოსის „ავტოკრატორის“ (თვითმპყრობელის) ტიტულით, რომელიც იყო რომაული იმპერატორის ექვივალენტი, მაშინ, როცა ის, ჩვეულებრივ, იყენებს ტერმინ „ბასილევსს“. შესაძლოა, ეს აღნიშნავს მის მეომრულ ღირსებებს, ან მის აღმატებულებას ვალენტინიანე III-ზე, რომელსაც ეწოდა „კეისარი“. ანდა შესაძლოა, მან ეს გადაიღო რომელიმე წყაროდან, რომლითაც სარგებლობდა ამ ამბების გადმოცემისას.

[609] იოანე განაგებდა დასავლეთს 423-425 წწ. ჰონორიუსის გარდაცვალების შემდეგ სენატმა ის აღიარა და ჯარმა სცნო, მაგრამ თეოდოსი II-მ

უარი განაცხადა მის ცნობაზე და ომი გამოუცხადა.

[610] იოანემ კარგად მიიღო არდაბურიოსი, მაგრამ მან ისარგებლა ამ თავისუფლებით და იოანეს წინააღმდეგ აამხედრა მისი ძველი გენერლები. როდესაც მოვიდა ასპარი, ცხენოსანი ჯარის თანხლებით, იოანე შეპყრობილ იქნა ბრძოლისას. იგი გაგზავნეს აკვილეაში (სადაც იმყოფებოდა ვალენტინიანე III) და მოკლეს ჰიპოდრომზე მას შემდეგ,რაც მოკვეთეს ხელი და შეურაცხყოფა მიაყენეს (იხ. ფილოსტორგე, საეკლესიო ისტორია, XII, 13; და პროკოპი, ვანდალებთან ომის შესახებ, I, 3.).

[611] კონსტანციუს III იმპერატორი იყო 421 წ. 8 თებერვლიდან 2 სექტემბრამდე (შდრ. ოლიმპიოდორე ფოტიოსის „ბიბლიოთეკაში“, 80, 61). ვალენტინიანე შემოსილ იქნა კეისრის მოსასხამით ხუთი წლის ასაკში, 425 წ., რეგენტობას წევდა დედამისი პლაკიდია (Ibid., 63; ფილოსტორგე, XII, 12-13).

[612] იოანიტების პირველი შემორიგება მოხდა 409 წ. დასასრულს. სინეზიოს კვირინელის მოწმობით, თეოფილე ალექსანდრიელმა თვითონ მისწერა ატიკოსს და მოუწოდებდა, თანაზიარებაში მიეღო ისინი (67-ე ეპისტოლე). მაგრამ იოანე ოქროპირის დიპტიხში შეყვანა მოხდა 414 წელს. ატიკოსი არ გადადგამდა ამ ნაბიჯს, როგორც მოწმობს თეოდორიტე და პაპ ინოკენტის ერთი ეპისტოლე, ეს რომ არ ყოფილიყო აღმოსავლეთის ეკლესიების მასთან შერიგების წინაპირობა (იხ. თეოდორიტე კვირელი, საეკლესიო ისტორია, წიგნი V, თავი XXXIV; ინოკენტის 22-ე ეპისტოლე ატიკოსის მიმართ და ატიკოსის 23-ე ეპისტოლე ინოკენტის მიმართ, Patrologia Latina, vol. 20, 543C-564 A). წერილი, რომელიც მან მისწერა კირილე ალექსანდრიელს, რომ მასაც იგივე გაეკეთებინა, აჩვენებს, თუ რამდენად ნაკლები ენთუზიაზმი ჰქონდა მას ამ საქმის მიმართ. იგი აღნიშნავს ამ წერილში, რომ ის იძულებული იყო, მისი სახელი შეეტანა დიპტიხში,მაგრამ აქვე მიუთითებს ამ აქტის შეზღუდვებზე: მან გააკეთა იოანეს მოხსენიება, როგორც ამას იქმს ყველა ეპისკოპოსის, მღვდლის, ერისკაცის თუ ქალის გამო, მაშინ, როცა ის არ არის სამღვდელო ხარისხს ზიარებულთა შორის აღრაცხული; და მისი მოხსენიება ლოცვაში არანაირ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ატარებს, ისევე, როგორც საულის საფლავი იჩრდილება დავითის საფლავის მიერ, ან კონსტანტინოპოლის არიანელი ეპისკოპოსის ევდოქსიოსის მოციქულთა მიერ, რომელთა ეკლესიაშიც ასვენია (75-ე ეპისტოლე, Patrologia Graeca, vol. 77, 349-352). კირილემ თავის პასუხში პუნქტობრივად გააპროტესტა ამ ქმედების ასეთი გამართლება: იოანე, რომელსაც ის იუდას ადარებს, უკვე შეტანი-

ლი იყო ეპისკოპოსთა სიაში და სწორედ მან ამოიღო ის იქიდან (76-ე ეპისტოლე, 352-360).

[613] ამ ეპისტოლეში კიდევ ერთხელ ვართ მოწმე იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვან სარწმუნოებრივ ღვაწლად მიიჩნეოდა მოწყალების გაღება და გაჭირვებულებზე ზრუნვა ეკლესიის მიერ, და ის აღიქმება ეპისკოპოსის და სასულიერო პირების მოვალეობად. ქველმოქმედება მით უფრო მაღალ ღირსებას ატარებს, როდესაც არ იზღუდება რელიგიური ნიშნით და ის ყველა სარწმუნოების მატარებელზე თანაბრად ვრცელდება.

[614] აქ ჩანს, რომ სოკრატე იწონებს ნაკლებად განათლებული და განხეთქილების გამომწვევი ნოვაციანელების წინააღმდეგ ეპისკოპოსის მიერ მიღებულ ზომებს, მაშინ, როცა ის ყოველთვის სიმპათიით არის განწყობილი ზოგადად ნოვაციანური ეკლესიისადმი. ასევე საინტერესოა, თუ როგორ ცდილობს ეპისკოპოსი აღკვეთოს ხალხის მიერ არამართებულ საფუძველზე პიროვნების წმინდანად აღიარების მცდელობა.

[615] იხ. სტრაბონი, გეოგრაფია, XII, 4, 2; ნიკოლოზ დამასკელი, საბერძნეთის ისტორია, ფრაგმენტები, 90 F 89; ქსენოფონე, ანაბაზისი, VI, 3, 16; 6, 38; ჰელენიკები I, 1, 22.

[616] აქ არის სიტყვების თამაში: „არგიროპოლის“ – სიტყვ. ვერცხლის ქალაქი, „ქრიზოპოლისი“ – ოქროს ქალაქი.

[617] ჩანს, ნოვაციანელთა ჰენიტენციალურმა დოქტრინამ განვითარება განიცადა დროთა განმავლობაში, რადგან ისინი უშვებდნენ ცოდვების სინანულს, როდესაც ამას მიანდობდნენ ღმერთის მიერ მიტევების სასოებას, თუმცა, ყოველთვის უარს ეუბნებოდნენ მათ შემორიგებაზე. ამრიგად, ისინი ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ მსუბუქ და მძიმე ცოდვებს, რომელთა შორის იყო დიდი ხნის განმავლობაში მიუტევებლად მიჩნეული სამი ცოდვა: განდგომილება, კაცის კვლა და მრუშობა (იხ. რ. გრისონი, შესავალი, ამბროსი მედიოლანელის „სინანულის შესახებ“-თვის, პარიზი 1971, Sources Chretiennes 179, p. 21).

[618] ატიკოსი გარდაიცვალა 425 წლის 10 ოქტომბერს, ხოლო ვალენტინიანეს იმპერატორად გამოცხადება კონსტანტინოპოლში მოხდა იმავე წლის 23 ოქტომბერს (შდრ. მარცელინუსი, ქრონიკები, 425, 2; პასქალური ქრონიკა, 425, Patrologia Graeca 92, 797 B).

[619] ეს მოხდა 426 წელს.

[620] მრევლის გაყოფა გამოიწვია იოანიტების დაჯგუფების დაჟინებულმა მოთხოვნამ, რომ გაექვანათ ეპისკოპოსად ფილიპე სიდელი,იოანე ოქროპირის ადრინდელი დიაკონი; და ასევე ანტი-იოანიტებისამ, რომლებმაც წამოაყენეს ატიკოსის მოწაფის, პროკლეს კანდიდატურა. სისინიოსი, რომელიც გადმოვიდა ერთ-ერთი გარეუბნის ეკლესიიდან და გამოირჩეოდა თავისი ქველმოქმედებით, წარმოდგენილ იქნა კანდიდატად ამ ორ პარტიას შორის კომპრომისის მიღწევის შედეგად.

[621] ფილიპე სიდელის „ქრისტიანობის ისტორია“ შემორჩენილია ფრაგმენტების სახით. მისი სახით ავტორს სურდა შეედგინა „ნამდვილი ქრისტიანული ენციკლოპედია, რომელიც მოიცავდა „კვადრივიუმის“ საგნებს (გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, ასტრონომია) და გეოგრაფიას, ყველაფერი ორგანიზებულია „მოსეს ისტორიის“ გარშემო” (H. Inglebert, Interpretatio christiana, Paris 2001, p.538).

[622] ეს კანონი ჩვენამდე არ შემონახულა, ის უნდა ყოფილიყო არკადიუსის ან თეოდოსი II-ის მიერ გამოცემული, თუ ის საერთოდ არსებობდა. დედაქალაქის ეპისკოპოსის პრივილეგია არ ვრცელდებოდა კონსტანტინოპოლის ახლოს მდებარე რეგიონის გარეთ, ამ შემთხვევაში ჰელესპონტამდე.

[623] ეს მოხდა 427 წ.

[624] მიუხედავად ასეთი დახასიათებისა,მოიპოვება ცნობები,რომ სისინიოსმა ურჩია პამფილიის ეპისკოპოსებს შეევიწროებინათ მესალიანელები (შდრ. ფოტიოსი, ბიბლიოთეკა, 52). თუმცა, რომის პაპი ცელესტინუსი ერთ-ერთ მის წერილში მას აქებს, როგორც „მტრედის უბრალოებისა და გველის სიბრძნის“ მქონეს. მარცელინუსი კი მას უწოდებს: უბრალოების წმინდა კაცი და სიწმინდის უბრალო კაცი“ (vir sanctae simplicitatis et simplicis sanctitatis, ქრონიკები, 426).

[625] ეს მოხდა 428 წ.

[626] 428 წლის 30 მაისს ნესტორის ჩაგონებით გამოცემული კანონი სხვებთან ერთად ნოვაციანელებსაც და საბატიანელებსაც უკრძალავდა ახალი ეკლესიების აგებას (თეოდოსის კოდექსი, XVI, 5, 65). მაგრამ სოკრატე აღნიშნავს, რომ მათ მთავრობაში მაღალ თანამდებობზე ჰყავდათ მფარველე-

ბი. თეოდოსი II-ის ანტიერეტიკული კანონმდებლობის შესახებ იხ. B. Luibheid, "Theodosius II and Heresy", *JEH* 16, 1965, p.15-38.

[627] ნესტორის ეს შეჭრები კონსტანტინოპოლის გარეთ მიუთითებს იურისდიქციული საზღვრების გაფართოვებაზე: დედაქალაქის ეპისკოპოსი იმპერატორის შეწევნით მიზნად ისახავს გადაჭრას აღმოსავლეთ საქრისტიანოში არსებული დოგმატური პრობლემები (იხ. Dagron, naissance d'une capitale, p. 470-471).

[628] 406-407 წლებიდან მოყოლებული ბურგუნდიელები სახლობდნენ რაინის ნაპირებზე, სადაც ისინი მიიღო კონსტანტინე III, როგორც მის შემადგენლობაში შემავალი „ვორმების" სამეფო. სოკრატემდე რამდენიმე წლით ადრე, ოროზიუსი წერდა, რომ ბურგუნდები „ცოტა ხნის შემდეგ გახდნენ კათოლიკე სარწმუნოების მქონე ქრისტიანები" (ისტორიები წარმართების წინააღმდეგ, VII, 32), რაც თანამედროვე მეცნიერებისთვის უფრო და უფრო მისაღები ხდება (იხ.E. Ewig, art. Burgunder, Lexikon fur Theologie und Kirche, II, 790; K. Schaferdier, "Germanenmission", RAC 10, 508-510). 443 წელს საპავდიაში დასახლების შემდეგ ბურგუნდიელებმა ვესტ-გუთებთან ურთიერთობის შედეგად მიიღეს 360 წელს კონსტანტინოპოლში დამტკიცებული არიანული (უფრო სწორად „ჰომიანური") აღმსარებლობა, კათოლიკე სარწმუნოებას დაუბრუნდნენ ავიტიუს ვიენელის მიერ 505 წელს.

[629] უპტარი (ან ოქტარი) გარდაიცვალა 430 წელს. ის იყო ატილას ბიძა.

[630] ეს მოხდა 430 წელს.

[631] აქ პირველად გვხვდება ტერმინი „პატრიარქი" კონსტანტინოპოლის საყდრის ტიტულატურის აღსანიშნავად გამოყენებული.

[632] შდრ. მარცელინუსი, ქრონიკები 429, 1.

[633] 428 წლის 30 მაისს გამოცემული ერთი კანონი უკრძალავს მაკედონიანელებს ეკლესიების ფლობას "intra civitatem" (ქალაქის შიგნით) (თეოდოსის კოდექსი, XVI, 5, 65).

[634] 2 კორ. 5, 16.

[635] ებრ. 6, 1.

[636] აქ იგულისხმება სიტყვა „ღვთისმშობელი“. სოკრატე მართებულად ათავისუფლებს ნესტორს პავლე სამოსატელის მიბაძვის ბრალდებისაგან. ეს ბრალდება ფიგურირებდა გამუდმებით დედაქალაქის სასულიერო პირების მიერ ეკლესიაში გაკეთებულ განცხადებაში.

[637] 1 იოან. 4,3.

[638] ე.ი. განკაცებული იესო ქრისტეს პიროვნებისაგან. სოკრატე აქ ახდენს ამ ადგილის განსხვავებულ ციტირებას. თუ სიტყვა „ვინც განაცალკევებს“ მოცემულია ახალი აღთქმის ზოგიერთ ხელნაწერში, უმეტესობა მათგანში გვხვდება „ვინც არ აღიარებს“, და არცერთში არ არის **ἀπὸ τοῦ Θεοῦ** (ღვთისგან) არამედ მხოლოდ **ἐκ τοῦ Θεοῦ** (იგივე „ღვთისგან“ მაგრამ აქ მიუთითებს ღვთისგან წარმომავლობას, თუ მოვლინებას).

[639] ევსები კესარიელი, კონსტანინეს ცხოვრება, წიგნი III, 43.

[640] ორიგენეს რომაელთა მიმართ ეპისტოლეზე დართულ განმარტებებში (რომელიც შემონახულია რუფინუსის ლათინური თარგმანის სახით) ვერ ნახავთ სწავლებას, რომ მარიამი არის ღვთის დედა, მაგრამ ის რომ. 1, 3 („მისი ძის“) განმარტებისას ამტკიცებს მის საღვთო ბუნებას, ვინც არის „დავითის თესლი“ (I, 7, Der Romenbriefkommentar des Origenes, Buch 1-3, ed. C. Hannond Bammel, Fribourg 1990, p. 56-61).

[641] სოკრატეს ირონიული დასკვნის საწინააღმდეგოდ ერთ-ერთი ხელნაწერის გადამწერი აშიაზე დაურთავს სქოლიოს: „ის არა მხოლოდ გამონათქვამის წინააღმდეგ იყო, არამედ სრულიად უარყოფდა, რომ ის, ვინც იშვა, იყო ღვთისგან; ვინაიდან ის, ვინც იშვა ქალწულისგან, არის იგივე ჯვარცმული, ის, ვინც არის დიდების უფალი: „მათ რომ სცოდნოდათ, ისინი ჯვარს არ აცმევდნენ დიდების უფალს“ (1 კორ. 2, 8). მაგრამ ნესტორი ამბობდა: „ნუ იკვეხნი, იუდეველო, შენ ჯვარს არ გიცვამს ღმერთი“, თითქოს დიდების უფალი არ იყო ჯვარცმული.“

[642] 341 წ. ამ კრების შესახებ იხ. Acta conciliorum oecomenicorum, I, ed. E. Schwartz, Berlin 1924-1929; C. Fraisse-Coue, in C. et L. Pietri (dir), Histoire du Christianisme II. Naissance d’une chretiente, Paris 1995, p. 517-542; P. Maraval,Le christianisme de Constantin a la conquete arabe, Paris 2005, p. 358-362; აქ განხილულ სადავო საღვთისმეტყველო საკითხებზე იხ. Grillmeier, A., Christ in Christian Tradition, trans. J. Bowden, vol. 1, London: Mowbrays, 1975. კრებასთან დაკავშირებული მოვლე-

ნების სოკრატესეული თხრობა არის მეტად შემოკლებული შეჯამება და, ხშირ შემთხვევაში, არაზუსტი. იგი არაფერს ახსენებს კრების მსვლელობაში საიმპერიო კარის, განსაკუთრებით, პულქერიას ჩარევის შესახებ.

[643] ეს ედიქტი გამოვიდა 430 წლის 19 ნოემბერს.

[644] **πολλῶν θεολογούντων τὸν Ἰησοῦν** – სიტყვ. მრავალი ღვთისმეტყველებდა იესოს. IV საუკუნიდან არიანული დავების დროს ტერმინმა „ღვთისმეტყველება“ შეიძინა სპეციფიური მნიშვნელობა და ის გამოიყენებოდა იესო ქრისტეს ღვთიურობის (იხ. ევსები კესარიელი, საეკლესიო ისტორია, I, 2), ან ნიკეელ მამებთან, უფრო კონკრეტულად, მამა ღმერთთან მისი თანაარსობის გამოსახატად. სწორედ ამიტომ ეწოდება იოანე მახარებელს ღვთისმეტყველი, რომ მის სახარებაში ყველაზე მეტად არის გამოკვეთილი იესოს საღვთო ბუნება.

[645] ნესტორის ეს განცხადება ჩაწერილი აქვს კრებას 22 ივნისს გამართულ სხდომაზე, თეოდოტე ანკვირელის მიერ, შემდეგი სახით: „მან თქვა, რომ უარს აცხადებდა ელაპარაკა ღმერთის კვებაზე და ქალწულისაგან შობაზე“ (ოქმი 53).

[646] მისი განყენება მოხდა 22 ივნისს კირილეს მიერ გამართულ პირველ სხდომაზე.

[647] აქ ცდება სოკრატე: მხოლოდ იოანეს ჩამოსვლისას გამართულ სხდომაზე მოხდა ეს განყენება, ნესტორის განყენებიდან რამდენიმე დღის შემდეგ (26 ივნისს); მან ასევე განაყენა ყველა ეპისკოპოსი, ვინც მონაწილეობდა 22 ივნისის სხდომაზე.

[648] ეს განყენება მოხდა 16-17 ივლისს გამართულ სხდომაზე.

[649] ნესტორი, ეპისტოლე სქოლასტიკოსისადმი. მან აღიარა, რომ ქალწული არის ღვთის დედა და ადამიანის დედა, მაგრამ დააზუსტა, რომ მარიამი იყო რა ქმნილება, არ ძალუძდა მუცლად ედო ღმრთეება. ის ასევე იცავდა ფორმულას „ქრისტეს დედა“, რაც მოიცავდა ორივე ბუნებას.

[650] ნესტორი პირველად დააბრუნეს ანტიოქიაში, მაგრამ მოგვიანებით გადაასახლეს პეტრაში, შემდეგ კი – ოაზისში. ის გადასახლებიდან უკან დაბრუნდა 451 წელს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა.

[651] თარიღი არ არის ზუსტი. კირილემ ექვსი სხდომა ჩაატარა ივლისში და კრება ოფიციალურად არ დაშლილა 31 ოქტომბრამდე.

[652] ეს მოხდა ტარსუსში გამართულ კრებაზე, სადაც აღმოსავლელებმა განკვეთეს კირილე და მისი მომხრეები.

[653] ეფესოს კრების შედეგის საფუძველზე შეთანხმება მოხდა დიდი ხნის შემდეგ, 433 წელს.

[654] შდრ. წიგნი VII, თავი XXXII. 431 წლის 5 ივლისს წმინდა სოფიას ტაძარში ყველამ აღიარა მარიამი ღვთისმშობლად და ნეტორი განკვეთილად. მაგრამ ძირითადად იყვნენ მონაზვნები და სასულიერო პირები (იხ. თეოდორიტე კვირელის ეპისტოლე ალექსანდრე ჰიეროპოლელის მიმართ).

[655] ეს მოხდა 431 წელს.

[656] იხ. ევსები კესარიელი, საეკლესიო ისტორია, წიგნი VI, თავი XI.

[657] თვით სოკრატეს მიერ მოხმობილი მაგალითები მიუთითებს, რომ ეპისკოპოსების გადაყვანა არ იყო უგულებელსაყოფი საქმე. ასე რომ, ეს განურჩევლობა სოკრატეს მხრიდან მხოლოდ მის ტენდენციურობაზე მეტყველებს (იხ. H. Hess, The Early Development of Canon Law and the Council of Serdica, Oxford 2002, p. 162-167).

[658] ანტიოქიის კრების მე-18 კანონი. მაგრამ სოკრატე არ ახსენებს ნიკეის კრების მე-15 კანონს, რომელიც კრძალავს გადაყვანებს. თუმცა, სოკრატეს მიერ ნახსნებ შემთხვევებში ჩანს ხალხის ნება რამდენად გადამწყვეტ როლს ასრულებდა ეპისკოპოსის არჩევნებსა და მის შემდგომ მიღებაში.

[659] იხ. პაპა ბონიფაცის მიერ რუფუს თესალონიკელისადმი მიწერილი მე-6 და მე-7 ეპისტოლეები (419 წ.). პერიგენე ესწრებოდა ეფესოს კრებას და მიეკუთვნებოდა კირილეს მომხრეთა დაჯგუფებას.

[660] სოკორატე აქ ასწორებს მის მიერ IV წიგნის XI თავში დაშვებულ უზუსტობას, მაგრამ კვლავ არაზუსტი მონაცემით: გრიგოლი არასოდეს ყოფილა ნაზიანზის ეპისკოპოსი, არამედ მხოლოდ გარკვეული პერიოდი ზრუნავდა ადგილობრივ ეკლესიაზე მამამისის გარდაცვალების შემდეგ.

[661] იხ. წიგნი II, თავი XLIV.

[662] იოანე პროკონესელი ესწრებოდა ეფესოს კრებას. ამ პიროვნების შესახებ იხ. S. Destephen, Diocese d'Asie, p. 604-605.

[663] აქ იგულისხმება „ლავსაიკონის" ავტორი. მხოლოდ სოკრატე ახსენებს მის გადაყვანას.
[664] აზიის პროვინციაში არ არსებობდა აპამეის საეპისკოპოსო. აქ იგულისხმება პისიდიის აპამეა.

[665] ოპტიმუსი მონაწილეობას იღებდა, შემდეგ კი იცავდა 381 წლის კონსტანტინოპოლის კრებას (იხ. თეოდოსის კოდექსი, XVI, 1, 3). აგდამეა არის იგივე გდანმაა ან გადამაუა.

[666] **τρίβων** ტარება ნიშნავდა, რომ ესა თუ ის პირი მისდევდა ინტელექტუალურ პროფესიას, იყო რიტორი ან ფილოსოფოსი

[667] „შეპყრობა" აშკარად იმაზე მიუთითებს, რომ ის ეპისკოპოსად ხელდასხმულ იქნა მისი ნების წინააღმდეგ, რაც იმ დროს ხშირი პრაქტიკა იყო (შდრ. წიგნი IV, თავი XXIII). ეს ადგილი ასევე იმაზე მეტყველებს, რომ მოხდა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის იურისდიქციის გაფართოება, რომელიც უკვე ეპისკოპოსებს ნიშნავს თრაკიაშიც, ისევე როგორც ჰელესპონტში. (იხ. Dagron, Naissance d'une capitale, p. 471-472).

[668] აქ კიდევ ერთხელ ნათლად ჩანს, რომ ეკლესიაში ხალხი ითხოვს და ღებულობს ეპისკოპოსს და ის არ ინიშნება „ზემოდან" ხალხის ნების დაუკითხავად.

[669] ეს სასწაული არ მიეწერება სილვანუსს ბერძნულ ჰაგიოგრაფიაში, მაგრამ ის ნახსნებია Martirologe Romain 2 დეკემბერს.

[670] აქ ეპისკოპოსი უარს ამბობს იმპერატორ კონსტანტინეს მიერ დაწესებულ audientia episcopalis (საეპისკოპოსო მოსმენა), რომელიც ასევე დაკანონებულ იქნა ვალენტინიანე I-ის მიერ (თეოდოსის კოდექსი, XVI, 2, 23). არსებობს მრავალი შემთხვევა, როცა ეპისკოპოსი მას გადააბარებდა მასზე დაქვემდებარებულ სასულიერო პირს (მაგალითად, ავგუსტინემ გადააბარა მის მღვდელს, ერაკლიუსს). მოცემულ შემთხვევაში სილუანე გადააბარებს ერისკაცს, რაც იშვიათად ხდებოდა.

[671] **δαίμων ἀλάστωρ**. შდრ. წიგნი IV, თავი XIX.

[672] ეს ხანძარი ნახსენებია „პასქალურ ქრონიკაში“ 433 (21 აგვისტოს), რომელიც ასევე ახსენებს ხორბლის ბეღლებს და აქილევსის თერმებს (Patrologia Graeca, vol. 92, col. 800 B), ასევე მარცელინუსი თავის „ქრონიკებში“ 433, რომელიც აზუსტებს, რომ სამი დღის განმავლობაში განადგურდა ქალაქის ჩრდილოეთით კვარტლების დიდი ნაწილი.

[673] სოკრატე ამ ეკლესიაზე საუბრობს II წიგნის XXXVIII თავში. მას ეწოდებოდა „ანასტასია“.

[674] შდრ. „კონსტანტინოპოლის ეკლესიის სვინაქსარი“, 618, 32-619, 13.

[675] ცელესტინმა ეპისტოლეები გაგზავნა 431 წ., კრებამდე, და უბრალოდ განაცხადა, რომ ნესტორის განყენება, მიუხედავად იმისა, რომ სამწუხარო ფაქტი იყო, ლეგიტიმური იყო. 432 წ. ივლისში პაპი უკვე გარდაცვლილი იყო. მის თანხმობას, ცხადია, ამ საქმესთან არაფერი საერთო არ ჰქონდა, ვინაიდან პროკლე იყო პულქერიას ფავორიტი: 428 წ. შობის წინ მან იქადაგა წმინდა სოფიის ტაძარში ღვთისმშობლის საპატივცემულოდ და რამდენიმე დღის შემდეგ წარმოთქვა ქადაგება განკაცებაზე პულქერიას საცხოვრებელ უბანში (შდრ. ფოტიოსი, ბიბლიოთეკა 229).

[676] იხ. J. Rist, “Ut episcopus non transeat: Die Problematik der Translation von Bischofen in der Spatantike dargestellt am Beispiel des Proklos von Konstantnopel”, Studia Patristica XXIX, p. 119-126.

[677] პროკლე კიზიკიის ეპისკოპოსი გახდა 427 წელს. მან დატოვა მრავალი ქადაგება. მის შესახებ იხ. F.X. Bauer, Proklos von Konstantinopel. Ein Beitrag zur Kirchen und Dogmengeschichte des 5. Jahrunderts, Munich 1919; F. Leroy, L’homiletique de Proclus de Constantinople, Vatican 1967.

[678] იხ. წიგნი VII, თავი XXVIII.

[679] **ἀνεξικακίαν,** იგივე ზედსართავი სახელი აქვს გამოყენებული თეოდოსისთვისაც XXII თავში. ის შეიძლება ითარგმნოს, როგორც „შემწყნარებლობა“.

[680] უნდა ითქვას, რომ მიუხედავად „თეოდოსის კოდექსის“ ერეტიკოსთა

წინააღმდეგ გამოცემული მრავალი კანონის მკაცრი სასჯელებისა, თეოდოსი II-ის დროს ადგილი არ ჰქონია სისტემური ხასიათის დევნულებებს, გამონაკლის წარმოადგენდნენ ევნომიელები (იხ. Wallraff, M., Der Kirchenhistoriker Sokrates. Untersuchungen zu Geschichtsdarstellung, Methode und Person, Gottingen 1997).

[681] **ἀληθῶς Ἱερωμένους**. საინტერესოა, რომ სოკრატე მღვდლის ხსნებისას ორჯერვე აკეთებს დაზუსტებას – „ჭეშმარიტი“. ჩანს, ბევრს იცნობდა ისეთს, ვისაც მღვდელი „არაჭეშმარიტად“, მხოლოდ კანონიკურად და ფორმალურად ეწოდებოდა. ეს გამიჯნვა „ჭეშმარიტისა“ „არაჭეშმარიტისგან“ იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ ეს ნიშნავს, რომ კანონიკური ხელდასხმა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მღვდელი ჭეშმარიტად ჩაითვალოს, არამედ პიროვნული ზნეობრივი და სულიერი სრულყოფა არანაკლებ აუცილებელი წინაპირობაა.

[682] რიცხ. 12, 3.

[683] იხ. თეოდორიტე კვირელი, საეკლესიო ისტორია, V, 37.

[684] ეზეკ. 38, 2, 22-23.

[685] ეს მოხდა 437 წელს.

[686] ვალენტინიანე და ევდოქსია დანიშნულ იქნენ, როდესაც პირველი იყო ხუთი წლის, ხოლო მეორე – ორის, 424 წ. დაქორწინდნენ 437 წლის 29 ოქტომბერს (იხ. მარცელინუსი, ქრონიკები, 424 და 437; პასქალური ქრონიკა, 437,PG 92, 800-801 A; სოკრატეს მიერ გადმოცემულია 436 წლის კონსულობა). ამ ქორწინებისთვის მოლაპარაკებას აწარმოებდა სენატორი რუფუს ანტონიუს აგრიპნიუს ვოლუზიანუსი,რომელიც ამ მიზეზით ჩავიდა კონსტანტინოპოლში. ქალის ძმისშვილი მელანია უმცროსიც ასევე გაემგზავრა იერუსალიმიდან კონსტანტინოპოლში მის დასათანხმებლად (იხ. გერონტიუსი, მელანიას ცხოვრება, Sources Chretiennes, 90, p. 225).

[687] ეს მოხდა 438 წლის იანვრის თვეში.

[688] იხ. მარცელინუსი, ქრონიკები, 438, 2, გვ. 79 (28 იანვარი). ამ დაბრუნებამდე პროკლემ აღნიშნა იოანეს ყოველწლიური დღესასწაული და წარმოთქვა მისი შესხმა,რომელიც ცნობილია ლათინური თარგმანით (Patrologia Graeca 65, 827-834).

[689] შდრ. ზემოთ თავი XXXVII.

[690] ეს პიროვნება გადავიდა მართლმადიდებელ ეკლესიაში და გენადის მიერ წოდებულ იქნა წმინდა სოფიის „იკონომოსად“ ამ უკანასკნელის 458 წელს არჩევიდან ცოტა ხნის შემდეგ (იხ. Wallraff, M., “Markianos – en prominenter Konvertit vom Novatianusmus zur Orthodoxie” VC 52, 1998, p. 1-29). საფიქრებელია, რომ ამ შემოერთებამ დიდი გავლენა მოახდინა ქალაქის ნოვაციანელთა თემზე, რის შესახებაც თითქმის არ მოიპოვება რაიმე ცნობა სოკრატეს შემდეგ. არსებობს მარკიანოსის სამი ჰაგიოგრაფიული ცხოვრება.

[691] ევდოკია იერუსალიმში გაემგზავრა 438 წელს.

[692] იხ. ასევე გერონტიუსი, მელანიას ცხოვრება 58-59 (Sources Chretiennes 90, p. 240-247). ევდოკია იერუსალიმში ორჯერ გაემგზავრა: პირველად მისი ასულის დაქორწინების შემდეგ, 438-439 წწ., მეორედ 440-441 ან 443 წელს; მაგრამ მეორე მგზავრობისას ის უკან ვეღარ დაბრუნდა, გარდაიცვალა იერუსალიმში 460 წელს. პირველი მგზავრობისას იგი ჩავიდა ანტიოქიაში, სადაც წარმოთქვა სიტყვა და მას პატივი მიაგეს მისი ოქროს ქანდაკების აღმართვით; მისი მოთხოვნით, თეოდოსიმ გააფართოვა ქალაქის საფორტიფიკაციო ნაგებობები (ევაგრე სქოლასტიკოსი, საეკლესიო ისტორია, I, XX). წმინდა ქალაქში მონასტრებისთვის, ლავრებისთვის და სასტუმროებისთვის მის სამშენებლო მოღვაწეობაზე ცნობებს გვაწვდიან ევაგრე სქოლასტიკოსი (საეკლესიო ისტორია, I, XXI და XXII) და კირილე სკვითოპოლელი (ექვთიმეს ცხოვრება 35); მან ააგო წმინდა ეკატერინეს სახელობის ბაზილიკა, რომელიც იკურთხა 438 წლის 13 მაისს კირილე ალექსანდრიელის თანდასწრებით (იხ. პეტრე იბერიელის ცხოვრება). მან ასევე აღადგინა იერუსალიმის გალავანი.

[693] ფირმუს კესარიელი გარდაიცვალა 439 წ. მან ითამაშა მნიშვნელოვანი როლი ეფესოს კრებაზე და იმყოფებოდა კირილეს მომხრეთა დაჯგუფებაში. ჩვენამდე შემორჩენილია მისი ეპისტოლეები (Sources Chretiennes, 350, Paris 1989).

[694] კონსტანტინოპოლის იურისდიქციის გაფართოების კიდევ ერთი ნიშანი, რაც დაკანონებულ იქნა ქალკედონის კრების მიერ (cf. Dagron, Naissance d’une capitale, p. 473, 477-479). თალასი კესარიელი ესწრებოდა 449 წლის ე.წ. „ავაზაკთა კრებას“ და იყო ერთ-ერთი დიოსკორეს მომხრეთა შორის. იგი უხმოდ დაეთანხმა ქალკედონის კრების გადაწყვეტილებას.

[695] მთელი ნაშრომი სინამდვილეში მოიცავს 133 წელს (306 წლიდან 439 წლამდე), 271-ე ოლიმპიადის პირველი ან მეორე წლიდან 305-ე ოლიმპიადის მეორე ან 304-ის მესამე წლამდე.

პირთა საძიებელი

აბგარი 182
აბლაბიოსი 401
აბრაამი 60, 148, 211, 260
აბრაამ ურიმელი 242
აბუდანტიოსი 395
აგაპეტოსი 390-392
აგაპიოსი 143, 342, 478
აგელიოსი 170, 253, 289, 312, 314, 317, 328, 462
აგელონოსი 248
ადამანტიოსი 87, 403, 520, 521
ადელფი 144
აეითალესი 12
აეციუსი, აეციოსი 155, 156, 158, 159, 214, 215, 242, 250, 262, 343, 455
ავრელიანე 357, 360, 501
ავსონიუსი 303
ავქსანიოსი 51, 52
ავქსენტი 161, 163, 165, 171, 290, 456
ათანასე ალექსანდრიელი 24, 52, 55, 63, 67, 70, 76-85, 89, 94-98, 101, 102, 106, 107, 109, 110, 113-115, 121-123, 127-140, 142, 144, 157, 159, 161, 163, 191, 201, 204, 205, 208, 212, 218, 219, 239, 242, 245, 259, 262, 263, 268, 269, 272, 273, 277, 278, 286, 367, 374, 375, 382, 426, 453-456, 458, 459, 461, 463, 467, 468, 481, 492, 494, 505, 508, 509
ათანარიხოსი 294
ათენაიდოსი 415
ათენოდორი 144
აკაკი 382, 388
აკაკი ამიდის ეპისკოპოსი 414, 524
აკაკი კესარიელი 170, 174, 176-183, 185-190, 240, 241, 245-248
აკესიოსი 47, 48, 51, 462
აკინდინოსი 98
ალამუნდაროსი 411, 522
ალარიხი 398, 399, 497, 519
ალიპიოსი 78
ალკიბიადე 422
ალექსანდრე 52, 259, 401
ალექსანდრე ალექსანდრიელი 9-11, 15, 16-18, 21, 24, 34, 35, 55, 75, 202, 452, 454

ალექსანდრე ანტიოქიელი 398, 438, 486, 519
ალექსანდრე კაბადოკიელი 437
ალექსანდრე კონსტანტინოპოლელი 89-91, 99
ალექსანდრე მაკედონელი 53, 229, 238, 403
ალექსანდრე პაფლაგონელი 171, 403
ალექსანდრე ჰიეროპოლელი 533
ამახიოსი 219, 220
ამბროსი მედიოლანელი 259, 290, 291, 315, 316, 456, 484, 524, 528
ამონიოსი 3, 143, 278, 321, 322, 359, 361, 382, 404, 405, 454, 487, 521
ამუნი 271, 272, 468
ამფილოქე 310
ამფიონი 53
ანაბიონა 87
ანასტასი 398, 431, 519
ანასტასია 254
ანატოლი 242, 469, 522
ანდრაგათიოსი 316, 319, 351, 484, 485, 498
ანთიმოზი 389, 515, 523
ანთუსა 351
ანიკეტოსი 333
ანიტოსი 233
ანტიოქოსი 368, 369, 435, 440, 525
ანტიპატროსი 241
ანტონი დიდი 67, 259, 272, 275, 282, 468, 470
ანტონინოსი 430, 491, 506
აპოლინარი ლაოდიკიელი 191, 192, 206, 220, 221, 374, 457, 509
არაბიანოსი 242
არბათიონა 87
არბეტიონე 155
არბოგასტი 344, 346, 495
არდაბურიოსი 410, 411, 413, 419, 426, 527
არენიოსი 191
არეობინდასი 411
არიოზი 9-13, 16-18, 21, 23, 27, 32, 33, 35, 36, 38, 44, 46, 53, 54, 70, 73-75, 76, 84, 87-89, 90-92, 94096, 99, 103, 124, 143, 155, 156, 159, 161, 164, 189, 190, 206, 241, 257, 260, 261, 295, 337, 517
არისტონიკე 242
არისტოტელე 156, 237, 343, 394, 416

არკადიუსი 293, 311, 312, 317, 348-350, 356, 357, 386, 388, 389, 420, 515, 516, 518, 520, 529
არსაკიოსი 383, 384
არსენი 259, 274
არსენიოსი 79-83, 87, 114
არქელაოსი 69, 81
ასკლეპას ღაზელი 109, 134
ასკლეპიდიოტოსი 418, 526
ასპარი, ასპაროსი 419, 443, 527
ასტერიოსი 88, 182
ასხოლიოსი 306, 478
ატალა 399
ატიკოსი 349, 384, 385, 387, 389, 391, 392, 421-426, 439, 443, 444, 516, 527-529
აქაბი 82, 144, 209
აქილასი 9, 12, 16
ახოლიოსი 309, 479
ბაბილა 25, 460, 481, 482, 498
ბაკური, ბაკურიუსი 66, 345, 496
ბარაბანესი 397, 409, 411
ბარბა, ბარბასი 394, 429
ბარნაბა 339, 507
ბარონიანუსი 243, 244
ბასილეონი, ბასილა 186
ბასილი ანკვირელი 89, 134, 140, 145, 151, 176, 177, 240,
ბასილი კესარიელი 255, 277, 283-286, 310, 311, 352, 461, 464, 466, 471, 472, 478, 490, 494, 498
ბასილიკე 182
ბასილინა 458
ბასოსი 388, 389, 435, 440
ბაუდონოსი 317
ბერილიოსი 206, 458
ბიკენტი 52
ბონიფაციუსი 399, 520
ბრისონი 379, 382, 513
ბუდა ტერებინთელი 68
გალუსი 144, 153-155, 194-196, 199, 460
გაინა 59, 500-502, 506
გაიოზი 12, 143, 159, 161, 163, 165
გალა 293, 485, 510

გალატესი 285
გერმანე 159, 161, 163
გერმანიონი 165
გერმინიუს კიზიკიელი 150, 455
გიორგი ალექსანდრიელი 110, 142-145, 176, 182, 191, 200-204, 245, 394
გიორგი კაბადოკიელი 109, 467
გიორგი ლაოდიკიელი 72, 101, 102, 140, 176, 191, 192
გომარიოსი 248, 462
გორდიანე 333
გრატა 293
გრაციანე 248, 254, 255, 269, 292, 293, 303-306, 308, 315, 316, 319, 463, 475-477, 484
გრიგოლ ალექსანდრიელი 103, 105, 106, 109, 145
გრიგოლ ნაზიანზელი 234, 235, 255, 274, 277, 283,284, 306, 307, 309, 352, 437, 466, 470, 472, 478-481, 533
გრიგოლ ნოსელი 285, 310, 311, 454, 468, 471-473
გრიგოლ საკვირველთმოქმედი 286, 508
გრიგოლ ღვთისმეტყველი 457, 460, 465, 467, 469, 476
დაგალაიფოსი 248, 254
დალმაციოსი 259, 426
დამასი, დამასუსი 270, 289, 298, 303, 320, 348, 366, 398, 474, 486, 519
დეკენტიუსი 154
დეკიუსი 47, 325, 460
დემოფილე 159, 161, 163, 263, 304, 307, 314, 317, 465, 479
დიდიმე 272, 278, 281-283, 470
დიოდორე ტარსელი 310, 351-352, 498
დიოკლეტიანე 5-7, 9, 16, 216, 226, 488
დიონისე 80, 83, 106, 157, 237, 238, 456
დიოსკორე 144, 361-368, 375, 379, 381, 404, 455, 503, 504, 537
დომიციანე 154
დომნიკა 284, 302
დოროთე 182, 296, 304, 317, 341, 342, 394, 475, 484, 517
დოსითე 438
დრაკონტიოსი 144, 186, 455
ედესიოსი 62, 63
ევაგრე 182, 207, 278, 279, 469, 470, 486, 537
ევაგრი 208, 261, 263, 264, 274, 277, 320, 351, 352, 407, 465, 469, 470, 486
ევგენი 130, 259, 344, 345, 398, 495, 519
ევდაიმონოსი 77

ევდემონი 326, 488
ევდოკია 415, 446, 449, 524, 525, 526, 537
ევდოქსია 365
ევდოქსიოსი 116, 158, 159, 176, 182, 185, 187, 188, 244-248, 250, 251, 254-256, 262, 263, 304, 343, 464, 465, 527
ევკლიდე 195
ევლალიოსი 186
ევნომიოსი 155, 157, 250, 251, 262, 284, 314, 327, 343, 386, 483, 489
ევრიპე 242
ევსები 122, 159, 175, 182, 259, 361
ევსები ემისელი 101-103
ევსები ვერცელელი 157, 204, 205, 212, 213
ევსები კესარიელი, პამფილელი 3, 5, 22-27, 38, 43, 48, 56, 60, 67, 89, 98, 123-127, 134, 206, 236, 286, 333, 359, 432, 437, 456, 458, 460, 472, 473, 490, 491, 498, 509, 520, 531-533
ევსები ნიკომიდიელი 10-18, 23, 26, 27, 32, 42, 47, 53, 54, 70-73, 76-79, 82, 87, 89-91, 94096, 98, 100, 101, 106, 107, 113, 453, 479
ევსები სამოსატელი 241
ევსები, მსახურთუხუცესი საჭურისი 96, 198, 199
ევსებია 196
ევსტათი ანტიოქელი 52, 71-73, 102, 263, 374, 465, 508
ევსტათი სებასტიელი 176, 182, 186, 188, 190, 214, 256-260, 264, 309, 457, 464, 471
ევტიქი 182, 242
ევტიქიანე, ევტიქიანოსი 51, 52, 343, 350
ევტროპიანე 343, 350, 354, 355, 497, 500, 501
ევფრონიოსი 73, 101, 102
ევძოიოსი 12, 73, 75, 84, 189, 190, 193, 205, 213, 215, 245, 246, 269, 279, 296, 304
ევხერიოსი 309
ეკებოლიოსი 195, 217, 232
ელადიოსი 12, 321
ელევსიოს კიზიკელი 170, 173, 176, 180, 181, 186, 189, 214, 215, 248-251, 309, 314
ელპიდიოსი 186, 259
ეფთვიმე 361
ვალენტი 77, 83, 87, 107, 137, 138, 145, 150, 159, 161, 163, 164, 166, 167, 217, 244-255, 263-269, 279, 282, 284, 285, 293-296, 298, 299, 302, 305, 328, 423, 463, 465-467, 471, 472, 475, 476
ვალენტინიანე 195, 217, 244-246, 254, 255, 263, 289-293, 299, 303, 315-317, 325, 344, 420, 424, 429, 446, 462, 463, 467, 474, 484, 485, 495, 526-528, 534, 536

ვალერიანე 288
ვარლაამ პერგამოსელი 242
ვეტრანიონი 138, 139, 144
ვიტიანოსი 411
ვიტუსი 52
ვიქტორი 298, 332, 490
ზენონი 352, 498
ზოილოს ლარისელი 241
ზოსიმე 399, 474, 476, 477, 484, 485, 495-497, 500-502, 511, 614, 520
თალასი 449 537
თემისტიოსი 242, 243, 293, 461
თეოგნის ნიკეელი 23, 27, 47, 53, 54, 70, 77, 79, 83, 87, 95, 107
თეოდორე 83, 95, 107, 115, 226, 264, 268, 347, 351, 355, 416, 450, 465
თეოდოსი 3, 51, 66, 182, 252, 293, 303, 306, 308, 316-319, 324, 325, 327, 328, 342, 344-346, 348-350, 359, 360, 372, 385, 388-395, 398-400, 406, 409, 412, 414-416, 418, 420, 424, 426, 429, 442-444, 446, 447, 449, 450, 477, 479-489, 495-498, 500, 501, 504, 507, 510, 515, 516, 518-522, 525, 526, 529, 530, 534-537
თეოდოსიოლოსი 268
თეოდოტე 192, 532
თეოდულე 140, 182, 219, 268, 465
თეოკტისტე 328, 342
თეონას მარმარიკელი 12, 27
თეოპომპე 395
თეოსებიოსი 438
თეოტიმე 242, 373, 508
თეოფილე 3, 185, 240, 256-260, 271, 278, 317, 320-322, 348, 350, 355, 360-363, 365-368, 373-381, 395, 404, 447, 486, 487, 497, 503-506, 508, 510, 512, 513, 527
თეოფრონიოსი 343
ილარიონი 191
ინოკენტი 398, 399, 510-514, 527
იოანე 259, 496, 521, 534
იოანე ანტიოქიელი 435
იოანე იერუსალიმელი 320, 348, 505
იოანე კასიანე რომაელი 503
იოანე მახარებელი 13, 15, 212, 334, 358, 432, 463, 532
იოანე ნათლისმცემელი 211, 472, 502, 508
იოანე ოქროპირი 4, 349-355, 364-388, 421, 425, 446, 447, 460, 482, 492, 497-502, 505-515, 520, 523, 527, 532, 536

იოანე ტირანი 418, 444, 445, 526, 527
იოვიანუსი 217, 230, 231, 239, 241, 2430246, 254, 263, 464, 467
ირინეოსი 206, 207, 242, 332, 458
ისაკოკისი 242
ისდიგერდესი 396, 397, 409, 518
ისიდორე 273, 320, 350, 355, 365-367, 446, 469, 503, 504, 521
ისიონოსი 77
ისხირასი 78, 79, 82
იუბენალი 434, 435
იუდა 14, 339, 484, 527
იულიუსი 110, 113, 114, 122, 130, 137, 155, 196, 199, 458
იუსტა 293
იუსტინა 292, 293, 315, 474, 475
იუსტუსი 292
კალიკრატე 240, 259
კალიოპოსი 421
კალისტოსი 230
კარპონესი 12
კარტერიოსი 343, 351
კელინიკე 77
კერეალიოსი 175
კვესტორი 154
კვინეგიოსი 318
კვირინოსი 383, 384, 514
კვიროსი 102, 422
კირილე 4, 170, 176, 181, 182, 186, 191, 228, 245, 259, 304, 308, 320, 395, 401-406, 434, 435, 443, 480, 486, 492, 518, 520-521, 523, 527, 532, 533, 537
კირინოსი 377
კიროსი 72, 162
კლეარხე 317
კლიმენტი 156, 206, 459, 488, 493
კორნელიუსი 287, 473
კონსტანტი 109, 139
კონსტანტინე 3, 5-9, 17, 18, 22, 25, 32-39, 42-62, 66-69, 73-75, 80, 85, 89-101, 109, 113, 138, 139, 164, 165, 174, 194, 206, 217, 253, 257, 301, 328, 333, 347, 432, 450, 451, 489, 509 530, 534
კონსტანცია 7
კონსტანციუსი 6, 92, 93, 95, 98, 100, 101, 108, 111, 127-130, 133-135, 138-141, 144, 146, 153-156, 159, 161, 163, 164, 167, 172, 178, 181, 188, 193-200, 202, 215, 217,

230, 232, 239, 292, 389, 420, 423, 455, 458, 461, 464, 527
კუბრიკოსი 68
ლავრიკიოსი 175, 177, 178, 182
ლამირიონი 242
ლამფსაკიელი 309
ლეონი 175-178, 181, 182, 491
ლეონტი 140, 156, 158, 182, 240, 259, 319, 382, 386, 387, 415
ლიბანიოსი 195, 225, 231-233, 236-238, 283, 351, 452, 460, 471, 498
ლიბერიუსი 155, 169, 245, 255-262, 289, 303, 304, 309, 474
ლიკინიუსი 6-9, 23, 42, 73, 451
ლოლიანუსი 155
ლუკიანე არკელი 242
ლუკიოსი 12, 109, 134, 140, 204, 245, 259, 269, 270, 279, 280, 297, 298, 304, 308, 467
ლუპიკინუსი 254
ლუციფერ კალიარელი 204, 205, 212, 213, 305, 478
მაბია 297, 298, 302, 475
მაგნენციუსი 138, 139, 145, 153, 154, 196, 474
მაგნუსი 154, 182, 242, 269
მაკარი 44, 45, 52, 57, 58, 78-83, 100, 274, 276, 280. 328. 469
მაკედონიოსი 170-177, 185-190, 214, 219, 240, 248, 249, 259, 310, 327, 389, 391, 457, 481
მანესი 67-69
მარათონიოსი 170, 189
მარდონიოსი 195
მარიანოსი 309
მარინიანოსი 418
მარინოსი 317, 341, 342
მარის ქალკედონელი 23, 27, 77, 83, 87, 107, 115, 183, 216
მარკელოს ანკვირელი 88, 89, 109, 116, 119, 123-126, 134, 140, 145, 186, 259, 463
მარკიანე 447, 448
მარკიანოსი 253, 259, 328, 349, 400, 462, 497, 537
მარკოზი 115, 143-144, 146, 448, 455, 456
მარკუსი 233
მარკუს ავრელიუსი 460
მარტირი 116
მარუთა 377, 383, 396, 397, 518
მაქსენტიუსი 6, 7, 451
მაქსიმე 66, 100, 137, 140, 170, 195, 229, 259, 289, 315-319, 328, 345, 350, 351 442, 480, 484, 485
მაქსიმიანე 6, 436, 440, 443

მაქსიმიანუსი 5, 6
მაქსიმილა 163
მაქსიმინუსი 290, 474
მეთოდე 374, 508, 509
მელეტი, მელიტიოსი 16, 17, 33, 34, 35, 77, 186, 188-190, 205, 212, 213, 240, 241, 245, 246, 284, 285, 304, 305, 308, 310, 311, 352, 366, 438, 451, 472, 477, 478, 480-482, 498
მელიტონი 233
მემნონი 435
მენასი 12
მერობავდუსი 312
მეროპიოსი 62
მეტროდორე 62
მოდესტოსი 265, 465, 466, 471, 472
მონტანი 71, 163, 433
მოსე 60, 88, 209, 210, 221, 227, 274, 277, 331, 332, 335, 336, 340, 386, 418, 440, 444
მოსე ეპისკოპოსი 297, 298
მუიოსი 143, 455
ნაგამფოსი 143
ნარკისოსი 102, 115, 140, 185, 437
ნარსაიოსი 410
ნეპოტიანუსი 139
ნესტორი 136, 427, 428, 430-436, 529-532, 535
ნექტარიოსი 308-310, 312-314, 318, 326, 348, 349, 383, 481, 482, 494
ნიგრინიანუსი 139, 145
ნიკოკლე 195
ნიკოლოზ დამასკელი 422, 528
ნილამონი 143, 455
ნოვაციანე 287, 288
ნოვაციუსი 110, 287, 288, 423
ოლიბრიუსი 303, 346, 348
ონორატოსი 183
ოპტატუსი 383
ოპტიმუსი 310, 438, 534
ორესტე 401-406
ორიგენე 127, 156, 191, 206, 235, 282-284, 286, 336, 360, 361, 363, 367, 368, 373-375, 377, 380, 394, 433, 447, 471-473, 492, 503, 505, 506, 508, 509, 517
ორფიტოსი 242
ოტრეიოსი 310

პავლე 81, 339, 378
პავლე კონსტანტინოპოლელი 99, 100, 107-109, 111, 112, 114, 115, 118, 121-123, 127, 128, 134, 139-141, 259, 310, 389, 481
პავლე მოციქული 14, 15, 107, 210, 271, 278, 323, 334, 433, 463, 494, 502, 507
პავლე სამოსატელი 123, 145, 149, 257, 431-433, 464, 520, 531
პავლე ნოვაციანელი 407, 408, 428, 442, 447, 448
პავლე ანტიოქიელი
პავლინე 157, 205, 212, 213, 245, 246, 304, 305, 311, 315, 320, 252, 477, 478, 481, 483, 486, 504, 524, 526
პავლინუსი 52
პალადი ჰელენოპოლელი, პალადიოსი 279, 438, 468, 469, 497-500, 503-506, 510-514
პალადიოსი 269, 412, 467
პანკრატიოსი 145
პასინიკე 240
პატრიკიოსი 242, 259
პატრიკიუსი 420
პატროფილე 87, 102, 170, 176, 182, 187
პაფნუტი 23, 48, 49, 493
პელაგი ლაოდიკიელი 242, 310
პერიგენე 437, 533
პეტრე 365, 366, 406
პეტრე ალექსანდრიელი 9, 16, 55, 87, 268-270, 298, 304, 467, 476
პეტრე მოციქული 278, 334, 365, 507
პეტრე სებასტიელი 285, 472
პეტრე სიპელი 242
პითაგორა 68, 229
პისო ადანელი 242
პისოს ავგუსტელი 242
პლაკიდია 293, 420, 510, 527
პლაკილა 293, 317
პლაკიტოსი 101, 102, 141
პლატონი 156, 221, 229, 233, 394, 460, 473, 517
პლენიოსი 143
პლინთა 342, 495
პლოტინი 156, 405, 521
პოლიკარპე 333, 438, 463, 490
პორფირი 38, 232, 233, 235, 236, 239, 242, 398, 519
პრობინუსი 101, 346, 348

პრობუსი 269, 315, 316, 385, 484
პროკლე 98, 424, 426, 427, 436, 437, 443, 445-447, 449, 529, 535, 536
პროკოპი 247-249, 254, 299, 413, 462, 518, 523, 527
პროტოგენე 122
რევერენტიუსი 438
რიხომერიოსი 317
რუსტიკულა 399
რუფინუსი 50, 55, 63, 66, 94, 122, 226, 280, 285, 348, 349, 466, 467, 470, 472-475, 484, 486, 487, 495-497, 509, 531
რუფუსი 443, 533, 536
საბატიოსი 328-330, 393, 394, 400, 422, 429
საბელიოზი 10, 71, 72, 123, 145, 207, 257, 295, 463
საბინოსი, საბინუსი 25, 26, 37, 110, 114, 122, 175, 215, 242, 262, 270, 460, 477
სალუსტიუსი 226, 230
საპორი 462
სარმატესი 12
სატურნინუსი 312, 316, 357
სევერა 292, 293
სევერიანე 259, 368-375, 377, 379, 506, 507, 511
სევერუსი 6, 488
სეკუნდოსი, სეკუნდუსი 12, 27, 33, 351
სელენასი 342
სერაპიონი 206, 278, 353, 369, 370-372, 375, 381, 506, 507
სიაგრიოსი 309
სიბიანოსი 242
სილა 339
სილბანოსი, სილვანოსი ტარსელი 176, 240, 256-260
სილვანუსი 154, 438-440, 534
სიმახიოსი, სიმახოსი, სვიმახოსი 319, 325, 485
სირიანუსი 106
სირიკიოსი 398, 456, 486, 497, 519
სისინიოსი 312, 313, 328, 349, 385-388, 393, 395, 400, 424, 426, 427, 443, 482, 497, 529
სერგი 139, 145
სოკრატე, ფილოსოფოსი 223, 233, 460
სოფრონ პომპეოპოლელი 176, 179, 180, 186, 189, 214, 215, 240, 459
სპირიდონი 23, 48, 49, 50
სტელოხონოსი 360
სტეფანე 141

სტრაბონი 422, 528
ტავროსი, ტავრუსი 190, 193, 194, 427
ტატიანე 93, 175, 219, 325
ტიგრიოსი 378
ტიმოთე 298, 304, 308, 310, 317, 394, 395, 476, 517, 518
ტირიელი 233
ტირიოსი 232, 239
ტიტე ბოსტრელი 242
ტრიბიგილდი 356, 501
ტროილოსი 359, 389, 425, 438, 515, 520
ულფილა 185, 294, 295
უპტაროსი 429
ურანიუს აპამიელი 241
ურანიუს მელეტინელი 242
ურანიოს ტვიროსელი 176, 182, 259
ურბასოსი 264
ურსაკიუსი 77, 83, 87, 107, 137, 138, 150, 159, 161, 163, 164, 166, 167, 169
ურსინუსი 289, 474
ფავსტუსი 360
ფიდელიონი 182
ფილაგრიოსი 259
ფილეტოსი 14
ფილიკიანუსი 93
ფილიპე 111, 112, 310, 388, 389, 424-427, 436, 529
ფილომენე 78
ფილონი 143, 454
ფირმუს კესარიელი 449, 537
ფლაბიანე 305, 311, 315, 320, 348, 366, 398, 482, 486, 499, 504, 519
ფლავიუსი 159, 491, 513
ფლორენტიუსი 190, 193, 194
ფოებოსი 182
ფოტინოსი 116, 119, 145, 151, 152, 259, 431-433, 463
ფრავიტოსი 360, 502
ფრიტიგერნესი 294, 295
ფრუმენტიოსი 62, 63
ფსინოსირისი 143, 455
ქრესტოსი 53
ქრიზანთოსი 395, 400, 401

ქსენოფონე 233, 422, 528
ცელესტინი, ცელესტინუსი 399, 443, 520, 529, 535
ჰარპოკრატიოსი 52
ჰელადიოსი 310, 322, 487
ჰელიოდორე 458, 465
ჰელიონი 412, 420, 523
ჰერაკლე 191, 237, 259, 460
ჰერაკლიდე 369, 371, 377, 380, 384, 507, 512
ჰერაკლიონი 186
ჰერმესი 143, 493
ჰერმოგენე 108, 400
ჰიერაქსი 144, 402, 455
ჰიერიოსი 426
ჰიეროფილე 438
ჰილარიუს პიქტავიელი 214, 455
ჰიმენეოსი 14
ჰიპატია 405, 521
ჰიპატიოანოს ჰერაკლიელი 145
ჰიპატიუსი 159
ჰონორიუსი 293, 317, 319, 325, 345, 346, 348, 350, 383, 385, 389, 394, 395, 406, 414, 418, 420, 495, 496, 498, 519, 520, 526
ჰოსიუს კორდუბიელი, ესპანელი 17, 52, 122, 145, 152, 206, 451

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინათქმა 3
პირველი წიგნი
I თავი წიგნის შესავალი 5
II თავი თუ როგორ გაქრისტიანდა იმპერატორი კონსტანტინე 5
III თავი თუ როგორ აღაზევებდა კონსტანტინე ქრისტიანებს, მისი თანაიმპერატორი ლიკინიუსი კი დევნიდა მათ 8
IV თავი თუ როგორ დაიწყო ომი კონსტანტინეს და ლიკინიუსს შორის ქრისტიანთა გამო. 9
V თავი ეპისკოპოს ალექსანდრეს მიმართ არიოზის ქიშპობის შესახებ..... 9
VI თავი თუ როგორ ქიშპობით დაედო სათავე ეკლესიის გაყოფას. თუ როგორ განაყენა ალექსანდრემ არიოზი და მის გარშემო..... 10
VII თავი თუ როგორ დამწუხრდა იმპერატორი კონსტანტინე ეკლესიათა შფოთის გამო და გაგზავნა ჰოსიუს ესპანელი ალექსანდრიაში, რათა ერთსულოვნებისაკენ მოეწოდებინა ეპისკოპოსისა და არიოზისთვის..... 17
VIII თავი ბითვინიის ქალაქ ნიკეაში გამართული კრების შესახებ; აგრეთვე იქ გადმოცემული მრწამსის შესახებ. მრწამსი 21
IX თავი კრების ეპისტოლე იმ საკითხების შესახებ, რომლებიც განაჩინა კრებამ. ასევე თუ როგორ იქნა განყენებული არიოზი და მისი თანამოაზრენი. იმპერატორის ეპისტოლენი 32
X თავი თუ როგორ მოიწვია იმპერატორმა კრებაზე ნოვაციანელი ეპისკოპოსი აკესიოსი..... 47
XI თავი ეპისკოპოს პაფნუტის შესახებ..... 48
XII თავი კვიპროსელთა ეპისკოპოს სპირიდონის შესახებ..... 49
XIII თავი მონაზონ ევტიქიანეს შესახებ..... 51
XIV თავი თუ როგორ დაიბრუნეს მოგვიანებით თავიანთი საყდრები არიოზის თანამოაზრეობის გამო გადასახლებულმა ევსები ნიკომიდიელმა და თეოგნის ნიკელმა, მას შემდეგ, რაც გამოგზავნეს სინანულის წიგნი და დაეთანხმნენ მრწამსის გადმოცემას..... 53
XV თავი თუ როგორ იქნა დადგინებული ალექსანდრიელთა ქალაქის ეპისკოპოსად ათანასე კრების შემდეგ, როდესაც აღესრულა ალექსანდრე..... 55

შინაარსი

XVI თავი თუ როგორ განავრცო იმპერატორმა კონსტანტინემ ძველი ბიზანტიონი და უწოდა კონსტანტინოპოლი..... 56
XVII თავი თუ როგორ გამოიძია და იპოვა იერუსალიმში ჩასულმა იმპერატორის დედამ, ელენემ ქრისტეს ჯვარი, და ააგო ეკლესიები. 57
XVIII თავი თუ როგორ დაანგრია იმპერატორმა კონსტანტინემ წარმართთა ტაძრები და სხვადასხვა ადგილას ააგო მრავალი ეკლესია..... 59
XIX თავი თუ როგორ გაქრისტიანდა კონსტანტინეს დროს ინდოელთა შიდა მოსახლეობა..... 61
XX თავი თუ როგორ გაქრისტიანდნენ იბერები..... 64
XXI თავი მონაზონ ანტონის შესახებ..... 67
XXII თავი მანიქეველთა მწვალებლობის დამფუძნებლის, მანესის შესახებ, ასევე თუ საიდან დაედო სათავე..... 67
XXIII თავი თუ როგორ გამხნევდნენ ევსები ნიკომიდიელი და თეოგნის ნიკეელი და მოშურნედ იღწვოდნენ ნიკეის მრწამსის შესაცვლელად ათანასეს წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობით..... 70
XXIV თავი ანტიოქიაში გამართული კრების შესახებ, რომელმაც განაყენა ანტიოქიის ეპისკოპოსი ევსტათი, რის გამოც მოხდა ამბოხი ისეთი, რომ ცოტა უკლდა ქალაქი დანგრევას..... 72
XXV თავი ხუცესის შესახებ, რომელიც ესწრაფოდა არიოზის უკან გამოხმობას. მძლე კონსტანტინე, მაქსიმუსი, ავგუსტუსი, არიოზს..... 73
XXVI თავი თუ როგორ მისცა სინანულის წიგნი იმპერატორს უკან გამოხმობილმა არიოზმა და მოჩვენებითად მიიღო ნიკეის მრწამსი.. 75
XXVII თავი თუ როგორ ჩავიდა არიოზი ალექსანდრიაში იმპერატორის ნებით და არ მიიღო ათანასემ; თუ როგორ მოაწყვეს ევსების მომხრეებმა ათანასეს წინააღმდეგ სხვადასხვა ცილისწამებები იმპერატორის წინაშე..... 76
XXVIII თავი თუ როგორ მოამზადა იმპერატორმა ტვიროსში ეპისკოპოსების კრება ათანასეს წინააღმდეგ აღძრული ბრალდებების გამო..... 80
XXIX თავი არსენიოსის და მისი ხელის შესახებ, რომელზეც ამბობდნენ, რომ მოკვეთილი ჰქონდა..... 80
XXX თავი თუ როგორ გაიქცნენ ბრალმდებლები, როდესაც ათანასე ბრალდებებისგან უდანაშაულო აღმოჩნდა..... 82
XXXI თავი თუ როგორ არ მიიღეს ეპისკოპოსებმა ათანასეს თავის მართლება მეორე ბრალდებაზე, ხოლო ათანასე იმპერატორთან გაიქცა..... 82
XXXII თავი თუ როგორ განაჩინა კრებამ ათანასეს განყენება, როდესაც იგი წავიდა..... 83

XXXIII თავი თუ როგორ ჩავიდა კრება ტვიროსიდან იერუსალიმში და აკურთხეს ახალი იერუსალიმი, არიანელები კი თანაზიარებაში მიიღეს 84
XXXIV თავი თუ როგორ მოუხმო კრებას იმპერატორმა თავისთან ეპისტოლის მეშვეობით, რათა მის წინაშე ზედმიწევნით გამოკვლეულიყო ათანასესთან დაკავშირებული საქმე 85
XXXV თავი თუ როგორ არ წავიდა კრება იმპერატორთან და ევსების მომხრეებმა ცილი დასწამეს ათანასეს, რომ იმუქრებოდა უკან გააბრუნებდა ალექსანდრიიდან კონსტანტინოპოლში გასაგზავნ პურს; რის გამოც აღიძრა იმპერატორი და გადასახლებაში გაგზავნა ათანასე, ბრძანა გალიაში დასახლებულიყო 87
XXXVI თავი მარკელოს ანკვირელის და ასტერიოს სოფისტის შესახებ... 88
XXXVII თავი თუ როგორ გადმოიყვანა იმპერატორმა არიოზი მას შემდეგ, რაც ათანასე ალექსანდრიიდან გადასახლებაში წავიდა; და მან აღაშფოთა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი ალექსანდრე.. 89
XXXVIII თავი არიოზის სიკვდილის შესახებ 90
XXXIX თავი თუ როგორ მოიცვა იმპერატორი სენმა და აღესრულა 92
XL თავი იმპერატორ კონსტანტინეს დასაფლავების შესახებ 93

მეორე წიგნი

I თავი შესავალი. პირველი და მეორე წიგნები ხელახლა თუ რა მიზეზით გადმოიცა 94
II თავი თუ როგორ კვლავ ცდილობდნენ ნიკომიდიელ ეპისკოპოს ევსების მომხრეები არიოზის მოძღვრების შემოტანას და შფოთი აღძრეს ეკლესიაში 95
III თავი თუ როგორ ჩავიდა ალექსანდრიაში უმცროსი კონსტანტინეს წერილებით გამხნევებული ათანასე. „კონსტანტინე კეისარი ალექსანდრიელთა კათოლიკე ეკლესიის ერს 97
IV თავი ევსები პამფილისას აღსასრულის შემდეგ როგორ იმემკვიდრა კესარიის საეპისკოპოსო აკაკიმ 98
V თავი უმცროსი კონსტანტინეს გარდაცვალების შესახებ 98
VI თავი კონსტანტინოპოლის ეპისკოპოს ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ როგორ იქნენ კანდიდატებად წამოყენებული პავლე და მაკედონიოსი 99
VII თავი თუ როგორ გააძევა ეპისკოპოსად არჩეული პავლე იმპერატორმა კონსტანციუსმა და კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსო ჩააბარა ნიკომიდიიდან გადმოსულ ევსების 100

VIII თავი თუ როგორ მოიწვია ევსებიმ სხვა კრება სირიის ანტიოქიაში
და სხვა მრწამსის გადმოცემა მოახდინა..... 100
IX თავი ევსები ემისელის შესახებ..... 101
X თავი თუ როგორ დაასხეს ხელნი გრიგოლს მას შემდეგ, რაც
ალექსანდრიაზე უარი განაცხადა ევსები ემისელმა, და როგორ
გადააკეთეს ნიკეის მრწამსის სიტყვა. სხვა გადმოცემა..... 103
XI თავი თუ როგორ ჩავიდა გრიგოლი ჯარისკაცების ხელშეწყობით
ალექსანდრიაში, ხოლო ათანასე გაიქცა..... 106
XII თავი თუ როგორ კვლავ დასვა ხალხმა კონსტანტინოპოლში
საყდარზე პავლე, როდესაც აღესრულა ევსები. ასევე თუ როგორ
წამოაყენეს არიანელებმა მეკედონიოსი..... 107
XIII თავი სარდალ ჰერმოგენეს მკვლელობის შესახებ; და თუ როგორ
კვლავ გაძევებულ იქნა პავლე ამის გამო ეკლესიიდან..... 108
XIV თავი თუ როგორ გადაიყვანეს არიანელებმა გრიგოლი
ალექსანდრიიდან და მის ნაცვლად გიორგი წარგზავნეს..... 109
XV თავი თუ როგორ ჩავიდნენ ათანასე და პავლე რომში და ეპისკოპოს
იულიუსის წერილებით განმტკიცებულნი კვლავ თავიანთ
საყდრებზე დაბრუნდნენ..... 109
XVI თავი თუ როგორ მოაწყო იმპერატორმა პრეფექტ ფილიპეს
მეშვეობით პავლეს გამოძევება და გადასახლებაში გაგზავნა,
ხოლო მაკედონიოსის აღსაყდრება..... 111
XVII თავი თუ როგორ გაიქცა იმპერატორების მუქარით შეშინებული
ათანასე რომში..... 113
XVIII თავი თუ როგორ მოითხოვა დასავლეთის იმპერატორმა მისი
ძმისგან, რომ მისთვის გამოეგზავნა ათანასეს და პავლეს გამო
მომჩივანნი; და რომ გაგზავნილებმა მრწამსის ახალი გადმოცემა
დაწერეს. ახალი გადმოცემა..... 114
XIX თავი [მრწამსის] ვრცელი გადმოცემის შესახებ..... 116
XX თავი სარდიკას კრების შესახებ..... 121
XXI თავი ევსები პამფილისას აპოლოგია..... 123
XXII თავი თუ როგორ დაუბრუნა საყდრები სარდიკას კრებამ ათანასეს
და პავლეს, და როდესაც არ მიიღო აღმოსავლეთის იმპერატორმა
დასავლეთის იმპერატორი ომით დაემუქრა..... 127
XXIII თავი თუ როგორ მოუხმო ათანასეს ეპისტოლეს მეშვეობით ძმის
მუქარით შეშინებულმა კონსტანციუსმა და გაგზავნა
ალექსანდრიაში. კონსტანციუსის ეპისტოლენი..... 128
XXIV თავი თუ როგორ ჩავიდა ათანასე ალექსანდრიაში იერუსალიმის
გავლით და თანაზიარებაში მიღებულ იქნა მაქსიმეს მიერ, გამარ-

შინაარსი

თა ეპისკოპოსთა კრება, რომელზეც დაამტკიცა ნიკეის რწმენა..... 137
XXV თავი ტირანების მაგნენციუსის და ვეტრანიონის შესახებ..... 138
XXVI თავი როდესაც აღესრულა დასავლეთის იმპერატორი, კვლავ
განდევნილ იქნენ თავიანთი ადგილებიდან პავლე და ათანასე.
აგრეთვე, თუ როგორ იქნა მოკლული პავლე გადასახლებაში
მიმავალ გზაზე, ხოლო ათანასე გაიქცა..... 139
XXVII თავი თუ როგორ მიიღო მაკედონიოსმა საყდარი და მრავალი
ბოროტება უყო მათ, ვინც მის მსგავსად არ აზროვნებდა..... 141
XXVIII თავი ალექსანდრიაში არიანელი გიორგის მიერ ჩადენილი
საქმეების შესახებ ათანასეს გადმოცემით..... 142
XXIX თავი ერესიარქ ფოტინოსის შესახებ..... 145
XXX თავი იმპერატორ კონსტანციუსის თანდასწრებით სირმიაში
გადმოცემული მრწამსების შესახებ. სირმიაში სხვაგვარად
ლათინურად გადმოცემული და თარგმნილი მრწამსი..... 146
XXXI თავი კორდუბიის ეპისკოპოს ჰოსიუსის შესახებ..... 152
XXXII თავი ტირან მაგნენციუსის დამარცხების შესახებ..... 153
XXXIII თავი პალესტინის დიოკესარიის იუდეველების შესახებ..... 154
XXXIV თავი კეისარ გალუსის შესახებ..... 154
XXXV თავი ევნომიუსის მოძღვარ სირიელი აეციუსის შესახებ..... 155
XXXVI თავი მედიოლანის კრების შესახებ..... 157
XXXVII თავი არიმინში გამართული კრებისა და იქ გადმოცემული
მრწამსის შესახებ. არიმინში გამართული კრების ეპისტოლე
იმპერატორ კონსტანციუსის მიმართ..... 158
XXXVIII თავი მაკედონიოსის სისასტიკის შესახებ, აგრეთვე მის მიერ
აღძრული შფოთის შესახებ..... 170
XXXIX თავი ისავრიის სელევკიაში გამართული კრების შესახებ..... 175
XL თავი თუ როგორ ჩაწერა მრწამსის სხვა გადმოცემა აკაკი კესარიელმა
სელევკიაში გამართულ კრებაზე..... 177
XLI თავი თუ როგორ შეიკრიბნენ აკაკის მომხრეები კონსტანტინოპოლში
იმპერატორის დასავლეთიდან დაბრუნებისას და დაამტკიცეს
არიმინში მიღებული მრწამსი და დაამატეს რაღაც ნაწილი..... 183
XLII თავი თუ როგორ იპყრო ხელთ ევდოქსიოსმა კონსტანტინოპოლის
ეპისკოპოსობა მას შემდეგ, რაც განყენებულ იქნა მაკედონიოსი..... 185
XLIII თავი სებასტიის ეპისკოპოს ევსტათის შესახებ..... 186
XLIV თავი ანტიოქიის ეპისკოპოს მელეტის შესახებ..... 188
XLV თავი მაკედონიოსის მწვალებლობის შესახებ..... 189
XLVI თავი აპოლინარელებისა და მათი მწვალებლობის შესახებ..... 191
XLVII თავი იმპერატორ კონსტანციუსის აღსასრულის შესახებ..... 193

მესამე წიგნი

I თავი იულიანეს შესახებ – მისი წარმომავლობის, აღზრდისა და იმის შესახებ, თუ როგორ გახდა იმპერატორი და გადაიხარა წარმართობისკენ 194
II თავი ალექსანდრიაში ამტყდარი ამბოხის შესახებ და თუ როგორ მოკლეს გიორგი 200
III თავი თუ როგორ დააშინა ალექსანდრიელები გიორგის მკვლელობით განრისხებულმა იმპერატორმა ეპისტოლეს მიწერით 201
IV თავი თუ როგორ შევიდა ეკლესიაში და იპყრა ალექსანდრია ათანასემ, მას შემდეგ, რაც დაიღუპა გიორგი 204
V თავი ლუციფერუსის და ევსების შესახებ 204
VI თავი თუ როგორ დაასხა ხელი ანტიოქიაში ჩასულმა ლუციფერმა პავლინეს 205
VII თავი თუ როგორ შეუერთდა ევსები ათანასეს და ალექსანდრიაში კრების გამართვის შემდეგ ცხადად იქადაგა თანაარსი სამება 205
VIII თავი ათანასეს „აპოლოგიის“ შესახებ, რომელიც დაწერა თავისი გაქცევის შესახებ 208
IX თავი თუ როგორ აღმოაჩინა ალექსანდრიაში „თანაარსის“ მქადაგებელთა კრების შემდეგ ანტიოქიაში დაბრუნებულმა ევსებიმ, რომ თანამორწმუნენი გაყოფილი იყვნენ პავლინეს ხელდასხმის გამო, და ვერ შეძლო რა მათი შეერთება, წავიდა 212
X თავი პიქთავიის ეპისკოპოს ჰილარიუსის შესახებ 214
XI თავი თუ როგორ ჩამოართვა ქონება ქრისტიანებს იმპერატორმა იულიანემ 215
XII თავი ქალკედონის ეპისკოპოს მარისის შესახებ 216
XIII თავი შფოთის შესახებ, რაც აღძრეს წარმართებმა ქრისტიანთა წინააღმდეგ 217
XIV თავი ათანასეს გაქცევის შესახებ 218
XV თავი ფრიგიის ქალაქ მეროში იულიანეს ჟამს წამებულთა შესახებ 219
XVI თავი თუ როგორ აღიძრნენ აპოლინარები ნაშრომების დაწერისთვის, როდესაც იმპერატორმა აუკრძალა ქრისტიანებს ელინური განათლების მიღება 220
XVII თავი თუ როგორ აპირებდა იმპერატორი სპარსეთში შეჭრას და ანტიოქიაში ყოფნისას მოსახლეობამ დასცინა მას. ამ საბაბით მან შეადგინა თხზულება „წვერთმოძულე“ 224
XVIII თავი თუ როგორ ეწადა იმპერატორს წინასწარმეტყველების მიღება, მაგრამ დემონმა არ უპასუხა მოწამე ბაბილასადმი კრძალვით 225

XIX თავი იმპერატორის გულისწყრომისა და თეოდორე აღმსარებლის შესახებ..... 226
XX თავი თუ როგორ შეაგონებდა იმპერატორი იუდეველებს, რომ მსხვერპლი შეეწირათ. აგრეთვე იერუსალიმის სრულქმნის მცდელობის ჩაშლა..... 227
XXI თავი იმპერატორის სპარსეთში წასვლისა და მისი დაღუპვის შესახებ..... 229
XXII თავი იოვიანუსის იმპერატორად გამოცხადების შესახებ..... 230
XXIII თავი სოფისტ ლიბანიოსისადმი შეპასუხება იულიანესთან დაკავშირებით..... 232
XXIV თავი თუ როგორ მოადგნენ ყველა მხრიდან ეპისკოპოსები იოვიანუსს: თითოეული მათგანი იმედოვნებდა, რომ თავის რწმენაზე გადაიბირებდა მას..... 239
XXV თავი თუ როგორ შეიკრიბნენ მაკედონიოსის თანამოაზრენი და აკაკის მომხრეები ანტიოქიაში და დაამტკიცეს ნიკეაში მიღებული მრწამსი..... 240
XXVI თავი იმპერატორ იოვიანუსის აღსასრულის შესახებ..... 243

მეოთხე წიგნი

I თავი თუ როგორ გამოცხადდა იმპერატორა ვალენტინიანე მას შემდეგ, რაც აღესრულა იოვიანუსი, და თუ როგორ გაუზიარა იმპერია მის ძმას ვალენტს. თუ როგორ იყო ვალენტინიანე მართლმადიდებელი, ვალენტი კი – არიანელი..... 244
II თავი თუ როგორ გაემართა ვალენტინიანე დასავლეთში, ვალენტი კი დარჩა კონსტანტინოპოლში; მან ნება დართო მაკედონიანელებს, გაემართათ კრება, ხოლო „თანაარსის“ მიმდევრებს დევნა დაუწყო. 246
III თავი თუ როგორ აუმბოხდა ტირანი პროკოპი ვალენტს, როდესაც ის დევნიდა მართლმადიდებელ ქრისტიანებს. აგრეთვე იმ ხანად მომხდარი მიწისძვრის და წყალდიდობის შესახებ..... 247
IV თავი თუ როგორ გამართეს მაკედონიანელებმა კრება ლაფსაკიოსში სახელმწიფოს და საეკლესიო ძალაუფლების მხარდაჭერით; როგორ დაამტკიცეს ანტიოქიის მრწამსის სიმბოლო, შეაჩვენეს არიმინზე მიღებული მრწამსი და კვლავ დაამტკიცეს აკაკის და ევდოქსიოსის განყენება..... 247
V თავი თუ როგორ მოხდა შეტაკება ვალენტსა და პროკოპის შორის. აგრეთვე სარდლების მიერ თავი ანთი ტირანის ღალატისა და მოკვლის შესახებ..... 248

შინაარსი

VI თავი თუ როგორ აიძულებდა ვალენტი პროკოპის სიკვდილის შემდეგ კრების მონაწილეებს და ყველა ქრისტიანს, რომ ეღიარებინათ არიანელობა..... 249
VII თავი თუ როგორ შეცვალა მაკედონიანელი ელევსიოსი კიზიკის საყდარზე ევნომიოსმა; აგრეთვე მისი წარმომავლობისა და აეციოსისადმი დამოწაფების შესახებ..... 250
VIII თავი ქვაზე ამოტვიფრული წინასწარმეტყველების შესახებ, რომელიც აღმოაჩინეს, როდესაც ვალენტის ბრძანებით დაანგრიეს ქალკედონის კედლები..... 251
IX თავი თუ როგორ დევნიდა ვალენტი ნოვაციანელებს, როდესაც მათ მიიღეს მართლმადიდებლური მრწამსი..... 253
X თავი უმცროსი ვალენტინიანეს შობის შესახებ..... 254
XI თავი უჩვეულო ზომის სეტყვის შესახებ; ასევე ბითვინიასა და ჰელესპონტში მომხდარი მიწისძვრის შესახებ..... 254
XII თავი თუ როგორ გაგზავნეს იმპერატორის ძალადობით შევიწროებულმა მაკედონიანელებმა შუამავლები რომის პაპ ლიბერიუსთან და ხელი მოაწერეს ნიკეის მრწამსს..... 255
XIII თავი თუ როგორ გამოეყო ევნომიოსი ევდოქსიოსს. აგრეთვე ევდოქსიოსის მიერ ალექსანდრიაში აღძრული შფოთის შესახებ; თუ როგორ კვლავ გაიქცა ათანასე ნებაყოფლობით გადასახლებაში, მაგრამ ხალხის მოთხოვნით იმპერატორმა უკან მოიხმო იგი და დაამტკიცა მის საყდარზე..... 262
XIV თავი თუ როგორ დაასხეს ხელნი არიანელებმა დემოფილეს ევდოქსიოსის გარდაცვალების შემდეგ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსად; ხოლო მართლმადიდებლებმა მის მონაცვლედ დაადგინეს ევაგრი..... 263
XV თავი თუ როგორ განდევნა იმპერატორმა ევსტათი და ევაგრი. აგრეთვე არიანელების მიერ მართლმადიდებელთა დევნულების შესახებ..... 264
XVI თავი თუ როგორ დაწვეს ერთ-ერთი ხუცესი ხომალდზე ვალენტის ბრძანებით. ფრიგიაში შიმშილობის შესახებ..... 264
XVII თავი თუ როგორ კვლავ დევნიდა ვალენტი ანტიოქიაში „თანაარსის“ მიმდევრებს..... 266
XVIII თავი ედესაში მომხდარი ამბების შესახებ: თუ როგორ შეუპოვრობას იჩენდა მოსახლეობა; აგრეთვე ერთი ქალის სიმამაცის შესახებ..... 266
XIX თავი თუ როგორ დახოცა მრავალი ადამიანი ვალენტმა მათი სახელების გამო, წარმართული მჩხიბაობის შედეგად..... 267

შინაარსი

XX თავი ათანასეს გარდაცვალებისა და მის საყდარზე პეტრეს ასვლის შესახებ..... 268
XXI თავი თუ როგორ დართო ნება იმპერატორმა ვალენტმა არიანელებს, რომ დაეტუსაღებინათ პეტრე და მის ადგილზე დაედგინათ ლუკიოსი..... 269
XXII თავი თუ როგორ დუმს საბინუსი არიანელების დანაშაულებზე. პეტრეს რომში გაქცევისა და არიანელთა მიერ მოწყობილი მონაზონთა ხოცვა-ულეტის შესახებ..... 270
XXIII თავი ზოგიერთი წმინდანის ღვაწლი, რომლებმაც თავი მიუძღვნეს მონაზვნურ ცხოვრებას..... 271
XXIV თავი ეგვიპტელ მონაზვნებზე თავდასხმისა და მათი წინამძღვრ-ების გადასახლების შესახებ, რომლებიც ახდენდნენ სასწაულებს..... 279
XXV თავი დიდიმე ბრმის შესახებ..... 281
XXVI თავი ბასილი კესარიელისა და გრიგოლ ნაზიანზელის შესახებ..... 283
XXVII თავი გრიგოლ საკვირველთმოქმედის შესახებ..... 286
XXVIII თავი ნოვაციუსისა და მისი მიმდევრების შესახებ. თუ როგორ შეცვალეს ნოვაციანელებმა აღდგომის აღნიშვნის თარიღი იუდეველთა წესის მიდევნებით..... 287
XXIX თავი რომში დამასუსის ეპისკოპოსად ხელდასხმის შესახებ. ურსინუსის მეტოქეობით გამოწვეული ამბოხისა და სისხლისღვრის შესახებ..... 289
XXX თავი უთანხმოების შესახებ, რომელიც ჩამოვარდა მედიოლანის ეპისკოპოსის ავქსენტიუსის მონაცვლის გამო. თუ როგორ იქნა ეკლესიის ეპისკოპოსად არჩეული შფოთის ჩასაცხრობლად ჩასული პროვინციის მმართველი ამბროსი ერთხმად და იმპერატორ ვალენტინიანეს თანხმობით..... 290
XXXI თავი ვალენტინიანე I-ის გარდაცვალებისა და ვალენტინიანე II მოსვლის შესახებ..... 291
XXXII თავი ფილოსოფოს თემისტიოსის სიტყვით დამშვიდებულმა ვალენტმა შეამცირა დევნულება..... 293
XXXIII თავი თუ როგორ მიიღეს გოთებმა ქრისტიანობა ვალენტის დროს 294
XXXIV თავი თუ როგორ დართეს ნება გაქცეულ გოთებს, რომ დასახლებულიყვნენ რომის იმპერიის მიწა-წყალზე, რამაც გამოიწვია იმპერატორის დამხობა და, საბოლოოდ, რომის იმპერიის ნგრევა..... 295
XXXV თავი თუ როგორ შეწყდა ქრისტიანთა დევნა გოთებთან ომის დაწყების გამო..... 296

XXXVI თავი თუ როგორ მიიღეს ქრისტიანობა სარკინოზებმა დედოფალ მაბიას დროს; აგრეთვე ღვთისმოსავი მონაზვნის მოსეს ეპისკოპოსად ხელდასხმის შესახებ..... 297
XXXVII თავი თუ როგორ გააგდეს ლუკიოსი ალექსანდრიელებმა და მის ნაცვლად დაადგინეს პეტრე, რომელიც დაბრუნდა რომის ეპისკოპოს დამასუსის წერილებით..... 298
XXXVIII თავი თუ როგორ დასცინა ხალხმა ვალენტს გოთების გამო. ასევე იმის შესახებ, თუ როგორ გაილაშქრა მან მათ წინააღმდეგ და მოკლულ იქნა ადრიანოპოლის მახლობლად..... 299

მეხუთე წიგნი

წინათქმა..... 301
I თავი თუ როგორ უკუაგდეს მოქალაქეებმა ვალენტის დაღუპვის შემდეგ გოთების მიერ განხორციელებული ხელახალი შემოტევა ზოგიერთი სარკინოზის დახმარებით..... 302
II თავი თუ როგორ გამოიხმო გრაციანემ მართლმადიდებელი ეპისკოპოსები გადასახლებიდან, მწვალებლები კი განდევნა ეკლესიებიდან. აგრეთვე, თუ როგორ გაიხადა მან თეოდოსი თავის თანამმართველად..... 303
III თავი იმ დროის ეკლესიათა გამოჩენილი წინამდგომელნი..... 303
IV თავი მაკედონიანელთა შესახებ; თუ როგორ დაუბრუნდნენ თავიანთ წინანდელ ცთომილებას მას შემდეგ, რაც აღიარეს „თანაარსი“..... 304
V თავი პავლინესა და მელეტისთან დაკავშირებით ანტიოქიაში მომხდარი ამბების შესახებ..... 305
VI თავი თუ როგორ იქნა გადაყვანილი გრიგოლ ნაზიანზელი კონსტანტინოპოლის საყდარზე. აგრეთვე, ბარბაროსებზე გამარჯვების შემდეგ იმპერატორ თეოდოსის დასნეულებისა და ეპისკოპოს ასხოლიოსის მიერ მისი მონათვლის შესახებ..... 306
VII თავი თუ როგორ დატოვა გრიგოლმა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსობა მას შემდეგ, რაც წარმოიშვა უკმაყოფილება მისი დადგინების გამო. აგრეთვე, თუ როგორ უბრძანა იმპერატორმა არიანელ ეპისკოპოს დემოფილეს, რომ ან მიეღო მართლ-მადიდებლობა ან დაეტოვებინა ქალაქი, რის გამოც დემოფილემ ქალაქის დატოვება ამჯობინა..... 307
VIII თავი თუ როგორ გაიმართა კრება კონსტანტინოპოლში, რომელიც შედგებოდა ასორმოცდაათი ეპისკოპოსისგან. განჩინებების გამოცემისა და ეპისკოპოსად ნექტარიოსის დადგინების შესახებ.... 308

შინაარსი

IX თავი თუ როგორ პატივის მიგებით გადმოასვენეს კონსტანტინოპოლის ეპისკოპოს პავლეს ნეშტი გადასახლებიდან. მელეტის გარდაცვალების შესახებ..... 310
X თავი თუ როგორ ბრძანა იმპერატორმა ყველა მწვალებლობის კრების მოწვევა. ასევე არკადიუსის ავგუსტუსად გამოცხადების შესახებ. თუ როგორ დართეს ნება ნოვაციანელებს, რომ თავიანთი შეკრებები გაემართათ კონსტანტინოპოლში, ხოლო სხვა მწვალებლობები განდევნილ იქნენ..... 311
XI თავი თუ როგორ იქნა ღალატით მოკლული იმპერატორი გრაციანე ტირან მაქსიმეს მიერ. აგრეთვე, თუ როგორ შეწყვიტა დედოფალმა იუსტინამ ამბროსის დევნა მისი შიშით. 315
XII თავი თუ როგორ შეეძინა იმპერატორ თეოდოსის ვაჟიშვილი მაშინ, როცა იგი ემზადებოდა ტირანის წინააღმდეგ საომრად. ასევე, თუ როგორ გაემგზავრა მედიოლანში ტირანთან შესახვედრად..... 316
XIII თავი არიანელთა მიერ კონსტანტინოპოლში აღძრული შფოთის შესახებ..... 318
XIV თავი ტირან მაქსიმეს დამხობა და დაღუპვა..... 319
XV თავი ანტიოქიის ეპისკოპოს ფლაბიანეს შესახებ..... 320
XVI თავი თუ როგორ დაანგრიეს წარმართული ტაძრები ალექსანდრიაში, რამაც გამოიწვია შეტაკება წარმართებსა და ქრისტიანებს შორის... 321
XVII თავი სერაპისის ტაძარში ნაპოვნი ჰიეროგლიფის შესახებ..... 322
XVIII თავი პრივილეგიების ბოროტად გამოყენების გაუქმება თეოდოსის მიერ რომში..... 324
XIX თავი თუ როგორ იყო დაწესებული სინანულის აღსრულებისთვის ხუცესთა თანამდებობა და როგორ გაუქმდა ის..... 325
XX თავი არიანელთა და სხვა მწვალებელთა დაჯგუფებების შესახებ..... 327
XXI თავი ნოვაციანელი ეპისკოპოსებისა და ნოვაციანელთა განხეთქილების შესახებ..... 328
XXII თავი პასექის აღნიშვნის, ნათლისღების, მარხვის, ქორწინების, ევქარისტიისა და სხვა საეკლესიო წესების აღსრულების შესახებ. ეკლესიებში ჩვეულებათა მრავალფეროვნების შესახებ..... 331
XXIII თავი თუ როგორ მოხდა შემდგომი განხეთქილებები არიანელებს შორის კონსტანტინოპოლში. აგრეთვე „ფსათირიელების“ შესახებ... 335
XXIV თავი ევნომიანელთა და მაკედონიანელთა განხეთქილებების შესახებ..... 343
XXV თავი თუ როგორ მოკლა ტირანმა ევგენიმ ვალენტინიანე უმცროსი, მაგრამ თეოდოსიმ დაამარცხა იგი..... 344
XXVI თავი თეოდოსი უფროსის დასნეულებისა და სიკვდილის შესახებ.. 346

მეექვსე წიგნი

შესავალი 347

I თავი თუ როგორ გაიყვეს იმპერია თეოდოსის ვაჟებმა მისი გარდაცვალების შემდეგ. რუფინუსის არკადიუსის ფეხებთან მოკვლის შესახებ. 348

II თავი ნექტარიოსის გარდაცვალებისა და კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსად იოანეს ხელდასხმის შესახებ..... 349

III თავი კონსტანტინოპოლის ეპისკოპოს იოანეს შობისა და აღზრდა-განათლების შესახებ..... 351

IV თავი დიაკონ სერაპიონის შესახებ, ვის გამოც იოანეს შესახებ ცუდი აზრი ჩამოუყალიბდა მის კლიროსს..... 353

V თავი თუ როგორ გამოიწვია იოანემ ამაქვეყნის ძლიერთა უსიამოვნებები თავის თავზე. აგრეთვე საჭურის ევტროპიოსის შესახებ..... 354

VI თავი თუ როგორ ცდილობდა გადატრიალების განხორციელებას გაინა და მოკლულ იქნა მას შემდეგ, რაც შფოთი აღძრა კონსტანტინოპოლში..... 356

VII თავი თუ როგორი უთანხმოება ჩამოვარდა ალექსანდრიის ეპისკოპოს თეოფილეს და მეუდაბნოე მონაზვნებს შორის. აგრეთვე ორიგენეს წიგნების დაგმობის შესახებ..... 360

VIII თავი თუ როგორ მართავდნენ ღამისთევის საღვთისმსახურო შეკრებებს არიანელები და „თანაარსის“ მომხრეები და გალობდნენ ანტიფონურ საგალობლებს, რომლებსაც მიაწერენ ეგნატეს „ღმერთშემოსილად“ წოდებულს. ორ დაჯგუფებას შორის დაპირისპირების შესახებ..... 364

IX თავი თეოფილეს და პეტრეს შორის გამართული დავის შესახებ, როდესაც პირველი ცდილობდა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის, იოანეს განყენებას..... 365

X თავი თუ როგორ მოიწვია კვიპროსის ეპისკოპოსმა ეპიფანემ კრება და დაგმო ორიგენეს წიგნები..... 367

XI თავი სევერიანეს და ანტიოქოსის შესახებ, იოანესთან მათი უთანხმოების შესახებ..... 368

XII თავი თუ როგორ აღასრულა ეპიფანემ თეოფილეს საამებლად ხელდასხმები კონსტანტინოპოლში იოანეს ნებართვის გარეშე..... 373

XIII თავი ორიგენეს გამართლება..... 374

XIV თავი თუ როგორ განაცხადა უარი ეპიფანემ იოანეს მოწვევაზე, რის გამოც მიუთითეს მის არაკანონიკურ ქმედებებზე. ამ [ბრალდებებით] აღშფოთებულმა თუ როგორ დატოვა კონსტანტინოპოლი..... 375

XV თავი თუ როგორ ჩავა ქალკედონში კრების მიერ ქალებში უკმაყოფილების გამოწვევის გამო მისი ეკლესიიდან განდევნილი იოანე..... 376
XVI თავი იოანე ოქროპირის დასჯით გამოწვეული ამბოხის შესახებ. თუ როგორ იქნა იგი უკან გამოხმობილი..... 378
XVII თავი კონსტანტინოპოლელებსა და ალექსანდრიელებს შორის ჰერაკლიდეს გამო აღძრული დაპირისპირების შესახებ. ასევე თეოფილეს და მისი დაჯგუფების გაქცევის შესახებ..... 380
XVIII თავი ევდოქსიას ვერცხლის ქანდაკების შესახებ. აგრეთვე იოანეს მეორედ გადასახლების შესახებ..... 381
XIX თავი იოანეს მონაცვლედ არსაკიოსის ხელდასხმის შესახებ. ქალკედონის ეპისკოპოს კვირინოსის თავს დატეხილი განსაცდელის შესახებ..... 383
XX თავი არსაკიოსის გარდაცვალებისა და ატიკოსის ხელდასხმის შესახებ..... 384
XXI თავი იოანეს გადასახლებაში გარდაცვალების შესახებ..... 385
XXII თავი ნოვაციანელ ეპისკოპოს სისინიოსის შესახებ. ასევე მისი გონებამახვილური პასუხის გაცემის უნარის შესახებ..... 386
XXII თავი იმპერატორ არკადიუსის გარდაცვალების შესახებ..... 388

მეშვიდე წიგნი

I თავი თუ როგორ განაგებდა პრეტორიის პრეფექტი ანთიმოზი აღმოსავლეთს ყმაწვილი თეოდოსის ნაცვლად..... 389
II თავი კონსტანტინოპოლის ეპისკოპოს ატიკოსის ხასიათისა და ქცევის შესახებ..... 389
III თავი სინადას ეპისკოპოსების, თეოდოსეს და აგაპეტოსის შესახებ..... 390
IV თავი ატიკოსის მიერ ნათლობისას იუდეველის განკურნების შესახებ.. 392
V თავი თუ როგორ გამოეყო ნოვაციანელებს ყოფილი იუდეველი, ხუცესი საბატიოსი..... 393
VI თავი იმ დროის არიანელ წინამძღვართა შესახებ..... 394
VII თავი ალექსანდრიის ეპისკოპოს თეოფილეს კირილეთი შეცვლის შესახებ..... 395
VIII თავი მესოპოტამიის ეპისკოპოს მარუთას მიერ ქრისტიანობის სპარსეთში გავრცელების შესახებ..... 396
IX თავი ანტიოქიის და რომის ეპისკოპოსების შესახებ..... 398
X თავი ალარიხის მიერ რომის აღებისა და დაპყრობის შესახებ..... 398
XI თავი რომის ეპისკოპოსების შესახებ..... 399
XII თავი კონსტანტინოპოლში ნოვაციანელთა ეპისკოპოს ქრიზანთოსის შესახებ..... 400

შინაარსი

XIII თავი ალექსანდრიაში იუდეველებსა და ქრისტიანებს შორის ჩამოვარდნილი დაპირისპირების შესახებ. ასევე ეპისკოპოს ალექსანდრესა და პრეფექტ ორესტეს შორის წარმოქმნილი უთანხმოების შესახებ..... 401
XIV თავი თუ როგორ ჩამოვიდნენ მონაზვნები ნიტრიიდან და აღძრეს ამბოხი ალექსანდრიის პრეფექტის წინააღმდეგ..... 404
XV თავი ფილოსოფოსი ქალის, ჰიპატიას შესახებ..... 405
XVI თავი იუდეველების მიერ ქრისტიანების წინააღმდეგ მოწყობილი ახალი ამბოხისა და მათი დასჯის შესახებ..... 406
XVII თავი ნოვაციანელი ეპისკოპოს პავლეს მიერ მოხდენილი სასწაულისა და იუდეველი თაღლითის მონათვლის შესახებ..... 407
XVIII თავი თუ როგორ განახლდა მტრობა რომაელებსა და სპარსელებს შორის სპარსთა მეფის ისდიგერდესის გარდაცვალების შემდეგ..... 409
XIX თავი მაცნე პალადიოსის შესახებ..... 412
XX თავი რომაელების მიერ სპარსელების მეორედ განდევნის შესახებ..... 412
XXI თავი სპარსელი ტყვეებისადმი ამიდის ეპისკოპოს აკაკის კეთილი მოპყრობის შესახებ..... 414
XXII თავი იმპერატორ თეოდოსი უმცროსის ღირსებების შესახებ..... 415
XXIII თავი თუ როგორ ჩაიგდო ხელში ტირანმა იოანემ ხელისუფლება იმპერატორ ჰონორიუსის გარდაცვალების შემდეგ. აგრეთვე თეოდოსი უმცროსის ლოცვებით მისი დამარცხების შესახებ..... 418
XXIV თავი თუ როგორ იქნა იმპერატორად გამოცხადებული კონსტანციუსის და თეოდოსის დეიდის, პლაკიდიას ვაჟიშვილი ვალენტინიანე..... 420
XXV თავი კონსტანტინოპოლის ეპისკოპოს ატიკოსის ქრისტიანული გულმოწყალების შესახებ. თუ როგორ შეიტანა დიპტიქში იოანეს სახელი. ასევე მის მიერ საკუთარი სიკვდილის წინასწარი ცოდნის შესახებ..... 421
XXVI თავი თუ როგორ იქნა არჩეული სისინიოსი ატიკოსის მონაცვლედ.. 424
XXVII თავი სიდეს ხუცესის,ფილიპეს ვრცელი ნაწარმოებების შესახებ.. 425
XXVIII თავი სისინიოსის მიერ კიზიკიის ეპისკოპოსად პროკლეს ხელდასხმისა და ხალხის მიერ მისი არ მიღების შესახებ..... 426
XXIX თავი თუ როგორ დაადგინეს კონსტანტინოპოლის საყდარზე ნესტორი ანტიოქიიდან. ასევე მის მიერ მწვალებელთა დევნის შესახებ..... 427
XXX თავი თეოდოსი უმცროსის დროს ბურგუნდიელთა გაქრისტიანების შესახებ..... 429
XXXI თავი ნესტორის მიერ მაკედონიანელთა დევნის შესახებ..... 430

შინაარსი

XXXII თავი ხუცესი ანასტასის შესახებ, ვინც შერყვნა ნესტორის მრწამსი... 431
XXXIII თავი დიდი ეკლესიის საკურთხევლის წაბილწვა გაქცეული მონების მიერ... 433
XXXIV თავი ნესტორის წინააღმდეგ გამართული ეფესოს კრების შესახებ. ასევე მისი განყენების შესახებ... 434
XXXV თავი თუ როგორ აირჩიეს მაქსიმიანე კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსად, თუმცა ზოგიერთებს სურდათ პროკლე... 436
XXXVI თავი ეპისკოპოსის ერთი საყდრიდან მეორეზე გადაყვანის კანონიერების შესახებ... 436
XXXVII თავი თავდაპირველად ფილიპოპოლის შემდეგ კი ტროადის ეპისკოპოს სილუანეს მიერ აღსრულებული სასწაულის შესახებ. 438
XXXVIII თავი თუ როგორ მიიღო მრავალმა იუდეველმა ქრისტიანული სარწმუნოება კრეტაზე... 440
XXXIX თავი ნოვაციანელთა ეკლესიის ხანძრისგან გადარჩენის შესახებ. 442
XL თავი თუ როგორ შეცვალა მაქსიმიანე პროკლემ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსად... 443
XLI თავი პროკლეს ღირსებები... 443
XLII თავი იმპერატორ თეოდოსი უმცროსის შესხმა... 444
XLIII თავი ტირან იოანეს მოკავშირე ბარბაროსების თავზე მოწევნული უბედურებების შესახებ... 445
XLIV თავი იმპერატორ ვალენტინიანეს თეოდოსის ასულ ევდოქსიაზე დაქორწინების შესახებ... 446
XLV თავი თუ როგორ გადმოასვენა იმპერატორმა იოანე ოქროპირის ნეშტი კონსტანტინოპოლში და დაასაფლავა მოციქულთა სახელობის ტაძარში ეპისკოპოს პროკლეს რჩევით... 446
XLVI თავი ნოვაციანელთა ეპისკოპოს პავლეს გარდაცვალებისა და მის მონაცვლედ მარკიანეს დადგინების შესახებ... 447
XLVII თავი იმპერატორ თეოდოსის მიერ დედოფალ ევდოკიას იერუსალიმში გაგზავნის შესახებ... 449
XLVIII თავი კაბადოკიის კესარიის ეპისკოპოსად თალასის ხელდასხმის შესახებ. ... 449

შენიშვნები ... 451

პირთა საძიებელი ... 538

სოკრატე სქოლასტიკოსი
საეკლესიო ისტორია

ძველბერძნულიდან თარგმნა,
წინათქმა და შენიშვნები დაურთო
ზურაბ ჯაშმა

რედაქტორი:
დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია

კორექტორი: ნანი მაძაღუა
ტექნ.რედ.: ნინო ქებურია

„ახალი ივერონი"
თბილისი
2012

საეკლესიო გამომცემლობამ
“ახალი ივერონი”
“საეკლესიო ბიბლიოთეკის”
სერიით გამოსცა 14 ტომი:

I ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა
II წმ. იოანე სინელის „კლემაქსი ანუ კიბე“
III ლოცვანი და დაუჯდომელი ღვთისმშობლისა
IV ფსალმუნნი
V „სათნოებათმოყვარეობა“
VI „მწირის გულახდილი საუბრები სულიერ მოძღვართან“
VII ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორია“
VIII ელდარ ბუბულაშვილის „საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები“
IX მიტროპოლიტ იეროთეოს ვლახოსის „მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია“
X თეოდორიტე კვირელის „საეკლესიო ისტორია“
XI ვასილი ბოლოტოვის „ეკლესიის ისტორია მსოფლიო კრებების პერიოდში“
XII წმ. ამბროსი ოპტინელის ცხოვრება
XIII წმ. აბბა დოროთე. „სულის სასარგებლო სწავლანი“
XIV წმ. პალადი ჰელენოპოლელის „ლავსაიკონი“

აგრეთვე: „დიდი კურთხევანი“ (I ტომი)
მიტროპოლიტ იეროთეოს ვლახოსის „თვალსაჩინოებითი კატეხიზმო“
სერია „ძველი ქართული თარგმანები“,
I ტომი - „გელათის ბიბლიის კატენები“
სერია „მამული ენა სარწმუნოება“,
„ქართლის ცხოვრება“ (ახალქართული თარგმანი)
I ტომი - ლეონტი მროველი, ჯუანშერი
II ტომი - მატიანე ქართლისა, ცხოვრება წმინდა მეფე დავით აღმაშენებლისა

“ახალი ივერონის” მიერ
უახლოეს მომავალში გამოიცემა:

დეკანოზ ვასილი ზენკოვსკის „აღზრდის პრობლემები
ქრისტიანული ანთროპოლოგიის შუქზე“
ა. პ. ლებედევის „მსოფლიო საეკლესიო კრებების ისტორია“.
წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელის „უხილავი ბრძოლა“.
ჰერმიას სოძომენეს „საეკლესიო ისტორია“
„ქართლის ცხოვრება“ (ახალქართული თარგმანი, III ტომი)

გამოსაცემად მზადდება:

ნემესიოს ემესელის „ადამიანის ბუნების შესახებ“.
ე. ბუბულაშვილის „საქართველოს ეკლესია ევზარქოსობის პერიოდში“
არქიმანდრიტ კიპრიანე კერნის „სამოძღვრო ღვთისმეტყველება“
მღვდელ-მონაზონი დამასკინის „მამა სერაფიმ როუზის ცხოვრება“
მიტროპოლიტ იეროთეოს ვლახოსის „ერთი ღამე ათონის მთაზე“
„დიდი კურთხევანი“ (II ტომი).